

543  
3

# ՀԱՅԿԵՅԻՆՆԵՐԻ

ՄԱՐԿԵՆԻ ԿՈՂՈՐԴՆԻ ՄԱՐԿԵՆԻ

II

ՀԱՅԿԵՅԻՆՆԵՐԻ ԿՈՂՈՐԴՆԻ

(XV—XIX ԿԻ)

Հ. ԿՈՂՈՐԴՆԻ

ԿՈՂՈՐԴՆԻ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

შ. 2015-3217

К 543  
3

# დოკუმენტები

საქართველოს სოციალური ისტორიიდან

II

ბატონყმური ურთიერთობა  
(XV—XIX სს.)

ნ. ბეკინიშვილის  
რედაქციით

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი—1953



## წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

თორმეტ წელზე მეტია მას შემდეგ, რაც წინამდებარე წიგნის პირველი ნაწილი დაიბეჭდა („დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან“ I, ბატონყმური ურთიერთობა — XV—XVIII სს. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი, 1940 წ.).

ეს (მეორე) ნაწილიც მაშინვე მქონდა შერჩეულ-გადაწერილი (ისევე როგორც „მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის“, რომლის პირველი წიგნი უკვე 15 წელია მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტმა დაბეჭდა, ხოლო მეორე და მესამე ნაწილთა დაბეჭდვა დღემდის ვერ მოხერხდა).

მთელი ეს მასალა მე შევარჩიე და გადმოვწერე მაშინ, როცა საქართველოს მუზეუმში მეცნიერ თანამშრომლად ვმუშაობდი.

საბატონყმო ურთიერთობის შესახებ შერჩეული მასალის საფუძველზე მე განზრახვა მქონდა მონოგრაფია დამეწერა ქართველი გლეხის შესახებ გვიანფეოდალურ საქართველოში. ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ამ ამოცანის შესრულება მე დღემდე არ მომიხერხდა. საბედნიეროდ, დღეს ჩვენს უბანზე სულ სხვა ვითარებაა, ვიდრე ამ ხუთი-ათიოდე წლის წინ იყო. საქართველოს ისტორიის საკითხებზე მომუშავენი დღეს მარტოხელანი აღარა ვართ. ახალგაზრდობა (ისტორიკოსები) წამოიზარდა და მეც სრული იმედი მაქვს, რომ კოლექტიური შრომით ამ დიდ ამოცანას დროულად გადავწყვეტთ.

მთელი მასალა საბატონყმო ურთიერთობის შესახებ, რა თქმა უნდა, აქ წარმოდგენილი ორი წიგნით არ ამოიწურება. დაბეჭდილიც (სხვათა მიერ) ბევრია, უფრო მეტი ჯერ ისევ გამოუვლინებელ-გამოუქვეყნებელია: მომავალ წელში იმედი გვაქვს კიდევ ერთ წიგნს გამოვცემთ.

ამ წიგნის დასაბეჭდავად საბოლოოდ შემზადებაში განსაკუთრებული დახმარება გამიწიეს ახალგაზრდა მეცნ. მუშაკებმა გ. აკოფაშვილმა, მ. ქიქოძემ და დ. მეგრელაძემ. მათი ასეთი აქტიური დახმარების გარეშე წელს ეს წიგნი, ჩემი მოუცლევლობის გამო, ვერ დაიბეჭდებოდა. ამიტომ სამივეს მადლობას მოვახსენებ.

ამ წიგნში მოცემული მასალა შეეხება, უპირატესად, ასწლეულს XVIII ს. მეორე ნახევრიდან ვიდრე XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე.

გამოცემის წესები ამ ტომშიაც იგივეა დაცული, რაც პირველ წიგნში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს წესები ყოველთვის მკაცრად გატარებული ვერ არის. მასალა დალაგებულია მხარეთა მიხედვით, მაგრამ არის რამდენიმე შემთხვევა, რომ კახური წარმოშობის საბუთი ქართლის საბუთების ნაწილშია და პირუკუ; აქა-იქ ქრონოლოგიური პრინციპიც ვერ არის მკაცრად დაცული, მაგ., საბ. №№ 213, 215, 241, 301, 305, 339, 430; დაბოლოს, წიგნ-

ში შოიპოვება რამდენიმე საბუთი, რომელიც ბატონკობას პირდაპირ არ შეეხება.

ამ ტექნიკურ ნაკლთა მიუხედავად წიგნი, ექვი არაა, დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენი ისტორიის სპეციალისტ მკვლევართ, დახმარებას გაუწევს ის აგრეთვე ჩვენს სტუდენტობას მეცნიერულ მუშაობაში სავარჯიშოდ.

ნ. ბერძენიშვილი

23.IV.53

№ 1. 1468 წ. მარტის 22-ს. სათათრო მალის ამოკვეთის წიგნი გიორგი მეფის მიერ მცხეთის საყდრის გლეხთადმი მიცემული. დედანი. თავი დაზიანებული აქვს. 75x14 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. საქ. მუხ. Hd № 1370

ქ. ჩუენ ღ[ვ]თივ... მეფეთა მეფისა გ[იორ]გ[ი]სგან<sup>1</sup> და საყუარლისა ძისა ჩუენისა ალექსანდრესგან იესიან დავითიან სოლომონიანობით აღმკულმან ნებითა და შეწევნითა ღვთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შაჰნშა და შარვანშაჰ და ყოვლისა ჩრდილოეთისა აღმოსავლეთით ვიდრე დასავლეთამდის თვით ჯელმწიფედ მტკიცედ მფლობელ-მპყრობელმან ესე სიმტკიცისა წიგნი და სიგელი ამისად ნიშნად გიბოძეთ და მოგეციოთ თქუენ ერთობილთა დიდისა და ცათა მობაძაფისა მცხეთისა სოფელთა გლეხთა და ყოველთავე, რომელნი თქუენითა მამულითურთ მუნ შეწირულხართ. ვიგულვე და ვიგულისმოდგინე, რათამცა ჩუენისა საყუარლისა ძისა ალექსანდრესთუის სადღეგრძელოდ და ყოველთა ჭირთა განრინებისათუის თქუენთუის მალი ამოგუთუეთა და გაგუეშუა. აწ გულისგმა ვყავთ, რამეთუ უმჯობეს იყო ჩემდა საყდარსა შინა მცხეთისასა თქუენ, ყოველნივე სუეტისა ცხოველისა გლეხნო და ერნო, ავედრებდეთ ღღეთა განგრძობისათუის საყუარელსა ძესა ჩუენსა ალექსანდრეს, ვიდრეღა სათათროსა მალისა აღებად. აწ ნებითა ღ[ვ]თისათა ამოგიკუეთეთ სრულად სათათრო მალი ასრე და ამა პირსა ზედა, რომე არ ჩუენგან და არ ძისა ჩუენისა ალექსანდრესგან არაოდეს და არას უამისა გემოცვალებისათუის აღარაოდეს გეთხოებოდეს სათათრო მალი და შეძღგომად ჩუენსა ვერცა სხუათა მომავალთა მეფეთა და დედოფალთა გთხოონ და ესე ბ[ძანე]ბა და სიგელი ასრე გაგითავდეს და ველარავინ შეგიცვალონ და აღარაოდეს გეთხოებოდეს სათათრო მალი. ბ[ძანე]ბა ნიშნად გუიბოძებია. დაიწერა მტკიცე სიგელი ესე ქ[კნს] რნვ, მარტსა კბ, ჯელითა წირქუალელ გლონისთავაძისა რატისითა. აწ ვინცა ესე შეგიცვალოს, ჰრისხავსმცა მამა, ძე და სულიწმიდა და ნურათამცა სინანულითა იქსნების სული მისი ჯოჯოხეთისაგან. დამამტკიცებელნი ღ[მერთმა]ნ აკურთხნეს.

ხელრთვა: ქ. მეფეთა მეფემან გიორგის დამიმტკიცებია ნებითა ღმრთისათა<sup>2</sup>.

მინატური: ქ. სამცხეთოს მალის ამოკვეთისა

№ 2. 1509 წ. მამულის ნასყიდობის წიგნი მისარი და როინ სუმბას-ძეთა მიერ მოძღვარ მარკოზ დედაბრიშვილისადმი მიცემული. პირი, გადაწერილი XIX საუკუნის პირველ ნახევარში ორფურცლიან მომწვანო ქალაღზე მხედრული ხელით. ქალაღის ჭვირნიშანი—1808 წ. საქ. მუხ. Sd № 136.

ქ. სახელითა სახიერისა და სამგომოვანისა ღ[ვ]თისა მამისა, ღ[ვ]თისა ძისა და ღ[ვ]თისა სულისა წ[მ]ილისათა, მეოხებითა ყ[ოვლა]დ წ[მ]ილისა ღ[ვ]თის

<sup>1</sup> დაზიანებულია.

<sup>2</sup> ხვეულად.

მშობელისა მარადის ქალწულისა მარიამისითა და ცხოველსმყოფელისა და პატიოსნისა ჯვარისათა და წმიდისა იოანე ნათლისმცემელისა და წმიდისა იოანე მახარებელისათა და წმიდისა ვასილი კესარიელ კაბადუკიელისათა და წმინდათა ვედრებითა მოციქულთა, რომელთა მოიბადურნეს ყოველი ქვეყანა, წმიდათა თავთა მოციქულთა პეტრე და პავლესითა და წმიდათა მამათა ნიკიას შეკრებულთა, სვეტისა ღვთისმეტყველისა, კვართისა საუფლოსა და მირონისა ღმერთ მყოფელისა, წმიდისა იოვანე ზედაძნელისა და ათორმეტთა მისთა მოწაფეთა, რომელთა განანათლეს ქვეყანა ქართლისა, წმიდისა ნინოსი დედისა ქართლისა, წმიდისა გიორგი კაბადუკიელისა და წმიდისა შიო და ევაგრისითა, ამა ყოველთა ღვთისა წმიდათა თავსმდებობითა, მოწმობითა და შუამდგომლობითა მოგვიდე მე სუშბას-ძემა მისრიამან და როინამან ჩემი მკვიდრი მამული სავენახე ალაიანში დედაბრის შვილთა მოძღვარსა მარკოზს და შენსა ძმასა ნაცვალსა და მასთა შვილთა მღუდელსა გრიგოლსა, ლონგინოზს და იოანეს, გიორგის და ელიოზს, თქვენთა შვილთა და მომავალთა ყოველთავე და ავიღე შენგან ფასი სრული და უკლები, რითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდა და თუ ვინმე გამოგენახოს ანუ დიდი ბატონი და ანუ კათალიკოზი<sup>1</sup> და ანუ მცხეთისშვილნი, ჩვენ ვიქნებით პასუხის გამცემნი. არასთანა არა გეთხოვბოდეს რა, როგორც ნასყიდს მართებს, ისრე ჰგჭონდეს და გიბედნიეროს ღმერთმა. ამისად გათავებისა თავსდებად უსე ზემო წერილნი წმინდანი მამიხსენებიან, კაცთაგან მწყნესელაშვილი ბედიანა, ვარდიშვილი გრიგოლა, ჟამიარაშვილი დავით, სარუაშვილი ესტატე, სრულად ურთობილნი ალაიანელნი მოწამენი არიან ამისნი. დამამტკიცებელნი ღმერთმა აქურთხნეს და წმინდამან დედა ქალაქმან და ამისნი შემცულელნი წყეულნი და შეჩვენებულნი იყვნენ. დაიწერა ქკს რჟზ. მეფეთ მეფობასა დავითისასა. მე საითას-ძესა მღუდელსა შიოშს დამიწერია და მოწამეცა ვარ.

+ აშიაზე: ჯვარი მისრიასი + ჯვარი რომნიასი<sup>2</sup>. Verso: ეს წერილი მე გიორგი მღუდელმა დუშეთისამა ახალშენაშვილმა ეტრატადამ გადმოვსწერე უმეტნაკლებოდ.

№ 3. 1566 წ. სიმტკიცის წიგნი, მიცემული კოზმან კირაულისძის მიერ ქართლის კათალიკოზ-პატრიარქ ნიკოლოზისადმი. დედანი. 39 × 22 სმ, დაწერილი მხედრული ხელით თეთრ ქაღალდზე. განკვეთილობას ნიშნად ნახარია ყოველი სიტყვის შემდეგ სამ-სამი წერტილი — საქ. მუხ. ფ. II. d. № 2579

[ქ. ნებითა და შეწვევითა ღმთისათა] ჩვენ კირაულისძეთა კოზმან, მახარებელმან და ძეთა ჩუენთა ბარნაბე და დავით ესე სიმტკიცისა წიგნი და სიგელი გკადრეთ და მოგაჯსენეთ თქუენ ქართლისა განმანათლებელს მცხეთასა სუეტსა ღვთისმეტყველსა, კუართსა საუფლოსა და მირონსა ღმერთმყოფელსა და მისსა თახტსა ზედან მჯდომსა ქართლისა კათალიკოზსა, პატრიარქსა პატრონსა ნიკოლოზს; მას ჟამსა როდესა ყინვანისპირულით მამულითა და ბა-

<sup>1</sup> სწერია: კათალიკოზნი.

<sup>2</sup> უხდა: რომნიასი.

რაუნულით სოფლითა მეფეთ მეფის პატრონის გიორგისა მოალაპენი და მე-  
 ეკუდრენი ვიყენით ბატონის წილკნელის სახლეულნი ერთობით და ჩუენ ორის  
 მამის შვილნი იქით ავიყარენით და სულკურთხეულისა პატრონისა მარიამისა  
 შეეკუდრო დაეიქირეთ და მისსა საფლავსა ზედან ალავერდს ალაპი და ცუილ-  
 საკმეველი და<sup>1</sup> ალავერდლისა სამსახური დავიდევით, ბარაუნული სოფელი,  
 პატრონისა გიორგის ალაპი, მცხეთისა და კათალიკოზის სამსახური, წილკნელსა  
 და მისთა შვილთა დავანებეთ. ამას გარეთ ეინვანის პირული ჩუენი კერძი მა-  
 მისული ვენაჟს გარეთ რარგინდარა ჩუენი წილი იყოს მამის მამული, თუ ნასყიდი,  
 თუ ახო, სასახლე, ქვეერ-მარანი, რაგინდარა იყოს, ყუელა უკლებად სუეტის  
 ცხოველისათვის მცხეთას თახტზედან მჯდომისა კათალიკოზ პატრიარქისა ნი-  
 კუალოზისათვის მოგუიჯსენებია და შეგუიწირავს; ასრე და ამა პირსაზედა, რომე  
 ჩუენი კერძი, რაც ხანდაკს მამული იყოს, ორთავე ჩუენთა განაყოფთ გაისწო-  
 რონ. პატრონის კათალიკოზის ბრძანებითა და საუტისა ცხოველისა ძენგლად  
 დაიდვან ცუილი ლიტრა ორი და საკმეველი ლიტრა ორი; ასრე რომე სუეტ-  
 ცხოველობას პატრონისა გიორგის ალაპის დღესა ესე საწირი სუეტსა ღვეთივ  
 აღმართებულსა, კუართსა საუფლოსა, მირონსა — ღმერთ მყოფელსა და მაზე-  
 დან მჯდომსა პატრიარქსა მიეზარებოდეს უკლებად და უნაკლოოდ და თუ ვინმე  
 ჩუენგან განჩენილსა ამას ძენგლსა მოაკლებდეს, პასუხსა თქუენ გასცემდეთ. ესე  
 ასრე გაგითავოთ და თურა ვიცი მე ჩუენი მამული ჩუენვე მოგვინდების, ჳელსა  
 ჩუენვე მოვჳკიდებთ და ჩუენით მამულითა მკუიდრნი ყმანი მცხეთისა და კათა-  
 ლიკოზისანი ვართ.

ვინცა და რამანცა გუარმან კაცმან დიდებულმან და ანუ მკირემან ჳელყოს  
 ამისად შლად და თუშვად, რისხავსმცა მამა, ძე და წმიდა სული, უბიწოდ  
 მშობელი მისი და ყოველი მათნი წმიდანი ჳეცისა და ქუეყანისანი ჳორციელნი  
 და უჳორცონი. დაიწერა მტკიცე სიგელი ესე ქქსა სნდ. + + + +

№ 4. 1588 წ. ყმის წყალობის წიგნი, მიცემული ქართლის კათალიკოზ პატრიარ-  
 ქის ნიკოლოზის მიერ გედონ ელიოზისშვილისადმი. დედანი. ოდნავ დაზიანებუ-  
 ლი. 63×21 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის  
 ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი — საქ. მუხ.

ფ. Hd. № 2526

ქ. ჩუენ ქრისტეს ღვეთისა მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოს  
 მამათ მთავართ მთავარმან ქართლისა ქათალიკოზ-პატრიარქმან ხელმწიფისა  
 ლეონის ძემან პატრონმან ნიკოლოზ ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი წიგ-  
 ნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ. შენ, დიდისა და ცათა მობაძავისა  
 კათოლიკე ეკლესიისა დედა ქალაქისა მცხეთისშვილსა ელიოზის-შვილსა გე-  
 დეონს და შენსა შვილსა დავითს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა,  
 მას ჟამსა ოდესცა მამულის წყალობას გვეაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენე-  
 ბა თქვენი კითხვითა და ჳერჩინებითა ღვეთივ გვირგვინოსნისა მეფეთა მეფისა  
 პატრონისა ალექსანდრესითა და თანამეცხედრისა მათისა დედოფალთ დე-  
 დოფლისა პატრონისა თინათინისათა და მოგიბოძეთ ბარაუნაში ოთხი კომლი

<sup>1</sup> ერთი სიტყვა წაშლილია.

კაცი: კახიაშვილი მისით მამულითა, მაჭარაშვილი ბორჯალა მისითა მამულითა, აპრილაშვილი ფოცხვერა მისით მამულითა, ჯველაშვილი არსა მისით მამულითა, სასახლითა, ქურ მარნითა, ველითა, ვენახითა, სახნავითა, წყლითა, წისქვილითა, ქალითა, სათიბითა, ყოვლითა მისითა სამართლიანითა, რაც ოდენ მამულის მქონებელნი იყვნენ ყოვლითურთ უნაკლულოდ მოგიბოძეთ თქვენ, ელიოზის შვილს გედონს და შენს შვილს დავითს. ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან კათოლიკე საყდრის და ჩუენსა [ერდგუ]ლად სამსახურსა შინა. შემდგომად ჩუენსა წმიდანო პატრიარქნო, ვინცა ვინ დიდისა და ცათა მობაძავისა კათოლიკე ეკლესიის საჭეთმპყრობელობა მიითვალთ, თქვენცა სიგლითა ამით დაუმტკიცეთ რათა ღმერთმან ყოველი გაგებული თქვენი მტკიცე ყოს და ვინცა ვინ შლად და ქცევად ხელყოს ბოძებულისა ამის ჩუენისა და ჩუენსა კათოლიკე ეკლესიისა საყდრისა კანონსა ქვეშე არის. რისხავსმცა დაუსაბამო და დაუსრულებელი ღმერთი და ყოველნი წმიდანი ღ[ვ]თისანი ზეცისა და ქვეყნისანი ხორციელნი და უხორცილნი. [მასმცა] ედების კეთრი გეზისი და შიშთვილი იუდასი, დანთქმა და თან და აბირონისი. ნურათაჩცა სინანულით ნუ იქმნების ვსნა მისი, ნესტორ და ოროგინესთანამცა არის ნაწილი და სამკვიდრებელი მისი. დამამტკიცებელი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს. დაიწერა სიგელი და ბრძანება ესე ქქსა სოვ, ხელითა ქადაგისა შვილის და მდივნის რომანოზისითა კ<sup>1</sup>.

მინაწერი: ბარუნაშის წყალობის წიგნია.

№ 5. 1613 წ. მამულის ნასყიდობის წიგნი ამილბარ და სხვ. ამილბარაშვილების მიერ ესტატე და სხვ. ხახანაშვილისადმი მიცემული. დეჟანი თავში დახიანე ბუ-ლი. 22 $\frac{1}{2}$  × 13 სმ, დაჭერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელთ. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. Hd. № 2966

ქ. ნებითა ღთისათა ესე ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ, ამილბარაშვილებმა ამილბარმა, ქიტუამა, ესტატემა, შვილძან ჩემა ტატამ და მომავალთა სახლისა ჩვენისაან შენ ხახანაშვილს ესტატეს, ქიტისას, მწყერას და ბატატასა, მომავალთა სახლისა თქვენისათა; — ასე რომე დაგვეჭირა და მოგყიდე გორას უკან ორის დღის მიწა, ზევით თავში ჩვენის მიწის მიდგამდინ, საქვენაქროთ ერთაწმინდის გზამდინ, ქვევით ბოლოს გორამდინ. ავიღევით ფასი სრული და უკლებელი. არა კაცი არ გედავებოდეს გქონდეს და გიბედნიეროს ღთნ. არიან ამისი მოწამენი ობიაშვილი ოთარა, ბასილიშვილი ნიშა, კორკოტაშვილი გიორგი, ელსაბედაშვილი ელისე, გედავ[ანი]შვილი ივანე, ხუციშვილი იასე, მე გედავ[ანი]შვილს ფადისას დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა გასულს მარტს<sup>2</sup>, ქქს ტა.


№ 6. 1622 წ. მამულის წყალობის წიგნი, მიცემული ალათანგი ხერხეულიძის მიერ ბერჯა ქებაშვილისადმი. დედანი. 41 × 14 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი — საქ. მუხ. ფ. Hd. № 2895

ქ. სახელითა არსება დაუსაბამო ღ[ვ]თისათა მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა, მეოხებითა ყ[ოვლა]დ წმინდის ღ[ვ]თისმშობლის მარადის ქალწულისა

<sup>1</sup> ხვეულად.

<sup>2</sup> ეს სიტყვა ზემოდან ჩამატებულია.

შარიამისათა თავსმდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა ესე უთუო და უთუმცაო ჟამთა გასათავებელი წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ, კერკეულიძემ ბატონმა ალათანგი და ჩემა ძმამ ბატონმა ბეჟან და ჩემა შვილმა პატამა და ნასყუდამა და შვილთა და მომავალთა სახლის ჩვენის ყოველთავე შენ, ქებას-შვილს ბერუას და შენს ძმისწულსა მედიას და ხიზანას და შვილთა და მომავალთა სახლის თქვენისათა ყოველთავე; — ასრე და ამა პირს ზედა, რომე ღოუბნიდამა იმერლები გამამეპარა და ბერუავ, შენ დაგეჭირა და იმისად ჯილდოდ მოგეცით საღრულჩიგა შარას ქვეშეთა აღმა ჩაღმა წარტყმით გამრეკლის შვილის მიწამდინ ოთხის დღის მიწა ღელეს იქითა გარდი-გარდმო მიწა და ღელესა აქათ შარის პირი. მოგუართუით ფეშქაშათ ამა მიწე-ბისათუინ ერთი კარგი ძროხა და ერთი კრავიანი ცხუარი და კავთელა შუა იყო და ორი ცხუარი კავთელას არის. ამის მოწამე და შუდამხდომი კაცთაგან საღორელი კავთელა და კიკული მამასახლისი ინახა და ვარამას-შვილი ლომიტა და დათუა და კარაპეტასა-შვილი შერგილა და ერთობილნი საღორელნი და კიკულნი. მე ყარდანას-შვილს ბატას დამიწერია და მოწამეცა ვარ. ქქს ტი.



+++

№ 7. 1629 წ. წყალობის წიგნი ზაქარია კათალიკოზის მიერ შიო ფაქისადმი მიცემული. დედანი. ოდნავ დაზიანებული. 33 × 16 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით, განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმა-რია ორ-ორი წერტილი. საქ. მუზ. Hd № 2391

ქ. ჩუენ, ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოსა მაკურთხეველმან დიდჩან მამათ მთავარმან ქართლისა ქათალიკოზმან<sup>2</sup> ბატონმან ზაქარია ესე უკუნისამდე ჟამთა. გასათავებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, საყდრისა და ჩუენსა ერთგულსა და თავდადებით ნამსახურსა ყმასა ეგაძესა მღდელსა შიოს და ძმასა შენსა ასიტასა და ზაზასა და შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე; — ასრე და ამა პირსა ზედა, მოგუიდეჯით კარსა და მამულის წყალობას გუიჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და გიბოძეთ ბელტის ციხეს ოცის დღის მიწა საჯნავე იქით ზუმბულიძის მახარებლის მიწის სამძღურამდი აღმოსავლეთისაკენ ბელტის ციხის რუამდ[ი] და დასავლეთისაკენ საფურცლულს რუამდი. ესე ასრე გაგითავდეს და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შემდგომად სხვათა კათალიკოზთაგან. გქონდეს და გიბედნიეროს ღ[მერ]თმან საყდრისა და ჩუენსა ერთგულად სამსახურსა ქუეშე. ვინცა და რამანცა კაცმან ესე ჩუენგან ნაბოძები მამული და სიგელი მოგიშალოს, რისხავსმცა ღ[მერ]თი და ყოველნი მისნი წმიდანი და საყდრისა და ჩუენსამცა კან[ონ]სა ქუეშე არის. ხო-

<sup>1</sup> არ ირჩევა. სათაური სხვა ხელით. ქუბასშვილის წიგნი; ქუბას შვილისათვის ხერხეულიძეს ალათანგის მიწა მიუცა. ოთხი დღის მიწა მიუცია საღორისნი.

<sup>2</sup> ეს ორი სიტყვა ჩამატებულია ზემოდან.

ლო დამამტკიცებელნი ამისნი ლ[ქერ]თმან აკურთხნეს. დაიწერა კარისა ჩვენისა მწიგნობრისა მთავარ-ღიაკონისა კოზმანისითა ქქს ტიზ კათალიკოზი<sup>1</sup>. †

№ 8. 1651 წ. ყმა-მამულის ნუსხა. დედანი. 34 × 22 სმ, დაწერილია მოლურჯო ქალღღებ მხედრული ხელით. მარცხენა კიდე დაზიანებული აქვს. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუზ. Hd № 9669.

ქ. ეჯუბაშვილი ნასყიდასი და სეხნიასი სახლკარი და ვენახი ხუთის დღისა; რუს პირზედა გარდიგარდმო ოთხი დღისა; სამნების მიწა ოთხი დღის გარდიგარდმო, გარდიგარდმოზედ ბოლო მოუძევს ხუთის დღისა, გძელაში ხუთის დღისა. იქნა ოცდა შვიდის დღისა.

ქ. სოლთანაშვილი ზაქარა, დოხოზია, ნაღება; სამ[ა]თ არიან ერთ საკომლოზედ. მათი სახლკარი და ვენახი იქნების ოთხის დღისა; ბიბლიანთუბანს, რუს პირს, ბერდიას წისქვილებთან ოთხის დღისა; გარდიგარდმო რეხის გზაზედ რუს პირს ორის დღისა; რუს პირზედა გორის გზა რომ ჩაივლის შვიდის დღისა; საყდართან ხუთის დღისა; დიდისა რუს პირს ექვსის დღისა; ოთხის დღისა ბოსტანების რუზედა; გარდიგარდმო შალგვეთზედა რვა დღისა; ძეძნარიანი ექვსის დღისა; სამი დღისა მოკლე მიწაში; ჩვენს რუზედან ცხრა დღისა; ორის დღისა ისიც ჩვენს რუზედა; იქვე სოფელში ნაფუზარი ოთხის დღისა; სახატო ვენახი ორის დღისა. იქნა სამოცდა ჩვიდმეტის დღისა.

ქ. თანდილა შეღვაშვილი, თევდორე, ბერუა, ესენისამ[ა]თ არიან ერთ საკომლოზედა. ამათი ვენახი და სახლკარი იქნება ცხრა დღისა, ჩალაში ოთხის დღისა; ფშანის პირს რვა დღისა, გარეჯვრის გზაზე ექვსის დღისა, შალგვეთის მიწა ხუთის დღისა, კიდევ შალგვეთის მიწა რვა დღისა, გარდიგარდმო ექვსის დღისა გრძელა; თანდილას ნასყიდი მიწა აქვს თრამეტი დღისა, თევდორესა აქვს ნასყიდი მიწა ჩვიდმეტისა, ხუცის შვილს აქვს ნასყიდი ხუთის დღისა, კარალეთს ნასყიდი ვენახი ორის დღისა, წისქვილებთან სამის დღისა, იქნა ასის დღისა.

ქ. თევდორას სახლკარი და ნავენახობი სამი დღისა, ვენახის ბოლოს ერთის დღისა, ორისა დღისა გზასთან, გზა ჴეით რუს პირზედა სამის დღისა, კიდევ გზა ჴეით სამის დღისა, ქვაყრილთან ოთხის დღისა, შალგვეთზედა ორის დღისა, მოკლე მიწებში სამის დღისა, ძულიაშვილისა მიწის გვერდზედ სამის დღისა. იქნა ოცდა ოთხის დღისა.

ქქს ტლო.

№ 9. 1654 წ. იანერის 2-ს. სვეტიცხოვლის მხუჭბის გამოფიცულობის წიგნი. პირი, გადაწერილი XIX საუკუნის დასაწყისს თეთრ ქალღღებ მხედრული ხელით (გადაწერილია 1792 წელს გადაწერილ პირიდან). განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუზ. Hd. № 8389.

მცხეთის გუჯრის პირი.

სამართალი გვიყვეს და ფიცი ჩვენ დაგვადვეს და ეს ქავჭავაძენიც დასჯერდენ. წავდევით და დავიფიცეთ ჩვენ, ბატონმა კათალიკოსმა ქრისტეფო-

<sup>1</sup>ხვეულად.

რემ, საგარეჯოს მოურავებან ჯანდიერის-შვილმან გივმან და მისმან ძმამან როსებ, ოხნაყორჩიშვილმან დავით. ფალავანდის-შვილმან მლუღელ-მონაზონმან ნიკოლაოზ, ფაველენის-შვილმან ქაიხოსრომ, ომფორის მოლარემ გაბრიელის შვილმან თანიაშ, კანდელაკმა შიომ, თაზიშვილმა პაატამ, ქარსიძემ ამილლაბარ დო სრულიად მცხეთელთა და წინ საგარეჯოელთა ერთ პირობითა, უკან საგარეჯოელთა ნაცვალმა მანველაშვილმან თამაზამ, ბუტულაშვილმან ლაზარემ; ზუკაკის-შვილმან მაზიტაქამ, დრეიძემ იასემ და საჩინომ. ჯიმითელნიც და ახაშნელნიც თან გვახლდენ, დაიფიცეს. მოვედით შაშინთ თავსა მთავარ ანგელოსთან და დავიფიცეთ. მივედით მარმაროვანთ. სამზღურამდინ და მივედით მოდამნახის ციხეზედა, დავიფიცეთ. კითონ მოდამნახის ციხე სამზღურარია და მივედით, წავდექით გოგას-წყაროს სამზღურამდინ და იქით დევთ ნასახლარზედ და დევთ ნასახლარიდამე ომანიაშვილის სასაკლაომდინ, ეს სამზღურები გომთ წყალზედ მივიდა და სადაც გომთ წყალი ქერემის წყალს შეერთვის, იქამდისინ მთა და ბოლო სრულ გამოგვიფიცავს. ვანთა, ბუშატი სვეტის ცხოველის სახასო სოფელია, ასე გამოგვიფიცავს, არც ვანთასა და არც ბუშატს, არც მთასა, არც ბოლოსა და არც სოფელში მიწასა და წყალზედ სამამულედ არც ჯანდიერის-შვილსა აქვს ხელი, არც ვაჩნადესა და არას კაცს. მამული სახასო კათოლიკოზისა არის, სამოურაო ჯანდიერის-შვილისაა. იქით კისისხეველნი ხოც დაშნელთ ცოტას ალაგს მთაზედ ცილობდენ. კისისხეველნი მოვიდნენ, მთაწმინდის მამა ბატონი გერმანე, მოლარე ბახუტა, მისი შვილი გაბრიელ და კისისხეველნი ვალაპარაკეთ და ერისთავმან ზაალ, ყორჩიბაშმან ბ[ა]რამ და სუფრაჯმან ბიძინამ კისისხეველნი გაამტყუნენს. ისიც ფიცით გამოვიტანეთ, და საგარეჯოს მთა საგარეჯოს დარჩა. სალაპარაკო აღარა დარჩა რა. ხოდაშნელთ წინანდლის ბოლო და სადგომის ალაგი და ბალთ კარი გამოვიფიცეთ, ფიცით დაგვრჩა. ყველა ასრე სამართლით და ფიცით გარიგდა და გარდასწყდა ხელმწიფის მეფის როსტომის ბრძანებითა. ერისთვის ზაალის ბრძანებითა და გარეგებითა. ყორჩიბაში ბარამ არის ამისი მოწამე, სუფრაჯი ბიძინა და სრულ კახნი რუსის შვილი ქერემელი ბატონი ეპიფანე მოწამეცა ვარ, დამხვედრიცა. დაიწერა ესე წიგნი თვესა იანვრის ორსა, ქ[რ]კს ტმბ. ხელითა ქერემლისა ეპიფანესითა.

მეფის ძე ვახტანგ ემოწმება. სწორედ ძველის განაჩენიდამ გარდავაწერი-  
ნო. მაისის დ, ქ[რ]კს უპ.

ა. ბ.

№ 10.1672 წ. მაისის 1-ს. მამულისა და სასახლის ნასყიდობის წიგნი, მიცემული სვიმონ სულხანაშვილის მიერ ზურაბ ჯავახიშვილისადმი. დედანი. 41 × 20 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. მუხ. ფ. Hd. № 2629.

ქ. სახელითა . . . . ესე . . . ნასყიდობისა წიგნი მოგართვით ჩვენ, სულხანაშვილმან სვიმონ, ბასილამ, ძმამან ჩვენმან მაზიტამან, შვილმან ჩვენმან ქრისტესიამ, ხოსიტამა, სულხანამან, აბრამამან, რამაზამან, და მომავალთა სახლისა

ჩვენისათა ყოველთავე თქვენ, ჩვენსა ნაბატონარსა ჯავახისშვილსა ზურაბს, ჯავახს, მანგლელს გაბრიელს და შერმაზანს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე;—ასე რომე მოგყიდეთ წოდორეთს ჩვენ ორთ ძმით კერძი სასახლე, მარანი, საბზელი, კალო, საბოსტნე, სასაფლაო, ხუდადაური სავენანვე აქეთ ნასყიდას სამძღვრამდის, იქით ჟამორასშვილის სამძღვრამდის, საქორია მგელიასეული ორის დღის მიწა, მისის სასართა, საკირის მიწა ერთის დღისა მისის სასართა, ბერისა ორის დღის მიწა მისის სასართა, სოფლის თავს ერთის დღის ნაფუძარი, საყდართან ორის დღის მიწა, ზედქრავს სამის დღის მისის სასართა, მისავე ახლოვე სამის დღის ახო მისის სასართა, გარეშემოთა, მთითა, ბარითა და სათიბითა, ლისურში კოდაზე მიქელაშვილისეული ორის დღის მიწა. არიან ამისი მოწამენი და დამხდომნი იქივე წოდორელნი მარკოზას-შვილი სეხნია, მგელიტაშვილი მღრთისია, მირიანაშვილი გოგია, მეტეხელი მკედელი ლაზარე, ბეჟანის-შვილი ოთია, გლურჯიძის-შვილი ბერუკა. აწე ვინცა კაცმან ან დიდმან ანუ მცირემან თქვენ ეს ნასყიდობა, მოგიშალოს, ისიმც შეიშლების . . . მხოლო გამთავებელნი ღმერთმან აკურთხენეს, დაიწერა სიგელი ესე მისი ერთსა, ქქს ტნა.+++++

№ 11. 1676 წ. სექტემბრის 5-ს. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული დურმიშხან ფალანხოსროშვილის მიერ პაპუნა გოსტაშაბის-შვილისადმი. პირი, გადაწერილი XIX საუკ. ლურჯ ქალაღდზე ნხედრული ხელით—საქ. მუხ. ფ. Hd № 7596

ქ. ნებითა და შეწევნითა მღვთისათა ესე უკუნისამდე ხანთა და ჟამთა გასათავებელი ნასყიდობის წერილი მოგართვი მე, ფალანხოსროს-შვილმან დურმიშხან თქვენ, გოსტაშაბის-შვილს პაპუნასა და შვილსა თქვენსა გოსტაშაბს, თამაზს, ყაფარ-ბეგს და ნიკოლოზს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა;—მოგყიდე ტუხიაშვილი პაპუნა და სიყმია მისის მამულითა ყოვლის მისის უნაკლოდ მამულ[ი]თა ტბის[ს], ჩემი ხოდაბუნი ფორქალისში და ანდრიას ჩემი კერძი ნახევარი საფიჩხულე და თქვენ მომეცით ამი და სანაცლოდ მოძღურის-შვილის წისქვილთან თქვენი სახასო წისქვილი, ბალი და ვენახი და წყლის ნახევარი მე დურმიშხანს და ნახევარი წყალი მოძღურიშვილსა. ასე უნდა რაც ახლა წყალი მოდის ძვირობაშიაც და როსცა ან ბევრი ან ცოტა წყალი მოდიოდეს, დურმიშხან და მოძღურის-შვილმა შუა უნდა გაიყონ წყალი და ამას გარდა რომ პაპუნა წისქვილს აბრუნებს, წყალი სხვა უნდა მოიტანოს, რომე დურმიშხანის წისქვილი არ უნდა დასცდეს და, ვინ იცის, რომე წყალი დაძვირდეს და ერთის მეტს არ ეყოს, დურმიშხან და მოძღურის-შვილმა რიგით იდინონ წყალი და დურმიშხანს წისქვილი მისის მეწისქვილითა მამუკათი მისის ცოლშვილითა. დაიწერა ქქს ტნიდ, ენკენისთვის ე. არის ამისი მოწამე და შუამდგევი ჯავახიშვილი ბახუტა და დურმიშხანის ყმა ბედიაშვილი აღუა, უდრეკანაშვილი ბერიკა, ტბელაშვილი ოსიყმა, დათუნა გოგჯანაშვილი, გერგიძე ლობირა ( ), უნდა დურმიშხან გარდასაგდებთან პაპუნას საწისქვილო მის-

<sup>1</sup> სათაური: ქ. ჯავახიშვილი შერმაზან შემოგვეცილა წოდორეთს, ერთის ძმის სულხანა-შვილის კერძი ჩემი ნაყიდი იყო და თეთრი მივეცითა და ეს წიგნი დავისენიო.

ცეს, მაგრამ წყალი სხვა უნდა მოიყვანოს, რომე ღურმიშხანის წისქვილი არ დასცდეს, როსაც წისქვილი აბრუნოს, ღურმიშხან უნდა ირჩიოს რომელიც უნდა ის დაიჭიროს. ( )

№ 12. 1669 წ. ყმის ნასყიდობის წიგნი ციცი ციციშვილის მიერ რამაზ ვაჩნაძისადმი მიკემული. დედანი. 18 X 15 სმ, დაწერილი თეარ ქალაქდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ იხმაოება სამ-სამი წერტილი. საქ. მუზ. Hd № 10349.

ქ. ნებითა და შეწევნითა მლთისათა ესე წიგნი მოგართვით ჩვენ ციცი-შვილმა ბატონმა ციციმ თქვენ, ვაჩნაძეს რამაზს და შვილსა თქვენსა ბებურს; — ასრე რომე ამას წინად ერთი ჩუენი მემკვიდრე ყმა აიყარა და თქვენთა მონკვიდა და ვითაც რომ კიდევ ჩვენს სახლში ყოფილიყავით, მოხვედით დაგვარცხვენით (?) და ის კაცი გვთხოვე და რალა გავვეწყობოდა ზალაშვილი ზაქუტა მისის ცოლითა და ოთხის მისის ვაჟით თქვენთვის მოგვიერთმეგია, რომე იმასთან არას კაცს ჯელი არა აქვს და ვინიცის იმისი ძმა იმასთან მოვიდეს, ისრევე ჩვენვე მოგვეციოთ, იმას კი ვერ მოგვეციოთ.

ქკს ტნზ

ციცი

სხვა მელნით განის აშიაზე სხვა ხელით: მოგვართვა ფასი ერთი ჯაჭვი და ორი ბათმანი აბრაშუმი

№ 13, XVII საუკ. მეორე ნახევარი. მამულის გაცვლილობის წიგნი პაპუნა გოსტაშაბის-შვილის მიერ ღურმიშხან ფალან ხოსროს-შვილისადმი მიკეპული. პირი XIX საუკუნის დასაწყისისა. გადაწერილი მოლურჯო ქალაქდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. თარიღი არ უხის. საბუთის შიშვეში პაპუნა გოსტაშაბიშვილი (შვილებით გოსტაშაბ, ნიკოლოზ და თამაზით) გვხვდება XVII საუკუნის მეორე ნახევრის მთელ რიგ საბუთებში: 1653 წ. (დოკ. საქ. სოც. ისტორიიდან. გვ. 36); 1688—96 წლებს ახლო (იქვე, გვ. 80) და სხვ. (იხ. საქ. სიძვ. ტ. I №№ 342, 343, 120, 356 და სხვ.). ამოიგად საბუთი XVII საუკუნის მეორე ნახევარს ეკუთვნის. საქ. მუზ. Hd № 8439.

ქ. ნებითა და შეწევნითა ლ[ვ]თისათა, ცხოველს მყოფელისა ჯვარისათა, შუამდგომელობითა წმინდისა ლ[ვ]თისმშობელისათა, ძლიერებითა სამებისათა, ესე წიგნი მოგვეცე შე, გოსტაშაბის-შვილმა თქვენმა სიმამრმა პაპუნამა, შვილმან ჩემმან გოსტაშაბ, ნიკოლოზ, თამაზ და ყაფარბეგ და ამილდაბარ თქვენ, ფალან ხოსროს-შვილსა ჩემს სიძეს ღურმიშხანსა; — ასე რომე მოძღვრის-შვილის წისქვილთანა ჩემი ნასყიდი ბალი და წისქვილი ზემო ნასაკირლამდინ რუსთავეთი, ბალი საწყლის პიროთა, წისქვილი და ბალი მისის მწისქვილითა მამუკათი, მისის ცოლშვილითა, გაგაცვალე. გქონდეს, მოცილე კაცი არა გყვანდეს. ამ ღურმიშხანის წისქვილმა და მოძღვრის-შვილის წისქვილმა წყალი სწორედ გაიყონ და რუ სწორეთ იმუშაონ, მაგრამ ღურმიშხანის წისქვილმა მოუკლებლათ უნდა იბრუნოს. არც მე და არც ჩემ[მა] სახლის კაცმა და მამავალთა სახლისა ჩემი-

სათა უჯეროთა და არცა უმინდოთა ამლიველთა ვერ დაფქონ დურმიშხანის წისქვილზედ. ამისდა სანაცლოთა მამიცია მე, დურმიშხან ტბის პაპუნა და სიყმია ტუხიაშვილი მისის მამულითა, სახლკართა, ვენახითა, ახალშენითა და რისაც მიწისა წყლის და მამულის მქონებელია სართად; ზედ კიდევ გერგოძის ხოდაბუნი გრამელაში. ანდრიას საფიჩხულე ერთს წელიწადს თაყამან და ფალან ხოსროს-შვილმა უნდა ჩადგას, ერთს წელიწადს პაპუნამ. უწინ კიდევ გ[ა]კვეალეთ, ბახუტა ჯაფახის-შვილმა შეგვარიგა და კიდევ რომ პაპუნასაოვინ საწისქვილო ეწერა, აღარ მოხდა და იმაზედ შევიშალენით. ვინც შეშლა მოინდომოს, შესამშლელი გაიღოს. არის ამისი მოწამე ხოსიტა და ბეჟან ბერძნის-შვილი, მე როსებს ზაალის-შვილს და[მ]იწერია და მოწამეცა ვარ ამისი.

ბეჭედი  
„პაპუნა“

ბეჭედი

ქ. სახელითა არსება დაუსაბამოსა დაუსრულებელისა მეოხებითა მამისა და ძისა სულისა წმინდისა ესე წიგნი მოგართვით ჩვენ, თქვენმა მამისა წულეზმა<sup>1</sup> ბარათამ, იოთამ, ზურაბამ თქვენ, ბატონსა ჩვენსა რძალსა მარიამსა; — ასრე რომე მამა თქვენსა პაპუნასა კურთხეულისა ბიძისა ჩემისათე[ი]ნ წისქვილი და ბალიგაეცვალა. წისქვილი თქვენი და ზვარი ჩვენთვინ მოეცა და ბიძა ჩემსა ერთი საკომლო მამული ტბისა და ერთი ხოდაბუნი და ანდრიასა საფიჩხულისა ნახევარი მიეცა პაპუნასათვინ. ახლს თქვენ მ[ა]მეულისათვის ნასყიდი ზვარი გქონდათ, ის ზვარი და იმ წლის მამულის გამოსაღები და მოსავალი თქვენ მოგცათ ბატონმა, თქვენი. წისქვილი და ბალი მოგართვათ და ზვარი, იმ წლის მოსავალი ჩვენ გვიბოძეთ. როგორცა ის ზვარი იყო თქვენი ნასყიდი, ახლს ისე ეს წისქვილი არის თქვენი ნასყიდი. თავად ღ[მ]ერ[თ]ი მოწამე, მერმე მისი წმინდანი. აღუა ბედინიშვილი, ჭაბუკა თამაზასა-შვილი, მე თევდორე ვაკელასა მღრღელსა დამიწერია მოწამეცა ვარ ამისი. + + +

ბეჭედი  
ქართული

ბეჭედი  
ქართული

ბეჭედი  
ქართული

№ 14. 1670 წ. თებერვლის 15-ს. ნასყადობის წიგნი გიორგი თურაზას-შვილის მიერ პაპუნა გოსტაშაბის-შვილისადმი მიცემული. პირი, გადაწერილი XIX საუკუნის პირველ ნახევარში ლურჯ ქაღალდზე. საქ. მუხ. Hd № 10025.

... ესე ნასყადობის წიგნი დაგიწერე და მოგეც ჩვენ თურაზას-შვილსა გიორგიმ და შვილმა ჩვენმან ვახტანგ თქვენ, გოსტაშაბის-შვილს პაპუნასა და შვილთა თქვენთა გოსტაშაბს და ყათარბეგს და ნიკოლოზს და ძმათა თქვენთა თამაზსა და მომავალთა სახლისა თქვენისასა ყოველთავე; — ასრე რომე მოგყიდე ტბის ჩემი სამკვიდრო ჯოის-შვილი ამზია და მისი ცოლი, მისი შვილი დათუნა მისის წილის მამულითა და თხვინთბას ჩემის წილის მამულითა ჩემის ძმისწულის გარეთ და გქონდეს და გიბედნიეროს ღ[მ]ერ[თ]ი[მ]ან მისის წილითა.

<sup>1</sup> სწერია: წულეზამ.

მითითა და ბარითა, წყლითა და წისქვილითა, სასახლითა, კარითა, ველითა, ვენახითა, სასარითა, სახნავითა, უხნავითა, საძებრითა, უძებრითა და ყოვლის მისის მამულითა და ავიღე ფასი სრული და უკლებელი . . . მოწამე ბარათას შვილი ერასტი, იორამ ანდერმანისშვილი, გიორგი ბეგასშვილი, სააკაძე სენსია, აბრამიძე ამირანა, მისი განაყოფი სუხია და მე დამიწერია თევდორესა, მოწამეცა ვარ მისი. დაიწერა სიგელი ესე ქკს ტნშ, თებერვლისა იე. +

№ 15. 1670 წ. აგვისტოს 2-ს. მამულის ნასყიდობის წიგნი ბოლნელი გვისკოპოზის იოსებ რევიშვილის მიერ დოღმაზა შანშიაშვილისადმი მიცემული. დედანი. 321 $\frac{1}{2}$  × 21 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. საქ. მეზ. Hd № 5242.

ქ. სახელითა სახიერისა არსება დაუსაბამოსა, დაუსრულებელისა, დაუბადებელისაგან განუზომელისა, ხოლო მიუწოდომელისა ღეთისა მამისა, ძისა, სული-სა წმინდისითა ყოვლად წმინდისა ყოვლად უხრწნელისა, ყოვლად უბიწოსა კურთხეულისა ჩუენისა მარადისა ქალწულ მარიამისათა, ზეცისა ძალთა და ანგელოზთა მიქაელ, გაბრიელ მთავარ ანგელოზისითა, მცხოვრემყოფელისა პატროსანისა ჯუარისათა, რომელმა ზედან განიპყარნა უხრწნელნი მკლავნი თვისნი, სისხლი დანთხია ხსნისა ჩუენისათუის, ოხითა და მეოხებითა წინასწარმეტყუელისათა, წინასა მორბედისა, მესუეტეთა, მეუდაბურეთა, შიშველ-მართალთა, განშორებულთა, ათთა თორმეტთა მღურდელთა, მამათა მამამთავართა, წამებულთა თანაზიართა პეტრე, პავლე, მათე, მარკოზ, ლუკა, იოანესითა, ამათის თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა ესე უთათა და უთუმცაო, დრო დაუდებელი მიზეზ, შემოუღებელი, ყოვლის ჩხუბის და ილეთისაგან გამოსრული და გამოკრებული ნასყიდობის წიგნი გიბოძეთ ჩუენ, ქრისტეს მიერ კურთხეულმან რევიშვილმა ბოლნელმა ეფესკოპოზმა იოსებ; მოგყიდეთ თქუენ, შანშიაშვილს დონმაზასა, ელიზბარასა და შვილთა თქუენთა ნასყიდასა, როსტომასა, ხოსროვასა, ოთარასა, მამავალსა სახლის თქუენისათა;—ასრე რომე ზემო-ბოლნის სავენახე მიწა მოინდომე, ჩუენ ჩუენის ნებაწადინით მაგიერი მიწა გამოგართუით და ალაჯანას-შვილს და მხითარას-შვილის მიწა (bis) მაგიერთ მოგეცით: ზეით თავს სამძლუარი შუა-ბოლნურის რუმდინ, ქუემო ბოლოს ქუემო-ბოლნურის რუმდინ, ქუეით გუერდით ასლუას-შვილის მიწის სამძლურამდინ, ზემო გუერდით საურმე ხიდი, მისის ჩატანებით ქუემო ბოლნისის რუმდინ ეს ალაჯანას და მხითარაშვილის მიწა რუს ქუეით მისის სამძლურით და მისის შესავლით და მისის გასავლით მოგუიციემია ყოვლის კაცისაგან უცილებლად. ქონდეს და გიბედნიეროს ლ[მერ]თ[მან]. არის ამის მოწამე და დამხდომი პირველად მაღალთა შუა ლ[მერ]თი და ყოელი მისი წმინდანი, კაცთაგან რევიშვილი გივი, მისი შვილი იოვანე და თუმანიშვილი მანუჩარ, ზედგინიძე შიოშ და ხოჯა როსტომა, ზვარაშვილი პაპუა, იაგულაშვილი მირიანა, ნასრიაშვილი ზალ და იაგულაშვილი იაგანა, ზემო-ბოლნისა შავერდაშვილი მოურავი დავითა, ბაპარაშვილი მამასახლისი ალავერდა, ეჯუ-ბაშვილი ხეჩიკა, ტერსტეფანაშვილი ტერ ალექსანა, სულ ერთობით ზემო-ბოლნელნი და შუა-ბოლნის მამასახლისი ფინეზა, სამეზისას-შვილი ბერუა, სამწევრის მამაგულაშვილი ბერუა, უსუფაშვილი დემურა და რამანც ძემან კაცმა ამი-

სად შლად და ქცევად ხელყოს, მასამც რისხავს მაღალთა შუა ღმერთი და ყოელი მისი წმინდანი ზეცისა და ქუეყანისანი, ხორციელნი და უხორცო-ნი. შემცადების] კეთრი გეზისა, შიშთული იუდისა, ძრწოლა კაენისა და ნუმც იხსნ ების სული მისი ჯოჯოხეთისაგან და ვინიცის ჟამთა ცულილობა იყოს, არასფერისთანა სათხოვარი და გამოსალები ვერავინ გთხოვოს, არა კულუხი არა სამოურავო, არა საგზირო, ყოელის სულდგმულის კაცისაგან უცილებლად ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთ[მა]ნ. მე, ჯანშაშვილს მოლარე ედიშერს და-მიწერია და მოწამეც ვართ. მარიამობის ბ. გასულს, ქკს ცნ[?].

ბოლნელი ეფისკოპოზი  
იოსებ

( როსტომ )<sup>1</sup>

№ 16. XVII საუკ. შუა წლ. პაპუა სახლ-თუხუცესის [მაღალაძის] განაჩენი იასე მურვანის-შილისა და გრძელაშვილების საწისქვილოზე დავის გამო. დედანი. 23 × 11 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. დაზიანებული. თარიღი არ უხის. XVII საუკუნის მოღვაწე პაპუა მაღალაძე 1681 წელს გარდაიცვალა. ამრიგად, საბუთი 1681 წლამდეა დაწერილი. საქ. მუხ. Hd № 155

ქ. იასემ მურვანის-შილმა და გრძელაშვილებმა საწისქვილოზედ ილა-პარაკეს. ნახევარი გრძელაშვილებს გამოეფიცა და იასეს მთლივ ეჭირა . . .<sup>1</sup> და რადგან გამოეფიცული იყო ამათი ნახევარი იასემ და . . .<sup>2</sup> ექვას და ნახევარი გრძელაშვილებმა და წისქვილი ორთავე ერთად აკეთონ და ერთად დააბრუნონ და სანახევროდ ფქვეან იასემ და გრძელაშვილებმა. ჩვენ, ბატონს სახლთუცეს პაპუსას ასე გაგვირიგებია, ნახევარი იასეს და, და ნახევარი გრძელაშვილებს საერთოთ. გიორგი მეფის წიგნი აქონდა გრძელაშვილებსა, ის ენახეთ და იმ წიგნით დაეანებ[ეთ] ნახევარი გრძელაშვილებს ერთობით.

( )

№ 17. 1576—1688 წ.; 1703—04 წ. ბრძანება, მიცემული ერასტი მდივანბეგის მიერ იასაულისადმი. დედანი. 12½ × 10 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. დაზიანებული. განკვეთილობის ნიშანი ნახვარი არ არის. თარიღი არ უხის. ლეგენდა: „მონა ღვთისა, ყმა გიორგისა, მდივანბეგი ერასტი“ უნდა გულისხმობდეს გიორგი XI-ს, საფიქრებელია, რომ საბუთიც მის მეფობის ხანას ეკუთვნის. საქ. მუხ. Qd—206.

ქ. მდივანბეგი ერასტი გიბრძანებ იასაულო, მერმე [თეიმურაზ რამაზი-შვილი]ს] ყმა ხატია და [არა]ქელა ლეთეთს ხოსიას არიან. წლეულ აჰყრია. თავის კაცსა არას ემართლებიან. თუ ქართული არა ჰქონდეს, აუყარე, მოეცი და თუ ქართული აქეს, აქ ჩამოვიდეს, პასუხი მისცეს.

მნა და ყმა  
გიორგისა  
დივანბეგი  
ერასტი

<sup>1</sup> სათაური: ბოლნელის იოსების წიგნია ვენახისათვის. ზემო ბოლნისის ვენახის წიგნია,

<sup>2</sup> დაზიანებულია.

№ 18. 1681 წ. ივლისის 20-ს. ყმის წყალობის წიგნი, მიცემული გიორგი XI-ის მიერ თუმანიშვილებისადმი. დედახი. 50×23 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახპარია ორ-ორი წერტილი. საქ. მუხ. ყ. Hd № 2602.

ქ. ნებითა და შეწევნითა ლ[ვ]ითისათა ჩუენ, ლ[ვ]ითივ გუირგუინოსანმან მეფეთ მეფემან კელწიფემან პატრონმან გიორგიმ, თანამეცხედრემან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან თამარ, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩუენმან პატრონმან ბაგრატ ესე წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერთგულსა და მრავალფერად ნამსახურსა ყმათა თუმანიშვილს მდივანს ზურაბს, მდივანს სულხანს, ყალანდარსა, ლიპარიტს, შვილთა თქვენთა გივს, დავითს, შიოშს და მანუჩარს;—ასე და აჰა პირსა ზედან, რომე სულხანიშვილები ქრისტესიას შვილი ბასილა, მახარობლის შვილა ყოყონა, მამუკაშვილი დათუნა, პაპუნა, სუიმონ მღრდელი, მისი ძმა ძამა მაზიტა, ბასილა, ხოსიტა და ბერიაშვილი გუგუნა, ესენი წოდორელნი ჯავახიანთ ყმანი ყოფილან, როიცა ამათი ბატონი ჯავახისშვილი ამოვარდნილა და უძეოთ გარდავლენილა, იქიდან ესენი როსტომ [მ]ეფეს აუყრია და ავლაბარში დაუსახლებია და სახასოდ დაუჭერია. ვითაც სულხანიანთ აქედამ წოდორეთს თავიანთი მამული ველარ ეჭამათ, დასჭირებოდათ და თავიანთი წოდორული სამკვიდრო და ნასყიდი, უსყიდი მამული სრულობით მთითა, ბარითა, ველითა, ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, სასახლითა, ქურ-მარნითა, კალო-საბძლითა და რისაც წოდორეთ მამულის მქონებელი ყოფილიყუნენ, სრულებით თქუენთვის მოეყიდათ და რითაც თავიანთ გული შესჯერებია, ფასი აულიათ და ნასყიდობის წიგნიც მოეცათ. მოხუედით ამავე მამულის წყალობის წიგნს დაგუთაჯენით, ჩვენც ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, რა რიგითაც იმათ მოგყიდა და ნასყიდობის წიგნი მოეცათ, იმავე სამძღვრით და წესით ჩუენც წყალობა გიყავით და ამავე სიგლით გიბოძეთ ყოვლის კაცის უცილებლათ. ქონდეს და გიბედნიეროს ლ[მერ]თ[მა]ნ და ააოადეს არ მოგეშალოს არცა ჩუენგან და არცა შემდგომთა მეფე დედოფალთაგან. აწე გიბრძანებთ კარისა ჩუენისა ვეჟილ-ვეზირ-ნო და სხუანო მოსაქმენო, თქუენცა ასრე გაუთავეთ და ნურაოდეს ნუ მოუშლით შეცილებით თვინიერ, თანადგომისა და შეწევნისაგან კიდე. დაიწერა სიგელი და ბძანება ესე ქკს ტნით, მკათათვის კ, კარისა ჩვენის მდივან მწიგნობრის მანდენაშვილის როსტევანითა.

გიორგი <sup>1</sup>.

თავში ახლავს სპარსული ტექსტი

№ 19. 1686 წ. წყალობის წიგნი კათალიკოზ ნიკოლოზ ამილახვარის მიერ რევახ მალაქისადმი მიცემული. დედანი. ოდნავ დაზიანებული. 57½×25½ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახპარია ორ-ორი წერტილი. საქ. მუხ. Hd № 7221.

ქ. სახელითა ლ[ვ]ითისა სამგვამოვნად ცნობილისა, ერთ არსებისა, ერთ უფლებისა და ერთ ლ[ვ]ითაებისა, მამისა ლ[ვ]ითისა, ძისა და ლ[ვ]ითისა სულისა

<sup>1</sup> ხვეულ-დ. სათაური: წოდორული წიგნი მამულას მამულისა მეფის გიორგის ნაბოძები.

წმიდისათა, ოხითა და შეწ[ე]ვნითა ყოვლად წმიდისა, ყოვლად უბრწუნელ, ყოვლად ბიწშეუხებელისა დედოფლისა ჩვენისა ღვ[ე]თისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისითა, ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა და პატიოსნისა ჯვარისა ძელისა ცხოვრებისათა, რომელსა ზედა განკვართულ იქმნა ხორცითა ქრისტე ღმერთი ჩვენი ძლევით შემუსვრად ბქეთა ჯოჯოხეთისათა, ოხითა და შუამდგომლობითა ურულოთა მცველ-მმართველთა ცხოვრებისა ჩვენისათა წამისყოფით აღმასრულებელთა ღვ[ე]თისა ბძანებათათა დიდთა მთავართა, ზეცისა უბორცოთათა და ცხრა არგეთა ყოველთავე ზეცისა ძალთათა თანამოქმედობა მდგომარეობითა ყოველთა დედათა ნაშეთა უზენაესისა მ[უ]ს[უ]ლით გამო დედისათ ქრისტეს თაყვანისცემით მეუფედ მცნობელისა, უდაბნოს ქადაგისა, ერთად სულისა მაჩვენებლისა, წინასწარმეტყველისა და ნათლისმცემელისა იოვანესითა და სეხნის მობაძავისა და თანა მეტომისა მისისა ძედ ქუხილისა წოდებულისა იოვანე ღვ[ე]თის მეთქვისა და ღვ[ე]თისა ძმისათა, თანამოქმედობა მდგომარეობითა წმიდათა მოციქულთა პეტრე და პავლესითა და რომელნი წმიდასა სვინაქსარსა შინა სახელ მოხსენებულ იქმნეს და ყოველთა ჩრდილოვეთისა კედარვისათა შორის უაღრეს უზენაესისა დედა ქალაქისა მცხეთისა და მას შინა სვეტისა ღვ[ე]თივ აღმართებულისა კვართისა სამეუფოსა და მირონისა ღმერთ მყოფელისათა, —ამით ყოველთავე წმიდათა თავსმდებობითა და შუამდგომლობითა ჩვენ, ქრისტეს ღვთისა მიერ ჩუკრთხეულმან ამილახორის იოთამის ძემან ქართლისა კათალიკოზ-პატრიარქმან პატრონმა ნიკოლოზ ესე უკუნისამდე გასათავებელი და რასა გინდავე ჟამთა ქცევათა და გამოცვლილებათა შინა მტკიცე და უქცეველი წიგნი და სიგელი მოგებოძეთ ბძანებითა ღვ[ე]თივ გვირგვინოსნისა მეფეთმეფისა გიორგისითა და სიმონითა და ნება დართვითა ყოველთა მცხეთისშვილთათა თქვენ, მალალაძე ქადაგთა სახლთხუცეს რევაზს, ძმასა თქვენსა წინამძღვარს ნიკოლოზს, კარსსა ჩვენისა მდივანს ადამს, ზურაბს, დემეტრეს, შვილთა მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე; —ასე რომე მოგვადეგით კარსა და წყალობას დაგვეაჯენით; ვისმინეთ აჯა და მოხსენებთ თქვენი, მოგებოძეთ სოფელი ციხებდავი მისის სახლითა, ეკლესი[ი]თა, ჭურ-მარნითა, მითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, საცნავითა, ვენაჯითა, მინდრითა, ტყითა, სანადიროთა, ქალითა, სათიბითა, საჯრმითა და უჯრმითა, საძებრითა და უძებრითა და მისითა მიმდგომითა სამართლიანთათა სრულად და უკლებად. კიდევ ციხიდის თქვენი ნასყიდი ვენაჯი წაგართვით რომლითამე საქმითა და აგრევე თქვენი ნასყიდი ვენაჯი თქვენვე გიბოძეთ მისის სამძღვრითა და სამართლიანის საქმითა. აწე დღეისიდგან წალმა გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთ[მა]ნ საყდრისა და ჩვენსა ერდგულად სამსახურსა, შინა თქვენ, ქადაგთა სახლთხუცეს რევაზს, წინამძღვარს ნიკოლოზს, მდივანს ადამს, ზურაბს და დემეტრეს ყოვლის კაცის უცილებელი, მოუდევარი, ულაპარაკო, უმიზეზო. აწე ვერავინ ვერ მოგესარჩლოს ვერა ადამის ტომი კაცი, როგორცა საყდრისაგან და ჩვენგან მტკიცედ და სამკვიდროდ ბოძებულის არის, არა შეგეცვალოს და არცა მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შემდგომად ჩვენსა მომავალთა მეფეთა და კათალიკოზთაგან და არა სხვათა მეპატონთაგან და თუ ვინმე ამისად შლად და ქცევად ხელყოს, შერისხდი შენ,

დაუსაბამოვო ღმერთო, მამაო ძეო და სულა წმიდაო და შენ, ყოვლად წმიდაო ღვთის მშობელო, მისგან იძიე შური ჯვარისმცემელთა ძისა შენისათა. შეპცაედების ძრწოლა ჯენისა, კეთრი გეზისი, შიშთვილი იუდასი, მეხ-დატეხილობა დიოსკურესი და სემემისი, დანთქმა დათან დაბირონისი და კეინოპისი. კრულმც არს ცათა შინა და ქვეყანასაზედა შვიდთა კრებათა და ხუთთა პატრიარქთა მადლითა და ყოველთა ეფისკოპოზთა და ჩვენ გლახაკისა ჯვარითა. ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთ[მა]ნ აკურთხნეს და წმიდამა დედაქალაქმა მცხეთის საყდარმა. დაიწერა წიგნი დასიგელი ესე ქკს ტოდ, ხელითა ფრიად ცოდვილისა იშხნელის ძმისწულის ნიკოლოზისითა.

კზ ნიკოლოზ<sup>1</sup>

კათალიკოზი  
ნიკოლოზ

( )<sup>2</sup>

ქ. ჩვენ, დავითიან პანკრატიონს ბ[ა]ტონს კათალიკოზ პატრიარქს დომენტის ასე გაუთავეთ და დაუმტკიცეთ.

კათალიკოზ მამათ  
მთავარი დომენტი  
ქს აქეთ ჩლე

№ 20. 1690 წ. მაისის 10-ს. ვენაზის ნასყიდობის წიგნი გიწიდა სხვ. მწერლის-შვილების მიერ დავით ქსნის ერისთავისადმი მიცემული. დედანი. თავში ოდნავ დაზიანებული, 45×17 სმ, განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შეპდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. საქ.

მუზ: Hd № 2708

... .ესე ნასყიდობის წიგნი მოგართვით ჩვენ, მწერლის-შვილებმა გიწიამა, ბერმა, დათუნამა და გელიტამა და შევილმა ჩვენმა პაპუნამა თქვენ, ქსნის ერისთავს ბატონს დავითს და შევილთა თქვენთა შალვასა და შანშესა, ბიძა-შვილსა თქვენსა ლარგველსა და დათუნასა; —ასე რომე მოგყიდეთ ძველთაგანვე თქვენგან ნაბოძები ვენაჯი ოძის მისის სამართლიანის საქმით. ავიღეთ ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შესჯერდებოდა. არიან ამის მოწამენი გიგაური გიგნია, ბართლომაშვილი დემეტრე, ვირშელაშვილი ლომიტა, ფარჩუკაშვილი შიუკა, სულად ოძელნი და გრემის-ვეველნი... დაიწერა სიგელი ესე მაისსა ათსა, კელითა ლარგვის წინამძღერის ევდემოზისათა. ქკსა ტოც.<sup>4</sup> + + + + +

<sup>1</sup> ხეუღლად.

<sup>2</sup> არ ირჩევა.

<sup>3</sup> სათაური: სიგელი ციხეზდავისა.

<sup>4</sup> სათაური: მწერლის-შვილების ნასყიდობისა.

№ 21. 1692 წ. დეკემბრის 5-ს. სითარხნის წიგნი, მიცემული მეფე გიორგის მიერ ფარემუზ ჯავახიშვილისადმი. დედანი. 35×20 სმ. დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახპარია ორ-ორი წერტილი—საქ. მუზ. ფ. Hd № 2639.

ჩვენ, მეფეთ მეფემან კელმწიფემან პატრონმან გიორგი და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან ხვარაშან...სითარხნის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთან ერთგულთა და წესისაებრ ნამსახურთა ყმათა ჯავახიშვილს ფარემუზს და შვილსა შენსაროინს;— მას ჟამსა ოდეს ქვარებსა და ქვარების ნასოფლარებში შენის კერძის სითარხნეს გვიაჯენით გითარხნეთ ასე, რომე რაც გლეხი მოიყვანო და დაასახლო ჩვენგან თარხანი იყოს, არაფერი ჩვენი სათხოვარი და გამოსაღები არ ეთხოვებოდეს, არა კოდის პური, არა საბალახე, არა პირისთავი, არა ნახირისთავი, არა სამეჯინიბო, თქვენი წილი ქვარები და ქვარების ნასოფლარებში, რაც წილი გედვასთ... თვინიერ ერთის საურისა და სამეკობრის მძებნელოსა და ლაშქარ-ნადირობის მეტი არაფერი ეთხოვებოდეს, სხვას ყველაში გვითარხნებია. გქონდეს და გიბედნიეროს ღ[მერ]თ[მან]...დაიწერა ხელითა კარისა ჩვენის მდივან მწიგნობრისა თუმანიშვილის გივისითა. ქრისტიანობის ხუთსა, ქკს ტპ.

#### გიორგი<sup>1</sup>

აშიაზე: ჩვენ, მეფეთ მეფემან კელმწიფემან პატრონმან იესემ სულქურთხელის პატრონის ბიძის ჩვენის ნაბოძები სითარხნე ჩვენც ასე დაგიმტკიცეთა და გიბოძეთ. მარტის კად, ქკს უგ.<sup>2</sup>

№ 22. 1705—1729 წ. არხა, პატრიარქ დომენტის მიერ ბეგლარბეგისადმი მიცემული, ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი. დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. 19×15 სმ, განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახპარია თითო წერტილი. თარიღი არ უხის. მასში მოხსენებულია დომენტი პატრიარქი, რომელიც ქართლის პატრიარქია 1705—1729 წლამდე—საქ მუზ. ფ. Hd № 2687.

ქ. ღ[მერ]თ[მან] ჩვენის მოწყალის ბედნიერის ბატონის ბეგლარბეგის ქირი მათს მლოცველს პატრიარქს დომენტის მოსცეს. მერმე ამას მოვახსენებთ: სკრელს ძულიაშვილს მამასახლის ტყვეები დაუყიდათ და თარხანი მილახორი ქაიხსრო და ჯავახიშვილი რომ ყოფილან, მაშინ დაეყიდათ. ახლა ერთის ოქმის წყალობა მიყავით, რომ ის ტყვეები ისევ მოვაყვანინო და დავახსნევიანო.

ზემო აშიაზე: ქ. ჩვენი ბძანება არის ხელჯოხიანო დავით, მერმე ბატონიკში სკრელს მამასახლისს ძულიაშვილს ტყვეების გაყიდვას უჩივის. ჩვენს სამართალში მოიყვანე, სამართალს უზამთ.<sup>3</sup>



<sup>1</sup> ხვეულად.

<sup>2</sup> გაურკვეველი ხელრთვა. სათაური: ქვარების სითალხნესა მეფის გიორგისაგან.

<sup>3</sup> არ ირჩევა.

№ 23. 1706 წ. ივლისის 28-ს. სამართალი ვახტანგ VI-ისა მარნეულელთა და პაპუნა გოსტაშაბიშვილის საქმეზე. დედანი. 37 x 20 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახშირია ორ-ორი წერტილი. საქ. მუხ. Hd № 2392

ქ. ამას წინათ, პირველითვე ზეცით საქართველოს მეფედ განკუთნილისა და აწ სასუფეველსა ცათა შინა სულ ბრწყინვლად მანათობელისა პაპის ჩვენის მეფის პატრონის შაჰნავაზის ქამში მარნეულელნი გოსტაშაბიშვილს პაპუნას ლოლოვნის ბოლოს მიწებს წამოსცილებოდენ. მეფეს ვახტანგ მდივანბეგი და გიორგი მდივანი გაეგზავნა, პაპუნას წმიდის სამების ხატი ჩამოესვენებინა, თავისი ნათესავნი თან მოჰყოლოდენ, დაეფიცნა, მაგრამე ზოგიერთი მიწები მდივანბეგს პაპუნასათვის გაეშვებინა. ახლა კიდემ მარნეულელნი იმ დაფიცებულს მიწებს წამოსცილებოდენ. ჩვენ, საქართველოს ჯანიშინმან ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ ამას გასასინჯავად მდივანი გივ უჩინეთ, გავეგზავნეთ და გაესინჯა: პაპუნას არას ემართლებოდენო. მაგრამე ულაპარაკობისათვის პაპუნასათვის ეკლესიიდან გარდმოსავალს გზასთან ერთი დარგი მიწები კიდემ გაეშვებინებინა და მარნეულელთათვის დაენებებინა, სამნები ჩაესხა და გაესამძღვრა. იმ სამნებს და გარიგებას იქით პაპუნას ხელი ნუ აქვს და აქეთ მარნეულელთა. ტყუილად მიწებს რომ წამოსცილებოდენ პაპუნას რუს წყალიც მარნეულელთ მოენდომათ, მაგრამ მოკითხული ვქენით, რუსთან და წყალთან მარნეულელთ ხელი არა აქვსთ და ნურც უხსენებენ. რაც საძოვრად ის მიწები არ დაენებებინათ, წყალთან საქმე არა აქვსთ რა. ქკს ტყდ, მკათათვის კმ.<sup>1</sup>

რტოდ ვარ დავითის მგელ ლომად ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

მონა დ[ვთის]ა, ყმა გიორგისა, დივანბეგი ერასტი.

Handwritten initials 'KJ 43' with a flourish.

№ 24. 1713 წ. გაყრილობის წიგნი, მიცემული კათალიკოზ დომენტის მიერ ამილბარ და სხვა მალაქაძეებისადმი. პირი, გადაწერილი 1799 წელს თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით და 1810 წელს ანტონ II კათალიკოზის მიერ დამტკიცებული. საქ. მუხ. Hd № 8257.

ქ. ჩუენ, ბატონის-შვილმან კათალიკოზმან დომენტიმ და სრულობით მცხეთელთა, მალაქაძე სალთხუცესი ამილბარ და სოლომონ და სარიდან და პაპუნა გაყვარეთ. პაპუნას ერგო და იმის ძმებს ციხე-დიდი არმაზით ზერტის ფარდათ და მდივნობის ფარდათ. მამათ მთავრობის ფარდათ და კნოლეტის ფარდათ ქადაგობა პაპუნას და იმის ძმებს ერგო. საქირნახულოდ კავთიხევეს კელატრის-შვილი მივეცით თამაზა, პაატა, გიორგი, ნიაბთ სალარიძე ბერა, ჯანუაშვილი ნასყიდა და იმისი ძმები, ჩორჩეთს დაუწებავი გელია და იმისი ძმები, კავთიხევეს მონასელიძე ელისბარ, ზერტს საღიაშვილი და ხეჩუაშვილი პაპუნა და გიუა, იქავ ზერტს ძამიაშვილი ბიძინა, ალაიანში მისისურაძე გიორგი, თათონა მასურა, იქავ ალაიანში გიშერა და სისვაური, იქავ კუტიმანაშვილთა ციხე-დიდს გიგუტაშვილის მამული, ხოდაბუნში სამი დღის მიწა.



1 სათაური; ლოლოვნის სარწყაყის სამართლის წიგნი. ლოლოვნის მიწის სიგელი.  
2 დოკუმენტები საქ-ლოს სოც. ისტ-დან.

ძირზე ორი დღის მიწა, ციხებდავს იოკიმეშვილი მღვდელი ზებედე თავისი ძმისწულებითა, მათიაშვილი ბერუკა და შიო გუზადაშვილი, ახოთს ნონიაშვილი ზეიდალა და იმისი ძმები, შალიაშვილი იასე და ოთარა, ახალშენს ბეგველის შვილი ზურაბა, კიდევ ბეგველის შვილი პაპუა, იმისი ძმები, დარბიაშვილი სახლითა, ზახუტაშვილი ბერია, ხუციაშვილი შემაზა, დათუა, იქავ გულუაშვილი ბერუა და ოქრუა კოლუაშვილი ბერუა, შიო, კურდღელაშვილი პაპუნა<sup>1</sup> და ოთარა, ახოში გელიაშვილი გიორგი. ესენი თავის სახლის კაცების წილის ფარდათ, ყმისა და სახელოს ფარდათ. ნიაბს ზუარი, საქვენაქროთ სალარაძის ვენახისაკენ, საჯინიბო საწნახლის ალაგად მივეციტ, სასახლე ქვემო კოშკის კუთხედმდე, იქით პაპუნაანთ სირონამდინ, ზეით შარამდინ, იქით ქოთახევის გზარომ მოვა და გაიყრება, იქიმდინ, აქათ გვერდით ქვეით ბალისაკენ ბალამდინ. ესენი ყველა ასე გაგვირიგებია. ხოდაბუნები თავთავის რაზით გაუყვიათ. თითო ოროლა ბიჭი რაცა ჰყავთ ნასყიდნი და თითონ ჯნდა მორიგდენ. ქკს უა. ეს ძველის წყრილის ქორონიკონი იყო და ახალი ესე ქკს უპზ. კათალიკოზ პატრიარხი დომენ[ი]ტი ( ) ამის ნამდვილი ასლი ვნახე და იქიდან გარდმოვწერე უმეტნაკლებოთ და შემოწმებით ანჩისხატის კანდელაკმა მღვდელმა გაბრიელმა. გაბრიელ.

ზემო აშიაზე სხვა ხელით:

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოდსა კათოლიკოს პატრიარქი ძე მეფისა ბრაკლის მგორისა ანტონი ვამტკიცებთ ძველის ასლის განაჩენის პირსა ამას. ნოემბრის თ დღესა, ჩყი-სა წელსა. ანტონი<sup>2</sup>.

№ 25. 1712—1745 წ. ნასყიდობის წიგნი, მიცემული სეხნია ჯორაშვილის მიერ ესიტა ნიქაშვილისადმი. დედანი. დაზიანებული. 25½ × 12½ სმ, დაცურული თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. ყოველი სიტყვის შემდეგ განკვეთილობის ნიშნად ნახმარია სამ-საძი წერტილი. თარიღი არ უზის. აბუთის მიმკეში სეხნია ჯორაშვილი მოხსენებულა 1712—1745 წ. საბუთებში. ფ Hd №№ 2514, 2686, 14264. ეს საბუთიც 1712—1745 წ. უნდა ეკუთვნოდეს—საქ. მუხ ფ. Hd № 2660

ესე წიგნი მოგეც მე, ჯორაშვილმა სეხნიამა, ძმამა ჩემა შანამა და პაპუნამა, შვილმა ჩემა ელიკამა და ზახამა, მამავალთა სახლისამა ყოველთავე ჩუენმა ასრე შენ, ნიქაშვილს ესიტასა და შვილსა შენსა დათუნასა, მამაკალსა სახლისა შენისასა ყოველთავე;—ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ჩემი ყმა დათუა ამეყარა და კახეთს გამოვიდა. ვემწიფემ წყალობა მიყო, მიბოძა. მერმე შენ მოეციღუ. რასაც ჩემი გული შეჯერდებოდა ფასი მომეც. აწ მომიყიდი დათუა და დათუკაი, კაცია, პაპუნა, გიორგი. გყვანდეს ყოვლის კაცის ჟოცილებლად და მოუდევარად. არის ამისი მოწამე ბიძაშენი გიორგი, ძალადაშვილი მამუკა, ჯანიაშვილი პაპია, ნუკრიძე ბერიკა, აბრამ მღვდელი.

<sup>1</sup> სწერია: პაპურა

<sup>2</sup> ხვეულად.

№ 26. 1714 წ. განაჩენის ნაწყვეტი ყმის დავის გამო. დედანი. 11 $\frac{1}{2}$ ×11 $\frac{1}{2}$  სმ. თავ-  
ნაკლუთი. დახიანებული. დაწერილი თეთრ ქაღალდზე. განკვეთილობის ნიშნად  
ნახმარია ორ-ორი წერტილი. საქ. მუზ. Hd № 9951.

...იტა და სეხნია გოგიას შვილის მამულზე არაბაშვილი სახლებულაო,  
ამით გერგო. ახლა ის გლეხი იესეს მიუვიდა, იესემ აშორო უთხრა—არც ამ გო-  
გიას შვილის მამულზე არაბაშვილი სახლებულიყოს და არც შენს ბარათში  
გამოგყოლოდესო. თუ წააყენოს იესემ თავისი ყმა ესიტაშვილი გიორგი, რო-  
გორც ზემო წერილში ეწეროს, და იფიცოს, დარჩეს იესეს. თუ ვერ იფიცოს და  
დათუნას დარჩეს. ასრე გაურიგეთ. ღმერთო... მეფესა მიეც და სიმართლე  
შენი ძესა მქფისასა. ქკს უბ, ინდიკტიონსა მეფ[ო]ბისა ჩვენისასა მეფედ...  
იესე ნორჩად და დამტკიცებ[ული].

№ 27. 1715 წ. დეკემბრის 20-ს. საფიცრის წიგნი გიორგი და სხვ. ამილახორი-  
შვილებისა ურთიერთშორის დადებული. პირი, გადაწერილი XX საუკუნეში.  
საქ. მუზ. Hd № 11395

ქ. ესე წიგნი და პირობა დაედევით ჩვენ, ერთობით სახლისკაცთა, გი-  
ვის ამილახორის შვილმა გიორგიმ და ძმამა ჩემმა ვახტანგ და ძმისწულთა  
ჩვენთა გივმა და იოთამ, რევაზის შვილმა ოთარმა, დემეტრემ, ერასტიმ და  
ბერმა, ბარძიმის შვილმან ბეჟან და შვილმან მისმან თეიმურაზ, ბარამ და ბერ-  
მა, ყორჩიბაშის პაატას შვილმან ბარძიმ, ფარემუზ და ედიშერ და მომავალ-  
თა ჩვენთა ყოველთავე;—ასე და ამა პირსა ზედა, რომ უწინაც ჩვენში პირობა  
იღვა და საფიცარი ერთმანერთის ნდომისა და ისევლა ძმობის და ისე უნდა  
იყოს და ახლა კიდევ ეს პირობა დაგვიდგია, რომ არას წაბდენით და გაკეთე-  
ბით ჩვენ ერთმანერთ არ გაუშვათ და ვერას ფერის მიზეზით ჩვენ ერთმანერთს  
არ მოვშორდეთ, არას დროს პოვნით და შემოგდებითა მტერზე მტერნი ვიყუ-  
ნეთ და მოყუარებზე მოყუარე, ყოველს ფერზე ერთმანერთის მორჩილნი და  
მიმყოლნი ვიყუნეთ, არც გაყრითა და არც შეყრითა ერთმანერთის მოშორებმა  
არ იქნას. თავად ხომ არც ქნილა და არც უნდა იქნას ჩვენის სახლისა და მა-  
მულის გაყოფა და თუ, ვინ იცის, მამულის გაყოფისათვის მოინდომოს ვინმემ  
ამ ჩვენში ერთმანერთის მოშორებმა და რომელმანც ამაში გაიწიოს, ან ცალ-  
კე ან სხვას სახლის კაცთან მისვლა, თავისის წილის მამულიდმე ორი გამოორ-  
ჩეული აზნაურშვილი და ოცდა ათი კომლი გლეხი საუპატიოდ და სისხლად  
დადვას და იმ სხვათ მისცეს და თუ მამულისა გაუყრელად მოინდომოს, რო-  
მელმან ისრე ან ცალკე გაწევა და ამ ჩვენიდამ წასვლა და სხვისა ხელის მო-  
კიდება, ოცდა ათი კომლი გლეხი თავისის საუფლისწულოდამ და ნასყიდიდამ  
დადვას და მისცეს სხვათა სახლის კაცთა და ამ ჩვენს სიცოცხლესა და ქამ-  
ში არც ჩვენი ერთმანერთის მოშორებმა მოხდეს. კიდევ რომ ერთმანერთზე  
დანაშაულიც რომ მოხდეს ერთი მეორის წყენით, ერთმანერთს, მაშინც არ  
მოვშორდეთ და თუ რამ ერთმანერთზე ვსტყუოთ რამე და დავაშაოთ, მოყუ-  
რითა, თუ ამხანაგით, ყმითა ისევ გავრიგდეთ და ერთმანერთს მაშინც არ მოვ-  
შორდეთ; თუ, ვინ იცის, სულადის გაყოფა მოვიინდომოთ, გაუყრელად ერთმა-

ნერთ შეეკითხნეთ და ერთმანერთის შეკითხულობით თუ ოთხნივ ძმის შვილები დაჯერებულნი ვიყვნეთ და ვამჯობინოთ, როგორც ვამჯობინოთ, ისე გავიყოთ, თუ არა და ამ ოთხის ძმის შვილებში რომ ერთსაც არ უნდოდეს, სულადის გაყოფა არც იქნება და ნურც იქნას და ერთი იყოს. რომელმანც ამაში ვიმტყუნოთ და ეს რაცა პირობა დაგვიდებია ამაში ვადრკეს და რაც გარდასაჯდევინებელი დაგვიწერია, ის არ გარდაჯნდევინოს, რომელსაც მოსამართლესთან და მსაჯულთან მივიდეთ და როგორც ამ წიგნში დაგვიწერია ისე არ გაურიგოს, მასმცა რისხავს თვით დაუსაბამო და დაუსრულებელი ღმერთი და ჩვენთა ცოდვათათვის იგიმცა განიკითხება დღესა მას დიდსა განკითხვისასა. ქკს უგ, ქრისტისშობის თვეს ოცსა.

ამილახორი  
გიორგი

ამილახორის  
შვილი თთარ

გიეი

მონა ლსა  
ვახტანგ

+ + +

№ 28. 1716—24 წ. განაჩენი ვახტანგ VI-ისა თუმანიშვილებსა და ქარუმიძეებს შორის ხვეთუბნისა და თორტიზის რუხე დავის გამო. დედახი. 67 $\frac{1}{2}$ ×22 $\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორ-ორი წერტილი. საქ. მუზ. სმ № 858.

ქ. თუმანიშვილებისა და ქარუმიძეებისა ხვეთუბნისა და თორტიზის რუსა და წყლის საქმეზედ სარჩელი და საჩივარი ორთავესი გავიგონეთ და მოკითხული ვქქენით. ამას წინათ, როდესაც სასუფეველს ცათა შინა სულ პრწყინვალეთ მანათობელთ ჩვენს გვართ მეფეთა და ხელმწიფეთაგან თუმანიშვილებს ხვეთუბანი ჰბოძებოდათ და წყალობა დამართებოდათ, მაშინვე იმისი წყალი რუ და სათავე მეჯურის-ხვეილამ მეჯულის წყილილამ ჰქონებოდათ, მაგრამეის წყალი არ ჰყოფნოდათ და კურთხეულს მეფეს როსტომს შეხვეწნოდენ და სხვას ალაგით სხვა რუ და სათავე და წყალიც ეაჯათ. მეფეს როსტომს შეეწყალა, თვითან მიბძანებულყო რუ და სათაო მოესაზრა, ქვეყნისთვის მუშა შეეწერა, დიდის ლიახვილამ და პატარას ლიახვილამ, ორითგანვე, სათავე აელო და წყალი წამოეყუანა და ერთ რუდ შეეყარა და მარანა გაეთარხნებინა, მერჯეთ დაეყენებინა და ეს რუ და წყალი ყოვლის კაცის უცილებლად თუმანიშვილებისთვის ხვეთუბნის სარწყავად ებოძებინა. ძვეერულთა, ტყიურელთა, კარალელთა, ორთავე გარეჯურელთა და თორტელთათვის თავეთი რუები ზოგი ზედ გარდაეტარებინა და ზოგი ქვეშ გაეძურენებინა. ასრე ყოვლის კაცის უცილებლად ჰქონდათ. მერმე ეს წყალი რუში მიძიმედ დენილიყო. თუმანიანთ ქსნის ერისთვისთვის ფეშქაში მიერთმიათ და პატ[ა]რას ლიახუზედ სხვას ალაგს სათავე აელოთ, რუ გამოეჭრათ და იმავ როსტომ მეფის რუში შემოერთოთ. ეს ასრე მზად წყალი და რუ მომავალი რომ ენახათ ამ სხვას რუების პატრონს სოფლებს, თავეთის სათავისა და რუსათვის არ მოველოთ და არ ეკეთებინათ და ყველანი ამ თუმანიანთ რუს დ[ა]სწოლოდნენ და ამ საქმეზედ თუმანიანთ შემოგუჩივლეს და ეს მოგვახსენეს—ყველამ თავის რუს უყურონო და ჩვენს წყალს დაგვეხსნანო. ჩვენ ერისთავს დავითს დავჰკითხეთ და სხვა გამსინჯავი მოსაქმენიც გავგზავნეთ და შევიტყვეით. თუმანიშვილებს თავად თორტელთაგან და

შერმე სხვას სოფლებსაგან წყალსა და რუხედ დიად ძალი სპირდათ. აწ ამისი ასრე გვიბძანებია: ძვეერას ზედგინიძეს ამ რუს წყლით რომ წისქული უბრუნავებია, ის ისრევ და[ა]ქციონ და მოშალონ. თუმანიან[თ] წყალთან ხელი არავის არა აქუსთ. კარალელთ თავისი წყალი ღარით ქვეშ გააძურინონ, აგრევე გარეჯურელთ თავისი წყალი ქვეშ გააძურინონ, ხავიწათუბნელთ ფონთხელა თავისი წყალი ქვეშ გააძურინონ, იმას აქეთ თორტელთ ქვეშიდამ რომ რუ ჩამოდის მდგნალიანის რუს რომ შემოერთვის, ის ღარით თუმანიშვილების რუხედ გარდა[ა]ტარონ. თავეთივე წყალი კიდევ თორტელთათვის თამარ დედოფალს რომ ქვეშური წყალი ბოგარის რუ რომ უბოძებია, იმისი წყალი თუმანიშვილების რუს ქვეშ გააძურინონ და თავეთი რუ გაიღონ და თუმანიანთ სამძღურამდინ თავეთი შინდორი მეჯუდს გაღმა-გამოღმა იმ წყლითა და თავეთის რუთი მორწყონ, თუმანიანთ წყალთან და რუსთან ხელი არა აქუსთ.

(რტოდ ვარ დაეთის მეგლ-ლომ-დ  
ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით)

verso იმავე ხელით: მეფის ნაბოძები რუს წყლისა განაჩენი ხელთუბნისა.

№ 29. 1717 წ. მამულის გაცვლილობის წიგნი ქაიხოსროს შიერ აღხაზასადმი მიცემული, დედანი. 31×14 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ იხმარება ორ-ორი წერტილი. საქ. მუზ. № Hd 6596

ქ. ესე წიგნი და პირი მოგეც მე, შენმა ბიძაშვილმა ქაიხოსრომ შენ, ჩემს ბიძაშვილს აღხაზასა;—ასრე რომე შენი ვარდოვანას მიწა მე გამიცვალე და მე მოგეც პირდაპირ ზომით ჩემი წილი გრძელა. რაც იმაში დამაკლდა სობისის გზაზე შემითავებია და ორი მხარი ნანეტნავიც მამიცია ამიტომ, რომ მე გივს მდივანს რომ შევეყარე საყდართან ორი დღის მიწა მამაშენსაც მივეც, თქვენ ჩემთან პასუხი არა გქონდათ რა და ჩემი მიწა მევე მამინდა და ჩემთვის დამიჭერია ამისთვის. ეს კიდევ კაის ძმობისათვის მიქნია, რომ ვერმიშაშვილის ელიზბარიანთაგან გამოცულილი სენაკის ალაგი რომ მაქუს წინ გზისაკენ, ერთის დღქნის ალაგი ჩემთვის დამიჭერია და სხვა შენთვის გამინახევრებია, რომ სწორეთ ავაშენოთ და სწორეთ დავესაფლაოთ. კიდევ ეს პირობაც დაგვიდებია: ჩვენი ძმობა ასეთი იყოს, რომ გაუყრელსავით ვიყუნეთ, თუ ყმამ ჩვენში სალაპარაკო ჩამოაგდოს, იმ ყმას ავით მივეპყრათ და კიდევ გარდავასდევინოთ; წყლის რიგი რომ გაჩნდებოდეს, თუ გვინდოდეს, რომელიც ჩვენი ნათესავი ჩვენ მოვინდომოთ ის მოვიყვანოთ, თუ არ მოვინდომოთ და ჩვენი წილი წყალი ერთად ვადინოთ და ყმისაც ერთად ვავარიგოთ. სხვა ჩვენში სალაპარაკო აღარა დარჩომილა რა კაის ძმობისა და ერთობის მეტი. არის ამისი მოწამე სულ თუმანიანი და სულ ჩვენი ყმანი. მე თვითან ქაიხოსროს დამიწერია და ყაბულიცა მაქუს. ქკს უფ. ++<sup>1</sup>

<sup>1</sup> სათაური: ვარდოვანას გაცვ[ლ]ილობის წიგნია.

№ 30. 1720 წ. აგვისტოს 30-ს. ლაშქრობის გარიგების წიგნი ვახტანგ VI-ის მიერ კათალიკოს დომენტიანს მიცემული. დედანი. თავი მოხეული აქვს და მარჯვენა კიდე დაზიანებული. 31 $\frac{1}{2}$  × 25 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახშირია ორ-ორი წერტილი. საქ. მუზ. Hd № 2407.

ქ. ნებითა და შეწვევითა მღვ[ვ]თისათა ჩვენ მღვ[ვ]თივ აღმ[ა]ტებულმან, [ღვთი]ვ<sup>1</sup> დამყარებულმან, მღვ[ვ]თივ ცხებით გვირგვინოსანმან იესიან—დავი[თი]ან სოლომონიან-პანკრატონიანმან მღვ[ვ]თის მიერ სრულიად საქართველოს მტკიცეთ პურობელ-მქონებელმან მეფეთ მეფემან და თვით ხელმწიფემან პატრონმან ვახტანგ და თანამეცხედრემა ჩვენმან [ჩერქე]ზის ბატონისა ასულმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან რუსუდან, მღვ[ვ]თივ აღმატებულმან, მღვ[ვ]თივ დამყარებულმან, მღვ[ვ]თივ ცხებ[ი]თ გვირგვინოსანმან პირმშობა და სასურველმან ძემან ჩვენმან პატრონმა ბაქარ და პატრონმან გიორგიმ ესე უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცედ და მიზეზ-შემოუღებელი<sup>2</sup> ლაშქრობის პირი და სიგელი დავსდევით და განვაწესეთ და მოგართვით თქვენ. ჩვენსა სასოსა და სიქადულსა სვეტსა ცხოველსა და კვართსა საუფლოსა მირონ ღმერთ მყოფელსა და მაზედა მჯდომარესა წმიდასა და ყოვლა<sup>3</sup>დ სანატრელსა ძმასა ჩვენსა კათალიკოზ-პატრი[არქ]სა ბატონს დომენტის;—ასრე და ამა პირსა ზედა. რომე ძველთ ხელმწიფეთაგანც წიგნი გქონდათ და გარიგებულიც ასრე ყოფილიყო და აწ კუალად ჩვენცა აგრევე გავარიგეთ და დავამტკიცეთ: რასაც ალაგს სვეტის ცხოვლის ყმა არის ზემო ქართლს თუ ქვემო ქართლს, გაღმა გინა გამომომა, მუხრანს, სომხითს თუ საბარათიანოს, გინა თრიალეთს, ქალაქს, გორს, ქრცილოვანს, მთას თუ ბარსა, რასაც ალაგს სვეტის ცხოვლის ყმა ესახლოს, არას სარდალს ხელი არ აქვს. თავისი დარბაისელ-აზნაურიშვილი<sup>4</sup> მსახურგლენი, დიდნი და მცირენი, ყოვლის აღ[ა]ვიდამ ბატონს კათალიკოზს უნდა შემოეყრებოდენ. ლაშქრობას თუ ნადირობას ჩვენს დროშაზედ უნდა იქნებოდენ. ესე ასრე დავამტკიცებთ და გავგირიგებთ. ნუმცა ვინ არს მკადრე შლად და ქცევად წიგნისა ამისა. დაიწერა ინდიკტონსა. მეფობის ჩვენისათა ქკს უ<sup>3</sup> აგუსტოსა ლ, ხელითა კარისა ჩვენის მღვიან-მწიგნობრის გიორგისათა. ვახტანგ<sup>5</sup>. რუსუდან.

( )

ქ. რა რიგათაც ვახტანგ მეფეთ მეფეს<sup>4</sup> პატრონს მამაჩვენს ძველით ხელმწიფეთ გარიგება ჯელახლა გარიგებულია და დაუმტკიცებია, ჩვენც აგრევე მეფეთ მეფემან პატრონმან ბაქარ მათი გარიგება და ბძანება ჩვენც მოუშლელათ დავამტკიცეთ და გაურიგეთ. თუ ვინ იცის, ბატონი კათალიკოზი ლაშქარ-ნადირობას ჩვენთან არ ბძანდებოდეს, იმის სარდალსა და მსახურ-აზნაურიშვილთა სამცხეთო ჯარი ჩვენს დროშაზე იქნებოდეს, სხვას ს[ა]რდალსა და მოსაქმენს ველი ნუ აქუს.

(მეფე  
ბაქარ)

ბაქარ<sup>5</sup>.

<sup>1</sup> დაზიანებულია.

<sup>2</sup> დედანი: შემოუღებელი.


<sup>3</sup> ხვეულად.

<sup>4</sup> დედანი: მეფეს ფეფეს.

<sup>5</sup> ხვეულად. სათაური სხვა ხელით: მეფის ვახტანგის ნაბოძებია.

№ 31. 1720—40-იანი წლები. ბრძანება შანშე ერისთავისა გიორგი სახლთუხუცესისადმი მიცემული. დედანი. 13×10 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნაშნად ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უხის. საბუთის მიმცემი შანშე ქსნის ერისთავი XVIII ს. 20—40 წ. პოლიტიკური მოღვაწეა, ს. ბუთიძე აბ ხანას ეკუთვნის. საქ. მუხ. Qd № 232

ქ. ერისთავის შანშეს დიდათ იმედათ მისაჩენელო სახლთუხუცესო გიორგი, მერმე თუმანიშვილს ბირთველის მოყვარეს ცხაოტლის ქალი უყიდა და მზითვად ბირთველისათვინ გამოუტანებია. ახლა ბირთველს ედავებიახ სადმე: რატომ შენ შენის მოყვრისთვინ მიგიციაო. ავაღ მოგბყარ, ამასთან რა ხელი აქვს, რადგან ნასყიდა, ვისაც უნდა მისცეს.



verso: ბიყარული გოვიასი.

№ 32. 1723 წ. მაისის 20-ს. მამულის ნასყიდობის წიგნი გიორგისშვილი პაპუას მიერ ჯულაბანთ ბაინდურაშვილი გიორგისადმი მიცემული. დედანი. ა—მეტი. 43×24 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით, განკვეთილობის ნაშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. საქ. მუხ. Hd № 5346.

ქ. სახელ[ი]თ ერთ არსებ[ა] ღვთისით, მამის, ძისით და სულის წმინდის, ყოლად წმინდის ღვთის მშობლის მარ[ა]დ ქანწულ მარიაამისით, თავდებობით და შუამდგომლობით წმინდის ზეცის ძალით და ანგელოზით, მთვარ ანგელოზით მიქიელ, გაბრიელ, რაელ და რაშთიელ და სხვათ მრევალ დასთ ანგელოზთ წმინდის, რანიც პატიოსანს საუფალოს დიდს სვენაქარს შიგან წმიდნი სწერიან და ანუ მოიხსენებიახ, ამ ყოელ წმინდთ თავდებობით და შუამდგომლობით ესე უთუო და უტყუარი დღე სიკვდილ[ა]მდი მოუშლელი, დრო-დაუღებელი და მიზენ-შემოუღებელი[ი], ყოელის ჩხუბის და ილეთისაგან გამოსული, ჟამ და ხან გასათავებელი წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, გიორგის შვილმ[ა] პაპუამა და შვილმ[ა] ჩემ[ა] გიორგიმა და შვილმა და ს[ა]ხლის მამავალმ[ა] ჩვენმა ყ[ო]ველთვე თქვენ, ჯულაბანთ ბაინდურას შვილს გიორგის და ძმას თქვენს თაყას და შვილთ თქვენთ ავთანდილს და მანუჩარს და ღვთის[ა]ვარს და რევაზას და გივს და სამას, შვილს და ს[ა]ხლის მამავალს თქვენთა ყოველთავე;—მას ჟამს როდეს[ა]ც დამეჭირდა, მოგყიდე ჩემი ალალი ნასყიდი ლამის მიწა ტინისხიდს ოთელანთაგან მოსყიდული, თავი გარდიგარდმო ხიზანას შვილის მიწის მიდგამამდი, ბოლო ტკვრ[ა]მდი, საზენაქარო გვერდი კიდევ ხიზან[ა]ს-შვილის, მიწის მიდგამამდი, საქვენაქარო გვერდი ბალჩიას-შვილის მიწის მიდგამამდი. დღიურათ ორის დღის მოგყიდე თვის წყალით და რუთა, თვის შესავალ-გამოს[ა]ვლის გზითა და ავიღევ თქვენგან ფასი სრული, რომლითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდ. აღარ დარჩარა ჩვენი თქვენს ხელთა, არაც ერთი იოტის ფასი. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმ[ა], როგორც მრავალს ალალს მონასყიდეს მართებდეს, ხელი გეწიფოდეს გასასყიდლ[ა]თ გინდოდეს, თუ გასამზითვად, რათაც ფერთა მოსახმარისათა გინდოდეს. მცილე არა გყვანდეს და ვერც [ა]რ[ა]ვინ

შემოგეცილოს, თვინიერ ერთი ღვთის მეტი და თუ ვინმე შემოგეცილოს, პირის და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ. ვინც და რამც გვარმა[ა] კაცმა[ა] ამისად შლად და ქაცევათ ხელი ყოს, მას[ა] მც რისხ[ა]ვეს თ[ა]ქვად ღმერთი, ყოელი მისი წმიდნი ზეცას[ა]ნი და ქვეყანისნი. შემცაედებ კეთრი გეზის, შიშთული იუღის, ძრწოლ[ა] კ[ა]ქენის, დანთქ[ა]ლ[ა]თან [და]აბირნის, ნურთამც სინანურით ნუ იხს[ე]ნებ[ა] სული მისი ჯოჯოხეთისგან. ამინ. დარტიკეებული აკურთხოს ღმერთმა[ა]. არიან ამისის დაძღური და მოწმენი თავად ღმერთი, კაცთაგან ტინისხიდელი თ[ა]ვაქალ[ა]ს შვილი ზურაბ<sup>1</sup> და იმის გან[ა]ყოფი დავითა, მამასახლისი გიორგის შვილი ამირან, ბაღჩის-შვილი ბაღჩა, ხიზანას-შვილი ოთარა, ნასყიდას შვილი ბერუა, მე, ზუბიას შვილს გაბრიელს დამიწერია, მოწმეც ვარ ამისი. დ[ა]იწერა ეს სიგელი მ[ა]ქისის კ გ ასულს, ქკოს ჟია.

ქ. დამეჭირა და მოგყიდე მე, ბარამანთ სამას შვილმა რევაზამა, შვილმა ჩემ[ა] საამამა და სტეფანმა თქვენ, იანარალ-მაიორი კაგალერს ოთარ აძილ[ა]-ხვარს, შვილსა თქვენსა რევაზსა და გიორგისა;—რაც ამ სიგელში მიწა სწერია თავისი მიდგმა-მოდგმითა და სამძღვრითა და წყლითა და გზითა მოგყიდე და ავიღევით ფასი სრული. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმა, ვერვინ შემოგეცილოს ამ ჩვენგან მოსყიდულს მიწ[ა]ს. თუ ვინმე შემოგეცილოს, პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ. არიან ამისი მოწამენი ვინც ამაზე ხელს მოაწერს და მე თითონ რევაზს დამიწერია და ყაბულიც ვარ ამისი. დ[ა]იწერა მარტის ა, ქკს ფა.

ქ. მე, ამირალანთ ოპანჯან[ა]ს შვილი ისაია ამისი მოწამე ვ[ა]რ რევაზის სიტყვითა.

ქ. ამ ნასყიდობის მოწამე ვარ ამ რევაზს თხოვნით გრიგოლ ბარამოვი.

ქ. ამ ნასყიდობის სიგლის მოწამე ვარ რევაზს თხოვნითა მე, სტეფან გულიშამბაროვი<sup>1</sup>.

№ 33. 1725—1750 წ. თიბათვის „დამდევს“ მუხალგის წიგნი, მიცემული პაპალა წატურისშვილის მიერ დავით თარხნიშვილისადმი. დედანი 22½ X 8 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი. დავით თარხნიშვილი XVIII საუკ. II მეოთხედში მოღვაწეობს. საქ.

მუხ. № Hd 2896

ქ. ესე წიგნი მოგეცი მე, წყნეთელი წატურისშვილი პაპალამ შენ, ბატონს თარხნის შვილს დავითს;—ასე რომ თქვენი ყმა სულიას-შვილი ივანე ჩემის შვილის სიმამრი იყო და ავით გამზდარიყო და ჩემსა მოკვდა და თქვენ გველ[ა]ვე-ბოლით და ჩვენ არ ქონ[ა]დარა და ესე მუხალგობის წიგნი მოგეცი. თუ რომ ჩემში შემამცნიეო რამე, ორმოცი თუმნის მამცემი ვიყო ხემწიფის სარქარში. არის ამისი მოწამე წყნეთელი მამასახლისი გიორგა და წყნეთელი თამარბანთ ზ[ა]ლია და მე მანუჩარს დამიწერია და მოწამეც ვარ ამიყ. დაიწერა ესე წიგნი თიბათვის დამდექს. +

<sup>1</sup> მიწაწერი: ქ. ტინის ხიდურის პაპას ლამის მიწის, დღიური (ბ). ასლი სიგელი.

№ 34. 1726 წ. სექტემბრის „დამდეგს“. ყმის ნასყიდობის წიგნი მოურავის შვილისშვილის დავითის მიერ პავლე კარგარეთელისადმი მიცემული. დედანი.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, მამისა, ძისითა და სულისაწმინდისითა ესე ნასყიდობისა წიგნი და სიგელი მოგეც მე, მოურავის შვილის შვილმან ზაალის შვილმან დავით, ჩემა ძმამა როსტომ და ყეთელ და შვილმან ჩემან ზალ, მომავალთა სახლისა ჩეპისათა თქვენ, კარგალეთელს დეკანოზს პავლეს, ძმასა შენსა იოთამს და ძმის წულსა შენსა სვიმონსა და გიორგის და დემეტრესა, მომავალთა სახლისა შენისათა;—ასე რომე სულიაშვილი ზალია თავის მამასთან და ძმებთან ველარ დადგა, თავისის რაზითა შენტვის მოპყიდი ყოვლისკაცის უცილებელი. არას ჩემს ნათესავს შენტან კელი არ ქონდეს. ავიღე ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩემი გული შეგჯერდებოდა. არის ამისი მოწმე მოძღვარი ნიკოლოზ, გივი ცალქალამიძე, კახი დემეტრე ქანდიაშვილი. მე, იასეს ჯორაშვილს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი ენკენისთვის დამდეგს, ქკს უიღ.

საბუთის მეორე გვერდზე სხვა ხელით:

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა ესე ნასყიდობისა წიგნი მოგართვით. ჩვენ, კარგალეთელმა დეკანოზმა პავლემ და იოთამა და სვიმონ და გიორგიმ თქვენ, ბატონსა ზაზას;—ასე რომა დავეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი ნასყიდი თქვენისა ბიძას შვილისა დავითისაგან მოსყიდული კაცი ხუცისშვილი ზალია, თქვენთვისა მოგყიდი თავისა ცოლითა და შვილითა. ღმერთმა გამარჯვებასა და კარგათა ყოფნაში მოგახმაროსთ, რაგვართაც სხვას მონასყიდეს მოხმაროდეს. ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმა და მამშლელი ღმერთმა მოშალოს თავისა სახისაგან, არის ამისი მოწამე ღმერთითი, კაცთაგან სვიმონა თარხნის-შვილი ბეჰელი, სალთხუცესი ცალქალამიძე იასე, მამუკას-შვილი ხუცესი იასე, გურამის-შვილი პაპუა. მე, იოთამსა დამიწერია და მოწამეცა ყაბულიცა მაქს. დაიწერა იანერის ოცდაექვსა, ქკს უკდ.

სხვა ხელით: ქ. ბაინდურა ამისი მოწამე.

ბეჰელი

№ 35. 1733 წ. აქტომბრის 15-ს. მამულის ნასყიდობის წიგნი, ტბელი იავულა-შვილი გიორგის მიერ კელფეხა გიორგისადმი მიცემული. დედანი. დ.ზიანებული. 41x22 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. „ან“—მეტი. საქ.

მუხ. Hd № 2803

ქ. . . . . ესე ნასყიდობის წიგნი მოგეც მე, ტბელმა იავულაშვილმა გიორგიმ და შვილმა ჩემმა აბრამამა და სახლისა ჩემისა მამავალმა შენ, ტბელს კელფეხას

<sup>1</sup> სათაური: ქ. კარგარეთლის წიგნი. მამის ჩვენის ზაზა ქორასაულბაშისაგან დახსნილი.

გიორგის, შვილს შენს კაცობას და დარჩიას, თამაზას და სახლისა თქვენისა მომავალს;—ასე რომე დამეჭირა და მოგადექ კარსა და მოგყიდე ჩემი სამკვიდრო მამული. ასე რომე ავიღე ფასი სრული, რითაც ჩემი გული შეგჯერდებოდა. არა დარჩომილა რა ჩემი შენზედა არც ერთის იოტის ფასის. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმა. ვითა სხვას მონასყიდეს მოხმარდეს, შენც ისრე მოგახმაროს ღმერთმა. ამინ. ერთი ესე რომე ქვეყანა ურუმთ ეჭირა და არც ნასყიდს და არც უსყიდს არ იკითხვენ. კულუზზედა აიღებენ, თვარემა, ვინ იცის, ეგება მათს ბძანებით ქართველობა იქნას, არცკულუხი გეთხოვბოდეს. ასრე ამაპირობით მომიყიდი ჩემი სამკვიდრო ვენაჭი თავს ახსიაშვილის სამძღვრამდინ, ბოლოს შენსავე სამძღვრამდინ, იქეთ გვერდი ჯევი გამოღმა რომა რასაც გაიტანს ჯევის. ვერვი გეცილებოდეს თავისის სამართლიანის სამძღვრით, წყლით, გზით, შესავლით, გასავლითა, სამატიითა, უმატიითა, ასრე, რაც ამ სიგელში სწერია, შენთვის მომიყიდი მე აბრამას. ვინაცა და რამანც ძემან ადამიანისამან ან ჩემა მონათესავემა, ან მეზობელმა, ან ბატონმა შენ წამოგედლოს ამაზედა და ლაპარაკი დაგიწყოს პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ, იაგულაშვილმა გიორგიმა და ჩემა შვილმა და სახლისა ჩემისა მომავალმა გავცეთ. არის ამისი მოწამე თავათ ღმერთი ყოველი მისი წმიდანი. ერთი ესე, რომე ჩემიც ნასყიდი იყო ეს ვენაჭი და ძღვევის მთავარ მოწამის შეწირული იყო. ბატონს ჯელი არა ქონდა. არც აქს. მეც ასრე შენთვის მომიყიდი, ჯელი არა აქს. კაცთაგან ტბელი მამასახლისი დათუნაშვილი დათუნ და მღდელი იოსებ და მეძუნაშვილი ებალა და ჯოგშვილი ნასყიდა და გიორგი, ახსიაშვილი ახსია, მედიაშვილი ნასყიდა და კავთელაშვილი თამაზა, კენკაშვილი პატა, ყელიშვილი ბერუა და მე, ბაგრატ გაბაშვილს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი . . . . . დაიწერა ესე წიგნი ღვინობისთვის. იე გასულს, ქქს უკა. + + +

განის ამიაზე: მე, ედიშერს ამისი ყაბული მაქვს. ამისი მოწამე გერმანობიშვილა კაცია.

№ 36. XVIII ს. I ნახევარი. ყმის მიცემის წიგნი, პაპუნა, ბასილა და სხ. მიერ მიცემული ხოჯაბეგაშვილ დათუნასადმი. დედანი 32×16 სმ. დაზიანებული. „ან“ მეტი. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორი-სამი წერტილი. საბუთს თარიღი არ უზის. საბუთის მოწმე მირველ თუმანიშვილი XVIII საუკ. I ნახევრის საბუთ — Qd № 202-შია მოხსენებული. საქ. მუხ. Qd № 201

ქ. ეს ჩემი და მოგ[ქ]ვარეთ ჩვენ, თავ . . . მამ, პაპუნამა და ბასილამ, ყასუ-მამ თქვენ, ხოჯაბეგაშვილს დაუნას და ძმასა შენსა გიორგისა და შვილსა იარალსა და ასე რომ ერთი პატარა და დაგქერჩა და შენახვა ვერ შევიძლე-ვით და ილაჯი<sup>1</sup> არა მქონდა და შენახვის და მოგეცით. პატარა იყო და მოსავლელი და მაგას არ შეეძლო რა თქვენი სამსახური;—ასე რომე თქვენი გული მეველ[ქ]ებოდა და მოგეცით და ვინც ამას შეგეცილოს პასუხისა და პირის გამცემი ჩვენ ვიყვნეთ და ღმერთმა მოგცეს და გიბედნიეროს, რაგვარათაც გინდოდეს, საშინაოთ გინდოდეს თუ საზითვოთა, ვერავინ შემოგეცილოს რა-

<sup>1</sup> ტექსტში იჯალი სწერია.

თაც ფრათ მოსახმარისათ გინდოდეს ღ[ვ]ითის მეტი, არის ამისი მოწამე მამა-სახლისი აბელა და თაყინაშვილი ზურაბა, დონდარის-შვილი ბეჟან, ამისი მოწამე ბარამას-შვილი<sup>1</sup> ჯულაბა, მამულაშვილი მანუჩარა და მე, თუმანის-შვილს მირველს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი<sup>2</sup>. თიბათვის დამდეგსა + + +

№ 37. 1723—35 წ გორის ფაშის ბრძანება ასანა თუმანიშვილისადმი. დედანი. 15×10½ სმ. დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უხის. გორის ფაშის ბრძანების წიგნი მოსალოდნელია საქართველოში „ოსმალთის“ დროს. საქ. მუხ. Q.d № 257

ქ. გორის ფაშის კეთილად სახსენებლო თუმანის-შვილო ასანავ. ახლა მაშინ რომ აქ მანდური კაცები ჩამოიყვანეს, ყაზახებს რომ დაეჭირათ და თათრებისთვის მოეცა, ეგ კაცი აქ გამოგზავნე. საკითხავი საქმე გვაქვს, ფიქრი ნურა აქუს რა, ახლავ გამოგზავნე.  
ბეჭედი თურქული

№ 38. 1735—44 წ. მამულის წყალობის წიგნი უცნობი ხელისუფალის მიერ ზაზა-ბეგისადმი მიცემული. დედანი. თაენაკლული. 23×19 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უხის. საბუთი უნდა ეკუთვნოდეს ყიზილბაშობის ხანას (1735—1744 წ.). საქ. მუხ. Hd № 2608.

.....-ნ ილო (?) არის მახლავი მირის თეთრი სეხნია ჩხვიძე მოსაცემს იყო, თითონ გაიქცა და იმისი მამულის არა ვიცოდით ვინ სჭამდა ვინ, უვლიდა, ახლა ამ ყარარაზედ (?) ზაზა ბეგს მივეცი თ სენია ჩხვიძის სოფლები იტრია, გერდის უბანი, ფონა, წითა, ლუბრაბა, ლორისთავი, ჩუმათგლეთი ზაზას უბოძეთ. ამისი რაიათი რაც მოსავალი არის ამ მამულში, ის სულ მალუჯათისა არის, ზავთი ქენით. რახან ამისი საქმე გარიგო, ნუსხა (sic) გაკეთე, ბოლოს მუჩალგა დაუწერე, თითო სოფლის მამასახლისი შენთან მიიყვანე და ნუსხაც ორივე შენ ჩვენთან მოიყვანე. რაც ამაში სწერია სოფლები მამასახლისო, ქეთახუდებო, სოფლის კაცებო, როგორც რომ გვიბძანებია, ისე უნდა ქნათ.

(სპარსული ბეჭედი)

verso: სპარსული ტექსტი.

№ 39. 1736 წ. მაისის 23-ს. მიწის ნასყიდობის წიგნი ლუარსაბ გერმანოზის-შვილის მიერ ამილდაბარ გოსტაშაბის-შვილისადმი მიცემული. პირი, გადაწერილი XIX საუკუნის დამდეგს ლურჯ ქალაღზე. საქ. მუხ Hd. № 10033

ქ. ნებითა და შეწევნით ღ[ვ]ითისათა სულისა წმინდბთა ესე ნასყიდობის წიგნი მოგეც მე, გერმანოზის-შვილმა ლუარსაბ თქვენ, გოსტაშაბის-შვილსა ამილ-

<sup>1</sup> აშიაზე იმავ ხელით.

<sup>2</sup> სათაური: ხოჯაბეგანთი.

ლამბარსა, შვილსა თქვენსა დავითს და ვახუშტის და სახლისა თქვენისა მო-  
მავალსა;—ასე რომე დაგვექირა და მოგყიდეთ ჩემის ყმის გელიტაშვილისა ნას-  
ყიდი მიწა აბრამეთის ბოლოს, ალგეთის პირას, გზას ქვეით დიდი მიწა. გზას  
ზეით გრძელი მიწა თავისის საძძღვრით, საწყლისპიროთი, საწისქვილოთი . . . . .  
ისე თუ ამას წამოგედაოს ვინმე პირისა და პასუხის მიმცემი მე ვიყო, ერთი  
საკომლო მარაბდას მოგცე თუ ეს დამიხზუბდეს. არის ამისი მოწამე თავად  
ლ[მერ]თი, მერმე მისნი ყოველნი წმიდანი. კაცთაგან ქავთარისშვილი გიორგი,  
ფარსადანის-შვილი როსტომ, საამის-შვილი ედიშერ და საამ. დაიწერა მაისის  
ოცდა სამს გასულს, ქორონიკონს უკდ. +

№ 40. 1736—1737 წ. ოქმი არჩილ II-ისა (იგივე აბდულა-ბეგ) თარხნის აზნა-  
ურიშვილებისა და გლეხებისადმი. დედანი. 17×15½ სმ, დაწერილი მხედრული  
ხელით თეთრ ქალაღზე. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახ-  
მარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზუს. ეკუთვნის არჩილ II-ის ქართლში  
მეფობის დროს, 1336—1737 წლებს. საქ. მუზ. Hd № 2696.

ქ. ჩვენი ბძანება არის ვინცა ვინ თარხნის აზნაურშვილი და მსახური  
და გლეხი კაცი და სომეხი ხართ, მერმე თქვენი თავი თარხნიშვილს დავითი-  
სათვის და იორამისათვის გვიბოძებია და ყველანი ამათ მოუდევით და მსა-  
ხურეთ. რაც ჩვენი სამსახური მოვიდოდეს ყველას ამათ გაუგონებდეთ. რაც  
კაცი არ მოუდევით და არ მსახურებთ იცოდეთ დიდად გიწყენთ და გარდა-  
გახდევინებთ.



№ 41. 1737 წ. ივლისის 17-ს. პირობის წიგნი ნიკოლოზ ურბნელის მიერ ზაზა  
მოურავის-შვილისადმი მიცემული. დედანი. 22×10½ სმ, დაწერილი თეთრ ქა-  
ლაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ  
ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუზ. Hd № 2991.

ქ. ნებთა და შეწვევითა ღვეთისათა ეს წიგნი მოგართვით ჩვენ, ურბნელ-  
მა ბატონმა ნიკოლოზ თქვენ, მოურავის შვილს ზაზას:—ასე რომე თქვენ რომე  
ხანის ბძანებით მგალობელი ნიკოლოზ დაიჭირეთ და, მე დავისხენ, დღეის  
იქით ამ საქმეზედ მგალობელმა ნიკოლოზ თუ თქვენ გიჩიელოს სადმე, ან გე-  
ლაპარაკოსთ რასმე, პირის და პასუხის მომცემნი ჩვენ, ურბნელი ვიყოთ. ამის  
მოწამე ბერძენი იაკობ, ყიასაშვილი ბეჟან, მორჩილაძე ბახუტა, მე, კანდელაკის  
შვილს სტეფანეს დამიწერია, მოწამე ვარ. ივლისის 17, ქკს უკვ.

ურბნელი ნ[ი]კ[ო]-  
ლ[ო]ზ

<sup>1</sup> მეფე არჩილ.

<sup>2</sup> სათაური: ურბნელის მოცემული წიგნი.

№ 42. 1738—41 წ. წყალობის წიგნი მიცემული ელიზბარის მიერ ბასილა ჯოხაძისადმი. დედანი. 29×13 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საბუთს თარიღი არ უზის. მას ამოწმებს გივი ამილახორი, რომელიც მოღვაწეობს XVIII საუკ. 25-იან წლებიდან. კერძოდ 1724—35; 1738—41 წ. საქ. მუხ. Hd № 2647

ქ. ესე წყალობის წიგნი და ნიშანი გიბოძე ჩვენ, ბატონმან შენმან ელიზბარ და შეილმან ჩვენმან გიორგიმ შენ, ყმას ჩვენს ჯოხაძეს ბასილასა, ძმასა შენსა ბერსა, გოგისა, ჯოხნასა, შეილსა შენსა შიოსა და სახლისა შენისა მომავალსა ესე წყალობის წიგნი გიბოძე;—ასე რომე ზარდიას-შვილის ყმანი იყავით და ზარდიას-შვილი ჩვენ დაგვეჩინა რომ გავიყარენით და ნასყიდობის მიზეზით დაგანარჩუნეთ ზარდიას-შვილს. ახლა თქვენ და იმისი ბატონყმობა აღარ მოხდა, ბევრს ვეცადენით და თქვენი და იმისი ბატონყმობა აღარ იქნებოდა და მოხვედით და შემოგვეხვეწენით და ვისმინეთ შემოხვეწნა და იმას სანუქფოდ სხვა წყალობა უყავით და ჩვენთვის სახასოთ დაგვიჩვერიხართ, გქონდეს და გიბედნიეროს ღ[მერ]თ[მა]ნ ჩვენსა ერთგულად სამსახურშია, არაოდეს არ მოგეწალოს, არცა ჩვენგან და არც სახლისა მომავლისა ჩვენისაგან. არაოდეს არ მიგეცეს აზნაურ-შვილს, არც სხვამ მებატრონემ და არც სახლისა ჩვენისა. მამავალმან.

ბეჭედი

განის აშიაზე სხვა ხელითა და სხვა მელნით: ჩვენ, ამილახორმან გივამან ეს წიგნი დაუმტკიცედ.

გივი

№ 43. 1738 წ. მარტის 12. მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული გიორგი შოშიასშვილის მიერ მგელია ბერიანასშვილისადმი. დედანი. 31×18 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. დაზიანებულია, განსაკუთრებით თავში. საქ. მუხ. Hd № 2520

.....დაუსაბამოსა.....სულისა წმინდისათა და ყოვლად წმ.....ს მშობელისა მარადის ქალწულის.....მინდისა წინასწარმეტყველისა და..... იოვანე ნათლისმცემელისა, ივანე მახარობელისა და იოვანე ოქროპირისათა, წმინდის მღვდელთმოდურისა ბასილისა, ნიკოლოზ და გრიგოლი ღმთისმეტყველისათ, წმინდათა ათორმეტთა მოციქულთა და თავთა მოციქულთა პეტრესა და პავლესითა, წმინდათა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა მიქელ და გაბრიელისათა, წმინდისა მთავარმოწამისა და ღვაწლით მოსილისა წმინდის გიორგისა გორის ჯვარის, წმინდის გიორგის ახალის ჯვარისა და ხატისა, ოქონისათა და რანიცა წმინდანი დიდსა და საუფლოსა სენაქსარშიან სწერიან და დღითი-დღე მოიხსენებიან, მათის მადლითა და მეოხებითა ესე უკუნისამდე დრო-დაუდებელი და მიზეზ-შემოუღებელი ყოვლის ჩხუბისა და ილათისაგან გამოსული ნასყიდობის წიგნი მოგეც, დამეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი.

მამისა და პაპის ნაქონი ნასყიდი მიწა ტინისხიდელის კაცისაგან მოსყიდული შოშინას-შვილმა გიორგიმა, შიომა და გოდერძამა, ბიძას შვილმა ჩვენმა ბერელამა, სხვათა შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა ყოველთა მოგყიდეთ თქვენ, ბერინას-შვილს მგელიასა, ძმასა შენსა თამაზას, შვილსა შენსა ლეკვიასა, ქიტუსა, ხიზანასა, გიორგისა, ზა[ა]ლსა, ნინუასა, სხვათა შვილთა და მომავალთა სახლისა მომავალთა ყოველთა მოგყიდეთ თავი რუმდის, ბოლო ქან და გორამდის, საქვენაქროთ შენსაგ მიწამდის, საზენაქროთ ღვინის მიწამდის. ავიღეთ ფასი სრული და უკლები, რითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდა. აღარა დარჩომილა რა თქვენზედ, არც ერთის იოტის ფასი. გქონდესთ და მოგახმაროს ღმერთმან, რათაც გინდოდესთ. ვინცა და რამანცა გვარმა კაცმა, დიდმან ანუ მცირემან ამისად შლად ხელ ყოს და მოშალოს, მასამცა რისხავს თავად ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი. მასმცა ედების კეთრი გეზისა, შიშ[თ]ვილი იუდასი, ძრწოლა კაენის, მეხთა ტეხა დიოსკორესი დანთქმა დათან დაბირავნისა. ნუმცა იხსნებისა სული მისი ჯოჯოხეთის და გენის ცეცხლისაგან. ხოლო დამამტკიცებელი ამისი აკურთხოს ღმერთმან. არის ამისი მოწამე თავად ღმერთი, კაცთაგან ფოცხვერას-შვილი მამასახლისი ხარება, ჩემი განაყოფი ღვინია, ლამბიას-შვილი ნასყიდა და მე, ვახუშტის შვილს გიორგის დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. მარტის თორმეტს. ქქს უკვ. ++++

№ 44. XVIII საუკ. პირველი ნახევარი. ამილღაბარ [გოსტაშაბიშვილის] ყვების ნუსხა. დედანი. 35×11 სმ, დაწერილი მომწვანო ქაღალდზე მხედრული ხელით. თარიღი არ უზის ამილღაბარ გოსტაშაბიშვილი XVIII საუკუნის პირველ ნახევარშია ცნობილი. საქ. მუზ. Hd № 6923.

ამილღაბარისა ბეთანიას:

- ქ. ოთას-შვილი ჯვარისა კომ
- ქ. ნიკოლოზას-შვილი ფოცხვერა კომ
- ქ. ბოგანო შერმაზანა
- ქ. დიდებას რევანდას-შვილი სეხნია კომი
- ქ. ენაგეთს აზნაურ-შვილი სადუნის-შვილი ბასილა
- ქ. ახალშენს პაპა ბოგანო
- ქ. კვესეთს ბოცვეიტა-შვილი სვიმონა
- ქ. ტბისს ჩიტა-შვილი ბერია
- ქ. მედიას-შვილი
- ქ. ჯოია-შვილი ნასყიდა
- ქ. ბოგანო ხელფეხი-შვილი
- ქ. ელფიას ესტატე-შვილი თამაზა
- ქ. მოლოდინას-შვილი პაპუა
- ქ. აქავ აყრილი ორი
- ქ. წინ ვენახს ამოვარდნილი
- ქ. თაკვს ამირას-შვილი
- ქ. ბოგანო სესია მოლაშქრე

- ქ. აკურის ამბალაშვილი იასე
- ქ. ამბალაშვილი თამაზა
- ქ. ბოგანო ბერუკა
- ქ. დვალთას აზნაური ბედისა და ხინჩლა
- ქ. აქაე ამისი ყმა ჩანთაძე ხოსიტა
- ქ. აგუდანეთს აზნაური იასე
- ქ. აქაე ამისი ყმა იშხანაშვილი ბადურა
- ქ. გელიტაშვილი ევანეზა
- ქ. ქეთიას-შვილი ივანა
- ქ. ბოგანო კირაკოზაშვილი
- ქ. მოლავეს სალთხუკესი ბერძნის-შვილი ოთარი
- ქ. აქაე ამისი ყმა ცხადიას-შვილი გოდერძა
- ქ. ხორბუკს ამირანას-შვილი ბერი
- ქ. ბოგანო თამაზა
- ქ. მოლავეს აზნაურშვილი ყიფიანი ხოსია
- ქ. ამისი ყმა ბოგანო გიორგი
- ქ. ვაკეს კვირიკას-შვილი პაპუა
- ქ. კვირიკას შვილი თამაზა
- ქ. ოსიყმაშვილი მახარა
- ქ. ბოგანო მახარა მოლაშქრე
- ქ. ამლიგს ხუცის-შვილი თევდორე
- ქ. პაპიაშვილი გიორგი
- ქ. დათუკაშვილი ოსიყმე
- ქ. ანუაშვილი გიორგი
- ქ. ამრაზაშვილი დათუნა
- ქ. რევაზაშვილი ზურაბა
- ქ. ევეზაშვილი დათუნა
- ქ. ბოგანო ნადირა
- ქ. ბოგანო იასე
- ქ. ფუტრევეს ნადირას-შვილი მახარა
- ქ. თევდორე
- ქ. ერწოს ჩეკურაშვილი ჩეკურა
- ქ. ამრუმელაშვილი პაპუნა
- ქ. თევდორას-შვილი თამაზა
- ქ. ბოგანო თამაზა
- ქ. გენანეთს მახვილაძე ელიზბარ
- ქ. მახვილაძე დათუნა
- ქ. ერდოს თამაზაშვილი ბერი
- ქ. თამაზაშვილი გიორგი
- ქ. აზიკეს რევაზაშვილი რევაზ
- ქ. რევაზაშვილი მამილა

- ქ. რევაზაშვილი ელიზბარა
- ქ. შიტია
- ქ. ბოგანო ბარქაძე
- ქ. ბოგანო ივანა
- ქ. ცხნარს ჰაბუკაშვილი შერმაზანა
- ქ. ვარხუნას აზნაურშვილი არეშიშვილი ფარემზა
- ქ. ამისი ყმა აკოფაშვილი
- ქ. ბოგანო ალუა
- ქ. მძოურეთს ტერტერაშვილი გამსახურდი
- ქ. მარიამს მამასახლისი ივანე
- ქ. ლომიტაშვილი გიორგი
- ქ. ამბროსაშვილი შერმაზანა
- ქ. ზალაშვილი ბერი
- ქ. კონიას-შვილი ბასილა
- ქ. კონიას-შვილა გიორგი
- ქ. ლომიტაშვილი დათუნა
- ქ. იაშვილი ქიტია
- ქ. ბოგანო ბერია
- ქ. ბოგანო ბასილა
- ქ. ბოგანო თანდილა
- ქ. თაფანს ბერუა
- ქ. ანდრიას ხეჩატურას შვილი
- ქ. ზაქუტაშვილი ბეჟუა
- ქ. იეგულაშვილი ელიზბარა
- ქ. ყარახანას-შვილი ზურაბა
- ქ. ერტის სომხის-შვილი ზურაბა
- ქ. სომხიშვილი ბერუა
- ქ. წინანურს რევაზაშვილი სეხნია
- ქ. ბოგანო დათუა
- ქ. ქოთიშს ხუდიას-შვილი მამუკა
- ქ. გოგიას შვილი ბერუა
- ქ. ბოგანო დათუნა
- ქ. ლოლოვნას მამასახლისი ხუცია
- ქ. გიგოლაშვილი
- ქ. მეხრის-შვილი ოთარა
- ქ. გაბილაშვილი თამაზა
- ქ. პაპუაშვილი პატა
- ქ. მქედლიშვილი გიგოლა
- ქ. შიტიას-შვილი გიორგი
- ქ. ბერუა
- ქ. დათუნა
- ქ. ბოგანო ავეტიზა

საბუთის ზურგზე სხვა ხელით:

ნუსხა კაცების. აგვდანეთისა, ჩხიკეთისა და ცეცხლადის წიგნია. თაკვის წიგნი, დვალთისა, ერწოს წიგნი, პატციენის ორი წიგნი აქაწყვიან.

№ 45. XVIII საუკ. პირველი ნახევარი. ბატონ-ყმობის წიგნი, მიცემული დომენტი გერმანოზის-შვილისმიერ გუდარეხელებისადმი. დედანი.  $21\frac{1}{2} \times 11\frac{1}{2}$  სმ. დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. თავი დაზიანებული აქვს. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი ან სამი წერტილი. დომენტი გერმანოზის-შვილი, მოძღვარი, იხსენიება საბუთში, რომელიც 1724—1736 წლებით თარიღდება (დოკ. საქ-ოს სოც. ისტორიიდან. № 2985). საქ. მუხ. ფ. Hd № 2885.

..... პირი მოგეცით ჩვენ, გერმანოზის-შვილმა დომენტომ, ძმისწულმა ჩემა დათუნმა, პატამა, ოთარმა, გერმანოზ და ყოველთავე სახლისა ჩვენისა მომავალთა, ასე ამა პირსა ზედა თქვენ, ჩვენს ყმათა მრავალგვარათ ნამსახურთა და ერთგულთა გუდარეხელთა; — ასე რომე მამისა და პაპის ჩვენის ჟამშიგან სამის დღის ანეულის მეტი არა გდებოდათ რა. ახლა შემოგვეხვეწებით, ისრევე სამი დღე ანეული მოგვიწნევდეთ, ერთს დღეს გაზაფხულურს. სხვა რიგათ არც კალოს პურსა გთხოვდეთ, სხვა სამსახური თუ რამ თქვენის ჯელისაგან გამოვიდოდეს, ისრე გვემსახურენით. არ მოგეშალოს არცა ჩვენგნით, არც სხვათა შეპატრონეთაგან. ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან ეს ჩვენგან მოცემული ფიცი და პირი მოგიშალოს, თავადმც რისხავს ღმერთი და მერმე ყოველნი მისნი წმინდანი ზეცისანი და ქვეყანისანი; ეს კვლად წმინდა მღთის მშობელი, ჩვენისამც ცოდვისაგან განიკითხვის ვინც ეს პირი მოშალოს. ამინ.

დომენტი<sup>1</sup>.

№ 46. XVIII საუკ. პირვ. ნახევარი. სითარხნის წიგნი, მიცემული ლევან მაჩაბლის მიერ მადინა მელაძისადმი. დედანი.  $32\frac{1}{2} \times 14$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უხის. ლევან მაჩაბელი მოხსენებელია 1714, 1725 წლის საბუთებში (დოკ. საქ-ოს სოციალური ისტორიიდან. № 228, 307). საქ. მუხ. ფ. Hd 2898.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისითა ეს ამიერი თუკუნისამდე ჟამთა და ხანთა სამკვიდროთ და საბოლოდ გასათავებელი წიგნი და ნიშანი გიბოძეთ ჩვენ, მაჩაბელმან ლევან და მომავალმან სახლისა ჩემისამან თქვენ, ჩვენს ერთგულსა მრავალფერად თავდადებით ნამსახურს ყმას მელაძეს მადინას, მოურავს ბიძა-შენს გიორგის, ძმასა შენსა ბეკოსა და დემეტრეს, მომავალსა სახლისა შენისათა; — ასე რომე ჩემს ობლობასა და საქმის გაქირვებაში მრავალგვარათ გაისარჯე და გვემსახურე<sup>2</sup>. ჩვენ შენის ერთგულობისა და სამსახურის სანუქვოთ სხვა არა შეგვეძლო რა, სითარხნის წიგნი გვთხოვე. პაპის ჩემისა და მამისა და ბიძისაც გქონდა. ძველადგანც ბევრი სითარხნის და წყალობის წიგ-

<sup>1</sup> ხვეულად.

<sup>2</sup> ტექსტში: „გვსამხურე“.

ნები გქონდა და ჩვენც გაგიახლეთ. ერთის მსახურის მეტი შენ არ გეთხოვე-  
 ბოდეს რა, არც სეფობას გაგიყვანონ. არის ამისი მოწამე თავად ღმერთი, მისი  
 უბიწოდა მშობელი, ზეცისა დასნი ანგელოზნი და ქვეყანისა წმინდანი მოცი-  
 ქულნი, მღვდელთ მოძღვარი, მოწამენი, წინასწარმეტყველნი და ყოველი საქარ-  
 თველოს ჯვარ-ხატი. . . არის ამის მოწამე მელაძე ჭევესური, მელაძე კაცია, ბა-  
 სიშვილი კაცია, გოგინაშვილი ებიტა, პაზრელი ღარიბა, სიღამონ.

ლევან<sup>1</sup>

აშიაზე: ქ. ჩვენ, ციციისშვილის ქალმან დაესწერე და ყაბულიც მაქვს ამისი<sup>2</sup>.

№ 47. 1739 წ. მარტის 23-ს. ყმისა და მამულის დანებების წიგნი დავით თარხნის-  
 შვილის მიერ გიორგი მაღალაძისადმი მიცემული. დედანი. 51×21½ სმ, დაწერი-  
 ლი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყ-  
 ვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2792.

ქ. ნებიტა და შეწვენიტა ღ[ვ]თისათა და მეოხებიტა ყოველთა წმინდათა  
 მისთათა ესე წიგნი მოგეც მე თარხნის-შვილმა დავით, ძმამან ჩვენმა ზეშთელ,  
 შვილმა ჩვენმა ზაალ თქვენ, მაღალაძეს სახლთხუცესს გიორგის, ძმასა შენ-  
 სა დემეტრესა და იოანესა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა  
 ყოველთავე;—ასე რომე მამა ჩემს თქვენთვინ კაცები მოეყიდნა გუნდალეთს ნი-  
 კოდიმე თავისი მამულით და ნაცვლის-შვილები. ის კაცები როგორც მამის  
 ჩვენისა და ჩვენს სიგელში ეწეროს, ისე დაგვინებებია. ქვეყანა. რომ სამიროთ  
 გახდა, იმ მამულების მირსაც ჩვენ ვაძლევდით და მამულიც ჩვენ გვექირა, ახ-  
 ლა კიდევ მეორეთ ცოტა რამ გამოგართვით და ჩვენი გული შეიჯერეთ და ის  
 მამულები უმიროთ დაგანებეთ. არც მირსა და არც სალიანსა და სახელმწი-  
 ფოს გამოსაღებს იმ მამულებთან ხელი არა ქონდეს. რაც შემოხვდეს იმისი  
 წილი გამოსაღები მე მივსცე. თუ გინდა კაცი დაასახლე, თუ გინდა ისე ქამე-  
 არათერს გამოსაღებსა და არც სხვას საქმეს იმასთან ველი არა ქონდეს, არც  
 სახელმწიფოსა და არც ჩვენს გამოსაღებსა. რადგან ქვეყანა ასწერონ, შენზედ  
 დააწერინე და მერმე იმათი მირიც შენ იცი და იმ მამულის ავიცა და კარ-  
 გიცა. ჩვენ იმ კაცებსა და მამულთან არც თათრობასა და არც ქართველობა-  
 ში ჩვენ ველი არა გვქონდეს. ქონდეს და გიბედნიეროს ღ[მერ]თ[მა]ნ, ვითარც  
 სხვათა მრავალთა ალაღს მონასყიდეს მოხმარებოდეს. ვინც ამაში წამოგედლოს  
 ან ჩვენ ან ჩვენის სახლის კაცნი, პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყენეთ. არის

ამისნი მოწამენი თარხანი ბატონი ლუარსაბ [ ლუარსაბ ], თარხნის-შვილი ზა-  
 ზა [ ზაზა ], იორამ, გვერწითელი გიორგი, ჯორაშვილი სეხნია [ ალავერდი ],  
 წინამძღვრის-შვილი ბარნაბე. + შატბერაშვილი გარსევან, +  
 ჯაჯანაშვილი ოტია, + ცალქალამნიძე რამაზა, + მორჩილა-

<sup>1</sup> ხვეულად.  
<sup>2</sup> სათაური: სითარხნის წიგნია.

ქე შიო, + წრიალაშვილი ბეენა. + და მე, მგალობელს ნიკოლოზს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა მარტის კვ, ქკს უკზ.

მ[ო]ნა ლ[ვთი]სა მოურავის შვილი დავით

განის აშიაზე: ჩვენ, ბატონი კზი კირილე ამ გარიგებისა და პირის დადებისა და შერიგების მოწამე ვარ.

კზი კირილე

ჩვენ, ტფილელი მიტროპოლიტი ეფთვიმი ამის მოწამე ვართ.

მონა ლვთისა ტფილელი მიტროპოლიტი ეფთვიმი

ქ. მე, ყარან ამისი მოწამე. მ[ო]ნა ლთისა ყარან

ქ. ჩვენ, ბატონი ამილახორი გივი ამ პირობისა და გარიგების მოწამე

ვართ. წუთის სოფლის დან გივი ყავ

ქ. ჩვენ, ბატონი არაგვის ერისთავი ბარძიმი ამ გარიგების მოწამე ვართ:

ქ. ჩვენ, მთავარეპისკოპოსი რომანოზ ამისი მოწამე ვართ. რომანოზ.<sup>3</sup>

ზემო აშიაზე: ქ. ჩვენ, საქართველოს მეფის თეიმურაზის ძემან მეფემ ერეკლემ რადგანაც ამღონის ბატონის და კარგთ კაცთ ბეჭედი და მოწმობა ენახეთ, ჩვენც ამათგან ხათრი ჯამნი რადგან შევიქენით, ჩვენც მოწმობა დავრთვეით.

მარტს ხუთს გასულს, ქრისტეს აქათ ჩღმე. ერეკლე

იქვე მეორე მხარეს: ქ. ჩვენ, საქართველოს და აღმოსავლეთის შამათ მთავარმან, ძემან ქართველთა მეფისა იესემან კ[ათალიკო]ზ პატრიარქმან ანტონიმ ეს სიგელი ჩვენც ასე დაუმტკიცეთ.

კზი ანტონ.

№ 48. წისკვილის ნასყიდობის წიგნი, მიცემული გიორგი ბეღიაშვილის მიერ სეხნია სეზისკვერაძისადმი. პირი, გადაწერილი XIX საუკუნეში თეთრ ქალაღბზე—საქ. მუხ. ფ. Hd № 11296.

ქ. ნებითა და შეწევნითა ლ[ვ]თისათა ესე ამიერთ უკუნისამდე ჟამთა და ზანთა გასათავებელი ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ, ბეღიაშვილმა გიორგიმა.

<sup>1</sup> ასომთავრულით.

<sup>2</sup> არ ირჩევა.

<sup>3</sup> ხვეულად.

პაპუნამა, ბერმა და მამავალთა სახლისა ჩვენისათა თქვენ, დავითიშვილის დე-  
კანოზს სეზისკვერაძეს სეხნიასა და შვილსა შენსა პავლესა და პაატასა და ბე-  
უიასა და მომავალთა სახლისა თქვენისათა:—ასე რომ მოგყიდე ტოტძის კარზე-  
და წისქვილი, ნახევარ ჩარეკი მოგყიდე და ავიღევით საფასი სრული და უკ-  
ლებელი, რითიცა ჩვენი გული შეგჯერდებოდა. არაოდეს არ მოგეშალოს, არც  
ჩვენგან, არც ჩვენის სახლის კაცისაგან. რამაც კაცმა ეს ჩვენგან მოცემული  
წიგნი მოგიშალოს, მასამაც რისხავს ღმერთი მამა, ძე და სული წმიდა, არიან  
ამისნი მოწამენი და დამხდურნი და გამრიგენი ღმერთი და ყოველნი მისნი  
წმიდანნი. კაცთაგან დათუნა ბათლომაშვილი. ბერუკა მამასახლისი და ზუბიტა-  
სულ აბანოელნი და მე, დემეტრეს დამიწერია და მოწამეცა ვარ.

№ 49. 1740 წ. ნოემბრის „გასულს“. ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული  
ლუარსაბ აბულფათისშვილის მიერ გოსტაშაბ ასლანის-შვილისადმი. პირი,  
გადაწერილი XIX საუკუნის პირველ ნახევარში ლურჯ ქაღალდზე მხედრული  
ხელით. საქ. მუხ. ფ. Hd № 10029.

ქ. . . . . ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეცი მე,  
აბულფათის შვილი ლუარსაბმან, შვილმან ჩემმან ბეჟან, სახლისა მომავალისა  
ჩემისა თქვენ, გოსტაშაბს ასლანის შვილს იესეს, ძმასა შენსა იოვანეს, შვილსა  
შენსა ფარემუზსა;—ასე რომე ჩემი სამკვიდრო ბარა[თ]ში<sup>1</sup> გამოყოლილი მამული  
მეჭირებოდა და მოგყიდე ჩემი ცხვრისი ირინაშვილი ივანა და სუთიაშვილები  
მამულით, მთით და ბარით, წყლითა, წისქვილითა, შესავლითა, გასავლითა, სა-  
ძებრითა, უძებრითა, ყოველის მისი სამართლიანის საქმითა... მოწამე... ნამან-  
გლეღავის-შვილი გუგუნა ( ), ბეჟან გოსტაშაბი-შვილი ( ), ედიშერ, სამის-  
შვილი ნიკოლოზ, სუხანის-შვილი ედიშერ, ქავთარის-შვილი ვახუშტი და პაპუნა,  
ფარსადანის-შვილი ზაალ, მერაბაშვილი დათუნა, შანთიძე შიო. მე, ალექსი თორ-  
ქომინს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ქარტა ესე კა გიორგო-  
ბის გასულს, ქკს უკჟ. მე, ლუარსაბს ყაბული მაქვს ამ სიგლისა ( ).  
აშიაზე: მე, გურგენა გერმანოზის-შვილი მოწამე ვარ ამისი ( ).

№ 50. 1740-იანი წლ. ახლო. მუჩალგის წიგნი, მიცემული ზაალ ავალიშვილის  
მიერ ზაზა თარხნიშვილისადმი. დედანი. 14×8 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე  
მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია  
თითო წერტილი. თარიღი არ უხის. საბუთის მიმცემი ზაალ ავალიშვილი იხსე-  
ნიება 1747, 1749 წლების საბუთებში (დოკ. საქ. სოც. ისტორიიდან. I, გვ. 333,  
№ 470, გვ. 422, № 591). საბუთის მიმღები ზაალ თარხნიშვილი მოხსენებულია  
1740, 1746 წლების საბუთში (იქვე. № 413, 463). საქ. მუხ. ფ. Hd № 14388.

ქ. ესე მუჩალგის წიგნი მოგეც მე, ზ[ა]ალ ავალიშვილმა შენ, თარხნი-  
შვილს ზაზას;—ასე რომე ბატონთან კაც[ის] ცოლზე ეჩივლა: შობის დღეს ზაალ

<sup>1</sup> სწერია: ბარაში.

ავალიშვილმა გამ[ი]ყიდაო ცოლი. თუ იმაში ვერაო და დავლაზე არ მეშონოს და ბატონს და შემცოდე ვყავო (?) ოცის თუმნის მიმცემი ჯემწიფისა სარქარში.



№ 51. 1741 წ. ოქტომბრის „დამდეგს“. ნასყიდობის წიგნი, მიტემული გიორგი ყარაბუდახის-შვილის მიერ უსეინბეგისადმი. პირი, გადაწერილი XX საუკუნეში რეველის თეთრ ფურცელზე მხედრული ხელით. საქ. მუხ. ფ. Hd № 10270.

ქ. ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგართვით ჩვენ, ყარაბუდახის-შვილმა გიორგიმ და შვილმა ჩემმა შიომ და ლუარსაბ თქვენ, ბატონის შვილს უსეინბეგს. ჩვენ და პაატამ ოთარისაგან რომ მარაბდას თავისი წილი ვიყიდეთ, იმისგან ჩემი წილი ნასყიდი თქვენთვის მამიყიდნია თავიანთი მამულით, მიწაწყლით, ვენახით, სახნავით, და უხნავით, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ნასყიდითა, უსყიდითა ჩვენი მამული გლეხები მოგყიდეთ და ავიღეთ ფასი სრული და უნაკლულო, რითაც ჩვენი გული შეჯერდებოდა... არიან ამის მოწამე თავად ღ[მერ]თი კაცთაგან ზაალ მუსხალაშვილი, გიორგი ქავთარიშვილი, პაპუნა გაბაშვილი ( ), მე, მღელს ლაზარეს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი ღვინობისთვის დამდეგს, ქქს უკთ.



№ 52. 1741 წ. ნოემბრის 16-ს. მიწის ნასყიდობის წიგნი ტერ-ფილიპეს მიერ თავის ბიძაშვილების იესეს, ტარიელისა და დანიელისათვის მიცემული. დედანი. 17×12<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2772.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღ[ვ]თისათა ესე ნასყიდობის წიგნი მოგეც მე, ტერ ფილიპემ თქვენ, ჩემ ბიძაშვილებს ზურაბს, იესეს, ტარიელს და დანიელს:— ასე რომე გამოვიმეტე და მოგყიდე ჩემი პარავეკლეცის მიწა და მათეს ნავენახები. ავიღე ფასი სრული... მოწამე აბელა, ალთუნაშვილი თეიმურაზა, ბაბუაშვილი სადალა, ლუგასაშვილი ფირანა, თვითონ ჰე დამიწერია, ყაბულიც ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი გიორგობის ივ, ქქს უკთ +<sup>1</sup>.

№ 53. 1742 წ. აპრილის 24-ს. მიწის ნასყიდობის წიგნი მანუჩარ გლურჯიძის მიერ ზაზა მოურავის-შვილისადმი მიცემული. დედანი. 43<sup>1</sup>/<sub>2</sub> × 16<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 5246.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღ[ვ]თისათა მამისა, ძისა, სულისა წმინდისა[ა]თა, მინდობითა და შუამდგომლობითა ყოვლად წმინდისა ღ[ვ]თის მშობლისა და მარად ქანწულის მარიამისათა, მეოხებითა წ[მი]ნდისა წინასწარმეტყველისათა, ოხითა და მეოხებითა წ[მი]ნ[და]თა მთავარანგელოზთა მიქელ-გაბრიელისათა

<sup>1</sup> სათაური: ქ. ტერფილიპესა-გან მიცემული პარავეკლეციისა და მათეს ნავენახის ნასყიდობის წიგნი. უიგ.

და ყოველთა. წმინდათა, რანიცა სვინაქსარსა შინა მოიხსენებიან, ამათით მინდობითა და შუამდგომლობითა ესე მტკიცე და უცვალებელი ამიერიტგან ხანთა და ჟამთა გასათავებელი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, გლურჯიძემ მანუჩარ, შვილმა ჩემმ[ა]ნ ზაზამა და გაბრიელ და სახლისა მამავალთ თქვენ, მოურავ[ი]ს-შვილს ბადურის შვილს ზაზასა, შვილსა თქვენსა ბაადურსა და სახლისა მომავალთა ყოველთავე, ასე რომე დამეჭირა და მოგყიდე ჯავახის-შვილს ფარემუზის მოსყიდული სამის დღის მიწ[ა] ხანდაკურში ყარაღაჯულს რუს ქვეიდამ, მალაციძის ნაქონი მიწა. ფარემუზის მონასყიდობის ძველი წიგნიც თქვენ მოგეცით. ავიღევით ფასი სრული და უკლები, რითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდა. არა დარჩომილა რა ჩვენი თქვენზე, არცა ერთის იოტის ფასი. ვინცა და რამაც დიდმან, ანუ მცირემან ამ ნასყიდობას შლად ხელეყოს, მასმცა რისხ[ა]ეს დაუსაბამო ღმერთი, მასმცა ედების შიშეთილი იუდასი, ძრწოლა ქ[ა]ენისა და თანა დანთქმა აბირონისა, ვინცა ამას შემოგეცილოს დიდი ქ[ა]ცი, ანუ მცირე კაცი, პირისა და პასუხის მიმცემი ჩვენ ვიყვნეთ. არის ამისი მოწამე თავად ღმერთი, კაცთაგ[ა]ნ მეტეხის ნაცვალი ივანე . . . გელიტას-შვილი ოთარა +, თქვენი მსახური ადამა +, მორჩილადე ბახუტა +, ბებეშიძე ბერუა +, ბეეიტაშვილი ნარინა +, ერაჯულაშვილი ესტატა. მე, ბაზიერთხუცისშვილს ავთანდილს დამიწერია, მოწამეც ვარ ამისი, დაიწერა აპრილსა კდ, ქ[ა]ს ულ.<sup>1</sup> მე, მანუჩარს ეს ჩემის ხელით მამიწერია, ბეკელი გორს გირაოთ მქონდა. ამისი ყაბულიც მაქვს და ხელიც მე ჩამირთავს, ერთი ჩემი და ორის ჩემის შვილისა. ++ +

№ 54. 1742 წ. იანვარს 20-ს. პირობის წიგნი, მიცემული იესე ფიფაშვილის მიერ ოთარ სოლიკიშვილისადმი. დედანი. 14 $\frac{1}{2}$  X 10 $\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახზარია ორ-ორი წერტილი. საქ. სახ. მუხ. ფ. Hd № 2998.

ქ. ესე წიგნი მოგეც მე, ფიფაშვილმა იესემა შენ, ოთარა სოლიკიშვილს: — ასე რომე შენ ჯავახეთიდან ვარები გადმოგეყვანა აქ. მე ვიცან და გამოგართვი. მე შენთან საქმე არ მქონდეს. თუ ვინმე წამოგედაოს, მე რომ ვარები გამოგართვი, ამ ვარებზე პასუხი მე გავცე, შენთან არას კაცს ამის საქმეზე წელი არა ქონდეს. არის ამისი მოწამე იარალი ბეჟან დაღბაში, გორელი ხუდადაშვილი ქაიხოსრო<sup>2</sup>, მე, ავთანდილს დამიწერია, მოწამეც ვარ ამისი, დაიწერა თვესა იანვარსა კ, ქ[ა]ს ულ.

იასე<sup>3</sup>.

<sup>1</sup> სხვა ხელით.

<sup>2</sup> თითის ანაბეჭდია აქვე.

<sup>3</sup> ბეკელი.

№ 55. 1744 წ. იანვარი. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული პაპუა თუმანიშვილის მიერ ქრისტესია ჩარჩიაშვილისადმი. დედანი.  $44 \times 21\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. ან—მეტი. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია სამსამი წერტილი. საქ. სახ. მუხ. ფ. Qd № 215.

ქ. . . . . ესე . . . . . ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეცე მე, თუმანიანთ ელიზბარის შვილმა პაპუამ და შვილმა და სახლისა მომავალმა ჩემან ყოველთავე თქვენ, ჩარჩიანთ ბეჟანის შვილს ქრისტესიას შვილს და სახლის მომავალს თქვენს ყოველთავე მას ჟამსა, როდესაც დამეჭირა და მოგყიდე ჩვენი ალალი ნასყიდი ყმის ცოლი და შვილი ბერბუკელი მარქარას ცოლი ხოშია და ამისი შვილი ესტატე, მოგყიდე ყოვლის კაცის მოუდევარი და უცილობელი და ავიღევენ შენგან ფასი სრული და უკლებარი, რომლითაც ჩემი გული შეგჯერდებოდა. აღარა დარჩარა ჩემი თქვენს ხელთ არც ერთი იოტის ფასი. გყვანდეს და გიბედნიეროს ღმერთმა, როგორც მრავალს ახალს მონასყიდეს მართებდეს, ხელი გეწიფოდეს გასასყიდლათ გინდოდეს თუ გასაზითაჲდ, რათაც ფერათ მოსახმარისათ გინდოდეს. მოცილე არა გყვანდეს და ვერცა ვინ შემოგეცილოს თვინიერ ერთი ღმერთის მეტი და თუ ვინმე შემოგეცილოს, პირისა და პასუხის გამცემი მე ვიყო. ვინცა და რამაც გვარმა კაცმა ამის შლად და ქცევად ხელი ყოს (წყევლა) . . . არიან ამისი დამხდური . . . გორის მეღიქი თაყინანთ ზალუჲს შვილი ფარსადან, აქვერეცი ტერმესროფას შვილი ტერფარსელ, გორძაკალი ნასყიდას შვილი ტერმინას, სააკანთ ესტატეს შვილი ტერსააკა, ამირადანთ ამირას შვილი ზურაბ, ლანბარანთ ამირანას შვილი გიორგი, ხოჯაბეგანთ ნახარას-შვილი რევაზ, აღდათანთ გაბრიელის-შვილი ესტატე. მე, ზუბიას შვილს გაბრიელს დამიწერია, მოწამეცა ვარ. დაიწერა იანვრის დამდეგს, ქკს უღბ.

პაპუა

აშიაზე: მე, თუმანიშვილი გორჯასპი ამისი მოწამე ვარ.

გორჯასპი

მე, პაპუა თუმანიშვილს მამიცრან და ყაბული მაქს ამ სიგლისა. ( )

№ 56. 1748 წ. მარტის 12-ს. მამულის ნასყიდობის წიგნი ტარიელ ბერძნისშვილის მიერ მირზას-შვილის გიორგისადმი მიცემული. დედანი.  $31 \times 25\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. საქ. მუხ. ფ. Sd № 228.

ქ. ნებითა ღმერთისათა მამისა, ძისა და სულისა წმინდათა, ყოველთ წმინდის უმეტესათ კურთხეულის ჩვენის ღმერთის მშობლის მარადის. ქალწულის მარიამისთა, წმინდის ზეცის ძალთა ანგელოზთა, მთავარ ანგელოზთა მიქელ გაბრიელისათა, წმინდის წინაქსწარმეტყველისთა, წმინდის ათორმეტის მოციქულთა თქვეთ მოციქულთა პეტრეს და პავლესითა. წმინდის ოთხთა თქვეთა მახარობელთა მათე, მარკოზ, ლუკა და იოვანესითა, ამათისა და რაოდენიც წმინდანი ჩვენსა დიდსა სამეფოსა სვინაქსარში სწერია და ანუ მოიხსენებიან, ამათის თქვედებობით და მინდობითა შუამდგომილობითა ესე ფიცი და

პირი და ნ[ა]სყიდობის სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, ბერძნისშვილმა ტ[ა]რაელ და ძმამა ჩემ[მა] ლევან და შვილთა ჩვენთა გოგიამა და არდაშელ ბეჟან და ნ[ა]სყიდა, შვილთა ჩვენთა სახლის მანავალთა ყ[ო]ველთა შენ, მირ-ზ[ა]ს შვილს მოურ[ა]ვეს გიორგის, ძმასა თქვენთა დ[ა]ვითსა, შვილსა თქვენთა ომანსა, თ[ა]მ[ა]ხ[ა]სა, არდაშელსა და ზაზასა და ყ[ო]ველთავე სახლის მამავალსა თქვენისასა; — ასე რომე ჩვენსა ნ[ა]ხევარი ს[ა]წიქვილე უწინ მოგვიცვალე ნ[ა]ხევარში, ახლა მოგეცით ლომიტას-შვილის ნ[ა]სახლარი და ერთის დღის ნაფუზრით ზენ, ქრივ ჩემი მუხის მიწამდე თავი, ბოლო ს[ა]ქვენაქრო შენს მამულ[ა]მდინ თ[ა]ვის ნიგ[ა]ხით, ნერგით; აქ გ[ა]ლ[ა]ენის ბოლოს ერთის (bis) დღის, მიწა კოლას-შვილის მიწის თ[ა]ვამდინ. მექვაბიძის გადასწრივ ლიახ[ა]მდინ, საზენ[ა]ქრო შენს ნ[ა]სყიდამდინ მიწამდინ, იქით რუმდინ. ესეგი მოგეცით შენ. ნ[ა]ხევარი საწისქვილოში რომ წილი ქონდა ჩვენთანა, ის ჩვენ დაგვანებე. აღარა დ[ა]რჩომილა რა სალაპარ[ა]კო არც ერთი იოტის ფასი. ქონდეს და გიბედნიეროს გასასყიდათ, გასამზითვათ, რასაც ფერათ გინდოდეს ხელი გეწიფებოდეს. არვინ იყოს თქვენი მოცილიე თვინიერ ერთი დ[ა]ვითის მეტი. თუ ვინმე შემოგეცილოს, პირისა და პასუხ[ი]ს გამცემი ჩვენ ვიყოთ. ვინცა რამაც გვარმა კაცმა ამის შლათ ხელი ქცევათ ხელი ყოს, მასმც რისხ[ა]ვეს დაუსაბამო ლმერთი და ყ[ო]ველი მისი წმინდანა. ნურათამცა სინანულით ნუ იხსნების სული მისი ჯოჯობეთისაგან. ამინ. დ[ა]მ[ა]მტკიცებელი აქ[ა]ტოხოს ლმერთმა. ირან მისი მოწ[ა]მე თ[ა]ვათ ლმერთი და ყ[ო]ველი მისი წმინდანი, კაცთ[ა]გ[ა]ნა ჩვენი ბიძასშვილი გიორგი +, თ[ა]ველს შვილი დავით +, დ[ა]ვით[ა]ს შვილი ივანე, ჩილივდარი პეტრე +, თ[ა]თრის შვილი მამასახლისი იასე +, მადუასშვილი ბეჟან[ა] +, პატ[ა]რაძე პაპია. + მე. კატკატ[ა]ს-შვილს გიორგის დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი, დაიწერა ესე სიგელი მარტის თორმეტს გასულს, + ქკს უღვ. ++<sup>1</sup>.

№ 57. XVIII საუკუნის II მეოთხედი, მოწმობის წიგნი, მიცემული პეტრე გედევანიშვილის მიერ მეღქოასშვილის საქმეზე. დედანი. 12×10 სმ, დაწერილი ხეთრ ქალღღებ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახშირია თითო წერტილი. თარიღი არ უხის. შანშე ქსნის ერისთავი, საბუთში მოხსენებული პირი, XVIII საუკ. 20-იან—40-იანი წლების პოლიტიკური მოღვაწეა. საბუთიც ამ ხანას უნდა ეკუთვნოდეს. საქ. მუხ. ფ. Hd № 2690.

ქ. ლმრთის წინაშენ და სულ ქვეშ მე, პეტრე გედევანის-შვილს ასე მინახავს და ასე იყო, რომ ქსნის ერისთავმა შანშემ თავი დახსნილობის წიგნი მოსცა მეღქოას-შვილის თავობაზე ავთანდილს და შალვას. ორნივე შიგეწერნენ ამ წიგნში და ორთავე ერთათ მოსცა წიგნი. დ[ა]ვითის წინაშე მე ამისი მნახავი და მამსმენი ვარ. +

<sup>1</sup> სათაური: ლომიტ[ა]ს-შვილის ნ[ა]ფუზრისა.

№ 58. XVIII საუკ. მეორე ნახევარი. პაპუა, თუმანიშვილის, ნიკოლოზ თუმანიშვილის და სხვათა მოწმობის წიგნი. დედანი. 35×21 სმ, დაწერილი თეთრ ქალღებზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო, ორ-ორი, ან სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უხის. საბუთში მოხსენებული პირები—პაპუა, ნიკოლოზ და სხვა თუმანიშვილები XVIII საუკუნის პირნი არიან. საბუთში იხსენიება ერეკლე მეფე. ამისდა მიხედვით საბუთი XVIII საუკუნის მეორე ნახევარს ეკუთვნის. საქ. მუხ. ფ. Qd № 184.

ქ. მე, გიორგი თუმანიშვილი ხელთუბანს მოსახლეს თუმანიშვილებს და გლებთ ჯერ ღმერთს გაფიცებთ და მერე მეფის ერეკლეს მხეს. როგორც ეს დათიკა იმერელი ან მოჯამაგირეთ მდგომოდეს და ან რამდენიც წელიწადი ჩემს მამულში, ჩემს კედლათ, ჩემს ხიზნად მდგომოდეს, ღვეთის წინაშე, ამას ქვემოთ ასე სამართლით მოწმობა მოაწერეთ.

სხვადასხვა ხელით:

ქ. მე, პაპუა თუმანიშვილი ამისი მოწამე ვარ, რომ დათუკი მოვიდა და ასე ფიცით თქუა, რომ სამი წელიწადი გიორგის მოჯამაგირეთ უდექი, მასუკან იმის ხიზნათ ვიდექი.

ქ. მე, თუმანიშვილი ნიკოლოზ ამისი მოწამე ვარ, რომ დათიკა იმერელი სამი წელიწადი გიორგის მოჯამაგირედ უდგა და ხიზნათაც იმის მამულში იდგა. ნება სამართლისა არის, ნიკოლოზ.

ქ. მე, ხელთუბნის მღვდელი ევსტათი ღვეთის წინაშე ამას ვწერ: დათიკა იმერელი მოვიდა, ასე მომიწერეო, გოგიას სამი წელიწადი მოჯამაგირედ უდექო და მერე ამის კედლათ ვიდეგო.

ქ. მე, ხელთუბნის მღვდელი ტერ გეორქა ამას მოწმობ, რომ დათიკა იმერელი სამი წელიწადი გიორგის მოჯამაგირეთ უდგა, მას აქეთ იმის კედლათ არის.

ქ. მე, თუმანიშვილი ზურაბა ამისი მოწამე ვარ, რომ დათიკა იმერელი სამი წელიწადი გიორგის მოჯამაგირედ უდგა და ხიზნათაც იმის მამულში იდგა, ნება სამართლისაა +.

ქ. მე, თუმანიანთ ლთისავარის შვილი გოგია ამის მოწამე ვარ, ეს დათიკა იმერელი სამი წელიწადი გიორგის მოჯამაგირეთ უდგა და მასაქეთაც იმის მამულში, იმის ხიზნათ არის.

ქ. მე, ატენელი ბეროა რაც რომ თუმანიანთ და მღვდლებს უბძანებიათ ამისი დამსწრე და მნახავი ვარ, ნება სამართლისა არის.

ქ. მე, ცარიელაშვილი გოგია რაც თუმანიანთ და მღვდლებს უბძანებიათ ამისი დამსწრე და მნახავი ვარ, ნება სამართლისა არის.

ქ. მე, ამილახორი ნიკოლოზის შვილის ყმა ანესაშვილი ესტატე ღმერთსა ვფიცავ და მეფის ერეკლეს თავს, რომ ეს დათიკა იმერელი პირველად რომ გადმოვიდა, სამი წელიწადი გიორგის მოჯამაგირედ უდგა და მას აქედაც იმის მამულში იმის ხიზნათ იყო და ახლაც არის. არავის საქმე არა აქვს და ნება სამართლისაა.

ოთხმოცის წლის კაცი ვარ, ღმერთი მაცხონებს, ჩემი შვილებისათვისაც არ ვიტყვი ტყვილსა.

V

№ 59. 1751 წ. აპრილის 16-ს. წყალობის წიგნი იორამ თარხანის მიერ თვედორე მალრადისადმი მიცემული. დედანი, თავი დაზიანებული აქვს. 39<sup>1</sup>/<sub>2</sub> × 10 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2697.

ქ. ნებითა... ესე... წყალობის წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩვენ, ბატონმან თქვენმან თარხანმან იორამ, ძმა ჩვენმან გიორგიმ და იოანემ, ჩვენნი ბიძაშვილმა გლახამ თქვენ, ჩვენს ყმათ ხიზაბავრე[ლ]თ თვედორესა, ოქროსა, მალრადესა მასარესა, აღუასა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთა;—ასე რომე ჯავახეთიდან გადმოხვედით და ჩვენ ყმათ დაგვისახლდით, სარჩო და მამული გეთხოვეთ და ჩვენც გიბოძეთ თვალადხედ ჩვენისა ყმის ბასილაშვილის მამული სულ ჯელ-შეუვალათ, რისაც მამულის მკირაენი ყოფილიყენენ თავის სასაფლაოთი, სახლკარით, კალო-საბზლით, მინდვრითა, წყლითა, მითითა, ბერიითა, საწნავითა და უწნავითა, საკაფითა, და უკაფითა, ვენახითა, ქვევრ-მარნითა, საწნახლითა, შესავლითა და გასავლითა, ესენი ყველა თქვენ, ხიზაბავრელებისათვის გიბოძებია ვენაჯი, ასე რომე რაც ლაზარაშვილს მივეციეთ და შენსა და იმის განაჩენში დაგიწერია, იმ სამართლითა და სამძღვრითა და სხვა მამული რაც ბასილაშვილს სჭეროდეს, სულ ჯელ-შეუვალათ თქვენთვის გვი[ბო]ძებია. კიდევ მე[ი]დანში ჩვენი ნასყიდი ყიასაშვილისაგან მოსყიდული მუდნის მებიდნის(?) ხოდაბუნი ესეც თქვენთვის თავისის წყლით გვიბოძებია. გქონდესთ და გიბედნიეროსთ ღ[მერ]თ[მა]ნ ჩვენს ერთგულათ სამსახურსა შინა, არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა სხვათა შემდგომთა ჩვენთა ნათესავთაგან, ხოლო ამის დამამტკიცებელნი ღ[მერ]თ[მა]ნ აკურთხოს. დაიწერა წყალობისა წიგნი ესე ჯელითა ჩემ ქვათაგევის დეკანოზის შვილის სტეფანესითა, აპრილის ივ გასულს, ქკს ულთ.

[ ] 1

№ 60. 1751 წ. აპრილის 20-ს. ოქმი ზაზა თარხნიშვილისადმი მიცემული. პირი, გადაწერილი XX საუკუნეში თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 11437.

ქ. ჩვენი ბრძანება არის იასაულო თარხნის-შვილო ზაზავ, კრკონისა<sup>1</sup> მღვთის მშობლის შეწირული წისქვილი და საწისქვილო რომ არის, ის წისქვილი და საწისქვილო ავთანდილს ჯავახის-შვილს თავისის რძლის როინის ჯალაბისათვის არ დაუნებებია. ამას წინათაც როინის ჯალაბს ოქმი მივეციეთ, ის წისქვილი და საწისქვილო როინის ჯალაბს მოაბარე. მანამ ეს ცოცხალი არის ის წისქვილი ამან მოიხმაროს, თუ რამ მინდი ერგებოდეს, ამან აილოს ხოლმე, დახარჯოს და როიცა ეს მოკვდეს, წისქვილი ისევ კრკონისა<sup>2</sup> მღვთის მშობელს დარჩეს. რადგან იმისი შეწირული არის, სხვას ხელი აღარავის ექნება. აპრილის კ, ქკს ულთ. ( )

<sup>1</sup> არ ირჩევა.

<sup>2</sup> ტექსტში სწერია: კარკონის.

№ 61. 1751 წ. აგვისტოს 3-ს. ყმის ნასყიდობის წიგნი ზაალ ჯავახიშვილის მიერ შანშე ქსნის ერისთავისადმი მიცემული. დედანი. 61×21 $\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2804.

ქ. ნებითა... ესე... ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგეცით ჩვენ, ჯავახიშვილმა ზაალ და ძმისწულმან ჩემმან როინ თქვენ, ქსნის ერისთავს ბატონს შანშეს, ძმისწულსა თქვენსა და ვითს, იოანეს და იესეს და მომავალსა სახლისა თქვენისა ყოველთავე;—ასე და ამა პირსა ზედან, მოველ და შემოგებეწე და ჩვენისავე ნებითა მოგყიდე ჩვენი მკვიდრი და ბარათში გამოყოლილი საყავრელი კედელაძე ბერუკა და იმისი ბიძაშვილი იესე თავისის ცოლითა და შვილით უმამულოთ მოგვიყიდა... მოწამენი და დამხდურნი ბიძა ჩვენი ჯავახიშვილი ავთანდილ, პატრიაქის მოლარეთ ხუცესი პაატა ( )<sup>1</sup>, მგალობელი

იოსებ, 

მ[ო]ნა ღ[ვ]თისა მგალობელი იოსებ
---------------------------------

 ჩვენი ყმა ბიჭიკაშვილი ზაქარია, სალუყაზა

ნაშვილი აბრამ, ნინიაშვილი ოტია და სულ ერთობილნი ჩვენი ყმანი აზნაურშვილნი და გლახნი, დაიწერა თვესა აგვისტოსა გაქრისტეს აქათ ჩლნა და მე, პატრიაქის მდივანს მაღალაძეს ნიკოლოზს დამიწერია და მოწამეცა ვარაქქს ულთ.

მ[ო]ნა ღა ზაალ
-------------------

№ 62. 1751 წ. აპრილს. არზა, მიცემული ივანე ხახანაშვილის მიერ მდივანზუგბისადმი ამ უკანასკნელთა ოქმით. დედანი. 24×16 $\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2974.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ ჩვენის მოწყალის მდივანზუგბის კირი მათს ფერხთა მიწა მტვერს ერთაწმინდელს წმიდის ესტატის ყმას ხახანაშვილს ივანეს მოსცეს. ამას მოვახსენებთ: მამა ჩემი ფარეშისშვილის თევდორასაგან ნახევარი საწისქვილო იყიდა. მამა ჩემი ლეკებმა მოკლეს. სახლით და კარით აიკლეს, წიგნებიც ოქ დაიკარგა. ის ნასყიდობის წიგნი ურბნელი ფილიპესაგან არის დაწერილი. მე პატარა დაერჩი, არას შემეპოვა, ის ჩემი ნასყიდი წისქვილი კბილა გიორგი ქვიან, მეორეთ იმასაც უთხარი: ჩემი ნასყიდა, ნუ იყიდი მეთქი და... ნუ გამიყიდი მეთქი. მიბრძოვეს, არ შემეპოვნენ, წამართვეს. ლ[მერ]თი გაგიმარჯვებს, ამისი სამართალი მაღირსეთ.

ზემო აშიაზე: მდივანზუგბი ივანეს დიდათ იმედად მისაჩენლო ზურაბ, მერმე რასაც ამ არზის პატრონი არზით ჩივის, თუ სიტყვა არა ჰქონდეს, გამოურთვი, თუ სიტყვა ჰქონდეს, აქ სამართალში ჩამოიყვანე აპრილის... ქქს ულთ.

იოანე
-------

<sup>1</sup> არ ირჩევა.

მეორე გვერდზე: ამ ოქმის იასაულობა მდივანბეგმა მე, ზურაბ ნახუცვრის-  
 შვილს გვიბძანა, მიველ ერთაწმინდასა და იმ ქვეყნის უფროსი კაცნი დასხდენ.  
 ერასტი ცალქალამანიძე<sup>1</sup> ქ. მოვიდა ამისი მოწამე ბერიკაცი ხუციაშვილი იესე,  
 ქ. მესხაშვილი გიორგი +, ქ. ამილბარაშვილი ბერუკა +, ქ. გოჩიტაშვილა სეხ-  
 ნია +, ჩვენ, ერასტი ცალქალამანიძე, ჯანდიერის შვილი მამუკა, დეკანოზი  
 პეტრე, ბაგრატი ჯორაშვილი, ანანიაშვილი ადამ +, ესენი ლ[ვ]თის ქვეშე შევაგ-  
 დევით და ვაფიცეთ. ასე თქვეს: ხახანაშვილმა იყიდაო, წიგნიც დაეკარგაო. ამ  
 სამართალმა ეს მეორე მონასყიდი გაამტყუნა, ხახანაშვილს დარჩა. + + +  
 აშიაზე: ქ. ნახევარი ადგილი დარჩა ხახანაშვილს საწისქვილო.



№ 63. 1752 წ. სექტემბრის 25. მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემულია ზაალ  
 და ზურაბ გოსტაშაბის-შვილების მიერ ეშიკალასბაშ დიმიტრი ყაფლანის-შვილი-  
 სადმი. პირი, გადაწერილი XX საუკუნეში. საქ. მუხ. ფ. Hd № 11509.

ქ. . . . ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგართვით  
 ჩვენ, გოსტაშაბის შვილმა ბეჟანის შვილებმა ზაალ, ძმამა ჩემმან ზურაბ და მო-  
 მავალთა სახლისა ჩვენისათა თქვენ, ყაფლანის-შვილს ეშიკალასბაშს დიმიტრის,  
 შვილსა თქვენს მამუკას და მომავალთა სახლისა თქვენისათა; — ასე რომე დამეჭი-  
 რა და მოგყიდე ჩვენი სამკვიდრო წინანურს ჩვენი მამული თავისის შესავლი-  
 თა და გასავლითა. გქონდესთ და გიბედნიეროსთ ლ[მერ]თ[მა]ნ, რაგვართათაც  
 სხვას ალალს მონასყიდეს. არაფერი ჩვენი თქვენზედ არა დარჩომილა რა, არც  
 ერთი იოტის ფასი. ფასი სრულად აგვილია. ვინცა და რამამც კაცმან ამისად  
 შლად ჭეღვოს, მასმცა რისხავს მამა, ძე და სული წმიდა და შემცაედების  
 კეთრი გიეზისი, შიშთვილი იუდასი, ცოცხლივ დანთქმა დათან და აბირონისი,  
 ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ლ[მერ]თ[მა]ნ აკურთხოს. არის ამისი მოწამე  
 პირველად ლ[მერ]თი, კაცთაგან იარალის-შვილი ეშიკალასბაში ზაზა, ზურაბის  
 შვილი სუფრაჩი ზურაბ, ბოქაული ლუარსაბ, ჩვენი განაყოფი პაპუნა, იმისი ძმა  
 გოსტაშაბის-შვილი ვახუშტი, საამის-შვილი ედიშერ, გერმანოზის-შვილი გუ-  
 გუნა, ნამანგლელავის-შვილი ქაიხოსრო, იოთამის-შვილი ერასტი ( ).  
 ქავთარის-შვილი ნიკოლოს, გაბას-შვილი პაპუნა ( ), საგინაშვილი  
 ზურაბ, თურქისტანის-შვილი თამაზა, ფარემუზის-შვილი როსტომ, დიარაშვილი  
 მამასახლისი პაპა, წრაუთელი ყანდიაშვილი ბეჟუა და მე, სიონის კანდელაკს  
 შიოს ზურაბის სიტყვით დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა სეკდენბრის  
 კე, ქორანიკოს უმ, ქრისტეს აქეთ ჩღნბ ( ). მე, კორლანიშვილი თავ-  
 ლადარი ქაიხოსრო ამისი მოწამე ვარ ( ).

მდივანბეგი იოანე ორბელიანი ამისი მოწამე ვარ ( ). ქ. მე,  
 რამიშვილი ედიშერ ამისი მოწამე ვარ ( ).

<sup>1</sup> სხვა ხელითაა ჩაწერილი.

№ 64. 1752 წ. დეკემბრის 11-ს. არზა მიცემული ზურაბ გოსტაშაბიშვილის მიერ ერეკლე II-სადმი, უკანასკნელის ოქმით. დედანი.  $32\frac{1}{2} \times 12\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორ-ორი წერტილი. საქ. სახ. მუხ. ფ. Hd № 2911.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ ბედნიერის ჯემწიფის ქირი მათ ფერხთა მიწა მტვერს გოსტაშაბის-შვილს ზურაბს მოსცეს! მერე ამას მოვახსენებთ: ერთი ჩემი ყმა წლევეანდელი ჩასული ბიჭი ჰყავს ქისიყის მოურავს და უთქვენწიგნოთ არა მადლევს. ლ[მერ]თი გაგიმარჯვებსთ, იმის წყალობას ვითხოვ.

ზემო აწიანზე: ქ. ჩვენი ბძანება არის სულხან ეშიგალასო, მოურავს მოახსენე, ამ კაცზედ თუ სიტყვა არა ქონდეს რა, ეს კაცი ახლავ მოსცეს, თუ სიტყვა აქვს, ის კაცი კარზედ მოიყვანოს. ქრისტიშობისთვის ია, ქკს უშ.

( ერეკლე )<sup>1</sup>.

№ 65. 1753 წლის აპრილის 16-ს. ბატონყმობის წიგნი, მიცემული დავით გელიტაშვილის მიერ გორჯასპი მდივნისადმი. დედანი.  $21 \times 16\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. საქარ. სახ. მუხ. ფ. Hd № 14378.

ქ. ესე წიგნი მოგართვი მე, წოდორელმა გელიტას-შვილმა დავითამა თქვენ, ბატონს ჩვენს გორჯასპი მდივანს;—ასე რომ ბატონ-ყმობაზე ცოტა რამ შეგაწყინეთ და გამიწყერ. ახლა ეს წიგნი მოგართვი: წელიწადში კაცის თავს ექუსი აბაზი მალი და ბედნიერს დღეში ძღვენი არ დაგაკლოთ და თქვენც წყალობელი ბძანდებოდეთ. არის ამისი მოწამე გიორგი თუმანიშვილი და ბეჟან. + მე ზურაბს მწერალს დამიწერია, მოწამეც ვარ. დაიწერა ეს წიგნი აპრილის ივ, ქკს უშა. +

მეორე გვერდზე გორჯასპის ხელით: ქ. წოდორელი გელიტანთ დავითას მიცემული წიგნია მეჯორის-შვილისა.

№ 66. 1753 წ. მაისის 29-ს. თავდახსნილობის წიგნი დავით ჯავახიშვილის და თომა აბულვარდის შვილის მიერ ქიტია ნონიაშვილისადმი მიცემული. დედანი.  $63 \times 24$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2788.

ქ. . . . . ესე . . . . . თავდახსნილობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, ჯავახიშვილმა დავით და ჩვენმა აზნაურშვილმა აბულვარდის-შვილმა თომამა და ეფრემა და გიორგი, შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა შენ, ჩვენს, ყმას მელესელს ნონიას-შვილს ქიტიასა, შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა ყოველთავე;—ასე და ამა პირსა ზედან, რომე ავის დროსაგან და დიდის გაპირვებისაგან შენის ყმობისაგან ჯელი ავიღევით და ფასი გამოგართვით და თავი დაგახსნევიეთ და დასტური მოგეცით. ლ[მერ]თ[მა]ნ შენთვინ გიშველოს და ჯელი მოგიმართოს, თუ გინდა შენთვინ დადექ, თუ გინ-

<sup>1</sup> სათაური: ბატონის ოქმი.

და ეყმე ვისმე. დღეს ამას იქით თქვენთან არაფერისთანა საქმე არა გვაქვს რა, არც საბატონყმით, არც სამეზობლოთ, არც გამოსართმელად რისმე. გზაზედ რომ შემოგვეყარო, თუ შენ შენის ნებაწადილით არ გინდოდეს, სალამი არ მოგვეცე. ასე ჭელი აგვიღია შენზედ და თუ ღ[მერ]თ[მან] შეილი მოგვეცეს. ირცარა საქმე იმასთანა გვექონდეს. ეს თავდახსნილობის წიგნი და სიგელი მოგვიცია ჩვენ. არც ერთს იოტის ფასი არა გვაქვს რა. სიტყვითა, საქმითა და მოგონებით ეს წიგნი შენზედ ალალი იყოს. თუ დღეს ამას იქით შენ ან ჩვენ, ან ჩვენმა სახლის კაცმა და ნათესავმა, ან საჯავახიანოს კაცმა, ან ჩვენის ქვეყნის მოსაქმემ შენ, ნონიაშვილს ქიტისა და შენს შვილს და შვილიშვილს წამოგედგოს, პირის და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყვნეთ და ამ სიგელმა გაგვამტყუნოს ღ[მერ]თ[მან] და კაცთან. ვინც ეს ჩვენგან მოცემული წიგნი მოგიშალოს და წამოგედგოს, ან გამოსარჩომი მოინდომოს, ან ბრალიანათ, ან უბრალოთ წამოგედგოს ვინმე, რისხავს. . . . არის ამისი მოწამე ხერხეულიძე ავთანდილ, ქაშოეთის დეკანოზი პეტრე, დიდმელი გეგელის-შვილი ქიტესა, ამისი სიძე ზაზა, იოსებაშვილი მლდე-ლი საბა, ბეჟანის-შვილი ოთარი, სუხიტაშვილი გოდერძი; დავითაშვილი იოანე, მე, ქოთახევის მგალობელს ნიკოლოზს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამ სიგ-ლისა, ამათის ნებით დავსწერე. დაიწერა ამათის ნებითა და შერიგებით მტკიცე ესე სიგელი მისი კთ, ქკს ქკს აქეთ ჩღნგ, ქკს უმა.

მ[ო]წამე ლთისა  
დავით

თომა

აშიაზე: ქ. ჩვენ, მუხრან ბატონის სახლთხუცესი ზედგინიძე მერაბ და იობ ამისი მოწამენი ვართ.

ქ. ჩვენ, ცალქალამანიძე დავით ამ სიგლის მოწამე ვართ.

ქ. მე, მამასახლისი ბუღინაშვილი ამისი მოწამე ვარ. ( )

ქ. მე, ინდუაშვილი პაპუა ამისი მოწამე ვარ +.

ქ. მე, შაქარაშვილი ივანე ამისი მოწამე ვარ +.

ქ. მე, იელიანთ დავითა ამისი მოწამე ვარ +.

№ 67. 1753 წ. სექტემბრის 2-ს. განაჩენი თეიმურაზ II-ისა გლურჯიძეების საქ-მეზედ. დედანი. 26 $\frac{1}{2}$  × 15 $\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ იხმარება ორ-ორი წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 9714.

ქ. გლურჯაძე[ე]ები და ზაზას ჯალაბი სასირეთის ნასყიდობაზე ლაპარაკობ-დენ. რაც ზაზას სასირეთს როსტევანას-შვილისაგან მამული უყიდნია, იმის გარდა, რაც სხვა გლურჯიძე[ე]ებისაგან გასყიდული მამულია და ზაზას ჯალაბს უჭირავს, რაც ზაზას სასირეთს მიწაში ფასი მიუცია, ის ფასი უნდა მიეცეს და რაც ნაშენობა უქნია ზაზას ვენახი, ბალი, ციხე, სახლი, თუ კედელი, ის ნამუშე-ვარი ამაგი უნდა სამა ოთხმა სულის მოყვარე კაცმა ღ[ვ]ეთის წინაშე დ[ა]ფა-სოს, ისიც ზაზას ჯალაბს უნდა მისცენ გლურჯიძე[ე]ებმა, მიწის ფასიცა და ნა-შენობის ფასიც, როგორც დაფასდეს, ორივე უნდა მისცენ. ამას გარდა ამ ნას-

ყიდობის ბარობაზედ განაჩენი თუ ან გლურჯიძე[ე]ებს ქონდეს და ან ზაზას ჯალაბს, ბათილი არის. მტკიცე ესოდენ არის. ენკენისთვის ზ, ქკს უმა. რაც ზაზას კაცი მოუყვანია და დაუსახლებია მემკვიდრეს გლურჯიძის ყმის გარდა, არც იმ გლეხთან აქვსთ გლურჯიძე[ე]ებს ხელი.

უ[ფლისა]დ მ[იერ] მ[ე]ფ[ედ] ცხ[ე]ბ[უ]-  
ლი თეიმურ[ა]ხის დამტკიცებ[უ]ლი

№ 68. 1754 წ. იანვრის 25-ს. საზართალი იეზანთ მერაბაშვილი ოსეფასა, შადინანთ როსტომასა და სხვ. მეითრისშვილ ქაიხოსროსა და ლომინასშვილების საქმეზე. დედანი. დაზიანებული. 35 $\frac{1}{2}$  × 16 $\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ორი-სამი წერტილია ნახმარი—საქ. მუხ. ფ. Hd № 2995.

ქ. ბატონის მეფე თეიმურაზის ბძანებითა მეითრის-შვილი ქაიხოსროვსა და მისის შვილი პაატას და ამათი ყმების ლომინას-შვილების სამართალში დავსხედით ჩვენ, იეზანთ მერაბას-შვილი ოსეფა და შადინანთ როსტომა და ნიკოლოზის შვილი იობა;—ასე რომე ლომინას-შვილები თავიანთ სახლ-კართა მეითრიანთ ნასყიდი ყოფილან და ესენი ოთხნი ძმანი ყოფილან მამაჯანა და აეთანდილა და გიორგი და ფასოა და ამ ძმებსა, როცა გაყრა მოუნდომებიდაი, თვითონ თავიანთ ბატონს ქაიხოსროს გაუყრია, რომ იმ ძმების გასაშყრელო წიგნში ქაიხოსროს ბეჭედი ძეს, რომ ამ ოთხი ძმისა, მამაჯანა და აეთანდილა ერთგან გასულან და გიორგი და ფასოა ერთგან გასულან და სახლ-კარი და შვიდი თუმანი ვალი ორი ძმისათვის, მამაჯანა და აეთანდილისათვის მიუცემია და ის ორი ძმანი ცარიელი უვალთ გასულან და შვიდ თუმანს ვალს გარდა ერთი ქალიც ჰყოლიათ, ოთხი თუმანიც იმისთვის თავიანთ სიცოცხლეში ზითვისათვის მიუცემიათ, რომ შეიქნა ვალის ჯამი თერთმეტი თუმანი და რადგან თავიანთ ბატონს ქაიხოსროვს გაუყრია და ვალიც თვითან დაუღვია, ეს თერთმეტი თუმანი ვალი ქაიხოსრომ და თავისმა შვილმა პაატამ უნდა მისცენ და სახლკარი თავიანთია და ამ ვალებს გარდა უკანის დროს სხვა ვალებიც ექნათ, მაგრამ არ ჩავადღევით და ამათი ყმის ქვრივი ბერი ღელაკაცი დარჩომილა, ან უნდა შეინახონ, ან უნდა სამარხი მისცენ. ბძანება მათია.

□<sup>1</sup>

მ[ონა] [ღ]ვითი-  
სა როსტომ

□<sup>1</sup>

Verso ქ. ამ წიგნის რომ თერთმეტი თუმანი ვალის თავნი და მზითვის-თვინ დაღევ და რვა მინალთუნი სამარხათა, ეს თერთმეტი თუმანი და რვა მინალთუნი ქაიხოსროს და პაატას ხელითა მოგვებარა. დღეს და დღეის იქით ერთმანერთან სადაო არა გვაქვს რა . . ამისი მოწამე მღივანი გორჯასპი (გორჯასპი). მე, ბეჟანს თავლიდარს დამიწერია . . იანვრის კე, ქკს უმბ.

Verso აშიაზე:

მე, ციციშვილი პატარა გლახა ამის მოწამე ვარ.

<sup>1</sup> არ ირჩევა.

№ 69. 1754 წ. აპრილის 7-ს. ყმის ნასყიდობის წიგნი მიცემული ბერი ფალავანდიშვილის მიერ ნიკოლოზ ამილახორიშვილისადმი. დედანი. 31×20<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. საქ. მუზ. ფ. № 2732 Hd.

ქ. ნებითა და შეწვევითა ღთისათა ესე ამიერ უკუნისამდე გასათავებელი მტკიცე და შეუცვალელებელი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგართე მე, ფალავანდიშვილმა ბერმა თქვენ, ამილახორიშვილს ნიკოლოზს და შვილსა თქვენსა ერასტის, დემეტრეს და ივანეს და მომავალსა თქვენს; — ასე რომე ჩემი გახელაძე გიორგი თათრისაგან დაგეხსნათ. მოველ და წამოგედავე, ულაპარაკოთ მომეც, რითაც ჩემი გული შეგჯერდებოდა, ფასი, რომე მე მაგ გახელაძე გიორგთან ხელი აღარა მაქვს უმამულოდ. ეგ მარტო უძმოდ და უსახლის-კაცოდ თავისის ცოლით და შვილებით მამიცემია. ლ[მერ]თ[მა]ნ როგორც სხვას აღალს მონასყიდეს მოხმარებოდეს, ისე თქვენ მოგახმაროს. არა დარჩომილა რა ამ საქმეზედ თქვენზედ ჩემი ერთი იოტის ფასი სადაო და სალაპარაკო. ვინც ამაშიდ წამოგედავოს, პირისა და პასუხის გამცემი მე ვიყო. ვინც ეს ნასყიდობა მოგიშალოს, მასმც რისხავს მამა, ძე და სული წმინდა, მლთაებო ოქონისა და წმიდა გიორგი ატოცისა. არის ამისი მოწამე თავად ლ[მერ]თი და ყოველი მისნი წმიდანნი. კაცთაგან არის ამისი მოწამე თუმანიშვილი მდივანი ედიშერ, ფაუნელიშვილი ავთანდილ, შალუბათაშვილი არაქელ, უსტა იესეს შვილი ზურაბა [ ] მე, ზალ ფალავანდიშვილს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი.

(სხვა ხელით):

მე თითონ ბერმა ეს ჩემის ხელით მოვაწერე და ყაბულიც მაქს ამის, რომ გვერთს უდექ ზალს და ჩემის ყაბულით დასწერა ეს სიგელი. დაიწერა ეს წიგნი აპრილს 8. ქკს უმზ. [ ] ბერი

№ 70. 1755 წ. მაისის 29-ს. წილის წიგნი ზაზა თარხნიშვილისა. დედანი. 7×11 სმ, დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუზ. ფ. Hd № 9709.

ქ. ერთს წილათ ერგო დავითის შვილს თარხნის-შვილს ზაზას კარგარეთელის ფარდათ, საჭინახულოს გარდათ, მოდრეკილაძე იოსება და ნინუა და მოსის შვილი გეგელა და პონტილეს შვილი თევდორა თავისის მამულითა, დღეს რისაც მქონებელნი არიან. კიდევ სამი თუმანი თარხანმა გიორგიმ ზაზას მისცა-მაისის კთ, ქკს უმზ.

[ ]<sup>1</sup> გიორგი<sup>2</sup>

№ 71. 1756 წ. იანვრის 12-ს. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზაზა, მანუჩარ და სხვა სოლალაშვილების მიერ თამაზ ბებურიშვილისადმი. დედანი. 41<sup>1</sup>/<sub>2</sub>×23<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუზ. ფ. Hd. № 2763.

ქ. ნებითა... ესე... ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, სოლალაშვილებმან ზაზამ, მანუჩარ და იორამ თქვენ, ბებურის-შვილებს თამაზს, ძმასა თქვენსა გორჯასპის და აიდეშურს, შვილსა თქვენსა იოანეს

<sup>1</sup> არ ირჩევა.

<sup>2</sup> ხელრთვა.

და მომავალთა სახლისა თქვენისათა:—ასე რომე ჩვენი შემკვიდრე ბარათში გამოყოლილი ყმა ტაგნაგელი ტურიაშვილი თამაზა თქვენს მამულში ჩამოსულიყო კოკლი, მეწისქვილე და თქვენს ილაშვილთან მისულიყო. ამ ჩვენის ყმის გასყიდვა მოვიწოდებთ თქვენვე მოგყიდეთ და გამოგართვით ფასი სრული და უნაკლულო, რასაც ჩვენი გული შეგჯერდათ. აღარა დარჩა ჩვენი თქვენთან სადაო და სალაპარაკო, არც ერთის იოტის ფასი. გყუანდეს და გიბედნიეროს ღ[მერ]თ[მა]ნ, . . . . თუ ეს კაცი წამოგივიდეს და ჩვენს მამულში მოვიდეს, ისევე მოგცეთ. ამ პირობით მოგვიცემია. არის ამისი მოწამე თავად ღ[მერ]თი და

კაცთაგან მოთამის-შვილი რევაზ [რევან], მდივანბეგის მღვდელი იოსებ-იოსებ<sup>1</sup> აფხაზიშვილი დავით, მდივანი სოლომონ, სოლომონ<sup>2</sup>. ჯანდიერ

რიშვილი გოგია, + და ჯანდიერ [მ]ო[ნ]ა [ღ]ვთის[ი]ა ჯანდიერ მე, ჯვარის საყდრის

დეკანოზს ამათის სიტყვით დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დიწერა იანვრის თორმეტს, ქრისტეს უმღ, ქრისტეს აქეთ ჩღვ. თუ სხვაგან წავიდეს სადმე, ჩვენთან კელი არა გაქუს. სხვა ხელით: მე ზაზას სოლალას ყაბული მაქს შვილს ამისი.

ზაზა

მანუჩარ

№ 72. 1756 წ. იანვრის. 18-ს ყმა-მამულის გაყოფის წიგნი მიცემული ერთობილთ მცხეთელთ, სახლთუკვს გიორგი მალალაძის და სხვათა მიერ . . . .  
ჯავახიშვილისადმი. პირი, გადაწერილი XX საუკუნეში. საქ. მუხ. ფ. Hd № 11512.

ქ. ნებითა ღ[ვ]თისათა ჩვენ ერთობილთ მცხეთელთ: მალალაძემ სალთ-უხუცესმა გიორგიმ, გედევანის-ძემ სარდარმა გაბრიელ, მდივანმა ნიკოლაოზ და სუფრაჯმა პაატამ, ეს წიგნი მოგეცით თქვენ, ჯავახის-შვილს, შვილთა თქვენთა მზეჭაბუკს, თეიმურაზს და ვახუშტის;— ასე რომ მამა თქვენს ფარემუხს და თქვენ ახალქალაქს ლიპუაშვილი დავითა თავისი მამულითა ნასყიდითა და უსყიდით შეპოგეწირათ. თქვენ მობძანდით და იმაზე ლაპარაკი დაგვიწყვეით. ჩვენ ეს წიგნი მოგეცით ამ პირობით: ლიპუაშვილი დავითა და ნახევარი იმისი მამული ნასყიდი და უსყიდი სვეტის ცხოველს დარჩა და დანებდა ხელშაუვალად და უცილობელად და ნახევარი დავითა ლიპუაშვილის მამული ნასყიდი და უსყიდი თქვენ დაგანებეთ, კაცს გარდა. დღეს და დღეის იქით ერთმანეთთან ამ საქმეზე დაეა და ლაპარაკი აღარა დარჩა რა და თუ ეს ნახევარი მამული თქვენ გამოგერთოთ და ან წამოგედავოს ვინმე, პირისა და პასუხის გამცემნი ჩვენ ვიყვნეთ. ჩვენ ეს წიგნი ამისთვის მოგეცით მშვიდობისა და სიყვარული-სათვის, რომ დღეის იქით ერთმანეთში ლაპარაკი აღარა იყოს რა თქვენსა

<sup>1</sup> ხვეულად სხვა მელნით.

<sup>2</sup> ხვეულად.

და ჩვენში. არის ამისი გამრიგე და დამსწრები და მოწამე ციცი-ს-შვილი უზ-ბაში ფარსადან და ნ. . . . სოლბათ ისაჟული სამის-შვილი ედიშერ, ქლივიძე სიმონ და მეზაქარია[ს] დამიწერია, მოწამეცა ვარ. დაიწერა იანვრის იმ, ქკს უმდ.

№ 73. 1756 წ. ივნისის 2-ს. სამართალი თეიმურაზ II-ისა გორელი იოსებ ოსინას-შვილისა და ბაღდასარ საფარას-შვილის საქმეზე. დედანი. 43×16 სმ, დაწერილი თეთრ ქ-ლადზე მხედრული ხელთ. განკვეთილობის ნიშნად ორ-ორი წერტილია ნახმარი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2620.

ქ. გორელი ოსინას-შვილი იოსება საფარას-შვილს ბაღდასარას და ამის ძმის წულს ბეჟანას ამას უჩიოდა, — ჩემი სიგლით ნასყიდი ყმანი ხართო, პაპის თქვენისაგან მოსყიდული სიგელი მაქვსო. სიგელი ხელთ ქონდა, მაგრამ სიგელზე ბეჭედი არ უჯდა, არც მოწმისა და არც სხვა. საფარას-შვილის სიტყვა ეს იყო: ორმოცს წელიწადს მაგდონი არ აკლიარაო, რომ გორიდან გავსულვარო: მართალია, პაპაჩემი ნახჩუენიდან რომ მოსულა, მაშინ გორგიჯანას-შვილის კედლათ ყოფილა და იმას ძისვლიაო. ვალიც მართებია გორგიჯანას-შვილისაო. გორგიჯანას-შვილები რომ ამოწყვეტილან, მერმე თავის თავათ ყოფილა და მერაბა პაპა შენი რომ მოხელე ყოფილა გორისა, იმას ხელი დაუდვიაო და ცოტა ხანს თქვენს კედლათ ყოფილანო. რადგან ვალისაგან გატეხილი ყოფილა პაპა ჩემი, თავისი შვილები ლუსიკას-შვილისათვის მიუყიდნიაო და ლუსიკას-შვილისათვის ნასყიდობის წიგნი მიუცემიაო იესონ სალთხუტის მოწმობითა და ბეჭედითა და მას უკან ლუსიკას-შვილისაგან ის ნასყიდობის წიგნი ბეგია ჩემს დაუხსნიაო და ახლა ჩვენ ხელთა გვაქვს ის ნასყიდობის წიგნიო. ერთი ნასყიდობის წიგნი საფარას სახელზედ მოცემული ოსინას-შვილს ქონდა ხელთა და ერთი სიგელი საფარას-შვილს ქონდა ხელთ, რომ კიდევ საფარას მიეცა ლუსიკას-შვილისათვის თავისი შვილები ნასყიდათ და ოსინას-შვილი თვითონ მერაბა და ბაინდურა ორივე მოწმათ შიგ ეწერნენ, ბეჭედი კი არ უჯდა ამათი, არც ბეჭედის ალაგი ცარიელი იყო, ისე მოწმათ ეწერა. მაგრამ ოსინას-შვილს რომ უბეჭდო სიგელი ჰქონდა, ის სიგელი სამის თვით უკან იყო დაწერილი. ლუსიკას-შვილის სახელზედ რომ სიგელი იყო დაწერილი, იმ სიგელზედ რადგან ლუსიკას-შვილის სიგელი უფრო უკანდელი იყო დაწერილი და ოსინას-შვილი ორივე ძმანი მოწმათ შიგ ეწერნენ, უწინდელს სიგელს წინ აუდგებოდა. მაგრამ საფარას-შვილი[ს] სიტყვა ეს იყო: ეგ სიგელი ტყვილათ-გაკეთებული არისო და აგრევე იოსება ოსინას-შვილი ამბობდა, რომ ლუსიკას-შვილის სახელზე რომ სიგელი სწერია, ტყვილი არისო და ჩემი პაპის მოწმობაც ტყვილად დაუწერიათო. ამათ ხომ ამა სიგლების დაწერა არცერთს არ ახსომდათ და არც იმ ხანისანი იყვნენ. მოწამე ვთხოვეთ. თუ საფარას-შვილმა ამგვარი მოწამე იშოვოს, რომ საფარას-შვილები ლუსიკას-შვილს ნასყიდათ ყოლოდეს, რადგან ოსინას-შვილი მოწმათ უწერია, ოსინას-შვილის სიგელი მაშინვე გაცუდებულია და თუ საფარას-შვილმა მაშინდელი დამწერ მოწამე ვერ იშოვოს, მას უკან ოსინას-შვილმა ამგვარი მოწმეები იშოვნოს იმ ხნისა, რომ სწორედ იცოდეს, რომ ოსინას-შვილის ნასყიდობის წიგნი მართალი იყოს და

ლუსიკას-შვილებს ნასყიდათ არა ყოლოდეს საფარას-შვილები და ამათს მოწმობას გავსინჯავთ, და თუ, ვინიცის, მოწამე ვერც ერთმა ვერ იზოონ, კიდევ ჩვენს სამართალში ილაპარაკონ, სამართალს სხვას უზამთ. მთიბათვის ბქქს უმდ

....თეიმურაზის  
დამტკიცებული

№ 74. 1756 წ. იენისის 5-ს. არზა, ტერ მელიქსეთასი თეიმურაზ II-სადმი, უკანასკნელის ოქმით. დედანი. დახიანებულია მარჯვენა კიდე. 21½×17 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხეარული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორ-ორი წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd. № 14366.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის კწირი და სატკივარი მოსცეს თქვენს ყმას, მლოცავსა ტერ მელიქსეთასა, მერე ამას მოვახსენებ ჩემს მოწყალესა, რომ კავთისხეველი ჭანიას-შვილი ბეროსაგან ურუმობას ერთი გოგო ვიყიდე ოთხის წლისა. აქამდინ გავზარდე შეილსავითა, ასე რ[ომ] ოცდა[ოთხ]ი წელიწადია, რომ ვინახავ. ახლა გამაპარეს და წაიღეს კავთისხევეს. არ მანებებენ, (ჭანიას-შვილი ივანამა)¹ ჩემი ნასყიდი გოგო. თქვენგან იმდენი წყალობა იყოს, რომ ჩემი გოგო მე მამაცემინო, ღმერთი გაგიმარჯვებს.

ქ. ჩვენი ბძანება არის იასაჟლო იასე ყორჩის-შვილო, ეს ტერტერა რომ გოგოს მოპარვას უჩივის, ის გოგოს პატრონი სამართალში მოიყვანე. მთიბათვის ე. ბქქს უმდ.

უ[ფლისა]მ[ერ] ცხ[ებ]ული  
თეიმურაზის დამტკიცებული

№ 75. 1755 წ. სექტემბრის 12-ს. ანდერძის წიგნი ბეჟან თუმანიშვილის მიერ გორჯასპი თუმანიშვილისადმი მიცემული. პირი, 1797 წელს გადაწერილი ლაშქარნავის ომან ხერხეულიძის მიერ. ორფურცლიან თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. საქ. მუხ. ფ. Hd № 14375.

ქ. ზე აღიდნეს ღმერთ[მა]ნ მეფეთ მეფე თეიმურაზ და ძე მისი ირაკლი განაძლიეროს ღმერთ[მა]ნ, ისმინოს აჯა და მოხსენება ჩემი, თუმანიშვილი თავიღარი ბეჟან მოვახსენებ ანდერძსა ამას. რადგან სოფელი წარმავალი არს და მეც უტოლშვილო გახლდი ჩემს უკან ჩემის პაპისა და ბიძის და მამის დანარჩომი სასახლე, ბაღის ადგილი, ყმა მამული, მიწა-წყალი, შესავალი, გასავალი, რაც რამ ფერი დამრჩა სულ ხელი ერდპერ მდივნის გორჯასპისათვის ანდერძი მიქნია; მამის ჩემისაგანაც მე ასე მქონდა ანდერძი და მეც ჩემის მამის ანდერძის გატება ვერ შეეძალ. რადგან უტოლშვილო ვაყავი, მამას ჩემსაც მაგისტვის კელი მოეკიდა. მეც მაგის კელათ ვაყავ ჩემს სიცოცხლეში და ჩემს უკან ანდერძიც ეს მაგას დაუწერე და მივეცე; დაქვენს სამსახურს და რაც რამ ფერით შეძლება იქნებოდეს ჩემის მამულიდამ, მდივანს გორჯასპის დამსახურებდეთ. რაც მართებული სამსახური იყოს, ყმასაც ისე იმსახურებდეს და კარგა მოუვლიდეს სამართლიანის საქმით. უსამართლოს ნურც თვითან უზამს და ნურც სხვას აქ-

¹ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები დედანში სტრიქონის ზემოდან წერია.

ნევენებს უსამართლოსა, რომ ჩემის მოხსენებით თქვენი უკადრისი არ იქნას და ჩემის სულის საგინებელი და ღვეთის საწყენი არა მოხდეს რა. ეს ჩემი მოხსენება და ანდერძი დასრულდეს და მომშლელს ქრისტეს სამართალში პასუხს ვთხოვ და სამართალს ღვეთისაგან მოველი და მოვახსენებ. დავსწერე ეს ანდერძი ენკენისთვის იბ გასულს, ქკს უმგ. ეს ჩემი ხელია. მე ხერხეულიძე ლაშქარნივისმა ომან ამისი ასლი ვნახე და წინაშე ღთისა უმეტნაკლებოდ გადმოვსწერე, მაისის ვ. ქკს უპე.

ომან<sup>1</sup>

სხვა ხელით: ქ. ჩვენ, ამილახვარმა ოთარმა ამისი ასლი ვნახეთ და ეს სავადი დავბეჭდეთ

ოთარ<sup>2</sup>

ქ. ჩვენ, ორბელიანმან ნიკოლოზ ამისი ასლი ვნახეთ და სავადი დავბეჭდეთ

ნიკოლოზ

ქ. მე, ამილახორის-შვილმა გიორგიმ ამისი ასლი ვნახე და ხელი მოვაწერე, და დავბეჭდე

გიორგი

ქ. ამისი ასლი ვნახე, ამა სავადზედა ხელი მოვაწერე მე ბაბალაშვილი ავთანდილა. ავთანდილ<sup>3</sup> განის აშიაზე:

ჩვენ ბატონიშვილმა იულონ ამისი ასლი ვნახეთ და ეს სავადი დავბეჭდეთ. მაისის თ, ქკს უპე.

ღვეთის მშობლის სასო-  
ანი იულონ დავითიანი

№ 76. 1756 წ. დეკემბრის 3-ს. ყმის ნასყიდობის წიგნი ქვემო ბოლნისის მამასახლისის ფირდას მიერ გიორგი თუმანიშვილისადმი მიცემული. დედანი. 35x20 $\frac{1}{2}$  ს., დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2752.

ქ. . . . . ესე ნასყიდობის წიგნი . . . . . მოგეცი მე, ქვემო ბოლნისის მამასახლისმა ფირდანა და გორჯასპიმ, მამაყალმა სახლისა ჩემისამ კაცმა თქვენ, თუმანის-შვილს გიორგის, მამაყალსა სახლისა თქვენისასა კაცსა;—ასე რომე ჩვენი ყმა აბოვაბი პატარა შვილი დარჩა ობოლი მესროფა. დიად პურძვირობა შეიქმნა და შიმშილობა. შენახვა ვერ შეუძელი, ავდექ და მოგყიდე და ავიღე ფასი, რაც ჩვენი გული შეგჯერდებოდა. ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან.

<sup>1</sup> ასომთავრულით.

<sup>2</sup> ასომთავრულით.

<sup>3</sup> ხვ. ჯღალდ.

მლთის მეტი შენი მოცილე და მოდავე ხრავინ იყოს და თუ ამაზე წამოგედა-  
ყოს ვინმე, პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყუნეთ. არიან ამისი მოწამენი  
და დამხდომნი თავად ღმერთი და ყოველნი იმისი წმინდანი. კაცთაგან შაშია-  
შვილი გიოა, კაცოა, იაგულაშვილი შიოშა [მონ]ა [ღვთ]ის[ა] შიოშ, შუა: ბოლნისის  
მამასახლისი ხალია [ხალ], მე ფირდას დამიწერია ყაბულიცა ვარ. დაიწერა  
ქრისტიანობისთვის გ, ქკს უმდ.

განის აშიაზე სხვა ხელთ: მე შანშიაშვილი ბახუტა ამისი მოწამე

მონ]ა [ღვთ]ის[ა]  
ბახუტი

კიდევ სხვა ხელით: მე, შანშიაშვილი გივი ამ სიგლის მოწამე ვარ. ბექე-  
დი არა მქონდა, ეს ჩემი ხელია.

№ 77. 1756 წ. არხა მიცემული მარტყოფელი მგელია სომხიშვილის მიერ ერეკლე  
II-ისადმი, ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი. 33 $\frac{1}{2}$ :16 სმ, დაწერილი თეთრ ქა-  
ლადღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვაა შემდეგ  
ნახმარია სამ-სამი წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2704.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ ბედნიერის გემწიფის კირი და სატკივარი მათ ფეგტ  
შიწა-მტვერს მარტყოფელს სომხიშვილს მგელიას მოსცეს! მერმე დაკარგული  
ვიყავ და გელთუბნელმა თუმანის-შვილმა პაპუან დამიხსნა, თორმეტი წელი-  
წადი, შინა მიმსახურნია, მერმე უბრალო საქმეზე გამიწყრა და დიად გამლაგა,  
ბორკილში ჩამაგდო, ავით გაეგდი, ვკუდებოდი. მოვიდა იმისი განდობის მამა  
პატრი, ენახა და უთხრა: თუ ამ ბიჭს არ აუშვებო და აზატს არ უზამო, ჩემ-  
თან ნულარ გაივლიო. იმისის ქართულითა ამიშო და აზატი მიყო, წადი  
ლ[მერ]თ[მა]ნ გიშველოსო. წამოველ. მას აქეთ ხუთი წელიწადი ვიცოდილე და  
თქვენის დოვლათითა უღელი კანბეჩი მოვიყოლივე, იმისი ხუთი მინალთუნი  
ჯერაცა [მ]მართებს და ჩემი ქვეყანა და ჩემი მეზობლები და ჩემი სახლის კაცი  
გავიციან და იშათას მივდიოდი და შამიტყო—ეს კაცი თავის ქვეყანას მიდი-  
სო მოდანაზედა (?), უღელი კანბეჩი წამართო და წაასხა. ჩემთან საქმე არა აქვს  
რა, თქვენი ყმა ვარ, ნუ დამკარგავთ, თქვენის მლთისა გულისათვის, თქვენის  
შვილის სადღეგრძელოდ და თქვენდა გასაძარჯვებლად სამართალი ზალირსეთ.  
ზემო აშიაზე:

ქ. ჩვენ მაგიერად თუმანის-შვილს პაპუას ასე უანბეთ; მერმე ამ მარტყო-  
ფელის სომხის-შვილისათვის რომ აზატი გიქნია და გაგიშვია, ახლა ისევ და-  
გიქერია და ორი კანბეჩი წაგირთმეგია, — რას ემართლებოდი? აზატ-ნაქნარი  
კაცი დაგირბეგია, თუ სიტყვა არა ქონდეს რა და ეს აზრი სწორე იყოს, თავისი  
კანბეჩები ისევ უკანვე მოეც და თუ სიტყვა რამ ქონდეს ამასთან, ჩვენ მო-  
გვახსენე. ქრისტიანობისთვის იგ, ქკს უმდ.

ერეკლე

№ 78. 1757 წ. სექტემბრის 16-ს. გარდაწყვეტილობის წიგნი მიცემული იოვანე მღვიანბეგის მიერ ზაალბეგისადმი. დედანი.  $31\frac{1}{2} \times 13$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 2196.

ქ. ესე წიგნი მოგეც მე ბიძათქვენმა მღვიანბეგმა იოვანემა თქვენ ჩემს ბიძაშვილს ზალბეგს; — ასე რომე ამას წინათ ჩვენ ისპანს ვიყავით, ისპანიდამ შენც დედაკაცები გაიყუ[ა]ნეთ და მეც მანუჩარს გაყუანინე დედაკაცები. მე შენს გაყუანის დედაკაცებს წამოგედავე და შენ მანუჩარის გაყუანის დედაკაცებს მე წამომედავე. ამ დედაკაცების ბარობაზე ჩვენში ლაპარაკი ჩამოგვივარდა და ჩვენ ერთმანეთს შევრიგდით. ამ თარიღს იქით ამ დედაკაცების ბარობაზე ჩვენში ლაპარაკი და სადავო არა არის რა, შენს გიროებს გარდა, რომ შენი გიროები ჩემთან ოთხის თვის ვადით არის, ოთხ თვეს უკან შენი გიროები უნდა დავიხსნა და მოგაბარო. სხვა არც შენი გაყუანილი დედაკაცებში დარჩომილა ჩემი სალაპარაკო და არც ჩემის გაყუანილი დედაკაცებში დარჩომილა შენი სალაპარაკო სიტყუით საქმემდინ, არც ამების ბარობაზე და არ[ც] მანუჩარს და ბალდასარას საქმეზე ჩვენში დარჩომილი არა არის რა. ერთი ამ წიგნის ფარდი შენ, ზალიბეგისგან მოცემული მე მაქვს და ეს წიგნი ჩემგან მოცემული შენ გაქვს, არის ამისი მოწამე პატრონის უფროსი პატრი სერეფინ<sup>1</sup>

და ისაი უხბაში ისაი უხბაში, და მეთორის-შვილი პაატა მ[თ]ნა [ღვთის]ა პაატა,

თურქისტანიშვილი ბეჟან +, ნაზირი ყაითმაზა, მე ნაზირიშვილს დავითს დამიწერია ბატონის ჩემის მღვიანბეგის ბძანებით და მოწამე ვარ. დაიწერა ეს წიგნი ახალციხეს ენკენისთვის ივ ქკს უმე.

სხვა ხელით: მე იოანე მღვიანბეგს ამ წიგნის ყაბული მაქვს, ჩემი სიტყვით დაწერილა

განის აშიაზე: ქ. მე სათათო (?) ფასიას შვილი სტეფანამ ამ წიგნის მოწამე ვარ. მღვიანბეგის იოვანეს სიტყვითა. ეს ჩემი ხელია

ქ. მე მამაყულის შვილმა ბეჟანამ ამ გარდასაწყვეტის მოწამე ვარ მღვიანბეგის იორაღით.

№ 79. 1758 წ. ივნისის 15-ს. წყალობის წიგნი მიცემული ერეკლე II-ის მიერ დავით მირზას-შვილისადმი. დედანი.  $51 \times 19\frac{1}{2}$  სმ, დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. საქ. მუხ. ფ. Sd № 209.

სახელითა ღვთისათა ჩვენ იესიან-დავითიან-სოლომონიან-პანკრატოვან-მან საქართველოს მეფეთ ცხებულის პატრონის თეიმურაზის ძემან პატრონ-

<sup>1</sup> ცარიელი ადგილია.

<sup>2</sup> სომხურად.

მან კახთ მპყრობელ-მქონებელმან მეფემ ირაკლიმ და თანამემცხედრემან ჩვენ-  
მან დედოფალთ დედოფალმან დადიანის ასულმან პატრონმან დარეჯან და  
პირმშომან და საყვარელმან ძემან ჩვენმან ორთავე საქართველოს უფლისწულ-  
მან არაგვის მპყრობელ-მქონებელმან პატრონმან ვახტანგ, გიორგიმ და ლევან  
ესე ქამთა და ხანთა გამოსადეგი მამულის წიგნი და სიგელი გიბოძეთ შენ,  
ჩვენს ერთგულს და ჩვენს სამსახურზე თავდადებულს მირზას-შვილს დავითს,  
ძმის წულსა შენსა ღვდელს ნიკოლოზს, შვილსა თქვენსა თამაზს, არდაშენს,  
იოსებს, ზაქარიას და ბექანს, შვილთა და მომავალსა სახლისა თქვენისა-  
სა; ასე და ამა პირსა ზედან, მოხვედით კარსა დარბაზისა ჩვენისასა დი  
ამოწყვეტილის ორის ძმის გაუყრელის პა[ა]ტას წითლიას-შვილის ნასყიდს  
მამულს ბროწვლეთს გვიჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და რად-  
გან შენი ძმა გიორგი ერევანს ჩვენს გამარჯვებაში, ღვითთ აზათხანს რომ  
ვძლივეთ და დაუმარცხეთ, წინ მოგვიკვდა, ამ ნამსახურობისათვისაც და თქვე-  
ნის ჩვენზედ ერთგულობისათვისაც გიბოძეთ ამოწყვეტილის წითლის-შვილისა  
პაატას და ამისის ძმის მამული, რისაც მქონებელი ყოფილან ბროწვლეთს გლე-  
ხებისა, თუ ზეარ ხოდაბუნისა სახნავე-სათესით, წყლით, წისქვილით, მისის სამარ-  
თლიანის სამძღვრით გვიბოძებია ყოვლის კაცის მოუღევარი უცილებელად.  
ქონდესთ და გიბედნიაროსთ ღმერთ[მა]ნ ჩვენს ერთგულობას და სამსახურსა  
შიგან, აწე გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვეკილ-ვეზირნო და არაგვის მოხელენო.  
თქვენც ასე დაუმტკიცეთ დანუ მოუშლით ამ ჩვენს ნაბოძებს წყალობას. და-  
იწერა თიბათვის იე, ხელითა მდივნის ოთარისათა ქკს უმგ.

ერეკლე

მძლეთა მეფეთა ძე  
ვახტანგ სახელად  
წმე

№ 80. 1758 წ. ნოემბრის 6-ს. სამართალი თეიმურაზ II-ისა ზაალ ყაფლანის-შვი-  
ლია და დავით ამილახორიშვილის საქმეზე. დღანო. 16 1/2 x 15 1/2 სმ, დაწერილი  
თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით, განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის  
შემდეგ ნახმაოია ორ-ორი წერტილი. საქ. მუზ. ფ. Hd № 2654.

ქ. ყაფლანიშვილმან ზაალ უჩივლა ამილახორის-შვილს დავითს ერთს  
კომლს კაცზედ: მარტიროზას-შვილს სარქისას და ევანეზაზედ. მოვაყვანიეთ  
ამათი სჯური და საჩივარი გავშინჯეთ და ერთად ვალაპარაკეთ. დათუა ასე  
ელაპარაკებოდა: ლორელები რომ ლორიდაჲ ბიძაჩემს მოუვიდნენო ეს კაციც  
ამათ მოჰყვაო, ზაალ ამაა უპასუხებდა, მართალი არის, ეს კაცი პირველ ლორეს  
ნასახლები არისო, მაგრამ შენს უწინ აყრილაო და მე მამივიდაო და დეძანის მე-  
სახლაო და მასუკან ეგ სხვა ლორელები ბიძაშენს მოუვიდნენო; მაშ, რადგან  
ასე მოგვახსენებდენ, მაშ წააყენოს ზაალ ერთი კაცი და ასე შეაფიცოს ამი-  
ლახორიშვილს დავითს, რომ ეს გლეხი კაცი ორნი ძმანი სარქისა და ევანეზა  
უწინ ლორიდაჲ დმანის მოსულიყვენ და ზალს ყმობოდენ და დმანისი რომ  
აიყარა იქილამ აყრილიყვენ და წამოსულიყვენ, თუ ასე შეაფიცოს ზაალ ერთი  
კაცი ორივე ძმანი სარქისა და ევანეზა ზალს დარჩეს. ასე გარდასწყდეს. ჩვენი

ბრძანება არის, მამად უსენინ, როგორც გვიბძანებია თუ ასე შეაფიცოს ზაალ ჟრთი კაცი, ეს გლეხი აუყარე და ზაალს დაანებე და თუ ასე ვერ შეაფიცოს, ისევე დაეითს დარჩეს. გიორგობისთვის ვ, ქკს უმვ.

უფლისა მ ერ  
მეფედ ცნებული  
თეიმურაზის დამტკი-  
ცებული

№ 81. 1760 წ. აპრილის 20-ს. პირობის წიგნი, მიცემული გიორგი თარხანის მიერ ნასყიდა გოგილაძისადმი. დედანი.  $16 \times 11\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ყოველი სიტყვის შემდეგ ორ-ორი წერტილი. საქ. მუზ. ფ. Hd № 14363.

ქ. ესე წიგნი მოგეცი მე, თარხანმა გიორგიმ შენ, გოგილაძეს ნასყიდას, ასე რომე ბატონ-ყმობაზე ვლაპარაკობდით; ჩემის ყმისაგან თავდახსნილობას ამბობდი, მაგრამ ისევე კლდის წყაროს ჩემს ყმათ ყოფილიყავი. გყრიდი და შემომეხვეწე და მანამ კლდის წყაროს მიხვიდოდე, სხვას არაფერს გთხოვ, წელიწადში ერთხელ მამის ჩემის ლო[ა]რსაბ თარხნის სულისსაყვის ერთს მღვდელს ჟამს აწირვინებდე, ერთს აბაზს მისცემდე საწირავს. სხვა არაფერი გეთხოვება ჩემგან, არც ჩემის ძმისაგან. მდივანს გორჯასპის დამიწერია თარხნის ყაბულობით. აპრილის კ, ქკს უმმ.

№ 82. 1760 წ. ივნისის 16-ს. ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნი ქაიხოსრო ფალავანდის-შვილის მიერ ისე მჩაბლისადმი მიცემული. დედანი.  $43\frac{1}{2} \times 15\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. საქ. მუზ. ფ. Hd № 2826.

ქ. ნებითა... ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეცი მე ფალავანდის-შვილმა ქაიხოსრომა, მამავალმა სახლისა ჩემსაჲსა თქვენ მაჩაბელს იასესა, ძმასა თქვენსა გიორგისა და ბარძიმსა, შვილსა თქვენსა ფარსადანსა, ზაზასა, რევაზსა, ზურაბსა, ერეკლესა, ივანესა და დავითსა, მამავალსა სახლისა თქვენისათა;— მას ჟამს ოდეს ლეკისაგან დატყევედი ჩემის თავის სახსართ დამეჭირა და მოგყიდე ჩემი ალალი ბარათში ნარგები ოქუტაშვილი იმედა და ნასხარა, იმისი ძმისწული პატარკაცი თავეთის ცოლითა და შვილითა, თავეთის მამულითა დღეს თამარაშენსა რისაც მქონებელნი არიან მითითა, ბართა, წყლითა, წისქვილითა, მიწითა, ვენახითა, სახნავითა, უხნავითა, საყდართა და სასაფლაოთი, საქებრითა და უძებრითა.... მოწამენი ფალავანდის-შვილი უზბაშიზასე, ხერხეულიძე ბეჟანა, დავითიშვილი დავით მ[ო]ნა დ[ვ]ითისა დავით, ფალავანდიშვილი მზეჭაბუკა, ფალავანდიშვილი რევაზ. ცხინვლის მამისახლისი იასე მამასახლისი იასე მურადაშვილი არუთენა 1, გვერწითელი გივი 1, გედევანიშვილი კაცია, ოენაშვილი ზაქარა, ელიაშვილი ლაზარე და მგ

<sup>1</sup> არ ირჩევა.

მურადაშვილს ბეჟანასა დამიწერია მ[ო]ნა ლ[ვ]ითისა ბეჟანის მოწამეც ვარ ამისი, კათათვის ივ, ქკს უმც, სხვა ხელით:

მე, ქქაიხოსრო ამ სივლის ყაბული მაქვს. ბეჭედი არ მქონდა, ეს ჩემი ხელი არის.

ტექსტის ხელით განის აშიაზე: კახეთს რომა ამათის ძმისწული სეხნია არის, იმისი მამულიც თქვენთვის მამიცია, იმის მამულთან ხელი აღარ მქონდეს და სეხნიასთან კი ხელი არა გაქვს, ის ჩემი არის ისევე.

№ 83. 1760 წ. აგვისტოს 9-ს. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული გიორგი წარიხადის მიერ შალვა ფავენლისშვილისადმი. დედანი. 29×20 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. დაზიანებული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd. № 2919.

ქ. ნებითა... ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეცი მე, ჩიხელმა წარიხადემ გიორგიმ, შვილმა ჩემა დემეტრემ, მომავალმა სახლისა ჩემისამა თქვენ, ფავენლი-შვილს შალვასა ძმასა თქვენსა ქაიხოსროსა, დავითსა, მომავალსა სახლისა თქვენისათა; — მას ყამსა ოდეს დამეჭირა და მოკვიდე ჩემი შვილი ნასყიდა, ყოვლის კაცის უცილებრათა, ავიღეფ ფასი სრული და უკლებარი, რითაც ჩემი გული შეგჯერდებოდა... მოწამე... კაცთაგან ციციშვილი

ქაიხოსრო, მამისთვალაშვილი ძოგია ძაგია, ოგნაშვილი ზაქარა მ[ო]ნა ლ[ვ]ითისა ზაქარა, ჯანიშინი მიალაშვილი დათუნა, პაპისაშვილი გიორგი +, მოხელ[ე] სოიტაშვილი ლეკვია და მე, მურადაშვილს ბეჟანას დამიწერია მ[ო]ნა ლ[ვ]ითისა ბეჟანის და მოწამეცა ვარ ამისი, დაიწერა მარიობისთვის თ, ქკს უმც.

განის აშიაზე:

ქ. მე, ცხინვალის მამასახლისი იასე ამის მოწამე ვარ გიორგის ილრარითა.

ქ. კიდევ ამისი მოწამე ბელელაშვილი დავითა.

ქ. მე, ლალას-შვილი მოსესა ამისი მოწამე ვარ, ბეჭედი არა მქონდა ეს ჩემი ხელია<sup>1</sup>.

№ 84. 1764 წ. მარტის 1-ს. არზა, მიცემული იოანე მღვდელის მიერ ხელმწიფისადმი უკანასკნელის თქმით. დედანი. 33×21 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. დაზიანებული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი. საქ. სახ. მუხ. ფ. Hd. № 2597.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ ბედნიერის ხემწიფის კირი და სატკივარი მათ მარადის მლოცველს თქვენს ყმას იოვანე მღვდელს მოსცეს. ახლა ამას მოგახსენებ: მარ-

<sup>1</sup> არ ირჩევა.

<sup>2</sup> სათაური: ფალღენიანთ ნასყიდობისა.

ტყოფს თქვენი წყალობა მამული მაქვს, თქვენც მოგეხსენება, იმ მამულზე ვალი დანედო. თქვენი წყალობა ერთი ხელი წირვის იარაღი მქონდა და წიგნები გირაოთ მიძეს. იმ მამულიდამ შფოთის მეტი ვერა ვნახე. ვერც ვალი გარდაეწყვიტე, ვერც ცოლშვილი შევინახე, მამა შიგ მაიკვდა და ვერც ის დაგმარებ სილარიბითა. ამ მოწყალებას ვითხოვ თქვენგან, იმ შფოთს მამარჩინოთ. ჩემი წილი მამული თუ თქვენი ნება იყოს, ჩემს ბიძასშვილს გვრიტულას მივცემ, ვალსაც ის გადამიწყვეტს, თუ გვრიტულას არ უბოძებთ, ჩემ ბიძასშვილს პეტრეს დავაყენებ ჩემ წილ მამულზედა. ღ[მერ]თი, გადღეგრძელებს; ამისი პასუხი მიბრძანეთ, ვალსაც პეტრე გარდასწყვეტს, ა მარტს ქკს უნბ.

ზემო აშიაზე: ქ. ჩვენი ბძანება არის, მერმე ამ არზის პატრონს რომ მოუხსენებია თავისის მამულისა, ნება მიგვიცია, როგორც უნდა ისე ქნას. მარტის ია, ქკს უნბ. მარტყოფის მოურაო, როგორც ჩვენ გვიბრძანებია, შენც ასე ნება მოეც.

[ ე რ ე კ ლ ე ]

№ 85. 1764 წ. მარტის 6-ს. თავდებობის წაგნი ხახუტა და სხვ. ბლუაშვილების მიერ გიორგი ყიფიანისადმი მიცემული. დედანი. 16 $\frac{1}{2}$  × 10 $\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ იხმარება თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2700.

ქ. ესე ს[ა]თ[ა]ქედებო წიგნი მოგართვი ჩვენ, ბლუას-შვილებმა ხახუტამ, პაპუჩ[ა]მ, მამუკამ, კოკიამა ჩვენს ბატონის როსტომის დასტურით შენ, გიორგი ყიფიანს;—ასე რომე ჩვენი ემა დაბმული გყავდა ტყვის ბარობაზედ, რომ ტყვე გაესყიდა. მოვედით და შემოგეხვეწეთ და თავდებათ დავიდექით: თუ ეს კაცი წაგივიდეს სადმე, პასუხი ჩვენ გავცეთ, როცა რომ გვიბძანო, ხემწიფის სამართალშიდ მოგართვათ. პასუხი ჩვენ გავსცეთ ხემწიფისაც და თქვენცა. არის ამისი მოწამე ორჯონიკიძე ზურაბ,<sup>1</sup> რომეამაძე ხონონა, ალხის-შვილი სვიმონა. მე ალელს დავითას ამათის ილრალით დამიწერია და მოწმეც ვარ ამისი. დაიწერა მარტის 3 გასულს, ქკს უნბ.

№ 86. 1764 წ. ივნისის 21-ს. ოქმი ერეკლე II-ისა რევაზ ამილახვრისადმი. დედანი. 15 × 14 სმ. დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 14345.

ქ. ჩვენ მაგიერად დარბაზბატონს ამილახვარს რევაზს მოკითხვა მოხსენდეს. მერმე სააბაშიოში გოგია ნუ წავა, ერთი შენი აზნაურშვილი გაგზავნე და ჩვენი მიწერილი წიგნი გაუგზავნე, ხეფინიხეველებს მორიგე რომ აწერიათ იმათ დაეხსენით, ნუ წამოიყვანთ, აღიწერა ივნისის კა, ქკს უნბ

<sup>1</sup> ეს სახელი და გვარი სტრიჟონს ზემოდან არის ჩაწერილი.

<sup>2</sup> ერეკლე.

№ 87. 1765 წ. მარტის 21-ს. მამულის წყალობის წიგნი, მიცემული დავით ერისთავის მიერ პატარკაც ბერიანიძისადმი. პირი, გადაწერილი XX საუკუნეში. აქვე მოთავსებულია სხვა საბუთებიც. საქ. მუხ. ფ. Hd № 10141.

ესე წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ ჩვენ, ერისთავთ ერისთავმან მბნმა<sup>1</sup> დავით და ჩვენმა ძმამა იეონემ და იესემ და ჩვენმა ზიძაშვილმა ბატონმა გიორგი ყულარალასმა და ჩვენმა სასურველმა ძემ პირმშო შალვამ და როსტომმა და ბიძინმა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა ყოველთავე თქვენ, ჩვენს ერთგულს და ნამსახურ ყმას ბერიანიძე პატარკაცსა და შენს შვილსა სიხარულას და მახარებელს და მომავალსა სახლისა შენისასა;—ასე რომ შენი ბიძაშვილი ხიზანა ამოსწყდა და იმის ნაქონს მამულს დაგვეაჯე და ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ შენის ბიძაშვილის ხიზანას მამული თავისის სამართლიანის საზღვრითა, სახნავითა, უხნავითა, მთითა, ტყითა, შესავლითა, გასავლითა, წყლითა, წისქვილითა და თავისის წილის სასახლებითა...

ალიწერა მარტსა კა, ქკსა უნგ

იმავე ქალაღზე:

ქ. ბატონის შვილის იოანეს სიკეთით სახსოვარო ეშიკალასბაშო ზახავ დე მოურაო ბაშარულო სიხარულო, მერე ამ ბერიანიძის მამულზედ ხელს ნუ ამართავთ, ამას დავით ერისთავის წიგნი და მისის ძმებისა აქუს, რომ წყალობად მიუციათ ეგ ამისის სახლის კაცის მამული და ამას დაესენით, ხელს ნუ ამართავთ, რადგან დავით ერისთავის წყალობა ჰქონია, ვერც ჩვენ მოუშლით და დაესენით, მაზედ ხელი აიღეთ. აგვისტოს ბ, ქკს უზგ, ქ. თუ დავით ერისთავის წყალობის გარდა უწიგნოდ სხვა მამული ქონდეს, იმაზედ კი ხელი ამართეთ. იოანე

იმავე თაბახზე გადაწერილი:

ბერიანიძე გოგიავე და ბერუავე. თქვენ და თქვენს შვილებს და ძმის წულეებს გლახა ბერიანიძეს ფეხდიდის მამული გიყიდნით ერთის დღისა, თავისის ტყით და თავისის მიჯნებით. ამ მამულის ყიდვისა ჩვენც ნება მოგვიცია; რადგან ორივე ჩვენი ყმები ხართ, ამისთვის ნებას გაძლევთ, ღმერთმან ჩვენს ერთგულობაში მოგახმაროს და თუ გლახა ფეხდიდმა სხვა რამ კიდევ მამული გაყიდა, ან სხვის ბატონის ყმას მიყიდა, იმას კი არ უყაბულებთ. ივლისის 6 ჩუკვ წელსა.

კნენა მაგდანი ერისთავისა.

№ 83. 1765 წ. ივნისის 4-ს. ბატონყმობის წიგნი, მიცემული ეჯიაშვილების მიერ თავის ბატონის ლუარსაბისადმი. დედანი 22×21 სმ, თავში დაზიანებულია დაწერილია თეთრ ქალაღზე მხედრული. ხელით. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ორი წერტილია ნახმარი. საქ. მუხ. ფ. Hd. № 2709.

ქ. ესე წიგნი მოგართვით ჩვენ გარისელთ თქვენმა ყმებმა ეჯთაშვილებმა თურაზამ და ყაზარამ თქვენ, ბატონს ჩვენს ლუარსაბს და შვილსა შენსა

<sup>1</sup> ეს სიტყვა დედანში სტატიკონს ზემოდან ეწერა.

დათუხსა;—ასე რომ უწინაც თქვენი ყმანი ვყოფილვით და ცოტა რამ ლაპა რაკი გამოგვერია. ვილაპარაკეთ ბატონთან და დიანბეგებთან და ისევე ჩვენი თავი თქვენვე წყალობა გიყოთ და წიგნიც გიბოძათ და დაგიმტკიცათ. დღესამას იქით როგორც ერთი ჩვენი ტოლი კაცი სხვა თავის ბატონს ემსახურებოდეს ისე ჩვენ გემსახურებოდეთ და აღარა ვიმტყუნოთ რა დღეის იქით. ესეც დავაშავეთ. არის ამისი მოწამე პაპუ გერმანოზის-შვილი [ ] , იოთამის-შვილი ლუარსაბ [ ] , ამისი გამრიგე ქავთარის-შვილი ბეცია. აშიახე: ამისი მოწამე სარუა იარალის-შვილის ყმა, მე დავით მთავარ დიაკვანს დამიწერია და მოწამეც ვარ, აღიწერა მკათათვის და, ქკს უნგ.<sup>1</sup>

№ 89. 1765 წ. ივლისის 23-ს. არხა, ქავთარ მგელაშვილის მიერ ხელმწიფისადმი მიცემული. დედანი. დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. „ან“ მეტი. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი: თავში დახიანებულია. საქ. მუხ. ფ. Hd № 2931

თქვენს ფეხთა მიწა მტვერს თიანელს მგელაშვილს ქავთარას მოსცეს! მერმე ამას მოგახსენებ ბედნიერს ხელმწიფეს: მე ხელმწიფის ყმა ვიყავ, გრიგოლ სალთხუცეს ვენსახურებოდი, ხელმწიფის ყმობა ველარ დავმალე, მოგახსენე. ამაზედ ჯაბრს მიწვევს, რატომ ბატონის ყმობა სთქვიო, მე ნოქრათ დამწერა, ნოქარი ვიყავ, გემსახურე, ახლა ნოქარი აღარ არისო, ახლა თავის ყმის მაგიარ ბადლად და მორიგედ<sup>2</sup> მწერს, ხარჯი და გამოსაღები, რაც იქნება შენა გთხოვო და ბატონი ვერას გიშველისო, რაც ამას წინათ გიშველა, ახლაც ის გეშველებათ. ეს ასე ჯაბრს მიწვევს, უსამართლოს მიშვრება. ბედნიერი ხელმწიფე ნუ დამკარგავს, თქვენი მოწყალება ჩემზედ იყოს, როსცა ნოქრათ დამწერა, თქვენს სამსახურს არა ვღირსვარყავ, ახლა ნოქარი არ არისო, თავისის ყმის მაგიარ მორიგეთ დამწერა. ღ[მერ]თი გაგიმარჯვებს, უსამართლოს და ძალს ნუ აქნევინებ. თიბათვის კგ, ქკს უნგ<sup>3</sup>.

№ 90. 1765 წ. აგვისტოს 15-ს. არხა, მიცემული გიორგი იორამასშვილის მიერ ერეკლე II-ისადმი, უკანასკნელის ოქმით. დედანი. 34<sup>1</sup>/<sub>2</sub> × 14 სმ „ან“-მეტი. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია სამი-ორი წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2786.

ქ. ღ[მერ]თ[მა]ნ ბედნიერის ჯემწიფისქ ირი მოსცეს მათ ფეხთა მიწა მტვერს წინწყაროელს იორამას-შვილს გიორგის, მერმე ამას მოგახსენებთ ჩვენს მოწყალეს ჯემწიფეს, რომე მე მკვიდრი წინწყაროელი თქვენი ყმა გახლავართ და ავი დროის გულისათვის ქისიყს ხიზნათ გახლავართ და ახ[ლ]ა ჩერქეზის-შვილი მექიდება, ჩემი ყმა ხარო და ბებურის-შვილი თამაზ მამდგომია, ჩერქეზიშვილმან შენი თავი მე მამცაო, მე უნდა მემსახუროვო, ამას წინათაც სილნაღში არხა მოგართვით და მოწამეც ვიახლოთ, რომ მე თქვენი ყმა წინწყაროელი ვახლდით და ახლა ამას გეხვეწებით ჩვენს მოწყალეს ჯემწიფეს, რომ მოკითხულობა ქნათ, ჩვენის ქვეყნის მამასახლისი და სოფელი აქ გახლიათ და

<sup>1</sup> სათაური: გარისული გლეხის წიგნი.

<sup>2</sup> ჩაბატებულია სურტიონს ხეშოდან.

<sup>3</sup> სათაური: ქ. ეს მგელა ჯიმშიტაშვილის წიგნი არის.

თქვენათ გასამარჯვებლად ამაზე შებრალება და სამართალი გვაღირსეთ, ბედნიერო კემწიფევე. დაიწერა მარიობის იგ, ქკს უნგ.

ზემო აშიაზე: ქ. ბატონო მდივანბეგო, ამ აზრის პატრონი ასე ჩივის. ამის საქმე მოიკითხეთ და სამართალი უყავით, აღიწერა აგვისტოს იე, ქკს უნგ.

ერეკლე

Verso: ქ. ამათი სამართალი ბედნიერს კემწიფეს ჩვენ მდივანბეგებისათვის ებძანა. ჩერქეზიშვილი დემეტრე ასე ჩიოდა: ეს გიორგი ხოჯაშვილი არისო და ჩემი მემკვიდრე ყმაო, მაგრამ ავის დროს მიზეხით მამა ამისი ქართლში გამოსულაო და შერმე ეს გიორგი ისევ ჩემთანვე მანავს მოვიდაო. ეს გიორგი ასე ჩიოდა: მე მემკვიდრე წინწყაროელი ვარო. ჩვენ ამის მოკითხულობა ვქენით. ამ გიორგის მამა ცოტას ხანს წინწყაროს ხიზნათ მდგარა, მერმე იქილამ რომ აყრილა, წინწყაროს მამასახლისი და ქეთხუდები წასდავებოდნენ, ველარას შესლოდნენ და წიგნი მიეცათ, შენ წინწყაროში ხიზნათ მოსული იყავო და ჩვენ შენთან საქმე არა გვაქვს რაო. ის წიგნი ვაპოვინეთ, სამართალში გავშინჯეთ, ამ გიორგის წინწყაროელობა ტყუილათ მოეხსენებინა. წინწყაროელი არ არის და არცავეინ სხვა ქართლელი კაცი მოდავე ჰქვანდა. ეს გიორგი სამართალმა ჩერქეზიშვილს დაანარჩუნა. რადგან წინწყაროელი არ იყო, ამისი ყმა ყოფილა, სხვას საქმე არავისა აქვს. აღიწერა აგვისტოს კვ. ქკს უნგ, 

იონანე	ფაოსადან	მქონა დქით-სა სულბან
--------	----------	----------------------

აქვე ზემო აშიაზე: ქ. ჩვენ მეფე პატრონი ირაკლი ამ განაჩენს ვამტკიცებთ, ღვინობისთვის კვ. ქკს უნგ. 

ერეკლე
--------

№ 91. 1765 წ. დეკემბრის 15-ს. ყმის მზითვად მიცემის წიგნი იორამ თარხნი-შვილიყ მიეო თავისი ზვილის მარიამისადმი მიცემული. დედანი. 24<sup>1</sup>/<sub>2</sub> × 16 სმ, დაწერილია თეთო ქაღალდზე მხედრული ხელით. გასკეუთილობის ნიშნად ყოველი სიტყვებს შემდეგ ნაამარია თითო ან ორ-ორი წერტილი, „ან“ მეტი. საქ. მუზ. ფ. Hd № 2575.

ქ. ესე წიგნი მოგართვი მე, მამა თქვენმა თარხნის-შვილმა იორამ შენ, ჩემს შვილს მარიამს; — ასე რომე ჩემი ყმა თამაზ ნოსტელი ქვეყანა რომ აიყარა ჩვენს სოფელში აღარავინ დადგა, ის თამაზა სასირეთს ჩამოვიდა. იქილამ დაიკარგა, ლეკმა წაიყვანა, ყიზლარი იამ მამავლებულიყო [?]. გზაზე მომკვდარიყო; იმას ორი პატარა ობოლი დარჩა ბიჭები, რადგან შენც ჩემი შესანახავი იყავ და დასარჩენი, ის ობლები თქვენა ზითვათ მამიცია ყოვლის კაცის უტილებელი, იმათთან არას კაცს ხელი არა ქონა თქვენს მეტს. ამისი მოწმე ჩვენი წმიდის ესტატის დეკანოზი სვიმონ, ბეყანას-შვილი ოთარი, ლაფეაშვილი მლდე-ლი ზაქარია, მგელიტას-შვილი ბერუა, ატენელი მამასახლისი და სულ სასირელი. მე იორამს დამიწერია და ყაბულიც მაქვს, დაიწერა ქრისტიანობისთვის. \*გ. ქკს უნგ.

№ 92. 1766 წ. თებერვლის 24-ს. არხა, მიცემული ლომი გვარამაძის მიერ ერეკლე II-ისადმი, ამ უკანასკნელის ოქმით და მოწმეთა ჩვენებებით. დედანი. 35 $\frac{1}{2}$ ×21 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. „ა“-მეტი. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2837.

ქ. ლ[მერ]თი მოწყალემა ბედნიერი ველმწიფისა ქირი და სატკივარი მოსცეს მათ ფეხთა მიწაბტვერს გვარამაძე ლომს და ბეჟანსა, ახლა ამას ვევედრებით ჩვენსა მოწყალესა: ბაადურის-შვილისა აზნაურშვილი გახლდით, ობლები წრილნი დავრჩით და გამყიდეს. ყიზილბაში წამიყვანეს, თქვენისა დოვლათითა მოველ და ჩემი სააზნაურშვილო ბაადურის-შვილსა გლახასა ქალათრისთვინა მიეცა, ასე ეთქო თუ: გვარამაძისა მამული მამეცო და ყულსა გადაგიხდით და სხვა რაც ფასი დამედებაო ფასც მოგცემო. აღარც ყული გადაუხდია, არცა ფასი მიუცია, ასე შევიტყვე, რომე ხუთი მიწალთუნი მიუცია. იმ ნასყიდობისა წიგნი გიორგი კალატოზის-შვილსა დაუწერია, გ[ა]იკითხეთ და ის მოგახსენებს სწორეს, არც რა მამული მაქვს, არც რა ალაგი, გორსა გახლავარ, იქ ცოდვილობით ვრჩები. მოიკითხეთ, თუ ჩემი მამული უსამართლოთ ექიროს, სამართალი მაღირსეთ თქვენსა გასამარჯვებლათა. დაიწერა თებერვლის კდ, ქკს უნდ. ეს ამბავი ფარსადან დივანბეგმაც იცის, თავარეფისკოფოსმაც იცის, ზაზა ქვემო ციცი-შვილმაც. მამულით, ყმით გაყიდული ვარ, თქვენს მეტი პატრონი არ მყავს, თუ [უ]სამართლოთ ექიროს, სამართალი მაღირსოთ, თქვენი ყმა გახლავართ, ნუ დამკარგავთ, თქვენსა გასამარჯვებლათა. სხვა ხელით:

ქ. მე გიორგი ამ საქმის დამსწრე და წიგნიც ჩემი ხელით დაწერილია ნასყიდობისა და რაც უნდა მისცემოდა ჩემის ხელით უნდა მიბარებოდა, იმასთან ვიყავ და თავდებიც მე ვიყავ; ჩემის ხელით მიბარებია, მართალმა ღმერთმა, ხუთი მიწალთული თეთრი და შვიდი კოდი ფეტვი თავისი მამულის ბარა შესთხოვდა. მეც ვეუბნებოდი თავდებად დამაყენე მეთქი, რასაც დაჰპირდი ის მიეცი მეთქი, რომ არ მისცა რა და რასაც დაჰპირდა არ უთავა. იოსებ მროველი მივაგზავნიე, ისიც მოწამე იქნება მეთქი, რასაც დაჰპირდა იმისმა აზნაურშვილებმა იციან, თვარემ ხელმწიფეს ყველა მოხსენდება. გომს დაჰპირდა ციხეს გაგიკეთებო, ნოქრებს ჩემ კაცებს დავაყენებო, ყული ეწერა აძასაც მე გარდაგიხდით, შენი მამულის ბარასაც მე ავალბინებ ხოლმეო. არც ერთი არ უთავა, თვარემ ალექსანდრემაც კარგად იცის, ბატონმა რომ უბძანოს, ვექრო სწორე მოახსენოს. <sup>1</sup>

სხვა ხელით:

ქ. ლ[ვ]თის წინაშე მე ზაზა ციცი-შვილი ამისი ასე მოწამე ვარ, რომ ასე დაჰპირდა ამ გვარამაძის მამულში გომს ციხეს გაგიკეთებო და ნოქარს დაგიყენებო, ყულსაც მე გადაგიწყვეტო. ვერცერთი უყო. ამაში ხუთი მიწალთული და შვიდი კოდი ფეტვი მისცა, რომ რვას მიწალთუნათ შეუთავა. ღმერთს წინაშე, მე ამისი ასე დამხდური ვარ. მე ზაალს დავითაშვილს დამ[ა]წერინა ზაზამ,

<sup>1</sup> არ ირჩევა.

ამის სიტყვით დამსწერე. ამას დაწერაში ბეჟან რატიშვილიც აქ დაგვესწრა და ბეჟან ხერხეულიძეცა.

ზემო აშიაზე:

ქ. ბატონო მოსამართლეებო, ამ არზის პატრონს, რასაც მიხედვით ღ[ვ]თის წინაშე სწორე სამართალი უსაჯეთ. აღიწერა აპრილის 6, ქკს უნდ.

ერეკლე

ქ. რომელიც ამ საქმეს დამხდურნი ხართ და ამათი საქმე რაც იცით, ღთის წინაშე, ამ საქმის როგორყოფილობა სწორედ და ჭეშმარიტებით დასწერეთ და გვაცოდინეთ მართალი. თებერვლის 6, ქკს უნდ.

ერეკლე

Verso: სხვა ხელით და სხვა მელნით: ტლეპიაშვილის წიგნია.

№ 93. 1766 მაისის 10-ს. არზა, მიცემული მხეკაბუჯ ჯავახიშვილის ყმების, ხოვლელების მიერ შეფისადმი, უკანასკნელის ოქმით. პირი, გადაწერილი XX საუკუნეში საქ. მუხ. ფ. Hd № 11547.

ქ. ღმერ[თ]მან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს მათ ფეხთა მიწა—მტვერს ჯავახის-შვილ[ი]ს მხეკაბუჯ[ი]ს ყმათ ხოვლელებს! მერე ამას მოვახსენებ ბედნიერს ხელმწიფეს: ნეტარხსენებულის ხელმწიფის ოქმი და განაჩენი გვაქვს ჩვენ და ჩვენის ბატონის ყმის გაყრილობისა, რომ თქვენი სამსახური, ლაშკარი და სათხოვარი, რაც შემოგვიწეროდა, ორი ჩვენ უნდა მიგვეცა და ერთი იმათა და ახლა ჩვენს ქვეყანაში დიად წყლის ძვირობა არის და ჩვენ, თქვენი სამსახური იმაზედ კიდევ მეტი დაგვიდვა და წყალს ისინი კიდევ შესამედს ადენენ და ამას ვეხვეწებით ბედნიერს ხელმწიფეს, რომ, როგორც ან დიდის ბატონისა და ან თქვენი განაჩენი გვეწეროს, და გვექონდეს, ისე ხარჯსა და ლაშკარს მოგვიდგნენ და ან როგორც მეტი ჭირი დაგვედვა, წყალიც ისე დაგვენდეს. ამაზე სამართალი და შებრალება გვადირსეთ, თქვენს გასამარჯვებლად, ბედნიერო ხელმწიფე. დაიწერა მაისის 6, ქკს უნდ.

ზემო აშიაზე:

ქ. ჩენი ბძანება არის, ამ არზის პატრონებს ნეტარხსენებულის ბატონის მამის ჩვენის განაჩენი და ოქმი რომ აქვსთ, იმ ამათ მოდავეს თუ იმის წინააღმდეგი სიტყვა არა ჰქონდესთ რა, როგორც იმაში სწერია, ისე უნდა მიუდგნენ და თუ იმის წინააღმდეგი სიტყვა ჰქონდესთ, ჩვენ მოგვახსენონ. აღიწერა მაისის 6, ქკს უნდ.

№ 94. 1766 წ. ივნისის 21-ს. არზა, მიცემული ჰახვერდიბეგის მიერ ერეკლე II-ისადმი, ამ უკანასკნელის ოქმით და მდივანბეგთა გან ჩენით. დედანი. 35 $\frac{1}{2}$  × 21 სმ, დაწერილი, თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახშირია თითო წერტილი. საუ. მუხ. ფ. Hd № 2728.

ქ. ღმერ[თ]მან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს ბანდას ჰახვერდიბეგსა! მერე ამას მოვახსენებ ჩვენს ბედნიერს ხელმწიფესა: ნადირ ყაენი დროს

ჩვენი ქვეყანა თავრლა შეიქნა და ჩვენი მელიქის-შვილი ყარდაშა<sup>1</sup> მისულრ-ყო, ორი წელიწადი დმანის დადგომილი იყო, მერე აქ ქალაქს ჩამოსულა. ახლა თქვენს დავთარში დაწერილი თქვენს ყმათა და აქ დევა შურებთან თავადები და ახლა მეც თქვენთვინ მიმირთმევეია, მეც თქვენი ვარ და ეგ ყმაც თქვენია. ბთონი თქვენგან წყალობა იყოს, რომ არვის ამ კაცთან ხელი არა ქონდეს იდა რაც შეძლება, ქონდეს თქვენს დავთარში გემსახუროს. ახლა ჩვენი სახვეწარი ეს არის, რომ ერთი ჰუქმის წყალობა უყოთ, რომ არვის სხვა ქართველს ხელი არა ქონდეს თქვენი სახასოთ იყოს. თქვენათ გასამარჯვებლათ, თქვენი შვილების სადღეგრძელოთ, ამისი ჰუქმის წყალობა გვიყოთ, ჩვენო მწყალობელო ჯელმწიფევ. აღიწერა თიბათვის კა, ქკს უნდ.

ზემო აშიაზე: ქ. ჩვენი ბძანება არის, ეს კაცი ახვერდი ბეგს ჩვენთვის მოურთმევიჲ. თუ სიტყვა აქვს ვისმე, ჩუენ მოგუხსენონ, თუ არა, ჯელი არავისა აქვს, ჩვენად სახასოდ იყოს, ჩვენს დავთარში იმსახუროს. თიბათვის კდ, ქკს უნდ. ერეკლე

მარჯვენა აშიაზე: ქ. ბატონო მდივანბეგებო, მერე ამ კაცზე დემეტრე ემიკალაბაში რომ ლაპარაკობს, თქვენ გაშინჯეთ და; ღვეთს წინაშე, რასაც მიხედეთ, სწორე სამართალი განაჩინეთ. აღიწერა ღვინობისთვის კთ, ქკს უნდ.

ერეკლე

Verso: ქ. ჩვენ, მდივანბეგებმან იოანე ორბელიანმან, მდივანბეგმან, ქაიხოსრო ქაიხაიის მოურავის შვილმან, მდივანბეგმან ფარსადან ციციშვილმან ესენი ვალაპარაკეთ. დიმიტრი ემიკალასბაში და მისი მოწმები ბევრს ხანს ამბობდენ ამ კაცის მოსულას, მარა თვითან ამ სომეხმა ყარდაშამ ასე აღიარა — ოცდახუთი წელიწადი არის, რომ დმანის მოველ, იქ ვიდექ და დმანისა მლთის მშობლის ყმად ვიყო. სანამდის დმანისი იყო დმანელს ვმსახურებდიო და დმანისი რომ აიყარა, ქალაქს ჩამოვედით და სანამდის ელისე დმანელი ცოცხალი იყო იმას ვმსახურებდი, მერმე ოთხიოდ წელიწადი ჩემთვის ვიყო, მერმე დიმიტრი ემიკალასბაში მიმსახურებდაო. ჩვენ ასე გავაწესეთ: რადგანც ამდენის ხნის მოსულია სხვიქს ქვეყანისაგან და ეკლესიის ყმად მოსულია ეკლესიას აღარ გამოერთმევეა. ამგვარად მოსული კაცი, არც ჯელმწიფეს მოერთმეოდა შამშადილუს კაცისაგან და არც სხვას ვისმე. დმანისის ღმთას მშობლის ეკლესიისა არის და ეკლესიას მსახუროს. ოკდონბერს ღ, ქკს უნდ.

ივანე

მონა მლთის მოურავი-  
შვილი ქაიხოსრო

ფარსადან

2

ზემო აშიაზე: ჩვენ მეფე ერეკლე მდივანბეგთაგან განჩენილ სამართალს ვამტკიცებ. ოკდომბრის ღ, ქკს უნდ.

<sup>1</sup> ჩამატებულია სხვა ხელით.

<sup>2</sup> არ ირჩევა.

№ 95. 1766 წ. იენისის 15-ს. სამართალი ეოეკლე II-ისა გედევანიშვილი პეტრესა და გილასშვილი გრიგოლის საქმეზე. დედანი. 41 $\frac{1}{2}$ ×16 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მეფრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 2209.

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოს მპყრობელმან ირაკლიმ მეორემან მეფემან ქართლისა და კახეთისამან ასე გავაჩინეთ გედევანიშვილის პეტრესა და გილას-შვილის გრიგოლის სამართალი. ასე რომე მოვიდნენ და სამართალში ამათმა სარჩელმა გაიარა. რადგან ყოვლად სანატრელს მის უწმიდესობას, ბიძას ჩვენს საქართველოს [ათალიკო]ხ-პატრიარქს დომენტის დაუხსნია საბერძნეთის ქვეყაში მამა ამისი სეხნია და ეს გრიგოლ დახსნას უკან მისცემია. ამავე საბერძნეთის ქვეყანაში, მისვე ყ[ოვლა]დ სანატრელის ბიძის ჩვენის კათალიკოზის წიგნით და ბძანებით სვეტის ცხოვლისა არის უმამულოდ და თუ ჩვენმან ძმამ ყოვლად სანატრელმან მისმა უწმიდესობამ ანტონი კათალიკოზმან ინებოს და ეს გილასშვილი აპყაროს და სვეტას ცხოველისათვის დადვას, მამული გედევანის-შვილს დარჩეს, რისაც მქონებელი იყოს გილასშვილი ნასყიდისა თუ უსყიდისა ვენაჯისა თუ სახნავისა ყოელივე გედევანის შვილის პეტრესი არის, არც გილასშვილსა აქვს გელი და არც ვის სხვასა. დაიწერა გორს ივლისის იე, ქკს უნდ.

ქ. სამართალი ასრე არის და როგორც მისს უწმიდესობას ჩვენს ძმას კათალიკოზს ენებოს, ისრე აღასრულოს ეოეკლე.

№ 96. 1766 წ. ოქტომბრის 9-ს. პირთის წიგნი, მიცემული გიორგი მღვდლის მიერ ზაზა თარხნიშვილისადმი. დედანი. 23×12 $\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 2743.

ქ. ესე წიგნი მოგეც მე შიო მღვდლიშვილმა გიორგი მღვდელმა და ჩემს შვილებმა;—ასე რომე ღ[ვ]ათის მოწყალებით შენს ქვეყანაში შენობა რომ მოხდეს, მე ან ჩემი შვილი ქართლში გამოვიდეს, შენ თარხნიშვილ ზაზასა და შენს შვილს ვეყმო, სხვასთან არავისთან მივიდე, შენთანვე მოვიდე. მე სულხან მდივანს დამიწერია გიორგი მღვდლის სიტყვით. ღვინობისთვის თ, ქკს უნდ.<sup>1</sup>

№ 97. 1766 წ. ოქტომბრის 26-ს. სითარხნის განაზღების წიგნი, მიცემული მდივან ჯავახიშვილის, ნაცვალდავით გედევანიშვილის, ნაცვალი რევაზ მეტრეველისა და სვე. მიერ გიორგი ჩიხოშვილის კახნაშვილისადმი. დედანი. 23×10 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი—საქ. მუხ. ფ. Hd № 14385.

ქ. მოკითხულს ვქენით ჩვენ, მდივანმან ჯავახიშვილმან ნაცვალმა დავით, გედევანიშვილმა ნაცვალმა რევაზ, მეტრეველმა ჯანიშინმა დათუნამ და კაქკაქიშვილმა ჯანიშინმა გიორგიმ, კახნაშვილის ჩიხოშვილს გიორგის და იმის ძმას სეხნიას სამოლოო არ სდებოდა, დავთარშიაც ვეძებეთ, მეზობულბებსაც ვკითხეთ-

<sup>1</sup> სათაური: ქ. ღდლის მიცემული ახაშნელი შიო მღვდლის წიგნი.

მაგრამ არცა სდებოდა სამოურაო და არც ჩვენ გამოვართვით. თარხანი ყოფილიყო და ისევ თარხანი იყო. ვინც მოუშალოს, კელმწიფემ თავის შეცოდებათ მოჰკითხოს. ძველათ წიგნი ჰქონებოდა, უამთა შლილობისაგან დაჰკარგოდა და იმისი მაგიერიც წიგნი მივეცი, დაიწერა ლეინობისთვის კვ, ქკს უნდ. [ ]<sup>1</sup>

№ 98. 1766 წ. ნოემბრის 5-ს. ოქმი ერეკლე II-ისა გიორგი ყულარაღასისადმი. დედანი. 28×5 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ზელით. განკვეთილობის ნიშანი ნახპარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 2525.

ქ. ჩვენ მაგიერად დარბაზ ბატონს ყულარაღას გიორგის ასე მოეხსენოს, მერმე ამ ორ თვეში მორიგის სარქარდათ თქვენ რომ განწესებული ხართ, ვინცავენ თავადიშვილი, აზნაურიშვილი და გლეხი თქვენთან სამყოფი არის, ვერავენ დაგაკლდებათ და თუ დაგაკლდეს ვინმე არაგვისა, ქსნისა, საამილხაროსი, თუ ჩვენის დროშისა, თქვენ კაცს გაუგზავნიდეთ რამდენიც კაცი გაკლდებათ იმთენს ხარს ისინი გამოართმევენ და გამოგიგზავნიან[ნ]. ხარზე რომ მარჩილი სახსულოთ აიღება, ექვსი შაურ[ი] თქვენს კაცს და ექვსი შაური იმათს გატანებულს კაცს, ბატონო სარქარდრებო, ეს თქვენც ასე იცოდეთ—ამ ორს წყალზე, ზემო ქართლში და ჩვენის დროშის სასარდლოზე დაკლებული კაცი ამ წესით უნდა დაირბეოდეს, როგორც ზემოთ დაგვიწერია. აღიწერა ნოემბერს ე, ქკს უნდ. [ ]<sup>2</sup>

№ 97. 1766 წ. დეკემბრის 30-ს. მოწმობის წიგნი შერმაზან გნოლიძისა. დედანი. 16×11 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ზელით. „ა“-მეტი. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახპარია ორ-ორი წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2819.

ქ. მე გნოლიძე შემაზას პაატა ციცის-შვილმა მოწმობა მკითხა. ღთის წინაშე ამისი დამსწრე და მნახავი ვარ: ხუცია ლეჩებში დატყუებულიყო და სამთავის მეყვანათ, პაატა ჩავილა, დაეხსნა ლეკისაგან, ცხვილოს ამიყვანა პერანგა. არ ვიცი რა მისცა, დახსნით აჰან დაიხსნა. მე და ჩემი სულმა და ღმერთმან. ამის მოწმე ვარ ამა გნოლიძემ რომ უმოწმა მე, დავითის შვილი იესე +. ციმაკურიძე გოგია +. მღდელი ათანასე +. დავით ანანიას-შვილი აქა დავესწარით. მე ბასილის-შვილს შერმაზანს დამიწერია, მოწმეც ვარ ამისი. დაიწერა ქრისტიანობის ლ, ქკს უნდ.

№ 100. 1765 წ. მოწმობის წიგნი თაყანთ იესეს შვილის პაპუასი და სხვათა, თუშანიშვილების წისკვილის საქმეზე. პირი, გადაწერილი მოღურჯო ქალაღზე XIX საუკუნის დამდეგს, ქალაღის კვირნიშანი—1803 წელია. საქ. მუხ. ფ. Hd № 8526.

ქ. ლ[ვ]თის წინაშე ჯიმშიტაანთ ყმა ხელთუბნელი კოჩუას შვილი ბერუა კარგა ხნის კაცი იყო და კარგა მყოფმაც მრავალჯერ ჰსთქუა და თვითონ

<sup>1</sup> დავით.

<sup>2</sup> ერეკლე.

ელისბარის-შვილს პაპუასაც უთხრა სულ შეყრილს თუმანიანთში, რომ თაყაანთ მეტს ქვიტკირს აშენებულს ხელთუბანში წისქვილი არც უწინ ყოფილიყო, არც იმ დროს მე რომ ყმაწვილი ვიყავ, მამაჩემმა ახალის თარაქამულის ჭყელის ტომრებით საფეკავი ჩაიტანა თაყაანთ წისქვილში და მეც თან ჩამიყვანა, წისქვილს დააყარა. გვერდით მომიყენა იმ საფეკავს და ის წისქვილი ქვიტკირისა იყო, იმის პირდაპირ ამავე სალორიდამ გადენილი წყლით ჯიმშიტაანთ ბატონს ყალანდარს აშენებულს თაყაანთ მამულში აბრუნებდა და ეს თაყაანთ წისქვილის წყალი, არც სხვა რუ ჰქონდა, არც სხვა წყალი, ქვიტკირის საწასქვილო ჰქონდა. კარვად ხანმა და დრომ გაიარა, თაყაანთ წისქვილი მოიშალა და აღარ ააბრუნეს. რომ გაიყარნენ თაყაანი, მერე ოთარ მდივანის ოთარის დროს მდივანმა კილაძის ბაგის ბოლოს ბუჭულა ააბრუნა იმ თაყაანთ წისქვილის წყლითა. არცარა თაყაანთ უკითხავს, რომ თაყაანთ წისქვილი აღარ ბრუნებდა. ამისი მახსოვარი ვარ მე. თაყაანთ იესეს შვილმა პაპუამ. ხელთუბნელი ტერ მარკოზას-შვილი ტერ-დავითას შვილი, ტერ სიმონა და რეხელი ებიას-შვილი ოქრუა. კოჩუას-შვილი ბურუა ხან წავლილი კაცი იყო, შეუძლოდ იწვა, კიდევ აზიარეს. ამ ხუცეს ტერ სემონას და ოქრუას ვაკითხვინეთ, ასე ეთქვა, როგორც სწერია ამ საქმის ნნახავი ვარო, ეგების კიდევ მოვკვდეო, ასე მინახავსო, ჩემმა სულმაო. გამოვიდნენ ეს ხუცესი და ოქრუა, ასე სთქვაო. იქ იჯდა თუმანიანთ ლიპარიტის შვილი გიორგი შატბერაშვილი გარსევან+. გორელი ალიბეგას-შვილი ზაალა+. ვისაც ღ[მერ]თი გწამსთ, როგორც ამ კოჩუას-შვილი ბერუასაგან გაგეგონოსთ, ან მოციქულად იყავით, ან სამლთო, ან საერო ადამიანი, ან ამ მოციქულებისაგან გაგეგონოსთ თუმანიანთ ან სხვათ როგორც გაგეგონოსთ ისე მოწმობა მოაწერეთ აქ წიგნსა. ქკს უნე, ჩლფვ.

ქ. მე, ნიკოლაოზ თუმანის-შვილი ამის მოწამე ვარ, ეს წიგნი კოჩუაშვილმა ილაპარაკა ჩემთან ღ[ვ]ითის წინაშე, რომ სწორეთ ასე არისო. ნიკოლოზ.<sup>1</sup>  
განის აშიაზე:

ქ. ღ[ვ]ითის წინაშე მე შევედი ტერ სიმონა და ვპკითხე ამ წისქვილისა და ასე სთქვა, როგორც ამ წიგნში სწერია და ამის მოწამე ვარ. ჩემი ხელია, ბეჭედი არა მქონდა.

ქ. მე, თუმანის-შვილი გიორგი ამის მოწამე ვარ ღ[ვ]ითის წინაშე. რაც ამ წიგნში სწერია, ბერუა კოჩუაშვილმა ასე იმოწმა. ეს ჩემი ხელია.

ასლის თანასწორ გადმოვსწერე და ვემოწმებთა თავადი ბირთველ თუმანოვი.

ჩვენის წისქვილის მოწმობის პირი არის, რომელიც ამისი მკეადრი გორის უეზდის სასამართლოში არის შეტანილი.

№ 101. 1767 წ. აპრილის 16-ს. ყვის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ლუარსაბ აბაშის-შვილის მიერ ქაიხოსრო ჩოლოყას-შვილისადმი. X დედახი. 59<sup>1/2</sup> X 21 სპ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახტარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. II № 2838.

ქ. ნებითა და შეწვევითა ღ[ვ]ითისათა ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგართვი მე, აბაშის-შვილმა დავითის შვილმა ლუარსაბ, შვილმან

<sup>1</sup> ხვეულად

ჩემმან დავით და მომავალთა სახლისა ჩემისათა თქვენ, ჩოლოყას-შვილს ნაზირს ქაიხოსროს, შვილსა თქვენსა და მომავალთა სახლისა თქვენისათა;—ასე რომე დამეპირა და მოგყიდე ჩემი მემკვიდრე და ბარათში გამოყოლილი დაღელი იახათუნას-შვილი აბრამას შვილი თამაზა, იმისი ძმა ელისბარა, დათუნა, ქაქუცა, შერმაზანა, შიო მღვდლის შვილები ავიღე ფასი სრული და უნაკლულო, რითაც ჩემი გული შეგჯერდებოდათ, არა დარჩა რა თქვენზედა არცა ერთი იოტის ფასი. თუ ვინმე წამოგედაოს, პირისა და პასუხის გამცემი მე ვიყო. ლ[მერ]თნ მოგცესთ და გაბედნიეროსთ, როგორც სხვას ალაღს მონასყიდეს მოჰქმარებოდეს. არის ამისი მოწამე ეშიკალათბაში ზაზა [ ], ბოქაულთუხუცესი საამის-შვილი ედიშერ [ ], იოთამის-შვილი ერასტა [ ], იოთამის-შვილი რევაზ [ ], გერმანოზის-შვილი პაპუა [ ], ქავთარის-შვილი ნიკოლოზ [ ], სოლალას-შვილი მანუჩარ [ ], მე სიონის კანდელაკის შვილს ისაკს ლუარსაბის სიტყვით დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა აპრილის ივ. ქკს უმე, ქკს აქეთ ჩღნზ. [ ]

№ 102. 1767 წ. ივნისსა 5-ს. ერეკლე II-ის ბრძანება ზაალ ყაფლანიშვილისათვის ყმის ბოქების შესახებ. დედანი. 20×15 სმ, დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუზ. ფ. Hd № 2646.

ქ. ჩვენი ბძანება არის, მერმე აზატა ძველთაგანაც ზაალ ყაფლანის-შვილის ყმა ყოფილიყო და ბატონი მამა ჩვენი ყიზილბაშიდამ რომ მოჰძანდა, ეს აზატაც იმ ხანად მოსულიყო და მას აქეთ ზაალ ყაფლანიშვილის ყმათ ყოფილიყო და ამისთვის ემსახურებინა. რადგან ძველთაც ამის ყმა ყოფილა და ყიზილბაშიდამ რომ მოსულა ამასვე ჰყმობია, სამართლითაც ზაალ ყაფლანიშვილს დარჩა და ჩვენც ამისთვის გვიბოძებია, სხვას ველი არავის აქვს, აღიწერა თიბათვის ე, ქკს უნე. [ ]<sup>1</sup>.

№ 103. 1767 წ. ივნისის 9-ს არზა, მიცემული ყაიყულელების სარუხანას, აზარიას, აბაზას და სხვების მიერ ერეკლე II-სადმი უკანასკნელის ოქმით. დედანი, დაზიანებულია თავში. 32×21<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. სახ. მუზ. ფ. Hd № 2716.

ქ. ლ[მერ]თ[მან] ბედნიერის ველმწიფის ჭირი მოსცეს მათ ფეხთა მიწა მტერს ერთობლივ ყაიყურლელებს სარუხანას, აზარიას და აბაზას და სარქისას და აზატას. მერე ამას მოვახსენებუ ჩვენს მუდამ მწყალობელს ველმწიფესა: აქნობამდინ ყაფლანიანთ ჩვენი მოტრავი იყვნენ და ყმურებ გვ[ი]სახურებდნენ. ახლა რათგან სახასოს კაცის მოკითხული იქნა, ჩვენც ჩვენი თავი გამოვაჩინეთ, რომ კვიდრი სახასო ყმა ვართ, ახლა ჩვენი ერთმანეთის მოშორება

<sup>1</sup> ერეკლე

არ უნდა იქნას და ორი კომბლიც დღეს გამოჩნდა და ახლა ამ აზატას მიცემა რომ გაიგონეს, ყველანი ფოშიმანი გამხდარან. ახლა ყაიყული ასეთი ხასი ყოფილა, რომ მესისხლე კაცი რომ შესულიყო, იმისი გამოყვანა არა კაცს არ შეეძლო. ახლა ეს აზატა, ჩვენ და ჩვენმა ღმერთმა, რომ ყაიყულში დაბადებულა და იქილამ ერთად ტყვედ წაგვასხეს ხორასანს, იქილამ ცოლშილით მოსულა ქალაქს და ჩვენც თითო ყაფლანიანთ ვემსახურებოდით. მაგრამ ახლა რომ მოკითხული იქნა, ჩვენ ჩვენს თავს ვერ დავმალვდით. ახლა იმთონი თქვენგან წყალობა იყოს, რომ ეს კაცი უსამართლობით იმათ ხელში ტყვეთ ნუ მიგვცემ, სამართალში გვალაპარაკეთ და რაც სამართალმა გასჭრას, ისე გვისამართლეთ, შარშან სამართალში გვალაპარაკეს და დივანბეგებმა სამართალი ნახეს და განაჩენიც მისცეს ამ აზატასა, რომ სახასო არისო. ახლაც კიდევ მოკითხული ქენით და ისე გვისამართლეთ. იმისი მოწამე ისევ თავისი ყმა არის და თავისი მოყვარე და აზატას მოწამეები ასი წლის კაცი არის და ყველანი მოწამენი არიან სულ უცხო კაცი, რომ ეს კაცი ყაიყულელია. თქვენად გასამარჯვებლად და თქვენის შვილების სადღეგრძელოთ ამისი სამართალი გვადიოსეთ. აღიწერა თიბათვის თ, ქკს უნე.

ზემო აშიაზე:

ქ. ჩვენი ბრძანება არის ამ არზის პატრონო, მერმე აზატაზე ლაპარაკი აღარ იქნება სამართალში ზაალ ყაფლანიშვილს მიეცა. იმაზე ნულარას ილაპარაკებთ. აღიწერა თიბათვის ით, ქკს უნე. ||<sup>1</sup>.

№ 104. 1767 წ. სექტემბრის 19-ს. ყმის დანებების წიგნი დივანბეგ ფარსადანის მიერ ომან ჩოლოყაშვილისადმი მიცემული. დედანი. 20×13 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2886

ქ. ესე წიგნი მოგეც მე, დივანბეგმა ფარსადან თქვენ, ჩოლაყაშვილს ომანს და მოურავს ქაიხოსროს; ასე რომ კურთხეული ჩემი და თქვენ ომანს გყვანდა და იმას ერთი ჩემი ყმა ნიჩბელი ბაქაძე ხურო ქიტესა თავისი შვილია იმ ჩემს დას მივეცი. წიგნიც გქონდათ. რახან ჩემს დას შვილი არ დარჩა, ეს კაცი ისევ თქვენთან იყო. მეც თქვენის მოყრობის სიყვარულით ისევ თქვენ მოგართვი. დღეის იქით ამ კაცთან თქვენს მეტს არას კაცს ხელი არა ქონდეს. დაიწერა ენკენისთვეს ით გასულს, ქკს უნე. ||<sup>2</sup>.

№ 105. 1767 წ. ნოემბრის 20-ს, არზა, მიცემული ზაალ ყაფლანის-შვილის მიერ ერეკლე II-სადმი, ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი. 28×2 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2648.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ ბედნიერის ხელმწიფის ქირი მოსცეს მათს მიწა მტერის ყაფლანიშვილს ზაალს, ახლა ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს ხელმწიფესა

<sup>1</sup> ერეკლე

<sup>2</sup> ფარსადან.

სათაული: ქ. ბაქაძე ქიტესა დურგლის წიგნი.

შარშან თელავსაც მოგახსენეთ, დავით თურქისტ[ა]ნიშვილს ჩემი ორი კომლი-  
კაცი გაუყიდია. ერთი ნათლიშვილისათვის მიუყიდნია, ერთი მილდისათვის მი-  
უყიდნია ახლა. ის დავითიშვილიც აქ გახლავს, კითხეთ, რის საბუთით გამი-  
ყიდა. სამართალს ვითხოვთ, ღ[მერ]თი განგაძრიალებს, ბედნიარო ხელმწიფე-  
ალიწერა გიორგიბის იე, ქ[კ]ს უნე.

ზემო აშიაზე: ქ. ბატონო მოსამართლენო, ესენი ალაპარაკეთ და ღ[ვ]თისა  
წინაშე სამართალი მიეცით. ნოენბრის კ. ქ[კ]ს უნე. რასაც მიხვდეთ<sup>1</sup> | <sup>2</sup>

№ 196. 1768 წ. მაისის 21-ს მოსამართლენო განაჩენი ზაზა თარხნიშვილისა და მი-  
როტაჰის დავაზე. დედანი. 30×16 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხე-  
ლით. განკვეთილობის ნიშნად ადგილადვალ ნახძარია წერტილი. საქ. მუხ.,  
ფ. Hd № 2813.

ქ. აბულაძე თამაზა ჯავახეთიდან აყრილიყო და ზაზა თარხნიშვილს  
მისლოდა. რამდენსამე წელიწადს მის ყმათ ყოფილიყო. მერე მიროტაძე ტყუი-  
ლათ წასდავებოდა რომ ევ თამაზა აბულაძე ჩემი სახლის კაცი არისო. გაუ-  
შინჯაობით მომხდარიყო და თამაზა აბულაძე მიროტაძეს ტყუილათ გაეტანა.  
რამდენსამე წელიწადს ქვენატკოცას სახლებულიყო, მერე იქიდან აყრილიყო  
და ბეჟან ბაღრიაშვილს მისლოდა. კარგა ხანს იმასთან მდგარიყო. ახლა თარ-  
ხნიანთ და ამირეჯიბს ამ აბულაძის შვილს ბერზე ლაპარაკი შეექნათ. სარ-  
წმუნოს მოწმებისაგან შევიტყვეთ, რომ აბულაძე თამაზა მიროტაძის სახლის  
კაცი არ ყოფილიყო და ტყუილათ მოეგონა. ახლა სამართლით აბულაძის თა-  
მაზას შვილი ბერი თარხნიშვილებს დარჩათ, ამისთვის რომ ჯავახეთიდან ზაზას  
მოსლოდა, მკვიდრი ჯავახი იყო და ზაზას ყმობოდა, რადგან ზაზას ყმა და მა-  
შული თარხნიანთ საერთოთ ბატონისაგან წყალობათ სჭირს, ეს აბულაძე ბე-  
რიც თარხნიანთ საერთო ყმა იქნება, სახლის კაცობაში თითონ მორიგდენ,  
სხვას ამასთან ველი არავისა აქვს, ამ აბულაძეს ბერზე ერთი განაჩენი ამირე-  
ჯიბს მივეციო, მაგრამ გაუშინჯაობით მოხდა. ის განაჩენი ბათილია. ახლა სარ-  
წმუნო მოწმებისაგან სწორე შევიტყვეთ და ეს განაჩენი თარხნიანთ მივეციო.

ალიწერა მაისის კა, ქ[კ]ს უნე. | იოანე | ქაიხოსრო | მონა ღ[ვ]თისა ამი-  
ლახერიშვილი იესე | ქაიხოსრო<sup>3</sup>

№ 107. 1768 წ. მაისის 22-ს. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული მზეჭაბუკ  
ჯავახიშვილის მიერ სოლომონ და დავით თარხნიშვილებისადმი. დედანი.  
42×22 $\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრულის ხელით საქ. სახ. მუხ.  
ფ. Hd № 2589.

ქ. ნებითა... ესე... ნასყიდობის წიგნი დასიგელი დაგიწერეთ და მოგე-  
ციოთ ჩვენ. ჯავახის-შვილმან მზეჭაბუკ და ძჰამან ჩემმან თეიმურაზ და ვახუშტიმ და  
შვილმან ჩემმან გოგიამ და ყოველთავე შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენი.

<sup>1</sup> უჯანსკნელი ორი სიტყვა სხვა მელნით და ხელითაა ნაწერი.  
<sup>2</sup> ერეკლე.  
<sup>3</sup> ქ. აბულაძის განაჩენი.

სათა თქვენ, თარხნიშვილს ყორიასაულბაშს ზაზას, შვილთა თქვენთა სოლომანს და დაჯითს და ყოველთა შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა,—ასე რომე დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი მკვიდრი ყმა გრკონელი (sic) ერთგულაშვილი ბერი უმამულოთ თავისის ცოლითა და შვილითა და ყოვლის მისის საბადე-ბულობითა. ეს ჩვენი ყმა ბერი რადგან ჯავახეთს გადავიდა და შენ შენის პირობით გადმოიყვანე და ფიცითა, ჩვენ რომ წამოგედევნით და ამან თქვენი თავი ინდობა და ჩვენც ჩვენის ნებაწადილობით მოგყიდეთ და ავიღევით ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდა. გყუანდეს და გიბედნიეროს ღ[მერ]თ[მან] და მშვიდობაში მოგაგმაროს. არის ამისი დამხვედრი და მოპირე და მოწამე და გამრიგე ემიკალასთბაში ბატონი დიმიტრი, [ ] ჯავახი-შვილი ზაალ, ნინიას-შვილი მღვდელი ოტია +, თარხანი გიორგი, თარხნის-შვილი იორამ, ელისაბედაშვილი მღვდელი იესე. დულაძე ესტატე, ხუცის-შვილი ბერი, გოზალას-შვილი ბეჟანა. მე, სეხნიას ჩივაძეს დამიწერია ამ ჯავახისშვილების ყაბულობით და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა სიგელი ესე მისის კბ, ქკს უნფ.

[ ] [ ]

აშიაზე: ქ. ჩვენ, ენდრონიკაშვილი მდივანბეგი ქაიხოსრო ამის მოწამე ვართ [ქაიხოსრო]

ქ. მე, მდივანი სულხან ბეგთაბეგის ძე ამის მოწამე ვარ [მ[ონა]ლ[ვთ]ისა სულხან]

ქ. ჩვენ, მდივანბეგი ციციშვილი ფარსადან ჯავახიშვილების სამისავ ძმის ყაბულობით ამის მოწამე ვართ [ფარსადან]

ქ. მე, დავით მორდალი დიასამიძე ამის მოწამე ვარ. [დიასამიძე მორდალი დავ თ]

ქ. მე საქართველოს პატრიარქის მოლარეთ ხუცესი გედივანის ძე კნიანი პატა სამისავ ძმის ყაბულობით ამ სიგლის მოწამე ვარ [გედივანისძე პატა]

№ 108. 1768 წ. ივნისის 6-ს. ყმის მობარების წიგნი, მიცემული დავით სახლ-თუხუცესის მიერ გიორგი თუშანიშვილისადმი. დედანი. 114|2+20 სმ, დაწერილი თვით ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი. საქ. სახ. მუხ. ფ. Qd № 236.

ქ. დავით სახლთხუცესის სიკეთით სახსენებელო თუშანიშვილო გიორგი. მერმე ეს ჩვენი ყმა საკარელი თამაზა მანდ ხელთუბანს ხიზნათ დგას. სანამ ჩვენ ავეყრიდეთ და წავეყვანდეთ შენტვის მოგვიბარებია, უბრალოთ ნურავის ამსახურებ და ნურავის გააგლეჯინებ, ამასთან ან თქვენ რა საქმე გაქვსთ, ან სხვასა, რომ გასარჯოს ვინმე. შენი მობარებულია, როგორც აქამდინ შენს ბიძა-

შვილს გიორგის ებარა, ახლა შენ თვალყურად დაიჭირე ამსზე, შთიბათვისა მ, ქკს უნჯ.

ამას ერთი თოფი ჩითი დაჰკარგვია. ვისაც ედავებოდეს, სამართლით თუ შეუვიდოდეს, გამოურთვი, მოეც, ნუ აჩივლებ. დავით

№ 109. 1769 წ. ივნისის 25-ს. ოქმი ერეკლე II-ისა რევახ ამილახორისადმი მიცემული. დედანი.  $13\frac{1}{2} \times 10$  სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 14454.

ქ. ბატონო რევახ ამილახორო, წიგნი მოგვიწერია და მორიგეში ჩამოდი. მღევრულად წამოდი, ნულარ იყოენებ, წაპოდი, დადეგ, განწესებულს ადგილს დადეგ, საჩქაროდ ჭელზედ მოგწერეთ ეს წიგნი. ივნისის კე, ქკს უნჯ.

ქ. ზოგი თან მოიყოლიე, ზოგი კაცი დაადევი და მოგადეენონ, ნულარ იყოენებ. ( )<sup>1</sup>

საბუთის მეორე გვერდზე: ქ. ლ[ვ]ითით რევახ ამილახორს მიუვიდეს

№ 110. 1769 წ. სექტემბრის 10-ს. არხა, მიცემული მათეოზა და სხვა დანდური-შვილების მიერ ყორიასაულბაშისადმი. დედანი.  $23 \times 13$  სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2822.

ქ. ღმერთმა ბატონი ყორიასაულ-ბაშის ქირი მოსცეს დანდურიშვილს მათეოზასა, მეღქუასა, აბელას და გასპარასა, გაბრიელასა. ახლა ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს ბატონს: ჩვენთვის ჯავახეთს წიგნი გებოძებინათ და ფიცი გებძანათ, რომ ბატონის ოქმი მაქვს, თქვენ ოლომც გადმოდით თათრის ქვეყნიდამ, არვის თქვენთან საქმე არ აქვს, ვისაც ყმათ გინდათ, იმასთან მიდით. რათგან თქვენი წიგნი მოგვივიდა, ისევე თქვენ გაიხელით. თუ ისევე გავსცემდეთ, თქვენს გასამარჯვებლათ და თქვენი შვილების სადღეგრძელოთ ისევე წყალობას ვითხოვთ დასტური გვიბოძოთ, ისე იქავ წავიდეთ, რომ უსამართლობამ გავგრეკა საქართველოდამ. იორამისა და ბერის ყმობა არ შეგვიძლია. თუ ხელშეკრულს მიგვსცემდეთ თხუთმეტ სულს ხიზანს პასუხი გავგეც ღმერთის სამართალში. ჩვენ შენს უკეთესად ბატონი არ გვინდა საქართველოში, ღმერთმა ნურც მოგვცეს: ერთი ღმერთი გვიმედებით (?), მას იქით შენა. შენს მეტი პატრონი არც გვინდა და არცრა სხვა ვიციით, დაიწერა ენკენისთვის ათს, ქკს უნჯ.

<sup>1</sup> ერეკლე.

სათაური: ერთგულისშვილის ნასყიდი წიგნი.

№ 111. 1774 წ. მარტის 3-ს. ოქმი ერეკლე II-ისა რევან აპილახორისადმი. დედანი. 21×14<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შექდეგ ნახპარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 14335.

ქ. მესტუმრო, ჩვენ მაგიერად ჩვენს დიდს იმედს და დიდათ იმედათ მისაჩენელ მისახედავს, არაოდეს არ დასაეიწყარს დარბაზს-ბ[ა]ტონს ამილახორს რევანს მრავალი მოკითხვა მოახსენე. მერე მორიგემ დაიგვიანა, შენგან ეს არ გვეგონა, რომ იმდენს ხანს დააგვიანებდი. ეს ჩვენი წიგნი რომ მოგივ[ი]დესთ, ამაზედ მეტათ ნულარ დაიგვიქანებ. უზბაში ხერხეულიძე ივანე და ბორტის-შვილი ზაზა არის. ისინი გამოუძღვარე და გამოგზავნე. განაჩენბიაც სომ დაგვიწერია და ახლაც ამასა გწერთ, თუ ვინმე ან კომლსა და ან თავს დამალავს და ამ აღდგომამდის არ გამოაჩენს და მასუკან შეეიტყობთ, ყველამ ასე იცოდნენ, რომ იმ დამალულს კაცს წავართმევთ და სახასოდ დავდებთ. მეორედ კიდევ ამისთვის გაცოდინეთ, რომ ხუმრობა არავის ეგონოს, ყველანი გაფთხილდნენ, ეს ასეთი საქმე არის, ამაში ნაკლებობა არავიქსგან იქნება. მარტის 3, ქკს უმბ, ( )<sup>1</sup>

საბუთის მეორე გვერდზე:

ქ. ლ[ე]თით რევან ამილახორს მიუვიდეს.

№ 112. 1770 წ. იანვრის 10-ს. არზა, მიცემული სავაჩნაძოს მიერ ერეკლე II-სადმი, უკანასკნელის ოქმით. დედანი. 32×14 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შექდეგ ნახპარია თითო წერტილი—საქ. მუხ. ფ. Hd № 14379.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ ბედნიერის წემწიფის ჰირი მოსცეს სულ ვაჩნაძიანთ თავდასა და გლახთა. მერმე ამას მოვახსენებთ ბედნიერს წემწიფეს: ჩვენს მთაში ორიოდ სამი ღორი მოვკალით. მოგეხსენებათ საბალახე მუდამათ აგვილია; მოვიდნენ ნუკრიანელნი და ჰოტორელნი მოვიდნენ ჩალუბანს სოფლის პირში, მელორეც დაიჭირეს ტყვის მგზავსათ, მელორეც წაიყვანეს და ღორიც წაასხეს. მისახეს ზოფელში და ათი ღორი გამოარჩიეს, დახოცეს და სხვა ღორი და მელორე გამ[ო]ქუშოთ ჩვენს მამულში. ეს დაგვემართა, მთა აღარ შავგრა და ბარი წაურთმეველი ჩვენის მემიჯნებისაგან. თქვენ[ა]დ სადღეგრძელოთ ამის სამართალს ველით, რომ სამართალში ერთხელ გადაგვიწყვიტოთ.

ზემო აშიაზე სხვა ხელით: ქ. ჩვენ მაგიერად ხიზიყის მოურავს პაპუას ასე მოგხსენოს. მერმე ეს გეუწყოს. ეს სავაჩნაძო ამ არზით ჩივიან ასე, ესენიც შენი სასარდლონი არიან, თუ შენ უზამ მად ამათ სამართალს, ხომ კარგია და გარბიგებ, თუ არა და ორნივე კარზე ჩვენს სამართალში გამოგზავნე. იანვრის

ი, ქკს უნც. ( )<sup>2</sup>

<sup>1</sup> ერეკლე.

<sup>2</sup> ერეკლე.

№ 113. 1770 წ. თებერვლის 8-ს. არხა მიცემული მარაბდელების მიერ ერეკლე II-სადმი. უკანასკნელის ოქმით. დედანი. 21<sup>1</sup>/<sub>2</sub> × 15 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის ხემდეგ ნახპარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd. № 14561.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ ბედნიერის ხემწიფის ქარი მოსცეს ერთობლივ მარაბდას მოსახლეთა. შარშ[ან] თქვენგ[ან] წყლობა დაგვემართა და რუ გამოგვიტანეთ. ზოგი თქვენი წყლობა იყო და თქვენს წყლობ[ა]ს გარდა ზოგი ჩვენც დავხ[ა]რჯეთ, მაგრამ ხელი ვერ დაუშთავრეთ, ისიც თარქამის საქონელმა წაგვიხდინა. ამ[ა]ს გვედრებით, რომ ჩვენ შეძლება არა გვაქვს, ორმოციოთ მუშა თარქამიდან გვიბოძოთ, რაღაც ნახნავი გვ[ა]ქვს მოურწყობით არ წაგვიხდეს, იმათი შესამატიცა ვართ, ყარაულნიცა. იმათი საქონელი მუდამ ჩვენშია. თებერვლის 8, ქკს უნმ.

ზემო აშიაზე:

ქ. ჩვენი ბძანება არის, მერე ეს რომელიც მოგიხსენებიათ, ეს კი არ გარიდება, მაგრამ თქვენ იმ რუს გამოტანას ეცადენით, გაკეთეთ და რასაც

დახარჯავთ, ნავროზ უკან ჩვენ გიბოძებთ. თებერვლის 8, ქკს უნმ.  1

№ 114. 1770 წ. მარტის 6-ს. ოქმი. თაენაკლული. დედანი. 14<sup>1</sup>/<sub>2</sub> × 11 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახპარია ორ-ორი წერტილი—საქ. მუხ. ფ. Qd. № 244.

... გამოგვიგზავნია, ეს თეთრი ახლავ ამ ჩემს კაცებს უნდა მიაბაროთ თვის საიასაულოთ და ეს ამილახორის წიგნი, თუ ამილახორის ბეჯითი კაცი მიდიოდეს ვინმე, ხომ იმას გაატანეთ, თუ არა და ერთი კაცი შესვით ცხენსა და ახლავ გაგზავნეთ, რომ დიად საჩქაროდ [ჩა]მოვიდეს აქა. თორემ ვერც ბატონს მისცემთ ჯულა (...?) ვერც ჩვენა. დიად საჩქარო წიგნი არის, რომ საჩქაროთ არის დაბარებული, თუ ეს წიგნი დააგვიანეთ, ხემწიფისაც მუხანათი იქნებით და ღვთისაცა. მარტის 6, ქკს უნმ.

მეორე გვერდზე სხვა ხელით:

ქ. ესე განაჩენი რომ გექონ[და], ქათალიკოზს ეძლია ამ ფარსიაშვილის ნახევარი და პაპუას არ დაეჭირა და თოთხმეტს წელიწადს გლეხი პაპუას ეჭამა ამის წილიც და თვისიცა. ახლა ის თვისი ქრთამი ამან ჩვენ მოგვართვა თვისის კერძის ტერ[მარ]კოზაშვილისა და იმ ქრთამის ბარობაზედ ამასთან ხელი არა აქს და ვერც რას შეუვა. ის წიგნი რომ აქვს, ცუდია.

აქვე მეორე გვერდზე თავში ბეჭედი.

<sup>1</sup> ერეკლე.

№ 115. 1770 წ. მარტის 13-ს. არხა, მიცემული სოლომონ აბაზაძის მიერ ვრეკლე II-სადმი, ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი. 21×10 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე, მადრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი—საქ. მუხ. ფ. Hd № 14364.

ქ. ღმერთ[მა]ნ ბედნიერის ჯემწიფის ქირი მოსცეს მათ მიწას სოლომან აბაზაძესა, მერე ამას მოგვახსენებ ბედნიერ ჯემწიფესა: ერთი ჩემი მემკვიდრე კატი, ბოლაკაძე პეტრე და სვიმონა წმიდის გიორგის უთხვის ნნათე არის, იასე დიასამიძეს ყავს. ასემც თქვენი ორგულია, როგორც ჩვენი მამული ღობრებული არის.—ხატის სამთლის ამთებიც აღარავინ მყავს. ამას გვედრები, ჩემის კაცის წყალობა მიყოთ, ავყაროთ და სურამს მივიყვანოთ. თქვენათ გასამარჯვებლათ და თქვენის ძისა და ასულის სადღეგრძელოთა, წყალობა დამართეთ. მარტის იგ, ქკს უნთ.

განის აშიაზე: ქ. სურამის აზნაურშვილებო და სურამლებო, ამის ჰალილათი სწორე მოაწერეთ, ეს კაცი ვისი ყმა არის, ამ სოლომონის მოხსენებული მართალი არის თუ არა სწორე მოგვახსენეთ. მარტის კ, მ ქკს უნთ. <sup>1</sup>

ზემო აშიაზე: ქ. ჩვენი ბძანება არის იასაულო იოსებ ელიოზის-შვილო, მერე ამ არზის პატრონს რომ ამ არზით მოუხსენებია, ეს კაცი აუყარე და ამ სოლომან აბაზაძეს მოაბარე, თუ ქვეშარიტი სიტყვა ჰქონდეს ვისმე, ჩვენ მოგვახსენოს, მაგრამ თუ გამტყუნდება, გარდავახდევინებთ. იანვრის კვ.

ქკს უა. <sup>2</sup>

მეორე გვერდზე: ქ. ბედნიერის ჯემწიფის ამ არზისა აღიათი და სწორე ებძანა. ჩვენ მურვანის-შვილსა იესე და სურამის მამასახლის და ერთობილთა სურამელთა ვკითხეთ, ყოველი მახსოვარი შენსა მხესა ფიცენ, რომ სწორეთ უთხოვია, მოსახლეც არიო და ხატისა [მ]ნათეცა იყო, ნება ხელმწიფისა ასრულდეს. დაიწერა მაისსა ძმ, უნთ <sup>3</sup> <sup>3</sup>

№ 116. 1771 წ. იანვრის 9-ს. სამართალი მდივანზეგებისა ბეჟან სააკაძის ობოლისა და სარდალ-სახლთუხუცეს დავით ორბელიანის დავის გამო. დედანი. 43×21 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარია არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 2755.

ქ. ავი დროს მიზეზით საქარისი რომ დაცლილიყო და ამ სოფლის გლეხი დაფანტულიყო, მუზუაშვილი როსტომა და არუთინა ჯავახეთს გარდასულიყვნენ. მასუკან ჯავახეთიდან გარდმოსულიყვნენ და ატენს სააკაძეს ბეჟანთან მოსულიყვნენ, ცოტას ხანს იქ მდგარიყვნენ და მერე გორს გამოსულიყვნენ.

<sup>1</sup> ვრეკლე.

<sup>2</sup> ვრეკლე.

<sup>3</sup> არ ირჩევა.

კარგა ხანი გორს სახასოდ ყოფილიყვნენ. მერე სააკაძის ბეჟანის ობოლმა სამართალში ილაპარაკა: ესენი ჯავახები არიანო და უწინ მამა ჩქეს მოუვიდნენო. ამ გლეხმა კაცებმა თავისი თავი დამალეს და საკარელობით არ გამოაცხადეს, რადგან მოდავე არაეინ იყო. ჯავახობის მიზეზით მუზუაშვილის როსტომასა და არუთენას შვილები არაქელა, ეივაზა და სარქისა სააკაძის ობოლს მიეცა. ახლა სარდალ სალთუცესმა ორბელიანმა დავით სამართალში მოწმები წამოაყენა, რომ ესენი მკვიდრი, საკარელნი არიანო. ამ გლეხმა კაცებმაც თავის პირით აღიარეს: ჩვენ საკარელნი მემკვიდრენი ვართო, მაგრამ გვეშინოდა, ბატონი ჩვენი ქართლიდამ აგყრის, წაგვასხამსო და ამისთვის აქამდინ ჩვენი თავი დავმალეთო, სააკაძის ბეჟანის ობოლიც და სააკაძეებიც სამართალში მოვაყვინეთ, მოწამე ვთხოვეთ, რომ ეს კაცნი ჯავახნი იყვნენ და საკარელნი არ იყვნენ. იმათ ვერც მოწამე წამოაყენეს და ვერც ამათი ჯავახობის საბუთი ქნეს, სამართლით ეს მუზუაშვილები არაქელა, ეივაზა და სარქისა ორბელიანს სარდალ სალთუცესს დავითს დარჩა. ამათთან სააკაძეს ხელი არა აქვს. აღიწერა იანერის თ. ქქს უნთ.

	მ[ო]ნა ღ[ვ]ითისა ანილახორის შვილი იესე	მ[ო]ნა ღ[ვ]ითისა სულხან	სულხან
--	--	-------------------------	--------

ზემო აშიაზე: ქ. ჩვენ მეფე ქართლისა და კახეთისა ირაკლი ამ მდივანზეგთან განჩინილს სამართალს ვამტკიცებთ. იანერის ი. . . ქქს უნთ 1

\* 117. 1771 წ. იანერის 20 ს. ბრძანება ერეკლე II-ისა პატა ციციშვილისადმი დედანა. 19x14 1/2 სმ, დედანი. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 9721.

ქ. ჩვენი ბძანება არის ციციის-შვილო პატავე, ამილახორს რადგანც ცხრა მუხა სოფელი დარჩა, მიდი და ხელი აუმართე და რაგვარადაც განაჩენი აცხადებს, იმ გვარად მიიბარე, განაჩენშიაც ასეა გამაცხადებული. როგორიც ვახუშტი აბაშიძის დროს ყოუილა ის სოფელი, ისეთი უნდა მიეზაროს და თუ იქიური გლეხი სხვაგან ესახლოს სადმე, აუყარე და მოაბარე.

იანერის კ, ქქს უნთ. 2

№ 118. 1771 წ. თებერვლის 4-ს. სამართალი ლეონ ბატონიშვილისა და მსაჯულთა რუისელ მღერაიშვილის საქმეზე დედანი. 4x14 1/2 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით — საქ. მუხ. ფ. Hd № 14374.

ქ. საბატონისშვილოს რუისელ მღებრის-შვილის ბაღდასარას ბედნიე-რის მგფისათვის არზა მიერთმევიანა. მისს სიმალლეს ამისი სამართალი ჩვენ

<sup>1</sup> ერეკლე.  
<sup>2</sup> ერეკლე.

ბატონის-შვილის ლეონისათვის და მსაჯულთათვის ებძანებინა. ჩვენ ეს რუისელი მღებრის-შვილი ბაღდასარა ქოვაყვანინეთ და სამართალში ვალაპარაკეთ. ბაღდასარამ სამართალში ასე ილაპარაკა: რუისილამ მამა ჩემი აყრილაო, გორს მოსულაო და ბატონის სამსახურში შესულაო და დავთარშიაც დაწერილაო. ამას წინათ ქალანთარმა გვიჩივლაო, აყრას გვიპირობდაო და ნეტარხსენებულს მეფე თეიმურაზს მოეახსენეთო და ოქმი გვიბოძაო. ქალანთარმა ვეღარ აგვეყარაო და ოქმი აყრაში დაგვეკარგაო. შარშანსწინ რუისელებმაც გვიჩივლესო და ბატონმაც ჩვენგან ჯელი აღებინაო და რა მამა ჩემი აქ გორს მოსულაო სამოცი წელიწადი იქნებაო და გორულს დავთარში ვსწერივართო და მის სიმალეს მეფეს ამ ბაღდასარასი ასე ებძანებინა: მოკითხული ჰქენითო, თუ ოსმალოზას ეს ბაღდასარა გორს ყოფილიყოსო, ამისი გორილამ აყრა არ იქნებაო. ამ ბატონის ბძანებით და სამართლის ძალით ბაღდასარას მოწმები ვთხოვეთ და გორის ქეთხუდები მოწმათ მოასხა. გორის ქეთხუდებმა ბაღდასარას ასე უმოწმეს, რომ ეს ბაღდასარა ოსმალობასაც აქ გორს იყო და უფრო პირველათაცო. რადგან ბატონის ბძანება ასე იყო, თუ ოსმალობას ბაღდასარა გორს ყოფილიყოსო, ამისი აყრა აღარ იქნებაო, ჩვენ მოვკითხეთ და ბაღდასარამ მუხტბარის ქედხუდებს მოწმობით სარწმუნო გვამყოფა, რომ ბაღდასარა ოსმალოზას აქ გორს ყოფილიყოს, რადგანც ბატონის ბძანებას გორის ქედხუდების სიტყვა ემოწმებოდა, ამისი სამართალი ასე გვაჩინეთ ამ რუისელ ბაღდასარასთან, ამის ძმა სარქისასთან, როსტომასთან და ბაინდურასთან არა კაცს საქმე არა აქვს, გორს უნდა იღვინ საბატონისშვილოთ. თებერვლის დ.

ქკს უნთ. <sup>1</sup>

№ 119. 1771 წ. აპრილის 5-ს. სამართალი ქართლის მღვიანბეგებისა თეიმურაზ ჯავახიშვილისა და ნინიაშვილის საქმეზე. დედანი. 41×17 სმ, დაწერილი თეთრ. ქალღმერთზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქმეხ. ფ. Hd № 3002.

ქ. ნინიაშვილს თავის ბატონის ჯავახიშვილისაგან ლულს მამული ეყიდნა. იმ ნასყიდობის წიგნში ასე ეწერა: ლულს მამული მოგყდე ზაქარაშვილითაო. ნინიაშვილმა მღვდელმა ოტიამ, ბერმა და პავლემ ზაქარაშვილს ივანეს, დემეტრეს და ხიზანას სამართალში ვლაპარაკენ. ჩვენ მოსამართლეებმა ამათი საჩივარი გავიგონეთ, მოწმებისაგან მოვკითხეთ და ასე გვარწმუნეს: როცა ჯავახიშვილს ის მამული გაუყიდნია, მაშინ ეს გლეხი კაცი აყრილი ყოფილა და ჯავახეთს სახლებულა, კარგა ხანი გამოსულა, რომ ეს გლეხი კაცი მასუკან ჯავახეთილამ გარდმოსულა, ლულს აღარც შენობა ყოფილა და აღარც მისულა, ჯავახიშვილის მამულში მდგარა და ჯავახიშვილს მსახურად ხლებია. ეს გლეხი კაცი ამასაც ამბობდა, მე გვართ ზაქარაშვილი არ ვარო, ფარნაძე ვარო. მაგრამ თუ უნდა ზაქარაშვილი იყოს, როცა ჯავახიშვილს ის მამული გაუყიდნია, მაშინ ესენი ჯავახეთს ყოფილან. რადგან მამული გაუყიდნია, სხვას ქვეყანას

<sup>1</sup> ვრკლე.

დაკარგულს კაცს ველარ გაჰყიდდა და მერე იმავ თავის ბატონს ამ ნინია-  
 შვილებისათვის ეს კაცი გასამყრელოთაც გამოერთმია. რადგან ეს ასე ყოფი-  
 ლა, ნინიაშვილები ამ ივანეს, დემეტრესა და ხიზანას ნასყიდობით ყმათ ვერ  
 დაიჭერენ და ლულს კი მამული ნინიაშვილის ნასყიდი არის. ეს გლეხი კაცნი  
 ჯავახიშვილის თეიმურაზის და ვახუშტის ყმანი არიან და თუ ჯავახიშვილები  
 ამ გლეხკაცთ ისევ ნინიაშვილს მისცემენ, წყალობის ყმათ ეყოლება, ნასყიდო-  
 ბით კი ველარ დაიჭერს. აღიწერა აპრილის ე, ქკს უნთ. 

	1
--	---

	2
--	---

№ 120. 1771 წ. მაისის 8-ს. არზა, მიცემული გრიგოლ ჩოლოყაშვილის შერ  
 ერეკლე II-სადმი, ამ ჯვანასკნელის ოქმით. დედანი. 40×15 სმ, დაწერილი თეთრ  
 ქალაღზე მხედრული ხელით. განკუთილობის ნიშნად ყაველი სიტყვის შემდეგ  
 ნახპარია ორ-ორი წერტილი—საქ. სახ. მუხ. ფ. Hd. № 2618.

ქ. ღმერთ[მან] ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათს  
 ბანდას ჩოლოყაშვილს გრიგოლს. მერმე ამას მოვახსენებ: დუშეთს ჩემ [მა]გირად  
 ეჩივლა ერთს დედაკაცს: შვილს მართმევს და ყმათ იჭერსო. იმისი საქმე ასეა  
 ჩემო ჯემწიფე: გივი ხანი რომ ქალაქში იჯდა და დურახან-ბეგ რომ მიმბაშად  
 იჯდა, მე რომ დედაკაცმა მიჩივლა, იმისი ქმარი შიო ქალაქს დურახან-ბეგის  
 მეპურე ყოფილიყო და იმისი ვალი დასდებოდა. მე რომ აბულა მყავს, მაშინ  
 აქ ჰასასად ყოფილა. იმ ხანში ჩემი კაცები ჩამოსულან თულაშვილი და მამა-  
 გულაშვილი ქალაქს ქარავენში, თულაშვილის უწინდელი ნაცნობი ყოფილიყო  
 ის მეპურე, თულაშვილს შეხვეწნოდა: მიშველე რამე, წამიყვანე. ჩემს კაცებს  
 დურახან ბეგის იასაულებისათვის მ[ო]კებარათ და აბულა რომ ჰასასი იყო,  
 აბულასაც ქომაგი ექნა, ჩემი კაცებისათვის მიეცა და წამოიყვანათ ცოლქმარნი  
 და ერთი პატარა ბიჭი მოყვათ, ერთი პატარა გოგო. ოთხი სული ახმეტას ჩემა  
 კაცმა მოიყვანა. რომელმაც ჩემა კაცმა ესენი მოიყვანა, ჯელმარტო იყო. სახლის  
 კაცად შეიყარა და შესამყრელო მე ამილია. იყვენენ ძმათ დიდი ხანი. ამ ერთო-  
 ბაში ეყოლა ორი ბიჭი, ორი უფროსი ბიჭი კი დაეხოცა. ეს სულ უმცროსია  
 რომ ცოცხალია. ჩემს კაცს რომ შევეყარე, ჩემი კაციც მოკვდა და ის მეპურე  
 შიოც მოკვდა. დარჩა ორი ქვრივი დედაკაცი, ერთი ჩემი ყმისა და ერთი რომ  
 შევეყარე იმისი. ველარ მოჯდნენ ქვრივები ერთგან, ღვეთის წინაშე რაც რომ  
 დარჩომოდა მამულს გარდა, ყველა შუა გაუყავი, გასამყრელოც ავიღე. მასუ-  
 კან მეპურის ცოლმა ქმარი შეირთო თქვენი ყმის მოსახლის კაცი. საქვრიო მე  
 ავიღე, ახლა ამ დედაკაცმა რომ მიჩივლა, თქვენი ყმის ცოლი შეიქნა და ბიჭი  
 ჩემია. ახლა რაც ამ არზაში დამიწერია ან ერთი ღალატი იყოს ჯარიმა<sup>3</sup> თუ  
 ერთი ყალბათ მომეხსენებინოს და განემტყუნდე, რაც ჯარიმა გეპრიანებო-  
 დეს, ის გადამაჯდეინე.—რა ეს თქვენი ოქმი მომიტანა იმ დედაკაცმა და ბიჭმა,  
 გვერთ აღარ გამივლია. მე ხომ ეს მომიხსენებია როგორც ჩემს კაცს მოუყვა-  
 ნია. თუ გამომერთვა, შენი ჭირის სანაცვლო ვიყო.

<sup>1</sup> მილახვის-შვილი მოხრავი იესე.

<sup>2</sup> ფარსაჟან.

<sup>3</sup> ჯვანასკნელი სამი სიტყვა წაშლილია.

ზემო აშიაზე: ქ. ჩენი ბძანება არის, მერე ეს ბიჭი როგორც აქამდი გრიგოლ სახლთუხუცესს ჰყოლია, ახლაც ისევე ამას უნდა ჰყვანდეს. თუ სიტყვა აქვს ვისზე, მდივანბეგებთან ელაპარაკოს და სამართალს ისინი გააჩენენ. აღიწერა მაისის 17, ქკს უნთ.

ქალაქის მოურაო და მელიქო, ეს თქვენც გასინჯეთ და ისე მიეცით. თუ თქვენც სიტყვა გქონდესთ რამ, მოგვახსენეთ. [ ]<sup>1</sup>

№ 121. 1771 წ. ნოემბრის 13-ს. არზა მიცემული გრიგოლ სახლთუხუცესის მიერ გიორგი ბატონიშვილისადმი. დედანი. 20<sup>1</sup>/<sub>2</sub> × 18<sup>1</sup>/<sub>2</sub>, სმ დაწერილი თეთრ ქალაღ-დზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაწამ-რია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2694.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ ჩენის გელმწიფის შვილის უფლისწულის ბატონის შვილის ჭირი მოსცეს მათს ბანდა სალთუხუცესს გრიგოლს. მერმე ამას მოვახსენებ ჩენი ხემწიფის შვილს: არაგვი რომ დავიჭირეთ, იქილამ ერთი ბორჩალოელი თათარი ავეარე მამადა ორის ვაჟითა და ერთის ქალით. იმისი უფროსი შვილი და თვითან ახმეტას მესახლა და ლეკმა წაასხა. მეზრეს (sic) წელიწადს ისევე მოვიდა ის მამადა: მეფის ბძანება და თქვენც ასე არის, რომ ტყვეობილამ მოსული თავის უფალია. ის ერთი უმცროსი რომ აქ დარჩა, ისიც თქვენის ძალით მე გამიუარშივედა (sic) რომ ბატონის-შვილის ყმა ვარ ბორჩალოელიო. აიყარნენ და ალავერდს ქაფანაქჩის ჩავიდნენ. ახლა ამ წყალობას ვითხოვ, რომ ყოვლის ფერით მოწყალე რომა ბძანდები, თქვენი დაუსაკლისიც არის და ამ ბიჭის წყალობა მიყოთ, ჩემი უმსახურო თავი იმსახუროთ და მეც თქვენის წყალობით გული დამედოს, თუ არა მოხსენებისათვის ნუ გამიწყრებით. ნოემბრის 18, ქკს უნთ.

ზემო აშიაზე: ქ. ბატონო სალთუხუცესო, რომელიც ბიჭი თქვენ ამ არზით გითხოვნიათ ჩვენთვის, ის ბიჭი მოგვირთმევეია ნოემბრის 18, ქკს უნთ.

[ ]<sup>2</sup>

ქ. რადგან ჩენს შვილს გიორგის უბოძებია, ჩენც წყალობა გვიქნია და გვიბოძებია. აპრილის 10, ქკს უდ. [ ]<sup>3</sup>

№ 122. 1771 წ. ნოემბრის 12-ს. არზა მიცემული ამირალანთ თამაზას მიერ ერეკლე II-სადმი. უკანასკნელის ოქმიით. დედანი. 25<sup>1</sup>/<sub>2</sub> × 14<sup>1</sup>/<sub>2</sub>, სმ, დაწერილი თეთრ ქალაღდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნაწამარია ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი—საქ. მუხ. ფ. Hd № 13673.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ ბედნიერის გელმწიფის [ჭირი] მოსცეს გორელს თქვენს ყმას ამირალანთ დავითას შვილს თამაზასა. ამას მოვახსენებთ: წინა ხანში რუისელი ფინიაშვილის ყმა დედაბრის-შვილი გოგია ლეკში დაკარგულიყო, ბორჩალოელები დასხმიყენენ და გაეგდებინებინათ. ოქმი გეძანათ თუ: ჩემა სახასო კაცმა

<sup>1</sup> ეწკლე.

<sup>2</sup> მეფის ძე გიორგი.

<sup>3</sup> ერეკლე.

დაიხსნასო თავისთვის ყმათაო. თქვენის ბძანებითა და ოქმითა ბორჩალუელე-ბისაგან დავიხსენი და თავის ბატონი ფანიაშვილისაგანაც დავიხსენ და წიგნი გამოვართვი, სა[ა]პილახოროში დგას და გორს ვერ ჩამომიყვანია. ერთის იასაულის წყალობა გვიყავით, რომ ამიყაროს და გორს ჩამომგვაროს. ორჯელ დამიხსნია. გიორგობის იბ, ქკს უნთ.

ზემო აშიაზე: ქ. ჩენი ბძანება არის ბეჟან სააკაძე, თუ სიტყვა ჰქონდეს რამე, მოგვახსენოს, თუ არა აუყარე თავისი ნასყიდი კაცი და სადაც უნდა იქ დაისახლოს, გიორგობის იბ, ქკს უნთ. [ ]<sup>1</sup>

№ 123. 1772 წ. ოქტომბრის 8-ს. ოქმი ერეკლე II-ისა იასაულ ავთანდილ ხერხეულიძიადმი. დედანი. 22×18 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 2676.

ქ. ჩენი ბძანება არის, მერმე დავითის-შვილს დავითს რუისელი რაზმია-შვილი დიაკვანი ნიკოლოზ და ბერძენა ტყვეობის მიზეზით გ[ა]ციყიდნა, მაჩაბლის იასესთვის და მის ძმებისათვის მიეცა. ამ ჟამად მოვიდა ეს დავით და ამის წყალობას დაგვიავჯა. რადგან ჩენი სახასო შეიქნა, ავიღევეთ თავისი მამულით და ამ დავითს უბოძეთ, ამასთან არას კაცს საქმე არ აქვს, მაჩაბლებს ნასყიდობის სიგელი რომ აქვსთ დავითისაგან მიცემული, ამ წიგნმან გაბათილოს ის სიგელი. იასაულო ავთანდილ ხერხეულიძევე, ეს კაცი ამას მოაბარე, ხელი ამართე, გიორგობის თვის ც, ქკს უდ, მაგრამ ხელის ასამართავს ამ კაცს ნუ გამოართმევთ, დავითს რომ მიეცემა, ამას გამოართვი. ერთი კომლი კაცი არის, იასაულს მარჩილი მიეცეს. [ ]<sup>2</sup>

№ 124. 1772 წ. დეკემბრის 9-ს. ყმის მობარების წიგნი, მიცემული ოვანეზ დემურაშვილის მიერ ზაალ ყაფლანის-შვილისადმი. დედანი. 10<sup>1</sup>/<sub>2</sub> × 10 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყუველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი—საქ. სახ. მუხ. ფ. Hd № 2921.

ქ. ესე წიგნი მოგეც მე. დემურაშვილმა ოვანეზმა თქვენ, ზაალ ყაფლანის-შვილს, რომ თქვენი ყმა ზაზაშვილი ხოსრო მე მებაროს, რაც 'მეძლოს თავისის-ალითა (sic) გამსახურო იქიდან, არის ამისი მოწამე შიო მლდელი, ამ წიგნის-დამწერიცა. დაიწერა ესე წიგნი დეკემბერსა თ, ქორონიკონს ძუ.

№ 125. 1772 წ. დეკემბრის 13-ს, სამართალი რამაზ მდივანბეგისა ზაალ გურამიშვილისა და ფარსადანაშვილის საქმეზე. დედანი. 33<sup>1</sup>/<sub>2</sub> × 13<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი—საქ. მუხ. ფ. Hd № 2668.

ქ. ბოლნისელი ფარსადანას-შვილი სულხანას ცოლს მის სიმალღეს მეფისათვის არზით მოესხენებინა, რომ გურამიშვილი ზაალ ჩემს შვილს ყმობით

<sup>1</sup> ერეკლე.

<sup>2</sup> ეჭვად.

სათაური: ქ. რაზმიაშვილის ოქმი.

ეკიდებო და მის სიმაღლეს მეფეს ჩვენ, მდივან ბეგისათვის სამართალი ებრძანა. ორნივე სამართალში ვალაპარაკეთ. ზალ ასე ეუბნებოდა: საერისთომ ჩემი ყმა ოქროა იყო, ის რო შეიბოძო, იმისი შეილი არისო. დედაკაცი ამას ამბობდა: ოქროას რო ვირთვედი, ორსული ვიყავიო ჩემი უწინდელე ქმრისაგანო, შენი ყმისა არ არისო. ორთავე მოწმებში ვთხოვეთ და აქ ვერც ერთმა მოწამე ვერ იშოვეს. დედაკაცმა თქვა: ბაბანამ კარგად იცისო ჩვენი საქმეო. ზალმაც იყაბულა, რასაც ბაბანა იტყვის ყაბული ვარო, თითონ ზალმა წიგნი მისწერა ორი რიგი. ერთი გიორგი ღვდელს გაატანა და მეორე სხვას და ერთი ღვდელი არის იქი ზალას ყმა, იმასაც მისწერა და ეს დედაკაციც წავიდა ბაბანასთანაცა, ღვდელთანაცა, ზალს ეფიცებინა ღთის სული. ბატონი და შეილი ღვდლისათვის ღვდელობის რიგით ფიცი მერმე ბაბანასაც მოეწერა ფიცით და ღვდელსაც, რომ ეს დედაკაცი მოვიდა აქა, ორსული იყო, მანამ არ ეყოლა, მანამ ოქროასთან ჯვარი არ დაეაწერინეო და არც ეს ოქროა არის შენი ყმაო, ეს წიგნები ზალს უჩვენეთ რომ ზეპირათაც გიორგი ღვდელისათვისაც ეს სიტყვა ეთქვათ, რადგან ბაბანასა და ღვდლის მოწმობამ ასე გააარა ზალს სიტყვა აღარა აქეს, ბოლნისელი კაცის შეილი ყოფილა. ამ დედაკაცის შეილი ბეჟანა მეფის სახასო შეიქნა, ვისთანაც დღეს ხიზნათ დგას, იქივე უნდა იდგეს თავისთავად, სხვაგან ვერსად წავა და როდესაც მის სიმაღლის მეფის ბრძანება იქნება და დაყენებენ, იქ უნდა დადგეს. ქრისტიშობისთვის იგ. ქკს უმ. [ ]<sup>1</sup>

ზემო აწიხზე: ქ. ჩვენ ორთავე საქართველოს მეფე ირაკლი ამ სამართალს ვამტკიცებთ მთიბათვის კე, ქკს უმბ.

№ 126. XVIII საუკ. II ნახევარი. სოფ. არბოს მორიგეთა ნუსხა. დედანი. 49½×17 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახპარია ალაგ-ალაგ თითო წერტილი. საბუთს თარიღი არ უხის. მორიგეთა სიას ადგენს ერეკლე II. ეს სია XVIII საუკ. 70-იან წლებში უნდა იყოს შედგენილი.—საქ. მუხ. ფ. Hd № 7865.

ღვთით მარტში უნდა იყოს მორიგედ:

- ქ. არბოდამ ფიჩხნარას-შეილი თევდორე,
- ქ. არბოდამ ხიზანი სახასო სურამელი ჯობაძე მანძულა,
- ქ. არბოდამ ხიზანი სარდალ სალთხუცის ყმა საკარელი დავითას-შეილი გოგია.

ღვთით აპრილში უნდა იყოს მორიგედ:

- ქ. არბოდამ ხიზანი სარდალ მოურავის ყმა ქარელელი ხუცის-შეილი ქიტესა,
- ქ. არბოდამ ხიზანი დავით ფალავანდის-შეილის ყმა ბუზალაძე მამუკას შეილი ბერი,
- ქ. არბოდამ ხიზანი დათეშ ჩხეიძის ყმა ყუენის-შეილი რევაზა.

<sup>1</sup> რამაზ.

ღვთით მაისსში უნდა იყოს მორიგედ:

- ქ. არბოლამ ხიზანი იულონ ბატონის-შვილის ყმა დარჩიაშვილი გოდერძა,
- ქ. არბოლამ ბალნიაშვილი ქიტესა,
- ქ. არბოლამ აზნაურშვილი ჟურიული ზაზა.

ღვთით თიბათვეში უნდა იყოს მორიგედ:

- ქ. არბოლამ გვიმრაძე დავითის შვილი დეკანოზი გიორგი,
- ქ. არბოლამ ფიჩხნარას-შვილი ქრისტესია,
- ქ. არბოლამ ხიზანი სარდალ სალთხუცის ყმა საკარელი დავითას-შვილი თუმანა.

ღვთით მკათათვეში უნდა იყოს მორიგედ:

- ქ. არბოლამ ბალნიაშვილი გოგია,
- ქ. არბოლამ ხიზანი იულონ ბატონის-შვილის ყმა დარჩიაშვილი ბერძენა.

ღვთით მარიამობისთვეში უნდა იყოს მორიგედ:

- ქ. არბოლამ გვიმრაძე დავითის შვილი იორდანე,
- ქ. არბოლამ ხიზანი სახესო სურამელი ჯობაძე ზურაბას-შვილი ოქრუა,
- ქ. არბოლამ ბალნიას-შვილი ნასყიდა.

ღვთით ენკენისთვეში უნდა იყოს მორიგედ:

- ქ. არბოლამ ბალნიაშვილი პეტრე,
- ქ. არბოლამ ხიზანი იულონ ბატონის-შვილის ყმა დარჩიას შვილი პეტრე,
- ქ. არბოლამ აზნაურშვილი ჟურიული მღვდელი ანდრია.

ღვთით ღვინობის თვეში უნდა იყოს მორიგედ:

- ქ. არბოლამ ხიზანი სარდალ მოურავის ყმა ქარელელი ხუცის-შვილი გოგია,
- ქ. არბოლამ ხიზანი დავით ფალავანდიშვილის ყმა ბუზალაძე მამუკას შვილი შიო,
- ქ. არბოლამ ხიზანი დათეშ ჩხეიძის ყმა ყვენაშვილი დათუნა.

ღვთით გიორგობის თვეში უნდა იყოს მორიგედ:

- ქ. არბოლამ აზნაურშვილი ჟურიული გოგია,
- ქ. არბოლამ ამისიფე ყმა კაპანაძე სეხნიაშვილი სვიმონა,
- ქ. არბოლამ ამისიფე ყმა კაპანაძე... გიორგის-შვილი გიორგი,
- ქ. არბოლამ აზნაურშვილი გედევანის-შვილი მღვდელი რომანოზ.

ღვთით ქრისტის შობის თვეში უნდა იყოს მორიგედ:

- ქ. არბოლამ ხიზანი გოგია თუხარლის-შვილის ყმა წოლდელი ბერის შვილი გულია,
- ქ. არბოლამ ხიზანი ოსინაშვილის ქრისტესიას ყმა დრუსტაშვილი იამან.

ღვთით იანვარში უნდა იყოს მორიგედ:

- ქ. არბოლამ ხიზანი გლახა ალექსის შვილის ყმა წედელი გვარამაძე დავითა,
- ქ. არბოლამ ხიზანი ტეტია გარსევანაშვილის ყმა გორელი ბერაძე და-  
თუნას-შვილი ოთარა.

ღვთით ფებერვალში უნდა იყოს მორიგედ:

- ქ. არბოლამ ხიზანი იულონ ბატონის-შვილის ყმა დარჩიაშვილი ზაალა,
- ქ. არბოლამ მაზანას-შვილი პავლე. ( )<sup>1</sup>

№ 127. XVIII საუკ. მეორე ნახევარი. მორიგეთა ნუსხა. დედანი. 35×7 სმ. დაწე-  
რილი თეთრ ქალაღზე მყიდრული ხელოთ. განკეითილობის ნიშანი ნახვარი არ  
არის. თარიღი არ უყის. ნუსხა 1772 წლის შემდეგ უნდა იყოს შედგენილი. საქ.  
მუზ. ფ. Hd № 3947.

- ქ. ლ[ვ]ითთ ენკენის თვის ბატონის დავთრის მორიგე:
- ქ. ძელქვეშის მამასახლისის ძმა გოგია,
- ქ. ფრანგი ოპანეზა შვილი ვალუსტა,
- ქ. საკარელი თათარაშვილი თამაზა,
- ქ. ვადაბმული პაპას ძმა თამაზა,
- ქ. ბაჩაშვილი გოგია,
- ქ. დურგალი არუთინა შვილი პაპა,
- ქ. დოღმაზაშვილი გოგია.

ჩვენი საქვეზე მორიგე:

- ქ. ხალათას ბიძაშვილი გოგია O<sub>1</sub>,
- ქ. აფრამა O<sub>1</sub>,
- ქ. საკარელი იელვუტაშვილი კირაკოზა,
- ქ. ძელქვე ზელი ხურო სარქისა †,
- ქ. მექათმე ვართანა C<sub>1</sub>,
- ქ. ხურო არუთინა †,
- ქ. იორამაშვილი მოსია,
- ქ. მირუას გერი †,
- ქ. ტაბახმელელი არაქელაშვილი ლარიბა †,
- ქ. ტაბახმელელი სალორელი პაპას-შვილი გოგია †,
- ქ. ისმელია ნალბანდის-შვილი თანდილა,

<sup>1</sup> ერეკლე.

საბუთის მეორე გვერდზე:

... .. სოლომონ მდიენისა და გაბაშვილის ზახას მიერ

- ქ. ხურო დავითა †,  
 ქ. კალატოზი არაქელაშვილი ო<sub>1</sub>,  
 ქ. კუმელი იერუაშვილი ოსეფა,  
 ქ. კუმელი ბეგუას-შვილის სიმონას-შვილი,  
 ქ. აბაე ჯანყლას-შვილის ალავერდას-შვილი,  
 ქ. მუხათელი თახუას-შვილი,  
 ქ. ლოუბნელი ბარამის-შვილი სეხნია,  
 ქ. ლოუბნელი გელია,  
 ქ. ყრუ გრიქოლაშვილი,  
 ქ. ანდრიელი ფეიქარი იასე,  
 ქ. ეგრისელი დათიაშვილი,  
 ქ. ბევრელი ძაძაშვილი ლაზარე,  
 ქ. ტნუსელი არუთინა,  
 ქ. დალაქი ფარემუზა,  
 ქ. საკარელი კოკლი ოსეფა,  
 ქ. ქვისპკრელი გრიქოლა †,  
 ქ. წიფორელი ველიხანაშვილი †,  
 ქ. უნდუშელი ბეჟანა †,  
 ქ. ძელქვეშის მამასახლისი საჭაკა.

№ 128. 1773 წ. თებერვლის 19-ს. ბრძანება დარეჯან დედოფლისა ქაიხოსროსა და გიოსადში მიცემული. დედანი. 24 × 10<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახშარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 7960.

ქ. დედოფლის კეთილად სახსენებლო ქაიხოსრო გიო, მერმე ბატონმა რომ წისქვიელი გამოგართვათ და ანა ხანუმს უბოძა, ბატონის განაჩენიცა აქუს და ოქმიცა. ახლა გასაკეთებლად არ ანებებთ თურმე. რადგან ბატონის გასამართლებული არის, არას გზით თქუვენგან ამისი დაშლა არ იქნება. ბატონის მობძანებამდინ დაანებვეთ და ბატონი მობძანდეს, სამართალში ელაპარაკეთ და თუ სამართლით გაიტანთ, ვინ დაგიქერთ. უბატონოთ ბატონის წიგნის მოშლა დიად უმართებული არის. მე ვიცი და ეს ასე დაიჯერე. თებერვლის  
 თ, კქს უმა. <sup>1</sup>

№ 129. 1773 წ. მაისის 22-ს. არზა, მიცემული ადამ ყარაგოზისშვილის მიერ ერეკლე II-ისადმი, ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი. 17 × 10 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ალაგ ალაგ ნახშარია ორი წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2552.

ქ. ლ[მერ]თ[მან] ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს ადამ ყარაგოზის-შვილსა. იმ დღეს არზა მოგართვით დიდებაშვილისა და ოქმი გვიბოძეთ და

<sup>1</sup> დედოფალი დარეჯან.

იმ კაცის წყალობა გვიყავით. თქვენმა მეტს საქმე არავისა ჰქონდა. ამ წყალობას გვედრებით, რომ ერთი ოქმი გვიბოძოთ ქაიხოსრო მოურავზედ, რომ ის კაცი მომბაროს, ღმერთი გაგიმარჯვებს. მაისის იც, ქკს უმა.

ზემო აწიხე: ქ. არაგვის მოურაო, თუ სიტყვა არა გაქვსთ რა, ეს კაცი დაანებეთ, დაანებეთ, დაანებეთ. მაისის კბ, ქკს უმა, ქ. დიდებაშვილი.  <sup>1</sup>

№ 130.1773 წ. სექტემბრის 5-ს. პირობის წიგნი, მიქემული გურაგენ ჯეჯიძელას-შვილის მიერ გიორგი ქსნის ერისთავისადმი. დედანი (?) 19 $\frac{1}{2}$  × 11 სმ, დაწერილი მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმაჩი არ არის. საქ. სახ. მუზ. ფ. Hd № 2915.

ქ. თქვენ, ბატონს ქსნის ერისთავს გიორგის ესე პირობის წიგნი მოგართვი მე, ჯეჯიძელას-შვილმა გურგენამა და ძმამან ჩემან ზურაბამ;—ასე რომ პირველადაც ახალგორს თქვენს მამულში გახლდი და რადგანაც ის მამული ისევ თქვენზე დაგრჩათ და მე იმ მამულზედ ჭირნახული მქონდა, მე ჩემის ნებით და ვედრებით მოველ და ისევ იმ მამულზე დგომა გთხოვე და ეს პირობა მოვართვი, რომ სადამდინ ბატონმა ჩემა არ მამიკითხოს და იმ მამულიდამ არ გამომიყვანოს, მანამდინ მე თქვენ როგორც მართებული არის, ისე გმსახურებ. თქვენს მეტი ბატონი და პატრონი არავინ ვიცოდე.

სექტემბრის ე, ქკს უმა.

№ 131. 1773 წ. ნოემბრის 14-ს. ოქმი ერეკლე II-ისა რევაზ ამილახვისადმი მიცემული. დედანი. 27 × 16 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმაჩი არ არის. საქ. მუზ. ფ. Hd № 14324.

ქ. მესტუმრეო, ჩვენ მაგიერად ჩვენს დიდს იმედს და დიდათ იმედათ მისაჩენელ მისახედავს, არაოდეს არ დასაფიწყარს დარბაზ ბ[ა]ტონს ამილახორს რევაზს მრავალი მოკითხვა მოახსენე. ამ მხარეს ჯერ ხანათ, ღმერთის მოწყალებით, მშვიდობა არის. ჩვენი მეზობელნი ხანები ერთმანეთში ლაპარაკობენ და არეულობა აქვსთ და ჯერ არ ვიცით იმათი საქმე როგორ მოხდება. მუცალი ჟუფადრებში დგას. ამბავი მოგვივიდა განჯისაკენ წავიდაო. მაგრამ ჯერე მართალა კი არ ვიცით მართლა წასულა თუ არა, მანდაური სოფლების ციხე[ე]ებში დახიზვნის ამბავი, ყარაულები რამდენს ალაგს გიყენიათ და როგორ ყარაულობენ, იმათი აზრავი, ციხეების სიფთხილის ამბავი და მტრის ამბავი, ყველა წვრილად და უკლებლად მოგვწერეთ. კახი კაცი და ნოქარი მანდ რამდენი არის, ისიც გვაცნობეთ. კახი კაცი რამდენი არის და ან ნოქარი, მოგვწერეთ. აღიწერა ნოემბერს იდ, ქკს უმა. მანდ მყოფის კაცის რაოდენობა ზურაბა მელიქს მოეწერა და ვსცანით. ქაიხოსრო არაგვის მოურავისათვის წიგნი მიგვი-

წერია, ორასს კაცს ისიც გამოგზავნის.   ერეკლე

<sup>1</sup> ერეკლე

№ 132. 1773 წ. მარტის 4-ს. არხა, მიცემული ბრძებ გლურჯიძის მიერ ერეკლე II-ისადმი, ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი. 20x12 სმ, დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია ორი ან სამი წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2891.

ქ. ლმერქოშვილმა ბედნიერის ველმწიფის ქირი მოსცეს გლურჯიძეს იოსებს. შარშან თქვენ რომ გორს ბჰანდებოდით, რმ ჟამად ელიზბარ მოლარეთ უხუცესს ხიზანი თავის მოყვრისას ერედვსა ჰყუანდა. მიბძანა, თან მიახელ, ერედვიდამ ხიზანი[ი] გორს მინდა მოვასხაო. ვიახელ თანა, მე იქ გახლდა. მოლარეთ ხუცის ყმისას ერთი ჯავახი კაცი იყო, ვალსა სთხოვდა, ერთი წელიწადი იქ იყო ეს ჯავახი კაცი თურმე. ამ ჯავახმა ჩემი ბიჭები შეაგულიანა და ორი მოლარეთ ხუცის ცხენი და ერთი ჩემი ცხენი მოიტაცეს და წასხეს. მეორედ დღეს ჩემს ბიძაშვილს შეეტყო, გამოსდგომიყო, ის ბიჭებიც მოესხა და ცხენებიცა. სხუა რომ არ მქონდა რა, ჩემს ბიძაშვილს თავის გასამრჯელოში ორი დღის დათესილი მივეცი. მოლარეთ ხუცესს ჩემგან რაღაც შესწყინდა, მოსულიყო, დივანბევთან მიჩივლა, იმის კაცმა ცხენები დამტაცაო. იასაული მომგვარა, ორი თუმანი სამდივანბევო საიასაულო გამომართვეს და მოლარეთ ხუცესი თავის ორ ცხენს შეიდევლად თოთხმეტ ცხენსა მთხოვეს. მოგეხსენებათ ჩემი გლახაკობა, ერთი ცხენის მოცემაც არ შემძლია. ის ჯავახიც, რომელმაც ჩემი ბიჭი შეაგულიანა და ცხენებიც დაიტაცა, მაგას ახლავს და აქ არის და ის ჩემი ბიჭიც რომ ვაიქცა, აქ არის. სამართალი გვადირსეთ, ლმერქოშვილმა გაგიძარჯვებს, მარტის დ, ქკს უდა. ივანე აბაშიძის ველით არხა მოგართვით. პასუხი არ

მელირსა.

მდივანბევი  
იონე

მდივანბევი  
თეიმურაზ

ზემო აზიანე: ქ. ზაზა ყორიასაულბაშო, ესენი მდივანბევთან სამართალში

ალაპარაკე. მარტის ე, ქკს უდა.

ერეკლე

№ 133. 1774 წ. თებერვლის 10-ს. პაშულის ნასყიდობის წიგნი წმ. ევსტათის დეკანოზის სვიმონის მიერ თევდორე ხახ ნაშვილისადმი მიც მელი. დედ.ნი. 29x11 სმ, დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2965 .

ესე ნასყიდობის წიგნი მოგეც მე, წმინდის ევსტათის დეკანოზმა სვიმონ შენ, ხახანაშვილს თევდორესა, ძმასა შენსა შიოსა, მომავალსა სახლისა შენისასა; — ასე რომე ჩემი ნასყიდი გედევანის-შვილისეული ნავენახობი თათხაშვილს ეჭირა, გამოვართვი და ელისაბედაშვილს მივეცი, შენს ნაფუძრებს შუა რომ მუხის მიწა ქონდა, ისეე გამოვართვი ელისაბედაშვილსა, ავიღე და შენ მოგყადე. ავიღე ფასი სრული და უკლებელი. არა კაცი არ გედავებოდესთ. არის ამისი მოწმე ჯორაშვილი გოგია, ეოთგულაშვილი მოურავი ბერუა, კაცურა ატიკაშვილი, სალხინაშვილი პაპუნა. მე, წმიდის ევსტათის დეკანოზს სვიმონს დამიწვრია და ყაბულიცა მაქვს. აღიწვრა თებერვლის ათს გასულს, ქკს უდა. ამისი მოწმე დამსწრები ელისაბედაშვილი მღვდელი იასე და ყაბულიც აქვს. ქკს უდა. მე,

მხარეს კანდელაკს ამისი ყაბული მაქვს ღვეთის წინაშე ჩემი მკვიდრი მიწა  
შენთვის მოგვიცემია ასე როგორც ამ წინას წერილში სწერია. ქკს უფბ. მე,  
ელისაბედაშვილს ბეციასა, აბრამასა ყაბულიცა გვაქვს. ქკს უფბ.

№ 134. 1774 წ. მარტის 14-ს. არზა მიცემული იობ მღვდლის ძმის აბრამას მიერ  
ერეკლე II-სადმი, ამ უკანასკნელის ოქმით. ღეღანი. 16 $\frac{1}{2}$  × 10 სმ, დაწერილი  
თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმა-  
რია ერთი, ორი ან სამი წერტილი. საქ. მუზ. ფ. Hd № 9758.

ქ. ღმერთ[მა]ნ ბედნიერის ველმწიფის ქირი მოსცეს იარალ ეშიქათბა-  
შის ყმას ირაკლის ციხის იობ მღვდლის ძმას აბრამას. ამ ჯორციელში წავეყის  
შვილი დამეკარგა. ფს[არე]შ[თხუცის] პირით მოგახსენეთ და იმედი მიბძანეთ,  
გამოიჩინე და ღმერთი მოწყალე არისო. ახლა ფეხის ქირა მივეცი, გავგზავნე  
და ბელაქანში განჯელს სომეხს დაუხსნია ათ თუმნათ და არ ვიცი თუ ახლა  
როგორ მამცემს. მრავლის მოწყალე ბძანდებით, გვედრებით და მუხლთ გეხვე-  
ვით, კაცი დაებერებულვარ და იმის მაყურებელი ვარ. ბატონის ჩემისაგანაც  
ბძანება მაქვს, ვინც დაიხსნას, იმისი იყოს, მე კელი აღარა მაქვსო. მოწყალეობა  
მადირსეთ, რომ თქვენის წყალობით შვილი დავიხსნა და თქვენი ყმა შეიქნება,  
თქვენის შვილების სადღეგრძელოთ. მარტის იღ, ქკს უფბ.

ზემო აშიაზე: ქ. გლახავ ნათლის-შვილო, ამ არზის პატრონს რადგან  
ტყვე სახსრად გამოსჩენია, თბილელის თეთრიდამ იმის სასულიეროთ თხუტყე-  
ტი მინალთუნი მიეც. აპრილის ზ., ქკს უფბ. მართალი კი შეიტყვე, მართლა

ტყვე ყავს დასახსნელი თუ არა.

ერეკლე

Verso: სხვა ხელით:

ამ ყაბზის სურულათ მამებარა ოქროთ მე იობ მღვდელს +.

ქვემოთ: ქ. იობ მღვდლის ყაბზი ჯამი 5ქ

№ 135. 1774 წ. მარტის 30-ს. არზა, მიცემული აივახალუს მსახლობელთა მიერ  
ერეკლე II-ისადმი ამ უკანასკნელის ოქმით. ღეღანი. 19 × 15 სმ, დაწერილი თეთრ  
ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ  
ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუზ. ფ. Hd № 14298.

ქ. ღმერთ[მა]ნ ბედნიერის ხემწიფის ქირი მოსცეს აივახალუსში მსა-  
ხლობელებსა. მერმუჟ ამას მოგახსენებთ: მოგეხსენებათ, იქიურს რუზე რა ქირნა-  
ხული გავწივით. შულავრელთ წყალი მოიტანეს და ჩვენს რუში ჩაუშვეს, ღვარის  
ქვიშითა და მიწით [ა]ყავსეს. ორი ხიდი იღვა, რომ იმით საქინელი ზედა გადიო-  
და, ისიც დააქციეს. ასე აოხრებული გვაქვს ჩვენი რუ. მოსავალი მოურწყავი  
დაგვიჩა. ამ წყალობას ვითხოვთ, რაც თავიანთ სისწორს წამხდარი რუ არის  
და ხიდები წამხდარი, ის იმათვე გააკეთონ. ღმერთი გაგიმარჯვებთ, ამაზე  
წყალობა გვადირსეთ. აღიწერა მარტის ღ, ქკს უფბ.

ზემო აშიაზე სხვა ხელით:

ქ. ჩვენი ბრძანება არის იასაულო გოგიავ, ამას წინ[ათ] აივაზალუს არხ-ზედ თავეთის სანგრის წინ შულავერელთ როგორც ბოგირი გადებული ჰქონე-ბოდესთ, ახლაც ორი ბოგირი ვაადებინე, რომ საქონელი ემაზედ ატარონ და რაც თავეთის სანგრის გატანებამდის რუს გაკეთება, და გაწმენდა უნდოდეს, ისიც შულავერელთ გააკეთებინე და გააწმენდინე და ყადაღაც უყავ, ამას იქით აღარ წაახდინონ, თორემ ჩვენად შეცოდებათ ვიკითხავთ. აპრილის 8, ქს უფბ.

საბუთის ზურგზე: ქ. ალაჯანასი ქერი თალასი ზ.

ერეკლე

№ 135. 1774 წ. აპრილის 12-ს. არხა, მიცემული იოანე ხერხეულიძის მიერ ერეკლე II-ისადმი, ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი. 17×10 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდ-ზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

საქ. მუხ. ფ. Sd № 187.

ქ. ლ[მერ]თ[შა]ნ ყ[ოვლა]დ მოწყალის ბედნიერის ხელმწიფის ქირი მოს-ცეს ხერხეულიძე იოანეს. მერმე ამას მოვახსენებ მათს უმაღლესობას: ერგნეთს წყალი ქორდულის რუდამ ჰქონია. ახლა იმ წყალს დიცვლები აღარ მანებებენ. ამას გვედრებით, იესე ერისთვის ძმაზე ერთი ოქმის წყალობა მიყოთ, თუ სიტყუა არა ჰქონდესთ რა, რაც წყალი მქონოდეს ჩემი წილი მომცენ და თუ სიტყუა რამ ჰქონდესთ, თქვენს სამართალში მომყუნენ. ლ[მერ]თი გაგიმარჯვებს. აპრილის 8, უს უფბ.

ზემო აშიაზე:

ქ. ჩვენ მაგიერად გიორგი ერისთავს და ერისთვის ძმას იასეს ასე უამ-ბეთ, მერე იოანე ხერხეულიძე იმ არხით რომ ასე გიჩივისთ, როგორც ძველა-დგან წყალი ჰქონებოდესთ, ახლაც ისე თავეთი წილი წყალი დაანებეთ, ჩვენთან

ნულარ აჩივლებთ, თორემ მწვე გვეწყინება. აპრილის 8, ქს უფბ.

ერეკლე

საბუთის ზურგზე:

ქელმწიფის გასასინჯავი

№ 137. 1774 წ. სექტემბრის 1-ს. განჩინების წიგნი მოსამართლეების ვასილისა და მისი ძმისწულის გაბრიელის წისკვილზე დავის გამო. პირი, გადაწერილი XX საუკუნეში. საქ. მუხ. ფ. Hd № 11500.

ქ. ვასილი და ამისი ძმისწული გაბრიელ წისკვილზე ლაპარაკობდენ. მე, როსტომ ჩიელიძესა, შოშია კონითელსა და ბიძინა ჩუბინიშვალს ბატონის ერისთვის ძის შალვასაგან ამათზე მოსამართლობა გვებძანა. ვასილი და ამისი ძმისწული გაბრიელ ორნივე ერთად ვალაპარაკეთ. ასე გავარიგეთ: ვასილს რა-დგან წისკვილზე ამავი ჰქონდა და აეშენებინა, ორი წელიწადი ისევ ვასილს უნდა ჰქონდეს. როცა რომ ორი წელიწადი გავა, ეს წისკვილი და იარაღი ორისათვისვე საბჭო არის და ერთმანერთზე მეტნაკლები წილი არა აქვსთ და

ქვებიც ორთავ სამშოთ უნდა დადებან. ეკენისთვის ა, ქვს უფბ. მე, დიაკონს ზო-  
სიმეს ამა მოსამართლე[ე]ბის ნება დართვით დამიწერია. შალვა

თავში სხვა ხელით: ქ. ჩვენ ბატონი ერისთვის-ძე შალვა ამ განაჩენის  
პირს ვამტკიცებ, როგორც გაუტრჩინიათ. აგვისტოს. კე, ქვს უფბ.

შალვა

№ 138. 1774 წ. ნოემბრის 24-ს. არხა, მიცემული ბერძენა კოჭყიაშვილის შიერ  
ერკლე II-ისადმი, ამ უკანასკნელის ბრძანებით და მდივანბეგების ოქმით. დეკანი.  
34 × 13 1/2 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხლით. განკვეთილობის  
ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახპარია თითო ან ორ-ორი წერტილი. საქ.  
მუხ. ფ. Hd № 2539.

ქ. ლმერ[თ]მან ბედნიერის ხემწიფის ქირი მოსცეს ბერთუბნელს თქვენს  
ყმა[ა]ს კოჭყიაშვილს ბერძენასა. მერმე ამ[ა]ს მოვახსენებთ ჩვენს ხემწიფესა: მა-  
მ[ა]ჩემი სასირეთს გახლდათ და თქვენი ქირის სანაცლო შეიქნა. მე ობოლი დავრ-  
წი, იოსებ გლურჯაძის ყმასთან დავრჩი. შენი ყმა ვიყავ, თავისი მემკვიდრეთ  
დამწერა თქვენს დავთარშია. ჩემი დანაშაული ეს არის: ჩემის ბიძაშვილებისა-  
გან წიგნი მამივიდა, მეცა ვთქვი, რომ სახემწიფო ვარ მეთქი. ბევრი უსამარ-  
თლობა მოიღო და ცოლიც გამილახა. მიველ იმის სახლშია და შევჩივლე, რას  
დანაშაულზე გამილახე ცოლიო და ამის მიზეზით, რომ სახლშიო შემამიხელო,  
სულ ამიკლო, თოფი და იარაღი, ხარი და კანბეჩი, პური და ღვინო და ბზე  
კარში გამამიგდო, სულ წამართვა, ჩემის აშენებულის სახლიდამც კარში გამა-  
მიყარა ცოლი და შვილი, სანამ მივეპატრონებოდე, ან სიცივე დამიხოცს, ან  
ლეკები წამისხზევენ. ღმერთი გაგიმარჯვებს, ამისი სამართალი მალისრეთ, ღმერ-  
თმა შენი რისხვა მამცეს თუ ერთი კოდი პური მე იმან დამანება, ან ცოლშვი-  
ლისათვის დამეგდო და ან საგძალი წამამელო, მშიერი გახლავარ. გიორგობის  
კვ, ქვს უფბ.

აქვე სხვა ხელით და მეღნიით:

ქ. მდივანბეგების კეთილად სახსენებლო თარხნიშვილო ბეციაფ. მერმე  
ამ არხის პატრონს რომ საქონელი წართმევა იოსებ გლურჯაძისაგან, ეგენი  
სულ ახლავ გამოართვი, ამ ბერძენას მოაბარე და ორნივე სამართალში გამო-  
გზავნე. ქრისტიშობის გ, ქვს უფბ. რაც წართმეოდეს უკლებლივ გამოურთვი  
ახლავ.

იოანე<sup>1</sup>

მ[ონ]ა ლ[ე]თისა  
ამილ-ხვრის  
შვილი იესე

მ[ონ]ა ლ[ე]თისა  
მდივანბეგ  
თემუოზ

ფარსადან

ხემო აშიაზე: ქ. უფალნო მსაჯულნო, ამ არხის პატრონს ლმერ[თ] წინაშე სამარ-  
თალი თქვენ უსაჯეთ, რასაც მიხვდეთ. გიორგობის ლ, ქვს უფბ. ერკლე

<sup>1</sup> ასომთავრულით.

№ 139. 1775 წ. მარტის 10-ს. ყვობის წიგნი ოვლენსა ამაზას-შვილის მიერ საამ (?) ყაფლანის-შვილისადმი მიკემული: დედანი. ა-მეტი. 32×22 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. საქ. მუხ. ფ. Nd № 2761.

ქ. ლ[ვ]ითთ ესე წიგნი მოგეცი მე ამაზას-შვილმა გიორგის შვილმა ოვანესამ შენ ყაფლანის-შვილ სამს:—ასე რომ სამი წლით უწინ მოველ ტყოვიდამ, სტანბოლიდამ მოველ. რათგან ბატონისა ბრძანება იყო, რომ ტყვე რომ მოვა. ვისიც ყმობა უნდა, იმას ემსახურება, მეც მოველ. სამი წელიწადი ვიყავი თქვენთან ყმით. სამს წელიწად უკახ კიდევ ლეკმა დამიჭირეს, წამამიყვანეს ახალციხეს ლაზებს შაძლევდენ. თქვენ შეგეტყოთ, მისულიყავით, ბედნიერის ვეზირისათვის მოგეხსენებიათ, რომ ჩემი კაცი შინდამ წიგნები მოქონებია, გზაზე ლეკებს დაუჭერიათ. მაშინვე ბაწჩამასათვის ებძანა, წამართვეს და თქვენ მოგართვეს ჩემი თავი. ღმერთმც მოგცა და სულეიმან-ფაშამან. არას კაცს ჩემთან. საქმე არა აქ ჩემთან. არის ამისი მტწამე თავათ ღმერთი და კაცთაგან და მელიქის-შვილი თემურაზ თავისი ექვსი კაცითა, არნშტას-შვილი უზბაში აივაზი. [ ]<sup>1</sup>

განის აშიაზე: სარდლის დალაქი ფარემუხ, ჩემი გამომყვანელნი ხანდამას-შვილი ფარსადან და ბაღდადელი იბრეიმი, ქათალიკოზის ყმა კიკოლი. მე, თათულათ აფრამას შვილს სტეფანას დამიწერია და მოწამეცა ვარ. † ოვანესას იხრალით დაიწერა ესე წიგნი მარტისა ათს გასულს, ქკს უჯგ.

სხვა ხელით: ქ. ჩვენ, აბაშიძე ქაიხოსრო ამისი მოწამე ვართ, რომ ეს ოვანება ლეკებმა მოიყვანეს და ფაშამ გამოართვა და ზალ. ყაფლანის-შვილს უბოძა.

აბაშიძე  
ქაიხოსრო

№ 140. 1775 წ. ივნისის 21-ს. სამართალი მდივანბეგებისა სოლომონ რევაზის-შვილისა და დავით ფავლენიშვილის საქმეზე. დედანი. 33×122 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. — საქ. ს.ხ. მუხ. ფ. Hd № 2983.

ქ. გედევანის-შვილის რევაზის შვილი სოლომან ფავლენის-შვილს დავითს მოახლის გაწმილებას უჩიოდა. ჩვენ, მდივანბეგმა იესემ, ავთანდილ მდივანი ჩვენთან დავისწარით და ამათი საჩივარი ორისავე გავიგონეთ. სამართალში დავითმა თავის პირით აღიარა: დამნაშავე ვარ, მაგრამო შვილი რომ ყავსო, ის ჩემგან არ არისო. სოლომან ამისი უპასუხებდა: მოახლეც შენ გამიწმილეო და შვილიც შენგან ყავსო. ჩვენ ამისი სამართალი ასე განვაწყესეთ: რადგან ამ დავითმა თავისი პირით აღიარა ამ სოლომანის მოახლესთან სიძვა, დავითმა სოლომანს თავისის მოახლის გაწმილების სისხლი უნდა მისცეს, ეს სოლომან დაბალი აზნაურ-შვილია, ამ ხელის აზნაურ-შვილის მოახლის სისხლი სამართალით

<sup>1</sup> სპარსულად.

<sup>2</sup> სათაური: ოპანება ქუდილღეტისა წიგნი.

ექვესი თუმანი გაუჩნდებოდა, მაგრამ, რადგანაც ეს დავით ხელ მოკლე კაცი არის და შეუძლებელი, ორი თუმანი სამართალმა იპატივა და ოთხი თუმანი-დავითმა სოლომანს მისცეს. ამ ოთხს თუმანში ნახვარი ვეჯი უნდა მისცეს და ნახევარი წალი. იასაულს<sup>1</sup> როგორც ამ განაჩენში ეწეროს, ასე უნდა გაქარივით თიბათვის კა, ქქს უფ.

ქ[ო]ნალ[ე]თისა ამი-  
ლახვისშვილი იესე

მ[ო]ნალ[ე]თის  
დივახი ავთანდილ

№ 141. 1775 წ. აგვისტოს 30-ს. თავდებობის წიგნი საბა ნინოწმინდელის მიერ ზაზა თარხნიშვილისადმი მიცემული. დედანი. დახიანებული. 16x11 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედ ული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2841.

ესე წიგნი მოგეც მე, ნინოწმინდელმა საბამ შენ თარხნიშვილს ზაზა ყორიასაულბაშს. მერე გიორგი ვეფხიაშვილი სამართალში შენ ყრბათ დაგრჩა, იასაული დააყენე, ნინოწმინდიდამ ჰყრიდი, მიგყვანდა. მოვიდა ეს ვეფხიაშვილი გიორგი, მე შემომესხვეწა, მე შენ, თავდებად დაგიდექ: შემოდგომაზე მოსავალი რომ მიკლოს, როცა შენი კაცი მოვა, იმას მივაბარებ. თუ ეს კაცი წავიდეს სადმე, ან ისევე შენი კაცი მოგიყვანიო და ან მაგიერი კაცი სხვა მოცე. არის

ამისი მოწამე წინამძღვარი ამბაკო [ ], მისკარბაში იოანე [ იოანე ]

ბასტამაშვილი სტეფანა [ ], არლუთაშვილი თაყა. მე, სულხან მდივანს.

დამიწერია [ მ[ ]ქ[ ]სა [ ]  
[ ]ქ[ ]თისა [ ]  
სულხან [ ] და მოწამეცა ვარ. დაიწერა აგვისტოს ი, ქქს უფ. [ საბა ]<sup>2</sup>

№ 142. 1776 წ. იანვრის 12-ს. არხა, მიცემული სოლომონ აბაზაძის მიერ გიორგი ბატონიშვილისადმი, ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი. 21x13 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 2855.

ქ. ღ[მერ]თ[მა]ნ უმაღლესის მეფის ძის გიორგის ჰირი მოსცეს მათს ფერ-ჯთა მიწას აბაზაძეს სოლომანსა და ზურაბს. მერმე ამას მოვახსენებთ მათს სი-მაღლეს: რადგან წყალობა დაგვემართა, ძველი მამა პაპათ სიგელი დაგვემ-ტკაც[ა] და გვიბოძეთ ჩვენის სამკვიდრო მამულისა, იმ მამულის გლენხი სამი კომლი ქართლს გახლავან. ერთი ბლიაძე, ერთი ივანე კავახიაშვილი, ერთი ალა-ბეგაშვილი, ესენი დაფანტულნი არიან და ერთი ოქმის წყალობა გვიყავით, რომ სადაც ჩვენ ვიმყოფებით, იქ მივიყვანოთ. ღ[მერ]თი გაგიმარჯვებს. იანვრის ი, ქქს უფ.

ზემო აშიანე: ქ. ბატონის შვილი გიორგი გიბრძანებ ბეციავ გვდავანი-შვილო, მერმე ამ არზით ამ აბაზაძე[ე]ბისა ამათი ყმა სადაც იყოს, სადაც ამათ

<sup>1</sup> აქ დატოვებულია ცარიელი ადგილი.  
<sup>2</sup> საი: აური: ნინოწმინდლის წიგნი.

უნდოდეს თავისი კაცები მოაზარე ამ აზაზადეებს და თუ ვისმე სიტყვა ქონდეს, ჩვენ სამართალში მოვიდეს და სამართალს მივცემთ, იანვრის იბ, ქქს უად.

რომელსაც კაცთან სადაო ვისმე ქონდეს, მანამდის სამართალში არ გაივლიან და სამართლით ამათ არ დარჩება, ამისთანასა კაცს სამართალში მოყვნენ და ისე სამართალით გაიტანონ და რომელსაც ამათს ყმას, მოდავე არავინ გამოუჩნდეს ქეშმარიტი, ამათ დაანებე თავისი ყმა. რომელსაც კაცთან სიტყვა ვისმე ქონდეს და დავა, ჩვენ მოგვახსენონ, ან ჩვენს სამართალში იჩივლოს, ან მდივანბეგებთან ვალაპარაკებთ და სამართლით მოვაშორებთ ერთმანეთსა და ქეშმარიტს სამართალს მივსცემთ. რომელიც სადაო იყოს, ნუ აუყრით მანამდის სამართლით არ გადასწყდეს და მაგათ არ დარჩეს.

მეფიძე  
გორგი

№ 143. 1776 წ. იანვრის 31-ს. განაჩენი დიმიტრი ებიკალასბაშისა თეიმურაზ ჯავახიშვილსა და ნონიაშვილების საქმეზე. დედანი.  $29\frac{1}{2} \times 10\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 10207.

ეშიკალასბაში დიმიტრის [ვ]თის წყალობათ საგულვებელო ძმაო ბატონო თარხნის-შვილო მამუკავ, მრავალი მოკითხვა მომიხსენებია; მერმე, ნინიაშვილები რომ ჯავახის-შვილს თეიმურაზსა და ვახუშტის უჩიოდა, მაგათი სამართალი ასრე გარდასწყდა და განაჩენიც ასრე დასწერეს, რომ მაგ ნინიას-შვილებმა ოთხი მუხტაბარი კაცი თუ შემოაფიცეს ამ თავეთს ბატონსა, რომ ის რაზედაც ჩივის ის კაცი მაგ ნინიაშვილებისაგან ნასყიდნი ყოფილიყვნენ, ხომ ისევე ნინიაშვილებს უნდა დარჩეს და თუ მაგ ნინიაშვილებმა მოფიცრები ვერ იშოვნეს, ისევე ამ თეიმურაზსა და ვახუშტის უნდა დარჩეს. ახლა შენ ასე უნდა ჰქნა, რომ ორი კვირა ნინიას-შვილებს მულათი მიეც, თუ ორს კვირამდინ მოფიცრები იშოვნეს და შეჰფიცეს, ხომ მაგათ დარჩება და თუ ორს კვირამდინ მოფიცარი ვერ იშოვნეს, ამ ჯავახიშვილებს უნდა დარჩესთ. ეს საქმე ასრე უნდა გა[ა]რიგოთ. ორი კვირა არ იყოს მულათი, ერთი თვე ეყოს მულათი თუ მოფიცრებს იშოვნიან, თუ არა და მოფიცარი ვერ იშოვნონ ერთს თვემდინა. ისიც მე შემატყობინე. ვისაც ის კაცი დარჩება, საიესაულო იმას უნდა გამოარ-

თო, იანვრის ლა, ქქს უად

მ[ო]ნა ლ[ვით]ისა ტმ.  
ორბელიანი დიმიტრი

№ 144. 1776 წ. მარტის 4-ს. არზა, მიცემული გიორგი პანბალას-შვილის მიერ ერეკლე II-ისადმი, ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი.  $36 \times 14\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2645.

ქ. ლმერთმაქნ ყოვლად მოწყალის ხემწიფის ჰირი მოსცეს რეხელს პანბალას-შვილს გიორგისა და ლთისიას, გიორგი ერისთვის ყმას. მერმე ამას მოგახსენებთ ჩვენ მოწყალეს ხემწიფეს, რომე ამისთანა უსამართლობა არას კაცს

დამართებია, რომე ჩვენ დაგვემართა. ამით სამჯერ აკლებული ვართ, ერთხელ დავით ერისთავმა ამიკლო და ახლა როსტომ ამიკლო; თუ ეული ვართ, თქვენი ყმა უნდა ვიყოთ და თუ ბატონი გვეყავს, რომელს კაცს დამართებია ეს უსამართლობა?! ცხრამეტი სული ხიზანი გახლავართ და უღელი ხარი და ერთი ძროხა გვეყვანდა, უღელი ხარიც, ის ძროხაც, ქორწილი მქონდა და იასაულები შემომიცივდნენ, ნეტე დედოფალი ძირს ჩამოყარეს, ერთი თოფი, ორი, სასაწრფო (?), ორი ხანჯალი, ერთი სახნისი, რაც სახლის ავეჯულობა იყო, სულ წიბიდაო წამოიღეს. სამნი ძმანი გახლავართ, ერთი თოფი [გვ]ქონდა, ხან ერთი წამოვიღებდით. ხან მეორე, ხან მესამე, — თიბათვეს, კათათვეს და მარიამობის თვეს სამნივე ერთმანერთზე ვაწევივართ. შარშან რომე ფაჩუას შვილის თ[ა]ობაზე ექვსი თუმანი წამართვეს, იმის სარგებელს ვერა ავსცილივართ. თუმნის თავს ექვს შაურს სარგებელს გვართმევენ: მარტის დ, ქკს უჟდ.

ჩემო ხემწიფევე სამართალი გვადირსეთ.

ზემო აშიაზე: ქ. ზაზა ყორიასაულ ბაშო, ესენი მსაჯულთ წინაშე სამართალში ალაპარაკე. უფალმან მდივანბეგმა იოანემ, მდივანბეგმა თეიმურაზ და მდივანბეგმა სამართალი მისცენ ლ[მერ]თ წინაშე. აპრილის კგ, ქკს უჟდ. რასაც მიხედენ.<sup>1</sup>

ერჯალე

№ 145. 1776 წ. მარტის 22-ს. არზა, მიცემული ზაალ ქარუმიძის მიერ გიორგი ბატონიშვილის დმი. ამ რკანასკნელის ოქმით. პირი. 35×16 სმ, დაწერილია როლურჯო ქაღალდზე. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 10351.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ ბედნიერის კელმწიფის ძის გიორგის ჰირი მათს მიწას ქარუმიძეს ზალსა და მის ძეებს მოკცეს. მერმე ჩვენ დიდის კელმწიფის პაპის თქვენი წყალობა ქვაქეს (sic) სითარხნისა. რომე ჩვენს პაპას და იმის ძემებს უმსახურია და იმასაც სითარხნე ჩვენსა უბოძებია. ახლა ჩვენს მოწყალე კელმწიფეს მივართვით ის წიგნი, გარჩევით სხვა წიგნი გვიბოძა მაგან; ახლა სოფელში ვინც ოქმს მოიტანს, გლეხებს გვიწუხებს. ამთენ თქვენი წყალობა იყოს, რაც სახელდობ ბატონის ნაბოძები წიგნიგან გვეწეროს, ოქმი გვიბოძოდ, ნურც იასაული დაურჩდება იმ ბოძანებასა და გაგვიკითაონ. მარტის კგ, ქკს უჟდ.

ზემო აშიაზე: ქ. ბატონიშვილი გიორგი გიბძანებთ ვინც ვინ მოასილნი იყვნეთ, მერმე ამ ქარუმიძეებს, რადგანაც ბატონს პაპის ჩვენისაგან და იმის სიმაღლის მამის ჩვენისაგან წყალობის წიგნი აქვსთ თავეთის ყმის სითარხნისა, თქვენიც ისე უნდა აღასრულოთ და ნურაფერზედ შეაწუხოთ და ნურცა რა სთხო[ო]თ. მარტის კგ, ქკს უჟდ. | ბატონიშვილი გ. ორგი |

№ 146. 1776 წ. აპრილის 18-ს. მოწმობის წიგნი ერისთავის დის ყმის ნასყიდას მიერ ერისთავის დისადმი მიცემული. დედანი. 27 XII სმ, დაწერილ თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ორი წარტილია ნახმარი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2715.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ ბატონის ერისთავის დის ჰირი მოსცეს მათს ყმას ნასყიდას. მერე ჩემის მოძღვრის აღამისათვის წიგნი მოგეწერათ და ასე გებძანები

<sup>1</sup> ეს ორი სიტყვა სხვა ხელითაა დაწერილი.

ნათ, მე რომ წიო მღვდლისთვის შეთქვას, ტყუვილად დავიფიცეო, ქოჩია ამათი ყმა არ არისო. წიო მღვდელი ჩემი მოძღვარი არ არის, რომ აღსარებაში შეთქვა. ისრე უფრო რათ ვეტყოდინო? ოთხმოცის წლის კაცი ვარ, რა გამიქარდა რომ ტყუვილად დავიფიცავდი, რადგან სიმართლით დავიფიცავდი და დავიფიცე წიო მღვდელს რაღა ვეტყოდი, ზალის ყმა არ არისო? აშოროს ღმერთს! ან, არც ტყუვილად დამეფიცოს, არც ქოჩია და არც მატია სხვის ყმა არავისი იყოს, მაშებს მოვესწარ და ბაპებსა, დაიხოცნენ, ჩემს სოფელში მარხიან, შეილები ეგენი არიან, ჩემს დროში არავის ყმათ მინახვანან, თქვენი ყმანი იყვნენ. ოთხმოცის წლის კაცი ვარ, ახლა თუ ტყუვილად მოჰიგონა ვინმე, ქრისტესთან მომცეს პასუხი, როცა რომ დავიფიცე, მაშინდელი ბატონის ოქმი და განაჩენი ხომ თქვენა გაქვთ, მეც ხომ ცოცხალი ვარ, მკითხონ და რასაც მოვახსენებ მაშინ შეიტყობთ, თუ სწორე არა მცოდნოდა, არც თქვენთვისა და არც თქვენი შვილებისათვის სულს არ წავიწყებდი, კეშმარიტი ვიცოდი, თქვენი ყმანი იყვნენ და კიდევ დავიფიცე. ახლა თუ ძალათ წაგართმევს ვინმე, მე უბრალო ვარ. აღიწერა აპრილის იმ, ქკს უდღ.

სხვა მელნი თ: ქ. ღ[ვ]თის წინაშე მე, სტრიდონ დეკანოზმა დავსწერე ეს წიგნი. ბიძა ჩემი ადამ ნასყიდას მოძღვარი იყო, ბიძა ჩემთან მოვიდა ნასყიდა და იმან დამაწერინა თავისის სიტყვითა.

სტრიდონ.

№ 147. 1776 წ. მაისის 24-ს. განაჩენი მღვიანბეგ იასე ამილახვარისა ივანე თათქირიძის საქმეზე. დედანი. 35 1/2 x 21 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი—საქ. სახ. მუხ. ფ. Hd № 2554.

ქ. განგებითა მღუთისათა ესე განაჩენი დავიწერეთ და მოგეცით ჩვენ, ამილახვარ-სარდალ-მღვიანბეგმა იასეკმ შენ, თათქირიძეს იოვანეს;—ასე რომე შენ ერთი იმერელ მეფის ახნაურშვილის ყმები ბაბლიძეები მოგუსულოდენ სამნი ძმანი, ვითა წესია ბატონყმობისა და ყოფილიყუნენ რამთენსამე ჟამსა. მერე ერთი საძნიადოდ სათქმელი საქმე შემთხვეოდა და შენ იოვანეს ეფისკოპოზთან საკანონოთა გარდახდით, ეკლესიის სამსახურით ის საქმე თავს გარდაველო, ამას გარდა კ[უ]ლაქ დეს გექნა, შენის შვილისათვის ერთი ახალგაზრდა და დიდად შენის ოჯახის გამოსადეგი, ისიც გთხოვა სადმე. რადგანაც იმის ყმობა გინდოდა, აღარც ის დავიჭერია და მივიცია და იმის საბოძაზე კაცნიც იმოწმე, რომ იმის თაობაზე ერთი კუამლი კაცი აგყროდა და დაგკარგოდა. მერე ორჯერ-სამჯერ გაქცევოდნენ. მოხვედი ჩვენს სამართალში. ჩვენ მოვასხმევენეთ ის კაცნი და ვკითხეთ საღაობა და ან ბატონი. იმან ჩვენს სამართალში იმერელ მეფის ახნაურშვილის კაცობა აღიარა და თქვა. ჩვენ კ[უ]ლაქ ვკითხეთ, დავაფიცეთ, თუ საქართველოს კაცი იყო და ან საქართველოში ყმა იყო ვისიმეო, თქვი და იოვანეს ხელს ავალეზინებთ და იმან დიდათ შორს დაიქირა, მე საქართველო ამის მეტათ არც კი მინახამსო, მაგრამ მამუკასი აღარა დაიჯერებარა, ამისათვის მრავალჯერ სხვა ბატონი გამოიჩინა მამუკამ და ამის მიზეზით ცრულთ დაიდვა. რომელიც რომ ამ მამუკას უფროსი ძმა არის, ეს მო-

ვაყვანინეთ, დავაფიცეთ თავისი დამბადებელი, თავისი სარწმუნოება, თავისი განკითხვის დღე, თავიანთის სულის წარწყმედა და ცხოვნება და იმათ მრავლის ფიცით დაგვიშტკიცა: მე საქართველოს ქვეყნის არც ვიყო და არც რა ვიცოდე ამ ახე, რომელზედაც სასწაულზე ფიცით შემძილიაო. ესეც გვითხრა, თუ ჩვენ საქართველოს ქვეყნისა ვაყოთო სამი და ოთხი ჩემი განაყოფი თუ არ მაეცესო ბედნიერს მეფეს ჩემის ნაბატონის თვის და მეცა მყრიდნენო, ძაგრამ ღმერთმაქნ დაუმაღლოს ამ ბატონს ჩემს იოვანესაო, ამან დამიხსნაო. შენ, იოვანე ბედნიერის კელმწიფისათვის არზი მიგიერთმევენა და ოქმი ეპოდა. ამითი უფრო გული დავაჯერეთ, რომ ამთენის იმაღვან ფიცით და მერე იმერელ მეფის აზნაურ-შვილებისაგან მოჭიდება და იმათისობა და ამის სახლის კაცებიც რომ ორი კუამლი ფურცელადი დამ აეყარათ და წაესხათ, ამთენის წინადადებით გული დავაჯერეთ, რომ ეს კაცი არცა და ვისნი ყოფილან საქართველოში. ერთი ეს გამოცხადდეს ეს კაცი რომ გაქცეოდნენ, ქარელში ციციშვილს ლობინაშვილს ზაქარია სალთხუცესს მისულოდნენ. ივანეს იმათის აზნაურის შვილებისათვის წიგნი მიეწერა და ამ კაცებისა იმათი ყმობა ღუთის წინაშე ეფიცებინა. იმათ წიგნი მოეწერათ ფიცით, რომ არც გაგვიგონია ამის მეტათ მაგისი ჩვენი ყმობა და არც ვიცითო. ამისი წიგნიცა კელთა ქონდათ. რადგან ამთენი ქენზმარიტი და მართალი საბუთი ქონდა იოვანეს და იმთენი განარჯილობა, საქართველოს წესიც ეს არის: იმერელი და ჯავახი და ყოველი მოსული ვინც არის, პირველად ვისაც პოუვა, იმისია და ველარც წაუვა, ეს კაცი შენ მოგუსლიან იმერლები და არცა არავის საქმე აქუსთ ამ კაცთშიდა დარჩა ეს კაცი იოვანეს სამართალში. ამათთან საქმე არავისა აქუს. დაიწერა მაისის კდ, ქკს უჟდ. და ნება ბედნიერის კემწიფისაა.

მ[ო]ნა ღ[ვ]თისა ამი-  
ლახკრის შკილ. იესე

№ 148. 1776 წ. ივნისის 16-ს. განჩინების წიგნი, მიცემული მდივნების მიერ ბოქა-ულთ უხუცეს ხურაბისადმი ბეჟან რატიშვილის კაცების ს.ქმეხი. დედანი. 19×16 სმ. დაჭერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახარია თითო წერტილი—საქ სახ. მუხ. ფ. Hd № 2993.

ქ. მდივანბეგების კეთილად სახსენებლო ბოქაულთხუცესო ზურაბ, ბეჟან რატიშვილის კაცების საქმემ ხომ სამართალში ვაიარა და გარდასწყდა. როიცა ბეჟანს კაცი და წიგნი მოგივიდეს, თავისი კაცები აუყარე და მოაბარე. აღიწერა მთიბათვის ივ, ქკს უჟდ. ბენენას გოჩას შვილს ერთმანერთან საქმე არ აქეთ ბერი გოჩაშვილი ბენენას ველარ შეუა, აქ ჩვენ გაგვისწორებია ამ საქმეზე. ბატონის ბრძანება და ოქმიც ხომ შენა გქონდა.

ქაიხოსრო

მ[ო]ნა ღ[ვ]თისა დივან  
ბეგი თეჟურახ

№ 149. 1776 წ. იენისის 16-ს. არხა, იოანე თაქთაქიშვილისა ერეკლე II-სადმი, უკანასკნელის ოქმით. დედანი. დაზიანებული აქვს თავი. 20<sup>1</sup>/<sub>2</sub> × 16 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუზ. ფ. Hd № 14374.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ ბედნიერის ვემწიფის ჭირი მოსცეს იოანე თაქთაქის-შვილსა. იმდონი ლ[მერ]თ[მა]ნ გამარჯვება მოგცესთ, რაძენიც უცხო ქვეყნის კაცი საქართველოს თავადაზნაურშვილს მოსვლოდეს, მაგრამ არავის წაერთმევენოს.

ერთი კაცი მომივიდა იმერეთიდან, ქ[ე]შმარი[ტ]ა[დ] ვითარცა შვილი შვეიცკებე და მყუანდა. რაც იმან მე ყოფები [sic] მიყო, ლ[ვ]ითისა და კაცის შემწუხებელის ცოდვით ოჯახი ამივსო და ქვეყანაში მომაყიენა, რომელი ერთი მოგახსენო. დაუთმე, წამომივიდა და ზაქარია სალთხუცესს ყმად მოუვიდა. დიდად გევედრები ველმწიფის შვილებისა სადღეგრძელოდ, რაც ამ ბიჭის თაობაზე წიგნები მაქვს, მდივანს უბძანოთ წაგიკითხოსთ და სამართალი მალიროთ. ამაზედ ვწუხვართ დიდათ, რომ ეს ამდონი ჭირნახული მაქვს და მერთმევა. კუალად ამას გევედრები, რომ ეს წიგნები წააკითხვინოთ. ლ[მერ]თი გაგიმარჯვებს. იენისის ის, ქ[ე]ს უად.

ზეჟო აშიახე: ქ. ჩვენი ბძანება არის, ამილახორ-მდივანბეგის განაჩენი, მილახვარ-ბაშის აბაშიძის ნიკოლოზის მოწმობის წიგნი, აბაშიძის მამუკაშვილის ლევანის მოწმობის წიგნი, გვერდწითლის გივის მოწმობის წიგნი და კიდევ სხვა მოწმობების წიგნი გაგვასინჯა იოანე თაქთაქის-შვილმა. ამ განაჩენისა მოწმობების ძალით ბაბლიძის მამუკელა, ამისი, ბიძაშვილი ივანე და მამუკა თაქთაქის-შვილის იოანეს ყმანი არიან. ამის მეტს სხვას ველი არავისა აქვს და თუ ვინმე ამ განაჩენისა და მოწმობის გამტყუნებას შეიძლებს, ჩვენთან ილაპარაკოს და გაამტყუნოს. ბარაქალა იმ კაცს, რომელიც ამ განაჩენსა და მოწმობებს დაარღვევს და თუ ილაპარაკებს ვინმე და ვერ გაამტყუნებს, დიდი ნაკლებობა იქნება. ამილახორ მდივანბეგო იესე, ეს ბაბლიძეები იოანე თაქთაქის შვილს მოაბარე იოანეს [bis]. მთიბათვის ია, ქ[ე]ს უად. ზაქარია სალთხუცესო, შენ ხომ არა იცი რა, (ყმაწვილი ბრძანდები)<sup>1</sup>, თუ შენი აზნაურიშვილები წამოდგებიან და თავეთს მოადობ[ა]ს გაამართლებენ, მოსამართლე გაუგონებს და სამართალს მისცემს. ამ ბაბლიძეების საქმეზედ მსაჯულთ განაჩენი დაეწერათ და აღარ დაებეჭდათ კი.

ერეკლე

№ 150. 1776 წ. იენისის 27-ს. არხა მიცემული დიდებაანთ მიერ ლეონ ბატონის-შვილისადმი ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი. 26 × 15 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ თითო წერტილია ნახმარი. ს. ქ. მუზ. ფ. Hd № 2720.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ ყ[ოვლა]დ მოწყალის ვემწიფის ძის ლეონის ჭირი ფერხთა ზტვერთ სულ ხელი ერთ პირ დიდებაანთ მოსცეს. მერმე ამას გევედრებით

<sup>1</sup> ჩამატებულია სტრიქონის ზგზოდან.

ჩვენო მოწყალე: მთა და ბარი, მოხელენი და აზნაურნი სულ აქ გახლავან. მოკითხული ჰქენით, თუ ჩვენნი მამა პაპანი მაგათი ყმანი ყოფილიყვნენ. მკვიდრნი თქვენი სახასონი გახლავართ, თორემ ყველამ იციან, შენნი ყმანი ვართ, ვისაც გეპრიანებოდეს, იმათ მიგვეც. თოთხმეტნი გახლავართ. თუნდა სხვას სჯულს მიგვეც, მაგრამ ჩვენ დასაკარგავი კაცნი არ გახლავართ: თუ ჩვენი თავი ბატონმა უბოძა, ბატონის წიგნი ექნება. თუ ნასყიდნი ვართ, ნასყიდობის წიგნი ექნება და ორივე მოგართოსთ. თუ არა, ჩვენ მაგისი ყმანი არ ვყოფილვართ, თქვენი ყმანი ვართ ძველადვე, თორემ ყოველნი აქაურნი ძველნი კაცნი მოგახსენებენ. თუ არ დაგვეკარგავთ. ხომ კარგი, თუ არა და მაგისი ყმობა არ შეგვიძლიანთ და არც ვეყმობით და ნება თქვენის მოწყალეებისა აღსრულდეს. თიბათვის კვ. ქქს უჟდ.

ზემო აშიაზი: ქ. ბატონის-შვილი ლეონ გიბძანებთ ამ არზის მომრთმევენო, მერე ამ თქვენი საჩივრის საქმეზედ ადამ ყარანგოზის-შვილისათვის ენკენისთვის გასვლამდის ვადა მოგვიცია. თუ მანამდის ბატონის მამის ჩვენის წიგნი მოიტანა, რომ თქვენ ადამისათვის უბოძებინართ, ჩვენ იმ წიგნის წინააღმდეგობა არ შეგვიძლია და ამისნი უნდა იყენეთ და თუ წიგნი ვერ მოიტანა, თქვენთან იმას საქმე არ ექნება რა და ჩვენი სახასონი იქმნებით წიგნის მოტანით. მანამ თქვენს საქმეს ადამ გაქრჩევედეს, მანამ ისევე ადამის ხელთ უნდა იყენეთ.

თიბათვის კვ, ქქს უჟდ.

მრჩობლთ მეფეთა ძესა  
ლეონ სახეოდ მძესა

საბუთის ზურგზე: ქ. ჩვენო ღვეთის წყალობავ შვილო ბატონო ლეონ, მერე თუ სამართალი ამათ ყარანგოზიშვილს მისცემდეს და შენი ნებაც იყოს, ხომ მიეც და თუ არც სამართალი მისცემდეს და არც შენი ნება იყოს, ნუ მისცემ. შენის სამართლის ჩვენც ყაბული გვაქვს. დაიწერა ივლისის ა, ქქს უჟდ.

თუ ჩვენი წიგნი ქონდეს თუ რიგიანად და სამართლიანად მიგვეცეს, იმაზე დააყენე და თუ ჩვენთვის ღალატად გაეშინჯებიანოს და მოტყუებით აელოს ჩვენგან წიგნი, იმის დახსნის ნება მოგვიცია. ის წიგნი მოშალე და სამართლიანათ შენ გაარბიე.

მე ფხვთ განბანილთა მიერ  
ეკლესია ვადიდე ეოვკლე

№ 151. 1776 წ. აგვისტოს 3-ს. მიბარების წიგნი მაჰმად სულთანის მიერ თეიმურაზ ჯავახიშვილისადმი მიცემული. დედანი. 13 1/2 x 7 სმ, დაწვრილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2799.

ქ. მამებარა მე, მაჰმად სულთანს თქვენ, ჯავახიშვილის თეიმურაზისაგან ბახტაძის სახსარი მთლათ თამამათ. ფეხის ქირის მეტი აღარა დარჩომილა რა. მე, ყანდინანთ სტეფანას დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა მარიამობისთვის გ, ქქს უჟდ.

<sup>1</sup> თურქულად.

№ 152. 1776 წ. აგვისტოს 7-ს. მამულის ნათხოვრობის წიგნი, მიცემული გიორგი ქებაძის მიერ თავის ბატონის სახლის კაცის პაპუა თუმანიშვილისადმი. დედანი. 29×18<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახშიარი არ არის. ს.ქ. მუხ. ფ. Hd № 2746.

ქ. ესე წიგნი მოგართვი მე, ქებაძემ გიორგიმ და ჩემა ძმამ თამაზამ, შვილმა ჩემა ხინიამ და შოშიამ და მომავალმან სახლისა ჩემისმან თქვენ, ბატონის ჩემის სახლის კაცს თუშანიშვილს პაპუასა და ეგნატის და შვილთა და მომავალთა თქვენთა;—ასე რომე ახალდაბას დღეს რომ სოფელი სიღნაღათ სახლობვართ წმინდის გიორგის საღვრის გარშემო, ის ალაგი თქვენის ყმის ბერეკაშვილების ნასახლარები კალო-საბძლისა ალგები არის, რომ ჩვენც დღეს აქ საღლები გვიდგია, როგორც სხვანი დგანან და ჩვენცა და ამ ჩვენს სახლშია საწნახლის გაკეთება მოვინდომეთ და თქვენ არ გავაკეთებინეთ და მას უკან შეპოვებვეწენით და საწნახლის ადგილი ნათხოვრად გვათხოვეთ და ეს ნაფხოვობის წიგნი მოგართვით; ასე რომ მინამდისინ ეს ლეკიანობა და ავი დრო არის, აქ სიღნაღათ ვდგევართ, თქვენის კაცების მამული არის, მინამდისინ ნათხოვრათ გვეჭიროს, როდესაც ღმერთმა მშვიდობა მოგვცეს და თავთავის მამულებსა და ნასახლარების ალაგზე მისვლა დადგომა გვეღირსოს, მანამ ეს საწნახელი და ჩვენი სახლები ჩვენს ხელთ იყოს. მასუკან ეს საწნახელიცა და სახლების ადგილიცა ღმერთმა მშვიდობაში მოგახპაუროს, თქვენი შამული არის, სამამულეთ არაფერი საქმე არა გვაქვს რა. ეს წიგნი ახალდაბაში მსახლობელს ფაციანაშვილს მთავარ დიაკვანს მოსეს დავაწერინეთ, არის ამისი მოწამე თავათ ღმერთი და კაცთაგან დინარიძე ნიკოლოზ +, გოგებაშვილი კაცია +, ოქროპირი +, როსტომაშვილი ქიტუა +, მე, ფაციანაშვილმა მთავარ დიაკვანმა მოსემ ამ ქებაძის გიორგისა და თამაზას სიტყვით დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა მარიამობისთვის 8, ქკს უჯდ.

აშიაზე: ქ. მე, გორგელი კუკუჩაშვილი გოგია და ჩემი ძმა თამაზა ამისი მოწამენი ვართ. ++

№ 153. 1776 წ. ნოემბრის 17-ს. ნოწმოზის წიგნი იასე თაქთაქიშვილისა. დედანი. 16×10 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახშიარია ორ-ორი წერტილი. ს.ქ. მუხ. ფ. Hd № 2798.

ქ. მე, იასე თათქათიშვილი ღმერთის წინაშე ასე მოწამობ, რომ ღმერთის წინაშე მამის და ბიძის ჩემისაგან ასე გამიგონია: რაკი დამ მეტრეველები ჩვენ მოგსლია და ამ ერთს მეტრეველისთვის მამული ვერ უშოვნეთ. აზატობის წიგნი მოგვიცია, ვისაც უნდა ყმობოდა. წასულა და ქსნის ერისთავს ყმობია. მას დღეს აქეთ იმის ყმათ ყოფილა და რასაც მოგწერებევარ კიდევ იმის ყმა არის. ღმერთის წინაშე მე ამის მეტი არა გამიგონია რა და არც რა ვიცი. მე, ზაზა ამიოჯიბს იასეს სიტყვით დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა გიორგობისთვის 8, ქკს უჯდ.

<sup>1</sup> სათაური: ახალდაბელის ქებაძის გიორგისა და თამაზასაგან მიცემული წიგნია.

№ 154. 1776 წ. დეკემბრის 1-ს. განაჩენი მდივანბეგებისა ქალაქის მოურავის დავით ციციშვილისა და საოდალ პეტრე ავალიშვილის საქმის გამო. დღიანი. 41×18½ სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით, განკვეთილობის ნიშანი ნახპარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 1428.

ქ. ქალაქის მოურავს ციციშვილს დავით საოდალს ავალიშვილის პეტრეს დავის ეჩივლა წრომელ ჩილინგდრის — შვილებზე და ამათი სამართალი ბედნიერს ვემწიფეს მათის მონის მდივანბეგებისათვის ებძანა.

ჩვენ ესენი სამართალში ვალაპარაკეთ. მოურავი ასე ჩიოდა: ჩემი აზნაურიშვილი მელღინეთსუციშვილი ფირან ოთხმოცამდინ ჩემის კაცით პეტრე ავალიშვილთან იყო, ჯავახეთიდან ერთი სოფელი აპყარესო, სულ პეტრე ავალიშვილმა დაისახლაო და რომელიც ჩემი ყმანი იყენენ ჩილინგდრის შვილებიო ოთხი კომლი კაცი, არც ესენი დამანებაო. ფირანც სამართალში მოვიდა, ასე ამბობდა: ხეობაში მე რომ ჯარით აველ, პეტრე ავალიშვილი იქ იყოო, მაშინვე იმ სოფელში კაცი გაგზავნაო, ჩვენც ჯარით წავედითო, იმ სოფლიდან კაცები ამოვიდნენო, ჩვენ რომ ჯარით გვნახეა, უმეტესად შეშინდნენ და უფრო ამ მიზეზით აიყარნენო. ჩვენ სხვა სოფლის დასაკრავათ გაგვგზავნა და თითონ იმათ წამოუძღვიაო. უკან მღევარი გამოზდგომოდათ, ჩვენ იმ მღევარს მოვადექით და ის მღევარიც ჩვენის მიზეზით მოიშალაო.

პეტრე ავალიშვილი ამას უპასუხებდა: იმ სოფლის კაცნი დიდი ხანი იყო შემოპირებულნი მყვანდნენ. შენ რომ ხეობაში ჯარით ამოხველ, დიდათ მეწყინა, კიდევ გიშალო ჩვენთან ნუ წამოხვალთო. არც თქვენს მოსელაზე მე იმ სოფელში კაცი გამოგზავნია, რომ თქვენით ისინი შემეშინებინოსო და არც თქვენს ჩემთან ყოფნაში იმ სოფლიდან კაცნი მოსულანო, რომ თქვენ ენახნით და თქვენით იმათ აყრის მიზეზი მისცემოდათო. ამაზე ამათმა ლაპარაკმა ბევრმა გაიარა. მართალია, უცხოს ქვეყნიდან ვინც კაცს მოიყვანს, ბედნიერის ველმწიფის ბრძანება არის, რომ მომყვანისა იქნება ვისიც ყმა უნდა იყოს, მაგრამ მოურავს სიტყვა ამითი ჰქონდა, რომ იმის აზნაურიშვილი და ამის ჯარი ხლებოდა. თუ მოურავმა სარწმუნოს მოწმებით შემოხსენებული ფირანის საჩივარი გაამართლა, რადგან ამის აზნაურიშვილები და ამის ჯარი შესწევინა იმ სოფლის აყრაზე, ეს ჩილინგდრის შვილები პეტრე ავალიშვილმა მოურავს დაანებოს და სხვა იმ სოფლიდან მოყვანილი გლეხი პეტრეს დარჩეს და თუ მოწმით არ გარდასწყდეს, რადგან პეტრე ავალიშვილი ამათის შეწევნით იმ სოფლის აყრის უარის აშას ამბობს, სამართლით ამაზე ფიცი გავაჩინეთ. ქალაქის მოურავმა იმ ჯარში ნამყოფი სურანის ხეობისა და საბაშიო კაცი რვა მსახური და გლეხი პეტრე ავალიშვილს შეაგდოს, პეტრემ რვაში ოთხი იშოვნოს, ერთი თავის პირველი აზნაურიშვილი წააყენოს და ოთხი მოფიცარი თან მიაყოლოს. ასე დაიფიცონ: ფირანისათვის თავისთან წასვლაც ეშალოს, ესენი რომ ჯარით მოიდნენ, არც მაშინ იმ სოფელში კაცი გაეგზავნოს და ამათით შეეშინებინოს და არც ამათ იქ ყოფნაში იმ სოფლის კაცნი მოსულიყვნენ, არც ფირან და იმასთან მყოფი ჯარი იმ კაცთ ენახოსთ და არც ამათის მიზეზით ისინი აყრილიყვნენ. თუ ასე დაიფიცეს, პეტრე ავალიშვილს

დარჩება, მოუწავრ ველარას ედავება და თუ ვერ დაიფიცვენ, ჩილინდრის შვილები, მოუწავს დარჩება. აღიწერა დეკემბრის ა, ქკს უად.

როანე

მ[ო]ნა  
ლ[ვ]ითისა  
დივანბეგო  
თეიმურაზ

მ[ო]ნა  
ლ[ვ]ითისა  
სულხან

№ 155. 1775 წ. დეკემბრის 9-ს. გიორგი ლომოურის მოწმობის წიგნი. დედანი. 33 $\frac{1}{2}$  x 13 $\frac{1}{2}$  სმ. დაწერილი თუთრ ქალაღზე მხედრული ხეღით. განკვეთილობის ნიშნად ალაღ-ალაღ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 14282.

ქ. ქალაქის მოუწავმა დავით მე ლომაურს გიორგის ღმერთი და მეფის ერეკლეს მზე მაფიცა, პეტრე ავაღიშვიღმა რომ მღაშის ხეღს გღეხეღი აჰყარა, როგორ იყო. ღ[ვ]ითისა ვჰფიცავ. მეფის ერეკლეს მზეღსა და ანტონი კათალიკოზის მადღსა, რომ ასე იყო. ციხის ჯვარს რომ მივეღით, პეტრე ავაღიშვიღი, გოგია ავაღიშვიღი და ჩვენ, ჯარი ქარეღები იქ არ დაგვხვდენ. სამი დღე მოუცადეთ, სანამღისინ ქარეღები არ მოვიღენ ჩვენ არ დავიძარიღ. ქარეღებსა და ბრეთეღებს პირობა ჰქონდათ, უერთმანეთისოღ არ დაიძროდენ. ქარეღები რომ მოვიღენ ჩვენთას, დიღღ გვიამა და წავეღით. რომელსაც სოფელს პეტრე ჰყრიღა, ჯერ იქ მოვეღით სულ ჯარი ქარეღებიცა და ჩვენცა. პეტრემ იმ სოფელს უთხრა: თუ არ აიყრებიღთ ეს ჯარი თქვენთვის მომიყვანიღო. ჯერ სოფელს არ გავესციღებოღით, იქავ სოფღის პირში ვიღეღეთ, რომ სოფელი ავჰყარეთ, გამოვამგზავრეთ და ჩვენ მას უკან ორად გავიყავით: ქარეღები, ლეკები, გოგია ავაღიშვიღი და ბრეთეღები ინღუსაზე წავეღენ, როსტომ ხიზიღბეღიშვიღი, ლუარსაბ მურმანიშვიღი და ვინცა ვინ ზემოქართღელნი ვიყავით და ლიახვის კაცნი, იღუმალაზე წავეღით. დიღღ რომ გათენდა იქით ქარეღებმა და იმათ დაჰკრეს და აქეთ ჩვენ დავჰკარიღ. ამ სოფღის აყრაზე და სოფღების დაკვრაზე ოზორიღამ მღევარი წამოსულიყო. იმ მღევარს უკანიღამ ჩვენ მოვადღეღით და წამოვეწიენით. ჩვენ[ღ] ომი მოგვიხდა, მაგრამ შემოუტივეთ მღევარსა, ცოტა სროღაც მოხდა, გამოვაქცივეთ და მოვეწივენით პეტრე ავაღიშვიღსა. ერთი ქარეღი კაციც მოკვდა იქა. ღ[ვ]ითის წინაშე ამ საქმის დამსწრე, მნახავი და მოწამე ვარ. დეკემბრის თ, ქკს უად. ქ. მე პისის უწმიღდესობის მონას დიაკონ მონოზანს გამაღიღღს ამ გიორგი ლომაურის სიტყვით დამიწერია ეს წიგნი.

ერე ლე

მარცხ. აშიახე: ქ. მე გიორგი ნახირის მსახური ზურაბა ღ[ვ]ითის წინაშე რაც ლომაურს ამ წიგნიში დაუწერია, ამისი დამსწრეცა ვარ და მოწამეცა, რომ ეს ასე იყო.

ერეკლე

№ 156. 1776 წ. ყმის დანებების წიგნი. ბენა გიგაურის მიერ ბენან რატიშვილ-სადმი მიცემული. დედანი. 36×22 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2758.

ქ. ესე წიგნი მოგეც მე, ბენა გიგაურმა თქვენ, რატის-შვილს ბენანს და შვილსა შენსა გაპრიელს, შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა; — ასე რომ შენი ყმები გოჩაშვილები გიორგი, ლაზარე, მახარე, გლახა, კეტრე ეს ხუთნი ძმანი და ამათ გარდა კიდევ ამათი ბიძაშვილი ბერი და ბერის შვილები გიორგი, როსტევენ, იასე და ქიტესა ესენი ყოველნივე მე მყუჟანდენ ნასყიდობითა და მამის ჩემისაგან ნასყიდნი იყუნენ. ამ შენს ყმებს გლეხებზე ლაპარაკი და დავა დამიწყევი და ბატონის სამართალში ჩავცვივდით. ბატონის სამართლის ძალითა ეს გოჩაშვილები ამ წიგნში რომ სწერიან, ყოველნივე შენ დაგრჩენ და მეც ბატონის ბრძახებითა თქვენ დაგანებე და ამათი ნასყიდობის წიგნი თქვენ მოგართვი ჩემის ნებითა. ლ[მერ]თ[მან] თქვენ მოგავჟაროსთ. თუ დღეს, დღეის უკან ან სხუა რომელიმე სხუა ნასყიდობისა და ან სადაოს წიგნი გამოვაჩინო რაშე, ან ვიდაო, ან ვილაპარაკო, ამ ჩემგან მოცემულმა წიგნმაც გამამტყუნოს და მეფის ირაკლის შემცოდევ ვიქნები. მე საქმე აღარა მქონდეს, არც ამ გოჩას შვილებთანა და არც არა თქვენთანა, არც მე არც ჩემს ბატონსა და არცა ჩემის სახლის კაცთა ნათესავთა არც სხუათ ვისმე, თვინიერ ძმობისა და სიყვარულისა და ამხანაგობის მეტი. რადგან მამის ჩემის ნასყიდი იყუნენ და სხუას საქმე არავის ქონდა, მეც სამართლის ძალით ნასყიდობის წიგნიც შენ მოგეც და კაცებიც შენ დაგანებე ლ[ვ]თის მოწმობითა. დაიწერა წიგნი ეს მთიბათვის (ა). ნებითა ჩემითა დავაწერიანე დეკანოზს მიხაილის მე თქვენ რატის-შვილს და შვილსა გაბრიელს მოგართვი. ქკა უფდ. ბენა.<sup>1</sup>

№ 157. 1777 წ. ივნისის „გასულს“, ყმის ნასყიდობის წიგნი. მოცემული ზარდია ზარდიაშვილს მიერ დავით ქალაქის მოუოავისადმი. დედანი. დაზ ანობელი. 31×21 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 2913.

ქ. ... ესე... ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგართვით თქვენ, სარდალ ქალაქის მოურავს დავითს მე, ზარდიას-შვილმა ზარდიამ და ძმისწულმა ჩემმა ავთანდილს; — ასე რომ არეზიდამ ჩემმა ძმისწულმა ერთი ტყვე მოიყვანა, ამხანაგებიდამ დაეხსნა. პატარა გავზარდეთ და ცოლი შეერთევიტ და მამულზე დავაყინეთ. მასუკან აგვეყარა და თქვენს მამულში ქარელში გამოვიდა. მოველ და ჩემი კაცი გვხოვეთ. თქვენ კი მიბოძეთ, მაგრამ ამ ჩვენმა კაცმა თვედლორემ ჩვენი თავი აღარ ინდომა და თქვენკენ მოიწია. მერმე აღარც ჩვენ ვინდომეთ და მოგყიდეთ და ავიღევიტ ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდათ... მოწმე... კაცთაგან გვერდწითელი გივი+, წინამძღვრიშილი ლუარსაბ. ზურაბას-შვილი მღვდელი ნიკოლოზ +. და, მე ავთანდილ მალრადეს და-

<sup>1</sup> ხეულად.

სათაური: გოჩაშვილის წიგნია.

მიწერია ამ ბიძის ჩემების სიტყვით და მოწამეც ვარ ამისი. აღიწერა თიბათვის  
კა გასულს, ქქს უჟე.<sup>1</sup>

№ 158. 1777 წ. ოქტომბრის 12-ს. თავდებობის წიგნი ციხელი ბაყალის შაბანას მიერ ზაზა ყორიასულბაშისათვის მიცემული. დედანი.  $13 \times 11 \frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახშირი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 2816.

ქ. თქუშნ ზაზა ყორიასულბაშისათვის ეს თავდებობის წიგნი მომირთმევეა მე ციხელს ბაყალს შაბანას; — ასე რომ თქვენი ყმა გოგია რომ დაქერილი გყავსთ, ეგ აუშვით. თუ წავიდეს სადმე მე პასუხი გაცე. მე, მიწერალს იოანე პენტელაშვილს დამიწერია შაბანას სიტყვით. დაიწერა ლეინობისთვის იბ, ქქს უჟე. ქ. მე იოანე მიშკარბაში ამისი მოწამე ვარ იოანე ქ. მე ალალო ამისი მოწამე ვარ. ალალო

განის აშიაზე: ქ. მე ეშიკალასი გარსევან შაბანას სიტყვით ამისი მოწამე ვარ ვარსევან<sup>2</sup>

№ 159. 1777 წ. ნოემბრის 3-ს. ოქმი ერეკლე II-ისა დედანი.  $17 \frac{1}{2} \times 15 \frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახშირი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 2561.

ქ. ჩვენი ბრძანება არის, მერე ჩვენს მამიდას ხვარეშანს ალიას შვილები თავისის ქალი გუქასთვის მუიციოა და ის ალიაშვილები გუქას შვილს ნინიას თავს არ უდებენ. რადგან ჩვენს მამიდას თავისის ქალი გუქასათვის მიუცია ალიას შვილები, ჩვენც ის ალიაშვილები გუქას შვილი ნინიასათვის გვიბოძებია. როგორც ბატონყმობის რიგი იყოს, სამართლიანის საქმით ისე უნდა ნინიას ემსახურნენ. სხვას არავის საქმე არ აქვს ალიაშვილებთან ნინიას გარდა ვისმე. კიდევ უნდა მსახურონ და ყმობაზედაც თავი დაუდონ. გიორგობისთვის გ, ქქს უჟე.

ქ. ამ ალიას შვილებთან გუქას შვილსა და შვილის-შვილებს გარდა სხვა ვისმე საქმე არ აქვსთ რა.

№ 160. 1778 წ. თებერვლის 10-ს. წყალობის წიგნი სვიმონ ზურაბის-შვილის მიერ ოპანა თეზიკაშვილისადმი მიცემული. პირი, გადაწერილი 1815 წელს. საქ. მუხ. ფ. Hd № 5881.

ქ. ნებითა და მღვ[ე]თისათა ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ ჩვენ ზურაბი-შვილმა სვიმონმა, შვილმა ჩემმა ნაზირმა დავითმა შენ, ჩვენს ერთგულს ყმას თეზიკაშვილს ოქპანას და შვილსა შენსა ვართანას და მარქარასა; — ერთგულობით ჩვენი გული შეგვიჯერე, შევეჯერდით და გიბოძეთ თქვენი განაყოფების მამული მარქარასი, საქულასი, არუთინასი და ბაინდურასი სახლითა კარითა, მითთა, ბარითა, მიწითა, კალოთა, საბძლითა, ოთხი წილი ვენახი-

<sup>1</sup> სათაური: ზარდისშვილის ნასყიდობის.

<sup>2</sup> სათაური: თავდებობის წიგნი.

თა, ოთხი საწნახლითა, თავის წყლით და სამძღვრებითა, რადგან ახპატი შენათ ყოფილა, რომა ბაინდურა აყრილა, იმისი წილი სამი წაპნი ფოლორანქს ქვექოლამ ნაპირს აკრამს საწნახელი, გომს უკან დღენახეგრისა მიწა თავისი ნასახლართა ესა ერთი წილი მამული ბაინდურას შეილებს შეუნახეთ, თქვენი განაყოფი არის და ის სამი წილი მამული ღ[მერ]თან ნუ მოგიშალოს ნურც ჩემგან, ნურც ჩვენის ოჯახის მამლევისაგან. ამას და გარდა ამოვარდნილი მედნიშვილის არუთინას ვენახი თავისა სამძღვრებითა ესეც გიბოძეთ ერთი გვერდი თქვენი ვენახი, მეორე გვერდი აღმართი სერის გზა, ზეითი საწნახელი. ესენიც ღ[ქერ]თმა ჩვენს ერდგულობაში მოგახმაროს. აღიწერა თებერვლის ო, ქკს უჟგ.

სვიმონ<sup>1</sup> დავით

ასლიდამ თანასწორათ გადმოვწერე ზეითი თავადმა სულხან თაქთაქოვმა ჩუიე წელსა, თებერვლის კ.

№ 161. 1778 წ. თებერვლის 16-ს. არხა, მიცემული ივანე ხახანაშვილის ქვრივსა და ობოლების ძიერ ერეკლე II-იადმი ამ უკანასკნელის ოქრით. დედანი. 21 × 14<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე შედრული ხელით. განკვეთალობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 2575.

ქ. ღმერთმაქნ ბედნიერის გილმწიფის ქირი მოსცეს ერთაწმინდელს წმიდის ესტატეს ყმას ხახანაშვილის ივანეს ქვრივსა და ობოლს.

ჩუსწნ წმიდის ესტატის შეწირულნი ვართ, მაგრამ აქამდინ შეწირულობის წიგნი დაკარგული გექონდა და წმიდის ესტატეს დეკანოზი გვიმსახურებდა. ჩუსწნ შეწირულობის წიგნი ვიპოვნეთ წელს შემოდგომას. ეს წიგნი და არზი მოგართვით, მამუკა თარხნის შეილზედ ოქმი გვიბოძეთ: ეს ხახანაშვილი წმინდის ესტატეს შეწირული ყოფილა, ამას დეგხსენო. ეს ოქმი მოგიტანე მამუკამ ჯამომართო და მითხრა, მე ხომ შენ არას გიმსახურებო, დეკანოზი გიმსახურებსო. ერთის ოქმის წყალობა გვიყავით, თარხნიანთ და დეკანოზს ჩვენთან ველი არ ჰქონდეს. რაც ძველად გვადებია, ხატს ვემსახურნეთ. თებერვლის ივ, ქკს უჟგ.

ზემო აწიაზე: ქ. პატროსანო მღვდელო წმინდის ესტატის დეკანოზო სვიმონ, ამ არზის პატრონი ამ არზით ასე ჩივის და თავისი შეწირულობის წიგნიც გვაჩვენა ციციშვილს როგორც შეუწირავს, შენ ამასთან საბატონყმოთ ველი არ გაქვს, რაც იმ შეწირულობის წიგნში ეკლესიის სანსახური უწერია, იმას ეკლესიას უნდა მსახურებდეს და სხვა რიგათ შენ ამასთან საბატონყმოთ ველი არ გაქვს და თუ ერთი კეშმარტი სიტყვა რამ გქონდეს, ჩვენ მოგვახსენე. თებერვლის კწ, ქკს უჟგ<sup>2</sup>.

<sup>1</sup> მეონით შემოხაზულ წრეში.

<sup>2</sup> სათაური: ერთაწმინდის ყმას ხახანაშვილის ივანეს ქვრივს მოუხსენებია, ერთი ოქმი გვიბოძეთ ხატს ვემსახუროთ.

№ 162. 1778 წ. თებერვლის 26-ს არხა, მიცემული გიორგი ციციშვილის მერ ერეკლე II-ისადმი, ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი.  $23\frac{1}{2} \times 13$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედროული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახშირია არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 2843.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ ბედნიერის გემწიფის ჭირი მოსცეს გიორგი ციციშვილს. ეს კემუხტაშვილი ჩუქნი მემკვიდრე ყმა არის. ეს კაცი ფარსადან ციცის შვილს ახლდა, მსახური იყო. ფარსადან რომ მოკუდა, მერე მამაჩემს იახლა. ეს კემუხტაშვილი მამა ჩემს უკან მოსდევდა, ციხის კართან რომ მოვიდა, უკანი-დამ თოფი ჰკრა და მოკლა მამა ჩემი. მას უკან გავარდა, ხან ოსებში იყო, ხან გაღმა ქართლში, ჩუქნს ძამულში ვერ გაივლიდა. ჩემო გემწიფევე, არც დატყვევებულა და არც ტყვე ყოვილა. ახლა რომ თქუქნის ბძანებით შვილი გარდმოიყუანა, არც ესა ჰყოლია ტყვეთა.

მე ეს სარწმუნო კაცების მოწმობით საბუთიცა მაქვს, რომ ბანიდამ მომეპარა მეცა, მკლევდა, შეუტყვე და გაჩექცა. დიდად გვედრებო, თქუქნს სამართლამდინ თქუქნს იასაულს ებაროს, არ გაიპაროს.

ახლა აქ მოვიდა, თქუქნს ტახტზე დაქერა არ შემეძლო, ხმა არ გავეცი ამისგან ამოწყვეტილი ვარ. არსად წავიდეს, სამართალი გვისაჯეთ, ლ[მერ]თი გაგიმარჯვებსთ. თებერვლის კვ: ქქს უფგ.

ზემო აშიაზე: ქ. ბატონო საოდალ ქალაქის მოურაო დავით, ამ არხით გიორგი ციციშვილი რომ ასე ჩივის, ის კემუხტაშვილი სამართლამდინ არსად გაუშვათ, თორემ თქვენ დაგედებათ თავსა. თებერვლის კვ, ქქს უფგ.

ერეკლე

№ 163. 1778 წ. მარტის 5-ს. ბრძანება ლეონ ბატონიშვილისა ქართლისა და კახეთის თავადისშვილებისა და აზნაურიშვილებისადმი. დედანი.  $20 \times 15\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედროული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახშირია არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 007.

ქ. ბატონისშვილის ლეონის ჟამ ყოველ სიკეთით სახსოვარნო ერთობით ქართლში და კახეთში მყოფნო ბატონო თავადისშვილებო და აზნაურშვილებო, ჩვენ მიერ მრავალი მოკითხვა გეუწყოსთ. მერე ბატონის მამის ჩვენის ბძანებით გწერთ ამ წიგნს, რომ რომელსაც სოფელში ხიზნათ ყაფლანის შვილის კურთხეულის დიმიტრის ყმა დგას, ყველამ ასაყრელათ დანებოთ, რომ აჰყარონ და წამოასხან და აუყრელობის უარი არაეინა სთქვათ. რადგან ჩვენ გვახლდა კურთხეული დიმიტრი პირველად საქრისტიანოს ქვეყნის გულისათვის და შემდგომად ჩვენის ბატონეობის სიყვარულისათვის, ჩვენს წინ როგორც იმის<sup>1</sup> სახლის შვილობას ჰფერობდა, ისე სრულის გულით გაიშარჯა და თავისი სისხლი ჩვენს წინ დაღვარა, ამის გამო რომელსაც ბატონის მამის ჩვენის სიყვარული გაქვსთ და ან ჩვენგან დიდად დასამადლებლად გინდოდესთ, ამის უარს ნურაინ იტყვით და ნურცა აყრაზე გლენხს კაცს გარჯით და გა[ა]ცოდვილებთ და ნურც ჩვეულებისამებრ საქონელს გაუყოფთ, თვინიერ შეწევნისა და მშვიდო-

<sup>1</sup> ეს სიტყვა სტრიქონს ზემოდანაა ჩაწერილი.

ზიანად დანებების მეტს ნურავინ რას იკადრებ. თქვენც ყველას ზოგს ნათესაობით, ზოგს მოყვრობით და ზოგს ძმობით თანამდებობის ვალი გაქვსთ, რომ კურთხეულის დიმიტრის ობლებს თავიანთ ყმა გაუცოდვილებრივ დანებოთ. ხერხეულიძე ჯამასპი, კურთხეულის დიმიტრის წილობა კაცების აყრა შენთვის გვიბძანებია და შენ უნდა აპყარო. მარტის ე, ქქს უფგ. თუ ამ ნუსხაში ტყუილათ თავიანთ ყმობაზე დაეწეროსთ და თქვენ სიტყვა გქონდესთ, ახლავ მოდით და სამართალში ელაპარაკენით, მაგრამ რომელიც გამტყუნდებით გარჯ<sup>1</sup> დაგზდებათ.

მრჩოველთა  
მეფე თა მესა  
ლეთნ ს ხელად  
ძმესა

განის აშიაზე იმავე ხელით: ქ. კომლზე ასამყრელოთ ორი მინალთუნს აიღებდე.

№ 164. 1778 წ. მაისის 20-ს. მამულის წყალობის წიგნი, ჰიცემული გიორგი XII-ისა ი.სე ბეგიაშვილისადმი. დედანი. 61 X 21 სმ, დაწერილი თეთო გაღლღზე ეს დრუღი ხელით. გაავფეთილოზის ხიშ.ნი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. ჩიძ  
№ 2565.

ქ წყალობითა ლ[ვ]ითისათა ჩვენ, იესიან დავითიან-სოლომონიან-პანკრატოვანმან პირმშომან ძემან მეორის მიას სიმალლის მეფის ირაკლისამან საქართველოს უფლის წულმან ბატონიშვილმა გიორგიმ და ძემან ჩემმა დავით, იოვანედ და პანკრატმან ქსნისა, თიანეთისა, აღჯაყალისა და ლორე-ფამბაკისა პურობელმან ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ ჩვენსა ყმასა ბიყრელს ბეგიაშვილს შიოს შვილს იასესა, შვილსა შენსა გიორგისა და მამავალსა სახლისა შენისათა; — ასე რომე ლეკისაგან დატყვებულიყავი და რამდენიმე ხანი ტყვეთ ყოფილიყავი და ტყვეობიდამ მოსულიყავი და მისი სიმალის ბატონის მამის ჩვენის ოქმიცა გქონდა განთავისუფლებისა რაგვარადცა გახწესება არის და მოხველი და შენის ნებით შენი თავი ჩვენ გვაყმევი და იერეთს ჩვენის ყმის ფოსურის ბეითალმანის ამოწყვეტილს მამულს დაგვეაჯე, ვიშინეთ აჯა და მოხსენება შენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ იერეთს ფოსურის მამული თავისის სახლის ალაგითა, სახნავითა, სათიბითა, მთითა, მინდვრითა, თავისის სამართლიანის სამძღვრებითა. რისაც მქონებელი ყოფილიყოს შენთვის გვიბოძებია და კიდევ მეჯვრის-ხევის ამეფ ფოსურის ნასყიდი ვენაჭი, ამეფ ვენაიის გვერდზედ აღმოსავლეთის მხარეს საწისქვილო ხარაბად, დასავლეთის მხარეს გვერდით მეჯუდა ჩაუდის და ბოლოს დარჩიაშვილის ვენახი უძეეს, — თავისის ქვევრითა და თავისის შესავლითა და გასავლითა და რაც სახნავი მიწა ჰქონია, რისაც მონასყიდე და მქონებელი ყოფილა მეჯვრის ხევეში, თავისის სამართლიანია სამძღვრებით შენთვის გვიბოძებია. გქონდეს და გიბედნიეროს ლ[ქა]თ[მა]ნ მის სიმალის ბატონის მამის ჩვენისა და ჩვენსა ერთგულობაში და სამსახურში მოგახმაროს და არც მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩვენთაგან და არცა ვინ

<sup>1</sup> მოხეულია ეს ადგილი.

იყოს უენი მცოლე და მოდავე. აწე გიბძანებთ კარისა ჩვენისა გამრიგენო, ესე ჩვენგან ნაბოძები წიგნი და სიგელი თქვენცა ასე დაუპტიკეთ და ნურგინ მოუშლით თვინიერ თანადგომისა და შეწევნისაგან კიდე. აღიწერა ხელითა კარისა ჩვენისა თუშანიშვილის ეგნატისათა წელსა ჩლომ, თვესა მაისსა კ, ქკს უფე.

იონე

მეფის ძე  
გიოგ

№ 165. 1778 წ. ივნისის 1-ს. ერგლე II-ის ბრძანება თეიმურაზ ჯავახიშვილი-სადკი. პირი, გადაწერილი XX საუკუნეში. საქ. მუხ. ფ. Hd № 11507.

ქ. ჩვენ მაგიერად თეიმურაზს ჯავახის-შვილს ასე უამბეთ, აპრილის მორიგე გამოღმა მხრისა სულ უკლებრივ უნდა გამოიყვანო თავადის შვილი, აზნაურ-შვილი და გლეხი და ამ ღვინობისთვის მორიგეც შემოგვეყრება, ვალმიდამაც ბეჟან ამილახვრის-შვილი მოვა აპრილის მორიგით, ერთათ უნდა შეიყარნეთ, ხან ლილოზე უნდა დადგეთ, ხან ლეოჯაინზე და ხან ხაშმზედ და ან საცა ჩვენმა შვილმა იულონმა გიბძანოსთ. იქ უნდა დადგეთ და თუ ქიზიყში მაგ გვარი საქმე იყოს და მოურაგმა რევაზმა დაგიბაროსთ, იქ უნდა საჩქაროთ მიეშველნეთ. თუ რომ ამ ღვინობისთვის მორიგე იყოს დარჩომილი, ისიც უნდა გამოიყვანო და მალე ჩამოხვიდე, ღვინობისთვის ა, ქკს უფე.

ერგლე

საბუთის ზურგზე სხვა ხელით:

ეს ბეჟან ამილახვრის-შვილთან მიწერილი წიგნი რა წამს მოგვიდეს, მაშინვე საჩქაროთ გაუგზავნე.

ქ ლთის მშობლ. ს  
სასლოანა იულონ  
დავითიანი

№ 166. 1779 წ. იანვრის 8-ს. არზა, მიცემული შიო ხაზანაშვილი<sup>1</sup> მიერ ერგლე II-სადკო, უკანასკნელის ოქმით. დედანი. დაზიანებული 22×10<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით გ ნკვეთილობის ნიშანი ხაზმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 2968.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ ბედნიერის კელმწიფის ქირი მისცეს ერთაწმინდელს წმიდის ესტატეს ყმას ხაზანაშვილს შიოს. წელს ენკენისთვეში თარხნიშვილმა ზურაბმა ღორი მომიკლა და შეჭამა. მიველ ჩქმსნ დეკანოხს სვიმონს მოვახსენე, როგორი ბატონი ხარ, რომ არაფერს მიშველი მეთქი, თარხნიშვილმა ზურაბმა ღორი მომიკლა და შეჭამა მეთქი, დეკანოზმა მიწყინა. გამომიღვა უკან და დიდი ალაგი მდივა და ახლა დეკანოზი ცილს მიგონებს, ჩემზედ სატევარი ამოიღე. ან სისხლი მომეცოო და ან თავი ნასყიდობით მომეცოო

ჩემო კელმწიფევე, მოწმები მყავს, რომ დეკანოზი სატევრის ამოღებას ტყვილად მიგონებს. სამართალი მაღირსეთ, ლ[მერ]თი გაგიმარჯვებს. იანვრის 8, ქკს უფე.

<sup>1</sup> ასომთავრული.

ზემო აშიაზე: ქ. დეკანოზო სვიმონ, ამ არზის პატრონი ამ არზით რომ ასე ჩივის, სამღვდელოს კაცისაგან ამ გვარი შიხთლები დიად უმონასიბო არის. ამას დაესხენ, ნუ აწუხებ. იანვრის 17, ქკს უფ. თუ სიტყვა გქონდეს, ჩვენ მოგვახსენე.

№ 167. 1779. იანვრის 12-ს. არზა, მიცემული ქურცადე თამაზას მიერ ერეკლე II-ისადმი, ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი. 17×10 სმ. დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 2155.

ქ. ლმერ[თ]მაქნ ბედნიერის ხემწიფის კირი მისცეს ფრცველს დავითის შვილს ზაალის ყმას ქურცადე თამაზას. შინდელის თავყელის შვილის კეულად ხიზნად გახლავარ, რაც შეძლება მაქვს ბატონ ჩემსაც ვემსახურები და თავყელის შვილსაცა.

ახლა თავყელი შვილი სახლში შემონესია, გამლახა, ერთი წარი და ერთი ხბოიანი ფური წამართო, არ ვიცი რა დანაშაული მაქვს.

ვგონებ ეს განიზრახა: ეს ხომ თავის ალაგს ფრცას წავაო და მე ალარას მემსახურებაო და იმისთვის ამიკლო. სხუა დანაშაული არ გამაჩნია<sup>1</sup> რა. სამართალი მაღირსეთ, ლმერ[თ]თი გაგიმარჯვებს. იანვრის 18, ქკს უფ.

ზემო აშიაზე: ქ. ჩვენი ბძანები არის იასაულო ხერხეულიძე ავთანდილ, მერე რაც თავყელიშვილს ამ კაცისათვის წაურთმეგია, ახლავ გამოურთვი მოეც. თუ სიტყვა აქვს რამე<sup>2</sup>, სამართალში ალაპარაკე.

იანვრის 18, ქკს უფ.

ერეკლე

№ 168. 1779 წ. აპრილის 14-ს. ყმის დანებების წიგნი დავით ზურაბის-შვილის მიერ გიორგი ბატონიშვილისადმი მიცემული. დედანი. 15<sup>1</sup>/<sub>2</sub> × 11<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 2811.

ქ. მის სიმაღლის მეფის ძეს გიორგის ეს წიგნი მოგართუო მე, ზურაბი-შვილმა ნაზირმა დავით; — ასე რომ ბიძუას შვილები ბიძუა პირიქადაც ლორელი ყოფილიყო და რამდენსამე ხანს ავს დროისაგან ჩუენთვის ემსახურნა. მერე სამართალში ვილაპარაკეთ, სამართლით თქვენ დაგრჩათ ჩვენს ჯელი არა გვაქვს რა, ლორელია და თქუენი ყმა არის და თქუენთვის მოგვირთმეგია. ლმერ[თ]მაქნ გამარჯვებაში მოგაძმაროსთ. მე იოანე პეტელაშვილს დამიწერია და მოწამეცა ვარ აპრილის 18, ქკს უფ.

ნაზირი დავით

ქ. ჩვენ, ბატონის-შვილის გიორგის ემიკალასბაში სიმონ ამ ნაზირის მონსენებულის მოწმე ვართ. თავათაც ლორელი იყო და ახლაც სამართალში თქვენ დაგრჩათ სიმონ ქ. ბეჟან რატის შვილი ამის მოწამე ვარ, რაც ამ ნაზირს მოუხსენებია ამ წერილით.

ბეჟან

<sup>1</sup> სწერია: ჩამაჩნია.

<sup>2</sup> სათაური: ფრცველს დავითის-შვილის ზაალის ყმას ქურცადე თამაზას შინდელის თავყელის შვილისაგან აკლება მოუხსენებია.

ქ. მეც, მღვდელი ნიკოლოზ ამ ნაზირის სიტყვისა და წერილის მოწამე ვარ „ნიკოლოზ“.

№ 169. 1780 წ. იანვრის 12-ს. არხა, მიცემული აიდემურ და ივანე ბებურიშვილისა ეოველე II-სადმი, უკანასკნელის ოქმით. დედანი. თავი დახ ანებული. 41×14½ სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმაოი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 13685.

ქ. ლმერ)თ[მა]ნ ბედნიერის ხელმწიფის კირი მოსცეს ბებურის-შვილს აიდემურს და იოვანეს. მერმე ამას მოგახსენებთ მათს სიმალღეს: ორი სომეხი კაცი გვეყანდა ყაზახელი არზაბობას უწინ ჩამოსული. ჩვენ რომ სახლის კაცები გაგვეყარნენ, ის კაცი ჩვენ დაგვრჩნენ. ლომის ციხე რომ აშენეთ, ერთი ძა აპყარეთ და იქ დასახლეთ და მეორეს ძმისა ჩვენ წყალობა დაგვეპართა. ახლა კუქატანს რომ აშენებდით, იქ აპირობდენ დასახლებას. ყვარელს ბრძანდებოდით, ჩვენც იქ გახლდით, მოგახსენეთ. ლუარსაბ ონანაშვილი იასაულად გვიბოძეთ. დაქერილი მოგვაბარა ის კაცი. ახლა ეს მორიგობა და სიღნაღის მუშაობა და ხარჯი რომ გაჩნდა, საქონელი სულ დაეყიდნათ და ლაძით გამოპარულიყვნენ. ის ერთი ძმა ყაზახში ჩასულიყო, ერთი აქ ქალაქს დამდგარიყო. იქაც რომ ხარჯი ენახათ, გამოპარულიყვნენ და აქ ქალაქს გახლავან დამალულები. ჩემი ძმა მოხსენებას აპირობდა, არ დასცალდა და ჩვენ მოგვიხსენებია და ნება თქვენია. იანვრის 6, ქკს უაჲ.

ზემო აშიაზე: ქ. ჩვენი ბძანება არის დიმიტრი ეშიკალასბაშო, მერე ამ არზით რომ ორი კომლი კაცის აყრა მოუხსენებიათ, ეს ორი კომლი კაცი მელიქის ნაიბს თაყუშვილს მიკირტუჰას აპოვინინეთ, აუყარეთ და ამათ მოაბარეთ, იანვრის 10, ქკს უაჲ.

ერველე

№ 170. 1780 წ. მარტის 27-ს. წყალობის წიგნი, მიცემული ერველე II-ის მიერ შერმაზან და პეტრე სოდომაშვილებისადმი. დედანი. დაზიანებული, 21×18 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით განკვეთალობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 2594.

ქ. ჩვენ. სრულიად ქართლისა და კახეთის მეფემ ირაკლიმ ესე მოწყალეების წიგნი გიბოძეთ თქვენ, ქურთელს ხაბარელი სიდომოსშვილებს შერმაზანს და პეტრეს; — ასე რომ ბატონის თქვენის მაჩაბელი ლევანის შვილი დავითისაგან და იმისის ძმებისაგან თავიათის ნებაყოფლობით გიყიდეთ თქვენ თქვენის შვილებით იოანეთი, ოთარათი და გლახათი და პატარძელს ჩვენს სახასო ყმათ დაგასახლეთ. ამას იქით თქვენთან სხვას კაც) ხელი არავისა აქვს. რისაც შემძლებელი იყვნეთ ჩვენს სათხოვარში, ისე უნდა გაერეოდეთ და გვემსახურებოდეთ,

მარტის 27, ქკს უაჲ.

ერველე

№ 171. 1780 წ. აპრილის 6-ს, არზა, მიცემული სესიკას მიერ ლეონ ბატონიშვილი-ს დამო, ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი.  $27 \times 10\frac{1}{2}$  სმ. დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი: ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 2905.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ ბედნიერის ველმწიფის ძის ლეონის ქირი მოსცეს სა-  
ცოდავს გლახა დათიკას ძმას სესიკას. მერე ამას მოვახსენებ ველმწიფეს: ლ[მერ]-  
თ[მა]ნ თქვენი რისხვა მომცეს, თუ რაც უსამართლობით არ მეჭიდება იმ ფა-  
ლავეანიშვილს იმ ჩემს კაცთან საქმე ქონდეს, რომ კიდევ ამ უსამართლობით  
უწინაც წამოაქეჭიდა, ვიჩივლეთ ბატონს მამა თქვენთან, ორი სამი ოქმი მიბო-  
და, არათფერი საქმე არ აქესო რაო ფალავეანიშვილსაო. ველმწიფე უსამართლოდ  
როგორ მიბოძებდა, თუ ჩემი მეშვეილრე და ორჯელ საუჯერ ნასყადი არ  
მყოლოდა. ლ[მერ]თი უმეტესად აღგაძალდებს, თქვენგან ებძანოს ოქმით, რომ  
დამეხანას. აღიწერა აპრილის 6, ქკს უაშ.

ზემო აშიაზე:

ქ. ბატონიშვილი ლევან გიბძანებ ამ არზის პატრონო, შენ ბატონის მა-  
მის ჩვენის ოქმები გქონდა ამ კაცისა, ჩვენც ვნახეთ ის ოქმები, ჩვენც ის ოქმები  
დაგვიმტყცებია და ის ბძანება. იმ კაცთან საქმე არავისა აქეს. თუ ვისმე  
სიტყვა ქონდეს, ისევე ხელმწიფე მამა ჩვენს მოახსენოს. აღიწერა აპრილის 6,  
ქკს უაშ.



№ 172. 1780 წ. მაისის 11-ს. არზა, მოცემული პაატა ციციშვილის მიერ ერეკლე  
II-ისადმი, ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი.  $34\frac{1}{2} \times 10$  სმ. დაწერილი თეთრ ქა-  
ღ-ღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი: ყოველი სიტყვის შემდეგ  
ნახმაზია ორ-ორი წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 14209.

ქ. ლმერთმან ყოვლად მოწყალის ხელმწიფის ქირი მოსცეს მთ შიწა  
მტვერს ციციის შვილს პაატას. ორი ობოლი პატარა ბიჭები ნასყიდი კაცის  
შვილები დავხარდე. ერთი ხაბაზია, ერთი მეჯინაზე არის. ჩემ[მა] სახლის კა-  
ცებმა ინადობით შურით დამიწერინეს მორიგეში უმაშულო, უსახლკარო. გამეჭ-  
ცა ჯავახეთს. ღვთის ფიცი მივეც, გარდმოვიყვანე რაც მორიგე გაჩნდა  
არც ერთხელ არ დაგკლებიათ თავის მ[ორ]იგობაში და არც დაგაკლებთ, თქვენს  
თავს ვფიცავ მორიგობაში ჩემსა ვასმევ, და ვაქმევ, იმათ ხარჯისა და სათ-  
ხოვრის შეძლება არ აქვთ. დიდი ხანია არზა მოგართვით, ოქმიც გებოძათ.  
გოგია მორდალმა მაჩვენა ოქმი დასაბეჭდავი იყო, მორდალს დაკარგვია. ლმერ-  
თი გაგიძარჯვებს, ერთის ოქმის წყალობა მიყავით, თავის მორიგობას გარ-  
და იმათ სხვა სათხოვარი არა ეთხოვოდეს რა. აღიწერა მაისის 11, ქკს უაშ.

ქ. ჩვენი ბძანება არის, ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, თუ ამისი მოხსე-  
ნებული ძართალი იყოს, მორიგეს გარდა ნურასფერს სათხოვარში ნუ გარევეთ.  
მაისის 11, ქკს უაშ

ერეკლე

ქ. ჩვენ, ქალაქის მოურავი დავით აშ პა[ა]ტას მოხსენებას ვმოწმობთ. რაც მოუხსენებია [ქ]ვეშ[მ]არიტი და სწორი მოუხსენებია. [ქ]კათათვის იგ, ქკს უმც.

დავით

ქ. ჩვენ თანბაკის მოურავი ციცის-შვილი ევსტათი ამ წიგნი[ს] მოწაჲე ვართ. როგორც ბატონს მამა ჩვენს უბძანებია, ქვეშ[მ]არიტი არის. აპრილის 6, ქკს უუბ. ევსტათი<sup>1</sup>.

№ 173. 1780 წ. აპრილის 1-ს. არზა, მიცემული ცხინვალის მამ სახლისის მღვთი-სავარი: მიერ ლ. შქარნავისებისა და უზბ. შებისადმი. დედანი.  $8 \times 12\frac{1}{2}$  სმ, დ წერილი თეთრ ქალ ლდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ თითო წერტილი იხმარება. საქ. მუხ. ფ. Hd № 5287.

ქ. ლ[მერ]თ[შან] ბატ[ონ]ნი[ს] ლაშქარნივისების და უზბაშების კირი მოს-ცეს მათს ბანდას ცხინვალ[ის] მამასახლის მღვთისავარს. შემრეთა ბედნიერის ხემწიფის ბძანებით ამილახორმა თორმეტი კაცი დამაყენებინ[ა] ციხეებში და ყაბზი შენ მიცე და მორიგობის ანგარიში ჩაგიკდეტენო. ეს საყვარელიძე იასე მაისის მორიგე არის და აპრილში კეხვის ციხეში დაუყენე და ამას თავისი თვეში უანგარიშეთ ბედნიერის ხემწიფის ბძანებითა. აპრილის 6, ქკს უმც.

ნ[ო] ა ლ[ვ]თისა  
მამასახლისი

№ 174. 1780 წ. ივნისის 1-ს. ყმის დანებების წიგნი, მოცემული გიორგი მაჩაბელის მიერ ხა ლ დავითიშვილისადმი. დედანი.  $39\frac{1}{2} \times 17$  სმ, დაწერილი თეთრ ქალადაჲე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ყოველი სიტყვის შემდეგ ო-ორი წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2672.

ქ. ესე წიგნი მოგეცი ჩვენ, მაჩაბელმა გიორგიმა, ჩემა შვილმა ლუარსაბ, დავითმა შენ, დავითიშვილს ზალსა, შვილს თქვენს როსტოქს და გოგიასა;— ასე რომე ბიძა შენმა დავით რუის რაზმიშვილი კიკოლა<sup>2</sup> თავისის შვილითა და თავისის სახლის კაცი ბერძენას (ეს სიტყვა ანაფხეკეზეა სხვა ხელით ჩაწერილი) მამულით მამყიდა. მლთაების ეკლესიის ყმა იყო. შენ ბატონს შეხვეწნოდი, რომ ეკლესიის ყმა არისო, დამახსნევინეო. ბატონს ჩემთვის ოქმი ებოძებინა, ეკლესიის ყმა არ გაიყიდებაო, ისიგ დაახსნევინეო და ეკლესიის ყმა არ გაისყიდებაო. მეორე ოქმი კიდევ ამილახვარ მდივანბეგზედ ებძანა, თეთრი მიაცემინეო, ეკლესიის ყმა უნდა დაანებესო. მოხველ და ეს ბატონის ბძანება მომიტანე და მეც მოვინდომე. რადგან ეკლესიის ყმა იყო, დაგახსნევინე, ამისის მიზეზით, რომ შვილიანი კაცი ვიყავ და ეკლესიის საწყვარარი არ ვინდომე. რაც ბიძის შენის რავითისთვის იმ კაცშია და იმის მამულში მიმეცა, შენგან თამამათ მამებარა. იმის ფასი აღარა დარჩო-

<sup>1</sup> ხვეულად

<sup>2</sup> ეს სიტყვა ანაფხეკეზეა სხვა ხელით ჩაწერილი.

შილა რა ჩემი შენთან სადაო. ღმერთმან მოგახმაროს თქვენც და იმ ეკლესიასაც. დღეს და დღეის იქით აღარც მე მაქვს საქმე და აღარც ჩემს შვილებს და არც ჩემს სახლის კაცებს საქმე არა აქვს რა ამ კაცზედა. ჩემი ნასყიდი იყო, ისევ მევე დაკახსნევენე ბატონის ბძანებითა და ჩემის რაზითა. ის ბიძის შენის დავითის მოცემული ამ კაცის სიგელი ქალაქს ჩემს შვილს ლუარსაბს დავითისა ქონდა. იმასაც მოგცემ და ვინიცომა, ან დაიკარგოს, ან წახდეს და ვერ მოგცე, ამ ჩემა მოცემულმან წიგნმა ის რაზმიაშვილის სიგელი გააბათილოს. არის ამისი მოწამე თავად [მერ]თი კაცთაგან ჯერვეულიძე ავთან.

[ავთანდილ]

დილ და ოტიაშვილი რევაზა და კასრაძე მღვდელი იოსებ და ცერაძე მღვდელი იოვანე და იარალიშვილი ტერ მოსესა.

[ტერ მოსესა]

ტერმოსეს და უნ[ა]ძე მამუკა და გორელი ბაბალაშვილი ავთანდილა და მოქალაქე ქათანაკაშვილი ოსეფა [ ]<sup>1</sup> და არლუთაშვილი გოგია და ბერის შვილი გოგია და ქაპურიძე მასურა და მე მურანაშვილს

[ნ-ლა  
ს-ეფანე]

სტეფანეს დამიწერია და მოწამე ვარ ამისი. დაიწერა ქრცხინვალს, მაისის ცხრას, ქკს უაჰ. (სხვა ხელით): ქ. მე, გოგია მაჩაბელს ამა წერილის ყაბული მაქს, ბეკედი არა მქონდა და სხვას დაეწერინე. მე გრიქოლას შვილმა ფარსადანამ ბატონი გოგიას მაჩაბლის სიტყვით დამიწერია მოწამეცა ვარ ამისი. ეს ჩემი ხელია.

განის აშიაზე verso: სხვა ხელით: ქ. მე უნაძე მამუკა ამ ზემონაწერის მოწამე ვარ. ბეკედი არ მქონდა, ეს ჩემი ხელია.

სხვა ხელით: ქ. მე, არლუთ გოგიამა ამ წიგნს მოძნე ვარ, ეს ჩემი ხელია.

მარჯვენა აშიაზე recto: ქ. მე, ცერაძე მღვდელი იოვანე მაჩაბლის გიორგის სიტყვით ამ სიგლის მოწამე ვარ, ეს ჩემი ხელია.

ქ. მე, ატოცის დეკანოზიშვილი მღვდელი ანდრია ამისი მოწამე ვარ. ეს ჩემი ხელია.

ქ. მე, ბაბალას შვილი ავთანდილა მაჩაბლის გიორგის სიტყვით ამ წიგნის მოწამე ვარ [ავთანდილ].

ქ. კიდევ ამისი მოწამე ხერხეულიძის ავთანდილის შვილი იოვანე.

[მნა და  
იოვანე]

ქ. ყ[ოვლა]დ სამღვდლო ურბნელი მალალაძე იუსტინე ამ წერილის მოწამე ვარ მაჩაბლის გიორგის სიტყვით. იენისის ა, ქკს უაჰ.

იუსტინე<sup>2</sup>.

<sup>1</sup> სომხურად.

<sup>2</sup> ხეველად.

სათაური: რაზმიაშვილის დახსნის წიგნი.

№ 175. 1780 წ. აგვისტოს 9-ს. სამართალი დიმიტრი ეშიკალასბაშისა გალუსტა ხანდამაშორისა და ზაალის საქმეზე. დედანი. 43×17<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ. დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახშიარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 2619.

ქ. ხანდამაშვილი გალუსტა ძე დანელასი ოსკანაშვილს ხაბაზს გოგიაზე. ედავებოდა ზაალს, რომ ჩემი ყმა არისო თავუთელიო. ჩვენ, საორბელოს ბატონმა დიმიტრი ეშიკალასბაშმა ჩემის ძმისწულის მხევაბუკ მდივანბეგის თან დასწრებით ეს სამართალი მივეციო: თავუთი რათგან ნახევარი ჩვენი სახასო არის და ნახევარი ხანდამაშვითი, ჩვენ ამ ხანდამაშვილს გაყრილობის ბარათი ვოხოვეთ, რადგან გაყრილი ხარ უნდა ბარათი გქონდესო, თუ არა და საერთო იქნებაო და თუ საერთო იქნება, ხანდამაშვითი ერთი სახლეს კაცი ზაალს ახლავს და მრავალს გარჯასა და დანახარჯსაც ამბობს, ზაალს ეს ბიჭი აღარ წაერთმევა მაგრამ სამართლით ჩვენგან ეს ორი იძიება: პირველად ეს რომ უნდა გაყრილობის ბარათი მოიტანოს გალუსტამა თუ საკუთარია და თუ ბარათი არა აქვს, ორი სარწმუნო მოძღვრიანი კაცი შეაფიცოს, რომ არც ნათესავი იყოს და არც მტერი და ასე ფიცოს, რომ ეს ოსკანა შვილი ხაბაზი გოგია ხანდამაშვით ყმა იყოს და საკუთრად დანელას ბარათში ნარგებიც იყოს, რომ არას ხანდამაშვილს წილი არ ედვას. როდესაც ასე შეფიცავს, ზაალს საქმე არა ექნება რა და თუ ვერ დაიფიცა, დარჩება ეს ხაბაზი გოგია ზაალსა. ივლისის ა, ქქს უჟმ. ვახუშ-

ტი, ეს საქმე შენ გაარიგე 

ორბელიანი ეშიკალასბაში დიმიტრი
--------------------------------------

 ოცს დღეზე ეს საქმე უნდა გარიგდეს და როდესაც დაიფიცოს და ან არ დაიფიცოს, შენც უნდა მოწმობა უნდა მოწერო.

განის აშიაზე სხვა ხელით: ქ. მე, ეშიკალასბაშის მსახურმა ვახუშტიმ ამისი იასაული ვიყავ გალუსტასი. გალუსტამ ვერ დაიფიცა და დარჩეს ბიჭი ზაალსა. დაიწერა მარიამობისთვის თ, ქქს უჟმ. ბეჭედი არა მქონდა და ეს ჩემი ხელია.

№ 176. 1780. მაისის 31-ს. არზა, მიცემული გოგია მკერვალის მიერ ერეკლე II-ისადმი, ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი. 17×9<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ. დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახშიარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 14395.

ქ. ლმერ]ო[მან ბედნიერის კვლმწიფის ჭირი მოსცეს მოქალაქის ავეტიქიანთ ყმას მკერვალს გოგიას სახლობას. ჩემი ქმარი მთიბათვეში სწერიო მორიგეთ და ეს ხუთი თვეა სავაჭროდ ნახჩვანს წავიდა და ახლა იმის მორიგესა მთხოვენ. ამისას რასა ბძანებთ, ნება თქვენია. მაისს ლა, ქქს უჟმ.

ზემო აშიაზე სხვა ხელით:

ქ. ჩვენი ბძანება არის ლაშქარნივისებო, ამ არზის პატრონს დაეხსენით, ქმარი ნახჩვანს ჰყოლია. მაისს ლა, ქქს უჟმ.

<sup>1</sup> ბეჭდის შუაში სპარსულად.

ქ. ექვსი თვე არი[ს] გზას წასულა, დაეხსენით, ნურას გამოართმევთ.

ერეკლე

№ 177. 1780 წ. მაისის 16-ს. არზა, მიცემული საყვარელიძეების მიერ ერეკლე II-სადმი, უკანასკნელის ოქმით. დედანი. დაზიანებული.  $20\frac{1}{2} \times 12$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ალაგ-ალაგ ორ-ორი წვრტილი. საქ. მუზ. ფ. Hd № 2563.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ ბედნიერის ხელმწიფის ქირი მოსცეს საყვარელიძეს ოთხ ძმათ თქვენის ნეკის ნასისხლთ. ამას მოეახსენებთ: მოგეხსენებთ, რაღაც მამული მექირა, დიდის გივისა და გიორგი ამილახურისაგან ნასყიდი გახლამს და მას აქეთ იმ ნასყიდობას არა კაცი არა სცილებიათ ამილახურიანთ. რა ლმერთმან მამხედა და თქვენი მიწა შევიქენეთ, ნიქოზსა, ტბეთსა, თამარაშენსა, რაცა გუქონდა სულ წაგვართვეს, ვინც წამოგვიარა. თქვენ შვილს ლევანს არზი ვაახელ და ამილახუარს მიგვაბარა, ვისაც ამათი მამული მიემძლავრებინოს, რადგანაც ამ სამს ოთხს თავს გარდაუელია რომ არავინ ზდავებიათ, ახლა ვილას აქუს ამასთან სადავოო. თქვენც ანას გევედრებით, რომ ამილახუარს სარდალს ებრძანოს რაც მძლავრებით მიღებული მამული ვინმე წამართვა ისევე დამნებდეს ხელმწიფევე. მაისის იე, ქკს უაჰ. ფალვენიშვილი დავით თავს გაწყენთ, დიდის გივის ამილახუარისათვის მაგის პაპის პაპას მიუყიდი. მას აქეთ არას ფალვენიშვილს ამის ჩამომავალს ამილახურიანთის აღარ უდავანია და სიგელი ზაალ ქარუმიძესა აქუს და ეს ასე უბრალოთ იდავება. თუ სიტყვა ქონდა, ამთენს ჟამში რატომ არ იდავა, მაგრამ დაბალი კაცობით მბრძიობს. მამული თქვენი ნასისხლია და ნება თქვენი სიმაღლისაა ხელმწიფევე. მაისის იე, ქკს უაჰ. მოწყალებას ვითხოვთ ამილახუარს ებრძანოს რომ ჩვენი სამართლით ვაგვისინჯოს და ესე დაგუანებოს ხელმწიფევე.

ქ. ბატონო ამილახორ მდივანბეგო იესე, მერე ეს საყვარელიძეები ასე რომ ჩივიან, რაც ამათ აქაზდინ მამული სქერიათ უბრალოთა და უსამართლოთ ნურავინ ედავება და უბრალოთ ნურავინ აცოდვილებს, ამას ყური მიუგდევიო. თუ სიტყვა ვისმე აქვს, ჩვენ მოგვახსენოს. მაისის ლ გასულს, ქკს უაჰ.

ერეკლე

№ 178. 1780 წ. იანვრის 11-ს. ოქმი ვახტანგ ბატონიშვილისა დავით მაგლობლის-შვილისადმი. დედანი.  $20 \times 17,5$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუზ. ფ. Hd № 713.

ქ. ბატონის-შვილის ვახტანგის სიკეთით სახსოვარო მაგლობლის-შვილო მოურაო დავით, მერმე ეს ბაინდურა ჩვენი ყმა და ჯელდებული არის. მანდ მამული არა აქვს და სხვა რამ საყვედური. ამ კაცს ხარჯში რეე სადმე და აწუხებ. ესეც ხომ კარგათ იცი, ამის უსაწყლესი მანდ არა არის რა. თუ ჩემი სიყვარული გაქვს, ამ კაცს გააძლებინე მანდა და ნურასვერს სათხოვარს ნურასა სათხოვ, ნურც ვიზიყის გალავანის ბეგარაში მასცემ, ამისთვის რომ შეუძლე-

ბელი არის და თუ ამ კაცის მანდ ყოფნა დასაკლისი ვისიმე არის, აყვრი და თაკის მამულზედ დავაყენებ. ეს ასე იცოდე. ივნისის ია, ქკს უაჲ.

ლოძად იუ-  
დას ბაკეთად  
ვახტ ხგ ირაკ-  
ლის ნაკვეთით

№ 179. 1780 წ. აკვიტუნ „დაჭდევს“. თაუნასყიდობის წიგნი, მოცემული დავითას შვილის მართიონას ძეუ დაკით რატ შვილისადმი, დედანი. 36×18 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელთ განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შეადგე ნახმარია ორ-ორი წერტილი. საქ. მუზ. ფ. Qd № 180.

ქ. ესე წიგნი მოგართვი დავითას შვილმა მარტიროზამ ბატონს რატის შვილს დავითს, შალვას, თქვენს ძმისწულს ბასილს;— ასე რომე ჩემის ქვეყნიდამ გამოვარდი, თქვენს საფარველს და კალთას ქვეშ მოველ პატარა, დიდათ შეწუხებული, შიშველი, ტიტველი, მშიერი. ახლა თქვენის მადლისათვის შემიწყნარე, ყოვლისფრით გამომზარდე. ახლა ჩემის უმეცრებით დიდათ შეგცოდე. ახლა ღირსი ვიყავ თქვენგან სიკვდილისა, წაველ და სამთავრის ხატის ღვთაებას შევეხვეწე, იმისი დეკანოზი მოვიყვანე და მუხლს მოგხვივე. ახლა თქვენც ხატის ღვთაებას პატივი დასდევით და წყალობა მიყავით, შემიროგეთ, ერთი თქვენგან გასდილი და ნაჭირნახულევი მძლებელი მიბ ოძეთ. ახლა ამ წყალობის მაგიერად ჩემი თავი მომირთმევი. ღმერთმან ასე მოგახმაროს, როგორათაც ან თქვენ და ან სხვას მეპატრონეს თავისი ალალი მემკვიდრე და ნასყიდი ყმა მოხმარებოდეს. არის ამისი მოწამე თავად ღმერთი ჩასუკან უბიწოდ იმისი მშობელი წმინდა ღვთისმშობელი მარიამ და ყოველნი მისნი წმინდანი, კაცთაგან ციციის შვილი ზაალ, ზახასაგინაშვილი. მე, ღვთაების დეკანოზს პეტრეს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი მარიამობისთვის დამდეგს, ქკს უაჲ. +

№ 180. 1780 წ. გამოსაღებისაგან განთავისუფლების წიგნი ერეკლე II-ის მიერ ჯილაღდარაღიასადმი. მიცემული. პირი. გადაწერილი XX საუკუნეში მხედრული ხელით. საქ. მუზ. ფ. Hd № 10139.

ქ. წყალობითა ღვთისათა ჩვენ, იესიან-დავითიან სოლომონიან-პანკრატოვანმან ძემან ცხებულის მეფის თეიმურაზისამან მეფემან ირაკლი მეორეან მკრობელ მქონებელმან მეფემან ქართლისა, კახეთისა, ყაზახისა, ბორჩალოსა და შამშადილ-სამან და თანამეცხედრემან ჩვენმან ბატონის დადიანის ასულმან დედოფალმან პატრონმან დარეჯან, პირმშომან ძემან ჩვენმან პატრონმან გიორგიმ, პატრონმან ლეონ, პატრონმან იულონ, პატრონმან ვახტანგ, პატრონმან შირიან, ალექსანდრე, ფაონაოზ და არჩილ და ძისა ჩვენისა ძეთა დავით იოვანემ, ბაგრატ და სოლომონ ესე წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენსა ერთგულსა და წესისაგებრ თავდადებით ნამსახურს ყვას მალანლუელს ჩვენს ჯილაღდარს ალიას, შვილსა შეხსა მამადას, იმანყულის, მამადყასუმს, ამადას, ნაბიას და სულეიპანს;— ასე რომ ინდოეთს თან გვახ-

ლდი და შენის შეძლებისაებრ ერთგულად გვემსახურე და ჩვენცა ამის სა-  
ნუფქოდ ესე წყალობა გიყავით, ასე გაგვიჩაატებინარ რომ არაფერი საჩვენო  
გამოსაღები და ბეგარი არა გეთხოვებოდეს, არა საჩვენო და არა საქვეყნო.  
გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმა ჩვენის ერთგულობასა და სამსახურსა ში-  
ნა ... აღიწერა ხელითა ონანასშვილის ასლანისათა. თვესა მაისსა იე, ქკს უჟჟ.

ჩვენ, სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა მეფე მეცამეტე გიორ-  
გი კურთხეულის მეფის ბატონის მამის ჩვენისაგან ბოძებულს სითარხნის წიგ-  
ნსა ამას ვაძტიკებთ და ჩვენც ასე გაგვითარხნებია ყოვლისფერით.

ოკლომბეროს კვ, ქკს უჟჟ.

№ 181. 1781 წ. თებერვლის 18-ს. არხა, მიცემული ზურაბ თუმანიშვილის მიერ  
გიორგი ბატონიშვილისადმი, ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი. 22×11 1/2 სმ, და-  
წერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-  
ალაგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2805.

ქ. ღმერთიშენს ბედნიერის მეფის ძის გიორგის ჳირი მოსცეს მათს მო-  
ნას ზურაბ თუმანიშვილს. ჩემო მოწყალევე, ტყუობიდამ ათოა სახელობით კა-  
ცი გიახლათ და თავის ნებით ჩემი ყმობა მაინდომა და რაც შეძლებოდა  
მეც ხელი ვაუმართე და სარჩოს გზაზე დაეყენე, ყმობის წიგნი დაძიწერა და  
ბედნიერმა გელმწიფემალაპარაკა ის კაცი და წიგნიც დამიმტკიცა.

შემდგომად ის ტყუობიდამ მოსული კაცი თქვენ მოგეკითხათ. თქვენც  
ალაპარაკეთ ის კაცი და იმისგან მოცემული წიგნიც ივანე აბაშიძის ველით  
მოგართვით და გასინჯეთ. ახლა მე ხომ აქ ვაზლავარ ანტონს ავალის-შვილს  
ის კაცი დაურბევია. ჩემო მოწყალევე, კარგათ მოგეხსენებათ, რომ ეს ახლანდე-  
ლი გარიგებული საქმე არ არის, ეს განწესება საზოგადოთვის განწესებულა  
და ჩემი კაცნიც დაკარგულან და მოსულან, სხვას ჳყმობიან. რისგახ უნდა  
დამემართოს, თუ ჩემი კაცი სხვასთან მისვლა შეუძლია, მე რაღა დამიშავე-  
ბია. ოქმის წყალობას გეუდრები, რომ ანტონმა ველი აიღოს ჩემის ნაყმევის კა-  
ცისაგან, დანარბევიც მისცეს, რომ ერთი უბოლო ხიფათი არ მოგვიხდეს რა.  
ღმერთი ბრწყინვალე შვილებს გიცოცხლებს და გიღღვგრძელებს. თებერვლის  
იჟ, ქკს უჟჟ.

ზემო აშიაზე: ქ. ბატონის-შვილი გიორგი გიბრძანებთ ამ არზის პატრონო,  
მერე ამ არზით ეს ასე რომ მოგიხსენებია, როგორც მისის სიმალის ბატო-  
ნის ბრძანება არის და განუწესებია ტყუობიდამ მოსულის კაცისა, შენცა და  
სხვანიცა იმ ბრძანებაზედ უნდა დასდგნეთ და ამ ბატონის ბრძანება აღას-  
რულოთ. ანტონ ავალისშვილო, ამის კაცი რომ დაგიბრძევია, ის ნარბევი ისევ  
მოეცი. თებერვლის ით, ქკს უჟჟ. თუ ეს სწორე არის, ასე აღასრულე, თუ  
არა და ისიც შეგვატყობინეთ.

№ 182. 1781 წ. მარტის 19-ს. მსაჯულთ შერგებულების სამართალი ნიკოლოზ  
გერმანოზის-შვილისა და ლომიტაშვილი ბერძენაშვილის საქმეზედ. დედახი.  
30 1/2×16. დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. ვახუცაილობის ხი-  
შანი ნახმარია არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 10364.

ქ. გერმანოზის-შვილი ნიკოლოზ უჩიოდა ლომიტაშვილს ბერძენაშვილს,  
ჩვენის ეკლესიისთვის მეფეებს შემოუწირავსო გუჯრით, ახლა ეს თავს მართმევს  
დიღმელად და თეთრადედ აცხადებს თავის თავსაო. ჩვენ, საქართველოს მსა-

ჯულთ შეკრებულებამ ეს ამის მოადი მოვაყვანიინეთ და ვალაპარაკეთ და ასე ეპასუხებოდა: მე დიღმელი ვარო და თეთრაძეო, ამას წინათ მეფის ძეს გიორგისთანაც მიჩივლე და მსაჯულთ სამართალში გამოგზავნა და ქაიხოსრო მდივანბეგმა განჩინება მოგვეცა, რომ უნდა თავ და თავ შემომეფიცა, მაგრამ კელი აიღე და არ დამაფიცეო, რომ განჩინებაზე იასაულმა კელი მოაწერა ნიკოლოზმა არ დააფიცა, დარჩა დიღმელადო. ჩვენ ეს განჩინება ენახეთ, ქაიხოსრო მდივანბეგს გაესამართლებინა ესრედ. იასაულიც მოვაყვანიინეთ ამიღლამბარ ციციშვილი, ასე თქვა ფიცით, რომ მე არც წერა ვიცი და არც მე დამიწერინებიაო. რადგან ეს სამართალი უმოწმო ყოფილა და არც ერთის მხრისაგან ასეთი წერილი არ ყოფილა, რომ მსაჯულს იმაზე სამართალი მიეცა. მისთვის დაუდვია მდივანბეგს ქაიხოსროს ფიცი, მაგრამ ეს დაკლებულა იმ განჩინებაში, რომ თავ და თავ ფიცი განუჩინია. ჩვენ მსაჯულთ სამართლის ბძანებისაებრ ნიკოლოზმა ექვსი დიღმელი მოფიცარი შეუგდოს, ექვსში ორი იშოვოს და ასე შეჭფიცონ: ამისმა მადლმა ეს ბერძენაშვილები რომელსაც შენ ანბობ, ეს ის კაცი არ იყოს და დიღმელი იყოს და მამულზედაც ფეხი დაუდგან, რომ ეს მამული ამის სამკვიდრო იყოს. თუ ეს ასე შეჭფიცეს, ეს ბერძენაშვილები დიღმელად გამოცხადდებიან და დიღმელად იქნებიან და თუ ვერ შეჭფიცეს, ამიღლამბარ-ციცის შვილო, ეს კაცი ნიკოლოზს მოაბარე. ჩვენ ესრედ განესაჯეთ და ნება მისის სიმაღლისა არის. მარტის ით, ქკს უჯთ.

ქ.მი ესეშ  
წარვლის

განის აშიაზე: ქ. ჩვენ, ორბელიანი მდივანბეგი იოანე ამ სამართლის თანახმანი ვართ.

№ 183. 1781 წ. აპრილის 24-ს. განაჩენი მდივანბეგებისა ლორელებისა და სესია ბარათაშვილის საქმეზე. დედანი 33×20 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორთრი წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2724.

ქ. ლორელები ბარათაშვილს სესიას უჩიოდნენ, რომ სარქისას-შვილთ ნიაზა და ამისი შვილები სარქისა და ზაქარა ლორელები არიანო, ჩვენი მეზობლები არიანო, შენი ყმანი არ არიანო. ამისი სესიამ ეს უპასუხა: სარქისა და ამისი შვილი ნიაზა დიდი ხანია რომ გილაქის-შვილს ყმად მოსვლიანო და ორთაშუას საზღებიანო და გილაქის-შვილის ნაყმევიანო და გილაქის-შვილის მამული მის სიმალემ ბედნიერმა ჯელმწიფემ მე მიბოძაო და ეს ნიაზა და ამის შვილები ჩემი ყმანი არიანო. ჩვენ, საქართველოს მსაჯულთ სესიას სამართალში მოწმები ვთხოვეთ, რომ ეს ნიაზა გილაქის-შვილისა როგორი ყმა ყოფილაო. სესიამ სამი მოწამე წამოაყენა სამართალში: ერთი სამღთო კაცი ტერტერა და ორიც ერის კაცი. ამათ თავეთს ღმერთსა და სულს ქვეშ ასე იმოწმეს. ამ ნიაზას მამა სარქისა ნეტარ ხსენებულის მეფის ვახტანგის დროს მოვიდაო: გილაქის-შვილს ეყმო და ორთა შუას ესახლაო. ოსმალის დროს აყარესო და ლორეს წაიყვანესო. ცოტას ხანს იქ იყვნენო. მერმე ყიზილბაშობაში იმანყულიხანის დროს ისევ მოვიდნენო, იქავ

ორთაშუას დასახლდნო. მას აქეთაც გილაქის-შვილის ყმანი იყენნო და მას აქეთ ჩვენთან ხარჯი და ბეგარა უღიათო და არც ლორელები იმანყულებანის დროს აქეთ ამ ნიაზას ჩვენ გვდავებიახ. ჩვენ ძსაჯულთ რომ გავსინჯეთ ამ ნიაზას მამა ძველთაგან ლორელი ყოფილა, მაგამ ამდენ ხანს რომ გაუვლია გილაქის-შვილის ყმა ყოფილა და არვინ სდავებია, გილაქის-შვილს აქეთც ამ სესიას უქირამს და არვინ სდავებია და დღეს ედავებია, სამართალი ამ ნიაზასა და ამის შვილებს სესიას უმტკიცებს ყმათა. მაგრამ ლორელები ამბობენ, ბევრჯელ გვიდავენია. ამ მიზეზის გულისთვის სესიას მოყვანილს მოწმე[ე]უს ფიცი განუწესეთ. ერთი ტერტერა[ა], იმისგან კი ფიცი არ იქნება, რადგან სამლოთ კაცია და ის ორნი რომ ერის კაცნი არიან, ერთი ოპანეზა და ერთიც მამაჯანა, ეს ორი კაცნი წადგნენ და ლორელებს ასე შეფიცონ, რომ იმან ყულებანის დროს ნიაზა რომ ორთაშუას მოვიდა და გილაქის-შვილს ეყმო, მას აქეთ ლორელები არ წამოსდავებოდნენ დღევანდლამდინ, არც ლორელებს მას აქეთ ამ ნიაზასთვის ხარჯი გამოერთმით და თუ ასე ამ მოწმეებმა დაიფიცონ, სამართლით ეს ნიაზა და ამ[ისი] შვილები სარქისა და ზაქარა ბარათაშვილს სესიას დარჩება. თუ მოწმე[ე]ებმა ასე ვერ იფიცოს, სესიას საქმე არა ექნება რა, ლორელებს დარჩება, ჩვენ ასე განვსაჯეთ და ნება მათი განათლებულებისა იყოს.

აპრილის 6, ქკს უათ

[ ]<sup>1</sup>

[ ]<sup>1</sup>

ვამი ვსც  
წარვლის

სულხან

ქ. ამისი მოწამე ვარ, რომ ამ განაჩენში რა რიგით ფიცი სწერიია, იმაზედ მოვიდნენ ოპანეზა და მამაჯანა, დაიფიცეს ამის მოწამე ვარ ფეთხაინის წმიდა ეკლესიის დეკანოზი ტერ მხითარ.

ქ. ამ განაჩენით რომ ბარათაშვილს სესიას მოწმე[ე]უს ფიცი დავადევით, დაიფიცეს და სამართლით სარქისას შვილი ნიაზა და ამისი შვილები სარქისა და ზაქარა დარჩა სესიას და ამის ძმებს.

მსაჯულმან სწორ იესე  
ყო[ო]სესძეს

აქვე მარცხენა აშიაზე: ქ. მე, ბატონის-შვილის გიორგის უშიკალასბაში მაყაშვილი სვიმონ ამის სამართალში ბატონის-შვილის ბრძანებით სარჯულთ (sic) ვახლდი. ამ სესიას დარჩა ეს კაცნი<sup>2</sup>.

აპრილის 6, ქკს უათ.

სვიმონ

№ 184. 1781 წ. მაისის 28-ს. ოქმი გრუკლე II-ისა მიცემული სხვა ქვეყნებიდან ზაზა იარხნიშვილთან ყმად მოსულთადმი. დედანი. 15<sup>1</sup>/<sub>2</sub> × 16<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნაბმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. № 2985.

ქ. ჩვენი ბძანება არის, მერე რომელნიც ქრისტეანენი, თუ თათარნი სხვას ქვეყნებიდამ ჩვენს ყორა იასაულბაშს თარხნის-შვილს ზაზას ყმათ მოუხვალთ,

<sup>1</sup> არ ირჩევა

<sup>2</sup> სათაური: სარქის[ა]ს, ზაქარი[ა]ს წიგნი.

თქვენთან სხვას საქმე არავის ექნება და ჩვენგანაც ეს წყალობა გექნებათ: სანამ თქვენ რომელს მამულზედაც იდგებით და იმ მამულიდამ შემატება არა გექნებათ რა, არას ჩვენს გამოსაღებში არაში გაერევიტ და არცა მორიგეში გამოგიყვანთ, ასე ხათირჯამათ უნდა იცოდეთ და სარწმუნოთ შეიქნათ, რომ მოხვალთ უკანვე აღარავის მიგცემთ. მაისის კქ, ქქს უჯთ. | ერეკლე

სხვა ხელით: ზაზა თარხნის-შვილს ვინც ყმები მოუვა, იმისი იქნება მეფე ერეკლისა არს, მეორე ერეკლისი.

№ 185. 1781 წ. აგვისტოს 13-ს. თავდებობის წიგნი ნადირა და ფეკიალაძე ბასილაძე მიერ დავით სარდალ-მოურავისათვის მიცემული. დედანი. 17 X 11 $\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2794.

ქ. ესე წიგნი მოგართვით თქვენ, სირდარ-მოურავს დავითს მე, ნადირამა და ფეკიალაძე ბასილაძე;—ასე რომე თქვენი ყმა გოდერძაშვილი კაცი ავეყარა და ჯავახეთს გადავიდა ცოლშვალითა. ახლა კიდევ ღმერთმა თქვენ მოგცათ და დაიჭირეთ, ხუნდი შეუყარეთ და თავდებსა სთხოვდით. მე, ნადირა და ფეკიალაძე ამ გოდერძაშვილს კაცის თავდებათ დაუდექით; ისევ ცოლშვილით გი-ახლოთ, თქვენის ერთგულობისა და სამსახურის აღმასრულებელი იყოს და თქვენის წყალობის მოიმედეცა. ჩვენ ერთი წლის თავდებობის წიგნი მოგვირ-თმეცია. თუ წავიდეს სადმე, კაცისთვის კაცი მოგაბაროთ, ცოლისთვის ცოლი და შვილისათვის შვილი და საქონლისათვის საქონელი. ჩვენის მოწყლისაგანც დასტური ავიღევიტ და ჩვენი ნებაც იყო ამისი თავდებობა. თუ კიდევ თქვენი გული არ ენდოს ამ კაცსა, წელიწადს იქითაც კიდევ ჩვენ ვდგავართ ამ კაცის თავდებობაშია არის ამისი მოწამე მოურავი ისე ფხაკაძე. მე, მღვდელს ნიკოლოზს ღამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. მარიამობისთვის იგ, ქქს უჯთ. + +

№ 186. 1781 წ. სექტემბრის 9-ს ფიცის წიგნი, მიცემული აბრამ ბალაშვილის მიერ მანუჩარ მდივნისადმი. დედანი. 12 X 9 $\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 1087.

ქ. ეს მუწალგის წიგნი მოგართვით მე, მოურავმა ბალაშვილმა აბრამ თქვენ ბატონს მდივანს მანუჩარს და მგალობელს დიმიტრის. ბატონის ბძანებით მორიგის მწერლათ მობძანდით. თუ ან კომლის კაცი, ან მორიგეში გამოსასვ-ლელი კაცი დამემალოს და არ მომეხსენებინოს, ღვეთისაც შემცოდე ვიყო და ბატონისაც. რომელიც განწესებული ჯარიმა არის, იმისიც მიმცემი ვიყო. სექ-დენბრის თ, ქქს უჯთ. +

№ 187. 1781 წ. სექტემბრის 30-ს. არზა, მიცემული. თეიმურაზ ჯავახიშვილის მიერ გიორგი ბატონიშვილისადმი. დედანი. 22 X 13 $\frac{1}{2}$ . დაწერილი თეთრ ქაღალ-დზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 10398.

ქ. ღმერ[თ]მან ჩვენის ხემწიფის ძის გიორგის კირი ჯავახიშვილს თეი-მურაზს მოსცეს.

კაცი გებოძათ მეურმე[ე]ბისათვის, შენი განწყობებული ჯამაგირი რომ გამოგირთმევიო, ისევ უკანვე მიეცო, ჩემო ხემწიფევე. ბატონისაგან ეს სახელო წყალობად მკირს. ახლა ბატონმა უსამართლოდ განმაწესა თუ სამართლით, სანამ ისევ ბატონი არ გადამაყენებს მეურმეებმა ხომ არ უნდა გამამყენონ და თონდა რომ ბატონმა კიდევ გადამაყენოს, წლეულ რომ მე მაგათგან მომკლადრეარ, ჩემს სისხლსა და გარჯას ხომ ვერ ჩამიტარებენ. დღეს დიანბეგ [მ]ზექაბუჯთან ვიჩივლეთ, ჩასატარებელი ჩამიტარა. მოსაცემელი მო[ა]ცემინა. თუნდ ამასაც ჰკითხეთ და მაგათაც იყაბულეს, მე ჩემ თავათ საქმე არ დამიჭერია, ნუ მიზამთ, ღმერ[თ]ი გაგიმარჯვეზსთ. ჯარში მივალ, მაგისი ბანდი ვარ. მოსულან, კარზე ქრთამს ხარჯვენ, რომ ჩემი სისხლის ფასი წამართვან. მე რომ განჯას მამკლადრევიყავ ან ჰავით, ან გზახე, აბა ვინ რას მამცემდა. მე გ. ნჯას რა ველი მქონდა თუ არ მაგათის გულისათვის. ლ[თ]ი გაგიმარჯვებს ნუ მამიშლით ნურც განწყობულს. და ნურც გასამართლებულსა. შენ მზეს ვფრცავ, რაც იქ ან კაცი მყვანდა დ[ა] ან ცხენები აღარც ერთი აღარას მარგებს. ერთი კაცი მთელი აღარ მამყოლია, სულ სასიკვდილოდ მიზიარებინებია. აღიწერა სეკდებერს კი, ქ[ქ]ს უჟთ.

№ 183 1781 წ. დეკემბრის 20-ს, თავდასხნილობის წიგნი, მიცემული პაატა მეითორის-შვილის მიერ მანველა სანველაშვილისადმი. დედანი. მარცხენა კოდე დახიანებულია, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. 45 1/2 x 23 სმ, განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და მძიმე. საქ. მუზ. ფ. 116 № 2981.

ქ. სახელითა ... ესე წიგნი დაგიწერეთ და მოგეცი ჩვენ, მეითორის-შვილმა პაატამ, შვილმა ჩემმა თომამ, ქაიხოსრომ, იოანემ, და ლუარსაბ და მომავალმან სახლისა ჩვენისამან შენ, ჩვენის ყმის ვახტანგიანთ სანველას-შვილს მანველას, შვილსა შენსა აფრიამას და ავრტიქას და მომავალთა სახლისა შენისათა; — ასე რომე თავის დახსნა მოიღო მე და შემოგვებვეწე და ჩვენც ჩვენის ნება წადილით და რაზით თავი დაგახსნევირე და ავიღეთ ფასი, რითაც ჩვენი გული შეიჯერდა. არა დარჩა რა ჩვენი შენზედა არც ერთი იოტის ფასი. ღმერ[თ]-[მან] ველი მოგიმართოს, ვითარც ერთს სხვა შენისთანას თავდასხნილს. არავინ იყოს შენი მცილე და მოდავე არა ბატონი, არა ყმა არა ჩემი მონათესავე, არა ჩემი სახლისკაცი. თუ ამაში წამოგედავოს ვინმე, რისხავს ღმერ[თ]ი და ყოველი მისნი წმინდანი ზეციერნი და ქვეყნიერნი, რომელიცა ამ სიგელში სწერია. არის

ამისი მოწამე გოსტაშაბის-შვილი უზბაში ერასტი მ[ო]ნა-ღ[ვ]თი-სა-გოასტი მელიქის

შვილი თეიმურაზ მ[ო]ნა-ღ[ვ]თისა-თ-ღ[ვ]თისა დაიწერა ველითა სიონის დეკანოზის ნიკოლო-

ზისათა თვესა დეკემბერსა კ, ქ[ქ]ს უჟთ. სიონის დეკანოზი ნ. კ. ზ. მე, პატა ამ სიგლის ყაბული ვარ, ეს ჩემი ხელია. მეითორის-შვილი.

მეითორის-შვილი თომამ ამ სიგლის ყაბული მაქვს. თომა<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ხვეულად.

№ 197 1801. წ. დეკემბრის 22-ს. წისკვილის წყალობის წიგნი მარიამ დედოფლის მიერ სულხან თუმანოვისადმი მიცემული. პირი გადაწერილი XX საუკუნეში. საქ. მუხ. ფ. Hd № 11244.

ქ. ჩქენ, სრულიად საქართველოსა დედოფალმან ბატონის ციცი-შვილის ასულმან მარიამ ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ თქვენ, მდივანბეგს თავადს სულხან თუმანოვს ასე, რომელ მკვდელი თქვენთა შეწუხებათა აღრით ჟამით—განიდამვე ვმოწადინებდით ჩვენ წინაშე ჯელმწიფე მეუღლისადმი ჩვენისა მეფისა და იგიცა ნამდვილ განიზრახვიდა მოწყალებითა თვისითა თქვენთა აღდგინებასა და მოგებასაცა თქვენთა დაკლებულთასა, რომელიცა არა სათნოდ მისსა აქნევინეს მტერთა თქვენთა თქვენზედა. გარნა მოსწრაფებამან მისისა ჟამისამან დაანარჩუნა შეუსრულებელ მისნი ესოდენ თქვენდამი კეთილ მოაზრებანი და აწ ჩვენ მცოდნემან ამა ყოველთა, ვრაცხეთ კეთილ სათნოდ ჩვენდა შეწყალება თქვენი და გიბოძეთ ჩვენდა ქონებული სად[ე]ლოფლო გორის წისკვილი სრულებით, რომელიცა მოცემულ უკუშ იყო ჩვენდა მათის უმაღლესობის ჯელმწიფე მეუღლისა ჩემისაგან რიცხვთა სხვათა შორის მამულთა ჩემთასა და აწ წყალობის წიგნითა ამით ჩვენითა იქმნების სამკვიდრო მამულად თქვენდა შეუცვალებელად ყოველთა და ყოველსა დროსა. აღიწერა ხელითა ჩვენის მდი[ვ]ნის სილამონიძე იეროთესითა. დეკემბრის

კბ, ქკს უპთ.

დედოფალი  
მარიამ

№ 190 1801 წ. დეკემბრის 22-ს. ბრძანება მარიამ დედოფლისა გორის მამასახლისი თჳანჯანაშვილი ისაიასადმი მიცემული. პირი გადაწერილი XX საუკუნეში. საქ. მუხ. ფ. Hd № 11245.

ქ. გორის მამასახლისო თჳანჯანაშვილო ისაიავ, მერმე მანდ გორს რომელიც ჩვენი წისკვილი არის სადედოფლო ბარხუდარას-შვილის სეული და შენ გაბარია ჩვენგან, ეგ წისკვილი ჩვენ მდივანბეგს სულხან თუმანოვს უბოძეთ და ამას უნდა მ[ო]აბარო. დეკემბერს კბ, ქკს უპთ.

დედოფალ  
მარიამ

№ 191. 1782 წ. თებერვლის 29-ს. არზა, მიცემული მირიან ბატონიშვილის ყულულჩის თამაზა ოთანაშვილის მიერ ერეკლე II-ისადმი, ამ უკანასკნელის ოქმით. პირი, გადაწერილი XX საუკუნეში. საქ. მუხ. ფ. Hd № 11450.

ქ. ლმერ[ო]თ[მა]ნ უმაღლესის ჯელმწიფის ჳირი მოსცეს თქვენის შვილის მირიანის ყულულჩის ოთანაშვილს თამაზას. მამაჩემს მე დიად პატარა ობლად დავრჩი. მე ერთი უშვილო ბიძა მყვანდა. მართალი არის გაყრილი იყო, მაგრამ სრულიად მოშორებულნი არ ვიყავით, ზოგი მამულები ისევ გასაყოფი გვქონდა და მამა რომ მომიკვდა, ის ბიძა ჩემი მე შვილად მსდიდა. ის ბიძა ჩემიც თქვენის ჳირის სანაცვლო შეიქნა. დავრჩი ობოლი და პატრონი არავინა მყვანდა. იმ ჴანად ერთი კაცი გხლებოდათ თქვენა და იმ ბიძის ჩემის

მამულის წყალობას დაგვედრებოდათ და თქვენც გებოძებინათ. რადგან იმ ხანად მე არა შემეძლო რა, მოდავე ვინღა ეყოლებოდა. ახლა ის ბიძას ჩემის მამულიც იმ კაცს უჭირავს და თავისი მამულიც ბევრი აქვს. დღევანდლამდინ მე არა შემეძლო რა, რომ მომეკითხა. პირველად სანატრელმა თქვენმა შვილმა გამოშარდა და მერმე თავის ძმას მიახლო, მეც თქვენს შვილებს თავი ვაწყინე და წყალობა მიყვეს, ჩემი აზნაურშეილობაც გამოაცხადეს და ჩემი ყმებიც მიბოძეს. მამულზედ კი დიად ნაკლებათ გახლავარ. რადგან ჩემის ბიძის მამული არის, ჩემზედ უფრო მართებულია. მოწყალებას ვითხოვ, ერთის ოქმისა და იასაულის წყალობა მიყოთ, რომ იმ ბიძის ჩემის მამული მევე მებოძოს. მე თქვენის ბძანებით თქვენს შვილს მირიანს რუსეთს მივდეგ და აქ ერთი დედა და ერთი კომლი კაცი მრჩება, მათთვის ვაწყინ თავსა, რომ ესენი შიმშილით არ დამეხოცნენ, უმაღლესო ჯელმწიფეო. ფებერვლის კთ, ქკს უო.

სიგელის თავზე სხვა ხელითაა მიწერილი:

ქ. ჩვენი ბძანება არის შანშე მილახვარო დავითიშვილო, მერე ამ ოთანაშვილს თამაზას ბიძის მამული რომლისაც ჯობინაშვილისათვის მიგვიცია, ის ჩვენი ნაბოძები წიგნიც ჩვენს წინ მოატაინე და ჯობინაშვილიც ჩვენთან გამოაცხადე. აღიწერა აპრილის კგ, ქკს უობ.

ერეკლე

№ 192. 1782 წ. მარტის 7-ს. ნასყიდობის წიგნი, მიცემული „მეფურის-შვალისა ჯალაბის“ ელენეს მიერ, მეტეხის დეკანოზ ზაქარიასადმი. დედანა. 62 $\frac{1}{2}$  × 29 $\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Qd № 150.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღ[ვ]თისა მამისა, ძისა და სულისა წმიდისითა, არამედ ყოვლად კურთხეულის მარადის ქალწულის მარიამისითა, მეოხებითა ცხოველყოფელი და პატროსანი ჯუარასითა, წმიდის წინასწარმეტყველის და წინამორბედის ნათლის მცემელის იოანესითა და იოანე მახარობელისა, წმიდათა მოციქულთა ჰეტრე და პაკუესითა და სხუათა მოციქულთა ზეცის ძალი ანგელოზითა და მთავარ ანგელოზითა, მიქელ გაბრიელისითა და ყოველთა წმიდათა ზეციერის და ქვეყნიერისითა, რომელიც სახელნი სუინაკსარში მოიხსენების, ამათის მინდობითა, თავდებობითა და შუამდგომლობითა ესე ამიერი თგან და უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უკვალებელი არამედ საბოლოოდ მიზეზ შემოუღებელი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დავაწერინე და მოგეცი მე, მეფურის-შვილი იასეს ჯალაბმა ელენემ შენ, ჩვენს სიძეს მეტეხის დეკანოზს იასეს, შვილსა შენსა ზაქარიასა, პართენსა და იოსებს და ყოველთა სახლისა თქვენის მომავალთა;—ასე რომ ქმარი და შვილები დამეხოცნენ, იმათი ვალი დამრჩა, ჩემმა რძალმაც სამკუდრო გამამართვა, მკუდრებიც დაუმარხავი მყუანდნენ, იმათი ცოდვაც მაწუხებდა. ჩემი ქმრისა და შვილის დანარჩომი სხუა არა იყო რა ვერის ხეზედ ერთის ჩარეჟის ხარაბა ნაწისქვილარის მეტი და კიდევ ავლაბრის ბაღების ბოლოს ლობელაურებისაგან მოსყიდული ერთის ჩარეჟის ნაბაღრის მეტი, ვალმა და მკუდრების ცოდვამ

რომ შემაწუხა და სხვა ილაჯი არა მქონდა, ხელმწიფეს არა მივართვი და ნაოხარი წისქვილისა და ნაბაღვარის მეოთხედი ჩემის ქმრის და შვილის წილი მეოთხედი მამული გამოვითხოვე. წყალობა მიყო და ოქმიც მიბოძა, რომ სახასო კაცზე მიჰყვარო, ვალიც გადასწყვიტე და მკუდრებზეც დამარბეო, რადგან ხელმწიფის ყმაც იყავ, ჩვენი სიძეცა და მეზობელიც, შენზე უფრო ახი იყო და შენს შვილებზედ. ჩემის მახლის დავითის დაკითხვით და ჩემის ნება წადილით ჩემის ქრმის და შვილის წილი მეოთხედი ალალი მამული ვერაზედ ნაწისქვილარი, ავლაბრის ბაღების ბოლოს ნაბაღვარის მეოთხედი შენ, ჩვენს სიძეს მოგვიდე და გამოგართვი ფ სი სრული და უნაკლულ, რითაც ჩემი გული შეგჯერდა, არავინ იყოს შენი მოცილე და მოდავე. თუ ვინმე წამოგედავოს პასუხი მე, ელენემ გავცე. ამ მამულების ძველი სიგლები ჩემს მახლს დავითსა აქვს. როდისაც დაგვირდესთ, არ დაგიქიროს, ორთავ ერთად უნდა მოიხმაროთ და რომელიც იმ ძველს სიგლებში სამძღვრები სწერია, იმ ძველის სიგლებით ეს მამულები შემოისაჭდვრება. იმ მამულების მეოთხედი ყოვლის თავის სამართლიანის რიგით და ძველის სიგლების რიგითა და განწესებითა, თავის საწყლისპიროთი, შესავლითა და გამოსავლითა შენთვის მომიყიდნია. გქონდეს და გიბედნიეროს ღ[მერ]თ[მა]ნ, როგორც ერთს სხვას ალალს მონასყიდეს მოხმარებოდეს არის ამისი მოწამე თავად ღ[მერ]თი და ყოველი მისი წმიდანი და კაცთაგან ქალაქის მელიქ-მამასახლისი ავეტიქ , უსტა იასეს

შვილი ზარაფი ბეენ , დედოფლის მსახური იეგულას-შვილი ზალ , მამნიას-შვილი დიმიტრი , ფორაქას-შვილი დავით  და მე კათოლიკე ეკლესიის დეკანოზს ტერ მელქისეთას შვილს ტერ არაქელას ელენეს სიტყვით დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა მარტის 8, ქკს უო.

ქ. მე, მეფურის-შვილს დავითს ამ სიგლის ყაბული მაქვს. ჩემის ნებით მოგვიდა და ძველი სიგლებიც მე მაქვს, ეს ჩემი ხელია. მე, მეფურის-შვილი იასეს ჯალაბს ელენეს ამ სიგლის ყაბული მაქვეს.

განის აწიანზე: ქ. როგორც ამ სიგელში სწერია, ასევე მოწამე ვარ მელიქ მამასახლისი .

ქ. ამ სიგლის მოწამე ვარ აბესალმანთ პაპას შვილი ჰასრაათა .

ქ. როგორც ამ სიგელში სწერია, ასე ვარ მე, კვეზერელი დავითა ამ სიგლის მოწამე ვარ ელენეს და დავითა მეფურის-შვილის სიტყვითა. ეს ჩემი ზეპედია .

ქ. მეფურიანთ ნაბაღვარისა და ნაწისქვილარის სიგელი არის.

№ 193. 1782 წ. მარტის 26-ს. არხა, მიცემული პაატა ციციშვილის მიერ ერეკლე II-ისადმი, ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი.  $32\frac{1}{2} \times 13\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 2815.

ქ. ლმერ]თ[მა]ნ ბედნიერის გელმწიფის ჭირი მათს მონას ციცი-შვილს პაატას მოსცეს. ამას მოვახსენებ ჩემს მოწყალეს: ერთი ჩვენი ყმა საძმო და საერთო კაცი ლეკში დაიკარგა. ის კაცი ლეკებისაგან მე დაეიხსენ: იმას აქეთ ორმოცდა ოთხი წელიწადი არის. იმ კაცმა ცოლი შეირთო, ერთი შვილი ეყოლა, მამაც მოუკვდა და დედაც, დარჩა, ერთი პატარა ობოლი, მე გაეზარდე. ჩემი ხაბაზი გახლავთ რაც სახლის კაცები მყვანან, სუყველასაგან წრგნები მაქვს მოცემული და იმ კაცისაგანაც ნასყიდობის წიგნი მაქვს მოცემული. ახლა ჩემი ბიძაშვილი ივანე მედავება. შვიდი წელი სხუა ჩემის სახლის კაცებისა არის და მერვედი წელი ამასა აქვს. ლმერ]სა და თქვენს მზესა ვფიცამ, რომ იმ ბიჭში ამას, საქმე არა აქვს რა და იმას გარდა არც ერთს სახლის კაცის ს.ძმოდ და საწილოთ არ დამეხსნას, ჩემის სახსრით დამიხსნია. სხვა ჩემი სახლის კაცები ვერავინ მედავებიან არც უფროსნი და არც უმცროსნი და ამ ჩემს ბიძაშვილის ივანესაგან მუდამ შეწუხებაში გახლავარ. ამ წმიდას მარხვაში შეურცხვენლათ მაგინებს და შეურაცხვლად მხდის. დავით მოურავს და სვიმონ მაყაშვილს თქვენი მზე აფიცეთ და ისინი სწორს მოვახსენებენ და მე კი ვერ მოვახსენებ. გევედრები, თქვენ წინაშე სამართალში გვალაპარაკოთ, რომ ჩემი სიმართლე და სიმტყუნე გამოცხადდეს და აჩვენარი შფოთისაგან დამიხსნათ, ლმერ]თი გაგიმარჯვებს. მარტის კვ, ქკს უოა.

ზემო აშიაზე: ქ. ჩვენი ბძანება არის პაატა ციციშვილო და ივანე ციციშვილო, თქვენ ჩვენს სამართალში დადგეთ და ილაპარაკოთ წინათვე გვიხარებია. რომელიც გამტყუნდებია, გარდავახდევინებთ. იცოდეთ. მარტის კვ, ქკს უოა.

ქ. თუ ჩვენს სამართალმდინ ერთმანერთს მოურიგდებით ხომ, ის არის, თუ არა და ილაპარაკებთ, რომელიც განმტყუნდებით გარდაუხდევინებელს არ გაგიშვებთ. ერეკლე

№ 194. 1782 წ. ივნისის 29-ს. არხა, მიცემული ონოფრე მღვდელის მიერ ერეკლე II-სადმი ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი. ოდნავ დაზიანებული.  $20\frac{1}{2} \times 16$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. ს.ქ. მუხ. ფ. Hd № 2850.

ქ. ლმერ]თ[მა]ნ ბედნიერის გელმწიფის ჭირი მოსცეს მათ მარადლე მლოცველს ხატის ყმას ონოფრე მღვდელს. ლმერ]თ[მა]ნ თქვენი სიციცხლე და დღეგრძელობა ნუ მომიშალოს, ჩვენი თავი თქვენი ჭირის სანაცვლო ამყოფოს, რადგან თქვენი უღირსი მოწყალეობა დამემართა, ამ მოწყალეობასაც ვითხოვ, ერთი ოქმი ძებნოდოს ზალ დავითის შვილზედა, თვალ ყური დაიქაროს ჩენზედა, უბრალოთ არავინ რა გამაცოდლოს, ხატისათვის და თქვენთვის გელი ამმართოს, რომ თქვენს მეტს გელი აღარა ვის ქონდეს ჩვენთანა, თქვენი და თქვენი ბედნიერის დედოფლის სადღეგრძელოთ, ივნისის კო, ქკს უოა.

ზემო აშიაზე: ქ. ჩენი ბრძანება არის, მეჩემ ეს ონოტრე მღვდელი გასამყრელოთ ჩენ აგვიყვანია თავისის მამულით და ხატის ყმათ როგორც ყოფილა, ჩენც ისევე ხატის ყმათ დაგვიდგია. ამასთან სხვას ვისმე საბატონყმით კელი არავისა ვქვს. დავითის-შვილო ზაალ, ავ ოქმით როგორც გვებძანებინოს, ასრე უნდა ამართო კელი ჩვენთვის და ხატის ყმათ უნდა აყოს, ეს უბრალთ არავინ რაზე შეაწუხოს, თავისი არა მოაკლდეს რა. შენ უნდა გებარებოდეს და თვალი და ყური გეჭიროს, რომ არავინ რა შეაწუხოს. მთიბათვის კთ, ქქს უო.

ერეკლე

№ 195. 1782 წ. ივლისის 21-ს. თენასყიდობის წიგნი, იოანე სობრას-შვილის მიერ გიორგი ბატონიშვილისადმი მიცემული. დედანი. 51 X 22 1/2 სმ, დაწერილი ძეთრ ქალაქდზე მხედრული ხელით. განკუთვლობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd. № 2544.

ქ..... ესე.... ნასყიდობის წიგნი და სიგელი დავაწერინე და მოგართვი თქვენ, ყოვლისა ზემოსა საქართუშელოესა მეფის ირაკლის პირშოსა ძესა საქართველოს უფლის წულს ბატონის-შვილს გიორგის, ძეთა თქვენთა დავითს, იოანეს, ბაგრატს და თეიმურაზს მე, სობოს-შვილმან მღვდელმან იოანე, შვილთა ჩემთა გიორგიმ, ზაქარიამ, მიქელ, იასაკ და დავით; — ასე რომ ლეკმა დამატყვევა და ლეკისაგან სომეხმა დამიჭსნა. სომეხი ჩემი თავის სახსარს მთხოვედა და დიდად მაწუხებდა. მოველ და დიდად შემოგვედრე იმისაგან გამოქსნასა. თქვენ შეგბრალდათ ჩემი ტყუეობა და იმ სომეხისაგან თქვენ დამიჭსენით და მიყიდეთ. მეც ეს წიგნი და სიგელი დამიწერინებია და მომირთმევია. ასე რომ რადგან ჩემის ვედრებით ტყუეობისაგან დამიჭსენით, მეც ჩემი თავი ყმად მომირთმევია. [მერ]თ[მა]ნ ჩემი თავი და ჩემნი შვილნი ყმურად მოგანძაროსთ. არავინ იყოს მცილე და მოდავე და თუ ვინმე ჩემს თავს და ჩემს შვილებს ბატონყმობით შემოგეცილოს, პასუხის გამცემი მე ვიყო. [მერ]თ[მა]ნ თქვენი მფარველობა და მოწყალება მე ნუ მომაკლოს და თქვენს მსახურებას სულიერად და კორციელად შემძლებელ მყოს. არის ამისა მოწამე ნათლის მცემლის უდაბ-

ნოს არქიმანდრიტი ევთიმი ნათლისმცემლის უდაბნოს არქიმანდრიტი ევთიმი<sup>1</sup>, აბაშიძე ქიშიკჩიბაში

იოანე იოანე<sup>2</sup>, ეშიკალასბაში ჯარდან<sup>3</sup> და მე უღირს ხუცესს ოსეს-ძეს იოანეს დამიწერია თვთ იოანე მღვდლის თქმულის სიტყუით თთუშსა იულისსა კა, წელსა ქრისტეს აქეთ ჩღვბ, ქართულსა ქქს უო.

<sup>1</sup> უკანასკნელი სიტყვა ბეჭდის შუაში სწერია ასომთავრულით.

<sup>2</sup> ბეჭდის შუაში ასომთავრულით. ბეჭდის გარშემო მხედრული წარწერაა, რომელიც არ ითარგმნა.

<sup>3</sup> აქ თავისუფალი ადგილია დატოვებული ბეჭდის დასასმელად.

№ 196. 1782 წ. სექტემბრის 5-ს. ბატონყმობის წიგნი როსტევეანას-შვილის სააკასა და სხვათა მიერ მირზა იბრეიმას-შვილი გოგოასათვის მიცემული. დედანი. 32 1/2 × 14 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელთ. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Qd № 792.

ქ. ესე წიგნი მოგართვით ჩვენ, ოსიაურელებმა როსტევეანას-შვილმა, სააკამა და მეტივე ზურაბას-შვილმა ბერუამა და კოჩაძემა და ცაცანამა და ხაბულაშვილმა გოგოამა თქვენ, ბატონს ჩემს მირზა იბრეიმას-შვილს გოგოასა; — ასე რომ ჩვენ ბატონის საიასო ყმანი ვიყავით და ბატონმა ჩვენი თავი თქვენ გიბოძათ და ჩვენ ისევ ჩვენის ბატონის ყმობა გვინდოდა. ამის მიზეზით ცილი გწამეთ და მოგიგონეთ. მოვედიო ჩვენი დანაშაული თავს ვიდევით და შენც შენს ღმერთს დაამადლე და შეგვინდევი ჩვენი დანაშაული და შენც ეს წყალობა უნდა გვიყო, რომ ასეთი კაცი შეუყენო ბედნიერს კემწიფესა, რომ ჩვენის დანაშაულისა არც ხემწიფემ გადაგვახდევინოს და გვაპატიოთ. არის ამისი მოწამე ჩხეიძე თეიმურაზ და ზაალ და ოთანაშვილი გოგოა, მდივნის კაცი. ბერუა ფანაული, ნოზაძე ძამასახლისი მამუკა და მე ჯაწიტაშვილს როსტომს დამიწერია ამ ოსიაურელების სიტყვითა და მოწამეცა ვარ ამისი. ბეჭედი არა მქონდა, ეს ჩემი ხელია. როსტომ. დაიწერა ენკენისთვის ე, ქკს უო.

+ + + + +

განის აწიაზე სხვა და სხვა ხელით: ქ. მე, აბაშიძე ქაიხოსრო ამ წიგნის მოწამე ვარ ოსიაურელების სიტყვით. ( )

ქ. მე, ამილახორ მდივანბეგი იესე ამ წიგნის მოწამე ვარ ოსიაურელების სიტყვით ენკენისთვის ზ, ქკს უო. ქ. მე, სოლომო[ნ] მდივანს დამიწერია.

იესე

ქ. მე, ორბელიანი სალთხუცესი დავით ოსიაურელთ სიტყვით ამისი მოწამე ვარ. ( )

ზემო აწიაზე: ქ. ნათლის მცემლის მონასტრის არხიმანდრიტს უღირს ევთიმის ოსიაურელნი შემომგებეწნებ, მოციქული მომიგზავნეს და მასუკან თითონ მოვიდნენ, შეგვირიგეთო. რადლან (sic) სამეფო ზეცურთ ბრძანება არის: „ნეტარ იყვნენ მშვიდლობის მყოფელნი და ნეტარ იყვნენ მშვიდნი ცა მშვიდობასა ჩემსა მიგცემ თქვენ“, ამისთვის ამათი ვედრი ვისმინე ქ|რისტ|ეს|გუ|ლისათვის და ბრძანებისათვის მისისა მშვიდობა და ერთობა მიიღეს და ეს წიგნიცა მათ მოიტანეს დაწერილი. ამას კი იხვეწებოდნენ კელმწიფე არ გაგვიწყრესო.

ენკენისთვის ზ, ქკს უო. ( ) ქ. ოსიაურელების სიტყვით ამ წიგნის

მოწამე ვარ მე, ნახარბეგიშვილი ოსეფა ( )

№ 197.1782 წ. ნოემბრის 3-ს. წყალობის წიგნი, მიცემული ვახტანგ, მირიან და  
 თარნაოზ ბატონიშვილების მიერ თამაზა ოთანაშვილისადმი. პირო, გადაწერილი  
 XX საუკუნეში. საქ. მუხ. ფ. Hd № 11400.

ქ. წყალობითა ღ[ვ]თისათა ჩვენ, იასიან-დავითიან-სოლომონიან-პანკრა-  
 ტოვანმან ძემან სრულიად ქართლისი და კახეთის მპყრობელ მქონებელის მე-  
 ფის მეორის ირაკლისამან, სრულიად არაგვის საერისთაოს მპყრობელმან ბა-  
 ტონის-შვილმან ვახტანგ და ძმამან ჩვენმან ბატონის-შვილმან მირიან და ძმა-  
 მან ჩვენმან ბატონის-შვილმან თარნაოზ ეს წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ,  
 ჩვენის ძმის ბატონის-შვილის მირიანის მილახვარს არაგვის აზნაურშვილს  
 ოთანას-შვილის შიოს, შვილს თამაზას;—ასე რომ ტრძნის მყოფი არაგვის საე-  
 რისთო აზნაურშვილი ყოფილა შენი ჩამომავლობა და იქ რამეთენიმე კომლი  
 გლეხი მემკვიდრე ყმათ გყოლიათ და ჟამთა ვითარებისაგან მამა და პაპა  
 მოგკვდომია და შენ თამაზა მილახვარი პატარა ობოლი დარჩომილხარ, რომ  
 დედაშენს პატარა მოუყვანიხარ და სანატრელის ჩვენის ძმის ბატონის-შვი-  
 ლის ლეონისათვის უახლებიხარ და ხლებიხარ ჩვენს ძმას ლეონს და იმის  
 მსახურობაში გამოზდილხარ და ობლობით შენის სამკვიდრო გლეხისა და  
 მამულისა არა გცოდნოდა რა და შენის სამკვიდრო გლეხი და მამული ცო-  
 ტას ხანს სახასოთ დებულიყო. ღ[ვ]თით შენს თავს რომ მოსწრებოდა, მოგე-  
 კითხა და მახსოვარისა და მცოდნე კაცებისაგან რომ შეგეტყო შენის მკვიდ-  
 რი გლეხისა და მამულისა, სანატრელის ჩვენის ძმის ბატონის-შვილის ლეო-  
 ნისათვის მოგეხსენებინა და იმასაც ოქმის ბოძებით, კაის გამოძიებით მოეკი-  
 თხა ეს შენი მოხსენება და მტკიცეთ რომ მოხსენებოდა და სარწმუნო შექმ-  
 ნილიყო, წინთვის წყალობის სრელი ებოძებინა და რომელიც მახსოვარისა  
 და მცოდნე კაცებისაგან გლეხნი და მამულები შენს სამკვიდრო ყმათ და მა-  
 მულათ მოხსენებოდა. ის სრულებით შენთვის წყალობა ექმნა და ებოძებინა,  
 რომ იმისგან ბოძებული ახლა სრულებით გიჭირავს. რომლისაჲ მიზეზით  
 სანატრელის ჩვენის ძმის ბატონის-შვილის ლეონისაგან ბოძებული წყალობის  
 სიგელი დაგკარგოდა და ვეღარ გეპოვნა. რადგან მისმა სიმაღლემ ბატონმა  
 მამაჩვენა არაგვის საერისთო სრულებით ჩვენ, სამთა ძმათ გვიბოძა და შენც  
 არაგვის საერისთოს აზნაურშვილი იყავ, მოხველ და ეს ზემოხსენებული საქმე  
 თვითყოლად გაგვაშინჯე, ჩვენც მოვიკათხეთ და ესეც მტკიცეთ ვიცოდით, რომ  
 ამ საქმეზე სანატრელის ჩვენის ძმის ბატონის-შვილის ლეონისაგან ბოძებუ-  
 ლი წყალობის წიგნი გქონდა. რადგანაც იმ პატარობისას სანატრელს ჩვენს  
 ძმას ბატონის-შვილს ლეონს ხლებიყავ და იმის მონებაში აღზრდილიყავ და  
 რუსეთს წაბანებაშიაც თან ხლებიყავ და შეძლებისაგან შენისა მორჩილე-  
 ბით და ერთგულათ გემსახურნა და მსუჟან სანატრელს ჩვენს ძმას ბატონის-  
 შვილს ლეონს თავის ძმის ბატონის-შვილის მირიანისათვის ებოძებინე და  
 ვახლებინე და ამ ჩვენის ძმის მირიანის სამსახურშიაც ერთგულობით სცხოვ-  
 რობდი, ამ ნამსახურობისათვის და ჟმეტესად სანატრელის ბატონის-შვილის  
 ჩვენის ძმის ლეონისაგან ბოძებულის წყალობის მოუშლელობისათვის, ჩვენც  
 ვისმინეთ შენი მოხსენება და წყალობა გიყავით და გიბოძეთ ტრძნის შენი  
 შემკვიდრე ყმა გოგინას-შვილი დათუნას შვილი მღვდელი იაკობ, ამისი ძმა

საქარია, ზურაბ და ივანე და კიდევ გოგინას-შვილის გიორგის ობოლი იოსებ, ესენი თავიანთ საშვიდრო უსყიდისა და ნასყიდის მამულით გიბოძეთ; კიდევ შენის მკვიდრის ამოვარდნილის თათნაძისა და რაზმაძის ნაქონი უსყიდი და ნასყიდი მამული გიბოძეთ და ასრეთვე კიდევ შენის მკვიდრის ამოვარდნილის გლეხის კაცებისა რაც ბეითალმანი მამულები არის. ისიც სრულებით შენტვის გვაბოძებია. გქონდეს და გიბედნიეროს ლ[მერ]თ[მა]ნ. წყალობა ესე ჩვენგან ბოძებული, არა მოგეშალოს არა ჩვენგან და არც შემდგომთა ჩვენთა ამ ალაგის შეპატრონეთაგან აწე გიბძანებთ კარის ჩვენისა მოხელენო და არაგვის საერისთოს მოხელენო, წყალობა ესე ჩვენგან ბოძებული თქვენც ასე გაუთავეთ, აღიწერა სიგელი ესე მდივან-მწიგნობრის თუმანის-შვილის მისის სიმაღლის ბატონის მამის ჩვენის მდივან-ლაშქარნივისის გორჯასპი მდივნის ძის მანუჩარის ველითა. გიორგობის გ, ქკს უოა.

ქ. ჩვენ, მეფე სრულიად საქართველოსა ირაკლი მეორე ვამტკიცებთ ამ ჩვენის შვილების ბოძებულს წყალობის წიგნს. მისის კე. ქკს უოა.

ქ. ჩვენ, საქართველოსა და კახეთის დედოფალთ დედოფალი ბატონის დადიანის ასული პატრონი დარეჯან ამ ჩვენის შვილების ბოძებულს წყალობის სიგელს ვამტკიცებთ, მისის ლა. ქკს უოა.

ქ. ჩვენ, საქართველოს უფლის წული ბატონის-შვილი გიორგი ამ ჩვენის ძმებისაგან მიცემულს წყალობის სიგელს ვამტკიცებთ, იენისის ბ. ქკს უოა.

ქ. ჩვენ, საქართველოს მეფის ძე იულონ ამ ბატონის ჩვენის ძმებისაგან მიცემულს წყალობის სიგელს ვამტკიცებთ. იენისის ბ, ქკს უოა.

№ 198. 1783 წ. იანვრის 9-ს. ნასყიდობის წიგნი, მიცემული არუთინა უსტა-შვილის მიერ ერასტი გოსტაშაბიშვილისადმი. დედანი. 31 1/2 × 23 1/2 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 13666.

ქ. ნებითა და შეწიგნითა ღთისათა, მეოხებითა ყ[ოვლა]დ წმინდისა ლ[ქ]თის მშობელისათა, ძლიერებითა პატიოსნისა და ცხოველსყოფელისა ჯვარისათა ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოვართვი მე. ენაგელმა უსტაშვალმა არუთინამ და შვილმა ჩემმა ნახარამ და სახლისა ჩემისა მომავალთა თქვენ, გოსტაშაბიშვილს ერასტი უზბაშს და შვილსა შენსა დაეითს და გიორგისა; — ასე რომე ჩვენენაგ ღნი ვიყავით, გერმანოზიშვილი ომახის იემკვიდრე უმანი ვიყავით. აგვილო და თავაქალაშვილს გიგილას მიგვყიდა. მერე აზატი გვიყო და აზატობია წიგნიცა და ნასყიდობის სიგელიც მოგვცა. ჩვენთან ველი არავის ჰქონდა ლ[ქ]თის გარდა. ვალი დამედო, მოველ ჩემის ნება-წადი-

ლით, თეთრი გამოგართვი და ჩემი თავი ყმათ შოგეც რითაც ჩემი გული შე-  
გჯერდებოდა, ჯამოგართვი. ჩემთან საბატონყმით შენგამეტს საქმე არავის ჰქონ-  
დეს. თუ ფინშე ჩემს თავს წამოგუდაოს პასუხის გამცემი შე ვიყო. დღეს შენც  
ქალაქს ბრძანდები და მეც აქ გახლავარ და როდესაც ღმერთმა წყალობა  
გიყოს სოფლად გახვიდეთ, კარგი მამული მიბოძოთ და როგორც ბატონყმო-  
ბის რიგი იყოს ისე გემსახურო, შენც ჩემი მწყალობელი ბრძანდებოდე. არის  
ამისი შოწამე თავთ ღმერთი და კაცთაგან აბაშიშვილი დავით<sup>1</sup>, სამიშვილი  
ყორიასაულბაში ზაალ<sup>1</sup>, ქავთარიშვილი უზბაში ნიკოლოზ, გერმანოზიშვილ-  
გორგი , გერმანოზიშვილი დავით<sup>1</sup>, ყორღანაშვილი მუშრიბი და-  
ვით  ყორღანაშვილი თავლინდარი ფარსადან და მე, იონათამ ქავ-  
თარიშვილს დამიწერია ამ უსტაშვილის არუთინას სიტყვით და მოწაწეცა  
ვარ ამისი. დაიწერა იანვრის 6, ქკს უოა +

№ 199. 1783 წ. სექტემბრის 8-ს. არხა, მიცეული ფრიდონაშვილის ქორიგისა და  
ობოლის მიერ ვრეკლე II-ისადმი, ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი. 29 1/2 X 14 სმ,  
დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით, განკვეთილობის ნიშანი ნახ-  
მარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 2730.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ ბედნიერის კელმწიფის ქირი მოსცეს ბებურის ყმას ფრი-  
დონა-შვილს ქორიგს და ობოლს. მერე ჩემს განაყოფს მამული მივეც და  
სახლის ალაგი გამოვიცვალე. შიგ რომ შეველი, ავაგე და სამჯერ თავზე დამა-  
ქცივა. დერეფანში ორმო მქონდა და პური არ ჩავვაყრევი და ჩემი ქმარი  
ცემით მოკლა. ბანზე ურემს ატარებდა და ის რომ ურემს შა[ა]ყენებდა ბან-  
ზედ, ჩვენ კარში გამოვცივდებოდით. ჩვენ რომ ხეწუნას დაუწყებდით, ის გფე-  
ტყოდა, ჩემი მამული დამიგდევ[ი]თო. ავდექით და გამოვედით და ჩვენი მამუ-  
ლი კი აღარ დაგვანება. მივედით და ოტია მდივანბეგთ[ან] ვიჩივლეთ და  
მდივანბეგმა სოფლის კაცი შეყარა და სამი კაცი კი და[ა]ფიცა და ამათ  
მოწმობას ერწმუნა და განაჩენი მოგვცა. ეს განაჩენი რომ ავიღე, ბატონი  
ჩვენ[ი] ბებურ შვილით მ[ო]ვ[ი]და, მეგავ[არ]ჩევო. მოუხდა თავის ძმ[ი]სწულე-  
ში და ვენახი სისხლით აესეს. ამის სამართალი მადირ[ს]ეთ, ლ[მერ]თი გაგი-  
მარჯვებს, ენკენისთვის 11, ქკს უოა.

ზემო აწიახე: ჩვენი ბრძანება არის ამ არხის პატრონო, ომანის-შვილე-  
ბი ჩვენს სამართალში დავიბარეთ, მოვლენ და სამართალში ელაპარაკე. შენს  
განაჩენსაც მაშინ გავშინჯავთ და სამართალიც დაგემართება. ენკენისთვის 11,  
ქკს უოა.

ერეკლე

<sup>1</sup> ბელჩართულად.

№ 200 1784 წ. მარტის 17-ს. განმარტების წიგნი, მიცემული იმერეთიდან მოსული მათეკას მიერ თეიმურაზ ჯაფახიშვილისადმი. დედანი, დაწიხებული.  $16 \times 10\frac{1}{2}$  სმ. დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახშირი არ არის. საქ. ს.ხ. მუხ. ფ. Hd № 2871.

ქ. ესე წიგნი მოგართუ მე იმერეთიდან მოსულმა თაქთაქიშვილის ყმამ მამუკაძე; — ასე რომ მე და თაქთაქიშვილი ვჩიოდით გიორგი ბატონიშვილთან. თაქთაქიშვილმა გაპამტყუნა და ყმათაც მიმცეს. თქვენ, ჯაფახიშვილი, ნობრძანდით თეიმურაზ და სალგო სურსათი და თეთრი მთხოვეთ. თეთრისა თავდები მოგართუ და ფქვილისათვის თოფი გამომართეთ, მოურავმა იქიდან ამყარა და ქარელში დამასახლა. ქარელიდან ამყარა და ქვიშხუთსა დამასახლა. ამას უკან მოველ და მოურავის წიგნი მოგიტანეთ, რომ თოფი მიეციო და თეთრის თავდები წიგნიც ისევ მიეციო და შენ თაქთაქის-შვილს გამოართვიო. ქვიშხეთიდანაც ამყარა და ხცის დამასახლა მოურავმა და დავთარშიაც თაქთაქის-შვილზედ ვეწერე. არის ამისა მოწამე ბიჭიკაშვილი ესტატე, ბახტაძე ბერუა, კოტეტის შვილი ხურო პეტრე და მთელი ჯაფახიანი. მე, იოანე ბატონის-შვილის ყულუხს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამათის მოწმობითა მარტის ივ, ქკს უობ. მამუკა, იოანე. + + + +

№ 201 1784 წ. მარტის 20-ს. ბრძანება ვახტანგ ბატონიშვილისა ადამ ყარაგოზიშვილის დო. დედანი.  $10 \times 17$  სმ, დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახშირი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 2557.

ქ. ბატონის შვილი ვახტანგ გიბძანებთ ყარაგოზის-შვილო ადამ, მერე შენი ბიზნები რომ აყრილან და წასულან, ისინი ისეც უნდა აჰყარო და სადაც იდგნენ იქვე დააყენო. ახლავე უნდა აჰყარო. მარტის კ, ქკს უობ.

ლომად იუდას ბა  
კეთად ვახტანგ  
ირაკლის ხავეთად

№ 202. 1784 წ. აპრილის 23-ს. ოქმი გიორგი ბატონიშვილისა ალექსანდრე ეწიკ-ადასბაშის შვილისადმი. დედანი.  $2\frac{1}{2} \times 1\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახშირი არ არის. საქ. მუხ. ფ. r.d № 2678.

ქ. ბატონის-შვილის გიორგის სიკეთით სახსოვარო ემიკადაბაშის შვილო ალექსანდრე, მერე ქიხოსრო ჩოლაყაშვილის მილახერის კაცი ჯაფახიძე გიორგი და ამის სახლის კაცი გოგია ქსანზედ რომ დვანან, ეს ორნივე ჯამაგიძები ახლავ უნდა აუყარო და ქიხოსროს მიაბარო უკლებლივ თავისის ცოლით და შვილით. მაგის ყმა არის და მაგისთვისვე გვიბოძებია და ეს ასე უნდა აღასრულოს. აპრილის კვ, ქკს უობ.

მეფ. ს ძე  
გიორგი

ქ. მუხრანის ბატონო სახლთუხუცესო იოანე, ეს კაცნი აუყარე და ქაბახოსრო მილახვარს მოაბარე. აღიწერა მარტის კმ. ქკს უოგ.

ეროვლე

№ 203. 1784 წ. იენისის 6-ს. ნასყიდობის წიგნი, მიცემული გაბრიელ მარინდაშვილის მიერ თეთრა თეთრაძიაძემი. დედანი. 71 X 25 სმ, დაწეოილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკეთილოაის ნიშნად ალაგ ალაგ ნახპარია თითო-ორიოლა წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2443.

ქ. არსება მიუწეომელისა ნებითა მამისა, ძისა და ყოვლად წმინდისა სულისათა, მინდობითა და თავდებობითა უმეტესად კურთხეულისა დიდებულისა დედოფლისა ჩვენისა ლუთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარია-მისათა, ძლიერებითა პატროსნითა და ცხოველს მყოფელისა ჯვარისათა. წმინდათა ზეცისა ძალთათა, წმინდისა წინასწარმეტყველისა, წინა მორბედისა, ნათლის მცემლისა იოანესითა, წმინდათა მოციქულთა პეტრე და პავლე და ყოველთა მოციქულთათა წმინდათა დიდთა სოფლისა ქადაგთა მღუდელთ მთავართა ვასილი დიდისა, გრიგოლი მღუთისმეტყველისა, იოანე ოქროპირისათა, წმინდისა ნოციქულისა ქრისტესთს წაწებულისა პირველ მოწამისა სტეფანესითა, წმინდისა ქრისტეს მკვდარისა მხნე ახოვანისა დიდისა ღვაწლით შემოსილისა გიორგისათა. ეესტატი, თევდორე, დიმიტრი მერკვირისა და პანტელეიმონისათა, ღირსთა მამათა და ღირსთა დედათათა, მათითა თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა ესე ამიერ უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეცი მე, მარინდაშვილმან გაბრიელმან, შვილთა და შთამომავალთა ჩემთა შენ არაგვიდამ მოსულს თეთრაძეს თეთრას და დემეტრეს და შვილსა თქვენსა შიოს, დავითს, მახარებელს და ივანეს; — ასე ომე დაგეჭირა და ავიღე და ჩვენი სამკვიდრო მიწები სამის დღისა მოდენნახეში მოგეცი და მოგვიდე თავს რუჟდინ, ბოლოს გილაურის სამზღურამდინ, მარჯვენა გვერდი სუთიას-შვილის მიწის მიდგამდინ. ავიღევით ფასი სრული და უნაკლოლო, რომლითაც ჩემი გული შეგჯერდებოდა და არა დარჩომილა ჩემი შენზედა არცა ერთის იოტის ფასი; რომელიც ამ ჩემგან მოცემულს მიწას შემოგეცილოს, პირისა და პასუხის გამცემი მე ვიყო, არის ამისი მოწამე თავად პირველად ღმერთი და კაცთაგან გეგელიშვილი გარსევანა, მამადალაშვილი გლახა, ზანდარაშვილი დავითა და გილაური პეტრე. მე, სიბრძნის მიყვარის გლახა ნათლის ძის ძმას იოანეს ცოდვით დასჯილს მღუდელს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა თიბათვის გ. ქკს უოგ.


იარალ<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ხვეულად.

№ 204. 1784 წ. ივნისის 16-ს. ოქმი ერეკლე II-ისა თეიმურაზ ჯავახიშვილისადმი მიცემული. პირი, გადაჭერილი XX ს.უკუნეში თეთრ ქალაღზე. საქ. მუხ. ფ. Hd № 11456.

ქ. ჩვენი ბძანება არის ჯავახიშვილო თეიმურაზ, მერმე თეზამს გაღმა რაც სოფლები ხიდისაჲვამდინ, იმათი მდევრის უფროსობა შენ და გლურჯი-ძე ნინიასაჲვის გვიბოძებია. რომელიც ლეკის ჩამოსასვლელი გზები არის იმა-ზე ყარაულები უნდა გყვანდესთ დაყენებული და ყარაულმა რომ ამბავი მო-გიტანოსთ, მაშინვე მდევარს უნდა დაუძახებდეთ, ქუღზე გამოიყვანდეთ და ლ[ვ]ითი მტრის დამარცხებას ეცადნეთ, რომელიც მთის გზები არის, იმ გზებ-ზე ყარაულს ნუ გამოსწყვეტთ სოფლებიდან და რომელიც კაცი მდევარს დაგაკლდესთ, ის უნდა დაარბიოთ და ბეჯითნი უნდა იყვნეთ. თიბათვის ივ, ქკს უოზ.

ქ. როცა თქვენ ჩვენთან წამოხვიდოდეთ ზოღმე, მანდ თქვენს ნაიბებს უნდა დააგდებდეთ, თიბათვის ით, ქკს უოზ. ქ. თუ მიზეზი არა ჰქონდეს რა დაკლებულს კაცსა, მარჯვე და დიდი მიზეზი, უნდა დაარბიოთ. მაშინ დაირ-ბევა, როდესაც მიზეზი არა ექნება რა და დააკლდება.



№ 205. 1784 წ. ნოემბრის 8-ს. ოქმი იულონ ბატონიშვილისა ითარ ამილახ-ვრიშვილისადმი მიცემული. დედანი. 19 X 17 $\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 2548.

ქ. ბატონის-შვილის იულონის კეთილად სახსოვარო ამილახვარიშვილო ითარ, მერე მრავალი მოკითხვა გეუწყოს. მერე ამ თავაქალაშვილმა თაყამ იჩიელა. ამას მე შუა ვევეარ და თუ ჩემი სიყვარულობა გაქუს, ეს უნდა შეი-რიგო და თუ რამ უსამართლოდ წაგერთმის, ისევე მოეცი. ესეც შენი არის და ამის ყმაც და საცხოვრებელიცა და თუ კადევ იჩიელა შენგან უსამართ-ლო<sup>1</sup>, გვეწყინება დიდათ<sup>2</sup>. ნოემბრის 8, ქკს უოზ.<sup>3</sup>

ქ.ლ[ვ]ის მშობლის სისო ანი იულონ დავითი. ნ.
--

<sup>1</sup> ჩამატებულია ზემოდან.

<sup>2</sup> ეს „დადათ“ დედნისავე ხელით წაშლილია.

<sup>3</sup> სათაური ტინისხიდისა.

№ 206. 1784 წ. ნოემბრის 22-ს. არხა, მიკეჟული ერასტი გოსტაშაის-შვილის მიერ მდივანბეგებისადმი, ამ უკანასკნელთა ოქმით. დედანი. 16 × 12 სმ, დაწერილი ერთ ქალღმრთელ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახშირი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 2840.

ქ. ლ[შერ]თ[მან] ბატონის მდივანბეგების ქირი მოსცეს ერასტი გოსტაშაის შვილს. მარაბდას ერთი კომლი კაცი გახლავსთ ცხადიას-შვილი, ის კაცი ჩემი ყმა არის. ის ცხადიას-შვილები ორნი ძმანი არიან. ახლა ის ძმები გაყრილან. ახლა ჩემს ბიძაშვილს წამოუღია ზახას გასამყრელოთ. ერთი წარი გამოუტმეგია, თქვენ ჩემნი ყმანი ხართო. ერასტის თქვენთან წელი არა აქვსო. მე რომ წავსულიყავ და იმისთვის წარი წამერთმეგინა და ერთი შუოთი მექნა, ვიცი რომ სამართალში ავად მომივიდოდა. ახლა ამას გევედრებით. ერთი ოქში და იასაული მიბოძოთ, წავიდეს ის იასაული ის წარი გამოართვას და ისევ იმ ცხადიას-შვილებს მისცეს. ის ცხადიას-შვილებიც აქ ჩამოიყვანოს და ზახაც აქ გაიხლოსთ და მეც აქ გახლავარ, ლ[ვ]ითის წინაშე სამართალში ვილაპარაკოთ და ვისიც ყმა არის, გამოჩნდება. თუ ის გამტყუნდეს, ნება თქვენია და თუ მე გავტყუნდე, ერასტი წარი კიდევ სხვას მივტყუნებ და თქვენც გარდამხდევინებთ თუ ჩემი ყმა არ იყოს. ნოემბრის კბ, ქკს უოზ.

ზემო აშინაე: ქ. საქართველოს მსაჯულთ შეკრებილება მოგიწერთ იასაულო ოთარავ, მერმე უსბაში ერასტი ასე რომ უჩივის, ეს წათი გამოუტმეგია და იმ გლეხს კაცს მიბარე. ზახა აქ ჩამოვიდეს და ეს გლეხი კაციც ცხადიას-შვილი<sup>1</sup>. სამართალში ილაპარაკონ. თუ სამართლით კაცი დარჩება კაციც მაგისი იქნება და წარიცა. თუ სამართლით არ დარჩება, რას ემართლება, კაციც ამისი იქნება და წარიცა. ნოემბრის კბ, ქკს უოზ.

ნ[ი]კ[ოლო]ზ
-------------

ჟამი ესემ წკვის
--------------------

№ 207. 1784 წ. დეკემბრის 9-ს. არხა, მიკეჟული თევდორე ხახანაშვილის მიერ გრკულე II-ისადმი ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი. დაზიანებული. 20 × 14. დაწერილი თეთრ ქალღმრთელ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახშირი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 2971.

ქ. ლ[შერ]თ[მან] ბედნიერის ველმწიფის ქირი მოსცეს წმინდის ევსტატის ყმას ერთაწმინდელს ხახანაშვილს თედორეს].

ქ. რაც იასაული მოვა თქვენი მოსაქმე, მუდამ მაწუხებს. უმამულო კაცი ვარ, ერთი ოქმი მებოძოს პეტრე დეკანოზზე, რომ სხვანიც არიან წმინდის ევსტატის ყმანი, მეც იმათთან შემამეწერებოდეს, რაც სამსახური და სათხოვარი მოვიდეს თქვენი, შექლებით დამაწერონ, რომ დეკანოზს გარდა ჩემთან საქმე არაეისა ქონდეს და უსამართლოდ [აო]ვინრა გამსარჯოს, ერთი ღარიბი კაცი ვარ. დეკემბრის 9, ქკს უოზ. დავთარხედაც წმინდის ევსტატის ყმაზე ვსწეროვ რ.

ქ. მამუკამ წამართვა აშენებული სახლკარი.

ქ. სამი ქვეერი წამართვა.

<sup>1</sup> ზემოდან ჩამატებულია.

ქ. სამი მინალთუნი და ორი აბაზიცი ახლა წამართვა,

ქ. ნასყიდი მამულიც წამართვა.

ზემო აშიაზე: ქ. ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონო, მერმე ამ ორს წელიწადში რაც ბატონის შენისათვის გემსახურნოს და ან წაერთმოს რამე, სწორე გარჩევით მოგვახსენე და პასუხს მაშან მოგცემთ. დეკემბრის თ, ქკს უობ.

ერავლი

verso ქ. ბეცია თარზნიშვილო, ეს კაცი წმინდის ევსტათის ყმათა არის დარჩომილი, სხვას კელი არა აქვს, ხარჯშიაც წმინდა ევსტათის ყმებთან უნდა იყოს და იმათთან [სახე]რებდეს. დეკემბრის თ, ქკს უობ.

ქ. როგორც სხვა ყმები არიან წმინდის ევსტათისა, ისე ესე უნდა იყოს.

ერჯღუ

№ 208. 1785 წ. იანვრის 6-ს. გარდაწყვეტილობის წიგნი, მიცემული პაპუა ნონიაშვილის მიერ ზურაბ მდივანისადმი. დეკანი. 21 × 13 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მსუდრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყრველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი და სამი წერტილი. საქ. საზ. მუხ. ფ. Hd № 2666.

ქ. ესე წიგნი მოგეც მე, ნონიაშვილმან პაპუამ, ძმამა ჩემა თეიღორამ და ბასილამ თქვენ, მდივ-ნს ზურაბს; — ასე რომე ჩვენ და თქვენი ყმა გონიერო დავმოყურდით და ქალი მივეციით. გამოვიდა ხანი და საქმემ ამგვარად მოაჯდინა მოყურობიდამ დაეშორდით, აღარც მე მივეც ჩემი ქალი თქვენს ყმას ვონიერას და აღარც იმან მთხოვა. დღეს და დღეის უკან ამ ქალის საქმეზე აღარც მე მაქუს იმასთან კელი და არც იმას აქუს ჩვენთან კელი. ამგვარად გარდავს წყვიტეთ და ერთმანერთს გული შეგვაჯერეთ. არის ამისი მოწამე პაპუა, გოგინა, მიქელა. მე, ზაალს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი.

ქკს ტოგ, იანვარს ვ.<sup>1</sup>

+ + +

№ 209. 1785 წ. იანვრის 10-ს. მებრეთუხუციობის წყალობის წიგნი, მიცემული ერეკლე II-ის მიერ დავით მეფურისშვილისადმი. დედანი. 94 × 31 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მივდრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 174.

ქ. წყალობითა დ[ავით]ისათა ჩვენ, მეფემან ქართველთამან და მეფემან კახთამან შემკვიდრემან მთავარმან საათაბაგოსამან, მთავარმან ყაზახისამან, მთავარმან ბორჩალისამან, მთავარმან შამშადილისამან, მთავარმან კაკისამან, მთავარმან შაქისამან და მთავარმან შირვანისამან, მპყრობელმან და ბრძანებელმან განჯისა და ერეენისამან მეორეჟან ირაკლიმ ესე წყალობის წიგნი და ფარმანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენს დიდათ ერთგულს და წესისაებრ მრავალგვა-

<sup>1</sup> სათაური: [ნონიაშვილის წიგნი გონიარას შვილის ც. . . ერთმანერთს მოშორდნენ.

რათ ნამსახურს მეფურის-შვილს დავითს;—ასე რომელ წყალობა გიქმენით და შოგობოძეთ მეხრეთ უხუცესობა, მოგაბარეთ ჩვენის არტილერიის ხარები და გაგიჩინეთ წელიწადში ჯამაგირად თორმეტი თუმანი, რომ ყოველს წელიწადს ჩვენის კარის მოხელეებიდამ უკლებლად მოგეცემოდეს. ძველთაგანაც თარხანი იყავ და ახლაც ასე ვაგათარხნეთ, რომ შენს კარზედ მზისა და წვიმის მეტი არა მოდგებოდეს რა, არა სარუსო, არა საქვეყნო, არა ღალა, არა კულუხი, არა ნახირისთავი, არა პირისთავი, არა საბალახე, არა ბეგარა, არა ფოისთანასათხოვარი და გამოსაღები არა გეტხოებოდეს რა. რადგანც არტილერიის ხარების მოვლა თავს გაძეჳს, შენთვის მორიგობაც გვიპატიებია და ერთი შენი ძმა და თუ შვილი, გინა სახლის კაცი, რომელიც იყოს, ნურც ის გამოვა მორიგედ ერთს გარდა. რამდენიც შვილი ძმა და სახლის კაცი გყვანდეს, ისინი მორიგეში უნდა გამოვიდნენ. ეს წყალობაც გიქმენით, ქალაქის მეურმეების უფროსობაც შენ გიბოძეთ ამ წესით, რომ რაც ქალაქისა და ქალაქის გარშემო სოკულების მეურმეებში ურპისა და ხარის საჩივარი მოუხდესთ, იმის სამართალს სისწორით შენ იქმოდე და ერთმანერთს სამართლით გააშველებდე. გქონდეს და გიბედნიეროს ლ[მერ]ტიზან ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შინა. აწე გიბრძანებთ კარისა ჩვენისა გამგენო, ვეჟილ-ვეზირნო, თქვენც ასე დაუმტკიცეთ ბძანება ესე ჩვენი და ნურავინ შლად ჳელჳყოფთ თვინიერ თანადგომისა და შეწევისაგან კიდე. აღიწერა ჳელითა კარისა ჩვენისა პირველის მდივნის თუმანიშვილის სულაიანისათა. იანვრის ი, ქკს უოგ, ქრისტეს განხორციე-

ლებითგან ჩღჳე.

ერეკლე

№ 210. 1785 წ. თებერვლის 28-ს. ბატონყმობის წიგნი, მიცემული ოპანება და ვართანა დოსტიაშვილის მეორე მეთარ სოლომონ თარხნიშვილისადმი. დედანი. 25 × 17 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2677.

ქ. ეს წიგნი მოგართვით მარლიდამ<sup>1</sup> მოსულმა დოსტიაშვილმა ოპანეზამ და ვართანამ თქვენ, თარხნის შვილს მეოთარს სოლომონს და შენს ძმებს;—ასე რომ კურთხეულმა მამაშენმა ყორიასაულბაშმა ზაზამ ქვემოდამ მოგვიყვანა და ჩვენს მოყვანაზე ჯაფა გასწივა. მანამ კურთხეული მამა შენი ცოცხალი იყო, ვმსახურეთ. ის რომ მიიცვალა, ჩვენ შენ აღარ დაგიდეთ თავი და გიჩივლეთ მისის უმაღლესობის წინაშე, მისმა უმაღლესობამ ჩვენი თავი ისევე შენ გიბოძა და ჩვენც ეს წიგნი ასე მოგართვით, რომ ამას იქით ჩვენ და ჩვენი შვილნი შენი და შენის ძმების ყმანი ვართ და ვმსახურით როგორც რიგია ყმის მსახური თავის ბატონისა. არის ამისი მოასილი და მოწამე მეი. არის შვილი ზაზა, (ზაზა). მე, იოანე თურქისტანიშვილმა ოპანეზას და ვართანას სიტყვით დავსწერე და მოწამეცა ვარ ამისი. ფებერვლის 6, ქკს უოგ. ++

<sup>1</sup> სპარსეთშია

№ 211. 1785 წ. ოქტომბრის 26-ს. სითარხნის წიგნი, მიცემული კონსტანტინე მუბრანბატონ სახლთუხუცესის მიერ ხიზანა ხიზანაშვილისადმი. დედანი. 56 X 22 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია :ღაგ-ალაგ თითო წერტილი. საქ. მუზ. ფ. Hd № 2601.

ქ. ნებითა და შეწევნითა რ[ე]თისათა ესე წყალობის წიგნი და ნიშანი დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩვენ, მუხრან ბატონმან სახლთუხუცესმან კონსტანტინემ შენ, ჩვენს ყმას ხიზანას. შვილს ხიზანასა, ძმასა შენსა ლეთისაეარსა, შეილთა ბერსა და მომავალთა სახლისა შენისასა;—ასე რომ მქადის ჯვარს ლეკი ჯარი შეჰოადგა და შენ იმ ციხისა შესვლა-გამოსვლაში მრავალგვარად გაისარჯე და გვემსახურე. რაც გიბძანეთ, ჩვენი სამსახური ათავე. ჩვენც შენი სანსახური მივიჩნივით და მგიერი ესე წყალობა გიყავით რომ გაგათარხნეთ, სითარხნის წიგნი გიბოძეთ. შენგან ჩვენი სათხოვაოი არა გეთხოვებოდეს არა ყულუხი, არა დალა, ერთ ლ.შქარ-ნადირობის მეტი. როგორც სხვა თარხანი კაცნი გვემსახუროს, შენც იმ რიგად გვემსახუროთ. არაოდეს არ მოგეშალოს ჩვენგნით ეს წყალობა, არცა სახლის ჩვენის მომავალთაგან. ჩვენს ეროგულობაში მოგახმაროს ლ[მერ]თ[მა]ნ. ნზრსა და წვიმის მეტი შენს კარზე არავინ იყოს მომდგომი ერთი მზისა და წვიმის მეტი. დაიწერა ესე წყალობის ნიშანი ლეინოებისთვის დამდეგს, ქკს უოზ. სახლთუხუცესო და მოხელეზო, როგორც ამ ჩვენს ნაბრძანებნი ფარმანში (ეს სიტყვები წაშლილია) ეწეროს, თქვენც ამ რიგათ ჩვენი ბრძანება ათავეთ და დაუმტკიცეთ. დაიწერა ესე წიგნი ლეინობისთვის დამდეგს.

ქ. განმგედ მი-  
წოდა მეფემა  
სალთუცად მისმა  
სეფმა, უზოანი ბა-  
ტონი კონსტანტინე

მარჯვენა აშიაზე: ქ. ჩვენ, სარდალ სახლთუხუცესი მუხრანის ბატონი იოანე ვამტკიცებთ ბატონის მამის ჩემის ნაბოძებ სიგელს. მუხრანის მოხელენო, თქვენც ესრე დაუმტკიცეთ. ივნისის თ, ქკს უოზ. იოანე

ქ. ჩვენ, სარდალ მუხრან ბატონი კონსტანტინე ვამტკიცებთ ბატონის პაპის ჩემის და ბატონის მამის ჩვენის ნაბოძებს სიგელს. მუხრანის მოხელენო, თქვენც ესრე დაუმტკიცეთ. ოკტომბრის კვ, ქკს უფ. კონსტანტინე

№ 212. 1785 წ. ოქტომბრის „გასულს“. ყმის დანებების წიგნი, უცნობი პირის მიერ ივანე მჭედელისათვის მიცემული. დედანი. თავი დაზიანებული აქვს. რამოდენიმე სტრიქონი მოხეულია. 30 X 15 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორთი წერტილი. „ა“-მეტი. ს.ქ. მუზ. ფ. Hd № 3710.

ესე წიგნი [მოგეცი] მე .....შვილმა შენ, ივანე მჭედელსა და შენსა ძმასა ბერსა და შვილსა თქვენსა მახარასა და გოგიასა და იასესა;—ასე რომ პაპა ჩემს სა[ა]ქსა ორი საკონბლო მამული ეყიდა ეზატსა(?) გუდალეთს დავით

ზა[ა]ლის-შვილისაგან. ამ ივანე მკედლის მამა ზედ დასახლებულიყო. აწყა ამ ივანეს მკედლის მამა ჯავახეთიდან გადმოსული იყო. მე აღარა მეყმო. ჩემი მამული მე დავიჭირე და ამა კაცს თავი დავანებე, ვისაც უნდა ეყმოს, ნება ხემწითისა არის და თავისი. აწყა ამა კაცთან დღერს იქით არც მე და არც ჩემს სა[ა]მს და იორამს საქმე აღარავისა ქონდეს, არას ჩემს განაყოფსა და ჩემს სახლის კაცს საქმე არავისა ქონდეს ამასთან. არის ამისი მოწამე თავათ ღმერთი და ყოველი მისი წმიდანი და კაცთაგან თავგის-შვილი ტეტია, ბასისა-შვილი გიორგი. მე მუხრანელს მამულას-შვილს ტერ არუთინს დამწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა ოქტენბერს გასულს, ქქს უოგ.

მეორე გვერდზე სხვა ხელით:

ქ. მე, ივანე მკედელ[ა]მა ეს წიგნი ჩემის ნებით ბატონს ჩემს არქიმან[ა]-დ[რი]ტს [მივეცი]. მე წერა არ ვიცოდი და გიორგი მღვდელს დავაწერინე ეს წიგნი. მე გიორგი მღვდელმა დავწერე ივანე მკედელის სიტყვით.

კიდევ სხვა ხელით და სხვა მელნით ქვემო ამოიხე: „ქვაფთახევის“.

№ 213. 1788 წ. აგვისტოს 6-ს. ოქმი, ერეკლე II-ისა თეიმურაზ ჯავახიშვილისა და ვახუშტისადმი. დედანი. 20 1/2 × 7 1/2 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 8480.

ქ. ჩვენი ბძანება არის ჯავახილ-შვილო თეიმურაზ და ვახუშტი, მერე ხანდაკი დამ, გრაკალიდამ, სასირეთი დამ, ყარაღაჯი დამ და ხოვლი დამ ყარაულები უნდა გაიყვანოთ მორიგეები და მთაში უნდა აყარაულოთ. მა[გ]რამ თუ წახდა რამე, მაგ ყარაულებს გარდახდებათ. აგვისტოს 6, ქქს უოგ.

ქ. ორს თვეს უნდა აყარაულოთ.

ერეკლე

№ 214 1786 წ. სექტემბრის 14-ს. ბრძანება მდივან ბეგ იესე ამილახვრისა გიორგი თუშანიშვილისადმი. დედანი. დაზიანებული. 17 × 9 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ალაგ-ალაგ თითო ან ორ-ორი წერტილი. საქ. მუხ. ფ. Qd № 218.

ქ. ძმას ბატონს თუშანიშვილს გიორგის ამილახვარი მდივანბეგი იესე შრაველს მოკიხხვას მოგახსენებთ. მერე ჩემს ყმას სამნიაშვილს შენი ყმის ტერ-მარკოზაშვილის გუთანზედ ხარი შეუბამთ. ახლა კი აღარ უნდომებია მოდგმათ. შენთვის მოგვიხსენებია ახლა. მოდგამის გადგება დიად ძნელი საქმე არის, ახლავ პირობა აქვსთ . . . დადგებათ . . . გას ნულარ გეწყინებთ. ამისთანა სამართალი არ ვარგა, ისევერთად შეაბან. ენკენისთვის იდ, ქქს უოლ (?).

მდივანბეგი  
იესე

№ 215. 1786 წ. ნოემბრის 2-ს. არზა, სოლომონ და დავით აბაზაძეების მიერ მიცემული იულონ და ვახტანგ ბატონიშვილებისადმი, ამ უკან. სკნელთა ოქმით. დედ. ნი. 20 $\frac{1}{2}$  × 10 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. საქ. მუხ. ფ. Hd № 2867.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ ბედნიერის ველმწიფის ძეთ იულონის და ვახტანგის ქირი მოსცეს მათს მონას აბაზაძე სოლომონს და დავითს.

ორი კომლი ჩვენი სამკვიდრო კაცები ბოლოკაძეები მორდალს დიასამიძეს იესესა ჰყავს. ველმწიფე მამის თქვენის ოქმიც გვაქვს და იასაულიცა, მაგრამ იასაულმა თავს არ შეიღო. გვეედრებით, ერთს ოქმისა და იასაულის წყალობა გუიყოთ, როგორც ველმწიფის ოქმში იყოს ბრძანებული, ისე აგვიყაროს და მოგვაბაროს.

გიორგობის. ბ, ქკს უად.

ზემო აშიაზე: ბატონიშვილის იულონისა და ვახტანგის კეთილად სახსენებლო მაჩაბლო გოგიაე, მერმე არზით აბაზაძებს რომ ასე მოუხსენებიათ, ამათ როგორც ბატონის მამის ჩვენის ოქმი ჰქონდესთ. ამათის კაცების საქმე იმ გვარად უნდა გაურიგო. ამაზე ბეჯითად უნდა მოიქცე თუ ჩვენი ხათრი ვაქვს. ნოენბერს ბ, ქკს უად.

იულონ

ვახტანგ

№ 216. 1786 წ. ნოემბრის 23-ს. არზა, მიცემული თევდორე ხახანაშვილის მიერ გრეკელ II-ისადმი. დედ. ნი. 22 $\frac{1}{2}$  × 10 $\frac{1}{2}$  სმ, დაწერილია თეთრ ქალაღზე. განკვეთილობის ნიშანი ნახარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 2972.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ ბედნიერის ველმწიფის ქირი მოსცეს ერთა წმინდელს წმიდის ესტატის ყმას ხახანაშვილს თევდორეს. ათი წელიწადია თავს გაწყენთ და ვჩივით, თარხნიშვილებს უჩივით. ჩვენი სამართალი თქვენგან, თქვენის შვილის გიორგისაგან და მსაჯულთაგან გასამართლებულია, განაჩენი ველთ გვიქირავს, მაგრამ ერთხელ ასეთი იასაული არ გვებოძა, რომ იმათი კერძი კაცი არ ყოფილიყო და ეს საქმე ვაერიგებინა. ახლა ეს არის ჩვენი ვედრება, ერთი ასეთი იასაული გვიბოძოთ, რომ იმ მხრის კაცი არ იყოს იმ ეკლესიისთვისაც იზრუნოს და ქუმმარტების მიმხედველიც იყოს და ამ განაჩენში ბრძანებული აღასრულოს. ღთი გაგიმარჯვებს. ნოენბერს კვ, ქკს უად.

ზემო აშიაზე: ჩვენი ბრძანება არის ეშიკალასბაშო ორბელიანო თამაზ, მერმე ამ არზის პატრონი ასრე რომ ჩივის, შენ უნდა მიხვიდე და როგორც ამათ გარდაწყვეტილობისა და გასამართლებულს განაჩენებში ეწეროს, ისრე უნდა აღასრულო. ამისი დაგდება არ იქნება და ნურც დააგდებ, თორემ იცოდე დიდათ ვიწყენთ, ის სამართალი ხომ ჩვენის შვილის გიორგისა და მსაჯულთაგან გაოდაწყვეტილი არის და ჩვენგანაც დამტკიცებული და როგორც ის განაჩენი უცხადებდეს, სწორედ ისე უნდა აღასრულო. ნოენბერს კდ, ქკს უად. ქ. ეს ჩვენს შვილს გიორგისთან უნდა მიიყვანო და როგორც იმას ვაერიგებინოს და გითხრას, ისრე უნდა აღასრულო.

გრეკელი

№ 217. 1786 წ. ნოემბრის 24-ს. სამართალი ერეკლე II-ისა ქაიხოსრო ტუსის-შვილისა და ლუარსაბ ლოლაძის საქმეზე. დედანი. 32 X 14 1/2 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმაზია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2738.

ქ. ტუსის-შვილი ქაიხოსრო და ლოლაძე ლუარსაბ ერთს კომლს მიჯვარის-ხეველს ციხელაშვილს ნინიასა და თომაზედ სამართალში ლაპარაკობდნენ. ტუსის-შვილი ქაიხოსრო ამას ამბობდა: შანშე ერისთავის შვილს იოანეს შამის ჩემისთვის ციხელაშვილის ნინიასი და თომას პაპა სისხლში მოუცილო. იოანე ერისთავის-შვილისაგან მოცემული წიგნიცა მქონდა და დამეყარგაო, რომ ის წიგნი იოანე მდივანსაც უნახავსო. იოანე მდივანს მოწმობა ვკითხეთ და ასე იმოწმა: წიგნი ჩვენ გვებარა, იოანე ერისთავის შვილის სახელობით იყო დაწერილი და ასომთავრული ბეჭედი იჯდა იოანეს სახელობით, მარა ეს კი სწორეთ არ მახსომს, გლეხის კაცის სახელი რა იყოო. ლოლაძე ლუარსაბ ამას ეპასუხებოდა: ციხელაშვილი ნინია და თომა ჩემი მკვიდრი ყმანი არიანო და შანშე ერისთავს რომ ბატონმა ოქმი უბოძა და რომელიც გლეხი კაცი კახეთის შამულში ქსნის ხეველი ესახლა, აჰყარა, ეს ციხელაშვილიცა მაშინ აჰყარა და წამოიყვანა. თუ ნასისხლად მოცემული გყვანდა იოანე ერისთავის შვილისაგან, რათ დაანებეთო. ოცდაოთხ წელიწადზე მეტი არის მიჯვარის ხეველს მისახლობს და ამის მეტათ არ გრდავნიანო. ჩვენ ყოვლისა საქართველოსა მეფემან ირაკლიმ ეს სამართალი მივეციო, რადგანაც ერისთავის-შვილს იოანეს მიცემული წიგნი არ ჩნდა და არც ასეთი მოწამე ვინმე იყო, რომ დამტკიცებით სწორედ ემოწმებინა, ამისთვის ფიცი განვაჩინეთ. სამართლით ფიცი ქაიხოსრო ტუსის-შვილს ერგო. რადგანც თავადის-შვილი არის, სამართალი ფიცს თავდათავ ქაიხოსროს ამისთანა ცოტას საქმეზედ არ შეახვედრებდა, თავისი კაცნი უნდა დაეფიცებინა. თითონ ქაიხოსრომ იყაბულა, მე დავაფიცამო და ჩვენც ამისთვის ფიცი თავდათავ ქაიხოსროს დავადევით. წადგეს და ასე იფიცოს, რომ ციხელაშვილის ნინიასი და თომას პაპა ერისთავის-შვილს იოანეს შამის იმისისათვის სისხლში მიეცეს, იოანესაგან მიცემული წიგნიც ჰქონოდეს და დაჰკარგოდეს; თუ ასე იფიცა, ციხელაშვილი ნინია და თომა ქაიხოსროს დარჩება და თუ ვერ იფიცა, ლუარსაბ ლოლაძეს დარჩება ყმად. იასაულო ნასახჩიბაშის ნაიბო ვეზირის-შვილო გოგიავე, ეს ასე გარიგე. ნოემბერს კდ, ქქს უოდ.

ქ. ქაიხოსრომ, თუ უნდოდეს, თითონ თავდათავ შეჰფიცოს და თუ უნდოდეს, ორი თავისი კაცი შეაფიცოს. ეუკლე

№ 218. 1786 წ. ნოემბრის 27-ს. ნასყიდობის წიგნი, მიცემული ჯავახ კაციას მიერ ზახა თარხნ-წვილისადმი. დედანი. დაზიანებული. 27 1/2 X 21 1/2 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმაზია ორ-ორი წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2879.

ქ. სახელთა... ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგეცით ჩვენ ჯავახმა კაციამ თქვენ თარხნის-შვილს პატარა ზახას შვილსა და მომავალთა სახლისა თქვენისათა; — ასე რომე დაეტყვევდი, პატრონი არ მყვანდა, თქვენის ლ[ე]თის გულისათვის ლეკის გელისაგან დამიხსენით. არა კაცი შენი მცილდე არ იყოს.

მომიციბა თავად ღმერთი და მერმე ეს ყოველნი ზემოწერილნი წმინდანნი. არის ამის მოწამე თავად ღმერთი [ხოლო კაცთაგან] ამის მოწამე ჯანდიერის-შვილი მამუკა, შიოშ ბაბათაშვილი<sup>1</sup>, კაციაშვილი გივი<sup>2</sup>, მე, სიონელ მღვდელ-შვალაბელ პავლეს დამიწერია და მოწაჲეცა ვარ ამისი. დაიწერა ეს წიგნი გიორგობის კჳ, ქკს ულმდ (?) (ხუთი სტრიქონი აქ აუხეკილია)<sup>3</sup>.

№ 219. 1787 წ. მაისის 14-ს არხა, მიცემული თეოდორე ნახანაშვილის მიერ ერეკლე II-სადმი, ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი. 20 1/2 X 12 სმ. დაწერილი აერთ ქალაღზე მხედრული ხელით. საქ. სახ. მუხ. ფ. Hd № 2977.

ქ. ღმერთ]პან] ბედნიერის კელმწიფის ჰირი მოსცეს ერთა წმინდელს წმინდის ეესტათის ყმას ხახანაშვილს თედორეს. ამღონი ხანი თარხნიშვილმა მამუკამ მაცოდვილა, სულ კარგად მოგეხსენებათ, თქვენის სამართლით, თქვენის შვილის გიორგის სამართლით და მდივანბეგების სამართლით მამუკა გამტყუნდა.

ჩემო კელმწიფე, ჩვენი შეწირულობის წიგნი, მდივანბეგების განაჩენი და თქვენი ოქმი მოპირთმევი. გვედრებით, მდივანბეგების განაჩენი დაგვიმტკიცოთ და ასეთს კაცს მიმაბაროთ, ძალი და უსამართლო აღარავინ მიყოს და ჩემი მამულიცა შეიმაგროს. ღმერთი გაგიმარჯვებს. მაისის იდ, ქკს უოე.

ზემო აშიაზე: ჩვენ მაგიერათ თარხან მინბაშს გიორგის ასე უაშბეთ. მერე წმინდის ესტატის ყმას ხახანაშვილს ამ არხით ასე რომ მოუხსენებია, ეს შენ გებარებოდეს. თვალყური მიუგდე, რომ ამას უსამართლო არავინ რა უყოს, ან მამული არავინ წაართვას, ან ეს არავინ რაზე გასარჯოს. იმ წმიდის ეკლესიის სამსახური როგორც აქეს, ისე მსახუროს სხვა, ნურავინ რაზე გარჯის. თუ სიტყვა ვისმე აქეს, ჩვენ მოგვახსენოს, ივლისის ი, ქკს უოე. ფოეკლე

ქ. რაც ამის მამული ეპიროს ვისზე, ისიც გამოურთვი და მოეც, როგორც მსაჯულთ განაჩენი ჰქონდეს ჩვენგან დამტკიცებული და სარწმუნო მოწამეები უცხადებდეს. ზეითაც დაგვიწერია, თუ სიტყვა აქეს ვისმე, სამართალში მოვიდეს, მაგრამ თუ ტყუილათ ილაპარაკებს ვინმე, იცოდეს დიდათ გარდახდება ალბათ. ფოეკლე

№ 220. 1787 წ. სექტემბრის 25-ს. წერილი სულხანისა (?) მდივან მანუჩარ ბეგისადმი. დედანი. 10 1/2 X 9 1/2 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 11693.

#### მანუჩარ ბეგ

ქ. ბატ[ონ]ო მდივანო.

მეფის ირაკლის თავს ვფიცავ, რომ ეს საწყ[ა]ლი ოსეთა ავათ არის, კვდებია. ამას რა რიგათ უნდა ეთხოვოს მორიგე. ენკენისთვის კე. ქკს უოე. გლახა, არის და ქვეშაგებში არის. ენკენისთვის კე, ქკს უოე.

მეორე გვერდზე. სულხან?<sup>ა</sup>

<sup>1</sup> თავისუფალი ადგილია დატოვებული.

<sup>2</sup> სათაური: ჯაჯახი კაცის ნასყიდობის სიგელი.


<sup>3</sup> ძნელი ამოსაკითხია.

№ 224. 1787 წ. ნოემბრის 4-ს. ოქმი, მოცემული დ-ვით სარდალ-მოურავის მიერ  
ჯავახიშვილისადმი. პირი, გად. წერილი XX საუკუნეში თეთრ ქაღალდზე. საქ.  
მუხ. ფ. Hd № 11553.

ქ. ბატონს ჯავახიშვილს მრავალს მოკითხვას შოვასხენებთ სარდალ-მო-  
ურავი დაეით. მერმე თქვენცა გაქვს ოქმი და ხუთასის თავსაცა აქვს ოქმი ლუ-  
არსაზსა და როგორც მართებულს იყოს და რიგი, ყარაულს ისე დახყენეთ.  
რადგან გამოღმა საციციანოს მხრისა და საქათალიკოზოსი მიმბაში ჩემი ძმა  
გიორგი არის, ამის შუკითხვით უნდა გაარჩეთ და არც თავისი სარგო დაუ-  
კარგოთ. გიორგობისთვის დ, ქკს უოფ.

№ 222. 1787 წ. ნოემბრის 7-ს. პირბის წიგნი, მოცემული დავით აფრიაშვილ-  
ლის მიერ ხალ ყ ფლანის-შვილისადმი. დედანი. 17 × 15 სმ, დაწერილი თეთრ  
ქაღალდზე მხედრული ხელით. ზ ნეკეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ  
ნანმარია თრ-თბი წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2633.

ქ. ეს წიგნი მოგართქვი მე აფრიაშვილმა დავითმა თქვენ ყაფლანის  
შვილს ზაალს;— ასე რომ თქვენი ყმა იყო თიანეთს მოურავთან ორი კომლი  
ზეჩუას-შვილი გოგია, არუთინას-შვილი ნინია. ბატონის ბძანებით მოურავმა  
მოგცა. ზამთარი იყო, ვერ წაასხი. როცა თქვენ ის თქვენი კაცები მე მამა-  
ბარეთ. თქვენი კაცი მოვიდეს, კაცების თავლები მე ვარ თავლები დავითა თქვე-  
ნი კაცი რომ მოვიდეს ასაყრელათ, კელი მოუშართო ურმით და მოგაბარო.  
არის ამისი მოწამე თ[ი]ანეთის ნაცვალი დათუნა. მე, კობიაშვილს მრსეს დამი-  
წერა დავითის სიტყვით და მოწამეც ვარ. აღიწერა ნოემბერს 7, ქკს უოფ. +  
ამთაზე: მე ამის მოწამე თიანეთის მოურავი.



№ 223. 1788. წ. თებერვლის 28-ს. პატების თხოვნის წერილი ქრისოფეორეს  
მიერ ზაალისადმი მიწერილი. დედანი. 32 1/2 × 10 1/2 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდ-  
ზე მხედრული ხელით. განკეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნანმარია თითო წერ-  
ტილი. საქ. მუხ. ფ. Qd № 812.

ქ. მას შალალ ღირსებას ბატონს ზაალს მდაბლად თავს დაუკრავ.  
ბატონო, ბევრიც რომ ველონო, ყმობილამ ვერსად წავივარ (sic), მაგრამ  
მტრის ენამ შემშალა. არ ვიცი ჩემი დაკარგვა უნდოდათ, თუ წახდენა, ბა-  
ტონო, შენს უკეთესი ბატონი ნუ მამცეს. მრავალს სხვას მოსლვია გიჟობა  
და ჯეღობა, ერთი მეც შამივიდა მტრის ენითა, ახლა რაც გინდა ის მიყავ  
ლარიბი ვიქნები, შენი სახელია და მდიდარი ვიქნები, კიდევ შენი სახელია, შენ-  
თან შეცოდება[ს] მე კი ნუ შაპატივებ, ღმერთს აპატივე და დაუთმე. დღეის  
იქით შამობასაც შენგნით გამოველი და შენახვასაც. ბატონო, გინდა წყალში  
ჩამავდე, გინდა ლეკს მიმეცი, რომ მე შენს სიტყვას არ გადავიდ[ე]. ახლა, შე-  
ვიტყე, რომ ჩემთვის კარგი გდომებია, მაგრამ დღევანდლამდინ ბრმა ვიყავი.  
შენი ბძანება ჩემთვის ღ[ვ]ითის წყალობა ყოფილა, მაგრამ მე ვერ შევიტყე.

<sup>1</sup> არ ირჩევა.

დიად დანაშაულობაზე თავი დამიდვია და ნება თქვენი აღსრულდეს. თქვენი და თქვენი შვილის სადღეგრძელოთ მაპატივეთ ჩემი ჯეელობის დანაშაულობა. იებერვლის კს, ქკს უოვ.

თქვენი უღირსი მონა ქრისტეფორე.

versio: ბატონს ზაალს მთავმდაბლად.

№ 221. 1788 წ. იანვრის 6-ს. ზრძანება ბატონიშვილის გიორგისა მამუკა თარხნისშვილისადმი მიუწერილ დედანი 13x15 სმ, დ.წერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 2969.

ქ. ბატონის-შვილის გიორგის სიკეთით სახსნუჯარო თარხნის-შვილო მამუკავ; მერე მისის უმაღლესობის ბრძანებით სამართალში ილაპარაკეთ შენ და მამა ხახანაშვილმა და ორჯელ გამტყუნდი, რომ არც არა ამ ხახანაშვილთან და არც არა ამის ვენახსა და ნასყიდ მამულთან საქმე არა გაქვს რა, რომ ამ ხახანაშვილს განაჩენი ველთ უჭირავს და ეგ თავისი ნასყიდი ვენახი და მამული არ დაგინებუბო და კიდევ ჩვენთან აჩივლებ და არ ანებებ. რას ემართლები? ეგ კაცები რომ დაიფიცებდნენ თავისი ვენახი და მამული უნდა დაგენებებინა და როგორც განაჩენი აუხადებდეს, იმას უნდა დასჯერდე და ამ ხახანაშვილებს ეგ თავისი ნასყიდი ვენახი და მამული უნდა უკლებრივ მასცე, თორემ მისის უმაღლესობის ბრძანების წინააღმდეგეც იქნები და სამართლისაცა და შესს თავადიშვილობას რომელიც არ ეკადრება, ისე ავადაც მოგეპყრობით, თუ კიდევ ეს ხახანაშვილები აჩივლე, აბაზაძე უთრუთ, ეს ახლავ ასე აღსრულე. იანვრის ვ, ქკს უოვ. და გელი უნდა ამართო იმ ვენახს და მამულს და ამ ხახანაშვილს უნდა მოაბარო. გიორგი

№ 225. 1788 წ. იანვრის 14-ს. არხა, მიცემული პეტრე კაკოხას-შვილის მიერ ერეკლე II ის.დმი ამ უკანასკნელის ოქმი: დედანი. დახიან ბული. 21 1/2 x 11 1/2 სმ, დაწერილი მოღურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წვრილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2828.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ ბენდიერის ველმწივის კიბი მოსცეს ყორჩიშვილის ნაყმევს კაკოხას შვილს პეტრეს

თრიალეთზედ რომ ჩვენი კაცი დამარცხდა, მაშინ იქ დავიკარგე ლეკებისაგან. ონანამ დამიხსნა, თქვენი იასაული დამაყენა. სხვა ილაჯი კი არ მქონდა რა, ისევ უკან მივყვანიდი. მადლისათვის ჯავახის-შვილის ივანეს ქვრივმა მიყიდა და ჩემი მამული ბატონს ჩემს ყორჩის-შვილს დარჩა და მე ვინც მიყიდა იმასა ვმსახურებ. ერთი უცოლშვილო კაცი გახლავარ. ახლა იასაული მოსულა და სარუოსა მთხოვს და ხარჯს. მოგესხენებათ, ვისაც მამული უჭირავს, იმას სთხოვენ; ვისაც ჩემი მამული უჭირავს იმასა სთხოვონ. ჩემთან საქმე არა აქვსთ. ერთი გახლავარ, ვინც დამიხსნა ის მიმსახურებს შინა. გვედრები, მოწყალემა მოილოთ, იასაულებმა ჩემზედ ველი აიღონ. იანვრის 10, ქკს უოვ.

ზემო აშიაზე: ქ. ჩვენი ბძანება არის იასაულო მერე ამ კაცს ნურასა სთხოვ, დაეხსენ. უმამულოდ გასყიდულა და უცოლშვილო ტლუ კაცია, ამისი ხარჯის და

შორიგეში გამოყვანა არ იქნება<sup>1</sup>, ამისი მაგიერი ხარჯი ვისაც ამისი შამული დარჩომია, იმას უნდა გამოერთოს. იანერის ა, ქკს უოფ. ქ. იმ მამულმა უნდა მისცეს ხარჯი.

ერეკლე

№ 226. 1788 წ. მაისის 1-ს. არზა, მიტეული თევდორე ხახანაშვილის მიერ ერეკლე II-ისადრი, ამ უყანასენელის ოქმით. დედანი. 19 × 14<sup>1/2</sup>. დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 2970.

ქ. ლმერ]თ[მან ბედნიერის კელმწიფის ქირი მოსცეს ერთაწმინდელს წმიდის ეესტათის ყმას ხახანაშვილს თევდორეს.

ამდენის თქვენის არზის მორთმევით და თქვენის შეწუხებით დიდათ გვეშინიან და გვრცხენიან, მაგრამ რა ვქნა, თარხნიშვილმა მამუკამ და იმისმა ძმამ ზურაბმა ამდენი ოქმი და განაჩნი არ შეიწყნარეს და არათერი გვეშველა ლმერ]თი თქვენს კელმწიფობას განაძლიერებს, ერთი მოწყალება და სამართალი რამ დაგმართეთ და თუ თქვენ ვერ მოიცილიდეთ, ბატონის შვილს გიორგის უბ-ძანეთ ბეჯითის ოქმით, თარხანიც დაისწრას, აფიცოს თქვენი მზე და ჩვენი საქმე გარდასწყვიტოს, რომ თქვენ თავი აღარ გაწყინოთ და ჩვენც ამ მწუხარებას მოგვარჩინოს. ლმერ]თი ვაგიმარჯვებს. მაისის ა, ქკს უოფ.

ზემო აშიაზე: ქ. ჩვენო ლქ]თის წყალობავ შვილო ბატონო გიორგი, ამ არზის პატრონი ასე რომ ჩივის, ამათ საქმეს შენთანაც ხომ გაუვლია და ჩვენც ამთონი ხანია რომ გვაწუხებს. ჩვენგან ოქმები და განაჩენი აქვს, მაგრამ მაინც ამათ საქმეს დასასრული არა მიეცათ რა, ახლა თუ ჩვენი მამაშვილობა გინდა, ის ამისი მოადიც. მიაყვანიხე, რაც განაჩენი და წიგნები აქვს, ისიც მიატანინე, მდივანბეგებიცა და თარხანი მინბაში გიორგიც შენთან დაისწარ, ამათი საქმე კარგად გაჩხრიკე, წიგნებიც გაუსინჯე და ასრე გარდუწყვიტე, რომ სალაპარაკო აღარა დარჩესთ რა და ველარც ილაპარაკონ. იენისის გ. ქკს უოფ.

ერეკლე

№ 227. 1788 წ. მაისის 8-ს. ოქმი ერეკლე II-ისა (?) თეიმურაზ და ვახუშტი ჯავახიშვილებისადმი მიცემული. პირი, გადაწერილი XX საუკუნეში თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 11446.

ქ. ჩვენ მაგიერად ჯავახიშვილს თეიმურაზს და ვახუშტის და ერთობილ ჯავახიანთ ასე უაზბეთ. მერმე თეძამს ქვეითი ყარაულების გარიგება და თავთავის ჩამოსავლის გჭებსა და ადგილებში დაყენება თარხნის შვილს ბეციასა და მალალაშვილს დავითს მოესწერეთ და თეძანს ზვეითი თქვენთვის მოგვიწყერია. როგორც ყარაული გყოლოდესთ დაყენებული, რომელიც ჩამოსავალი ადგილები არის, იმ ადგილებში უნდა დააყენოთ ეს ყარაულები ხოვლიდამ, ყარაღაჯი-

<sup>1</sup> სიტყვები: „და შორიგეში გამოყვანა“ ზრთქო ნაწევლებია, სიტყვა „არ“ სტრიქონს ზემოდან სწერია.

დამ, დოესიდამ, სასირეთიდამ და ხანდაკიდამ სამცხეთოს კაცს გარდა ამ სოფლები-  
ზის მორიგიდამ უნდა გაარიგოთ და ისე დააყენოთ. რომელიც თავთავისი ადგილე-  
ბი საყარაულო აქვს, ყველგან ისე უნდა დააყენოთ. ამაზედ ბეჯითად უნდა მო-  
იქცნეთ და ეს ასე გაარიგოთ. თუ ავად იყარ ულეს, გარდავახდევინებთ. ბეჯი-  
თად და გაფთხილებთ ყადაღა უნდა უყოთ და ისე დააყენოთ. მაისის 17  
ქკს უოგ.

№ 228. 1788 წ. აგვისტოს 6-ს. ოქმი ერეკლე II-ისა (?) თეიმურაზ და ვახუშტი  
ჯავახის-შვილებისადმი მიცემული. პარი, გადაწერილი XX საუკუნეში თეთრ  
ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ.  
მუხ. Hd ფ. № 11453.

ქ. ჩვენი ბძანება არის ჯავახის-შვილო თეიმურაზ და ვახუშტი, მერე  
ხანდაკიდამ, გრაკალიდამ, სასირეთიდამ და ხოვლედამ ყარაულები უნდა გაიყვა-  
ნოთ მორიგები და მთაში უნდა აყარაულოთ, მარამ თუ წახდა რამე, მაგ ყარაუ-  
ლებს გარდახდებთ. აგვისტოს 6, ქკს უოგ.

ქ. ორს თვეს უნდა აყარაულოთ.

№ 229. 1788 წ. ოქტომბრის 9-ს. ოქმი, მიცემული ვახტანგ ბატონიშვილის მიერ  
ჯამასპი ბერბუღლიძისადმი. დედანი. ოდნავ დაზიანებული 10 x 18 სმ, დაწერი-  
ლი მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი  
არ არის. საქ. მუხ. Hd ფ. № 2657.

ქ. ბატონიშვილის ვახტანგის სიკეთით სახსოვარო ვერცხულიძე ჯამასპი.  
მერე ეს ჩვენი ყმა არაგველი სიდა თავისის ცოლშვილით და საქონლით ამ  
თარხნიშვილს სოლომან მეითარისათვის და ამისის ძმის ყორიასაულ ბაშის  
დავითისათვის ყმათ გვიბოძებია და სადაც უნდა იდგეს ეს კაცი, შენ აუყარე  
და ამათ მოაბარე და ამათ საცა ნება ჰქონდეს, იქ დაასახლონ. ეს ჩვენგან  
ბძანებული ამათ ასრე უნდა აღუსრულო.

ოქტომბერს თ, ქკს უოგ.

№ 230. 1788 წ. ნოემბრის 25-ს. არხა, მიცემული ზაზა ტიციშვილის მიერ საქარ-  
თველოს პატრიარქანტონ II-სადმი, უკანასკნელის ოქმით. დედანი. 20 x 16, სმ და-  
წერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარია  
ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2941.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ მისი უწმიდესობის, საქართველოს პატრიარქის კირი  
მოსცეს მათს მონას ტიციშვილს ზაზას. ამას მოვახსენებთ, რომ ერთი კომბლი  
კაცი მყვანდა, წავისიდამ ამყარა, ხაშხუდა ჩავიდა. აგერ ერთი კვირა ჩავედი  
მე, ხაშხულებმა ხიზანი საყდარში შეიყვანეს და კაცები იარაღით წვერზედ აგ-  
ზაენეს, იქაური ღვდლები ქომავათ ყავსთ იმ ჩემს კაცებს; თუ სულიერათ და-  
ნაშაული მაქვს რამე, თქვენთან სამართალში მამყვენ და თუ ხორციელი და-

ნაშაული მაქვს რამე, ბედნიერს ველმწიფესთან მამყენენ. თუ არა და ჩემს ყმას ხაშმელებზე რა საბუთით მართმევენ. ვინც საყდრის კარი გაულო და ჩემი ყმა შეასხა, მერმათ უჩივი. ერთის ოქმის წყალობაში მიბოძეთ, იქაურს ღვდლებიცა და სოფლის მოხელეცა აქ ჭრახლენ და ის ჩემი კაციც აქ ჩამოიყვანონ, რაც სიტყვა აქვსთ მოგახსენონ. ნება მათის უწმინდესობის არის. ვიორგობის კდ. ქკს უოვ.

ზემო აშიაზე: ქ. ყოვლისა საქართველოს პატრიარხი მეფის ირაკლის ძე ანტონი გიბრძანებ ხანშზე მცხოვრებნო მღუდლებო და მაგ სოფლის მოკვლენო, მერე ამ ხანა ცოციშვილის კაცი თავისის ხიზნით ეკკლესიაში რომ შესულან, ახლავ გამოიყვანეთ, აქ ჩამოასხით და თქვენც თან ჩამოჰყევით და ჩვენს სამართალში ელაპარაკეთ, რომ რის მიზეზით ართმევთ მაგ ერთს კომლს კაცსა, ან თავიანთ თავით შეწირვა როგორ შეუძლიათ. თუ თავისის მებატონის ნება არ არის. ახლავ აქ ჩამოასხით და თუ სიტყვა გაქვსთ რამე, ან თქვენ და ან მაგ კაცს, ჩვენ წინ ელაპარაკეთ, თორე ჩვენის იასაულებით ჩამოგიყვანთ.

ნოემბრის კვ. ქკს უოვ.

კათალიკოზი<sup>1</sup>.

№ 231. 1769 წ. იანვრის 17-ს. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ერასტი ამილახორიშვილის მიერ გივი ნათალ. შვილისადმი. პარი, გადაწერილი XIX საუკუნის პირველ ნახევარში — ქალაღის ჭკორნიშანი 1822 წელია. საქ. მუხ. ფ. Hd № 2253.

ქ. ნუბითა და შეწვენითა მღთისათა ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგირწრე და მოგეც მე ამილახრის-შვილმა ერასტიმ, შვილმან ჩემჰან ავთანდილ და ელიშერ თქვენ, ფარეშთ უხუცესს ნათალიშვილს გივს, შვალსა თქვენსა გიორგის, გოჩჯასპის, გრიგოლს და სვიმონს;—ახე რომე ჩემი ყმიშვილი კარბელი გულისადებაშვილი ზურაბ ამ ქამად ამეყარა და კახეთს გამოვიდა და თქვენთან მოსულიყო და თქვენი თავი ერჩივა. მე დიდის ცდით ვეცადე და ის აღარ გამომევა და აღარც ჩემი თავი ინდომა. ავდექ და ისევე თქვენვე მოგიდე. აურღე ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩემი გული შესჯერდებოდა. ღმერთმან ისე მოგახპაროს, როგორათაც სხვას აღალს მონასყიდეს მოხმარებოდეს. არაეინ იყოს ამისი მცილე. თუ ვინმე წამოგედაოს, პირისა და პასუხის გამტეში ჩვენ ვიყნეთ. არის ამისი მოწამე მაჩაბელი ლუარსაბ ლუარსაბ.

ჩოლოყაშვილი ნაზირი დიმიტრი დიმიტრი, ჩვენი აზნაურიშვილი ყან. ჩელი ქაიხოსრო და მე იოსებ მაღალაშვილს კათალიკოზის მდივანს ამა. ერასტი ამილახორიშვალის სიტყვით დამიწერია და მოწამეცა ვარ იოსებ. აღიწერა იანვარს ივ, ქკს უოვ. ერასტი

<sup>1</sup> ბვეულად.

№ 232. 1789 წ. თებერვლის 17 ს. წყალობის წიგნი ფარნავაზ ბატონიშვილის მიერ ბესარიონ ალექსის-შვილისადმი მიცემული. პირი, XIX საუკუნის დასაწყისისა, დაწერილი მოღურჯო ქალაღბე. განკვეთილობის ნიშნად აღგა-აღგ ნახმარია თითო წვრიტილი. საქ. მუხ. ფ. Qd №366.

ქ. წყალობითა ლ[ვთ]ის[ა]თა..... მეფისა ირაკლისა ძემან პატრონმან ფარნავაზ და თანამეცხედრემან ჩუშმან ქსნის ერისთვის გიორგის ასულმან ანანამ უკუნისამდე ფაშთა და დროთა გამოსადეგი მტკიცე და უცვალებელი წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ შენ ჩუშნს ერთგულს და თავდადებით ნამსახურს აზნაურშვილს ალექსის-შვილს მღუდელს ბესარიონს, ძმასა შენსა ანდრიას, იაკობს, გაბრიელს, ნინიას, ბიძაშვილს თქვენს სოლომონს, ძმისწულსა თქვენსა დიმიტრის და მომავალთა სახლისა თქვენისათა; — ასე რომე ავის დროს მიზეზით თქვენს მამულს ველარ უდგებოდით და მამულის წყალობას დაგვეაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ ჩვენი სახასო ყმის ამ აწყვეტილის ატენელის<sup>1</sup> აფქარაშვილის ბეციას ბეითალმანის მამულიდამ ხადის თავს სავენახედ სოფლის ახლო ექვსის დღის მიწა და თუ სოფლის ახლოდამ არ შეგისრულდეს, მინდვრიდამ უნდა ეს ექვსის დღის მიწა-შეგისრულდეს. გქონდეს და გიბედნიეროსთ ლ[მერ]თ[მან] ჩუენსა ერთგულსა და სამსახურსა შინა. არა მოგეშალოს ჩვენგან და არცა შემდგომთა მებატრონეთაგან.<sup>2</sup> აწე გიბრძანებთ კარისა ჩვენისა მოხელენო<sup>3</sup> და მოსაკმენო, წყალობა და ნიშანი ჩვენგან ბოძებული თქვენცა ასრევე დაუმტკიცეთ და ნურაეინ შლად კელყოფთ. აღიწერა კელითა ჩვენს აზნაურის შვილის მეღვინეთ ხუცი-შვილის პაატისათა. თვესა თებერვალსა იწ, ქქს უჭზ.<sup>4</sup>

№ 233. 1789 წ. აპრილის 23-ს. ყმობის წიგნი გლაზა ოდიშელიძის მიერ გიორგი ტაიციშვილისადმი მიცემული. დედანი. 31 × 12 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღბე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 2832.

ქ. ესე ნასყიდობის წიგნი მოგართვი მე ოდიშელიძე გლაზამ თქვენ ციცი-შვილს მიმბაშ გიორგის, ძმასა შენსა უფროს ბატონს სარდალს ქალაქის მოურავს დავითს, ძმასა შენსა კოსტანტინეს, ძმისწულსა შენსა ალექსანდრეს და იოვანეს, კიკოლას, მომავალთა სახლისა თქვენისათა; — ასე რომე დავიკარგე ქვეყნის გულისათვინ ყარაულათ, სტამბოლ ჩამიყვანეს ტყვეთ. ლ[ვ]ითით იყო თუ კაციით იყო ერთს უღთოს კაცა წამოყვევ სტამბოლიდამ. რაც სულს აქეთ მქონდა, ასოცი ყურუში გზაზედ გამცარცვა და წამართვა, კიდეც მკლევდა. მამიყვანა ახალციხეს და კიდეც გამყიდა, ქიაბგეს მიმყიდა, ისევე უკან გამაბარუნეს. როდესაც გამყიდეს, ერთმა ღთიანმა აღამიანმა მითხრა თქვენი ახალციხეს ბრძანება. გამოგზავნე ის დედაკაცი და შემოგებეწე, რო „მიშველე რამე შენი ღთის გულისათვინ“, მეორე ტყვეობისაგან შეგცოდებოდი და ჩემი ხვეწნა შეგესმინა,

<sup>1</sup> ზვიდან ჩაწერილია სხვა მეღვინეთ „ამოწყვეტილის“.

<sup>2</sup> ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები წაშლილია და წაშლილის ზემოდან ჩაწერილია განსხვავებული მეღვინეთ: „ბოძებული წყალობა ესე“.

<sup>3</sup> ეს სიტყვა წაშლილი სიტყვის — „გვიკლნო“-ს ზემოდან განსხვავებული მეღვინეთ სწერია.

<sup>4</sup> verso-ს მარცხენა აშიაზე ცალკეული ასოები.

ჩასულაგეჲ ფაშასთან, ჩემი თავი გეტხოვნათ ფაშისათერ. ფაშას ებძანებინათქვენთერ: „თუ გინდა ამ შენს ორს ტყვეს დაგიხსნი და მოგცემო და თუ გინდა ამ კაცს მოგცემო“. მე დიახ შეგაწუხე და შეგალონე, შენც შეგეცოდე როდესაც შეწუხებული მნახე და შენის ორის კაცისაგან კი ველი აილე და მე კი დამიხსენ შეროტე ტყვეობისაგან, ჩემი თავი ჩრჩუ და შენის ყმებისაგან ველი აილე და ფაშამაც ჩემი თავი გიბოძათ. თუ რომ ჩემი გულის მოტიყარი პატრონი გამომიჩნდეს და როგორც გაჰყიდეს სახსარი მოგცეს შენ ჩემთან ველი არ გექნება და თუ ვერაფერ დამიხსნა და სახსარი ვერ მოგცეს, ვერც სხვამ და ვერც მე, შენო ნასყირდი ყმა ერყო მე ჩემი ცოლითა, რაც მყავს ამ შეილებს გარდა, რაც ამას იქით ღმერთმა შეილები მამცეს იმ შეილებით და ცოლით შენო ყმა ვიყო. ვინც ეს წერილი მოშალოს თუ არ იმის მიზეზითა რაც ანაში სწერია, მასაც რისხამს... დამხდური კაცთაგან ორჯონიკიძე გოგია, ტატის-შვილი პაპუნა, ქეშელას-შვილი პავლე, ელგანდაშვილი შიო და მე გორელს დოისნვილს ტერ შინასას დამიწერია ოდიშელიძე გლახას სიტყვითა და იღრაჩით და მოწამეცა ვარ. აღიწერა აპრილის კვ ამდენს, ქკს უოზ.

№ 234. 1789 წ. მაისის 20-ს. წყალობის წიგნი, ანტონ II კათალიკოსის მიერ სარდალ იოანე გედეონის-შვილის-დმი ბოძებული. თავში დახ ანებული. დედანი. 59x32 სპ., დამწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად აღაგაღაგ იხმარება წერტილი ან მძიმე; საქ. მუხ. ფ. Hd № 5938

წყალობითა ღმრ...  
ჩუენ ზეგარ.....  
..სრულიად საქართველოს...

..თა და დროთა გასათავებელი წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქმენ კათედრისა ჩქმნისა კათოლიკე ეკლესიისა სუეტისა წმიდისა მკვდრთა ყმათა ახნაურთა გედეონის შვილს სარდალს იოანეს, ძმის წულსა შენსა ერასტოს და გედეონს, შჯლსა შენსა დავითს და ვახტანგს და მომავალთა სახლისა თქმენისათა ყოველთაგე; —ასე რომ მოხტმდით კარსა შალატისა ჩვენისასა და დისევის მოურაობას გვეაჯენოთ და ჩემს უწულილესის გამოძიებით და ქეშმაჩიტის სამართლის განქსჯით გამოვიძიეთ და განტახილეთ ამისთჳს და ნეტარ ხსენებულის ბიძის ჩქმნის კათოლიკოსის ანტონის მიერ ნაბოძბი წყალობის წიგნი და სიგელი ბეჭდით დამტკიცებული გქონდათ ამ დისევის მოურაობისა და ჩქმნც ვისმინეთ ვედრებითი თხოვე თქმენი და აწ მეორედ განგიახლეთ და დაგიმტკიცეთ და გიბოძეთ დისევის მოურაობა ყოვლის კაცის უცოლებელად და წამოუსარჩლელად. რომელიც სიგელი თვინიერ ამისსა გამოჩნდეს ვისგანჲე, სიგელმანამან გააბათილოს. გქონდესთ და გიბედნიეროსთ ღმერთმა ეკლესიისა და ჩქმნსა ერთგულობასა დასამსახურსა შინა და არა მოგეშალოს არა ჩქმნგან და არცა ჩვენსა შემდგომთა ჩქმნთა მოსაყდრეთაგან. ხლოლ დამამტკიცებლნი ამისნი იკურთხნეს უფლისა მიერ აქრამედ თქმენ, ყოვლად სანატრელნო კათალიკოზ პატრიარხნო რომელიცა შემდგომად ჩქმნსა იქნებოდეთ, თქმენცა ესრეთვე დაუმტკიცეთ, რათა თქმენიცა გაგებული მტკიცე ჰყოს ღმერთმა. არიან ამისნი დამხდომნი ერთობით მცხეთის

შკლნო. დაიწერა ინდიკტიონსა პატრიარხოზისა ჩვეენისასა ა განკვორციელე-  
ბითგან სიტყუსა ჩღბთ, თთჳსა მისისა კ, ქკს უოზ, ჳელითა მისის უწმიდესო-  
ბის მონის აღექსის ძის ანჩისხატის დეკანოზის უღირსის სოლომონისათა.

№ 235. 1789 წ. იენისის 1-ს. არზა, ზაალ დავითიშვილის მიერ ანტონ კათალი-  
კობისადმი მიცემული ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი. 22x15 სმ., დაწერილი  
თეთრ ქაღალდზე მწვედრული ხელით. განკვეთილობას ნიშნად ყოველი სიტყვის  
შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2900.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ შათის უწმინდესობის მეფის ძის პატრიარქის ქირი  
დავითიშვილს ზაალს მოსცეს. მერმე ამას მოგახსენებ შათს უწმინდესობას:  
ერთი ჩემი კაცი ხუციშვილი გიორგი ოქროს გახლდათ. იქ ბიძა გიორგის ეძა-  
ხიან, შარშან მისის სიმაღლისაგან ოქმი მებოძა საგინაშვილს ზუაზე, აუარე,  
და მოეცო და თუ სიტყვა ქონდეს რამე, ჩვენ მოგვახსენოს. აქ სამართალში  
გიახლათ ბატონთან, გაუამტყუნე. მასუკან ბატონის დედოფლისათგან არზა-  
მიერთმია. ვერცა რა პასუხი იქიდან გამოიტანა[ნა] რომ ტყუოდა. მე იმ ეამათ  
ავათ გაეხდო, გაეპარა. ახლა ბატონს დედოფალს მოგახსენე ოქმი, მიბოძა ამავე  
საგინაშვილზე და ის ჩემი კაცი ალავერდს ჩასულა თავს შეუსწირამო. იასაულს  
თქვენის მორიდებით იქ ხელი ფლარ შეუხია. მოგეხსენებათ, თავის თავათ კა-  
ცი თავს ვერ შესწირამს ეკლესიასა. ამ წყალობას მოველი თქვენის უწმინდე-  
სობისაგან, ერთი ოქმი მებოძოს ამავე საგინაშვილს ზუაზე, როგორც ბატონის  
დედოფლის ოქმი აცხადებდეს, ის კაცე ამიყაროს, მომბაროს და თუ სიტყვა  
აქეს რამე, ჩამოვიდეს და სამართალში მელაპარაკოს. ლ[მერ]თი გადღვეგრძე-  
ლებსთ, ოქმის წყალობა მიყავით. თიბათვის ა, ქკს უოზ.

ზემო აშიაზე: ქ. ყოვლისა საქართველოს პატრიარქი და ალავერდელი მი-  
ტროპოლიტი მეფის ირაკლის ძე ანტონი გიბრძანებ საგინაშვილო ზუაზე, მერმე  
ზაალ დავითიშვილს ერთი კომლი კაცი აყრიდა და ალავერდს ჩასულა. როგორც  
იმისის უმაღლესობის ბატონის დედოფლის ოქმი გიცხადებდეს, ეხლავ აუარე  
ვე კაცი და პატრონს მოგვარე, ამიტომ რომ თავის თავათ ეკლესიას თავს ვერ  
შესწირავს თუ პატრონმა არ შესწირა. ახლავე უნდა აუყარო და მოაბარო, თუ  
სიტყვა აქეს რამე, ჩვენ მოგვახსენოს. თიბათვის ბ, ქკს უოზ.

კათალიკოზ<sup>1</sup>

№ 236. 1789 წ. იქლისის 11-ს. სამართალი დაშქარწავის ომან და მდივან ესაგისა  
ზაალ გოსტაშაბიშვილის საწისქვილოების ს ქმეზე. დედანი. 16x10 სმ, დაწე-  
რილი თეთრ ქაღალდზე მწვედრული ხელით. განკვეთილობას ნიშნად ალაგ-  
ალაგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2304.

ქ. ჩვენ, დაშქარწავის ომან და მდრვანი ესავ მისმა უმაღლესობამ ბედ-  
ნიერმა მეფემ ლოლონის საწისქვილოების გაშასინჯავათ გამოგვეზავნა, რომ  
გოსტაშაბიშვილებს ზაალისათგან ორი საწისქვილო უნდა ეჩვენებინათ ლოლო-

<sup>1</sup> ხეუღლად.

სათაური: თიბათვის ბ, ქ[ორინი]კ[ონ]ს უოზ მისი უწმინდესობის ოქმი.

ფნის მიწაში და თუ ვერ უჩვენებდნენ, გოსტაშაბიშვილის ტეტისა წისქვილს რომ არის გაკეთებული, იმაზე ხელი უნდა აგვემართა და ზაალისათვის მიგვებარებინა და მასუკან ბატონთანა და მდივანბეგებთან უნდა ელაპარაკნათ. გოსტაშაბიშვილები გაგვიძღვნენ წინა და ოთხს ადგილს საწისქვილოები გვიჩვენეს. ერთი თითონ ზაალმაც იყაბულა აქავე თავსა. იმის ქვეით ერთი გვიჩვენეს, და მალუმი არ იყო. კიდევ იმის ქვეით ერთი პატარა რუსხმული გვიჩვენეს, რომ ის დიდს რუზე არ იყო, ქვეით იყო ქალის მხრისკენა და იქ ამბობდნენ: აქ საწისქვილო იყო და წყალმა წაახდინაო. იმ რუსხმულისას ზაალ ამბობდა, ეს რუსხმული მე გავაკეთე ბოსტნებისათვის და მაგდენი არცა რა ჩნდა, მეოთხე ბოლოს გვიჩვენეს დიდს რუზე და იქ საწისქვილო ადგილიც კარგი არის და სახლის ადგილიც ეტყობა, მაგრამ ზაალ შორ იქერდა ეს თარაქამის გაკეთებული სახლი ყოფილაო, თორემ აქ წისქვილი არა ყოფილა და გოსტაშაბიანი ამბობდნენ: სწორეთ ნაწისქვილარი არისო და ჩვენ ამაზე ეჭვი შეგვივიდა. ზაალს ფიცი დაეადევით. ზაალმა თუ ორი კაცი შეაფიცა, რომ ამისმა მადლმა ეს ნაწისქვილარი არც იყოს და ტყუილათაც არქმევდეთო და კიდევ თარაქამის ნაგომურალი იყოს, თუ ასე შეაფიცა ბატონის ბრძანებისაებრ ტეტისა წისქვილზე ხელს ავმართავთ და ზაალს მივაბარებთ და მასუკან ბატონის ნება არის და თუ ვერ დააფიცა ორი კაცი და იმ ორს ხარაბის წისქვილს უნდა დასჯერდნენ, რომელიც გოსტაშაბიანთ უჩვენეს. [მ.]კათათვის ია, ქკს უოზ. ქ., დავითავ და პეტრევე, ეს კაცები თქვენ უნდა დააფიცებინოთ ზაალს

ომან

ესავ.

№ 237. 1789 წ. ივლისის 23-ს. განაჩენი მდივანბეგთა ზაალ ყაფლანიშვილისა და გოსტაშაბიშვილების საქმეზე. პირი, გადაწერილი XIX საუკუნეში.  
საქ. მუხ. ფ. Hd № 8762.

ჩვენ, მეფე ქართლისა და კახეთისა ირაკლი მეორე ამ განაჩენს ვამტკიცებთ. კათათვის კვ ქკს უოზ.  ყაფლანიშვილი ზაალ ჩიოდა:

ლოლოენა გოსტაშაბიანთგან ნასყიდი პაქესო და ლოლოენის მამულში გოსტაშაბიშვილმა ტეტამ წისქვილი დააბრუნაო და ისი სქამსო. ამისას გოსტაშაბიშვილები ასე უპასუხებდნენ: ლოლოენის ნასყიდობას რომ ამბობო, იმაშიც სიტყვა გვაქვსო და ეს წისქვილი რომ გავაკეთეთო, ეს ქოთიშის მამულში არისო, შენ ამაში რა საქმე გაქვსო. ამაზე ბევრი ლაპარაკები იყო და არც ერთის მხრიდან არც ერთი მოწმები არა ჩნდნენ, რომ ქოთიშისა და ლოლოენის მიჯნა მოწმით გარჩეულიყო და რადგანც ის წისქვილი დღეს გოსტაშაბიანთ ხელთ უჭირავსთ, ფიცი გოსტაშაბიშვილებს დაეადევით. წადგეს გოსტაშაბიშვილი ზაზა თავისის ერთის შვილით და გოსტაშაბიშვილი ტეტია უზბაში თავისის ერთის შვილით, ხატი აასვენონ და სადაც ეფიცებოდესთ და იცოდნენ ლოლოენისა და ქოთიშის მიჯნა, ამაზე შედგნენ და ზეთის წვერიდამ ქვემოთ აღგეთამდნენ<sup>1</sup>

<sup>1</sup> სწერა: ალყთამდინ

ჩამოიფიცონ და ასე თქვან: ამისმა მადლმა და განმაცხოველებელმა ღმერთმა, რომ ამის ზემოთ დასავლეთის მხრისაკენ ქოთიშის მამული არის და აღმოსავლეთის მხრისაკენ ლოლოვნისა. როდესაც გოსტაშაბიშვილები ლოლოვნისა და ქოთიშის მიჯნას ფიცით ასრე გაარჩევენ, მასუკან ის წისქვილი თუ ქოთიშის მამულში დარჩება, ყაფლანიშვილი ზაალს საქმე არ ექმნება რა და თუ ლოლოვნის მამულში დარჩა ის წისქვილი და ყაფლანიშვილს ზაალს უნდა მიჰბარდეს. ამ წისქვილის ბარობაზე თუ რამ ან განაჩენი არის დაწერილი და ან ოქმები მისის უმაღლესობისაგან და ან მსაჯულთაგანა და ან სხვის ვისგანმე, ყველა დბგვიყენებია და ამ წისქვილის საქმე ასე გადაგვიწყვეტია და ლოლოვნის ნასყიდობის წიგნი რომ ყაფლანიშვილს ზაალს აქვს და გოსტაშაბიანთაც სამართალში ულაპარაკნიათ და განაჩენი და წიგნები აქვსთ, ისინი კი ორთავ მოდავეთ ამ სამზღვრის გარჩევის უკან ჩვენთან მოიტანონ და იმის სამართალსაც განვსჯით. თურქისტანიშვილო იოანე, ეს როგორც განგვისჯია ასე აღასრულე-

ბინეთ. ივლისის კვ, ქკს უოზ.



მისის უმაღლესობის ბრძანებით და ამ განჩინების ძა-

ლით მე იოანე თურქისტანიშვილი ამათი მოასილი ვიყავ და როგორც ამ განაჩენში სწერია, ისე დაიფიცა ზაზამ და ერასტიმ თავეთის შვილებით. ჯვარი, სახარება და ხატი ხელთ ეპყრათ და ისე დასავლეთის მხრიდან წამოვიდნენ ფიცით. ალგეთის პირამდინ ჩაიფიცეს, დადი ღრმალეღელი რომ არის, იმაზ[ე]დ ჩაიარეს, წისქვილი ქოთიშისაკენ დარჩა. ახლა წისქვილი რომ ბრუნამს, იმ წისქვილის აქეთ ღრმა ღელე რომ არის, იმაზ[ე]დ ჩამოიარეს და სამძღვარიც ღრმალეღე დაიდო, რომ ამ ფიცში დაისწერნენ: დავეთ გერმანოზიშვილი, ბაგრატის-შვილი ქაიხოსრო და მღვდელი აბრამ. ამათის თანდასწრებით ასე იფიცეს და სამძღვარიც ეს ღელე დაიდო. ივლისის კვ, უოზ. (იოანე). ჩვენ საქართველოს უფლის-წული მეფის ძე გიორგი ამ მსაჯულთ განჩენილს სამართალს ვამტკიცებთ. მკათათვის კვ, ქკს უოზ.



ჩვენ ბატონიშვილი მეფის ძე იულონ ამ სამართალს ვამტკიცებთ, მკათათვის კვ, ქკს უოზ.



ასლთან თანასწორ არის სოვეტნიკი თა[ვადი] დიმიტრი თარხანოვი. სოვეტნიკი თა[ვადი] დიმიტრი თარხანოვი.

სიგელი მივიღე, თა[ვადი] დავეთ ბარათოვი.

ლოლოვნისა.

ქოთიშისა და ლოლოვნის მიჯნის განაჩენია მეფე ირაკლისაგან დამტკიცებული. ეს სიგელი ნამდვილი არის წარდგენილი მეხუთე მეფევის კამისიაში 1866 წელს ივნისის თვეშია.

№ 238. 1789 წ. აგვისტოს 24-ს. სურათის მიზაზეების წიგნი. მიცემული აზბარ-  
დარის მიერ როსტომ ერისთვისშვილის ყმის ივანესადმი. დედანი. 3x11სმ დაწე-  
რილი თეთრ ქაღალდზე მკედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ  
არის. სპ. მუხ. ფ. Hd № 11968.

ქ. მიშებარა ამბარდარს ქიწნელიდამ როსტომ ერისთვის-შვილის კაცის  
ივანეს ხელით შეიღო კოდი და ორი ლიტრა, მარიამობის კლ, ქქს უოზ.

შეორე ვგერდზე კუთხეში: <sup>1</sup>

№ 239. 1789 წ. სექტემბრის 17 ს. ოქმი ერეკლე II (?) ვახუშტი ჯავახიშვი-  
ლისა და სვიმონ მაღალაშვილისადმი. პირი, გადაწეოილი XX საუკუნეში რვეუ-  
ლის თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ  
არის. სპ. მუხ. ფ. Hd № 11526.

ქ. ჩვენი ბძანება არის ვახუშტ ჯავახიშვილო<sup>2</sup> და სვიმონ მაღალაშვილო<sup>3</sup>.  
შერამე ამ სიითეს მორიგე ყარაულისთვისაც (sic) აწერია თვე და თვე ეს ასე  
უკლებრად უნდა გამოიყვანო ერთის თვის თავისის ნუხლით თოფსა და იარა-  
ლით გაწყობილი კარგი ყაჩაღი კაცი თავთავის ბელადს შიბარონ, რომ კო-  
შორამე ისე არს კაცის დაკლება არ იქნება. თუ კაცი დააკლდა და ამ გზაზედ  
წახდა რამე, იცოდე დიდათ გარდაგხდება. სექტემბრის იზ. ქქს უოზ. ამ ბელა-  
დებთან ეს მორიგები რომ მიგვიჩენია, ის კაცი არც ბერსკაცობით უნდა იყვ-  
ნენ შეუძლებელი და დაშავებული და არც სნეულები, თუნდა შეუძლებელი კა-  
ცი უნდა იყოს, რომელიც მებატონემა და მოხელემ ეს მთლად არ გამოიყვანეს,  
ის მებატონე და მოხელე და ის სოფელი ჯერ მღვ[?]თისა და სარწმუნოების მუ-  
ხანათია, შერამე ჩვენი და ქვეყნის და ის კაცი სასიკვდილო არის და კიდეც  
უნდა ვარდახდეს, ამისთვის რომე ქრისტიანობისა, ჩვენი და ჩვენის ქვეყნის  
მუხანათი იქნება და ესეც უნდა გარდახდეს. რომელიც მთლად არ გამო-  
იყვანს. რომელიც ამ სოფელში დგანან ხიზანიცა და მემკვიდრეც, ასე უნდა

გამოიყვანოთ

- ქ. ჯავახიანთ მხრის მორიგე ყარაული კაცი შესწერდა:
- ა. ქ. ლეინობისთვისა კარბმა კაცი,
- ა. ქ. მერეჟმა კაცი,
- ა. ქ. ახრისმა კაცი,
- ა. ქ. გიორგობისთვისა ზერტმა კაცი,
- ა. ქ. კვარამითა კაცი,
- ა. ქ. ქვახრელმა კაცი,
- ა. ქ. ქრისტეშობისთვისა დოესნა კაცი,
- ა. ქ. ზემო ხანდაკმა კაცი,

<sup>1</sup> არ იწიგვა.  
<sup>2</sup> სწერია: ჯავახიშვილი.  
<sup>3</sup> სწერია: მაღალაშვილი.

- ა. ქ. ხოვლემ კაცი,
- ბ. ქ. იახვრისა უფლისციხემ კაცი,
- ა. ქ. კარბმა კაცი,
- ა. ქ. მერეთმა კაცი,
- ა. ქ. თებერვლისა ახრისმა კაცი,
- ა. ქ. ზერტმა კაცი,
- ა. ქ. ქეხრელმა კაცი,
- ა. ქ. მარტისა დოესმა კაცი,
- ა. ქ. ზემო ხაჩდაქმა კაცი,
- ა. ქ. ხოვლემ კაცი,
- ა. ქ. აპრილისა უფლისციხემ კაცი,
- ა. ქ. კარბმა კაცი,
- ა. ქ. მერეთმა კაცი,
- ა. ქ. მათისს ახრისმა კაცი,
- ა. ქ. ზერტმა კაცი,
- ა. ქ. დოესმა კაცი,
- ა. ქ. მთიბათისა მერეთმა კაცი,
- ა. ქ. ზერტმა კაცი,
- ა. ქ. ხოვლემ კაცი,
- ბ. ქ. მკათაძისა ხოვლემ კაცი,
- ა. ქ. უფლისციხემ კაცი,
- გ. ქ. მარიამობისთვისა ხოვლემ კაცი,
- ბ. ქ. ენკენისთვისა ხოვლემ კაცი,
- ა. ქ. უფლისციხემ კაცი,

№ 240. 1789 წ. ოქტომბრის 3-ს. არხა, მიცემული გიორგი შირხა იბრემას-შვილის მიერ ერეკლე II-ისადმი ამ უკანასკნელის ოქმით. ედანი. კიდეებში ოდნავ დაზიანებული. 21x11 სმ, დაწერილი მომწვანო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახვარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Qd №784.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ ბედნიერის ტელმწიფის ქირი მომცეს შირხა იბრემას შვილს გიორგის ნასაღი ბაშის ნაიბს. ჩემო ტელმწიფე, ორს ოსიაურელს კაცს კოჩაძეს და მეტივისშვილს ვენაგები დაუყიდათ. თუ იმ კაცს ვალი მართებსთ და ან ეჭირება, მოვიდეს, მოგახსენოს და მე მივსცემ. თუ არა და ჩემს მამულს სამართალით არ გავასყიდვინებ. მოგახსენებთ, რის მამულს მჭონებელი ვარ, რომ მამული გავყიდო. ერთის ოქმის წყალობა მიყავით, ჩემო მამული მე დამნებდეს. თუ სიტყვა აქვს რამე, მოგახსენოსთ. გაუჭირებლივ ჩემს მამულს არ გავასყიდვინებ. თუ უჭირს, მე მივცემ თეთრს. ღებინობისთვის გ, ქკს უოზ.

ზემო აშიაზე: ქ. ჩვენი ბძანება არის სურამის მოურავო ბერო, მერე ამ არზით გოგია ნასაღიბაშის ნაიბს რომ ასრე მოუხსენებია; ამის კაცებს ვენაგები რომ დაუყიდათ, ამის შეუკითხავად არ უნდა გაეყიდათ ის ვენაგები. ახლავ იმ კაცებს დაახსენებინე და ამას დიანებე და თუ გიჭირებული საქმე აქვსთ და იმისთვის დაუყადიათ, მოვიდნენ და ჩვენ მოგვახსენონ და ჩვენ გზას

მივსცემთ. თავადის-შვილის ყმა სხვის მებატონეს მამულს ვერ მიჰყიდის თუ არ თავისის მებატონის შეკითხვითა და დასტურით. ოკდონბერს კე, ქქს უოზ.

თუ იმ გლეხ კაცს ტყვეობის მიზეზი აქვს და სხვა ელაჯი არ ექნება რა, ვაჰყ-დის და ან ასეთი მიზეზი აქვს, მაჰულის გასყიდვის მეტი ილაჯი არ აქვს რა, მებატონეს ჰკითხამს და თუ ტყვე არის, აღარა ჰკითხამს და თუ ტყვე არ არის, თავის მებატონეს თუ არ ჰკითხავს, ვერ გაჰყიდის. თუ თავისი ბატონი<sup>1</sup> უპოვის რასში, არ გაასყიდვინებს, თუ სხ[ვას] უპოვის.

სხვა ხელით: თუ თავისის მებატონისათვის უკითხავს და ისე გაუყი-  
დია, თავისი ბატონი ველაოს შეუა და თუ შეუკითხავათ გაუყიდია, ის კი ბა-  
თილი იქმნება. ნოებერს კთ, ქქს უჰდ. ის მამული ისევე გამოერთმევა. თუ ამა-  
ში სიტყვა არა ჰქონდეს რა, ნუ გაირჯება, თორემ ზნიანი აქვს ამაში.<sup>2</sup>

ერეკლე აბაშიძე სალთხუცესო გიორგი, მერე ამ ნასაღრი ბაშის ნაიბს გიორგის შენ უნდა თეთრი გამოართვა და ვისაც იმის მამული აქვს, თეთრი იმას უნდა მი-ცე და მამული ამას დაანებე და თუ სიტყვა აქვს ჩვენ მოგვახ-  
სენოს. ერიკლი

№ 241. 1775 წ. მარტის 1-სა არხა, მიცემული გოგიას გერმანოზის-შვილის მიერ ერეკლე II-ის აღძი, ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი. 21×11 სმ, დაწერილი თეთრ ქალღებე მხედრული ხელით განკვეთილობის სინანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Qd №788.

ქ. ლმერ[თ]ჰან ბედნიერის კელმწიფის ჰირი მოსცეს გერმანოზის შვილს გოგიას. მე ჰატარა ობოლი გზღებვიარ და ჩემს ვაჟდელს თუშმლის იბრეიმა-  
სათვის ორი საკომლო მამული მიუყიდნია. მამის ჩემისაგან არ არის გაყიდუ-  
ლი და ჩემის ძმისა და სახლის კაცისაგან არ არის გაყიდული. ამდონი თქვე-  
ნი წყალობა იყოს, რომ ის ნასყიდობის წიგნი გამოატანნოთ, რომ იმ წიგნის  
გასატყუნებელი წიგნი და ჰუჯათი მეცა მაქვს და სამართალი გვაღირსეთ,  
ლმერ[თ]თი. გაგიმარჯვებს. მარტის ა, ქქს უჰგ.

ზემო აშიაზე: ეშიკალატბაშო დიმიტრი, ეს რომ ასე ჩივის იმ მამულის  
ნასყიდობის წიგნიც, ჩვენთან მოატანე და ესენიც ჩვენს წინ მოიყვანე.

მარტის დ, ქქს უჰგ.

ერეკლე

№ 242 1789 წ. ოქტომბრის 22-ს. ერეკლე II-ის მიერ თაჰა ოთანოვისათვის  
კაპიტანობის ბოძების წიგნი. პირო. გადაწერილია XX საუკუნეში. საქ. მუხ. ფ. Hd.

№ 11402.

ქ. ჩვენ, მეფემ ქართლისა და კახეთისა და სხვათა, მეორემ ირაკლიმ ეს  
ნიშანი გიბოძეთ შენ ოთანოვს თაჰაზას; — ასე რომ შენთვის კაპიტანობა გვი-

<sup>1</sup> სწერია: ბატონს.

<sup>2</sup> აქ სტოიკონს ზემოდან აწერია კიდევ სხვა ხელით: თუ ამაში სიტყვა აქვთ მანაშერა-  
შვილებს, მოგვახსენონ.

ბოძებია და ჩვენს საბძანებელში, თუ სხვაგან კაპიტნობის პატივით უნდა მივიღონ და კაპიტნობით პატივი გცენ. ეს ჩვენი და ეს მდგომარეობის პატივი გვიბოძებია შენთვისა, ყველამ ასე უნდა იცოდნენ. ოკდომბერს კბ, ქკს უოზ.

ერმკლე

№ 243. 1789 წ. ნოემბრის 19-ს. თავდებობის წიგნი, მიცემული თევდორე ქუბიას-შვილის შიო ზუას-შვილის მიერ ოთარ ამილახორსა და გიორგი მირზა იბრაჰიმას-შვილისადმი. ღდედანი. 22×16<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Qd № 371.

ქ. ესე სათავდებო წიგნი მოგართვით თქვენ ბატონს ამილახორს ოთარს და ნასალჩი ბაშის ნაიბს მირზას იბრაჰიმას შვილს გიორგის ჩვენ ქუბიას-შვილმა თევდორემა ან ზუას-შვილმა შიომამ;—ასე რომ ჩვენი მოყვრები, რუისის ეკლესიის ყმანი ბეჟუას-შვილი გოგია და გოდერძა მაასის სიმაღლის ჯელმწიფის ბრძანებით დაქერილი გყვანდათ, ხაროში გეყარათ, ჩვენ შემოგებეწენით ამათს აშვებას და სამს წელიწადს თავდებათ დაუდქით: თუ ესენი რუისიდან გაიქცნენ სადმე, ან თავისის ბატონისა და მოხელის ურჩობა და უმორჩილობა ქნან რამე და ესენი მღვთაების სალდარს გაიქცნენ სადმე ყმობიდან, ჩვენ ჩვენის ცოლშვილით ამათ მაგიერა ჩვენი თავი ეკლესიისათვის ყმათ დაგვიდვია და თუ ამათის გაქცევით ევნოს ვისმე რამე, პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ. მე, ჯანუაშვილს გოგიას დამიწერია თევდორესა და შიოს სიტყვით და მოწამეც ვარ ამისა. დაიწერა გიორგობის ით, ქკს უოზ.

ქ. ამ თავდებობის წიგნის მოწამე ვარ შიოსა და თევდორეს სიტყვითა მე, როსტომ[მ] მამასახლისის შვილი გაბრიელა. ეს ჩემი ხელია.

ქ. მე, თუთუნასშვილი დავით ამ ქუბისშვილი თედია და შიოს სიტყვით ამის თავდების წიგნის მოწამე ვარ. ეს ჩემი ხელია.

ქ. მე, მაჩაბელმა ელისბარ ამ ჩემს კაცს ამ თავდებობის დასტური მივეცე. ეს ჩემი ხელია.

recto აშიაზე:

ქ. ჩვენ, სარდარ ქალაქის მოურავს დავითს ამ ჩვენის ყმის თევდორე ქუბიასშვილის თავდებობისა დასტური მივეცი.

verso აშიაზე:

ქ. ამა თავდებობის წიგნის მოწამე ვარ თევდორეს და შიოს სიტყვითა მე თაყინას-შვილი ზალია  დედოფლის ყმა თაყინაშვილი ზაქალ

№ 244. 1789 წ. ნოემბრის 29-ს. ოქმი, მიცემული მუხრან-ბატონ სალთხუცის იოანეს მიერ გარის მამასახლის ზურაბისადმი. ღდედანი, 15×16<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ალაგ-ალაგ თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 1959.

ქ. მუხრანის ბატონის სალთხუცის იოანეს კეთილად სახსენებელნო გორის მამასახლისო ზურაბ და გორში ქეთხუდანი ვინც იმყოფებით, მერმე თქვენ

ერთობით იმასა გწერთ ბეჯითობით, რაც თქვენ ბატონისათვის გიმსახურნიათ, კიდევ ეს უმეტესი იქნება: ჩვენ აქ ხიდისათვის მოვედით, ჯარი დიან დამაშურალნი და თოვლისაგან დამძრალნი არიან და მშიერნიც. რასაკურველია ახლა თქვენ ერთობით ორასი თუნგი მაჭარი და ორი ათასი გამომცხვარი პური ამალამვე თუ აქ ჯარს არ მოუვიდა, არას გზით არ იქნება. ამაზედ აქედამ აღდადანაშვილი ოთარ და ბელუა გამოგვიგზავნია, ამათ უნდა გაარიგებინოთ და მოაბაროთ, ახლავ გამოგზავნოთ. თუ ამას იტყვიოთ, რომ გარეშემო სოფელს რატომ არ გამოართოო, ამათიადამ დიან დაუვიანდებოდათ და მანდედამ ახლო არის და ჯარს შინ, უნდა ახლავ გამოგზავნოთ. გიორგობისთვის კთ. ქკს უოზ. მელიქის კაცი მოვა მანდა ოთხი, ამათაც აქამე რამე და დახვდით.



№ 245. 1790 წ. იანვრის 3-ს. ფიცის წიგნი, სტეფანა კალატოზიშვილის მიერ ერასტი გოსტაშაბის-შვილისადმი მიცემული. დედაწ. 33×21 სმ, დაწერილი მურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ იხმარება თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd 2574.

ესე წიგნი მოგეცი თქვენ, ბატონს ჩემს გოსტაშაბის-შვილს ერასტი უზბაშს და თქვენს შვილს დავითს მე წერაქველმა შინაშვილმა მარტირუხის-შვილმა კალატოზი სტეფანამ;—ასე რომ შენ დიდათ ჩემი მწყალობელი ბატონი იყავი და არაფერი ძალა და უსამართლო შენგან არ მადგა რა. გაწყრა ღმერთი ჩემის ცოდვისა და ერთის კაცისაგან მოვტყუედი, ასეთი რამ მოვიგონე, რომ ღმერთისადა საწყენი იყო და კაცისადა და ამის გარდა ესეც მოტყუებით მომიხდა, რომ ბატონის-შვილის ვახტანგთან ვიჩვილე და ოქმი ავიღე და შენი ყმობა აღარ ვინდომე, ამ საქმეზედ ბატონის-შვილს ვახტანგთანაც სამართალში გავიარეთ და მდივანბეგებთანაც, ორთგან სამართლით ჩემი თავი ისევ ყმათ შენ მოქცეს განაჩენით. რათგან რომ დაწესაშეჯულები მქონდა, თქვენ დამიპირეთ და ავით მომეპყარ, მეც შემოგებეწე და ჩემს დანაშაულის შენდობა ვითხოვე. თქვენც წყალობა რომ მიყავით და ამიშვით, მეც ეს წიგნი და ფიციც მოგართვი: დღეს და დღეის იქით თუ მე თქვენგან დანაშაული რამ შემაჩნდეს, რაც ერთს აეს კაცს გადახდებოდეს, მეც ისე გარდამახდევინეთ და მანამ ჩემს მამულზედ მისვლა მეღირსებოდეს, წელიწადში ხუთი მინალთუნი მოგართმევდე, შობასა და აღდგომას ძღვენს მოგართმევდე და სასოფლო შესაწერი ხარჯი როდესაც შესწერდეს. ჩემს მეზობლებთანაც<sup>1</sup> ჩემის შეძლებით გავიღო. არის ამისი მოწამე თავათ ღმერთი და მე ფეოხანის ყველაწმინდის დეკანოზი ტერ მხითარშვილს ტერ სტეფანამ ამ სტეფანეს სიტყვით დამიწერია და მოწამეც ვარ. დაიწერა ეს მოჩალგის წიგნი იანვრის 6, ქკს უოზ. +

ქ. მე, უსტაბაში დავითამ სტეფანეს სიტყვით ამ წიგნის მოწამე ვარ.

<sup>1</sup> სწერია: მეწობლებთანაც

ქ. მე, ოტიას-შვილი უსტა დავითამ სტეფანეს სიტყვით ამ წიგნის მოწა-  
მე ვარ<sup>1</sup>. +

№ 246. 1790 წ. იანვრის 5-ს. ხელწერილი ალამდარბაშის მიერ მიმბაშ თარ-  
ხნისადმი ტიკემული დედანი. 7×5 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული  
ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუზ. ფ. Hd № 11960.

ქ. ბატონო მდივ[ან]ო, ლ[მერ]თს ვეცი[ავ], მეფის ერეკლეს თავს, ორი-  
ნარბევი ჯომარდიძემ გამამართო და წ[ა]იღო. [ ]

ქ. მამება[რა] მიმბაშის<sup>2</sup> თარხნისაგან მე, ალამდარბაშს ორი ჩემი კაცის  
ნარბევი ბატონის ბრძანებით ქიტიაშვილისა და მამნიაშვილისა, რომ დაკარ-  
გულნი არიან. იანვარს ე, ქკს უოს. [ ]

№ 247. 1790 წ. ოქტომბრის 30-ს ბრძანება ვახტანგ ბატონიშვილისა ბოდორნე-  
ლი შიოლასა და ბოდორჩელებისადმი დედანი. 12×16 სმ., დაწერილია თეთრ  
ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ.  
მუზ. ფ. Hd № 2556.

ქ. ბატონისშვილი ვახტანგ გიბრძანებ ბოდორნელო შიოლაე და ბოდორ-  
ნელებო, მერე როგორც აღმასათვს გემსახუროსთ, ისე ამის ობლებს ემსა-  
ხურენით, ნურას დააკლებთ, თორემ დიდათ გიწყენთ. ოკლონბერს ლ, ქკს უოს.  
რაც იმისთვის გემსახუროსთ, ამასაც ემსახურენით და მეტს ვერცა რას ეს  
მოინდომებს. [ ]

№ 248. 1790 წ. ნოემბრის 9-ს. არზა, შეცემული პავლე მღვდლის მიერ ალექსან-  
დრე ბატონიშვილისადმი, უკანასკნელის ოქმით. დედანი. თავი დაზიანებული აქვს.  
25×14 სმ, დაწერილი მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით—განკვეთილო-  
ბის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუზ. ფ. Hd. № 2906.

ლ[მერ]თ[მა]ნ ყ[ოვლა]დ მოწყალის ბედნიერის მეფის ძის ალექსანდრეს  
ქირი მოსცეს თქვენს ყმას დიღმელს წ[მინდ]ის გიორგის დეკანოზის შვილს, მა-  
რადის თქვენ მლოცველს, პავლე მღვდელს. ჩემო მოწყალეო, მოიკითხეთ თუ  
ძველათგანვე რაოდენი მეფეთაგან სითარხნისა და აზატობის წიგნები მაქვს,  
არაფერი სათხოვარი არც ღალა და არც არა სხვა-რამ მეთხუება. ყოველს წე-  
ლიწადს ამ წ[მინდ]ის გ[იორგ]ის ეკლესიაში თორმეტს საუფლო დღეს თქვენის  
უმადლესობის ჯელმწიფობისათვის და კეთილწარმართებისათვის პარაკლის და  
მსხვერპლს უნდა შევსწირავდეთ და წ (?) მეფობისა თქვენის წარსამართებლად.  
ყოველთაგანვე დამტკიცებული წიგნები მაქვს და იმ ეკლესიას თითო ოროლი  
დღის მიწა ქონია და თქვენის მამის ოქმიცა მაქვს, რომ ვინც მოხნავდეთო, ღალას

<sup>1</sup> სათაური: ქ. სტეფანეს მოცემული წიგნი არის.

<sup>2</sup> ჩამატებულია.

ამ მლდელს მისცემდეთო და როგორც ეჭირება ეკლესიას მოახმარებსო. ჩემო ჯელმწიფევ, შარშან თქვენმა ძმამ რომ ხოდაბუნები დაჯენევიანა, ღმერთსა და იმ უკლესიას და თქვენს თავს ვფიცავ, რომე ჩემი ალალი მამული ექვისის დღისა მოჯნეს შარშან თქვენის ძმისათვის და წგლს კიდევ თქვენთვის, სხვა მიწა კი არა მქონდა. მართალია, ოთხითო დღის შიწა ბეთალმანში მოვჯან და მოიკითხეთ, რარიგათ მომიკდა, რომ თესლს ვერ გამოვრჩი. ეხლა რომ კალოს უჯან ღალის პური შესწერდა დილოპს, მეც მთხოვდენ. მარტყოფს თქვენს ძმასთან მოველ, ოქმი მიბოძა, მაგრამ არ შეიწყნარეს. მე აქ გახლდი, ხასადრის კაცს და ჭლახა ჩაჩიკაშვილსა ჩემი ორმო აუგლევჯათ და სამი კოდი პური ამოულიათ. ჭვევდრები, თქვენად და თქვენის ძმის სადღეგრძელოთ, ამაზე ოქმი მიყოთ, რომ ისევ მამცენ ჩემი პური, რათა უმეტეს იდიდოს სახელი თქვენი. ნოემბრის 15, ქკს უოც.

ხემო აშიაზე: ბატონიშვილი ალექსანდრე გიბძანებ ჩაჩიკაშვილო გლახავ და ცაბაძე დავითავ, უწინდელი სითარხნის წიგნები ხომ აქვს და ჩვენი ძმის ოქმიცა, რომ ნურავინ რას გამოართმევთო. არც მე მინდა ეკლესიის საწყენი. როგორც ამ არზაში მოუხსენებია, რაც წაგერთმიოსთ, ისევ უკანვე მიეცით, თორემა დიდათ გვეწყინება თქვენგან. გიორგიობისთვის თ, ქკს უოც.<sup>1</sup>

№ 249. 1750 წ. დეკემბრის 3-ს. არზა, მიცემული მანუჩარ ლაშქარნივისის [თუ-მანიშვილის] მიერ ერეკლე II-ისადმი ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი. 20 $\frac{1}{2}$  × 18 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. ბოლო დახიანებულიაქვს. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 14371.

ქ. ღმერთ[მა]ნ ბედნიერის ჯელმწიფის ქირი ლაშქარნივისის მანუჩარს შამცეს.

მერე ჩემს ყმას ალიხანას რუისის ერთი ნავენახობი ჰქონდა. ახლა შევიტყე, რომ ის ნავენახობი გაუყიდნია. წყალობას ვითხოვ, რომ ერთი ოქმი მიბოძოთ, რომ იმ ჩემის ყმის ნავენახობი არავინ იყიდოს, ამისთვის რომ იმ ჩემ ყმას ორი-სამი შვილი ჰყავს და თვითონ ღარიბი და შეუძლებელი არის. იმან რომ თავისი მამულეები დაყიდოს, შვილები მწარეთ უმოწყალონი [დარჩებიან და კი]დეც დამეკარგებიან. უნდა შევიტყო, რომ რის მიზეზით ჰყიდის, თუ მოვალის გულისათვის...იმ ჩემის ყმის...ს მამული ეჭირებათ და იმით იცხოვრებენ. ქრისტიშობის გ, ქკს უოც.

ქ. ჩვენი ბძანება არის მროვლის სალთხუცესო მამაცაშვილო იოსებ, მერე ლაშქარნივისის მანუჩარ რომ ამ არზით ასე ჩივის, ვისაც აქისი ყმის მამული უყიდნია, იმ მამულისა სხვისაგან სყიდვა არ იქნება, ამისთვის რომ თუ ამის ყმას ერთი ასეთი მიზეზი არა აქვს, რომ იმ მამულის გასყიდვა არ იქნება, სულ ვერ გაჰყიდის და თუ ასეთი მიზეზი აქვს, რომ თუ არ იმ მამულის გასყიდვა, სხვა გზა არ ექნება, მაშინც უთავისბატონოთ ვერ გაჰყიდის, ამისთვის რომ თუ თავის ბატონს ენდომება იმ მამულის სყიდვა, იმისი უპრიანია და იმან უნ-

<sup>1</sup> სათაური: ეკლესიის საღალისი.

და იყიდოს და თუ იმის ბატონს არ ენდომება სყიდვა, დასტურს დასცემს წერილის მიცემით და მერე ვისაც უნდა მიჰყიდის, დეკენბერს დ, ქქს უოშ.

ერეკლე

№ 250. 1790 წ. დეკემბრის 13-ს სამართალი მსაჯულთა ერასტი უზბაშისა [ტოს-ტაშაბიშვილის] და კალატოხ სტეფანეს დავის გამო. დედანი. 42 X 20 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმაზია ორ-ორი წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2809.

ქ. მისს უგანათლებულესობას ბატონის-შვილს ვახტანგს ჩუქენ მსაჯულთათვის ებძანა: ერასტი უზბაში კალატოხს სტეფანეს რომ უჩივის, ალაპარაკეთ და სამართალი მიეცითო. მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ. ერასტი ასე ჩიოდა: ეს სტეფანე წერაქველი ჩემის ყმის შიხუაშვილის მარტირუხას შეიღობა არისო, აქამდინ ყმურად მემსახურებოდაო, ახლა თავის თავს მართმევსო, სამართალს ვითხოვო. სტეფანე ასე ჩიოდა: მართალია დედა ჩემი ამ მარტირუხასი სჯულიერი მეუღლე იყო, მარა იმ დედაჩემს მანდუაშვილი დასწოლოდა და იმ მანდუაშვილს შეეკეჭნ და იმ მანდუაშვილისთვის სისხლიც გამოურთმევიათ. ამ სტეფანემ რომ ასე თქვა, მარტირუხამ ცრემლით სამართალს ასე მოახსენა: ჯერ იმ ჩემს საწყალ მეუღლეს და თავის მშობელს აყივნებს და მერმე მე ასე მკლავს. აქამდინ ჩემი შვილი მეგონაო და ჩემს დამარხველადც ვეგულეობდიო და ახლა ჩემს შვილობას აღარ კადრულობსო და ქვეყანაშიაც ასე გვაყინებსო, ეს სამართალმა გაშინჯოსო. ამათ რომ ასე ილაპარაკეს, იოანე ამქარბაშმა ასე თქვა: სამართალში ორჯელ-სამჯერ მიველ და სტეფანეს ვკითხე, ვისი ყმა ხარ, რომ დავთარში დაგწერო. ამ სტეფანემ ასე მითხრა: ერასტის ყმა ვარო. ამათ რომ ასე იჩივლეს, ჩუქენ ეს სამართალი მივეციო: სამართლის ძალით ეს სტეფანე ერასტის დარჩა ყმად. პირველად ასე რომ ამ მარტირუხას მეუღლესაგან ყოფილა შობილი; მეორედ ასე რომ მამა ამისმა ცრემლით სამართალს მოახსენა, ეს ბიჭი ჩემგან არის შექნილიო და ჩემის სჯულიერის მეუღლისაგან არის შობილიო; მესამედ ასე რომ იოანემ თქვა: ვკითხე ვისი ყმა ხარ, მითხრა ერასტის ყმა ვარო; მეოთხედ ასე რომ აქამდინ მდივანბეგს თეიმურაზს ექვრა წერაქვი, ეს ბიჭიც მდივანბეგს თეიმურაზს უმსახურია ყმურათ. მერმე წერაქვი რომ ერასტის დარჩა, ეს სტეფანეც კახეთიდან ერასტის მოსვლა: რადგან წერაქვი შენ დაინებო, მეც იქაური და შენი ყმა ვარო. ამ საბუთებით დარჩა ერასტის ყმად ეს სტეფანე. იოანე კობიაშვილო, ეს სტეფანე ერასტის მოაბარე. ჩვენ ეს ასე განვსაჯეთ და ნება მისის უგანათლებულესობისა არის. დეკემბრის იგ, ქქს უოშ.

განის ამიაზე: ქ. ჩვენ მეფის ძე ვახტანგ მსაჯულთა მიერ განსჯილთა ამას მსჯავრისა თანა მოწაქე ვართ. დეკემბრის იდ, ქქს უოშ.

<sup>1</sup> სათაური: ქ. მდივანბეგის მოცემული განაჩენი არის სტეფანემ რომ გვიჩივლა და მოგვეცეს.

№ 251 1791 წ. იანვრის 7-ს. არხა სოლომონ მეითარისა ერეკლე II-სადმი, უკანასკნელის ოქმით. დედანი.  $21\frac{1}{2} \times 13$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის საქ. მუხ. ფ. Hd № 2861.

ქ. ლ[მერ]თ[მან] ბეღნიერის ველმწიფის ჭირი მოსცეს თქვენს მეითარს სოლომანს. მერე ამას მოვახსენებ მათს სიძალდეს: წირეულ ჩემი ორი კომლნი კაცნი ფათაკერაშვილები სიღნაღს ჩავიდნენ: ცოლშვილი აქ გაყარეს და თითონ იქ გახლავან. აქ ხარჯს იმათ მაგიერ სხვას მთხოვენ. გვედრები, ერთი ოქმი მიბოძოთ მოურავზედ, რომ მებოძოს. ერთს აქა ყამთ ცოლშვილი და ერთმა იქ შეირთო. ჩემი სამკვიდრო ყმანი გახლავან და თუ სიტყვა აქვს ვისმე, თქვენს სამართალში მელაპარაკოს. იანვრის 8, ქკს უფთ.

ზემო აშიაზე: ქ. ბატონო ქისიყის მოურაო ზაქარიაე, ამ არზით მეითარს სოლომონს რომ ასე მოუხსენებია, ამაში თუ სიტყვა არავისა ჰქონდეს, თავისი კაცები აუყარე და მოაბარე და თუ სიტყვა ვისმე ჰქონდეს და ჩვენ მოგვახსენოს: მაგარაშ თუ სამართალში გამტყუნდა, უმართებულო იქნება, იანვრის 8, ქკს უფთ.

ერეკლე

№ 252. 1791 წ. იანვრის 22-ს. ოქმი ერეკლე II-ისა არაგვის ხეობის მოხელეები-სადმი მიცემული. ჰირი, გადაწერილი XX საუკუნეში თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 11400.

ქ. ჩვენი ბძანება არის არაგვის მოხელეებო, მერე ეს თამაზა ოთანოვი გამოგვიგზავნია, ჩვენ და ჩვენი შვილი იულონ გორს მივალთ და მთას კი დაეხსენით და ვაკე საერისთოდამ ორასი კაცი გამოიყვანეთ ათის დღის ნუხლით და ჩვენდა ჩვენს შვილს მუხრანს შემოგვეყარენით. ლ[ვ]ითთ ათსუთმეტს დღეზედ ისევ დაგიტხოვთ და არც იმას იქით წაგიყვანთ სადმე, ამაზედ დიდად ბეჯითად გაისარჯენით და ეს ორასი კაცი საჩქაროთ ასე უკლებრად გაარიგეთ, გამოიყვანეთ და როგორც გვიბძანებია მუხრანს შემოგვეყარენით, თორემ იცოდეთ, რომელნიც მოხელეები ხართ, თქვენ დიდად გიწყენთ და გადაგახდევინებთ. იანვრის 6, ქკს უფთ. ერეკლე

ქ. კვირეს მუხრანს უნდა მოხვიდეთ ერეკლე

№ 253. 1791 წ. მარტის 10-ს. ოქმი ერეკლე II-ის მიერ ზურაბ გარაყანიძისადმი მიცემული დედანი.  $16\frac{1}{2} \times 11$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 2801.

ქ. ჩვენი ბძანება არის გარაყანიძე ზურაბ, მერე ქსოვრის რომ ლაბარი ბასილა დგას ზაქარია ციციშვილის ნაყმევი, ის ბასილა და იმისი ძმა გოგია ბეჟან რატიშვილს წყალობა უყავით და უბოძეთ და ეგ უნდა რომ ქსოვრისი-დამ აუყარო და ბეჟანს მოაბარო, გადიყვანო და თეხს დაუსახლო, მარტის 8, ქკს უფთ. თუ რომ იმ კაცსა და ან სხვას ვისმე სიტყვა ჰქონდესთ რამე, მოვიდნენ ჩვენთან და მოგვახსენონ.

ერეკლე

№ 254. 1791 წ. მარტის 12-ს. არხა, მცხეთის მოურავის დაგითის მიერ ერეკლე II-ისადმი მიცემული, ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი. რამოდენადაც დაზიანებული. 34 × 13 $\frac{1}{2}$  სმ., დაწერილია, მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. 1. d № 2624.

ქ. ლმერით[მა]ნ ბედნიერის კელმწიფის ქირი მოსცეს მცხეთის მოურავს დაგითს, სვიმონს და იაკობს. ჩვენო კელმწიფევე, პაპის ჩვენის ძმას ნიკოლოზ არხიმანდრიტს იმერეთს ერთი მხლებელი უყიდნია თავისის ბუშით უკანბერიძ-საგან და მამის ჩვენის სოლომონ მდიენისათვის მიუცია, მღუდლათ გაზარდე და შენი იყოსო. მას უკან მაჟღტაძე გესამანის წინამძღვარი წამოსდაგეზია და იქაური გლეხი კაცი რიკაძე წინამძღვარი თავისის ეკლესიის ყმობით წამოსდაგეზია და რიკაძე თავისის ბუშობით ქეფინის ხეველი სვიმონ ბატონისშეგლთან ეჩივლა და კიდევ ფასიქმიეცემინებინათ და ხელმეორეთ იმათგანც დაესხნა, რომელიც რომ სვიმონ ბატონის-შვილის განაჩენი აცხადებდა. ის ბიჭი მამა ჩვენს მღუდლათ გაეზარდა რომ თქვენც კარგად იცნობდით იმ გიორგი მღუდელსა. გორს რომ ბძანდებოდით კოტოშაშვილის სახლშია, იქ იჩივლეს თქვენთანა ორთავ მამაშვილთ მღუდელთა. ის წერილები რომ გაშინჯეთ, მაშინვე გვიბოძეთ ორნივე მამაშვილნი. მას უკან თქვენს შვილს გიორგის შეხვეწნოდნენ კიდევ, რომ თავი დაგვახსნევიონ. მერე ჩვენთვის ოქმი ებოძებინა თქვენს შვილს: ეს მღუდლები მეხვეწებიანო და თავი დაახსნევინეთო. ის ოქმი ხელში გვიჭირავს. რადგან მღუდლები იყვნენ და მამის ჩვენის ქირნახული იყვნენ, ვერც თავი დაგვახსნევინეთ და ვერც ბარათში ჩავაგდევით და ჩვენს ეკლესიას მივართვით ბეთლემისა მღვდის მშობელს. ომარხან რომ გამოვიდა და სოფლები აიყარა, იმ არეულობაში წიგნები დაგვპარეს და ქალაქს ჩამოვიდნენ. იქილამ აქამომდე ესენი ჩვენნი ნასყიდი ყმები იყვნენ, რომ არავინ გვდავებია. აქ რომ ჩამოვიდნენ, შანშე მილახვარი წამოგვადევს, რომ შენი ყმანი ვართო. იმან სწორე და ჭეშმარიტი რომ შეიტყო, ხელი აიღო, რომ იმისი ყმა არ იყო. მერე დავითის-შვილის ყმის რიკაძის წიგნები ეშოვნა სადღაც და ზაალ დავითის-შვილთან მისულიყო, რომ შენი ყმა ვარ რიკაძეო და წიგნები ეჩვენებინა. მერე ზაალს ეთქვა, ეს წიგნები რიკაძისა არის, მაგრამ შენ კი არ ვიცი მართლა რიკაძე ხარ თუ არაო. წადი, მაღალანთაგან თავი გამოიტანე, გული დამაჯერებინე და მერმე გიყმობო. ამ სიტყვით ზაალმაც ხელი აიღო. მოდავე კი არავინა გგყავს და თავის თავს ესენი ძალით გვართმევენ. პაპა ამათი ჩვენ ხელში გარდაიცვალა, მამა ამათი სამოცდა თხუთმეტის წლისა იქნება და ახლა ესენი თავის თავს ძალით გვართმევენ. ასი წელიწადი მეტი არის რომ ესენი ჩვენი ნასყიდი ყმანი არიან. თუ რიკაძე იყო და ან წიგნები ჰქონდა, თქვენს უმაღლესობასთან რომ იჩივლა, რატომ არ მოგართოთ ის წიგნები და ან თქვენს შვილს გიორგის რომ ეხვეწებოდა, თავი დამახსნევინეთ, იმას რატომ არ უჩვენა თუ კი ჰქონდათ ის წიგნები. თქვენის უმაღლესობისათვის თავი უწყენია. რომ მაღალანთ ყმა არა ვართო და ოქმი გიბოძებიათ, ვინც ამისი მოდავენი ხართ, მოდით და სამართალში ელაპარაკენითო. გზლებივართ, ჩვენო კელმწიფევე, ლმერთი უმეტესად ალაშქრებს. თქვენს კელმწიფობას, ამისი სამართალი გვადირსეთ. არას კაცს ნასყიდობა არ მოშ-

ლია და ნურც ჩვენ მოგვიშლი, ღმერ[თი] გაგიმარჯვებს. მარტის იბ, ქკს უოთ. მთელს გაღმა მხარში მოიკითხეთ თავადასა და აზნაურში და გლეხებში თუ ესენი ჩვენი ყმანი არ იყვნენ და თავის დახსნასაც არ გვეხვეწებოდნენ.

ზემო აშიაზე: ქ. ჩვენი ბძანება არის ყორიასაულბაშო ზაალ, ამ არზის პატრონი ამ არზით ვისაც უჩივის, ორნივ მდივანბეგებთან უნდა მოიყვანო. და ალაპარაკონ და ქეშმარიტი სამართალი მისცენ ღვე[თის] წინაშე რასაც მიხედნენ. მარტის იე, ქკს უოთ. ერყლე

№ 255. 1791 წ. მაისის 22-ს პირთბის წიგნი წერაქველი აკოფას მიერ ერასტი გოსტაშაბის-შვილისაჲში მიცემული. დედანი.  $16 \times 16 \frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 3001.

ესე წიგნი მოგე მე წერაქველ თქვენმა ყმაჲ აკოფამ თქვენ ჩემს ბატონს გოსტაშაბისშვილს ერასტის უზბაშს და ივანეს;—ასე რომ თქვენგან ძალა და უსამართლობა არა მპირდა რა. მომიხდა იმ გვარი საქმე და გავღარიბდი და ბატონის ხარჯს ველარ გაუძღელ. მოველ და ისე მოგახსენე, რომ ჩემს ცოლ-შვილს წავასხაო ქიზიყს და იქ ვიცხოვრებ და იქილამ გემსახურები თქვენაო-როდესაც თქვენი ნება აღარ იქნება ჩემი იქ ყოფნა, ისევე ავიყარო ჩემის ცოლ-შვილით და თქვენთან მოვიდღი. სანამდინ იქ ვიყო წელიწადში ერთი თუმანი მოგართო ნახევარი ვეჯი და ნახევარი ნალდი. მე, თავილდარი ნასყიდამ ამ წიგნის დამწერი და თავდები ვარ ორს წელიწადს: თუ ამ ორს წელიწადს თუ სადმე წავიდეს აკოფა, შე მთხოვე. დაიწერა მაისის კბ, ქკს უოთ. +

ნასხიდა

verso სხვა ზელით: ქ. მამებარა მე ერასტის აკოფასაგან თერთმეტი მილანთული ამ გავლილის წლისა.

№ 256. 1791 წ. ივლისის 13-ს. მოწმობის წიგნი ნიქოზელი ეპისკოპოსის ათანასესი დავითიშვილისა და ზარდიაშვილის დავის შესახებ. დედანი.  $13 \frac{1}{2} \times 12 \frac{1}{2}$  სმ. დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2238.

ქ. მათს უმაღლესობას ბედნიერს ხემწიფეს მათი მონათათვის მიქოზელ ეფისკოპოსის ათანასისათვის და [აქ]ა მყოფთა კაცთათვის ოქმი ებოძა: დავითიშვილის და ზარდიაშვილის შფოთის და თოფის ფეხზე შესმის როგორც მოხდა, ყოველივე ქეშმარიტი მოგვახსენეთო. ღმერთს ვფიცავთ და თქვენს მზეს, ამისი მნახავი და გამგონე ვარ: პირველ შფოთზე არ დავს[წ]რები-ვარ, შინაღამ რომ გამოველ და ზარდიაშვილი ამ დავითიშვილზე იწვედა, მაშინ ჩაველ, თოფი ისევე ფეხზე ქონდა შესმული, მოკლევდენ თუ არა, ღვე[თის] ნება იყო. ესეც მესმა ზარდიაშვილის კაცის ლაფაჩისაგან, ამ ეკლესი[ი]ს კარზე ფიცით შითხრა: ფეხზე შესმული ქონდა თოფიო, ზარდიაშვილმა თითონ მე მასმინა, თუ მივეფე ვისმე, მოკლევდელი. ამ ზემო მოწმებთან მეც ამისი მნახავი ვარ. ქეშმარიტათ ასე იყო. მიქოზელი.

ივლისის, იგ, ქკს უოთ<sup>1</sup>

<sup>1</sup> სათაური: ქ. ნიქოზის მუჯალამა.

№ 257. 1791 წ. აგვისტოს 15-ს. არზა, ყარანგოზის-შვილის ქვრივისა და ობლების მიერ ვახტანგ ბატონიშვილისადმი მიცემული, ამ უკახასკეღის ოქმით. დედანი. 24 x 11 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2549.

ქ. ლმერ]თ[მა]ნ უშალელ[ის] მეფის ძის ვახტანგის ქირი მოსცეს მათს ღებთა მიწა-მტვერს საცოდავს ყარანგოზის-შვილის ქვრივს და ობლებსა. მერე ამას<sup>1</sup> მოგახსენებო ჩემო ხემწიფევე: ელიბო სულიკაშვილი მოვიდა თქვენს ყმას-თანა ამ პირობითა: მამული სთხოვა, შვილი მსახურათ უთხრა, ოთხი კოდი ყალანი უთხრა, ოღონც იმ მამულზე დაჰყენეო. მარამ თქვენს ყმას დიად შორს ექირა. მასუგან როდესაც მამადგა, მისცა, ამ პირობით მისცა, მერე, ჩემო ხემწიფევე, იმას არც ერთი არა მოუცია. ამ წყალობას ვითხოვ, თქვენი ყმა თქვენვე მი[ი]რათო, ჩემი მამული მევე მეზოდოს, ჩემო ხემწიფევე. ან როგორც მისცემია, მოიკათხეთ თუ ვტყუოდეთ.

ხემო აშიაზე:

ქ. ამ არზით ასე რომ მოგისენებიათ, ეს ელიბოშვილი სამართალში მოვაყვანიინეთ, მაგრამ ვერც ნასყიდობას წიგნი მოიტანა და ვერც მოწამე და საბუთი, რომ ნასყიდი ქონოდეს თქვენგან და ამისის მიზეზით ეს მამული ისევ თქვენ დაგრჩათ. აგვისტოს იე, ქკს უოთ.

№ 258. 1791 წ. სექტემბრის „გასულს“. პირობის წიგნი, მიცემული მღვდელი კოკორაშვილის მიერ როსტომ და გიორგი დავითის-შვილებისადმი. დედანი. მარჯვენა კიდე დაზიანებულია. დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ალაგ-ალაგ თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2856.

ქ. ესე წიგნი მოგართვი [მე კოკო]რაშვილმა მღვდელმან მახარობელმა და ჩემა შვილმა იოსებ<sup>1</sup> თქვენ და[ვით]ის-შვილს ზაალის-შვილს [ . . . ] როსტომს და გიორგის, ასე რომ თქვენი ყმა გოგია კიტრიაშვილი ჩემთან არის. [— სან]ამ ამ ქვეყანაში იყოს, [წე]ლიწადმი სამი მინალთუნი გვექსახუროს და როდისაც [ცი] მონდომო, შენი კაცი [ხელ]ში მოგცე თავისის ცოლ[შვი]ლით. თუ მოკვდება, ან [ლუ]კისავან დაიკარგება, ის [ლმერ]თმან იცის და თუ ღმერთი [მ]შვიდობას მოგცემს და ეს [კაცი] მე მომთხოვე, მოგა[ბარე]პ, თავს მდებიც მე ვარ. ლმერ]თ[მა]ნ ამოროს, რომ მოკვდეს, ვერც[ავ]ინ ბეითალმანს შემოგ[დაო]ს. არის ამისი მოწამე ტუ[რა]შვილი ომან, თვალთა შვილი იაკობ, წინწრიაშვილი გიორ[გი] და მე მგალობელს დიმიტრის მახარობლის მღვდლის სიტყვით დამიწერია და მოწამეც ვარ. ენკენისთვის გასულს, ქკს უოთ, მე, კოკორაშვილი გიორგი ამ წიგნისა მოწამე ვარ, რომ ამ ჩემს ბიძაშვილს აბარია ეს კაცი. +

<sup>1</sup> სწერია: ამაძ.

<sup>2</sup> უკახასკეღის ოთხი სიტყვა სტრიქონის ზემოდან ჩამატებულია.

ლია და ნურც ჩვენ მოგვიშლი, ღმერთი გაგიმარჯვებს. მარტის იბ, ქკს უოთ. მთელს გაღმა მხარში მოიკითხეთ თავაღსა და აზნაურში და გლეხებში თუ ესენი ჩვენი ყმანი არ იყვნენ და თავის დახსნასაც არ გვეხვეწებოდნენ.

ზემო აშიახე: ქ. ჩვენი ბძანება არის ყორიასაულბაშო ზაალ, ამ არზის პატრონი ამ არზიფ ვისაც უჩივის, ორნიე მდიეანბეგებთან უნდა მოიყვანო და ალაპარაკონ და ქეშმარიტი სამართალი მისცენ ღვეთის წინაშე რასაც მიხვდნენ. მარტის იე, ქკს უოთ. ერეკლე

№ 255. 1791 წ. მაისის 22-ს. პირობის წიგნი წერაქველი აკოფას მიერ ერასტი გოსტაშაბის-შვილისაჲში მიცემული. დედანი. 16 × 16 1/2 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd № 3001.

ესე წიგნი მოგე მე წერაქველ თქვენმა ყმამ აკოფამ თქვენ ჩემს ბატონს გოსტაშაბისშვილს ერასტის უზბაშს და ივანეს;—ასე რომ თქვენგან ძალა და უსამართლობა არა მკირდა რა. მომიხდა იმ გვარი საქმე და გავლარიბდი და ბატონის ხარჯს ვეღარ გაუძელ. მოველ და ისე მოგახსენე, რომ ჩემს ცოლ-შვილს წავასხაო ქიზიყს და იქ ვიცხოვრებ და იქილამ გემსახურები თქვენაო. როდესაც თქვენი ნება აღარ იქნება ჩემი იქ ყოფნა, ისევე ავიყარო ჩემის ცოლ-შვილით და თქვენთან მოვიდგი. სანამდინ იქ ვიყო წელიწადში ერთი თუმანი მოგართო ნახევარი ვეჯი და ნახევარი ნაღდი. მე, თავილდარი ნასყიდამ ამ წიგნის დამწერი და თავდები ვარ ორს წელიწადს: თუ ამ ორს წელიწადს თუ სადმე წავიდეს აკოფა, მე მთხოვე. დაიწერა მაისის კბ, ქკს უოთ. +

ნასხიდა

verso სხვა ხელით: ქ. მამებარა მე ერასტის აკოფასაგან თერთმეტი მილანთული ამ გავლილის წლისა.

№ 256. 1791 წ. ივლისის 13-ს. მოწმობის წიგნი ნიქოზელი ეპისკოპოსის ათანესის დავითიშვილისა და ზარდიაშვილის დავის შესახებ. დედანი. 13 1/2 × 12 1/2 სმ. დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd № 2238.

ქ. მათს უმაღლესობას ბედნიერს ხემწიფეს მათი მონათათვის მიქოზელ ეფისკოპოზის ათანესისათვის და [აქა] მეოფთა კაცთათვის ოქმი ებოძა: დავითიშვილის და ზარდიაშვილის შფოთის და თოფის ფეხზე შესმის როგორც მოხდა, ყოველივე ქეშარიტი მოგვახსენეთო. ღმერთს ვფიცავთ და თქვენს მხეს, ამისი მნახავი და გამგონე ვარ: პირველ შფოთზე არ დაესწირებივარ, შინაღამ რომ გამოველ და ზარდიაშვილი ამ დავითიშვილზე იწვედა, მაშინ ჩაველ, თოფი ისევე ფეხზე ქონდა შესმული, მოკლევდენ თუ არა, ღვეთის ნება იყო. ესეც მესმა ზარდიაშვილის კაცის ლაფაჩისაგან, ამ ეკლესიის კარზე ფიცით მითხრა: ფეხზე შესმული ქონდა თოფიო, ზარდიაშვილმა თითონ მე მასმინა, თუ მივეწვი ვისმე, მოკლევდიო: ამ ზემო მოწმებთან მეც ამისი მნახავი ვარ. ქეშმარიტათ ასე იყო. მიქოზელი.

ივლისის, იგ, ქკს უოთ<sup>1</sup>

<sup>1</sup> სათაური: ქ. ნიქოზის მუჯალამა.

№ 257. 1791 წ. აგვისტოს 15-ს. არზა, ყარანგოზის-შვილის ქერივისა და ობლების მიერ ვახტანგ ბატონიშვილისადმი მიცემული, ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი. 24 x 11 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე ძველდრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაწმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2549.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ უმაღლესის მეფის ძის ვახტანგის ქირი მოსცეს მათს ღებთა მიწა-მტვერს საცოდავს ყარანგოზის-შვილის ქერივის და ობლებსა. მერე ამას<sup>1</sup> მოგახსენებო ჩემო ხემწიფევე: ელიბო სულიკაშვილი მოვიდა თქვენს ყმასთანა ამ პირობითა: მამული სთხოვა, შვილი მსახურათ უთხრა, ოთხი კოდი ყალანი უთხრა, ოღონც იმ მამულზე დაჰყენეო. მარამ თქვენს ყმას დიად შორს ექირა. მასუკან როდესაც მამადგა, მისცა, ამ პირობით მისცა, მერე, ჩემო ხემწიფევე, იმას არც ერთი არა მიუტია. ამ წყალობას ვითხოვ, თქვენი ყმა თქვენვე მიიქროთ, ჩემი მამული მევე მებოძოს, ჩემო ხემწიფევე. ან როგორც მისცემია, მოიკათხეთ თუ ვტყუოდეთ.

ხემო აშიაზე:

ქ. ამ არზით ასე რომ მოგახსენებიათ, ეს ელიბოშვილი სამართალში მოვეყვანინეთ, მაგრამ ვერც ნასყიდობის წიგნი მოიტანა და ვერც მოწამე და საბუთი, რომ ნასყიდი ქონოდეს თქვენგან და ამისის მიზეზით ეს მამული ისევე

თქვენ დაგრჩათ. აგვისტოს ივ, ქ'კს უოთ.



№ 258. 1791 წ. სექტემბრის „გასულს“. პირობის წიგნი, მიცემული მღვდელი კოკორაშვილის მიერ როსტომ და გიორგი დავითის-შვილებისადმი. დედანი. მარჯვენა კიდე დაზიანებულია. დაწერილი თეთრ ქაღალდზე ძველდრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნაწმარია ალაგ-ალაგ თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2856.

ქ. ესე წიგნი მოგართვი [შე კოკო]რაშვილმა მღვდელმან მახარობელმა და ჩემა შვილმა იოსებ<sup>2</sup> თქვენ დავითის-შვალს ზაალის-შვილს [ . ] როსტომს და გიორგის, ასე რომ თქვენი ყმა გოგია კიტრიაშვილი ჩემთან არის. [— სან]ამ ამ ქვეყანაში იყოს, [წე]ლიწადში სამი მინალთუნი გვემსახუროს და როდისაც [კი] მოინდომო, შენი კაცი [ხელ]ში მოგცე თავისის ცოლ[ში]ლით. თუ მოკვდება, ან [ლე]კისაგან დაიკარგება, ის [ლმერ]თმან იცის და თუ ლმერთი [მ]შვილობას მოგცემს და ეს [კაცი] მე მომთხოვე, მოგა[ბარე]პ, თავს მღვდიც მე ვარ. ლ[მერ]თ[მა]ნ აშოროს, რომ მოკვდეს, ვერც[აე]ინ ბეითალმანს შემოგე[და]ოს. არის ამისი მოწამე ტუ[რა]შვილი ომან, თვალაია შვილი იაკობ, წინწრიაშვილი გიორგი და მე მგალობელს დიმიტრის მახარობლის მღვდლის სიტყვით დაშიწერია და მოწამეც ვარ. ენკენისთვის გასულს, ქ'კს უოთ, მე, კოკორაშვილი გიორგი ამ წიგნისა მოწამე ვარ, რომ ამ ჩემს ბიძაშვილს აბარია ეს კაცი. +

<sup>1</sup> სწერია: აბამ.

<sup>2</sup> უკანასკნელი ოთხი სიტყვა სტრიქონის ზემოდან ჩამატებულია.

№ 257. 1791 წ. ოქტომბრის 15-ს. არზა, მიტეფული ზაქარია ჩიქლადის მიერ იულონ ბატონიშვილისადმი, ამ უკანასკნელის ოქმით, დღიანი. 32 × 17 სმ, დ წერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუზ. ფ. Hd. № 2216.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ ყოვლად მოწყალის ხემწიფას ძის იულონის ქირი მოსცეს. შათ მლოცველს ცოდვილს ხუცეს ტყვიავს მსახლობელს ჩიქლადე ზაქარიას. ახლა ამას მოგახსენებ შათს უმაღლესობას: როდესაც ტყვიავის წმინდის მღვთის მშობლის ეკლესია აშენდა, ერთი პარტახტიც შესწირეს ხუთი ექვსი კოკის. ასე იყო შენი ქირიმე, სოფლის კაცი თითო კონა საარს მოიტანდენ, შეიმუშავებდენ, რაც გამოვიდოდა ნახეკარს ეკლესიას მთავრებდენ ხილს თუ თივას თუ ტკბილსა, ხმ ეკლესიის გვერდზე მარანი იყო, იქვე ჩა[ა]სხევდნენ, ქარელი მდივანი კაი ყმა შეიქნა და იმ სოფლის მოხელე შეიქნა. აღარც სოფელი ამოშავა, ის პარტახტი თითონ დაიჭირა და ის ქვევრებიც ამოყარა და შინ წაიღო. ეკლესიას სამთელს უქრობს, თითონ სკამს. ლ[მერ]თი გაგიმარჯვებს, მოიკითხე, აზნაურ-შვილები გახლავნან და გლენნი, თუ ეს ჩემი მოხსენებული ტყვილი იყოს, დამსარჯე. თქვენის დოვლათით ღურგლები მყავს შეპირებული, ამ ზამთარს კანკლის გაკეთებას ვაპირებ, ქარელი გლახა არას მანებებს არც ტკბილს, არც კაკალს. ახ რა ვასვა იმ ღურგლებს, ან რა ვაჭამო?! ლ[მერ]თი გაგიმარჯვებს, ამისი სამართალი მაღირსეთ. მამყოფეთ თქვენი მლოცველი.

ზემო აშიაზე: ქ. ბატონის-შვილი იულონ გიბრძანებ ტყვიავის მოურაო ჩერქეზის-შვილო ფირან და მამახალისო ჩიქლადე, მერე ტყვიავს რომ ღვთის მშობლის ეკლესია არის, ის ეკლესია ჩვენთვის დაგვიდგია, სხვას საქმე არავისა აქვს და ან რაც იმ ეკლესიის შეწირულობა არის, საკუთრად იმას უნდა დანებდეს და იმ ეკლესიას მოხმარდეს. ჩიქლადე მღვდელი ზაქარიაც ისე განწესებული უნდა იყოს, როგორც აქამდინ ყოფილა. მაგ ეკლესიაში წირვა და ღოცვა როგორც რიგი და მართებულია, ისე განოუწყვეტელი უნდა იყოს და რაც რამ შემოსავალი აქვს იმ ეკლესიას, ის ჩვენ უნდა შეგვატყობინოთ. რაც მღვდლის მართებულია, იმას ჩვენ მივცემთ და სხვა რაც შორჩება, იმ ეკლესიას უნდა მოხმარდეს, სხვა ვერავინ დახარჯავს. ყველამ ასე იცოდეს. ღვინობისთვის იე, ქკს უოთ. მესამედი მღვდელს უნდა მიეცეს და ორი წილი ეკლესიას. რაც შეწირულობა აქვს იმ ეკლესიას, იმისი გამოსავალი ასე უნდა გაიყოფოდეს.

ტომ სქესით არ ნაკლისაგან იულონ ირაკლისაგან

№ 260. 1791 წ. ოქტომბრის 20-ს. სამართალი მდივანბეგთა სოლომონ თარხნი-შვილისა და ოპანეზა ფაფაყერაშვილის საქმეზე. დღიანი. 33 × 22<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარი ორი-საპი წერტილი. საქ. მუზ. ფ. Hd. № 2596.

ქ. თარხნის-შვილი სოლომონ უჩიოდა სიღნაღში მსახლობელს ხიზანს ფაფაყერაშვილს ოპანეზას ბატონყმობაზედ. ამისი სამართალი მისმა უმაღლესობამ მდივანბეგს ოტიას, თარხანს გიორგის და მდივანს დავითს გვიბძანა.

ჩვენ ესენი სამართალში ვალაპარაკეთ. ეს ოპანეზა სოლომანს მეითარს ასე უპასუხებდა: პაპაშენმა მამაჩემი ახალციხეს გაყიდაო, იქ ცოლი შეირთო. წამოსულა, ქართლში თავის ძმას არუთინასთან მოვიდა, იქილამ ბიძაჩემი და მამაჩემი თავეთის ხიზნით აიყარნენ, მოვიდნენ ქიზიყს. გურგენ ნაცვლის ხიზნათ დადგნენ. მე აქ ვცხოვლეო. გურგენ ნაცვლის-შვილმა, მართალია, ყმობით ხელი მოსკიდაო ჩუხს. ამ ბარბაზედ ბიძა ჩემიცა და მამა ჩემიცა თავეთის ხიზნით აიყარნენ და სურამს მივიდნენ, მამასახლისის გვრიტას კედლად დადგნენო. მაშინაც და ახლაც ნაბახტევში შენოა არ იყო და სურამს ამისთვის მივიდნენ, რომ ჩუხნი მეზობლებიც იქ სურამს ესახლნენ მე კი შენი ყმა არა ვარო და ბიძაჩემი კი შენი ყმა არისო. ამისთვის არა ვარ შენი ყმა, რომ პაპაშენმა მამაჩემი გაყიდაო. სოლომან ასე უპასუხებდა: თუ ჩემი ყმა არ იყო ან მამაშენი და ბიძაშენი, მამაშენი შენს ბიძას რათ გამოყვაო და ან კახეთილამ სურამს რათ წამოვიდაო? ჩუხს ამ ფაფაკერაშვილს თავისი ახატობის წიგნი ვთხოვეთ, თუ გასცილული ხარ წიგნი გექნება. წიგნი ვერ მოგვიტანა. მოწმობა მოვითხოვეთ, ქისიყელთ მოწმობა მოიტანა ქისიყში მოსვლისა და თავისის ბატონისაგან გასციდვისა, მარა ესეც ამისი თქმული მოწმობა იყო, ამისთვის არ შეიწყნარებოდა. მამა ამისი თუ გასცილული იყო, თავის ძმას აღარ უნდა შეპყროდა, რომ თავისუფალი იქნებოდა. რადგან იქვე ქართლში ჩამოვიდა თავის ძმასთან და აქედამაც ერთად წავიდნენ და დადგნენ სურამს, რომ ამ თარხნიანთ ყმანიც იქა მდგარან, იმ დროს სურამი რომ დაწერილა, ამათ ყმათ დაწერილან და გაყრილათ ზაზა ყორიასაულბაშს გაუყრია, რომ თითონ ამბობს ცხრა თუმანი გამოგვართო, აიღო და ესევ ბიძაჩემს მისცაო. სოლომან ასე მიუგებდა: ბატონის ბძანებით და ოქმით მამაჩემს სიღნაღილამ აგყარაო, მიგყვანა და ცხინვალს დაგაყენაო, ცხინვალილამ გამოიპარე და კახეთს ჩამოხველ. მასუკან კიდეც ბატონის ბრძანებით ქიზიყის მოურავის ზაქარიას მოასილობით აგყარე და კიდეც ცხინვალს მოგიყვანე. ეს სამი-ოთხი წელიწადია გამოიპარე, დედაშენი წამოიყვანე და ისევ აქვე სოველ. ამათს საქჰეს რომ ასე გაუვლია, ან პირველად ზაზას დროს და ან მას უკან თუ სიტყვა ქონდა და გასცილული იყო, ან ბატონს რატომ არ მოახსენა და ან არსად დამკვიდრდა. ჩუხნის გაშინჯვით და სამართლით ეს ფაფაკერაშვილი მეითარის სოლომანის ყმა არის და ნება მისი უმალლესობისა არის.

ოკლომბერს კ. ქქს უოთ.



ზემო აშიაზე: ქ. ჩვენ, მეფე სრულიად საქართველოსა ირაკლი მეორე ამ სამართლის ვამტკიცებთ. თუ რომ ფაფაკერაშვილმა ასეთი მუხტაბარი მოწმობი მოიყვანა, რომ აპისის პაპისაგან გასცილული იყოს და ჩვენი გული ამაზედ სარწმუნო გახადა, ხომ სამართალი მიეცემა და თუ მოწამე ვერ იშოა და ამისი ყმა ყოფილა და არის.

ოკლომბერის კდ. ქქს უოთ.

ერუკლე <sup>1</sup>

\* სათაურუი: ქ. ფაფაკერა-შვილის განაჩენი სიღნაღს რომ არის.

№ 261. 1791 წ. ოქტომბრის 21-ს, არზა, მიცემული წყნარისახარის ძმისწულის ბერის მიერ გიორგი ბატონიშვილისადმი ამ უკანასკნელის ოქმით. დეა.ნი. 21 × 10 1/2 სმ, დაწერილი მოღურჯო ქალაქზე მედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Qd, № 375.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ ბედნიერის გელმწიფის ძის გიორგის ქირი მომცეს მათს ყმას და თქვენის მოახლის წყნარისახარის ძმის წულს ბერსა.

ჩემო მოწყალევე, ორჯელ ტყვეობიდან თავი დამიხსნია ვალათა და ვაშხით და ისევ თქვენს საფარველს ქვეშ გხლებივარ.

ხილისთავს გახლავარ და ლამის რომ მესამედ დამატყვევენ. რვა სული ხიზანი მყავს შესანახავი, იმათი შენახვა ცალკე მაწუხებს და სათხოვარშიც ცალკე მაწუხებენ. თქვენი ყმა და მონა გახლავარ, ნუ დამკარგავთ. ლ[მერ]თით გადღეგრძელებსთ, შებრალებით გამიკითხეთ და ერთი მტკიცე ოქმის წყალობა მიყავით, რომ ხარჯში არავინ შამაწუხოს და არ მეთხოვებოდეს. ლ[მერ]თი გადღეგრძელებსთ, ოკემბერს კა, ქკს უოთ.

ზემო აშიაზე: ქ. ბატონო ამილახვარო ოთარ, მერე ამ არზის პატრონს ეს ასე რომ მოუხსენებია, ეს კაცი შენ გებარებოდეს. ნურც ხარჯში და გამოსაღებში გარევთ, რადგან ასე შეუძლებელი და ვალის პატრონია და რომღლიც მოასილნი მიხვიდეთ, თქვენც ასე უნდა იცოდეთ, რომ ამას არა გამოერთმევა რა და ნურც შეაწუხებთ. ბატონო ამილახვარო, ეს წიგნი ისევ ამას უბოძე და ნურავის გა[ა]გლეჯინებ. ღვინობისთვის კგ, ქკს უოთ.

გიორგი

№ 262. 1792 წ. იანვრის 3-ს, არზა, მიცემული მკადიჯვარელი გიორგი როსფაშვილის მიერ ერეკლე II-სადმი, უკანასკნელის ოქმით. დეა.ნი. 22 × 11 1/2 სმ, დაწერილი თეთრ ქალაქზე მედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ზოგჯერ ნახარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2671.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ ბედნიერის გელმწიფის ქირი მკადიჯვარს მოსახლე როსფაშვილს გიორგის მოსცეს.

ჩემო მოწყალევე, მე ჯავახეთიდან ვარძი[ი]ს დეკანოზიშვილი გახლავარ, ერთი ყმარწვილი შეიღათ ამიყვანია და გაიზღია. ციციშვილი ზაქარია რომ აქიდან გაიქცა, მამინ მკადისჯვარს ამ ჩენის შეილით გაიხელ. ახლა ბეჟან რატიშვილი შეჭიდება და ამ ჩემს გაზდილს შეილს მართმევს. ჩემის ყმის ბიძაშვილი არისო. ჩემო ხელმწიფევე, მე არც მაგისი ყმობით წამამიყვანია და არც სხვისა. ჯავახეთს ობოლი ამიყვანია და შეიღათ გამიზღია და ამაგი დამიღვია. მაგას რა საქმე აქვს, ეს ბიჭიც დაკარგვის გზაზე დამდგარა. ლ[მერ]თი გაგიმარჯვებს, და ლ[მერ]თი ამ შეჭირვებისაგან დაგისხნისთ, მიშველე რამე, ერთი ბეჯითი ოქმი მიბოძეთ, რომ ბეჟანს ამ ბიჭთან საქმე არა ჰქონდეს, თქვენი შეილების სადღეგძელოთ იანვრის გ, ქკს უპ.

ზემო აშიაზე: ქ. ჩენი ბძანება არის იასაულო ცშიკაღაზაშო აიდენურ, მერე ამ არზის პატრონს ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, ლაბარიშვილი ბასილა და გოგია ზაქარია ციციშვილის ნაყმენი არიან და ესენი ორნიც

შანი ჩვენ ბეჟან რატოშვილს უბოძეთ და ერთი ამათი ბიძაშვილი ნასყიდა რომ სეფაშვილს გიორგის გერათ ჰყოლია და ეს ბიძაშვილები ამ ნასყიდაზე ჯელს არ იღებენ. ვერ მოგვმორდებითო, ახლა ეს ლაბაროშვილის ნასყიდაც ამ ბეჟან რატოშვილისათვის გვიბოძებია. შენ მიდი მქადის ჯვარს, ეს კაცი აჰყარე და ბეჟან რატოშვილს მოაბარე. ჩვენ ბეჟანისთვის გვიბოძებია. ამაში არცრა საქმე ჩვენს შვილებსა აქვს და არცარავის სხვასა. იანვრის 17, ქქს უპ.

ქ. როგორც ზემოთ დაგიწერია ამათი ბიძაშვილი ნასყიდაც ბეჟანისათვის გვიბოძებია. თუ ამ ნასყიდაში სხვას სიტყვა ჰქონდეს ვისმე, ჩვენ მოგვახსენოს ალბათ

ერეკლე

№ 263. 1792 წ. იანვრის 8-ს. ოქმი, ალექსანდრე ემიკალაბაშისა მქადისჯვარის მოუთავ ზურაბ ბერდიაშვილისადმი. დედანი. 16 × 10 სმ, დაწერილი იქორ ქ. დალდე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 29 0.

ქ. აიედემურ ემიკალაბაშის სიყვირულით საგონებლო მქადისჯვარის მოუთავ ბერდიაშვილს ძმაო ზურაბ, ძერე ბეჟან რატოშვილს ბატონმა ლაბაროშვილი ნასყიდა უბოძა. ოქმი ჩემზე ჰქონდა მიბარებისა. ეგ ნასყიდაც მიბარე რომ ახლა უბოძა და გოგია ხომ უწინვე მიცემილი იყო და ეს ორნივე ახლავ აუყარე და ძიბარე როგორც ბატონის ოქმში უწერია, იმ გზითა და იმ რიგითა ახლავ. მიუბარებლობა არ იქნება, ბატონის ბრძანება არის, რომ უნა მიბარო.

იანვრის 17, ქქს უპ.

№ 264. 1792 წ. იანვრის 20-ს. წყალობის წიგნი. მიცემული ზურაბ თუმანიშვილის მიერ საინანთ არუთ-ნასადმი. დედანი. დაზიანებული. 31 × 20 სმ, დაწერილი მოლურჯო ქალაღზე მადრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო ან ორი წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2586.

ქ. მე, თუმანიშვილი [ლიპარეტისძე გიორგის]<sup>1</sup> შვილმა ზურაბმა ესე საბოლოოდ გამოსადეგი და მოუშლელი წიგნი გიწყალობე შენ, ჩენს ყმას საინანთ არუთინას-შვილსა არუთინას; — ასე რომ ტ-შობილამ მოხუცი და შენის ზეზით ჩემი ყმობა მოინდომე და წერილიც მამეცი, მეც მამულზე დაგაყენე. დღეის და დღეის იქით ჩემგან და ჩემის ჩამამავლობისაგან და შენ და შენ ჩამამავლობას ეს წყალობაც გქონდესთ: არც საქტირეო გეთხოვებოდესთ, არც მოახლე, არც ძიძა, არც მსახური. თუ ნება არ იყოს თქვენნი, არც საქორწილო, არც საადაპო. თუ ღმერთმა შეგადლებინოს, მამული იყიდოთ, თქვენი ნასყიდის მამულის გაყიდვს, გაზითვის და გაკერის უფლებაც გქონდესთ ჩვენგ შეუქიხხავათ, ვერ დაგიშალოთ, ამას გარდა ღმერთმა გაშოროსთ, თუ თქვენს ჩამამავლობაში ამოსწყდეს ვინმე, როგორც კელმწიფისაგან ბეითალმანობათ

<sup>1</sup> დაზიანებულია.

განწესებული არის, იმა კჷალად თქჷნ მოგეცეს გზა. ამას გარდა რაც სხტა ბატონყობის სამსახური არის, ისე შემსახურებოდე. როგორც ერთი ჩვენს მემკვიდრე ყმა გვემსახურებოდეს, თქჷნც ისე გვემსახუროთ ერთგულობითა და ჩვენს საამურათ, რომ ჩჷნც მწყალობელი ბატონი ვიყჷნეთ თქჷნი. დაიწერა იანვრის კ, ქკს უჰ.

სხვადასხვა ხელით:

ქ. მე. თუმანიშვილმა ლიპარიტის-შვილ-შვილმა გიორგის ძემ ეს წყალობის წიგნი მოგეცი ჩემს ყმას არუთინას. ეს ჩემი ხელი და ბეჷედია.

ქ ზემო თუმანიშვილი ზურაბის სიტყვით და ნება მყოფლობით ესე წყალობის წიგნი დავწერე დიდის ეკლესიის დეკანოზი ტერ არაქელას ძე გასპარა მწიგნობარი. გასპარა.

№ 265. 1792 წ. იანვრის 30-ს. პირობის წიგნი დიდმეღობის მიერ „მისი უწმინდესობისადმი“ მიცემული პირი. XX საუკუნისა: საქ. მუხ. ფ. Hd, № 10066,

ესე წიგნი მოგეცით ჩვენ ერთობით, დიდმეღებმა მისი უწმინდესობის ჩვენ დიდმეღებს;— ასე რომ დოეს-დღე ეს იქით თუ ჩვენ უქმე დღე გავტებოთ, ან ტყეში, ან შინ ერთმანერთს მოვპაროთ რამე. სოფელმა ურემიც დაგვიწონ და ხუთი მინათული ჯარიმა წაგვეერთოს თქვენს ღდელთ მოგბარდეს ჩვენ ერთობილი სოფელს ყაბული გვაქეს. იანვრის ლ, ქკს უჰ.

უზის 29 ჯვარი და ბოლოს გასული ბეჷედი.

№ 266. 1792 წ. ივნისის 18-ს. არზა, მიცემული ბირთველ თუმანის-შვილის მიერ გიორგი ბატონიშვილისადმი. დედანი: 33 × 12 1/2 სმ, დაწერილი მოლარჯო ქალადღე მხედრული ხელით. ქალაქის ვიკინიშახია 1789 წელი. საქ. მუხ. ფ. Qd, № 182.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ ბენდიერის კელმწიფის ძის გიორგის პირი მოსცეს მათს მონას თუმანის შვილს ბირთველს. მერმე ამას წინა წელიწადებში ერთი გარდმოვარდნილი იმერელი მცემო და წიგნიც მომკა ყმობისა. ჩემი სახლის კაცი გიორგი ასანას-შვილი შეადგა ჩემის მტრობით და ეს იმერელი გამიხუიანა და თავისთვის მოიზღომა. იმ იმერელს თქვენთვის არზა ნოერთმეგინა. როგორც იმათ დაერიგებინათ და თქვენც ოქში გებოძებინათ მინბაჰ ბეჷან ამილახვარის-შვილზედ, რომ არც ოქში მინახავს, რა გიბრძანებიათ და არც არზა მინახავს, რა მოუხსენებია. დამალეს. მე ასე უფრო მგონია იმათი აზრი ეს იყო: მალევით იასაული მოიყვანონ და ერთი განსაცდელი მამაყენონ. ეს ოქში რომ აედოთ, ახლა ყმობის წიგნი გამოურთმეგიათ, ესეც ჩჷმათ დააქეთ და აბეჷდინებენ. მე ასე მგონია მონასიბი ეს იყო: რადგან თქვენ არზი მოგართევს და მიჩივლეს, ჯერ სამართლისათვის უნდა მოეცადათ და როდესაც ის კაცი სამართალს ჩემთვის ჩამოერთმეგინა, მას უკან უნდა გამოერთმეგინა წიგნი და ყემო. ახლა ნება თქვენი არის, რომელიც თქვენმა სვინდისმა გამხილოსთ, იმისთანა ოქმის წყალობა მოიღვეით და სამართალი გვაღირსეთ. მთიბათვის იმ, ქკს უჰ.

<sup>1</sup> ხვეულად.

№ 267. 1792 წ. ივნისის 24-ს. არხა; მიცემული თეიმურაზ ჯავახიშვილის მიერ მდივანბეგებისადმი, ამ უკანასკნელთა ოქმით. ღედანი. 22 × 12<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დაწერილი მოლურჯო ქალაღზე მხედრული ხელით განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, 9858.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ მდიანბეგების კირი მამცეს თეიმურაზ ჯავახიშვილს მერმე ერთი კოცლი კაცი ნინიაშვილები ორ კომლათ იყუნენ გაყრილნი ერთი კომლი მე მერგო და ერთი ჩემს ძმას. ვენახი და ნაფუზარი გაყოვილი აქუს და სხვა მამული რაცა აქუს, გაუყოფარია ზოგიერთი. ახლა ის კაცი ძალას უშურება ჩემს კაცს და წილს ღალაში არას უღებს. ამას გევედრებით, რომ გლახა თარხნიშვალს უბრძანოთ, ის ღალა მოკრიფოს, ერთ ალაგს შეინახოს და ის კაცი თქვენ სამართალში ჩამოიყვანოს და ღ[ვ]თის წინაშე სამართალი გვისაჯეთ<sup>1</sup>. მთიბათვის ივ ქკს უჰ.

ზემო აწიან: ქ. საქართველოს მსაჯულთ შეკრებულებისა მიერ ასე ეუწყოს თქვენს ბრწყინვალებას ბატონო თარხნიშვილო გლახავ, რომ ეს კაცი რომ სამართალში ასე ჩივიან, სამართალში მოსელამდინ ეგ ღალა ერთს ალაგს შეინახე დაბეჭდილი და ეგ მოდავენი თუ მანუ ვერ მარიგო, აქ სამართალში გამოგზავნე და ვისაც სამართალმა მისცეს, ისე დაჯერდენ. ივნისის კვ, ქკს უჰ.

□ □ □

№ 268. 1792 წ. ოქტომბრის 31-ს. არხა, მიცემული ზაალ დავითის-შვილის მიერ ერეკლე II სადმო, უკანასკნელის ოქმით. ღედანი. 25 × 15 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. „ან“-მეტი. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2237.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ ბედნიერის ხელმწიფის კირი მათს მონას დავითიშვილს ზაალს მოსცეს ჩემო ხემწიფევე, ეს ოცი წელიწადია მუდამ თავს გაწყინ, ზარღიაშვილი ჩემი ყმა არის და მძლავრობით თავს მართმევს მეთქი. ოქმებიც მაქვს სამართლის ბოძების დაპირებისა და ეს სამი წელია მუდამ ხშირათ გაწყინე თავი. ამისი ოქმებიც მაქვს, მაგრამ არა გაეწყო რა. ეს არ ვიცი რ[ა] ანბავია. ეხლა რომ წავკის ბრძანდებოდით, კიდევ გაწყინე თავი. ოქმი მიბოძეთ ამილაზვარზე: თუ ახლავ არ ჩამოვადენო კაცებზე რომ დაობენ, ამ ზაალს უბოძებო და მას უკან იდაოსო. ამ სიტყვამ შეაშინა, ჩამოვიდენ, ერთი კვირა გათიეს, ისევ წავიდენ. არ მამყენენ სამართალში. კაცებს ცალკე მართმევენ. ორივე მამაშვილი დახოცილი ვართ. ამ ზაფხულს კიდავ ჩემს კაცს მიხლომიან თავის თავათ, ძროხა წაურთმევიათ უბრალოს კაცისათვის. გაზაფხულზე ხაშმზე რომ ბრძანდებოდით, იმ სადაოს კაცს ეჩივლა, ოქმი გებოძათ ჩემთანაცა და ამათთანაცა, ამ კაცს დაეხსენითო სამართლამდინაო. ჩემთან აღარ მოუშვა ის თქვენი ბრძანება, აქ ქალაქში წაერთმია. ამისთანას ძალას ჩადის, თქვენს ბძანებას მაგვართ წინ უღებდა და არ ვიცი რის ძალით ჩადის. ახლა ჩემო ჩოწყალევე, ამდენი წყალობა დამემართოს. ეს ჩემი ორი კაცი ჯოხაქები მე გებოძოს, იმისი სამკედრო ხომ არ არის, ნასყიდობით დაობს და თუ შე-

<sup>1</sup> სწორია გავისაჯეთ.

მომივიდეს ჯარინით გარდამახდევინე, თავის თავსაც ვედავები, რომ ჩემი ყმა არის. ამ ჩემ სამკვიდრო კაცებზედაც მკლამს. ამ უბრალოს სხვას ჩენს კაცს რომ თავის თავათ ქროხა წაართვა, ესეც მებოძოს. ამ გვარი საქმე იმისთანას კაცისაგან მეტათ ძნელია და ნება უმაღლესობისა აღსრულდეს. ღვინობისთვის ლა, ქქს უპ.

ზემო აშიაზე: ქ. ჩენი ბძანება არის ბატონო ამილახვარო ოთარ, მერე შენ უნდა ზარდიაშვილები ახლავ ავად მოპყრობით სამართალში მოიყვანო, რომ ამ ზაალს პასუხი მოსცეს. თუ ახლავ არ ჩამოვიდნენ, მამულზედაც ხელი აუმართე, იმ სადაოს კაცებზედაც და ამას მოაბარე. მასუკან ეგენი მოვიდნენ და ილაპარაკონ. ნოემბრის ა, ქქს უპ. ეს უნდა ახლავ ასე აღსრულო. ჩვენ რომ დავიბარეთ, ჩამოვაყვანინეო და ერთს კვირასარ მოიცადეს და ისევე წავიდნენ, რატომა ქნეს. ამისის კაცისათვის რომ ძროხა წაურთმეგია, ისიც გამოურთვი.

ერეკლე

№ 269. 1792 წ. დეკემბრის 20-ს. თავდებობის წიგნი, მიცემული დეკანოზის-შვილ ტერ სტეფანას მიერ უზბაშ ტუტია გასტაშაბის-შვილისადმი. დედანი. 17 $\frac{1}{2}$  × 11 სმ, დაწერილი მოლურჯო ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 916.

ქ. ესე წიგნი მოგეცი მე ფეთხანის დეკანოზის შვილი ტერ სტეფანამ შენ, გასტაშაბის-შე-ლს უზბაშ ტუტიას;—ასე რომ შენი ყმა სტეფან გაიქცა. შენ და იმასი ცოლშვილს მოიყვანე ტუტალათ. არ უშვებდი. მე თავდები დავიდევ ამ ქალს და ყმაწვილებს. თუ სადმე გაიქცენ, პასუხის გაძევი მე ვიყო, როგორც მოგიბარებია, სიკვდილის გარდა, ისე ამ ქალს და ყმაწვილებ მოგაბარო. დაიწერა ქრისტიანობის კ, ქქს უპ. +

№ 270. 1793 წ. აპრილის 12-ს. ბატონყმობის წიგნი, მიცემული გიორგი ჯინჭარაძის მიერ გიორგი აბაშიძისადმი. დედანი. 34 × 13 სმ, დაწერილი მოლურჯო ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 13667.

ქ. ესე წიგნი მოგართვით თქვენ, აბაშიძის სალხუცესს გიორგის და თქვენს ძმას სალხუცესს იოანეს ჩვენ, ჯინჭარაძემ გიორგიმა და ძმამ ჩემმან თევდორემ;—ასე რომ ამას წინათაც თქვენი ნაყმენი გახლდით. უბრაობის გულისათვის ავიყარენით და ჯაგახეთს გადავედით და იქ ფათერაკად ერთი თათარი შემოგვაკვდა. იქიდანაც ავიყარენით და ორნივე ძმები ქალაზედ გაიხელით. ხუთი წელიწადი იქ თქვენს მამულზე გახლდით. მერმე აქ ქალაქში მუშაობისა და მოსაგების გულისათვის ჩამოვედით და ცოლი შევირთევ და აქ გახლავართ. თქვენს მეტი ბატონი და პატრონი მე არავინ მინდოდეს და არც არავის ჰქონდეს საქმე ჩემთანა თქვენს მეტსა ჩემთანა. აქ ვიყოთ თუ იქ, თქვენს საფარველს ქვეშ გახლდეთ. თქვენ ჩვენნი შემნახავნი და მპატრონებელნი ბრძანდებოდეთ, რომ უბრალოთ არვინ გავგვლიჯოს და ჩვენ თქვენი ერთგულნი ყმანი ვახლდეთ.

არის ამისი მოწამე<sup>1</sup> თავთ ღმერთი, კაცთაგან სურამელი ჯოხაძე დემეტრე, დიდმელი მამასახლისი ზურაბა გილაური, თქვენი აზნაურშვილი სავანელი დავით. მე, ივანე ყანჩელს ამ ჯინჭარაშვალების გიორგისა და თევდორეს სიტყვითა და ყაბულობით დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. აპრილის 10, ქკს უპა.

№ 271. 1793 წ. მაისის 2-ს. ოქტი ერეკლე II-ის მიერ მინბაშ ბეჟან [ამილახორისადმი] მიცემული. დედანი. 21 × 16 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით, განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2939.

ქ. ჩვენი ბრძანება არის სურამის მოწერაო მინბაშო ბეჟან, მერმე შენ უნდა ტრძნის მიხვიდე და ესტატე მგალობელი და იმისი სახლის კაცი ახლავე აყარო და თავიანთ მამულზე მიიყვანო. ის სოფელი მეთოდი მდინანბეგისათვის გვიბოძებია, სხვას კაცს იქ საქმე არა აქვს. ესენი კი ახლავ უნდა აყარო და ჯობინაშვილს თუ უნდოდეს, იქავ იდგეს და ამისი ყმა უნდა იყოს, რადგანც იქაური მეკვიდრე არის და თუ უნდოდეს, ახლავ აიყაროს და ის მამული ამას დაუგდოს, თუ არ აიყრება და ამის ყმათ უნდა შეიქნას და ისე დადგეს და არადა, იქვერ დადგება. მაისის 2, ქკს უპა. ან როგორც ბატონყმობის რიგი იყოს, იმ რიგად ეყმოს და მსახუროს და არა და ახლავ აიყაროს, თავისი მამული დაუგდოს, თორემ თუ ასე არა იქს, იცოდეს, რომ გავახეიბრებთ, სარწმუნო იყოს.

#### ერეკლე

№ 272. 1793 წ. ივლისის 1-ს. ვალის წიგნი, ნიკოლოზ თუმანიშვილის მიერ ამირა ჩაბრუხაშვილისადმი მიცემული. დედანი. 20 1/2 × 14 სმ, დაწერილი მოლურჯო ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Sd, № 409.

ქ. ავილე მე თუმანის-შვილმა ნიკოლოზმა შენ ჩაბრუხაშვილი ამირასაგან თოხი თუმანი და ექვსი მინალთუნი, რომ იქს ამისი ნახევარი 80 ამდენს. სამი თვე ვადა. ვადას თუ გადასცილდეს, თუმანზე თვეში ორი შაური სარგებელი გაძლიო. თუ ამაზედ გაგალაპარაკო, სამდივნო და საიასაულო მე გავილო. არის ამისი მოწამე ელიოზის-შვილი დავით, მე, ნიკოლოზს დამიწერია და ყაბულიცა მაქვს. დაიწერა მკათათვეს 2, ქკს უპა. ნიკოლოზ.

ქ. ამირან, ამ თამასუქის თეთრს ვადაზედ მე მოგცემ, ნიკოლოზს ნუსთხოვ. მთბათვის ით, ქკს უპა. სოლბან

სხვა ხელით: ქ. მამებარა მე ჩაბრუხაშვილს ამირანას ამ თამასუქის თეთრი ვადაზე ბატონი სულხან მდივანისაგან. ამირან[ა]ს სიტყვით დამიწერია მე გიორგი დონდაროვს.

<sup>1</sup> სწერია: მოწყამე.

№ 273. 1793 წ. ივლისის 30-ს. ბრძანება დარეჯან დედოფლისა კუჭატნის ნაცვარისა და კუჭატნელებსადმ. დედანი.  $17\frac{1}{2} \times 11\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ალაგ-ალაგ თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2-55.

ქ. დედოფალი დარეჯან გიბძანებთ კუჭატნის ნაცვალს და ერთობით კუჭატნელებს, მერმე რომელიც ველისციხის მოურავის სამოურაო განწესებული არის და ეძლევა, თქვენთვისაც ასე გვიბძანებია, რომ თქვენს მოურავს გარსევანს უკლებრათ უნდა აძლიოთ თავის სამოურაო, ამაზედ არც უარის თქმა იქნება. და ვერც დააკლებთ. ყოველს ფერს ველისციხის მოურავის რიგზედ უნდა მისცემდეთ. თუ დააკელით რამე, დრდათ გიწყენთ. ან კიდევ როგორც გავაზის მოურავის განწესება არის, ამ თქვენს მოურავს გარსევანსაც ისე უნდა აძლიოთ, დაკლება არ იქნება. აღიწერა ივლისის ლ, ქკს უპა.

დედოფალი დარეჯან

№ 274. 1793 წ. ოქტომბრის 8-ს. წერილი ვახტანგ ბატონიშვილისა იოანე სახლთუხუცესისადმი. დ. დანი.  $22 \times 16\frac{1}{2}$  სმ. დაწერილი მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარია არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2-88.

ქ. მეფის ძის ვახტანგის პატივით და სიყვარულით სახსოვარო სალთხუცესო იოანე, შრავალი მოკითხვა და კარგათ ყოფნის სიამე გეუწყოს. მერე შენი წიგნი მოგვივიდა და რაც მოგეწერა ყველა ვსცან. ციცილოშვილისა რომოგეწერა, რა თქვენ ის მოგეც, იმ დღიდან აქამდის ის კაცი თქვენთვის გამოსართმევლად არცა მდომნია და არც მინდა; იმდენი ღვთის წყალობა მაქვს რამდენი თქვენი საბატონუშო სარჩევი სიტყვა დღეს მე ამათ უთხარ. ხან ტკბილი და ხან მწარე, მაგრამ ხომ იცი მოსამართლემ მოჩივარს სიტყვა უნდა გაუგონოს მანამდის სიმტყუენე იქნება თუ სიმართლე, უნდა მიჰყვეს. მამა ჩემი ნუ მომიკედეს და ევ ჩემი ძმაცა, მანამდის შენ არ მოგეწერა, მე ეგ არ შემეტყოს, რომ ჩემს ძმას ესენი შენთვის ველებ შეკრული მოეცეს. მე ასე მემჯობინება, ეს არათერი თქვენი საწინააღმდეგო და დასაკლისი საქმე არა იყოს რა, მანამდის ჩვენ ერთად შევიყრებოდეთ ეს კაცი ისევე ასე იყოს და მასუკან დიად რიგიანად მოვიყვან საქმესა; სწორს გეტყვი, ესენი ასე რიგათ ლაპარაკობენ, რომ ამათ სხვა პასუხის ძლევა უნდათ. ამავების მოწერას ნურც ერთსა საწყენათ ნურათ მიიღებ. ამას ვით ოვთ შენგან, ჩემის ძმის ბატონის-შვილისა და შენს ამბავს ნუ დაგვაკლებ. ოკტომბრის 8, ქკს უპა.

ქ. მამას ჩემს მეფეს ერეკლესა ვფიცავ, მე ეს კაცი თქვენთვის მოსაცემათ კიდევა მდომნია და კიდევა მართლის გულით მემეტებოდენ თქვენთვის, მაგრამ ასე რიგათ ლაპარაკობენ, რომ არ მოუცდო და არ გავიგონო არ იქნება და ამათ თავეთი ცოლშვილი ამ ქამად ისევე მოეცით ჩემის სიყვარული-სათვის, ჩემო იოანე.

1

<sup>1</sup> საბუთის ზურგზე მისამართი: ქ. ღვეთით სალთხუცესს აბაშიძეს იოანეს მიერთოს.

№ 275. 1793 წ. ნოემბრის 22-ს. პირობას წიგნი ივანეს ჯალაბის ნანუას მიერ ავთანდილ ბაბალაშვილისადმი მიცემული. დედანი.  $16\frac{1}{2} \times 10\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი მომწვანო ქაღალდზე მხედრული ხელით. განვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Qd, № 791.

ქ. ესე წიგნი მოგეცი მე შენის ყმის ივანეს ჯალაბმა ნანუამ შენ ბატონს ჩემს ბაბალაშვილს ავთანდილს; — ასე რომ ჩემი შვილი პეტრე ჩემთან დგომას არ აპირობდა და ქორწილს სხვაგან შვრებოდა, ჩემგან გულს აკლდა. შენთვინ ეს პირობა მომირთმევია: დღეის იქით როგორც დედა-შვილობის რიგია, ისე არ ვმსახურო ერთგულათ მაგას და მაგის ცოლს არ მოუარო და ჩემგნით მაგათგან საჩივარი გაიგონო, რაც ერა ავს დედაკაცს გარდახლოდეს, ის მე გადამახდევინებ. არის ამისი მოწამე ოსიყმე ბერუა, ყიულუნძე (?) იასე და მე ხითარას შვილს დემეტრეს დამიწერია ნანუას სიტყვით და მოწამეც ვარ. დაიწერა გიორგობის კბ, ქკს უპა<sup>1</sup>.

№ 276. 1794 წ. მარტის 12-ს. არზა, მიცემული თევდორე ხახანაშვილის მიერ ერეკლე II-ისადმი ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი. ოდნავ დაზიანებული.  $22 \times 13\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი მოლუღო ქაღალდზე; მხედრული ხელით. განვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემთხვევ ნახმარი თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2973.

ქ. ლმერქთმან ბედნიერის ჯელმწიფის ქირი წმინდის ესტატეს ყმას ხახანაშვილს თევდორეს მოსცეს. ციციანთგან ექვსი თაობის შეწირული გახლავარ, მამუკა თარხნის-შვილს ერთი უბრალო წიგნი გაუკეთებია და ჩემის მამულით ჩემს თავს ყმობილამ ართომს. თქვენს დროში რომ წმინდას ესტატეს ყმა წაერთოს, ვილას დროში უნდა იშოვნოს. ახლა მამუკა რომ ელისაბეთაშვილს მოწამობს, მამა ხომ მკვდარია. შვილები ცოცხალი. აქ დაიბარეთ, თქვენ სამართალში გვალაპარაკეთ. თუ ელისაბეთაშვილმა გამიმტყუნოს, რომ წმინდის ესტატეს ყმა არ ვიყო, ზერე სიტყვა აღარ მექნება. თუ ამასაც არ ინებებთ, იმ ელისაბეთაშვილმა წმინდას ესტატეზე შემამფიცოს, რომ მე იმისი ყმა არ ვიყო და ზერე კი მამუკამ ყმათ დამიქიროს ლმერქთი გაგიმარჯვებს, ერთი ოქმი გვიბოძეთ, ეს ელისაბეთაშვილი ან აქ ვიახლოსთ, ან იქავ დაიფიცოს. ლმერქთი გაგიმარჯვებს. მარტის ე, ქკს უპბ.

ზემო აწიხა: ქ. ჩვენი ბძანება არის დავით თარხნიშვილო, ამ არზის პატრონი რომ ასე ჩივის, ელისაბეთაშვილები, რომელნიც მამუკა თარხნიშვილს მოწამობენ, ჩვენს სამართალში მოიყვანე, მარტის იბ, ქკს უპბ. აღბათ.

გუგუღე

№ 277. 1794 წ. მარტის 29-ს. არზა, მიცემული დათუა თარხნიშვილისა ერეკლე II-ისადმი, უკანასკნელის ოქმით. პირი. გადაწერილი XIX საუკუნის დასაწყისს. საქ. მუხ. ფ. Hd, № 8469.

ქ. ლმერქთმან ბედნიერის ხელმწიფის ქირი მათს მონას თარხნის შვილს დათუას მოსცეს. ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს და გვედრებით.

<sup>1</sup> სათაური: ქ. გოდა ივან[ა]ს მიცემული წიგნი.

სანამდის ჩვენი ძმა სოლომან თქვენს თაყვანის ცემას და ხილვას ელიჩსებოდეს. ეს მოწყალება მოიღოთ, რომ ჩვენს ყმასა და ან რომელიც იქ ჩვენი აზნაურშვილები ყვანან, იმათს ყმას ნურავინ შეაწუხებს და ხუთი მსახურის სურსათი დარჩენილა, იმის წყალობასაც ვითხოვთ და თქვენის დოვლათით თუ მშვიდობით გიახლებიან, ერთი ორათ იმსახურეთ ჩვენი ყმაცა და აზნაურშვილც. მწუხარებისაგან დიდათ შეწუხებული გახლავართ, თორემ ამაზედ თავი არ უნდა გვეწყინა თქვენთვის.

ქ. ჩვენი ბძანება არის ყოველნო ჩვენნო მოხელენო და მოსაქმენო, მერმე ამ არხის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, ეს ყველამ იცის, რომ ის ჩვენი შეითარი ქვეყნის გულისათვის უცხოს ქვეყანაში წასული არის და თუ ყმა და აზნაურშვილი ჰყავს რაჟე, ისინიც იქ თვისთან ჰყვანან და სანამ ღქათით ის მოვიდოდეს, ეს მანამდე ამათს ყმას სათხოვარსა და გამოსაღებზედ ნურაზედ შეაწუხებთ, ნუცა ამათ ყმასა და და ნურც ამათს აზნაურშვილის ყმასა და ხუთის კაცის სურსათი რომ დაჰკლებიათ, ნულარც იმაზედ შეაწუხებთ, ისიც გვიპატიებია. მარტის კთ. ქკს უპბ. ჯარიანობასა და მორიგეს გარდა,—ესენი კი უნდა გამოვიდნენ. | ყოველმე |

№ 278. 1774 წ. აპრილის 16-ს. ბატონყმობის წიგნი, მიცემული ოქრუა ზერაკიდის მიერ ლუარსაბ თაოხნიშვილისადმი. დედანი. 25 × 12 სმ, დაწერილი ლურჯ ქალღმებე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუზ. ფ. Hd, № 2256.

ქ. ესე წიგნი მოგეცე მე ზერაკიძე ოქრუამ თქვენ, თარხნის-შვილს ზაზას შვილს ლუარსაბს;—ასე რომ კოთელიდამ გაახელ და პური გთხოვე. სამი კოდი პური მიბოძე. არც მიყიდნია და [არც რუსი გისაყვედურებს. ამ მიზეზით, რომ მე შენი ბატონობა მინდა. მარსს გადმოვიდე კოთელიდამ და თქვენ ზაზა შვილებს თარხანოვს გეყმოთ. თქვენს გარდა არავისთაქნ] არ მივიდე. თქვენ მწყალობელი ბატონი ბძანდებოდეთ, მე ერდგული ყმა გახლდე. მე, თარხნის-შვილს შელენტის დამიწერია ზერაკიძე ოქრუას სიტყვით აპრილის ივ, ქკს უპბ. ოქრუა.<sup>1</sup>

№ 279. 1774 წ. ივნისის 25-ს. პირობის წიგნი, მიცემული ფაფაკრაშვილის მიერ გიორგი თარხნიშვილისადმი. დედანი. ოდნავ დაზიანებული. 28 × 21 $\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი ლურჯ ქალღმებე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუზ. ფ. Hd, № 3953.

ქ. ესე წიგნი მოგეცე, მე ფაფაკრაშვილმა თქვენ, ჩემს ბატონს გოგია თარხნის-შვილს;—ასე რომ მე თქვენი მემკვიდრე ყმა ვარ და არც არავის ჩემთან შენს მეტს ველი აქვს ჩემთან. ბატონთანც ბევრჯელ ვილაპარაკე და არა მეშველა რა. ბატონის-შვილმა გიორგიმაც გამამტყუნა, ღქათის წინაშე მეც ვტყუო-

<sup>1</sup> მელით შემოხაზულ წრეშია.

სათაური: გაბრიელის ვენ. ხის ძველი სიგელი. კოთელიელი კაცის ბატონყმობის წიგნი.

დი. მაგრამ ახლა ჯერ ღვეთის მგმობელი ვიყო და მეფის ერეკლეს შემცოდე ვიყო და მეფის ძის გიორგისა თუ დღეს და დღეის იქით ან ვილაპარაკო, ან გაგექცე სადმე. მე როსტომიშვილი არუთინა ამ ფაფაკერას-შვილის თავდები ვარ, ასე რომ ეს ორი თვე მულათი მიეც, ამ ორ თვეს უკან თუ ქალაქს არ ჩამოვიდეს სოლომ ნ, არა ნახოს თავის ბატონი, ხუთი თუმანი ჯარიმა ბატონის-შვილს გიორგის მივართვა. მე ფაფაკერაშვილი ამას მოგახსენებ: კიდევ როგორც თქვენი ნება იყოს, თუნდ დამიყენე თუნდ ამყარე, თქვენი ყმა ვარ, არც არავის საქმე აქვს ჩემთან თქვენს მეტს. თიბათვის კე, ქკს უპბ.

№ 280. 1778 წ. ივლისის „დამდევს“ პირობის წიგნი, მიცემული ფაფაკერაშვილის მიერ გიორგი თარხნიშვილისადმი. დედანი. 25 × 21<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დაწერილი მოლღოჯო ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახშირია სამ-სამი წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2984.

ქ. ეს წიგნი მოგეცი მე ფაფაკერა შვილმა თქვენ ჩემს ბატონს გოგია თარხნის-შვილს;—ასე რომე მე თქვენი მემკვიდრე ყმა ვარ და არცარავის ჩემთან შენს მეტს ხელი არავის აქვს ჩემთან. ბატონთახაც ბევრჯელ ვილაპარაკე და არა მეშვილა რა. ბატონის-შვილმა გიორგიმაც გამამტყუნა, ღვეთის წინა-შე, მეც ვტყუოდი, მაგრამ ახლა ღვეთის მგმობელი ვიყო და მეფის ერეკლეს შემცოდე ვიყო და მეფის ძის გიორგისა თუ დღეის იქით ან ვილაპარაკო, ან გაგექცე სადმე. მე მჩით[ავი ყაზარა ამ ფაფაკერას-შვილის თავდები ვარ ასე რომ ეს სამი თვე მულთი მოეც, ამ სამთვეს უკან თუ ქალაქს არ ჩამოვიდეს სოლომან არა ნახოს თავისი ბატონი, ხუთი თუმანი ჯარიმა ბატონის შვილს გიორგის მივართვა. მე, ფაფაკერაშვილი ოანეზა თუნდა ამყარე და თუ გინდა დამაყენე. თქვენი მემკვიდრე ყმა ვარ. დაიწერა კათათვის დამდევს, ქკს უპბ. ზემო აშიაზე: ქ. ჩვენ, საქართველოს უფლის წული მეფის ძე გიორგი ამ ბატონეობის წიგნს ვამტყიცებთ. იენისის ლ, ქკს უპბ.

ქ. ჩვენ, საქართველოს უფლის წული მეფის ძე ალექსანდრე ამ ბატონეობის წიგნს ასე ვამტყიცებთ. იენისის ლ, ქკს უპბ.

№ 281. 1794 წ. სექტემბრის 27-ს. თქმი გრეკლე II-ისა, მიცემული იოანე მდივანისა და იოსებ ნაზირისადმი. პირი XIX საუკუნის დამდგისა, გადაწერილი მოლღოჯო ქალაღზე. საქ. მუხ. ფ. Hd, № 9987.

ქ. ჩვენი ბრძანება არის მდივანო იოანე და ნაზირო იოსებ, მერმე ესიტაშვილის კაცებისათვის სურსათი რომ გითხოვნიათ, ეგენი ხიზნები არიან. მაგათ ნურასა სთხოვთ. თქვენც ასე იცოდეთ და შემდგომ ვინც სხვა მოასილო იქნებოდეს, იმათაც. ყადიმი ბრძანება ეს არის და ეს ასე აღასრულეთ. ენკენისთვის კზ, ქკს უპბ.

ეს ბრძანება მეფის ირაკლისა.

verso. სხვა ხელით: უფალო ზასედატელო კეთილშობილო ენდრონიკოვიო დავით!

ქმ ოქმის პირი მკვიდრი თქვენა ნახეთ, თუ ასე ეწეროს, ნურას გამოართ-  
მევთ ესიტაშვილის ფარსადანას ყმებს და დასწერეთ, რომ არა გამოგირთმევი-  
რა ფარსადანისათვის.

იანერის კ. ქკს უშბ.

№ 282. 1794 წ. ნოემბრის 17-ს. ოქმი მიცემული ერგლე II-ის მიერ მდივან მა-  
ნუჩარ [თომანიშვილისადმი]. დედანი. 8 X 16 სმ, დაწერილი მოლურჯო ქალაღ-  
ზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუზ. ფ. Hd,  
№ 5920.

ქ. მდივანო მანუჩარ, ივრის არხზე სარქარღრების სამის ნუსხით შეიდას  
ოცდა ოთხს მუშას უმუშავნიათ და ამათ სამუშაოთ კაცის თავს სამი შაური  
უნდა მოსცე, რომ ჯამი იქნება ათი თუმანი, რვა მინალთუნი და სამი აბაზი.  
იქნება ნახევარი  $\frac{1}{2}$  ამდენი. რომ მისცე ყაბზი მოაწერინე. გიორგობის იზ, ქკს  
უშბ. | ერგლე |

ქ. ამ ბარათის თეთრი ბატონის ბძანებით ჩემის ხელით არხის მუშები-  
სათვის მიეცათ, ვინც მელიქ მინასას ნუსხები მოიჭანა სახელდობ სადაურ  
მუშებსაც ემუშავნათ<sup>1</sup>. ამაში ოთხი თუმანი შავი ფული მიეცა და ექვსი თუმანი,  
რვა მინალთუნი და სამი აბაზი თეთრი ფულიმიეცა<sup>2</sup> | ერგლე |

№ 283. 1794 წ. ნოემბრის 23-ს. არზა, მიცემული არუთენა ბარხუდარა შვილის მიერ  
ვახტანგ ბატონ შვილისადმი. დედანი. ძლიერ დახიანებული. მარცხენა აშია თრ  
ადვილას მოხეული აქვს და ტექსტშიც ალაგ-ალაგ ამოხეულა. 20  $\frac{1}{2}$  X 12 სმ, და-  
წერილი მოლურჯო ქალაღზე მხედრული ხელით. საქ. მუზ. ფ. Qd, № 239.

ქ. ლმერქთქმან ყოვლაღ მოწყალე მეფის ძის ვახტანგის ქირი ბირთველის  
ყმას ბარხუდარაშვილს არუთენას მოსცეს. მერე ლმერქთქმან ასე თქვენს მტერსა  
და მუხანათს გაუჭიროს საქმე, როგორც მე საქმე გაჭირებული გახლდე. მოხუ-  
ცებულობა ცალკე მაწუხებს და სიღარიბე ცალკე და ვისაც ჩემი თითო ორო-  
ლა შაური მართებს, უიასაულოდ არას იძლევიბიან. ლმერქთი გაგაძლიერებს,  
შემიბრალეთ და ერთი ბეჯითი ოქმი მიბოძეთ, რომ სამართლიანის საქმით  
ჩემი... გამომიჩრავან და მოქცენ გიორგობის კგ, ქკს უშბ. მეც სხვისა  
მმართებს....

ზემო აშიაზე: ქ. ეშიკალათ ბაშო ალათონიკე, მერე ბირთველის კაცს ამ  
არზით რომ ასე მოუხსენებია, ამას ერთი ბეჯითი კაცი უჩინე და ვისაც ამისი  
რამ ემართოს, თავისის სარგებლითა და სამართლიანის საქმით გამოუერთვას  
და ამას თავისი ჰაყი სრულყოფით. მოაბაროს და თუ ვისმე ქვეშარიქტი სიტ-  
ყუვა რამ ჰქონდეს, ჩვენს [სამართალში] მოჰყენენ და ელაპარაკენ. ნოემბრის  
კდ, ქკს უშბ.

ოთოდ ვ.რ დავითის  
მგელ ლომად ვით ის  
ვახტ ნგ ვამბრკობ  
მ ფის თვობით

<sup>1</sup> აქ გაურკვეველი ხელრთვა უხის.

<sup>2</sup> აშიაზე სომხური მინაწერია.

№ 284. 1794 წ. დეკემბრის 26-ს. გირაზნობის წიგნი ტეტია გოსტაშაბის-შვილის მიერ ავეტიკა მერძააზაშვილისადმი მიცემული. დედანი. ნაკვეთზე და ჰიანებული. აქვს ყავისფერი ლაქები.  $16\frac{1}{2} \times 16\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი იქნა ქალაქ ღმრეთის ხელით. განკვეთილობის ნიშანი ხაზაოი არ არის. საქ. მუზ. ფ. Hd, № 7317.

ქ. ავიღე მე გოსტაშაბის-შვილმა ტეტია უზბაშმი და ჩემმა შვილმა ლათუამ შენ როტინანთ შერმაზანაშვილი ავეტიქასაგან რვა იუმანი ქალაქის ზარათხანის ოთხი დანგიანი სირმა აბაზი. მოგეცით ამის გირაო ქოთიშს ჩვენი წისკვილი. ამ თარიღილამ სამი თვე ვადა. სამს თვეზე შენი თეთრი გაურჯელათ მოგცე. თუ ვერ მოგცე, ივენი თუმნის თავს ორი შაური სარგებელი მოგცე. მე, დაოუას დამიწერია და ამღებიცა ვარ. დაიწერა ეს თამასუქი ქრისტიანობის კვ, ქკს უპა<sup>1</sup>. ეს ჩემი ხელი და ბეჭედი. მონა ღვეთისა ერასტი. სხვა მელნით: ქ. ამ თამასუქის თეთრი სრულათ მცვე თავნი და სარგებელი მე, დავითმა.

verso. ქ. ამისი თავნია და სარგებელშია ტეტია მამცა ოცდა ორი მიქნალთუნის ფქარჩა, მარიამობის თვის] ვ, ქკს უპა.

ქ. ეს თამასუქის ვალი ზოგი ხომა ზეით დამიწერია ტეტია სკვან გამამირთმეცია, დანარჩომიცა დავით სკვან მამბარდა მე ავეტიქასა.

№ 285 1794 წ. მაისის 17-ს. ბრძანება უცნობი პირისა ესიტაშვილისადმი მიცემული პირი. გადაწერილი X.X საუკუნეში ნაცრისფერ ქალაქ ღმრეთის ხელით. განკვეთილობის ნიშანი ხაზაოი არ არის. საქ. მუზ. ფ. Hd, № 9762.

ქ. ჩვენი ბრძანება არის ესიტაშვილო, მერმე ჩურაჯევი საცხენისის კვეის შესაყრამდის შენი მამულებია და მარტყოფელთაც ასე დაგვაჯერეს, მაგრამ კლდის წყაროსთან მანგლისელები კი უნდა დაეაყენოთ. რახანსაც იდგებიან<sup>2</sup>, სარგო გექნება. როდესაც აიყრებიან, მონაშენობა შენ დაგრჩება, იცოდე. მარტის იზ, ქკს უპა უპა.

ბ. ა. <sup>3</sup>

№ 286. 1795 წ. აპრილის 4-ს. ოქმი ბეცია თარხნისა და თეიმურაზ ჯააზიშვილისადმი. პირი, გადაწერილი X.X საუკუნეში თურ ქალაქ ღმრეთის ხელით. საქ. მუზ. ფ. Hd, № 11377.

ქ. ჩვენი ბრძანება არის ბეცია თარხანო და ჯაეახის-შვილო თეიმურაზო, მერე როგორც კვლავ ამისთანას მტრისაგან ფიქრიანობაში ყარაული სდგომოდესთ, ხოვლელთ ყარაული დააყენებინე. სასირეთი, ხანდაგი და ყარაღჯი მიუყენე. კარგათ გაფთხილდენენ, ზიანი არა მისცეთ რა. თუ ურშობა იხმაროს ვინმე, ავად მოეყარო. თავეთი შესაპატი იქნება ყარაულის დაყენება. აპრილის დ, ქკს უპა. როგორც კვლავ მიყენებულნი ყოფილიყვნენ ეს სოფლები ერთმანერთთან, ახლაც ისე მიუყენე ამ ყარაულობაში.

<sup>1</sup> ამის შემდეგ სხვადასხვა ხელითაა.

<sup>2</sup> სწერია: ადგერან.

<sup>3</sup> ბეჭდის ადგილას მოხაზულია წრე და ჩაწერილია რუსული ასოები M. II.

№ 287. 1795 წ. ივლისის 3-ს. არზა, მაცემული თევდორეს ქვრივისა და ობლების მიერ მანუჩარ თუმანიშვილისადმი. დედანი.  $13\frac{1}{2} \times 11\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი მოლურჯო ქალაღებზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 14370.

ქ. ლმერქთმაქნ ჩემის მოწყალის ბატონის ჩემის თუმანიშვილის მანუჩარ მდივნის ქირი თქვენის ყმის თევდორეს ქვრივისა და ობლებს მოგვეცეს. ჩემი მოხსენება ეს არის: ურბნის გახლავარ, სამი ვაჟი მყავს და ორი ქალი და ხარჯში მოვეყენ. თუ არას მიპატონებთ, შევიღებთ და გიკარგავ და ჩემს თავსაცა. ჩემო მოწყალევე. შენის კაცს თავისა და შევიღების სადღეგრძელოდ ამ შეჭიროებიდამ დაგვიხსენ. ჟამმულონი და დავთარში დაუწერელი გახლავართ, აქამდინ ჩემი ძმა მძღლებინდებდა. ესეც თქვენი ქირის სანაცვლო გახდა და თუ არას მიპატონებ, წყალში მაინც შევლინ-თავიანად თავებს დავიჩიობთ. ლმერქთი გადღეგრძელებსთ. ნუ უგულისხმბ გვეოფთ ჩვენო მოწყალევე, შენს სამკვიდრო ყმანი გახლავართ.

კათათვის გ, ქქს უშგ.

№ 288. 1795 წ. ნოემბრის 19-ს. წერილი ზურაბ აივლიქიანისა თეიმურაზ ჯ. ვახიშვილისადმი მაწერილი. დედანი.  $15\frac{1}{2} \times 14$  სმ. დაწერილი თურქ ქალაღებზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარია არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2714.

მათს ბრწყინვალეებას ბატონს ჯავახისშვილს თეიმურაზ[ს],  
ჩემს მოწყალეს ველმწიფეს.

უმდაბლესად მრავალს მოკითხვას გაგიბედავ და თქვენს მშვიდობით ყოფნას ლმერქთს ვითხოვთ. მერმე ჩვენი ყმა მარკოზა თავის ცოლშვილით მუხრანს არის. წყალობას ვითხოვ, გაისარჯოთ, მუხრანიდამ აყაროთ და თქვენს სოფლებში სადმე დააყენოთ. მანამ ლმერქთმაქნ ქალაქში ჩასულა გვადირსოს, თქვენ გებარებოდესთ. ამ წყალობას ვითხოვ, რომ ამხედ ბეჯითად ბძანდებოდეთ. გიორგობას ით, ქქს უშგ.

უმდაბლესი მონა ზურაბ აბი მელექიანი.

ზურაბ

№ 289. 1796 წ. თებერვლის 22-ს. არზა, მაცემული ქალაქის მოღვაწის ვესტათი და მინბაშის გიორგის [ციციშვილების] მიერ ერეკლე II-ისადმი, ამ უახსენებლის ოქმით. დედანი.  $29\frac{1}{2} \times 12$  სმ, დაწერილი თეთრ ქალაღებზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2560.

ქ. ლმერქთმაქნ ბედნიერის ველმწიფის ქირი მოსცეს ქალაქის მორავს (sic) ვესტათის და მინბაშს გიორგის. ჩვენო ველმწიფევე, ჩვენ რომ საჭირნახულოთ კაცნი გვებოძა, იმათგანი ერთი კომლი კაცი აგვეყარა და ბრეთს გავიღო ოქმი ჯავახის-შვილს თქვენს უმაღლესობას მოვახსენეთ, ერთი ოქმი ამილახვარზედ გვებოძა დაერთი ვახუშტიზედ, მარამ ვერ ამიყარეს და წყალობას ვით-

ხოვთ ერთი ოქმი გვებოძოს ბეჟან ამილახვარის შვილზედ, რომ ის ჩვენი კაცი აგვიყაროს და მოგვაბაროს და თუ ქ[ე]შმარიტი სიტყვა ჰქონდეს ვისმე, მასუკან თქვენ მოგახსენოსთ. ფებერვლის კბ, ქ[ე]ს უპდ.

ზემო აშიაზე: ქ. ჩვენი ბძანება არის ამილახვარიშვილო ბეჟან, ამათი ყმა რომ აყრილა და ბრეთს გასულა, ახლავ უნდა მიხვიდე, დაადგე, აყარო და ამ თავის ბატონებს უნდა მოაბარო. ამისი აუყრელობა არ იქნება. თუ სიტყვა აქვს ვისმე, მასუკან მოვიდნენ და ჩვენს სამართალში მოგახსენონ. რომელიც გამტყუნდება, ჩვენ სამართლით გარდავახდევინებთ. ფებერვლის კბ, ქ[ე]ს უპდ. ქ. ავალიშვილებს თუ სიტყვა ჰქონდეს, ჩვენ სამართალში მოვიდეს და ილაპარაკოს, ჰალბათ; ჰალბათ.<sup>1</sup> ამათ დიად ძალიანი განაჩენები აქვს და კაცმა რა უნდა ჰქნას.

### ერეკლი

№ 290. 1796 წ. მარტის 1-ს. პირობის წიგნი მათეოზა, არუთენა და სხვების შიერ ბირთველ თუჰანოვისადმი მიცემული. აუღანი. 32×21 1/2 სმ, დაწერილი თეთრ ქალღებუ მხედრული ხელით, განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ორ-ორი წერტილია ნახმარი. საქ. მუხ. ფ. Qd, № 197.

ქ. ნებითა ღ[ვ]თისათა ესე პირობის წიგნი მოგართვით ჩვენს ბატონს თუმანოვის (sic) გიორგის შვილებს მდივანს ბირთველს, ფარსადანს, გრიგოლს, რევაზს და შვილთა თქვენთა აეთანდილს და მამავალთა თქვენთა ჩვენ, თქვენმა ყმებმა<sup>2</sup> მათოზამ, არ[უ]თენამ, ზურაბამ და გიორგიმ და მამავალთა ჩვენთა;— ასე რომ ჟამთა ვითარებისაგან ჩვენი სახლის კაცი კახეთს წასულიყვნენ, ახლაც ველისციხესა დგანან. იმათი ვენახის ნახევარი ზეითი ეტი ერთს რაჭველის იმერლისათვის ქველიძე შოშიტასათვის გებოძებინათ. რადგან ჩვენის სახლის კაცის სამკვიდრო ვენახი იყო, ამ მიხეზით თავი გაწყინეთ და ჩვენის ოჯახისა იყო, ისევე ჩვენ გთხოვეთ, თქვენ წყალობა გვიყავით და თორმეტის წლის მიცემული ვენახი ჩამოართვით და ჩვენვე<sup>3</sup> გვიბოძეთ. ჩვენც ეს წიგნი მოგართვით: ის ჩვენი სახლის კაცები თუ მოვლენ, ისევე მოვლენ, ისევე ჩვენის ნებით მივცეთ. თუ ისინი აქ ხელთუბანს აღარ მოვლენ, ამ წყალობას ჩვენ ნულარ მოგვიშლით. როგორც თქვენი მამა პაპით ერდგულნი ვყოფილვართ, ჩვენც ისე ერთგულად გემსახურნეთ; ღმერთმან ჩვენი თავი თქვენს მონებაში ამყოფოს. მე, ცარიელაშვილს გოგიას ამ ჩალაბაშვილების სიტყვით დამიწერია და მოწამეც ვარ. აღიწერა მარტისა ა, ქ[ე]ს უპდ.<sup>4</sup>

განის აშიაზე სხვადასხვა ხელით:

ქ. მე თუმანის-შვილი ნიკოლაოზ ამ ჩალაბაშვილების სიტყვით მოწამე ვარ. ნიკოლოზ<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ამის შემდგ სხვა ხელით და სხვა მელნითაა.

<sup>2</sup> სწერია: ყმებებმა.

<sup>3</sup> სწერია: ჩვენი.

<sup>4</sup> გაურკვეველი ხელრთვა.

<sup>5</sup> ხვეულად.

ქ. ამ პირობის წერილის მოწამე ვარ მე იოსებ თუმანოვი.

ქ. მე ავთანდილ მირიძანოვ ამ ჩალაბაშვილების სიტყვით ამ წერილის მოწამე ვარ. ავთანდილ<sup>1</sup>.

ქ. მე მანუჩარ ამ წერილის მოწამე ვარ ამ ჩალაბაშვილების სიტყვით. ეს ჩემი ხელია. ტერაკოფის ძე.

მონა ღვერქსა  
მანუჩარ

№ 291. 1796 წ. აპრილის 13-ს წერილი, ბირთველ [თუმანიშვილის] შიერ მდივან ეგნატე [თუმანიშვილისადმი] მიწერილი. დედ. ნი. 33<sup>1</sup>/<sub>2</sub> × 12<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დ-წერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. გააკვეთ ღობის ნაშანი ნახმარი არ აიის. საქ. შუხ. ფ. Hd, № 2744.

ქ. ღვერქს[მა]ნ ჩემის მრავლად მწყალობლის მდივნის ეგნატეს ჭარი მოსცეს მათ ბიძაშვილს ბირთველს. ჩემს მწყალობელს ჯელს კოცნას მოგახსენებ. მერმე აქ რომ მოგახსენე ბატონის-შვილის ოქმისა და თქვენ მიბძანეთ, ქალაქს წიგნი მოწერიეო და ოქმს აგაბთმეო, ხომ კარგად მოგეხსენებათ, ოსი და ქართველი როგორ იკლებდა აქაურობას. იმ არეულობაში ქართველები გამოსძლოდნენ საქურდლათ გორს, წისქვილები დაენტვრიათ გორს სულთნიშვილისა და მოჰქონდათ. ჩვენხედ ამოიარეს, დაუძახეთ, რა კაცი ხართ მოიცადეთ. არ მოგვიცადეს. რომ მივატანეთ, ცხენიანები გაიქცნენ და ერთი აკიდებულნი ცხენიანი დავიპირეთ, რომ წისქვილები ეკიდათ და ერთი დავეპერი, წისქვილები წავართვით და ორსავ თოფი იარაღი ავჭყარეთ და გაუშვით. მას-შუკან ქართველები გაზოგეზავნათ, შემოხვეწილიყვნენ და თოფი იარაღი ეთხოვნათ. თოფიარაღი მივეცით. ახლა ის დაჭრილი ოსი მოსულა და იოანე ბატონის-შვილთან უჩივლია და ოქმი უბოძებია ამილახვარი შვილს ომანისშვილზედ: ორი ოსი და ორი ქართველი დაუსვი და სამართალი უყონო. რა ოსის გასასამართლებელი საქმე არის, ოსი ოსისათვის თავს დასდებს და ქართველს ვის შეუძლია ოსის სამართალი. წყალობას ვიიხზოვ, როგორც მაბძანეთ. ერთი იმისთანა ოქმი ამართოთ, რომ იმ იასაულს ჩემთან ჯელი არა ჰქონდეს. თუ უნდოდესთ მანდ ბატონის-შვილის გიორგის სამართალში მელაპარაკნენ ის ოსები და უნდოდესთ იმ ოსებს, როდესაც გორს მიბძანდეს ბატონიშვილი იოვანე ან დავით, ის ოსებიც გორს ჩამოვიდნენ და გორს მელაპარაკნენ. ეგებას ამისთანა ოქმი ამართოთ, რომ ვინც იმათი წინამძღოლი ყოფილა, იმათ დაადო თავს. მეორე კიდევ ეს, რომ ისინი კიდევ ამას ეცდებიან, რომ კიდევ ჩუმათ ოქმი და იასაული აიღონ, რომ ოსებმა გვიყონ სამართალი. ეგებას ასეთი ოქმი აიღოთ, რომ იმისთანა მოპარულსა და შეცდომილს ოქმსა და იასაულს აყენებდეს. რა-ლა გვედრო, ჩემო მტრულე, რომ იმ ომანის-შვილს ჩემთან საქმე არა ჰქონდეს. ხომ მოგეხსენება, ქართველები არიან და მერე ამილახვრიანი ჩემს გაგლევას ეცდებიან და ვაი თუ შფოთი მოგვივიდეს. წყალობას ვითხოვ, რომ ჩემი ძმა არ დაავიანოთ. სხვა შეძლებისამებრ სამსახური გვიბძანო. აპრილის იგ. ქქს უპდ

ბირთველ.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ხვეულად.

№ 292. 1796 წ. იენისის 8-ს. ოქმი იულონ ბატონიშვილისა ხოვლელებისადმი. პირი, გადაწერილი XX საუკუნეში თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. საქ. მუხ. ფ. Hd, № 11383.

ქ. ბატონიშვილი იულონ გიბძანებთ ერთობით ხოვლელებო, მერე თქვენ როგორც ყარაულების განწესება გაქვსთ მისის უმაღლესობის ბატონის ბძანებითა, ვინც ეგ თქვენის ნხრის კაცნი თქვენ ყარაულობაში გდგომიან, ეგენიც უნდა მიიყენოთ და ყველგან ყარაულები დააყენოთ. თარხნიშვილო ბეციავე, ჯარში ხომ ეგ მხარე მთლად დაბარებული არის, რასაკვირველია ან შენ წამოხვალ და ან შენი შვილი და რომელიც შინ დარჩეთ შენ თუ შენი შვილი მანდ გაღმა მხრის ყარაული იმან გაარიგეთ. ამ საქმეზე დიდად ზეჯითად უნდა მოიქცეთ. თიბათვის მ, ქკს უპდ.

№ 293. 1796 წ. აპრილის 24-ს. სია ახლად მოსული განჯელი სახასო ყმებისა გიორგი მეფის ოქმით. დედანი. 19×11 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2470.

ახალი მოსული სახასო განჯელებისა:

ქ. გორს არის სივაშვილი მარქარა,

ქ. აქავე პენტელა ყაზარა,

ქ. აქავე ოჭანეზაშვილი არაქელა,

ქ. კავთისხვეს არის მხითარა,

ქ. აღაჯანა დანიელაშვილი ქართლს არის,

ქ. აკოფა ქართლს არის.

ჯამი ამისი კომლი ექვსი.

ზემო აშიაზე: ქ. ჩვენი ბძანება არის კიკოლავე, დავით და ტეტიავე, მერე ამ სიის კაცნი სახასო განჯელები ჭირის მიზეზით რომ ქალაქი აიყარა, მაშინ დადებულან. ახლავ თქვენ უნდა მიხედეთ, აპყაროთ და საცა მისის სიმაღლის ბატონის დედის ჩვენის დედოფლის ნება იყოს, იქ მიიყვანეთ. ამაზე ბეჯითად მოიქეცით და ახლავ ასე აღასრულეთ აპრილის კდ, ქკს უპდ.

გორგი

№ 294. 1796 წ. ივლისის 11-ს. არზა, მიცემული გოგია ციციშვილის მიერ იულონ ბატონიშვილისადმი, ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი. 25×9 სმ, დაწერილი მოლურჯო ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 8151.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ ბედნიერის მეფის ძის იულონის ჭირი მათს მონას გოგია ციციშვილს მოსცეს. ამას მოვახსენებ: ქიწინის მოსახლე<sup>1</sup> ჩემი ბარათში ნარგები კაცი ხუციაშვილი მღუღელი გიორგი, სამი თაობა არის რა ის კაცი ჩემი ყმა არის და ბარათიც ველთ მიჭირავს და არც სიტყვა და საბუთი რამა

<sup>1</sup> ეს სიტყვა წაშლილია და მიწერილია — „მდგომი“

აქვს. წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმი მებოძოს, რომ ის კაცი ავყარო და თავის მეზობლებთან დაეაყენო. ახლა რომ გავიყარენით, კიდევ მე ბარათით მე შერგო და იმ კაცის სამაგიერო ჩემს სახლის კაცთ ერგო, მკათათვის ია, ქქს უპდ.

ზემო აშიაზე: ქ. ბატონის შვილი იულონ გიბძანებ ფალავანდის-შვილო ზურაბ,<sup>1</sup> მერე ამ არზით გოგია ციციშვილს ასე რომ მოუხსენებია, ხუციაშვილი მღვდელი გიორგი ახლავე აუყარე და ამას მოაბარე და თუ სიტყვა ჰქონდეს რამე, ჩვენ მოგვახსენოს. კათათვის იგ, ქქს უპდ. თუ წიგნები და საბუთი ჰქონდეს რამე, სამართალში მოიტანოს.

№ 295. 1796 წ. აგვისტოს 14-ს. ოქმი იულონ ბატონიშვილისა ბეცია თარხნი-შვილისა და თეიმურაზ ჯავახიშვილისადმი. პირი, გადაწერილი XX საუკუნეში თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. საქ. მუხ. ფ. Hd, № 11376.

ქ. ბატონიშვილის იულონის კეთილსახსიოვარნო თარხნიშვილო ბეციავ და ჯავახიშვილო თეიმურაზ, მერე როგორც მისი<sup>2</sup> უმაღლესობის ბატონის მამის ჩვენის ოქმი გაქვსთ ყარაულების დაყენებისა, ყველგან ისე უნდა დააყენებდეთ და ბეციავ, ჯავახიანთ ყარაულს შენ უნდა აუკრეფდე საყარაულოსა და მისცემდე და თეიმურაზ, თარხნიანთ ყარაულებს შენ აუკრეფდე საყარაულოსა და მისცემდე. ამაზე დადად ბეჯითად უნდა მოიქცეთ, თორემ ბატონს პასუხს ვეღარ მისცემთ. აგვისტოს იდ, ქქს უპდ.

№ 296. 1796 წ. სექტემბრის 4-ს. ყმების ნუსხა ერეკლე II-ის ოქმით. დედანი. დაზიანებული, 39 × 12 1/2 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 10394.

ქ. რომელსაც სოფელში ბატონის ყმა ხიზნათა დგანან, სახელდობრივ ამას ქვევით დაიწერა: ვარდის უბანს ესტატეს-შვილი,

ქ. აქავ მგლის კისერი და ბეჟანას-შვილები,

ქ. თელავს კურდღელაურში ამბარდნის-შვილი ზურ[აბა],

ქ. აქავ ვამიყთან ხიზნათ ყოყლია ივანე,

ქ. რუის პირს ყარდაშა,

ქ. ამის ძმა ყაზარა,

ქ. ზალას-შვილები ივანე და გოგია,

ქ. აქავ დანელა,

ქ. აქავ ერაპეტა,

ქ. იყალთოს ჯაბადრის-შვილი გლაზა,

ქ. აქავ ლილოველი ბერო,

ქ. თალლაურს პატარძელელი გოგია,

<sup>1</sup> ეს ორი სიტყვა სხვა ხელითაა ჩაწერილი.

<sup>2</sup> სწერია: მი.

- ქ. აქავ მენახირის შვილი მღვდელი პეტრე,  
 ქ. ხოდაშენს ბლინძი ნინია,  
 ქ. აქავ მახარა იმერელი,  
 ქ. აქავ ქოჩამასი შარმაზინ და ამისი ძმები,  
 ქ. აქავ ლევან გელია-შკილი,  
 ქ. აქავ ძმუკაშვილი არუთინა,  
 ქ. სოლიკიშვილი პეტრე,  
 ქ. აქავ ბლაძეა იასე,  
 ქ. აქავ ამისი ძმისწული ნინია და ობოლა,  
 ქ. აქავ საკვებავის-შვილი ბასილა,  
 ქ. ხოდაშენს პეპანა,  
 ქ. ხოდაშენს ბატონს მეჯინიბის-შვილი ნინია,  
 ქ. ხოდაშენს სულხანა ფეიქარი,  
 ქ. აქავ ებალაშვილი,  
 ქ. აქავ საკვებავის-შვილი,  
 ქ. აწყურს შალვას-შვილი,  
 ქ. ახშანს გოგია,  
 ქ. აქავ ზვანეურია,  
 ქ. ხორხელს დალაქი მიკირტუმა,  
 ქ. აქავ ტერ ისაია,  
 ქ. აქედამვე ტყვეობიდან მოსული,  
 ქ. აქავ ჯავახი დარჩია,  
 ქ. ოციოს ფუჟულაშვილი ნინია და იმისი სახლის კაცი,  
 ქ. გოგიტას შვილი გიორგი,  
 ქ. აქედამვე ხომასურიძე ივანე,  
 ქ. [წაშლილია]... ნინიას ძმა,  
 ქ. კოლოთოდამ გაბიდაური,  
 ქ. კოლოთოდამ გიორგი ხიზანი,  
 ქ. ჯანანიდამ პატარა არუთინა,  
 ქ. ოციოს ჯავახი ივანე,  
 ქ. ამისივე ძმისწული სოსია,  
 ქ. ობოლიძის ნალეკარი გიორგი თამაზა,  
 ქ. ქისტაურს ოპანა მჭედელი,  
 ქ. აქედამვე არაქელაშვილი,  
 ქ. აქედამვე უსბედაშვილი ზურაბა.  
 ამისი ჯამი არის კაცი კომლი მა.  
 სხვა ხელით: ქ. გლახა ფეიქარი თელავს,  
 ქ. მელიქა თელავს.

ზემო აშიაზე: [ჩვენი] ბძანება არის.... სოლომონ და დიმიტრი, მერე ამ სიით სადაც სოფლებში ჩვენი ყმანი იდგნენ, ახლავ უნდა მოემზადნენ. შა[ა]-ტყობინეთ, გაღმასანადიროში უნდა დაეასახლოთ. ახლავ თავ კაცთ უნდა გავიდნენ, ის ალაგი ნახონ, ხნან, თესონ და ღ[ვ]თის მოწყალებით ამ ერთ თვის

უკან..... ილით აღგენენ... ღვეთით ამათი საქმე კარგათ გაგვირიგებია. თუ ვისთვისმე ამ სიის კაცი ან ჩვენ გვებოძებინოს და ან ისეთი საბუთი ჰქონდეს ვისმე, რომ სამართლით ველარ აუყრიდეთ. უნდა მოვიდეს და ჩვენ მოგვახსენონ და სამართალი მიეცემათ. ენკენისთვის იბ. ქკს უპდ. მე სხვის ქრისტიანის კაცის უსამართლო საქონელი არას დროს არ მიღდა.

ერვკლე

სხვა ხელით: ქ. ჩვენ სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი კურთხეულის მეფის ბატონის მამის ჩვენის ბძანებასა ამას ვამტკიცებთ. მდივანო დავით, ასე ასრულე. სეკდემბერს დ. ქკს უპჰ.

მეფე  
გიორგი

№ 297. 1796 წ. სექტემბრის 29-ს. არხა მიცემული ნიკოლოზ თუმანიშვილის მიერ იულონ ბატონიშვილისადმი ამ უკანასკნელის ოქმით დედანი. 22×16½ სმ, დაწერილი მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Sd, № 382.

ქ. ღმერთ[მა]ნ ბედნიერის ხელმწიფის ძის იულონის ჭირი მათს მიწას თუმანიშვილს ნიკოლოზს მომცეს. რეგს მამუკელაშვილმა და სულია-შვილმა ორის კომლის კაცის ნასახლარები და მარანი გამიჭრეს, წისქვილის რუ გაიყვანეს, ქვევრები ამოყარეს და გამიფუჭეს. ეს უსამართლო არას კაცს დამართებია. თავიანთი სამკვიდრო წისქვილის სათავე და რუს ალაგი დაადეს. მთელმა ზემოთმა რეგამ იცის, საცა იმათი სათავე არის წისქვილისა. ამისთანას უსამართლს ხმარობენ. თქვენი ოქმი მიუტანე, წიგნი დააწერინეს ყაფლანის შვილს ედიშერს, რასაც წამს წყალი დაპატარავდებო, ისევ ჩვენს სათავეზედ გამოვიყვანთო. ორი წელიწადია მატყუვებენ. ის მამულები გამიფუჭდა და მაკლია. ღმერთი გაგიმარჯვებსთ, ერთის იასაულის წყალობა იყოს, რომ მოვიდეს თორტიზილამ და ზემო რევილამ კაცი მოიყვანოს, გაშინჯონ, თუ მართალი იყოს ჩემი მოხსენებული, ჩემი მამული დამანებონ, თუ იმათი იყოს, ღმერთ[მა]ნ მოახმაროს და ხელთაც უჭირავსთ. თუ ჩემი იყოს, რაც ჩემის მამულისა ან ქვევრები დამეტკრიოსთ, იმისიც პასუხი გამცენ.

ქ. ამავე იასაულს ებძანოს, ვისაც კიდევ ჩემის ყმის წისქვილის რუ და ვენაწების თხრილები გაესწორებინოსთ, სადაც ან ჰალალ ჰაყათ ჩემი ღალები ემართოსთ ვისმე, ისიც გამომირთოს. დიდათ მოკრძალებული ვარ სამართალში შესვლისა. თქვენი რისხვა არ მომეცემა, ღმერთი გაგიმარჯვებსთ. ენკენისთვის კთ. ქკს უპდ.

ზემო აშიაზე სხვა ხელით:

ქ. ბატონის-შვილი იულონ გიბძანებ ქარუმიძე ფარსადან, მერე ამ არხით თუმანის შვილს ნიკოლოზს ასე რომ მ[ო]უხსენებია მამუკაშვილისა და სულიაშვილისაგან საჩივარი, ორი-სამი მახსოვარი და მცოდნე კაცი თორტიზილამ უნდა მოიყვანო, ორი-სამი მახსოვარი კაცი რეხილამ და ნიკო-

ლოოზის მოხსენებული წისქვილის რუ გაშინჯო. თუ ეს მახსოვარი კაცები ნიკოლოზის სიტყუას დაეპოწმნენ რომ რომელზედაც მამუკელა-შვილს დღეს წისქვილის რუ უდიოდეს, ის ალაგი სწორეთ ამ ნიკოლოზის კაცების ნასახლარი ყოფილიყოს, ხომ ის ალაგი ახლავ დაქადებინე და ძველათგან რომელზედაც ჰქონოდესთ წისქვილის რუ, ისევე იმაზედ გაიტანონ და რაც ნიკოლოზს თავიქს მამულზედ მამუკელა შვილისა და სულია შვილისაგან რუს გატანით იმ მამულის გამოსავალი დაჰკლებოდეს, სამართლიანის საქმით ისიც მამუკელაშვილს და სულიაშვილს უნდა მიაკეპინო ნიკოლოზ თუმანიშვილისათვის. ეს ასე უნდა აღასრულო და თუ მაუკელაშვილს და სულიაშვილს სამართლიანი სიტყუა ჰქონდესთ ჩვენს საქართალში ელაპარაკნენ ნიკოლოზს.

ოკდომბერს დ, ქკს უძდ.

ტომ სქესით არ  
ჩაკლისაგან იულონ  
ირაკლისაგან

verso სხვა ხელით: ჩაიწერა რუც

№ 298. 1796 წ. ოქტომბრის 20-ს. პირობის წიგნი, ღიკვემული გრიქოლა მამუკელა-შვილის მიერ ნიკოლოზ თუმანიშვილისადმი. დედანი.  $21\frac{1}{2} \times 10\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Sd, № 384.

ქ. ესე წიგნი მოგეცი მე მამუკელაშვილმა გრიქოლამ შენ თუმანიშვილს ნიკოლოზს;—ამას წინათ ბატონის შვილის ოქმი მოიტანე, შენი მამული ვაგჰერით და წისქვილის წყალი გამოვიყვანეთ. ჩემი წისქვილის სათავე წამხდარიყო მეჯუდისგან, პირობა მოგეც, რომ ჩემი წისქვილის სათავედამ გამოვიყვან, მაგრამ ველარ გამოვიყვანე, მე ობოლი ვიყავ. მეწისქვილეს მუშები მივეცე, შენი მარანი გაეჭრა და იმაზედ გამაყვანათ წყალი, ქვევრებიც ამოქეყარათ. შენ იჩივლე კიდევ ბატონის-შვილთან, ფარსადან, ქარუმიძე მოიყვანე იასაულათ, რეხელებიც მოიყვანა იასაულმა და გაშინჯეს. ჩემის წისქვილიდამ ვავზომე ჩემს სათავემდინ. გამოვიდა ადლი სამოცდა თოთხმეტი. ჩემის სათავედამ, რაც რომ შენი მარანი და მიწა იყო, ერთი საქცევი იყო ვაჭრილი მთელმა რეხელებმა ნახეს შენი მოხსენებული სწორე იყო. ახლა ჩემს ობლობას დახედე, რაც რომ შენთვის დამეკლო, სულ მაპატიე. დღეს იქით მივიდე და ჩემის სათავედამ ამოვიყვანო. თუ ვერ ამოვიყვანო ჩემს სათავეზე, მერე როგორც შენი გული შევიჯერიო, ისე მოვრიგდეთ. მე, მდიენის-შვილს დავითს დამიწერია და მოწადეცა ვარ. ღვინობისთვის კ, ქკს უძდ.

ქ. ამის მოწამე ანანიაშვილი სალთხუცესი იოსებ.

ქ. ჩაჩიკაშვილი გიორგი.

ქ. ამის მოწამე მამუკელაშვილი კონსტანტილე,

ქობულაშვილი ზურაბა, ქარელი პეტრე, სათაშვილი ბერუა, ივანე მჭედელი.

№ 299. 1796 წ. ხარჯის ნუსხა. დედანი. 16 $\frac{1}{2}$  × 8 $\frac{1}{2}$ . სმ დაწერილი მოლურჯო ქალღმერთზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. სახ. მუხ. ფ. Hd № 5905.

- მარიამობის დამდევს აივაზა დადგა წისქვილში ქკს უპდ.  
 იგ<sup>0</sup> ქ. ამ თვეში გამოართო ჩემა ბიძას შვილმა კოდი (13 $\frac{1}{2}$ ),  
 დ ქ. ამ თვეში მე დამიხარჯავს ლიტრა (4),  
 ვ ქ. კიდევ ამ თვეში ლიტრა (6),  
 გ ქ. კიდევ საძროხით (3),  
 იბ ქ. ენკენის თვეში გვერგო ამავე აივაზადამ კოდი (12),  
 ბ ქ. გუთნის სადილზე დაიხარჯა კოდი ამ თორმეტის კოდისა (2),  
 ბ ქ. ძროხაში მივეცი თ კოდი (2),  
 ა ქ. ჩვენ დავხარჯეთ ქერი კოდი (1),  
 ვ ქ. კიდევ ჩვენ დაეხარჯ[ე]თ ფქვილი ლიტრა (6),  
 გ ქ. კიდევ დავხარჯეთ საძროხით (3),  
 ქ. დანარჩომი ჩემა ბიძაშვილმა დახარჯა.  
 ლეინობის თვის ექვს დღეს ბერძენი ადგა მის დროს მოსული იყო მინდი.  
 ბ ქ. ფეტვი კოდი (2),  
 შ ქ. პური ლიტრა (8),  
 ც ქ. ესენი გაეყიდნა ცეცხლაძეს.  
 ჩქ ქ. მე მომცა რვა აბაზი, თითონ დაეხარჯა უ.  
 ჩ ქ. კიდევ ცეცხლაძე რომ დადგა, მე გამოვართვი ხუთი აბაზი. ეს ფუ-  
 ლი დათუა რომ თათრებში იყო, შინ დაეხარჯეთ.  
 გ ქ. ამავე თვეში ხიდი გავაკეთეთ, იმაზედ დავხარჯეთ მე და ცეცხლა-  
 ძემ ფეტვი კოდი (3),  
 დ ქ. ჩვენ დავხარჯეთ ლიტრა საჭმელათ (4),  
 ა ქ. ქვის მჭრელთ მივეცი თ პური კოდი (1),  
 ბ<sup>0</sup> ქ. პეტრიას მოეტანა პური კოდი (2 $\frac{1}{2}$ ),  
 ვ ქ. ამ ფქვილიდამ ჩვენ დავხარჯეთ ლიტრა (3),  
 გ ქ. თესლისათვის დავხარჯეთ ლიტრა (3).

№ 300. 1797 წ. თებერვლის 27-ს. ახატობის წიგნი, მირზა ყაპრამანას მიერ ყარა-  
 ბაღელი აპარესა, პეტრუსა და სარქისასადმი მიცემული და ბატონყზობის წიგნი,  
 ამ უკანასკნელთა მიერ გიორგი მირზა იბრეიმიშვილისადმი მიცემული. დედანი  
 36 $\frac{1}{2}$  × 26 $\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის  
 ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Q.d,

№ 840.

ქ. ქკს უპე. მის უმაღლესობამა რომ განჯას წაბძა[ნ]და, მე მირზა ყაპრა-  
 მანამ განჯიდამ ეს ყარაბაღელი აპარეს და პეტრუს და სარქის მოვიყვანეთ  
 და რაც დანახარჯი მქონდა, ქალაქს ამოვიყვანეთ. დანახარჯი გამოვა[რ]თვი და  
 ახატი მოგეც, ვისცთან გინდათ, წადით. ჩემი ძმა მირზა აფრაიმსაც ახატობის

წიგნი მოეცა, მეც ეს წერილი მოგეცი. თქვენ თქვენის თავის უფალი ხართ. დაიწერა თებერვლის კზ, ქკს უპე.<sup>1</sup>

ქ. ამ ახატულობის მოწამე ვარ მირზა ყაპრამანის ყაბულობით გორგიძე ავთანდილა ქაფანკოვი. ზემო წიგნიც მე დამიწერია.

ქ. ესე წიგნი მოგეცით ჩვენ, ყარაბაღელი აპარესამ და პეტრუხამ და სარქისამ შენ, მირზა იბრეიმას-შვილს ბატონ გიორგის; — ასე რომ ჩვენ ქალაქს რომ მოვედით, ვალის ქვეშ დავრჩით. მოვალეებმა შეგვეწუწუეს. მოვედით შენი ბატონი გიორგის შემოგეხვეწინით ჩვენ, გვიპატრონეთ და ჩვენი ვალიც მიე და პურიც ექს შუურათ იყო, ჩვენი სარჩოც მოგვეცეცი. ჩვენც ჩვენი თავი ყმათ მოგეცით. როგორც ბატონყმობის რიგია, ისე გემსახუროთ გარას გარამდინ (?). მე, ქაფანკათ გორგის ზემო სომხების ყაბულობით დამიწერია და მოწამე ვარ. დაიწერა თებერვლის კზ, ქკს უპე.

სხვა ხელით: ქ. ზემო აპარისას და პეტრუხას და სარქისას სიტყვით ამ ზემოწერილის მოწამე ვარ მე, ნორაშნის დეკანოზი ტერ მელიქსეთას ძე ტერ გრიჭურამ.<sup>2</sup>

ქ. ზემო სამი კაცის სიტყვით მე, ასრათან სტეფანამ მოწამე ვარ, ეს ჩემი ხელია +.

ქ. ზემო აპრიდას და პეტრუხას და სარქისას სიტყვით ამისი მოწამე ვარ თამამშანთ მარტირუხას-შვილი ოპანქე +.

ქ. ზემო აპრისასი, პეტრუხასი და სარქისას სიტყვით ამისი მოწამე ვარ ჩალიანთ მარტირუხას-შვილი ოპანეზა +.

ქ. ზემო კაცთ წერილის სიტყვით მოწამე ვარ სახუტანთ ბეთანას-შვილი ოპანეზა.

განის აწიაზე:

ქ. ამ ქსენებულთ აპრისას, პეტროზას და სარქისას ყაბულობით ვემოწმები დეკანოზი ტერ დავით. ტერ დავით.<sup>3</sup>

verso. პეტრუხას დავგვეხსარჯავ საქვრიო ერთი თუმანი, კიდევ ქორწილზედაც ერთი თუმანი.<sup>4</sup>

№ 301. 1800 წ. არხა, მიცემული დიმიტრი ჯომარდიძის მიერ დავით ბატონი-შვილისადმი, ამ უკანასკნელის ოქმით. დეღანი. 18 × 10 1/2 სმ, დაზიანებული — ორ ალაგას ამოჭულია და ბოლოშიც მოგლეჯილია ალაგ-ალაგ. დაწერილი ლურჯ ქალღღებე მუდრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 14380.

ქ. მათის უგანათლებულესობის სრულიად საქართველოს მეფის ძის დავითის წინაშე მოსახსენებელი ჯომარდიძე დიმიტრი მღვდლისაგან. ჩემო ჭელმწიფე, ერთი ჩემი ყმის შვილი პატარა თურძე დაობლდა და წაიყვანა თავისმა მამამ და ციციშვილის კაცს თათანაშვილს გააზღვევინა. როდე-

<sup>1</sup> აქ მიწერილია სომხურად ორი სიტყვა.

<sup>2</sup> სომხურად.

<sup>3</sup> ხვეულად.

<sup>4</sup> სათაური: გორგი ვეზიროვისათვის წიგნი მიცემული სომხებისაგან აპრეს, პეტრუსა და სარქისასაგან.

საც გაიზარდა, ამ თავისმა ძიძამ კიდევ გაასომხა და ცოლიც თავისთან შერთო. მამა ჩემა ილაპარაკა. სანართლით ეს კაცი დარჩა. შემდგომად კიდევ ეს კაცი არ დგებოდა. მე სანატრელ მეფესთან ვილაპარაკეთ და პატრიარხთან ოქმი მებოძა: ნინია ჯავახის[შვილი] რომ გახლდათ იმას კიდევ უნდა აეყარა და კიდევ უნდა გაგვექართველებინა. ამ ჟამად იმას განსაცდელი მიადგა თქვენი ჭირის სანაცვლო [შეი]ქმნა და ეს კაცი იქვე დარჩა. ის კაცი წმინდის გიორგის მნათევ გახლავით არც ხატი აყენებს და მთელმა გაღმა მხარემა იცის რომ ჩემი ყმა გახლავთ. მოწყალეობას ვითხოვ ერთი ოქმი და იასაული მებოძოს, რომ ის კაცი ამიყაროს და თავის სამკვიდრო მამულზე დავაყენო.

ზემო აშიაზე: ქ. ბატონის-შვილი დავით გიბრძანებ იასაულ<sup>1</sup>, მერე ამ დინიტრი] მღვდელს რომ ასე მოუხსენებია, ეს კაცი . . . აუყარე და ამას მობარე მერე თუ სიტყვა ექნება ვისზე, სამართალში ელაპარაკოს. მის უწმინდესობის ოქმიც ვნახეთ რომ სამართალში ულაპარაკნიათ იმასთანა და სამართლით ამას დარჩენია სანატრელის კათალიკოზის სამართლითა. აპრილის 17-ქკს უპც. იასაულო, ესენი ორნივე სამართალში უნდა მოიყენონ აპრილის 18-ქკს უპც. დავით<sup>2</sup>

№ 302. 1797 წ. მაისის 7-ს. შვილის-მოახლედ მიცემის წიგნი, მიცემული გუსამა ელბაქიდის მიერ ღვეზ მახაბლისადმი. დედანი. დაზიანებული. 21 × 9 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ხაზბარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2579.

ქ. ესე წიგნი მოგართვით ჩვენ, ელბაქიძე გუსამა, ყაზიმა, ბასილამა თქვენ მახაბელს რევაზსა;— ასე რომ ჩვენის ნებაყოფლობითა და თქვენის ერთგულობით ჩვენი შვილი მოახლეთ მოგართვით. თუ ამაზე წამოგედაოს ვინმე, პასუხის გამცემი ჩვენ, გუსა, ყაზიმა და ბასილამ გაეცეთ. არის ამისი მოწამე და თავდები<sup>3</sup> სანაყოფილი შალვა და იმისი ძმისწული ქეჯე. დღეის იქით ეს გოგო თქენთვის მომირთმევიან, თუ გინდა თქვენს შვილს გატანე, თუნდა შინ<sup>4</sup> იმსახურე, ნება თქვენია, მე საქმე არა მაქს რა. არის ამისი მოწამე ქიქობელი ჯალი, ბეგიანიშვილი პეტრე, მეტრეველი გიორგი და მე, ქანაურიძეს მღვდელს იოსებს დამიწერია ამათის სიტყვითა და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა მისი ზ, ქკს უპც. + + +

№ 303. 1797 წ. მაისის 14-ს. წყალობის წიგნი, ზურაბ გარაყანიძის მიერ იაბერ დავითაშვილისადმი მიცემული. დედანი. 34 × 21 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი არაა. სიტყვის შემდეგ ხაზბარია თითო წერტილი საქ. მუხ. ფ. Hd, № 2776.

ქ. ნებითა . . . ესე წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეცე მე ზურაბ გარაყანიძემ, შვილმან ჩემან ანტონიმ, შვალთა და მომავალთა სახლისა ჩვენისამან, შენ ჩვენს მემკვიდრეს ყმას და მემკვიდრეთა თანა.

<sup>1</sup> აქ თავისუფალი ადგილია დატოვებული.

<sup>2</sup> ასომთავრულით.

<sup>3</sup> ჩამატებულია სტრიქონს ზემოდან.

<sup>4</sup> სწერია: შვინ.

განწესებულსა ყმასა ჩვენსა დავითაშვილს იაბერსა, ივანესა და ზარიძესა, შვილსა თქვენსა დავითას, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა;— ასე რომე მოდამ მამულის ნაკლებობას შემოგვივივოდით და ჩვენც მუდამ წყალობას გეჭადროდით, შეგიწყალეთ და გიბოძეთ გარაყანთუბანს ჩვენის მემკვიდრის ყმის ბეითალმანი ჯავახ მახარას ნაქონი ვენახის ნახევარი ვენაჯი თავში რუფს გაღმიდამ თავისის საწნახლითა და გზითა, შესავლითა და გასავლითა, აღმოსავლეთისკენა ყველაწმინდის ვენაჯი უძეს და დასავლეთისაკენ თავისი საწნახელი და გზა, სამხრეთისაკენ თოთოშაშვილების ვენაჯი, ჩრდილოეთისკენ ბალხამის შვილის ვენაჯი. ეს ასრე გვიბოძებია. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთ[მა]ნ ჩვენს ბატონყმობასა და ერთგულობასა შინა მოგაჯმაროს. არასოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგანა და არცა შემდგომად სახლისა ჩვენისა მეპატრონეთაგანა. როდეს თქვენი მსახური გვახლდეს, ამ ვენაჯზე კულუხი არ გეთხოვბოდეს და არც ბეგარა გეთხოვბოდეს. როცა თქვენი მსახურ[რი] არ გვახლდეს, კულუხი და ბეგარა მოგვეცემოდეს... მოწამე სფირიდონ გარაყანიძე, მღდელი ღვინიაშვილი ღთისავარ, ძამაშვილი თოთია, თოთოშაშვილები დათუნა და ელიოზ დასულმთლათ საგარაყანიძეო აზნაური და გლეხი დამე, სფირიდონ გარაყანიძე-შვილს იასონს დამიწერია ამ ზურაბ გარაყანიძის სიტყვბრთა და ყაბულითა და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა წიგნი ესე თვესა მაისსა იდ, ქკს უჰე. + + +

verso: სხვა ხელით: ეს სიგელი ეს ვქენახი ნინიას დარჩა ძმებს რომ გეყარა.

№ 304. 1797 წ. ივნისს. არხა, მიცემული როსტომ და სოლომონ მილახრის შვილის მიერ ერეკლე II-ისადმი, ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი. 27 × 15 სმ, დაწერილი ლურჯ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახშირი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 6372.

ქ. ღმერთ[მა]ნ ბედნიერის ჯელმწიფის კირი მოსცეს მათს მონასშანზე მილახერის შვილს როსტომს და სოლომანს. ჩვენი ნასყიდი მამული თქვენმა შვილმა იულონმა თქვენის ბძანებით და სამართლით დაგვანება. იმ ჩვენს მამულში ჩვენ სახლის ადგილი არა გვაქვს, მოხუცებულნი ჩვენი მშობელნი ჟსახლობით გომურში დგანან და სხვანი კი დგანან ჩვენს მამულში. წყალობას ვითხოვთ, ერთი ოქმი გვიბოძოთ ბატონის-შვილს იულონზე, ჩვენს ნასყიდს მამულში ვისიც კაცი იდგეს, აჰყაროს და ჩემი მამული მე დამანებოს. თუ სიტყვა ჰქონდეს ვისმე, სამართალში მელაპარაკენ<sup>1</sup> იუნისს, ქკს უჰე.

ზემო აშიაზე:

ქ. ჩვენო ღმერთის წყალობაე შვილო ბატონო იულონ, მერმე ამ არხის პატრონი ასე რომ ჩივის, ამ გვარად მსახლობელნი ქართლშიაც ბევრნი არიან და კახეთშიაც. თუ სამჯობინარი იყოს, რომელიც ამათს მამულში კაცნი დგანან, იმათი იქ დგომა ხომ რა იქნება რომ ნათხოვრად იდგნენ და თუ სამჯობინარი არ იყოს და ვერ ამჯობინო, ამათაც თავისი მამული ეჭირებათ. რომელიც ამათს მამულში დგანან, ისინი იქილამ აჰყარე და ამათ თავისი მამული მოაბარე. ივნისის კწ, ქკს უჰე. ამ გვარად მსახლობელნი შილდასაც არიან, ყვა

<sup>1</sup> უკანასკნელი ექვსი სიტყვა წაშლილია.

რელშიაც, ველისციხესაც და სხვაგანაც. თუ მოსარიგებელნი იყვნენ და სჯობდეს, ხომ ერთმანერთში მოპრიგე და თუ არ მორიგდებიან, ამას თავისი მამული დაანებონ, რას ემართლებიან. ივნისის კო, ქქს უპე. ჩვენ ასე გვგონია, გორშიაც იყოს ასე და სხვაგანაც დიახ ბევრია, ალბათ თელავშიაც ბევრია.

| ერეკლე |

№ 305 1791 წ. ივლისის 1-ს. არხა, მიცემული, როსტომ ჟურულის მიერ იონანე ბატონიშვილისადმი, ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი. 28 X 15 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმა-რია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2795.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ მათის უმაღლესობის მეფის ძის იონანეს ჰირი მომცეს თქვენს მონას ჟურულს როსტომს. მერმე ამას მოგახსენებ ჩემო ყ[ოვლა]დ მოწყალევე კელძწიფევე, რომ ისროლის ხევზედ ერთი კომლი კაცი მყუანდა თქვენი წყალობა, მამა პაპის მემკვიდრე და ის ჩემი კაცი კი აიყარა და წავიდა და იმისის მამულის წყალობა დამემართა თქმუნგანა და ოსი გუსი რომ გახლავს ტბაზედა, იმას მიაბარეთ ის მამული და უბძანეთ, რომ რაც რამ ერგებოდეს თავისის მამულისა, ამ ჟურულს როსტომს ემსახურეო. სამი წელიწადი არის რომ ის მამული მე მებოძა და ის კაცი სჭამს და ჩემთვის ერთის ფულისა არა მოუცია რა. წყალობას ვითხოვ, თუ იმ მამულის წყალობა დამემართება, რომ ერთი ოქმი მებოძოს გლახა ბოქაულთ ხუცის შვილზედა, რომ ის ჩემი მამული მე მებოძოს. გვედრები, რომ მოწყალეობა დამემართოს, თქვენს მეტი შემბრალებელი არავინა მყავს.

ზემო აშიახე: ქ. ბატონის-შვილის იონანეს სიკეთით სახსოვარო მივალას ბაშო (?) გოგიავე, ბოქაულთ ხუცესო გლახავ, მერე ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, ეგ გუსი რას ემართლება თავისს მამულსა. ახლავ ეგ მამული მთლად ყოვლიფერით ამ როსტომს მოაბარეთ და რაერთი ხანიც გუსის უჭამია და ამისათვის არა ურგია რა, ისიც სამართლიანის საქმით გამოურთვით და მოეციო, რას ემართლება, თავის მამულს როგორც უნდა ისე მოიხმარებს და ვისაც უნდა იმას მისცემს. ეს ასე გაარიგეთ, გაურიგებლად არ დაადლოთ. ივლისის 1, ქქს უპე. იონანე<sup>1</sup>. და კიდევ ვისაც მისი მამული ეჭიროსთ, ისიც უნდა გამოურთოთ და მოაბაროთ. გლახავ, ამხედ ბეჯითად უნდა მოიქცე.

| იონანე |<sup>1</sup>

№ 306. 1797 წ. აგვისტოს 1-ს. ოქმი ერეკლე II-ისა მანუჩარ ლაშქარნავისის თუმანიშვილისადმი და შეწერილი სურსათის სია. დედანი. 22 X 17 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 14372.

ქ. ჩვენი ბძანება არის თუმანიშვილო ლაშქარნივის-მდივანო მანუჩარ, მერე შენ უნდა წახვიდე და ამ სიით რომელთაც ეს განწესებული სურსათი აწერიათ, უნდა დადგე და ორი წილი ფქვილი და მესამედი ქერი ახლავ საჩ-

<sup>1</sup> ასომთავრულით.

ქართო გაარიგებინო, წამოაღებინო და ამბარდანს მოაბარონ, ყაბზი აიღონ და ამბარდნისაგან და ის ყაბზები შენ უნდა ჩამოართვა და მოხელეებს ანგარიში შენ უნდა მისცე. ამაზედ დიდათ ბეჯითად უნდა მოიქცე და ამავე ახალში მიაბარებინო არავეისის ოქმით პატიეება არ იქნება, თუ არ ჩვენის ოქმითა. ეს სურსათი თუ სრულებითა და უკლებრათ არ მოაბარებინე, შენ გარდაგახდევინებთ. თუ ამავე ახალში არ მოაბარეს და დააგვიანეს, მასუკან უფრო გაუძნელდებათ მოცემა, ასე სჯობს მაგათთვისა, რომ ამავე ახალში მოაბარონ. ეს სურსათი გორს უნდა მოაბარო. აგვისტოს ა, ქქს უზე.

წარაპლე

- ქ. ამ სიით ქართლში განწესებული სურსათი შესწერდათ სამ-სამი კოდით:  
 ლ ქ. ხერხეულიძის დავით უზბაშის ყმამ კოდი ოცდაათი,  
 ვ ქ. ხერხეულიძის ალათანგ-ს ყმამ კოდი ექვსი,  
 გ ქ. ხერხეულიძის ივანეს ობლის ყმამ კოდი სამი,  
 კა ქ. ხერხეულიძის ავთანდილის ყმამ კოდი ოცდაერთი,  
 ლ ქ. დავითის-შვილის ზაალის ყმამ კოდი ოცდაათი,  
 იე ქ. დავითის შვილის ელიზბარის ობლების ყმამ კოდი თხუთმეტი,  
 თ ქ. ოქრომჭედლის-შვილის დათუას ყმამ კოდი ცხრა,  
 ლ ქ. ფალავანდიშვილის ბეციას ყმამ კოდი ოცდაათი,  
 იბ ქ. ფალავანდიშვილის იაკობის ყმამ კოდი თორმეტი,  
 თ ქ. ფალავანდიშვილის უზბაშის ზურაბის ყმამ პური კოდი ცხრა,  
 იე ქ. ფალავანდიშვილის უზბაშის-შვილის როსტომის ყმამ კოდი თხუთმეტი,  
 ვ ქ. ფალავანდიშვილის ზაალის-შვილის ბერის ყმამ კოდი ექვსი,  
 იბ ქ. ფალავანდიშვილის პატარა როსტომას ყმამ კოდი თორმეტი,  
 იე ქ. ფალავანდიშვილის გლახას ყმამ კოდი თხუთმეტი,  
 ჯ ქ. ამირეჯიბის დავითის ყმამ კოდი სამოცი,  
 მე ქ. ამირეჯიბის მინბაშის ზაზას ყმამ კოდი ორმოცდახუთი,  
 იე ქ. ამირეჯიბის რამინის ყმამ კოდი თხუთმეტი,  
 ვ ქ. მახვილადის გლახას ყმამ კოდი ექვსი.  
 ლგ ქ. ჯამი თვრამეტი კალძისა: ხალვარი ოცდაცამეტი და კოდიც ცხრა [თ].

№ 307. 1797 წ. აგვისტოს 12-ს. პირობის წიგნი, მიცემული სესია გულუაშვილის მიერ დავით გოსტაშაბიშვილისადმი. დედანი. 15×10<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დაწერილი თეთრ ქალღღებ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2653.

ქ. ესე წიგნი მოგეც მე, გულუაშვილმა სესიამ ორბელიანის სარდლის ყმამ შენ, გოსტაშაბიშვილს დავითს; — ასე რომე შენის ყმის დათიას ქვრივი შევირთვე და იმისი ერთი პატარა ობოლი ბიჭი თავის დედასთან მოყვა და ამაჟამად იმ ობოლს თავის დედას ვერ მოვაშორებდი და ეს ობოლი ჩემთან იყოს და გაიზარდოს, მშვიდობა არის და გაზდილი მაშინ ულაპარაკოთ მოგაბარო. არის ამისი მოწამე მაყაშვილი ნაზირი დავით

მ[ც]ყ[ა]შვილი  
დავით

მილახვარი ენდრონიკაშვილი ნინია  
დაიწერა აგვისტოს იბ, ქკს უპე. სესია.<sup>1</sup>

№ 308. 1797 წ. სექტემბრის 1-ს. წყალობის წიგნი, მიემული ბარძიმ ამილახორის მიერ თევდორე და გიორგი კუპატაძისადმი. დედანი. 55 X 22 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახზარია ალაგ-ალაგ თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2273.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღ[ვთ]ისათა ჩვენ, ამილახორის-შვილმან ბარძიმმან ესე წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ ჩვენს ერდგულს საუფლისწულოს<sup>2</sup> ყმასა და ყმის შვილსკუპატაძეს კურთხეულის მამის ჩვენის გაზდილს თევდორეს და გიორგის და მომავალთა სახლისა თქვენისათა;—ასე რომ ჟამთა ვითარებისაგან და ჩვენის მოუცლელობისაგან აქა იქ სცხოვრებდით და თქვენ სამკვიდრო მამულზე არ იდევით. მოხვედით და გვეაჯენით თქვენის სამკვიდროს მამულისა და ადგილის ბოძებას და ზინის მოცემას. ჩვენც ეს დიდათ დაგიმადლეთ და გაგიახლეთ წიგნითა ამით თქვენი მამა პაპის მამული ფხვენის, რისაც მქონებელი ყოფილხართ სასახლისა, წისქვილისა, მიწისა, სახნავისა და უხნავის, ჭალისა და რიყისა და ჩვენგან ზოგი მიწა და ზოგი საწისქვილო დაგირავებული და გასყიდულია, იმის საბუფქოდ ოდიკაძის ბეთალმანი მიწები და რასაც მქონებელი ყოფილა, ისიც თქვენთვის გვიბოძებია და რაც გირაოთ შენი მიწებია და წისქვილია, ღ[მერ]თ[მა]ნ შეგაძლებინოს, დაიხსენ. ღ[მერ]თ[მა]ნ მოგახმაროს ესენი, რომელიც ზემო დაიწერა და ჩვენი სამსახური თქვენგან ასე უნდა იყოს: ერთი მსახური უნდა გვაახლოთ. სხვა ოზისა და წვიმის მეტი ჩვენგან არა მოგადგება რა სამსახურის თხოვნა. როგორც შენნი ამხანაგნი აზნაურნი იმსახურებოდნენ, შენც ისე უნდა გვმსახურო. ამას გარდა ეს წყალობაც გვიბოძებია შენ გიორგი კუპატაძისათვის ჩვენის ყმების საუფლისწულოების მოურაობა ფხვენის, თამარაშენს, წორბის რაც ამ სოფლებში მსახლობელნი გლენხი ჩვენი ყმანი არიან და ან რაც დასახლდება და ან რაც საკომლოები გვაქვს ამ სოფლებში. შენთვის გვიბოძებია სამოურაოდ. როგორც საამილახოროში მოურავეები მოურაობენ, შენც ისე ერდგულად უნდა შემოუარო ამათ და ამ[ა]თგან კომლზე ერთს კოკას ღვნოს დღესასწაულს დღეს ძღვენს, სართვლოს ძღვენს, ერთს დღეს მკას, ერთს დღეს ბარვას იმსახურებდე. ქალი გათხოვდეს, საჩექმეს გამოართმევდე. ჩვენგანაც ჩვენის შემოსავლიდამ შენის სახელოდამ იქიდამ ათის თავს აიღებდე. ამ ყმასა და მამულზე ბეჯითად უნდა მოიქცე. არავინ რა მოიპაროს. ჩვენგან ეს წყალობა გქონდეს და გიბედნიეროს ღ[მერ]თ[მა]ნ ჩვენ სამსახურსა და ერდგულობაში. არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა ჩვენთა შვილიშვილთაგან შენს შვილსა და შვილიშვილთა ზემო ხსენებულნი ეს წყალობანი. დამამტკიცებელნი ამისნი იყვენ

<sup>1</sup> ჩამატებულია სტრიქონს ზემოდან.

<sup>2</sup> ეს სახელი მელნით შეაოვლებულ წრეშია, სათაური: ნინია ბიჭის წიგნია.

კურთხეულ, ხოლო შლად ხელმოწეული ამისნი იყავნ წყეულ და შეჩვენებულ მა-  
მისგან საუკუნოსა. აღიწერა ხელითა მისი სიმადლის კარის მღვდლის ალექსიდის  
ალექსისათა თვესა სეკდემბერსა ა, ქკს უპე. ამ ჩვენის საუფლისწულო მოურა[ო]-  
ბის წყალობის წიგნი სხვათაცა აქეს მიცემული ჩვენგან, მაგრამ ამ წიგნით ისინი  
სულ გავციბათილებია ვინც ამისი მოშლა ინებოს, ისიც შეიშლება თავისის სა-  
ხისაგან, მასამც რისხავს ღმერითი და მისნი წმიდანი, მასამც ედების კეთრი  
გეზისა, შიშთვილი იუდასი, ზიარება დათან და აბირონისა, ხოლო დამამტკი-  
ცებელნი ამისნი იყავნ კურთხეულ მამისაგან საუკუნოსა. ამინ.

ბარძიმ

№ 309. 1797 წ. სექტემბრის 15-ს. ოქმი გიორგი ბატონიშვილისა გაღმა-მზრის  
აყრის იასაულებისადმი, დედანი. 13 X 14 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე  
მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნაბმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, 9995.

ქ. რომელიც გაღმა მზრის აყრის იასაულები ხართ ჯავახიშვილი ზაქა-  
რიაც თქვენთან ზნდა იმყოფოთ და როგორც ბძანება გაქვსთ, ისე ერთად  
უნდა აღასრულოთ და ბეჯითათ მოიქცეთ.

სეკდემბრის იე, ქკს უპე.

გიორგი

№ 310. 1797 წ. დეკემბრის 7-ს. არხა მიცემული დათუა გოსტაშაბიშვილის მიერ  
დარეჯან დედოფლისადმი ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი. 20 1/2 X 17 სმ, და-  
წერილი ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნაბმარი  
არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 14383.

ქ. ღმერითმან ყოვლად მოწყალის დედოფლის ქირი მათს მონას გოსტაშა-  
ბის-შვილს დათუას მოსცეს. ჩემო ხელმწიფევე, მოგესხენებათ მაელი სომხით-საბა-  
რათაშვილოს თავადისაც და აზნაურშვილისაც ყმა სულ დაფანტული გახლავსთ  
ქართლში და კახეთში. ჩემი კაცნიც დაფანტულნი გახლავან და ერთი კომლი  
კაცი ელიოზის-შვილს ნინიასა ყავს ჩემი. წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმის წყა-  
ლობა დამემართოს თქვენს შვილებზე, სამართალში გვალაპარაკონ თუ ჭკუმა-  
რიტი სიტყვა ქონდეს, თუ რომ არა და ჩემი კაცი მევე მომცენ. ქრისტიშობის  
წ, ქკს უპე.

ზემო აშიაზე: ქ. ჩვენო ღმერთის წყალობავ შვილო ბატონო გიორგი, ამ  
აზნის პატრონი ვისაც უჩივის თავის ყმას, ისიც და ამ აზნის პატრონიც  
ორნივე თქვენთან მოაყვანინეთ, ალაპარაკეთ და ღმერთის წინაშე ქვეშარიტი  
სამართალი მოეცით—დეკემბერს 7, ქკს უპე.

დედოფ. ლი  
დაოეჯან

№ 311. 1798 წ. იანვარს. არზა ამილდაბარ ციციშვილისა იულონ ბატონიშვილი-სადმი, უკანასკნელის ოქმით. დედანი 20×14 $\frac{1}{2}$  სმ, დაწერილია მოღუჯო ქალაქ-დზე მხედრული ხელით. ბოლო სტრიქონი დაზიანებული აქვს. განკვეთილობის ნიშ-ნად ნახბარია თითო წერტილი, საქ. მუზ. ფ. Sd, № 408.

ქ. ლ[მერ]თ[მა]ნ ბედნიერის მეფის ძის იულონის კირი მათს მონას ამილ-დამბარ ციცი-შვილს მამცეს. მოგესხენებათ, მე და ჩემი ძმა რომ თქვენს წინ გავიყარენით, მამაპაპისა ერთი კომლი აზნაურშვილი გვყავს კლიმია-შვილი, ერთ სახლათ არიან გაუყრელი, ის აზნაურშვილი ჩემიც არის და იმისიცა. ახლა ის აზნაურ-შვილი ამ ძამულს გორელს კაცს უგირავენს. თუ კი ძამულს დამიგირავენს და გამიყიდის, რილასი აზნაურშვილი იქნება. ამ წყალობას ვი-თხოვ, ერთი ოქმი გვიბოძეთ, რომ რაც ჩემი საწილო იყოს, ნურც და[ა]გირა-ვენს.... შვილების პატრონი გახლავართ, ჩემს საწილოს ნურც ყმას და- [ა]გირავენს და გაჰყიდის, ნურც მამულსა. ამ ჩემს წილთან ნურც ჩემს ძმას ექნება ხელი, ნურც აზნაურიშვილსა. აღიწერა იანვრის...

ზემო აშიაზე სხვა ხელით:

ქ. ბატონიშვილი იულონ გიბძანებთ ამილახორიშვილო ერასტი, მერე ამ არზით ამილდაბარ ციციშვილი თავას აზნაურშვილს კლიმიაშვილს რომ უჩივის, ამილდაბარ და კლიმიაშვილი ორნივე ჩვენს სამართალში დააყენე, რომ ამათი საქმე სამართლიანის გზით გავარიგოთ. იანვრის ია, ქ[ქ]ს უპვ.

ტომ სხესით არ  
აკლისაგან იულონ  
ირაკლისაგან

№ 312. 1798 წ. მარტის 15-ს. წერილი ბერი ვეთიმისა გარსევან [ქვეყავასისადმი.] პირი, გადაწერილი XIX—XX საუკუნეში. საქ. მუზ. ფ. Hd, № 75901.

ბრწყინვალეს კნიაზს ლ[ვთ]ის მსახურს დიდებულს თავადს უფალს ემიკა-ლაბაშს გარსევანს

ჩემს უსასურველესს მოწყალეს ჯელმწიფეს.

უმდაბლესს პატივისცემას და ქ[ქ]ისტიე ლ[ვ]თსა მიერ ლოცუას მოვახსენებ-მიწყრებით ამაზედ, წიგნს არა მწერო. ნიადაგ გწერთ, მაგრა ჩემის ცოდვის სიმრავლით არ მოგდისთ. ამას დიად საჩქაროდ გწერთ და იმისთვის მოკლედ მოვახსენებთ აქაურს ანბავს: ცხრამეტს დეკენბერს აღექსანდრე-თან გამგზავ-ნეს ყაზახში სანატრელმან მეფემ და სხუათა ყოველთა ერთობით, ხუთს იან-ვარს მეფე გიორგი მობრძანდა ყაზახში, ქართლისა და კახეთს თავადნი სულ იქ ახლდნენ. ჩემის ცოდვის სიმრავლე მეკითხა, დავბნედი, თერთმეტს იან-ვარს განთიადს სანატრელი მეფე მიცუალებულ იყო. თოთხმეტს იანვარს ქარ-თლმა, კახეთმა გიორგის მეფობაზედ დაიფიცეს და მეფობა მიულოცეს. ოცს თებერვალს თელავს მობრძანდა ყაზახი დამ. მარტის რამდენსამე რიცხვში ქარ-თლიდამ ბატონიშვილი იულონ მობრძანდა ქართლის სამღუდლოთი და საე-როთი და ვინც დაკლებულნი იყვნენ ქართლისა თუ კახეთისა, ყველამ დაიფი-ცა იმის ერთგულობაზედ, მისმა უწმინდესობამ და ბატონიშვილებმა მეფობა

მიულოცეს, — ქართლმა და კახეთმა. შეწუხების მიზეზით საშუალო ცოტა რამ ლაპარაკმა გაიარა, მაგრამ ქრისტე ღმერთთან და ღვთის მშობელმან ეშმაკის საფრე განაქარვა. ქრისტე ღმერთის მოწყალებით გუშინაც იმის საქმეზედ გახლდი ბატონს დედოფალთან. ქრისტე ღმერთის მოწყალებით დიად დიდის სიტკბოებით ბრძანდება თავის შვილს მეფეზედ ბატონი დედოფალი და უფროსი ძმები შეფიცულნი არიან მეფესთან ალექსანდრე და ფარნავაზ კი აქ არ ბრძანდებოდნენ, ახლა კი აქ ბრძანდებიან და იმათს წილს მამულსაც აძლევენ. ბატონიშვილი მირიანც ადრე მობრძანდა და სანატრელს მეფეს კი ველარ მოუსწრა. ღვთის მოწყალებით დიად დიად მშვიდობას ცდილობს ბატონიშვილი მირიან და მშვიდობის მყოფელი ბრძანდება. ბატონიშვილები იულონ, ვახტანგ და მირიან დიად მშვიდობას ცდილობენ. ბატონიშვილები ალექსანდრე და ფარნავაზ თავიანთ წილს მამულს ითხოვენ და ისინიც მეფის ერთგულებაში და მონებაში თავსა ჰსდებენ. სოლომონ ყაზახში გახლავსთ, მისი ძმები ერთიანთ მშვიდობით გახლავან: თქვენ რომ წიგნი მოგეწერათ ერთის საქმისათვის და უფალს კნეინას ბატონიშვილს ანასტასიას და რევაზს ჯვარი დასწერეს. ვახტანგ ყაფლანიშვილს თეკლა მისცეს. ეს საქმეები მე გამარიგებინეს სანატრელს ნეფესთან. გაიანე ბატონიშვილი ისე გახლავსთ, თუ მალე მობრძანდებით ისიც გარიგდება, თუ კი მოხდება. იმისი და რომ ალექსანდრესა ჰყავს; დიად დიად გკითხულობს და როგორც თავის სულის ცხოვნება უნდა, ისე შენი მოსულა უნდა და ორჯერაც წიგნი მოგეწერათ. დავით ბატონიშვილი და თქვენ დაგიბარეთ, დიად გულსმოდგინებით მოგელისთ მეფე. მისი უმაღლესობის მეფის გუამი ცამეტს მარტს ცხეთას წაასვენეს, მე კი მონასტერში და პირიქით სულ აღარ გამიშვეს. ნათარეულენი და სხვანი თქვენი ყმანი მშვიდობით გახლავან თქვენი ბრწყინვალეებისა. დიად ერთგულნი და მოყუარენი. ნათარეულში ორი დღის მეტი არ გამიშვეს მრავლის მოუცლელობისაგან, არც ღამე და არც ღლე მაქვს მოსვენება. მრავალს მეხვეწებიან ნათარეულნი, ხვალ ეგების ორსაოდ (sic) ღლეს გავიდე. გამდელი გრიგოლთან გახლავსთ, მშვიდობით საჩქაროდ წამოვიდა. ამის მეტი ვერა მოგწერე რა. ბატონიშვილს, დავითთანაც ბოდიში მომთხოვე, როგორც ჩემი სული მაგონდება ღამე და ღლე, ჩემგან მარად განუშორებელი არის დიდის ტრფიალებით და ერთგულებით.

არშიახედ ეწერა ეს: კეთილ მსახურს უგანათლებულესობას მეფის ძეს მოწყალეს ჯელმწიფეს საქართველოს მემკვიდრეს ბატონიშვილს დავითს მეფობითს კალთას მთხუცვას გაუბედაუ მდაბლის თავყანის ცემით, ბრწყინვალეს კნეინას მოწყალეს ჯელმწიფას და უფალს ალექსანდრეს უმდაბლესს პატივისცემას და ქრისტე ღმერთისა მიერ ლოცვას მოვახსენებ; ნუ გამიწყრება, საჩქარო საქმე იყო.

უმდაბლესად გაუბედაუ მოხსენებას  
ცოდელი ბერი ევთიმი.

წელთა  
მარტის

1798,  
15.

№ 313. 1798 წ. მარტის 26-ს. არხა, მიცემული სოლომონ მეითრის მიერ გიორგი XII-სადმი ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი. 30 $\frac{1}{2}$  X 10. სმ, დაწერილი მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ხახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2661.

ქ. ღმერ]თ]მან ბედნიერის მეფის გიორგის ქირი მათს მონას სოლომონ მეითარს მოსცეს.

შემდგომად ამას მოეახსენებ მათს სიმაღლეს: ზურაბ თარხნის-შვილისაგან ვენახი ვეყიდე, ის ვენახი პირველად ჩვენეული იყო და ახლა მექიჯნავეც ჩემი კაცი არის. მისულიყო ჩემს შეუტყობლივ და ჩემის ბიძაშვილს გლახას კაცს ეყიდნა. იმავ სალამოზე თეთრი მიუყარე და სიტყვაც არ ქონდა, რომ ამას ეყიდნა. ახლა გლახას შვილს დათუას უჩივლია და ოქმი გიბოძებიათ. იმ არხაში ჩემი სახელი არ გამოუცხადებია, ისე ყრუთ მოუხსენებია. ამას გვედრებთ, რომ ოქმი გვებოძოს, ეს გლახაშკალიცა დაქმია კაცნიც თქვენს სამართალში გაიხლოთ და მანემდინ ჯელს ნუ ამიმართვენ და თუ სიტყვა აქვს, თქვენს სამართალში გამოაცხადოს. მარტის კვ, ქქს უშვ.

ზემო აშიაზე: ქ. ჩვენი ბძანება არის, რომელიც ამისი მოასილი ხართ, მერე მეითარს სოლომონს ამ არხით ასე რომ მოუხსენებია, მაგ მამულის საქმე რადგან ასე ჰყოფილა, მაგისის ჯელის ამართვა არ იქნება და ნურც ამართავ სამართლამდის და თარხნიშვილის გლახას შვილიც, იმის კაციც და სოლომონ მეითარიც, ესენი ჩვენს სამართალში უნდა მოვიდნენ და სამართალში უნდა ილაპარაკონ და სამართლით რომელსაც დარჩება, მასუკან იმას უნდა დანებდეს და სამართლამდის ვერვინ აუშართავთ ჯელს, იცოდეთ. აპრილის ვ, ქქს უშვ. | გიორგი

№ 314. 1798 წ. მაისის 13-ს. წერილი დეოთ ბატონიშვილისა უცნობ პირისად-მი. პირი, გადაწერილი XIX — XX საუკუნეში. საქ. მუხ. ფ. Hd, № 7590.

ჩემო ხელწიფევე,

ეს არ გეგონოს, რომ მე თქვენი წიგნები დამეხსნას. ამისთანა ბრიყვი არა ვარ და გლუბი, რომ მე კაცის წიგნი გავხსნა, ეს ჩემს წიგნებში იღვა, ამბავი კოველივე ამითი ვსცანით მაგრაპ დრო ეს არის, რომ, რომელიც აღგვითქვეს მეფისა კავალერი და ნიშნები და ეგრეთვე ნასლენიკისათვისაც წყალობა! იულონ და ალპახან დიდად ირჯებიან მამის ჩემისათვის და მეტადრე აღმახან. ვთხოვ არ დამივიწყო და ამისთანას ძუნწობას რას ხელსა გყრი, ერთი ადლი ალი ტრიპუ არ გამომიგზავნე, ამის ჯარიმათ რვა მინალთუნათ არის პოლეთიჩესკი ყურნალი, ტიპოგრაფიაში რვა მინალთუნი უბოძეთ და აუსტრის-შვილის სახელზედ ბილეთი აიღევით. 1798 რომელიც ახლანდელი წელ იწაღია, რომ ისინივე აუსტრი-შვილს გზავნას დაუწყებენ. რომელიც რაოდენი მანდ დამაჟალე, იმდენს უფრო მეტს დამავალებ, ამიტომ რომ მთელის ქვეყნის ამბავი ხულ მეცოდინება.

შენი მეგობარი მეფის ძე დავით.

მაისის 13.  
მოსდოგს.

№ 315. 1798 წ. იენისის 2-ს. წილის ბართი ნიკოლოზ და ამილდაბარ ციცაშვი-  
ლებისა. დედანი. 11 × 12 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით.  
განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუზ. ფ. Sd, № 1031.

ქ. თავიანთ შეფარდებით აზნაური შ[ა]ტელიშვილი უმამულოთ ერგო  
ციცის შვილს ნოდარის შვილს ნიკოლოზს და ამის ძმას ამილდაბარს ერგო აზ-  
ნაურის შ[ა]ტელის-შვილის ფარდათ გოდერძის-შვილი უმამულოთ და შ[ა]ტე-  
ლის-შვილის ნაქონის მამულისა როგორც ჩვენს მოცემულს განჩინებაში  
და გარიგების წიგნებში სწერია, რომ ორთავ ძმათ თავთავისთვის აქვსთ ცალ-  
ცალკე მიცემული განჩინება, ისე უნდა იქმნას. თიბათვის ბ, ქკს უპვ.

№ 316. 1798 წ. იენისის 10-ს. ყმობის წიგნი, იოანე გამსახურდაშვილის მიერ იუს-  
ტინე მოოველისადმი მიცემული. დედანი. 33½ × 13½ სმ, დაწერილი ლურჯ  
ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ  
ნახარია თითო წერტილი. საქ. მუზ. ფ. Qd, № 374.

ქ. ესე წიგნი მოგართვი მე, გამსახურდა-შვილმა იორდანეს შვილმა იოანე-  
მა თქვენ ბატონს ყ[ოველ]ად სამღვდელს მროელს მაღალაშვილს იუსტინეს; —  
ასე რომე ავის დროს მიზებით პაპა ჩემი აყრილიყო და ხან იქ ყოფილიყო და  
ხან იქა და რამდენსამე ხანსა გორსაც ყოფილიყო. ახლა პაპაც მამიკედა, მამა-  
ცა და დავრჩი ობოლი. ქალაქს გახლდი დღეს აქამდინა. ჭირის მიზეზით რომ  
ქალაქი აიყარა, მეც ავიყარე და ტინიჭიდს მოველ და ძველადგანაც ეკლესიის  
ყმა ვიყავ და ეკლესიამ არსად დამაყენა და ისევ ამ ჩემს ეკლესიას მოვატანე.  
წინაშე აღქვითსა მამის ჩემისაგან და ბიძის ჩემისაგან ასე ფიცით გამიგონია, რომ  
ამ ეკლესიის ყმა გამსახურდაშვილი სამკვიდრო ვიყო. არის ამისი მოწამე კლი-  
შიაშვილი მღწველი იოსებ, ქართველიშვილი მღწველი სოლომონ, ლომიძე  
მღწველი პავლე და მე, ონოფრე მღწველს დამიწერია ამ გამსახურდაშვილის  
იოანეს სიტყვითა და მოწამეცა ვარ. იენისის ი, ქკს უპვ<sup>1</sup>.

№ 317. 1798 წ. დეკემბრის 27-ს. ნასყიდობის წიგნი. გიორგის-შვილის სვიმო-  
ნას შერ ვახტანგ ყაფლანიშვილისადმი მიცემული. დედანი. 41 × 25 სმ, დაწე-  
რილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ალაგალაგ  
ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუზ. ფ. Hd, № 10343.

ესე წიგნი მოგც მე, მუსხალას-შვილის ნაყმევმა თავდასნილმა გიორგის  
შვილმა სვიმონამ თქვენ, ყაფლანის-შვილს ტუტუას შვილს ვახტანგს; — ასე რომე  
თქვენის ყმის დათუნაშვილის ივანეს მეზობელი ვიყავ და შემემთხვა ცოდვა,  
ოთხი თუმანი მოვპარე. თქვენი ყმა მოვიდა, თქვენ მოგახსენად, ოთხი თუმანი  
დავეკარგეო, გიორგის-შვილმა სვიმონამ მომპარაო. თქვენ გეკითხად, ვისი ყმა  
არისო. თქვენთვის მოგხსენებინა სარდლის ყმა არისო და თქვენც სარდლის  
მსახური ოპანა დაგებარებინათ, და სარდლისთვის შემოგეთვალად, ამის სამარ-  
თალი თქვენ უსაჯეთო, ჩემი კაცი ასე ჩივისო. მე სარდლის ყმა არ ვიყავ, მა-

<sup>1</sup> ზემო აწიხზე აწერია სხვა ხელით: საეკლესიო წიგნები.

მა ჩემს სარდლის ყმის ქვრივი შერთვა და სარდალს ემსახურებოდა. რადგან თავდახსნილი იყო და პატრონი არ ჰყუანდა სარდალის გელდებულად იყო. მე სარდალმა რირტერა და ოჰანა მიბოძა, თქვენ გამოკითხეთო. მე ტყუანი ვიყავ. თორმეტი მინალთუნი ბანიდამ და სხვა კი დაეხარჯე. ზეორეს დღეს თქვენის ყმის შვილი გამოვიდა, ის ჩემი ჩაგდებული თეთრი გამოიტანა, ბანიდამ ჩამოუგდიათო. რაიგან დამნაშავე მე ვიყავ და ჩემზედაც ლაპარაკი ჰქონდათ, მევე დამიწყეს ლაპარაკი, ესე შენი საქმე არის და შენ პასუხი უნდა გასცეო. მე შევებვეწე ტერ გრიქორს და ოანას, ეგების თქვენვე გამირიგოთო. ასე მითხრეს, თავის თავნი მიეცო და საქვეყნოდ ნულარ გახდებო. მეც პირობა მივეც და თამასუქი დაუწყრე და მარიამობისთვეში უნდა მიმეცა. რათგან თეთრის პატრონი ჩემი მეზობელი იყო და მეპურმარილე, იმანაც იყაბულა. მე იმ თეთრის მოცემა ველარ შევიძელ და თქვენის ყმის შვილი ჭირისაგან მოკუტდაროდესაც მათი უმაღლესობა მეფე გიორგი ქალაქს ჩამოძძანდა და თქვენც თან ახლდით, თქვენ ეს ჩემი საქმე შეგეტყოთ. თქვენ მიმყუანეთ მდივანბეგს იოანესთან და დავით მდივანთან მალაპარაკეთ. მე მტყუანი ვიყავ და თქვენ დამიჭირეთ. რათგან თქვენს ყმას ვერ გადაუწყვიტე, თქვენ შვიდეულად დამიწყეთ თხოვნა. მე გზა და ილაჯი არა მქონდა, რომ თქვენთვის პასუხი გამეცა. თქვენვე შემოგებვეწე, ჩემი თავი ჩემის ცოლშვილით ნასყიდობით ყმათ მოგეც, ამისთვის რომ რადგანც მე იმ თეთრის მოცემა არ შემეძლო და თავდახსნილიც ვიყავ და ჩემთან საბატონყმით არავის ჰქონდა, ჩემი თავი ჩემის ცოლით და შვილით თქვენთვის მომიყიდნია. თუ ამაში მოდავე გამოჩნდეს, პასუხის გამცემი მე ვიყო და თუ ამ ვალის გადახდა შევიძლო და ეს თეთრი შვიდეულად მოგართვა, შენ ჩემთან საქმე აღარ გექნება და ამ ჩემ მოცემულს სიგელსაც დაეიხსნი. არის ამისი მოწამე მდივანბეგი ჩოლოაყას შვილი ივანე

მდივანბეგი იოანე | მდივანი დავით, |            |, ყორიასაულბაში თარხნიშვილი დიმიტრი

მ[ო]ნა დ[ე]თისა ყორიასაულბაში დიმიტრი , მე, დეკანოზი ტერ დავით ზემოხსენებული სვიმონის და მო-

წმების სიტყვით დამიწერია და მოწამეცა ვარ. ტერ დავით<sup>2</sup>. დაიწერა დეკემბრის 15 ქკს უპვ.

სხვა და სხვა ხელით:

ქ. მე, ამისი მოწამე ვარ ალა მურადამ შვილმა მაგათი ტერტერასაგან შეტყობილი და ჩვენც ვიცით გერათ მოყოლალილა(?)

ქ. მე, სფულათ სტეფანას-შვილი კონიამ აღას სიტყვით დამიწერია და მოწამეცა ვარ.

ქ. მე, ტერ გრიქრას ამ ზემოთ ნაწერს ნასყიდობის თავის დედისაგანა შეტყობალი ვიყავ, დიდის ფიცითა გული დამაჯერა, რადგან ჩემი მოწამე იყო, რომ თან მოყოლილი ჩემი გერი არისო, სარდლიანთ ყმა არ არისო. მეც ამისი დედის სიტყვით დამსწრე და მოწამეცა ვარ. +

<sup>1</sup> ბეკდის გარწმომ: მიწა ვარ, დავითოგუნები. ბეკდის შუაში ასომთავრულით: დავით.  
<sup>2</sup> ხვეულად.

ქ. მე, წინაშეიღმა არუთინამ ამის მოწამე ვარ, რომ მე ასე ვიცი, რომ ეს სიმონა სარდლის ყმის შვილი არ არის, სარდლის ყმის ცოლს გერათ მოჰყვა. არუთინამ წიკნი არ იცოდა და მე, ზოპრაბანთ სტეფანას შვილი ასლანამ არუთინას სიტყვით დავწერე ეს მოწამობა. +

ქ. სიმონის სიტყვით და ყაბულობით ამ წიგნის მოწამე ვარ თაყაშვილი<sup>1</sup>

ქ. სიმონას სიტყვით და ყაბულობით ამ წიგნის მოწამე ვარ თვითონ დანელ მე გიორგი<sup>2</sup>.

განის აშიაზე: ქ. მე მდივანბეგი ბეჟან ამ წერილის მოწამე ვარ ბეჟან<sup>3</sup>

ქ. მისის სიმალის კარის ეკლესიის მოქონე მღვდელი ელევთერი ამის მოწამე ვარ ამ კაცის ყაბულობითა.

ელევთერ<sup>4</sup>

ქ. მე, უსტიერაშვილი ანტოაამ ამ სიგლის მოწამე ვარ.

ანტონ.<sup>5</sup>

№ 318. 1798 წ. დეკემბრის 30 ს. არხა, მიცემული ეგნატი მდივნის [თუმანიშვილის] ყმის სოსიას მიერ გიორგი XII-ისადმი ანუ უკანასკნელის ოქმით. დეფანი. 21 x 12 სმ, დაწერილი ლუჯ ქალაქში მადრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმალი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2844.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის კელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის მდივნის ეგნატის ყმის სოსიასაგან.

ამას წინათ არხა მოგართვი, დავითის შვილმა ბერმა და ლევანიკამ უღელი ხარი წამართვეს ეს მეათე თვე არის. მდივანბეგებზე ოქმი და იასაული გვეზოდა, რომ უნდა გველაპარაკნა. მდივანბეგები არ შეეყარნენ. წყალობას ვითხოვ, ოქმი და იასაული გვეზოდას მუხრან ბატონზედ და რომელიც მდივანბეგა დარჩება ქალაქში, ამათ გველაპარაკონ და სამართალი მოგვეცენ, ლ[მერ]-თი გაგიმარჯვებს. დეკემბერს ლ, ქკს უჰვ.

ზემო აშიაზე: ქ. სარდალსალთხუცესო მუხრანის ბატონო იოანე და რომელიც მდივანბეგები ქალაქში იყვნენ, მუხრან ბატონთან შეეყარნენ და ამათ სამართალი მიეცით. იასაულო,<sup>5</sup> ესენი შენ უნდა მოიყვანო და ალაპარაკო.

დეკემბერს ლ, ქკს უჰვ.

[გიორგი]

№ 319. 1799 წ. ივნისის 19-ს მიბარების წიგნი, თევდორე ბერძენის მიერ სოლომონ ძეითარისადმი მიცემული. დედანი 7 1/2 x 16 1/2 სმ, დაწერილი თეთრ ქალაქში მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 6977.

ქ. ესე მოგართვი მე, თევდორე ბერძენმა თქვენ, სოლომონ ძეითარისა;— ასე რომე ზედა რუს კლდე გავაკეთე, რაც იმ რუთი მოიარწყოდა, დღითურზე

<sup>1</sup> ბელართვა.

<sup>2</sup> მელნიო შემოხაზულ ოთხკუთხედში.

<sup>3</sup> ბეჭდის შუაში, ასომთავრულით. ბეჭდის გარშემო მხედრული წარწერა არ იჩვენა.

<sup>4</sup> ხეულად.

სათაური: მუსხალასშვილის გიორგისაგან თავისთავის გაყიდვის წერილი.

<sup>5</sup> ცარიელი ადგილია დატოვებული.

ფოხალი პური უნდა მამცემოდა. ახლა რაც თქვენი წილი მამული იყო, იქი-  
დამ სულ სრულათ მამებარა. ღვთის წინაშე მე მამაცაშვილს ელიზბარს დამი-  
წერია თვედორეს სიტყვითა და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა იანვარს ცხრა-  
მეტს გასულს, ქკს უპზ.

№ 320. 1799 წ. იანვრის 21-ს. არზა, სოლომონ მეითარისა დავით ბატონიშვილი-  
სადმი, უკანასკნელის ოქმით. დედახი. 26 $\frac{1}{2}$  x 13 $\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი ლუოჯ ქალაღზე  
მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2854.

ქ. უგანათლებულესობის მათისა წინაშე უმდაბლესი მოხსენება.

მათის უმაღლესობისაგან რამდენიმე კომლი განჯელი ზურნაბათელი სო-  
მეხი მებოძა და ახალქალაქში მიდგანან. ახლა ბატონს დედოფალს იასაული  
უბოძებია და იმათა ჰყრიან, გევედრები, რომ როგორც თქვენი ნება იყოს, ის  
მებძანოს და ერთი ოქმი იასაულესაეც ებოძოს, რომ როგორც იმისის უმაღლე-  
სობის მამი თქვენის ბძანება მქონდეს, ისე შეასრულოს. იანვრისა კა, ქკს უპზ.

მეითარი სოლომონ

ზემო აშიაზე: ქ. მეფის ძე დავით გიბძანებ რომელნიც იასაულები ხართ,  
მეც ბატონის მამის ჩვენისაგანა აქვს ეგ კაცნი ნახობები სოლომონ მეითარს,  
რომ ის ოქმი თქვენც გინახავს. მის სიმალეს უნდა მოხსენდეს და როგორც  
იმისი ნება იქნება, ისე უნდა აღსრულდეს, უბატონოთ ვერ აპყრიოთ მაგ სომ-  
ხებს. იანვრის კა, ქკს უპზ. მეითარო სოლომონ, როგორც ბატონის მამის ჩე-  
ნის ბძანება გაქვს, ისე აღასრულე.

( დავით )<sup>1</sup>

საბუთის ზურგზე იმავე ხელით, რომლითაც დაწერილია ოქმი:  
ინგორდახლი ნურალღლი მახსუტ.

№ 321. 1799 წ. მარტის 30-ს. ოქმი დარეჯან დედოფლისა ოთარ ამილახვრისა-  
დმი მიცემული. პირი, გადაწერილი XX საუკუნეში თეთრ ქალაღზე მხედრული  
ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 114აბ.

ქ. საქართველოს დედოფალი დარეჯან პატივით მოგიკითხავ ბატონო სარ-  
დალ ამილახვარო ოთარ, მერე მანდ გორს ჩვენის ყმის ბარხუდარაშვილისეუ-  
ლი ბეითალმანი ჩვენი სადედოფლო წისქვილი რომ არის, ეგ წისქვილი სრუ-  
ლებით თუმანოეს ძღვიანს სულხანს სამკვიდრო წყალობათ უბოძეთ. კელი  
ამართე და ამათ მოაბარე, რომ ჩვენის ამ ოქმის ძალით დღეის იქით ამათი  
მამული არის. მაგრამ რომელსაც აქამდინ ჩვენგან ეს წისქვილი მიბარებულ  
ჰქონდა, ამ თარიღამდინ იმის მოსავლის ანგარიში ჩვენ უნდა მოგვართოს.

მარტის ლ, ქკს უპზ.

( დედოფალი  
დარეჯან )

<sup>1</sup> ასომთავრულით.

№ 322. 1799 წ. აპრილის 11-ს. არხა, მიკეჟული ვახუშტი ჯავახიშვილის მიერ გიორგი XII-სადმი, ამ უანასნელის ოქმით. დედანი. 20 $\frac{1}{2}$  × 10 $\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი ლურჯ. ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. H4, № 10388.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის კელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ჯავახიშვილი ვახუშტი მდივანბეგისაგან.

ქირისაგან სამოცდა ცამეტი სული დამეხოცა ყმა და ჩემოდენი ჩემს სახლის კაცებს არ დახოციათ. ამას გვედრებით, როგორც ჩემის ძმის წულუბისათვის წყალობა მიგიღიათ, ის ჩემზედ მოილოთ. აპრილის ია, ქკს უპჰ. ოთხიოდ კომლი კაცი მამირჩა და ისინიც ასე, რომ ზოკს ძმა და ზოგს შვილი მოუკვდათ.

ზემო აშიაზე: ქ. ჩვენ მაგიერად სარდალ სალთხუცესს მუხრანის ბატონს იოანეს და მდივნებს ასე ეუწყოსთ, მერმე. ამ მდივანბეგს ვახუშტის ამისთანა ზარალი მოსვლია და ამდენი სული დახოცია. ოთხი კომლი კაცი გადარჩენია, ამისი ოთხი კომლი კაცი ორს წელიწადს გაგვიახატებია. ამის კაცებს ნულარაფერს შეაწერთ ამ ვადის შესრულებამდინა და მასუკან, როცა შეძლება ექანებათ, თავიანთის შეძლებით იმსახურებენ. რომელნიც იასაულებბ მიხვიდეთ, თქვენც ასე უნდა იცოდეთ. აპრილის იბ, ქკს უპჰ.

მეფე გიორგი

№ 323. 1799 წ. მაისის 16-ს. არხა, „ჯავახიანთა“ გიორგი XII-სადმი, უანასკნელის ოქმით. დედანი. 22 × 11 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. H4, № 9490.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის კელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონათ ერთიან ჯავახიანთი. ჩოჩელს ფაშიშვილს მღუდელს უჩივლია, ჯავახიანთ ჩემი მამული უქირავთო. ოქმი მოიტანა და წელი აგვიმართა. გვედრებით, სამართალში გვალაპარაკოთ და თუ მართალი გახლდეთ, ჩვენი სამართალი გვაღირსოთ. მაისის ივ, ქკს უპჰ.

ქ. ჩვენი ბძანება არის ეშაჰაბაშო ალექსანდრე, მერე ამ არხით ჯავახიანი ფაშიშვილს მღვდელს ასე რომ უჩივიან, ის აქ სამართალში უნდა ჩამოიყვანო მაისის იმ, ქკს უპჰ.

მეფე  
გიორგი

№ 324. 1799 წ. აგვისტოს 24-ს. ყმის დანებების წინა რამინ ამირეჯიბის მიერ ანასტასია ბატონიშვილისადმი მიკეჟული. დედანი. 17 × 16 $\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. H4, № 2710.

ქ. ლმერთმან ჩემის ხელმწიფის შვილის ბატონიშვილის ანასტასიას კირი მოსცეს რამინ ამირეჯიბს. მერმე ამას მოგახსენებ ჩემო ხელმწიფის შვილო: ეს ირემაძეები ქემფრიდამ აყრილან, აქ აბის მოსულან, შამშე ამირეჯიბს მოსე-

ლიან, აქ ნაყიდობა უქნიათ. ის შამზე რომ ამოწყვეტილა, მას უკან ჩვენთან ყოფილან. ახლა რადგან ბეითალმანი იყო, ბატონმა ხელი ამართა. ახლა თქვენთვის უბოძებია. თქვენთვის მომირთმევია, თქვენ იცით როგორც შეინახავთ, არავის გაგლეჯინებ. მეც თქვენგანა ვარ გამოზრდილი, ახლაც თქვენ უნდა შემიინახოთ, ვინემ ცოცხალი ვიყო. მკრემ ღმერთმა გამარჯვებაში მოგახმაროს. ბორკილიდამაც თქვენ დამიხსენით. ამ კაცებთან არას ამირეჯიბ[ს] ხელი არა აქვს, თქვენი ბეითალმანი არის. ღმერთმა ბედნიერად მოგახმაროს. აგვისტოს კდ, ქკს უპზ.

რამინ<sup>1</sup>

№ 325. 1799 წ. სექტემბრის 16-ს. ბრძანება, მიცემული მდივანბეგ ვახუშტისა ფარსადან თუმანიშვილისადმი. დედანი. 8 x 11 სმ, დაწერილი მოლურჯო ქალღუბე. განკვეთილობის ნიშანი ნახპარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Qd, № 256.

ქ. მდივანბეგი ვახუშტი მოგიწერ თუმანის შვილო ფარსადან, მერე ეს ბერუა გოზალაშვილი გიჩივის და ახლავ სამართალში უნდა ჩამოხვიდე. სექტემბერს ივ, ქკს უპზ. ნინიავე, შენ ჩამოიყვანე.

მდივანბეგი ჯავახ[იშვილი]  
ვახუშტი

№ 326. 1799 წ. ნოემბრის 2-ს. არზა, მიცემული მთავარეპისკოპოს პაისიოსის მიერ გიორგი XII-სადმი, უკანასკნელის ოქმით, დედანი. 22 x 14 1/2 სმ, დაწერილი ღუოჯ-ქალღუბე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახპარი აო არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2091.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მლოცველის მთავარეპისკოპოზის პაისიოსისგან. ორი იმერელი სამთავროს ყარაულად ჯამაგორით მეყენა, დიდი ხანი იყვნენ. მცხეთას რომ ჰქირი გაჩნდა, სამთავროს შევიდნენ, იქაც ჰქირი გაუჩნდათ. სხვანი გამოვიდნენ, ორი კომლი ჰქირნახადნი სამთავროს დარჩნენ. ერთს ჩემს იმერელს შეეყარა, მოკვდა. ერთი იმერელი კი მორჩა და გაიქცა. ეს სახლი ამ ორ კომლ კაცს მცხეთელს დარჩათ. ათი კოკა ღვინო სამთავროს იღვა. ოცი მცხეთასა. ფქვილი, ქერი, სამარხო, ნიგოზი, ჭურჭელი, ქვაბები, სახლის ავეჯულობა რაც არის, თოფიარალი ესენი სულ ამ მცხეთელებს ჰქონდათ. ჰქირითაც სახლი ამივსეს, კიდევ ამიკლეს. ჩემი იმერელი რომ მოკვდა, ოთხი თუმანი წელზედ ჰქონდა და სამის თუმნის თოფ-იარალი ჰქონდა. მკუდარი საკირეში ჩაადგეს და რაც ჰქონდა ამ ორმა კომლმა წაიღო შვილის თუმნისა. წყალობას ვითხოვთ, მცხეთის მურავს ბეციას ებრძანოს, ეს ჩემი სახლის აკლებაც მოიკითხოს რა უყვეს და იმერელი რომ დამარხეს, როგორც სხვას ჰქირნახადს ჰქირიანი მკვდარი დაეშარხოს, მომატებით მისცეს და სხვა გამოართვას, რომ იმ საწყალობელსა ანდერძის აგება უნდა და წირვა, ჩემო ჯელმწიფე. ოქტომბრის ლა, ქკს უპზ. ზემო აშიაზე: ქ. ჩენი ბძანება არის მცხეთის მოურაო გედევანის შვილო

<sup>1</sup> მელნიო შემოხაზულ წრეშია.

ბეციავე, მერე ამ არზით მთავარეპისკოპოსს პაისიოს ესე რომ მოუხსენებია, ეს საჩივარი შენ უნდა გაურიგო, და მოაბარო, უაძისობა არ იქნება. ნოემბრის 8, ქკს უპუ.

მეფე გიორგი

№ 327. 1799 წ. დეკემბრის 15-ს. არზა, მიცემული კოკოლაშვილის ქიტესას მიერ გიორგი XII-ისადმი, ამ უკანასკნელის ოქმით. პირი, გადაწერილი XIX საუკუნის დასაწყისის ქალაღბე, რომლის ჰვირნიშანია 1809 წელი. საქ. მეზ. ფ. Hd, № 10243.

მათის უმაღლესობის ბედნიერის კელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის დავითის-შვილის ყმის კოკოლაშვილი ქიტესასადგან.

მუსხელაშვილებმა წლევეანდელი მოსავალი ჩემის მანულისა თორმეტი ჟრემი ყანა წამართვეს. ღთი გაგიმარჯვებს, ერთი ოქმი და იასაული გვიბოძეთ, გამომართოს და მომცეს, მერე თუ სიტყვა აქვსთ, სამართალში მელაპარაკონ. ქრისტიშობის იე, ქკა უპუ.

ჩვენი ბძანება არის იაკობ ფალავანდის შვილო, მერე ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, ეს შენ უნდა გამოურთო და მოსცე. თუ სიტყვა ქონდეს, სამართალში ალაპარაკე. დეკემბრის ივ. მეფე გიორგი.<sup>1</sup>

№ 328. XVIII საუკ. ყმების ნუსხა. დედანი. 36 × 5 1/2 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღბე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშად ყოველი სატყვის შემდეგ ნაბმარია თითო წერტილი. თარიღი არ უზის. დაწერილია ორი სხვ. დასხვა ხელით: პირველი ოკი გვარი ერთის ხელით, დანარჩენი მეორეთი. „ხელი“ (ორივე) მე-18 საუკუნისა. დასასრულს აწერია: ქ. ხიზნის ხუსხა. საქ. მეზ. ფ. Qd, № 200.

ქ. კალთუბანს ხიზანი:

ქ. სარუხანა ბოქოულის ყმა,

ქ. მირუმა ბოქოულის ყმა,

ქ. პატარა კირაკოზა ბოქოულის ყმა,

ქ. ყაფლანის შვილის დემეტრეს ყმა,

ქ. ემინა,

ქ. აქი არუთინა,

ქ. ალიხანა,

ქ. ნაზარა,

ქ. მოსია,

ქ. თამაზა ფეიქარი,

ქ. კობელი ათუა,

ქ. შავი დემეტრე,

ქ. გურგენა ფეიქარი,

ქ. მენაბდე

ქ. ოსეფა კოქლი,

ქ. იოსებ მუშრიბის ყმა,

ქ. თანდილა ფეიქარი,

ქ. ჯანუმანთ კირაკოზა,

ქ. ქოჩორა,

ქ. შერაპეტა,

ქ. ისმეილა,

ქ. ვართანა,

ქ. იავულაშვილის ყმა:

ქ. თუხიძურა კვირა,

ქ. შანშიაშვილის გიუას ყმა:

ქ. გულუა,

ქ. ფარსედა,

ქ. ისახანა,

ქ. რევაზ ნაზირის ყმა:

<sup>1</sup> მელნით შემოხაზულ წრეშია.

- ქ. შათირი პაპა,  
 ქ. ლარიბა ფეიქარი,  
 ქ. ავალის შვილის ყმა,  
 ქ. ფეიქარი ღვთისია,  
 ქ. ზურაბ სუფრაჯის ყმა:  
 ქ. არუთინა მენახირე,  
 ქ. ვეთა,  
 ქ. პატრიქის ყმა ამირჯანა:  
 ქ. გიორგი ქაროსიძის ყმა,  
 ქ. გაბინაშვილი,  
 ქ. ქანაშვილი,  
 ქ. მენაბდის შვილი,  
 ქ. მთავარეფისკოპოზის ყმა:  
 ქ. ბერუბა,  
 ქ. ტეტია გოსტაშაბის-შვილის ყმა:  
 ქ. ოქრუა,  
 ქ. თბილელის ყმა ლოლოვნელი,  
 ქ. საკაძის ყმა:  
 ქ. გოგია ბაიშვილი,  
 ქ. იარალის-შვილის ყმა თამაზა,  
 ქ. არუთინა მოქალაქის ყმა,  
 ქ. გორელი ყანდინაშვილის ყმა.  
 ქ. გარსიგანაშვილის ყმა მკედლის-  
 შვილი,  
 ქ. გარდიშა ჯემწიფის ყმა,  
 ქ. ბეჟან რატის-შვილის ყმა,  
 ქ. ფერსულაშვილი,  
 ქ. მუსხელა შვილის ყმა ტერმინასა,  
 ქ. თარხნის გოგიას ყმა იასე მეცხ-  
 ვარე,  
 ქ. თევდორე,  
 ქ. ახალდაბას ხიზანი გოგაბედუ-  
 ლი (?),  
 ქ. ოქრუა სააკაძის ყმა,  
 ქ. სეხნია სააკაძის ყმა,  
 ქ. კათალიკოზის ყმა ოქროპირი:  
 ქ. მწყნეველი პაპამისკარბაშის ყმა,  
 ქ. რომელაშვილი მამუკას ყმა,  
 ქ. პეტრე ჯიჯალი ტუსასშვილის  
 ყმა,  
 ქ. ბეჟანა ერისთვის ყმა,  
 ო ქ. ერისთვის ყმა ტატა დალაქი,  
 ქ. გოგია ფეიქარი,  
 ქ. კაცია ღურნუკელი,  
 ქ. გოგია ფეიქარი,  
 ქ. ევანესა,  
 ო ქ. საამილახვარო ანესაშვილი,  
 ო ქ. წრიალაშვილი,  
 ო ქ. ქიტუა,  
 ო ქ. სიმონა,  
 ო ქ. ჯემწიფის ყმა თათარის-შვილი,  
 ო ქ. ნაჩხა ჯას-შვილი,  
 ო ქ. შალუტა,  
 ო ქ. ბიტიაშვილი,  
 ო ქ. ელია,  
 ო ქ. აბელაშვილი,  
 ო ქ. ატენელი კილიის-შვილი,  
 ო ქ. იქითის გარეჯვერის ხიზანი,  
 ო ქ. ოსეფა ყაფლანის შვილის ყმა,  
 ო ქ. აივაზა მელიქის ყმა,  
 ო ქ. ოპანა გოდერძის ყმა მკერვლის  
 შვილი,  
 ო ქ. ბაბუნა ივანე მდივანბეგის ყმა,  
 ქ. ესტატე სარდლის ყმა,  
 ო ქ. გიორგი მღვდელი ავქალელი,  
 ო ქ. გელია ავქალელი,  
 ო ქ. დავითა გორელი ყარყარა,  
 ქ. ბუნზა მელიქის ყმა,  
 ო ქ. ზურაბა მელიქის ყმა,  
 ქ. ყუბათას-შვილი ციციანთა ყმა,  
 ქ. ტერტერა შინოლნელი (?),  
 ქ. აქეთს გარეჯვარს ჭანჭურა,  
 ქ. შაჰყულაშვილი მისკარბაშის ყმა:  
 ქ. ტილინა,  
 ქ. მამულა სარდლის ყმა,  
 ✓ ქ. ჭყობია მანგლელის ყმა,  
 ქ. პატარკაცი გორელი კაცის ყმა,  
 ქ. წითელაშვილი ხემწიფისა,  
 ქ. კისერია მელიქის ყმა,  
 ქ. ნაზარა სუფარაჯის ყმა,  
 ქ. თევდორე ხიზანი.

№ 329. XVIII საუკ. გასყიდული და სხვ. ყვების ნუსხა. დედანი.  $11\frac{1}{2} \times 11$  სმ, დაწერილი თითო ქაღალდზე მხეცოული ხელით. განკვეთილობის ხიზანადა ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. თარიღი არ უხის. ხელი XVIII საუკუნისა. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2862.

ქ. ავთანდილს გაუყიდნია ჩემი მოსყიდული:

ქ. ლავაშაშვილის გოგო ერთი ურუმისათვის მიუცია,

ქ. ნალეხასშვილი ცოლშვილით კომლი ერთი თავის ცოლშვილით ნეკრესლისათვის მიუყიდნია,

ქ. გოგილას შვილის ბიჭი მილდისასათვის მიუცია და მიუყიდნია,

ქ. ორი გოგო შინა ყავს,

ქ. ზაქუტას-შვილი ერთი კომლი ცოლშვილით თვითან ყავს.

№ 330. 1800 წ. თებერვლის 23-ს. თავხსნილობის წიგნი ავთანდილ ხიზანაშვილის მიერ ნინია და კიკოლა ბერუას-შვილებისადმი მიცემული დედანი.  $34\frac{1}{2} \times 21\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ აის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2712.

ქ. ესე თავხსნილობის წიგნი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, ტინისხიდელმა ხიზანაშვილმა ავთანდილ და ჩემა ძმისწულებმა იოსებ, იოანემ, დავითმა და შვილმან ჩემან ალაღუამა შენ, ჩვენს ყმას ბერუას-შვილებს ნინიასა და კიკოლასა და სახლისა მამავეალთა თქვენთა;—ასე რომ ჩვენი ყმა იყავით, მოხვედით, შემოგვეხვეწეთ და თავი დაგახსნევენეთ. დღეს და დღეის იქით ჩვენს შვილთა და შვილის შვილთ თქვენს ჩამომავლობასთან საბატონყმით ხელი აღარაგვექობდეს. თუ დღეის იქით თქვენი მოდავე გამოჩნდეს ვინმე და ამ თავხსნილობის წიგნის მოშლა მოინდომოს, პირისა და პასუხის გამცემნი ჩვენ ვიყვნეთ. ამას გარდა, რაც ჩვენში თქვენი სადაო წიგნი განოჩნდეს რამე, ან ბატონის ოქმი ან სხვა წიგნი, ბათილი იყოს. რითაც ჩვენი გული შეგჯერებოდათ ყაბუღი გავხდით. აღიწერა თებერვლის კვ, ქკს უპმ. ( ) (დავით)

ქ. მე იოანე ამირალას-შვილს დაძიწერია ამ ხიზანაშვილების ყაბუღობითა და მოწამეცა ვარ ამისი. ბეჭედი არა მქონდა ეს ჩემი ხელია. იოანე.<sup>1</sup>

მე ალა მოდაშვილი ამ ხიზანაშვილების<sup>2</sup> სიტყვის მოწამე ვარა. ალა.<sup>3</sup>

მარჯვენა აშიაზე: ქ. ჩვენ სრულიად საქართველოს მეფის ძე იოანე ამ თავხსნილობის წიგნს ვამტკიცებ. თებერვლის კვ, ქკს უპმ.

(იოანე)<sup>4</sup>

ქ. მე, გერმანოზიშვილი გუგუნა ამ თავდახსნილობის წიგნის მოწამე ვარ ხიზანაშვილების სიტყვით.

მონა ლქვითისა  
გუგუნა

<sup>1</sup> ხვეულად.

<sup>2</sup> სწერია: ხიზანაშვილებების.

<sup>3</sup> მელ.ით შემოხახულ ოთხკუთხედში.

<sup>4</sup> ასომთავრულით.

ქ. მე, ბოქაულთხუცესი გლახა ამისი მოწამე ვარ ხიზანაშვილების სიტყვით.



ქ. მე, კარსუკანაშვილი ბეჟანა ამ თავდახსნილობის წერილის მოწამე ვარ ხიზანაშვილების სიტყვითა. ბეჟან.

№ 331. 1800 წ. მარტის 1-ს. ყმისა და მამულის ბოძების წიგნი, მიცემული მარიამ დედოფლის მიერ გიორგი ციციშვილისადმი. დედანი. დ. ზიანეხული. 44 x 29 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 1345.

ქ. წყალობითა მღწეთისათა ჩვენ ყოვლისა საქართუშლოჲსა დედოფალმან პატრონმან ბატონის ციცი-შვილის ასულმან მარიამ ესე წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქვენს თავადს მამა ჩუშნს სარდალ-მოურავს ციცი-შვილს გიორგის, ძესა თქვენსა ედიშერს და თემურს და მომავალთა სახლისა თქვენისათა; — ასე რომ მამულსა და [ყ]მაზედ ნაკლებათ იყავით. ჩვენც ამისთვის გიბოძეთ ჩემათა მათის უმაღლესობისაგან პირისსანახავად ბოძებული ჩვენი საკუთარი სოფელი ბორჩალოში ხოლო თავისის სამართლიანის სამძღვრებითა რაც იქ კაც[ნი] სახლობენ, რომელიც მათის უმაღლესობისაგან მბოძებია კაცნი და ზოგნი ჩვენ ქარიდამ და განჯიდამ მოგვიყვანია და დაგვიყენებია და ან სახლობილან, თავისის მითითა, ბარითა, ზანგანის არხითა და ყოვლის სამართლიანის სამძღვრებითა. ღმერთმან ჩვენსა და ჩვენი შვილების ერთგულეზაში

მოგახმაროსთ. მარტის ა, ქკს უპმ დედოფალი მარიამ

ქ. ჩვენ სრულიად ქართლისა კახეთისა და სხვათა მეფემან მეათცამეტემან გიორგი ამ დედოფლის მარიამის ბოძებულს წყ[ალობის] სიგელს ვამტყციებთ. მარტი[ს] ქკს უპმ. მეფე გიორგი

№ 332. 1800 წ. მარტის 11-ს. არხა, მიცემული დიმიტრი ავალიშვილის მიერ გიორგი მეფისადმი, უკანასკნელის ოქმით. დედანი. დაზიანებულია — სამ ადგილას ამოჭრილია. 31 1/2 x 15 სმ, დაწერილი მილურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყრველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2693.

ქ [მათის უმაღლესობის ბ]ედნიერის გყლმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მოხის ავალის-შვილი დიმიტრისა. ჩემი ერთი კაცი დაიკარგა. იმიამ ვენახი რუსთვლის კაცმა ხუთ თუმნათ დაიგირაჲვა. ახლა თავის თეთრს ვაძლეე და ვენახს არ მაძლევეს, მიყიდნიაო. თუ [ნასყი]დი აქვს, ის კაცი ეხლა დაიკარგა, თუ წიგნს გამოიტანს ან მამის ჩემის, ან პაპის ჩემის და ან ჩემი ბეჭიდი უზის, მეც ხელს ავიღებ. გვეედრებით, თავისი თეთრი ნიშაცემინოთ, ჩემი ვენახი მე მამბარდეს. თუ სიტყვა ქონდეს, თქვენს შვილ ბაგრაატან მელაპარაკოს; მარტის ია, ქკს უპმ.

ზემო აშიაზე: ქ. ჩვენი ბრძანება არის არმის ემიკალაბაშო ალექსანდრე, ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, ესეც და რომელსაც უჩივის, ორნივე ჩვენს შვილს ბაგრატიან მდივანბეგების თანდასწრებით უნდა ალაპარაკო და სწორე და რიგიანი სამართალი უსაჯოს და გარდაუწყვიტოს. ამის გაუტიგებლობა არ იქნება ..... უნდა აღასრულო, მარტის იბ, ქკს უპმ.

მეფე  
გიორგი

№ 333. 1800 წ. მარტის 24-ს ნასყიდობის წიგნი, პაპუნა ფავლენიშვილის მიერ სოლომონ თარხნიშვილისადმი მიცემული. დედ ნი. თავი დახიანეული აქვს. 68 x 24 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. ადგილ-ადგილ ნახმარია მძიმე. საქ. მუზ. ფ. Hd, № 9704.

... ესე ... ნასყიდობის სიგელი დაგიწერე და მოგეც მე, ფავლენის-შვილმა პაპუნამ, შვილმა ჩემმან ქაიხოსრომ და გიორგიმ თქვენ, თარხნიშვილს მეითარს სოლომონს, შვილსა შენსა ზაზას და ძმასა შენსა დავითს, დიმიტრის, ლუარსაბს და ბესარიონს და ყოველთავე მომავალთა სახლისა თქვენისათა; — ასე რომე დამპირდა და ჩემის ნება წადილით ნოველ და შემოგაეაჭრე და მოგყიდე ჩემი და ჩემის მამა პაპისა და ჩემი მკვიდრი ყმა და ყოვლის კაცის უცილებელი და მოუდევარი გაბოძე თვალთა, ამისი შვილი ქიტესა, გაბრიელ, დემეტრე<sup>1</sup>, ამავე თვალთა ძმისწულეები გოგია, პეტრე და ნინია, ამ გოგიას შვილი გლაზა და გრიგოლ და<sup>2</sup> პეტრეს შვილი სვიმონ და ნინიას შვილი ბესარიონ და მეორე კომლი ბიბიტა შვილი ქიტესა, ამისი ძმა თამაზა და მათი ძმისწულეები სვიმონ და ანდრია. ეს ორი კომლი კაცი მოგყიდე და ავიღე ფასი სრული

და უკლებელი... მოწამე მაჩაბელი მილახვარი ლუარსაბ 

მილახვარი ლუარსაბ
----------------------

, ფალანდიშვილი ციხის მინბაში გოგია, გოგია<sup>3</sup>, ავალიშვილი გლაზა<sup>4</sup> ავალიშვილი იასე<sup>5</sup>, ამირეჯიბი მინბაში ზაზა, გორძაკალი გორელი ტერ სააკა | 

სააკა
-------

 გორის მამასახლისი ისაია | 

ისაია
-------

<sup>5</sup>, ბაბალაშვილი ავთანდილ, ავთანდილ<sup>1</sup>, თუთუნაშვილი დავითა | 

დავითა
--------

 მამასახლისის შვილი გაბრიელ, გაბრიელ; მე ნიკოლოზ მდივანს დამიწერია ამ პაპუნას სიტყვით და მოწამეცა ვარ 

ნიკოლოზ
---------

 დაიწერა მარტის კდ, ქკს უპმ.

სხვა ხელით:

მე, ფ[ა]ვლ[ე]ნიშვილს პაპუნას ამ სიგლის ყ[ა]ბ[უ]ლი მაქს. ბეჰ[ე]დი არ მქ[ო]ნდა და ეს ჩ[ე]მ[ი] ხ[ე]ლია. პაპუნა<sup>1</sup>.

აშიაზე:

<sup>1</sup> დატოვებულია თავისუფალი ადგილი.

<sup>2</sup> ხვეულად.

<sup>3</sup> დატოვებულია თავისუფალი ადგილი

<sup>4</sup> სომხურად

<sup>5</sup> ესაი; სომხურად: 1779.

მე, მინბაში ამირეჯიბი ზაზა ამ სიგლის მოწამე ვარ პაპუნა ფაველენის შვილ[ი]ს ყაბულობით. აპრილის კვ. ქქს უპც.

მინბაში  
ამირეჯი-  
ბი ზაზა

მე, თუთუნაშვილი დავითა ამ სიგლის მოწამე ვარ პაპუნას სიტყვით. ეს ჩემი ხელია +.

ამ სიგლის მოწამე ვარ პაპუნას სიტყვითა მე როსტომ მაშასახლისის შვილი გაბრიელა. ეს ჩემი ხელია.

№ 334. 1800 წ. მაისის 2-ს. არზა, მიცემული ძეგველების მიერ ანტონ II კათალიკოზისადმი, ამ უკან სენილის ოქმით. დიდანი, ოდნავ დაზიანებული. 34 × 11 $\frac{1}{2}$  სმ, დაწვრილი მოღურჯო ქალაქზე მხედრული ხელით. განკუთილობას ნიშნად აღაგ-აღაგ ნახშირია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2734.

ქ. მათის უწმინდესობის მეფის ძის ანტონის წინაშე მოსახსენებელი მათ მონათ ერთობლივ ძეგველებისგან. ჩვენი მოხსენება ეს არის: ვინცა ვინ თქვენის ბძახებით ძეგვეს მოსვლა ებძანა, ვისაც შეძლო იქ აღარ დადგა და ისევ აიყარნენ და წავიდნენ. ამ აყრილს კაცთ გარდა რვა კომლი ქირმა ამოწავიცა და ზოგი ერთი იქ გახლავსთ, მაგრამ იმათიც არ ყოფნა არის. ასეთი შეუძლებელნი გახლავან, არც ხარჯში და არც ბეგარაში არ გვიდგანან და ოთხიოდ-ხუთი კომლი კაცნი გახლავართ და ჩვენ რომელიც გაძლიერებული სოფელი გახლავსთ, იმათთან ხარჯში და ბეგარაში გვწერენ და კრდევ გვერთმევა. ამ გამოსაღებს გარდა, ხომ მოგესენებათ, გზა ადგილი გახლავსთ და მართო ავლელ ჩამომღელისაგან ილაჯი გვაქვს წართმეული, ზოგი მოძალისაგან და ზოგიერთი სტუპიისაგან. ესლაც ბატონის-შვილმა დავითმა რომ ამოიარა, ოცდა ხუთი კოდი ქერი გამოგვერთო და ხუთასის კაცის პური სასმელსაქმელი სხვა იყო. ამას წინათ ორმოცდა თექვსმეტი ხე გებძანებინათ, მოგართვით და ახლაც ორი ტივი მოგართვით. ჩვენ ჩვენი სამსახური არ გავკლია და თქვენ მოგვერთმევა თუ არა, არ ვიცით. თორმეტი მილანთულიც ესლა სამასპინძლო გამოგვერთო. მაისის 2, ქქს უპც.

ზემო აშიაზე: ქ. ვინცა ვინ და ყოველნი მოსაქმენი მოხვიდეთ, ამ ძეგველებს ნურაზე შეაწუხებთ ხოლმე და ყოველითურთ ხელაღებულნი უნდა იყვნეთ ანათხედა, ამიტომ რომ საშიშს გზაზედ დგანან შუა შარაზედ და ესენი მცველნი არიან და არც ამათი ჯარში წასვლა იქნება, მისთვის რომ სოფელი უკაცურად დარჩება, ერთი განსაცდელი შემთხვევათ, ეკლესიასაც დაკლდება და ქვეყანასაც და ნურცა ვინ გაძლიერ-გამომღელი შეაწუხებთ და თუ საქმე რამ იყოს, ჩვენ შეგვატყობინებდეთ ხოლმე და ჩვენ გავარიგებთ, რომელიც მართებული იქნება. თუ დაიჯერებთ ამ წერილსა, კარგი და პატიოსანი, თუ არა ღმერთსაც თქვენ გაეცით პასუხი და<sup>1</sup> ეკლესიასაც.

კათალიკოზ<sup>2</sup>.

<sup>1</sup> აქ წაშლილია. ქვეყანასაც.

<sup>2</sup> ხვეულად.

№ 335. 1830 წ. მაისის 23-ს ბრძანება გიორგი XII-ისა, მიცემული ახპატის არქიეპისკოპოსს სარკისისადმი. პირი, გადაწერილი XIX საუკუნეში ლუგჯ ქალაქში.  
საქ. მუხ. ფ. 54, 1033.

ქ. ჩვენ მაგიერათ მისს ყ[ოვლად] სამღვდელთაგან ახპატის ეკლესიის წინამძღვარს არხიეფისკოპოსს უფალს სარკისის მრავალი მოკითხვა მოხსენდეს. მერე თქვენგან მოწერილი არხა მოგვერთვა, სანაჰინს კახეთში სამწყსო არა ჰყოლიაო და სოლომონ არღუთაშვილსათვის ოქმი მიგიციათო. თუ რომ კურთხეულის ბატონის მამის ჩვენის მეფის ერეკლეს დროსა ყოფილან და ან სანაჰინისათვის სულის კერძი მოკრეფილა და ან აულიათ ამ ათსა და თხუთშეტს წელიწადში, ახლაც სიტყვა არავის ექმნება და თუ სანაჰინს აქამდისინ მანდ კახეთში სამწყსო არა ჰყოლია და არც სულის კერძი მოკრეფილა, ვერც ახლა აიღებენ. ტერ სარკისისაჲც ასე იცოდეს და სხვათაცა. როგორც სხვას ახპატის წინამძღვრების დროს ყოფილა, ახლაც ისე უნდა იყოს. ვერც მეტობას და ვერც ნაკლებობას ვერავინ იხმარებს და შენს სამწყსოს ვერავინ წაგართმევს ახლა. მაისის კვ, ქკს უპმ. | მეფე გიორგი |

№ 336. 1800 წ. არხა, მიცემული ზურაბ თუმანიშვილის ობლებისა და ჭერიის მიერ გიორგი XII-სადმი, ამ უკანასკნლის ოქმით დიადანი 35<sup>1</sup>/<sub>2</sub> × 17 სმ, დაწერილი მოლურჯო ქალაქში მეფედილი ხელით. განკვეთილობის ნიშანი ხაზმარო არ არის. საქ. მუხ. ფ. 44, № 2576.

ქ. მათის უმაღლესობის ბეჯნიერის გელმწიფის წინაშე მოსახსენებელი ზურაბ თუმანიშვილის ჭერიისა და ობლებისაგან. წინაშედ ოქმი გვიბოძეთ, რომ ვინცა ვინ ჩვენს საკუთარს მამულში იდგნენ, აიყარონ და თავთავის მამულში და თავათ ბატონის საყმოში მისულიყვნენ. თქვენი ოქმი უჩვენეთ, თავს არ შეიღვეს. გვედრებით, ერთი ოქმი და რესალი გვებოძოს, ან აიყარონ, ან არა ერთი ვენახის მეტი აღარა გვაქვს სამუშაოთ, ვისაც დგომა უნდოდეს, წელიწადში კომლზედ სამოცი ურემი ნეხვი მოგვიზიდოს ვენახში. ვისაც არ უნდოდეს, ჩვენი მამულიდამ აიყაროს. დმერთი გადღეგძლებსთ, ობლობით არავინ დაგვჩაგროს.

ზემო აშიახე: ქ. ჩვენი ბძანება არის შატბერაშვილო გრიგოლ, მერე ამ არხის პატრონი ჭერი-ობლები ასე რომ ჩივიან, რომელნიც ამათს მამულში დგანან, ვისიც ყმანი უნდა იყვნენ ან წელიწადში სამოცი ურემი ნეხვი შეატანინე კომლზედ ამათს ვენახშია და ან აპყარე მათის მამულიდამა და ამათი მამული დაგდებინე. ეს ასე უნდა გარიგო. მაისის კვ, ქკს უპმ.

მეფე გიორგი

№ 337. 1800 წ. ივნისის 20-ს. ეშვილასბაშობის წყალობის წიგნი, გიორგი XII-ის მიერ გიორგი ციციშვილისადმი მიცემული. პირი, გადაწერილი XIX საუკუნის დამდგს ორ ფურცლიან ლურჯ ქალაქში. აქვია მეორე საბუთიც — 1780 წ. ივნისის 30-ს ციციშვილურს გარიგების წიგნი ზდივანბეგ თეიმურაზის და სხვათა მიერ გაჩენილი. საქ. მუხ. ფ. 44, 1735.

ქ. წყალობითა ღ[ვ]ითასათა ჩვენ, იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატიონ-ვანმან მეფის მეორის ირაკლის ძეჲს ყოვლისა საქართველოს ქართლისა, კახეთისა და სხვათა მპყრობელ-მქონებელმან მეფემან მეთასამეტემან გიორგიმ და თანა-

შემცხედრემან ჩვენმან ბატონის ციცი-შვილის ასულმან დედოფალმან პატრონმან მარიამ, პირმოზმან და სასურველმან ძემან ჩვენმან პატრონმან დავით, იოანემ, ბაგრატი, თეიმურაზ, მიხაილ, ჯიბრაილ, ილიამ, ოქროპირმა და ირაკლიმ და ძის ძემან ჩვენმან გრიგოლ და სფირიდონ ესე წყალობის წიგნი და სიგალი გიბოძეთ შენ ჩვენს, ერთგულსა და თავდადებით ნამსახურსა ციცი-შვილს პატაშვილს გიორგისა, ძმასა შენსა ქაიხოსროსა და მომავალთა-სახლისა შენისათა; — ასე რომე, ძველათ კურთხეულის ბატონის პაპის ჩვენის მეფის თეიმურაზისაგან ნაბოძები ხალვათხანის ეშიკალასბაშობა მამა შენს პაატასა ჰქონებოდა და მოხველ კარსა დარბაზისა ჩვენისასა და მამის შენის სახელოს ხალვათხანის ეშიკალაბაშობას დაგვეაჯე ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება შენი და გიბოძეთ ხალვათხანის ეშიკალასბაშობა, როგორადაც სხვანი ხალვათხანის ეშიკალაბაშები ყოფილ. <sup>1</sup> ან იმ გზითა და იმ განწყობით უნდა იეშკალაბაშო და გაგჩინეთ ამ ეშიკალაბაშობის ჯამაგირი წელიწადში თხუთმეტი თუმანი. ამ ჯამაგირს ყოველწლივ ჩვენი მოხელეები ჩვენის სარქრიდამ მოგცემენ და შენც ერთგულად უნდა გვემსახურო. გქონდეს და გიბედნიეროს ჩვენსა ერთგულობასა და საცნახურში მოგახმაროს და არა მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა შემდგომთა მეფეთა და მეპატრონეთა ჩვენთაგან. აწე გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვეჟილ-ვეზირნო და კარისა ჩვენისა გამგენო, ბძანება და ნიშანი ესე თქვენცა ასე დაუმტკიცეთ და შლად ჰელს ნურავინა ჰყოფთ, თვინიერ თანადგომისა და შეწვევისაგან კიდე. აღიწერა ქალაქსა ტფილისა შინა ზელითა კარისა ჩვენისა მდივნის თუმანის შვილის ეგნატისათა წელსა ჩუ. თვესა ივნისს კ, ქკს უძმ. <sup>2</sup>

ადგილი ბეჭდისა	ადგილი ბეჭდისა	ადგილი ბეჭდისა	ადგილი ბეჭდისა	ადგილი ბეჭდისა	ადგილი ბეჭდისა
-------------------	-------------------	-------------------	-------------------	-------------------	-------------------

ქ. ციცი-შვილს პატას-შვილს გოგიას და ივანეს-შვილს ესტატეს ერგო რუის მოსახლე აზნაურ-შვილი ნაფქვიას-შვილი ივანე თავისის შვილებით დღეს რისაც ყმისა და მამულისა მქონებელი არის. აპრილას კვ, ქკს უძა. ერთ

წილად.

ადგილი ბეჭდისა	ადგილი ბეჭდისა	ადგილი ბეჭდისა	ადგილი ბეჭდისა
-------------------	-------------------	-------------------	-------------------

ქ. ციცი-შვილის ბატონის სარდალ ქალაქის მოურავისა და იმის სახლის კაცების გარიგებაში დავსხედით მდივანბეგი თეიმურაზ, ყორაიასაულბაში ზაზა, მსაჯული იესე და მდივანა სულხან. საუფლისწულო, როგორც განაჩენში სწერია, ისე უნდა თავთავისი ეჭიროსთ. დოესის თეთრი გოგიას აკლია, უნდა მისცეს ექვსი თუმანი და ნიკოლოზმაც უნდა მისცეს ექვსი თუმანი და როცა ეს თეთრი დავით მოურავს მიბარდეს, დოესი ციხით საერთო იქნება. კლიმია-შვილის ბეთალმანი საეროთ დაიდვა; იის ციხე, ავკეთი ჯავახი-შვილთან ათ თუმან ნახევრად გირაოთ ყოფილ და აღექსანდრე სარდალს დაუხსნია. ეს თეთრი სამძოთ უნდა გამოიღონ და მოურავს მიერთვას, მაგრამ მოურავი ამას ბრძანებდა, ამ თეთრის გულისათვის მამა ჩემმა ერთი ოქროს ჯაჭვი და ერთი

<sup>1</sup> სწერია: ყოფილ მან.  
<sup>2</sup> სწერია უძტ.

სიასამურის ტყავი დედის ჩემისა ჯიმშერს ექვსის თვის ვადით დაუგირავა, ორივე სამოცის თუმნისა იყო. ის ვადაზე ველარ დაიხსნა და ჯიმშერს დარჩაო და აღარ მოსცაო. ეს მათს უმაღლესობას მოახსენონ და როგორც სამართალი ებძანოსთ, ამაზე ისე გარიგდნენ. ციხიაზე რომ ლაპარაკობენ, მოურავი ამას ბრძანებს, ორმოც თუმნათ ფარსადანმა და იმის სახლის კაცებმა ბატონიშვილს ელენეს დაუგირავესო. სახლის კაცები ეუბნებოდნენ: ფარსადანმა თავის საქმეზე დაუგირავაო, სახლის კაცები არ ურევინაო და არც სასახლო საქმეზე დახარჯულაო. ამაზე ჩოურავს შემოდგომამდინ მულათი მივეციო. თუ თავისი სიტყვა სარწმუნოს მოწმით ვაამართლა, ეს ვალი საქმით უნდა გაიღონ და მამული საერთო იქნება და თუ მოწმით არ გარდასწყდა, ერთი თავის საუფლისწულო კაცი გოგიაშ წააყენოს. ერთი კაცი ივანემა და პაატამ და ერთი კაცი ნიკოლოზმა და ასე შეაფიცონ, რომ ფარსადანს თავის თავისათვის აედოს და სახლის კაცები აღებაში არ ერივნენ და თუ ასე ფაცით დაამტკიცონ, მოურავი ნულარ ედავება. დოელ ბერუა ხორბალაძე საერთოდ დაიდვა, კავთელაშვილი და ელგანდაშვილი მოურავის გირაია, როცა საქმით დაიხსნან, საერთოდ დაიდება. წრომი საერთოდ დაიდვა. ოთარის მკვლელი კემუხტაშვილი თავის შვილებით უმამულოთ გოგიას მიეცა. ბაყი მთისა და ბარისა და წყლის გამოსავალი როგორც უწინდელს განაჩენში უწერიათ, ისე გაიყონ შეწერ-გაწერა. ყმის წახდენა-გაკეთება და ყმის გამოსავალი, როგორც განაჩენში უწერიათ, სახლის კაცების შეკითხვით, ისე უნდა იქნას. საუფლისწულოს სოფლების ღალისა, როგორც განაჩენში უწერიათ, ისე აღასრულონ. გოგია თავის საუფლისწულოს მიწას რომ ვერა სწვდება, მარამდინ მისწვდებოდეს, თხუთმეტის დღისა თავის საუფლისწულოდამ მოურავმა ათხოვოს, თხუთმეტის დღისა ივანემა და პაატამ ათხოვოს და თხუთმეტის დღისა ნიკოლოზმა და ამილდაბარ ათხოვონ. სახლის კაცობაზე უფროს-უმცროსულათ როგორც განაჩენში უწერიათ, ისე მორჩილნი იყვნენ. ტელეპიაშვილი მოურავის დახსნილია და იმის შვილი გოგიასია. ოსარო როცა გააკეთონ, ერთი კაცი ივანესი და პაატასი და ერთი კაცი კიკოლასი და თევზი როგორც რიგია, ისე გაიყონ. სახასოდამ ივანესა და პაატას ახლავს მსახურათ ძიხანაშვილი და ხუციანაშვილი, ნიკოლოზს და ამილდაბარს ახლავს სახასოდამ გოგიანაშვილი. ახლაც უნდა მიესცეთ სახასოდამ ერთი მსახური. გოგიასაც უნდა მიეცეს სახასოდამ ორი მსახური, კლიმიაშვილი კაცია ნიკოლოზს და ამილდაბარს ახლავს. ერთი აზნაურ-შვილი მოურავმა კიდევ აახლოს. კლიმიაშვილი დათუა და ტერიშვილი იესე ივანესა და პაატას ახლავს. გოგიას ორი აზნაურ-შვილი როგორც ხლებიან, ისევე ახლდნენ. საუფლისწულოს კაცს სახლის უფროსი ნურასა თხოვს და ნურც სამსახურს უბძანებს. ძველს განაჩენშიაც ასე უწერიათ. გუჯარეთსა და სკრაზე რომ ლაპარაკობენ. ამაზე მათს უმაღლესობას მოახსენონ და სამართალი რაც ებძანოსთ, იმაზე დადგნენ. მეღვინეთხუციშვილი ხალ ივანესა და პაატას ხლებოდა და ამათთან დაბერებულყო. სახლის კაცებმაც ნება დართვეს და ამათვე უნდა ახლდეს. ხორბალაძე ბერს მოურავის ცხვრის ძეთრი რომ დაზღებია, ის იმ გლეხმა კაცმა მოურავს უნდა მიართვას და ამ კაცის გამოტანაზე ალექსანდრე სარდალი ბევრს გარჯილა და ორი ტივი დაუხარჯავს.

ესეც საქმოდამ უნდა გარიგდეს და მოურავს თავისი მიერთვას. აღიწერა ივ-  
ნისის კვ, ქკს უჟმ. ჩვენ მეფე ქართლის და კახეთისა ირაკლი ამ გარიგების  
ჯანჩინებასვამტკიცებთ. ივნისის ლ, ქკს უჟმ

ადგილი  
ბეჭდისა

დავითს ამ გარიგების ყაბული მაქ.

ადგილი  
ბეჭდისა

ქ. ჩვენ ციცის-შვილებს გიორგის, ივანეს, ნიკოლოზს, პაატას, ამილღაბარს

და ციცის ამ გარიგების ყაბულბ გვაქვს.

ადგილი  
ბეჭდისა

№ 338. 1800 წ. ივლისის 26-ს, წყალობის წიგნი, შიგნეული გიორგი XII-ის მიერ  
მღვდელი აბრამა ლასურაშვილისა დნი. პირი, გადაწერილი XIX საუკუნის პირველ ნა-  
ხევარზე. დაწერილი ლურჯ ქაღალდზე ნახევრული ხელით. ოდნავ დაზიანებული.  
საქ. მუხ. ფ. Hd, № 2784.

ქ. ჩვენ ყოვლისა საქართველოსა ქართლისა, კახეთისა და სხვათა მპყრობელ  
ქმონებელმან მეფემან გიორგი მეათსამეტემან ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ  
შენ, დიდუელს ლასურის-შვილს მღვდელს აბრამსა და ძმის წულსა შენსა მელ-  
ქისედესს, შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა;—ასე რომე ძველათგან  
სითარხნე გქონებოდათ და მოაღაპენი ყოფილიყავით, როგორადაც ძველს სი-  
გელში გიცხადებს კურთხეულის ელენე დედოფლისაგან და აგრეთვე ნაზარ-  
ალიხანისაგანა და ეს სიგელი კურთხეულს მამას ჩვენს მეფეს ირაკლისაც დაე-  
მტკიცებინა. ჩვენცა წყალობა გვიქნია და გვიბოძებია, რომ არაფრისთანას  
სათხოვარსა და გაშოსაღებში და ბეგარაში არ უნდა გაგრიონ და არცარა უნდა  
გეთხოვბოდეს. დიდუის მოურავმა მამასახლისმა და ერთობით დიდმელებმა  
ასე უნდა იცოდეთ და ან რომელიც იასაული მიხვიდეთ, რომ ეს მღვდელი  
არაფერს სათხოვარში არ უნდა გარიოთ და არცარაზედ შეაწუხოთ. ყველამ  
ასე უნდა იცოდეთ. თუ ეს ჩვენთან მოჩივარი მოვიდა, იცოდეთ, დიდათ გი-  
წყენთ და გარდაგახდევინებთ. ივლისის კვ, ქკს უჟმ.

მეფის გიორგის  
ბეჭედი

მე მეარზე იოსებ ქანანოვმა ამისი ასლი ენახე სიგელი და უმეტნაკლ-  
ბროდ პირი გარდმოვწერე ლ[ვ]თის წინაშე. იოსებ.

აშიაზე: ქ. ჩვენ დედოფალი ქართლისა და კახეთისა და სხვათა მარიამ  
ამ წყალობის სიგელს ვამტკიცებთ. ივლისის კვ, ქკს უჟმ.

ბეჭედი

ქ. ჩვენ ს[რ]ულიად საქართველოს მეფის ძე მემკვიდრე რუსეთის ლენერალ-  
ლეიტენანტი და კავალერი დავით ვამტკიცებ. ივლისის კვ, ქკს უჟმ

დავითის ბეჭედი

№ 339. 1710 წ. სექტემბრის 27-ს. საშეფო ყმა მამულისა და საქონებლის გარიგების წიგნი. დედანი. ქვედა კიდე მოხეული აქვს. 35 × 16 სმ, დაწერილია თეარ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 14387.

ქ. ქკს 695. ენკენისთვის კზ. მობძანდა გორს საქართველოს გამგებელი ბატონიშვილი ვახტანგ და მოკითხული ქნა სახასოს მამულისა და საკომლოსი, ღუქნისა, გლეხისა და მიწა-წყლისა თუ ვით დაეჭირათ გარეშე გაცემულთა ანუ სახასოთა დრო დაცემითა და მამულნი ერთს მეორისანი. აწ განარჩია ისრეთ, რომე კაკაკაჟაშვილს რომ გაბრიელასაგან ღუქნები უყიდნია, ფახი ისრევ გამოართვას და ღუქნები დაიხსნას. მამასახლისის განაყოფებს რაც ღუქნები გაეყიდოს, ისრევ დაიხსნან, მაგრამე ანბოზენ არ გაუყიდიათო. სამგორის თორმეტის დღის მიწას მეითარი და მისი განაყოფები რომე ირჩოდენ, საბატონოდ დაიდვა. მტკვრის პირს წისქვილების ბოლოს საკურდღლე ქალა საბატონო ყორულათ იყოს. მირიანაშვილის სახლს უკან ხარგუშაშვილის სასახლები საბატონოდ დაიდვა. ვართანაშვილი გიორგი სახასოდ დაიდვა. თუმანიშვილების საყდართან ოთარ მდივანს რომ სახლები გამოუცვლია, გაცვლის წიგნი მოიტანოს. ნაწალკოტარში ბოსტნების წიგნი თუ თუმანიშვილებმა მოიტანონ, ბატონმა გასინჯოს, თორემ საბატონოდ დაიდვას, ხუდადაშვილის სამი საკომლო საბატონოდ დარჩა. აბანოსთან აბანო, საქაგურე, ალავერდა რომ სახლებულა ისი და აბანო საბატონოდ დაიდვა, სხვა ხოსინა მდივნისა არის. ზერის თავში გივინაშვილისა მიწა საბატონოდ დაიდვა . . . . .

verso:

...იშაშვილის ნაყმევი სტეფანა სახასოდ უნდა მოვიდეს. ქიმხაჯაშვილის სახლკარი სახასო არის. ერანას სახლები სახასო არის. აშურაშვილის სახლკარი ბატონის სამზარეულო არის, საბატონოდ დაიდვას. სარქისაშვილის ბოსტანიც სამზარეულო ყოფილა, სახასო არის. ჯაშინაშვილის, ნოდარას ნაყმევი კაცი და მისი წილი სახლკარი სახასოდ დაიდვა. ჯაშინაშვილის ნაბიჭვარი სახასოდ იყოს. ყურყუშაშვილი ბეგლარა სახასო არის, იმისი ძმა მამაჯანაც სახასო არის. აღამინას ბალის წიგნები გაბრიელაშვილმა მოიტანოს, ჯერ სახასოდ დაგვიჭერია. ქ. ორი ღუქანი ჩლინგდარის ფარსადანასაგან თაყინაშვილებს რომ უყიდნია, საბატონოდ დაიდვა; ერთი ნაყუზარი ამირაღანთ ფარსადანასი, თაყინაშვილებს რომ უყიდნიათ, საბატონოდ დაიდვა. დედოფლის ყმის დოღმაშაშვილის სახლკარი, კოკლ ამირაშვილს რომ უყიდნია, სახასოდ დაიდვა. წყრეთელაშვილის გასყიდული იეთიმაშვილს აქვს და დაიდვას.

№ 340. 1800 წ. ოქტომბრის 20-ს. არზა, მდივანბეგ ნიკოლოზ ციციშვილისა გიორგი XII-სადმი, უკანასკნელის ოქმით. დედანი. 33 × 15<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დაწერილი ლურჯ ქალაღზე მხედრული ხელით. ბოლო სტრიქონი დაზარებული აქვს. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Sd, № 395.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის გელმწიფის წინაშე მოსახსენებელი კიცის შვილი ნიკოლოზ მდივანბეგისა და ჩემის შვილებისა რევაზისა, ივანესი

<sup>1</sup> აქ ქალაღი მოხეულია. აშიაზა შერჩენილი: რამდენი ქურა დაი . . . . .

და დავითისა. ამ დროდ კაცი გახლავარ, ერთი აზნაურშვილი მყავს. თქვენი ოქმი მებოძა, სამართალში უნდა გველაპარაკნა. ახლა იასულები მისულან, ჩემი ყმა, რაღაც ორიოდ კომლი კაცი მყავს, სულ აუკლიათ, ხელი აუმართავეთ. შვილი ვიხლათ ჩემი. მოწყალებას ვითხოვ, მიშველოთ რაიმე, ეს რა ანბავია ჩემს თავსა, ას ორმოცი თუმანი ვის წავართვი? ასე გაუკითხავათ ნუ დამჯიჟ მოიკითხეთ, მერე ნება თქვენი გათავდეს. ოკდობრის კ, ქკს უპმ.

ზემო აშიაზე:

ქ. ჩვენი ბრძანება არის რომელნიც ამისი მოასილნი ხართ, ეს მდივანბეგიც და რომელსაც უჩივის ის მღვდელიც ორნივე ჩვენს სამართალში უნდა ალაპარაკო. ოკდობრის კთ, ქკს უპმ და რაც ამისთვის წავართმევიათ სამართალმდის, ის კი უნდა მოსცეთ: (ფეფე გიორგი)

№ 341. 1800 წ. ოქტომბრის 24-ს. არზა, ნიკოლოზ ციციშვილისა გიორგი XII-სადი, უკანასკიელის ოქმით. დედანი. 32 x 15 სმ, დაწერილი ღურჯ ქალაღდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წოტილი. საქ. მუხ. ფ. Sd, № 394.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის კელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ციცი-შვილი ნიკოლოზ მდივანბეგისა. მალრადე მღვდელს განაჩენი მისცემია. ფიცით მოგახსენებ, ჩემი და ჩემის შვილის სარჩო ის არის. გევედრებით. მოწყალებით მამხედლოთ, როგორც მართებული და სამართლის რიგი იყოს, მეც იმ გზაზედ დამაყენოთ. უსამართლობით ხელის ამართვით დავიკარგებით. ნუ მოქალებენებ ჩემზედ უსამართლობას. სულ ოცდაშვიდი თუმანი მიბარებია, ჩემს ხემწიფესა წიგნები გახლავსო. ახლა ასორმოც თუმანს ანბობს, ყმასა და მანულს მართმევს. ამაზედ ყური მამიგდევით. მაშინდელი მოანგარიშებიც გახლანან და ოქმებიც არის. თუ ინებოთ კიდევ მიანგარიშონ, რაც დამედება მივეცემ. ჩემი ყმა და მამული მე დამნებდეს. სეკდებრის კდ, ქკს უპმ.

ზემო აშიაზე:

ქ. უგანათლებულესო შვილო ბატონო დავით, მერე ამისი მოხსენებულთ:

მეორეთ გაშინჯეთ და სამართალი მიეც. სეკდებერს კე, ქკს უპმ.

ფეფე  
გიორგი

№ 342 XIX საუკ. დამდგვი. მოწმობის წიგნი იოანე ორბელიანისა და სხვათა დარეჯან დედოფლის ბაღის მოტყუვის წესის საქმეზე. პირი, გადაწერილი XX საუკუნეში. თარიღი არ უხის. იოანე ორბელიანი, ვესტათი ციციშვილი, ეგნატე თუმანოვი, რომლებიც ხელს აწერენ ამ მოწმობას, XVIII საუკუნის ბოლოსი და XIX საუკუნის დამდგვის მოღვაწეები არიან. საბუთი რუსეთის ხელისუფლების საქართველოში დამყარების შემდგომ ხანას — XIX საუკუნის დამდგვის ეკუთვნის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 11291.

დედოფალის დარეჯანის ბაღს ამ რიგათ ჰქონდა წყალი: გარეთ უბნისას სოლოლაკიდან პარასკევი დღე და ღამე, ორშაბათის დღის ნახევარი და ოთხშაბათისა დღისა და ღამისა. მეფის ირაკლის დროსაცა და მეფის გიორგის

დროსაც ამ განწყობებით ჰქონდა. მე ასე ვმოწმობ რენერალ-მაიორი თავადი] იოანე ორბელიანი.

როგორც სანატრელის მეფის ირაკლის ოქმში არის ბძანებული, სწორედ ისე იყო. მამი ჩემის მოურაობაში და ჩემს მოურაობაში იმ ბალის წყლის საქმე მი ასე ვაცი სისწორით. სტატისკი სოვეტნიკი თავადი ევსტათი ციციანოვი. რაგვარათაც ამ ბრწყინვალეთ თავადთ უმოწმიათ, მეც ასე ვიცი და ააე ვმოწმობ. თავადი ბარატოვი ზაალ.

როგორც ამ თავადთ მოუწერიათ, მეც ასე ვიცი. კოლეცკი სოვეტნიკი თავადი ეგნატე თუმანოვი.

როგორც ამ თავადთ უმოწმიათ, მეც ასე ვიცი კიდევ ვმოწმობ. თავადი] მელიქოვი იოსებ.

თავადთ ბრძანების თანახმა ვარ ამ წყლის საქმეზედ. სოვეტნიკი თავადი] იოანე სჟუბატოვი.

№ 343 1801 წ. ოუბერგოის 75-ს. წყალობის წიგნი. ერისთვის ძე მიხაილის მიერ ნიკოლოზ კოქლაშვილისადმი მიწერილი. დედახი. 30 $\frac{1}{2}$  x 20 $\frac{1}{2}$  სმ. დაწერილი ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხლით განკვეთილობის ხიშად აქა-იქ ნახმარია წვეტიანი ან შიხიე საქ. მუხ. ფ. F. d. № 9718.

ქ. .. ესე წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩვენ, ურისთვის ძემან მიხაილ, შაშემ, პირვანოზ, ელიზბარ, სოლომონ, თორნიკემ და გიორგიმ, დავითმა, შალვამ და იასეფ თქვენ, ჩვენს ერდგულსა და წესისაებრ ნამაბხურს ყმათ კოქლაშვილს მღვდელს ნიკოლოზს, შიოს და გოგილას, შვილთა თქვენთა ნინიასა, ხოსიასა, დემეტრესა, მიქელასა და ეგნატესა, შვილთა და მოძავალთა სახლისა თქვენისათა, — ასე რომ იაკობ მღუდელი თქვენი გაუყრელი სახლის კაცი იყო და ცოტას ხანს შეპოგწყრომოდათ და ცალკე სახლში გასულიყო და საწყალობელი ვარდაცვალა. ცხრა თუმანი ვალი დარჩა. ის ვალიც თქვენ უნდა გადასწყვიტოთ და მიცვალბულოც თქვენ უნდა დამარხოთ. რისაც ქაონებელი ყოფილა იაკობ მღუდელი სახლ-კარითა, სასაფლაოთი, საყდრითა, ვენახითა, საწნასლითა... ქვევრ-მარხითა, კალო-საბძლითა, ნაფუძრითა, საწისქვილოთი, მინდვრის მიწითა, სახნავითა და უხნავითა და ყოვლისავე სამართლიანისა საზღორითა თქვენ გიბოძეთ, ღმერთმან ჩვენს ერთგულობასა და სამსახურსა შინა მოგახმაროსთ. არ მოგეშალოსთ წყალობა ესე ჩვენი არა ჩვენგან, არცა სხვათა შექადგომთა მეპატრონეთა თქვენთაგან. ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხოს ღმერთმან. აღიწერა თებერვლის კე, ქქს უბთ. მიხაილ.<sup>1</sup> შანშე.<sup>1</sup>

№ 344. 1801 წ. პარტის 27-ს. არზა, ზაალ დავითიშვილისა დავით ბატონიშვილისადმი, უკანასკნელ ს ოქმით. დედახი. 22 x 13 სმ, დაწერილი მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხლით განკვეთილობის ხიშად ყოველი სიტყვი შემდეგ ნახმარია თითო წვეტიანი. ს ქ. მუხ. ფ. F. d. № 2667.

ქ. მათის დიდებულობის ნებით სრულიად საქართველოს მემკვიდრის და მართებელის დავითის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის დავითიშვილის

<sup>1</sup> ხვეულად.

ზაალისა. ამ წინათ არზი მოგართვი, ერთი ხუცესი მყვანდა, უბრალოთ აიკლეს, იმერეთს გადავარდა. ერთის ოქმის წყალობა მიყავით, ფიქრი არავისი ქონდეს მეთქი. ღმერთმა[ნ] ადიდოს თქვენი ხემწიფობა, ოქმი მიბოძეთ, გადმოვიდეს, ფიქრი ნურავისი აქვსო და რაც წართმევია, იმასაც გამოუერთმემ. ეს ბძანება აღარ მოუცდევინებიათ, მესლია (?) ამირეჯიბი ზაალ და როსტომ, აბის[ს] სიმიინდი ჰქონია, ორი ურემი წაუთმევიათ, თავისთვინ წაუღიათ. ვისის ბძანებით ჩადიან?! ეს მეორეთ აუკლიათ. მე თქვენს მეტი ბძანებელი არავინ მგონია, ღმერთი[მან] ნურც ვინ ქნას. აგერ თავისთავად ჩემს კაცს შესევიათ. წყალობას ვითხომ, ოქმი და იასაული მებოძოს, რაც ამათგან იმ ღვდელს წართმეოდეს, გამოუერთვას და მისცეს. თუ საბუთი აქვს ვისმე, თქვენს სამართალში გადახლოს. იმ ღვდელსაც აქ გადახლებ. თუ საბუთი არავისა აქვს, მუდამ ამირეჯიბი ჩემს კაცებს რათ იკლებს! მარტის კჳ, ქკს უჰთ.

ზემო აშიაზე: ქ. ს[რულია]დ საქართველოს მემკვიდრე და მართებელი დავით გიბძანებ იასაულო ზაალ და ლევან, მერმე ამ ხუცისათვის ამირეჯიბს ზაალს რაც წაერთმეოს, გამოუერთვი და ამ ღვდელს მოაბარე, თუ სატყვა ქონდეს რამე, ჩვენს სამართალში ელაპარაკოს. მარტის კჳ, ქკს უჰთ.

დავით

№ 345. 1801 წ. აპრილის 11, ოქმი დავით ბატონიშვილისა შინაშე დავით თარხნიშვილისადმი. დედანი  $21\frac{1}{2} \times 13\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი მოლურჯო ქალაღდებ მხედრული ხელით, განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2393.

თარხნიშვილო მიმბაშო დავით, მერმე თავიას-შვილებმა არზი მოგართვეს და სიცრუევით მოგვახსენეს, ქუაბთახევის მონასტრის ყმანი არა ვართო და ჩვენ ოქმი უბოძეთ. ახლა წინამძღუარმა სანატრელის ბატონის პაპის ჩვენის განაჩენი მოგვიტანა და გუჯარი და იმათის ძალით შევიტყვეთ, რომ მონასტრის ყმანი ჰყოფილან. ახლავ ის ოქმიც უნდა გამოართვა და წინამძღუარს ავად მოპყრობით დაუმორჩილო და მამის ჩტწნის მზემა, თუ კიდევ ისინი ჩემთან მოვიდნენ, შეგანაც დიდად მეწყინება და იმათ სულ ნაველას ვასხმევინებ პირიდამა. ამაზედა სარწმუნო იყუნენ და ესეც ასე უნდა იცოდეს იმ თავიას-შვილმა, რომ ვერც არავის თითონ იახლება და ვერც არავის შვილს [ა]ახლებს წინამძღვრის გა[რ]და. დავით მიმბაშო, ამ საქმეზედ დიდად ბეჯითად უნდა იყო. აპრილის ია, ქკს უჰთ.

დავით

№ 346. 1801 წ. მაისის 8-ს. ყოზობის წიგნი მიცემული ბეჟან სულხანიძის მიერ სოლომონ თარხნიშვილისადმი. დედანი  $28\frac{1}{2} \times 22$  ს. დაწერილი ლურჯ ქალაღდებ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნაც იხმარება სამ-სამი წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2839.

ქ. ესე წიგნი მოგართვი თქვენ, ბატონს თარხნიშვილს სოლომონ მეითარსა, თქვენს ძმებს დავითსა და შვილსა მე, სულხანიძე ასლამაზის შვილმა ბეჟანმა;—ასე რომე ყიზილბაშების ტყვეობიდან გამოვიპარე და თქვენ ქვეყა-

ნაში გიახელ. დღეს აქამდინ თქვენის საფარველითა თქვენს ქვეყანაში ეულათ ვრჩებოდი. ახლა ალადაშვილქა ზაქარიამ იასაული მომგვარა, იმისი თეთრო მემართა, ის თეთრიც თქვენ გარდამახადეთ და იასაული მომაშორეთ. მეც ეს ბატონყმობის წიგნი მოგართვი — დღეის იქით თქვენი სამკვიდრო ყმა ვიყო. ღვეთის ფიცით, ამ ქვეყნის მოწმობით თქვენს მეტს სხვას კაცს ჩემთან საბატონყმობთ არავის საქმე ჰქონდეს. არის ამისი მოწამე თავათ ღმერთი და კაცთაგან ერთობლივ ახალქალაქელნი და მე მამაცაშვილს ელაზბარს დამიწერია ბეჟანას სიტყვითა და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა მანისის ც, ქქს უჰთ.

№ 347. 1801 წ. ივნისის 23-ს. წერილი დავით ციციშვილისა უცნობი პირისადმი დედანი. თავი წახეული აქეს. 15 × 11 სმ, დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობას ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2914.

ქ. თქვენის...ლობის მოსურნე ციციშვილი დავით ხელს გაკოცებთ. მერე ამ ჩემის ყმის ჯავახის ხარი მოუპარავსთ კოთელიაში გულიკელებსა და მანდ გადმოუყვანიათ და ახლა ეს ჯავახი გაახელ, ვითხოვ თქვენის მოწყალებისაგან გამოუერთვით და უბოძოთ, ჩემო ბატონო. თქვენი მოიმედე არის ეს საბრალო ჯავახი. ეს მოიხსენეთ, იოანემ ამბავი დამიგდო, რომ მინბაში დავით ათ ოქროს გამოგიგზავნისო და იმითი ახნევიყო. თუ თქვენი ბრწყინვალემა მალე მიბრძანებს, კაცსა და ქურქელს გაახლებთ და მანდ იაფად არისო ღვინო, ექვს აბაზათ ამბობენ, სულ ღვინო მიყადვინეთ და მიბოძეთ, ჩემო ბატონო. გუთნები და მკა მაგის ამარა გაუშვა. ჯარის ამბავს მოიხსენებთ, გუშინ გუჯარეთში იდგნენ და დღეს ღართს იქნებიან. ამას იქეთაც რაც მოხდება მოგახსენებ. ამისი პასუხი მალე მიბძანე. თიბათვის კვ, ქქს უჰთ.

დავით

№ 348. 1801 წ. ნოემბრის 20-ს. ოქმი გიორგი ამილახვრისა ბოქოულთხუცეს ოსტეისა და ტტია ტატიშვილისადმი. დედანი. 20 × 10<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დაწერილია ლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 5028.

ბოქოულთხუცესო იოსებ და ტატიშვილო ტეტიავე, მერმე ზა[ა]ლ დავითიშვილმა მმართველობის ბძანება მოგვიტანა, რომ შანშეშვილი როსტომ და ეს ზა[ა]ლ ორნივე ალაპარაკეთო და სამართლიანის საქმით მოარიგეთო. სოლომან მოვიყვანეთ და ვალაპარაკეთ და პირობა მოგვცა, წავალო, საბუთებს მოვიტანო. წავიდა და სამართალში აღარ მოვიდა. ეტყობა, რომ სიმტყუნე აძვექს და თქვენ უნდა ერთი კაცი უჩინოთ და როგორც მმართველობის ბძანება იყოს, ისე უნდა აღასრულოთ და თავის წესქვილის ქვებისა, რაც ხანი ბრუნებია, რაც ერგოს, ისიც უნდა გამოუერთვით და ამ ზა[ა]ლს მოსცეთ და ვისაც ამისი პური ამოუყრიათ და წაუღიათ, ისევე იმათვე უნდა გამოუერთვით და თავისი მამულის ღალაცა და ამ ზა[ა]ლს მოაბაროთ. გიორგობის კ, ქქს

უპო. და რაც ამ ზა[ა]ლის დანარჩენი ლალა იყოს, ისიც [ა]ართვით. წისქვილის ქვებიცა და თავისი იარაღიცა ამ ზა[ა]ლს მოაბარეთ. იმ სოლომანმა ერთი დღის მულათი ითხოვა და შვიდი დღეც გავიდა რომ აღარ მოვიდა.

თავადი გიორგი ამილახვარი.

თავადი ერისთავი რ...

№ 349. 1801 წ. შინდისის სახასო ყმების გამოსაღები. დედ-ნი. 20×10 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრულა ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახშირი არ არის. საქ. მუზ. ფ. Hd, № 977).

რაც შინდისის დებულობა არის <sup>1</sup>

ქ. სახასო კაცისა კულუხი და ლალა ერთს საკომლოზე წელიწადში ორი ჩანახი ლობი[ო] და ერთი ჩანახი ნიგოზი. სახლზე საშობაო თვითო ქათამი, ხენა, თესვა, ფარცხვა, მორწყვა, მკა და ლეწვა, საქვრიო, გასამყრელო. ქკს უპო. ამ წლის ლალა კოდი და მოსავალი დამდგარა კოდი ორასამდინ.

№ 350. 1802 წ. იანვრის 4-ს. გარდაწყვეტილობის წიგნი მაცემული მარიამ ქავთარისშვილის მიერ გოიქოლია ტერ-მოესაშვილისადმი. პირი, გაწერილი XX საუკ-ში საქ. მუზ. ფ. Hd, № 7327.

ქ. ნებითა და შეწყენითა ლ[ვთ]ისათა და ყოველთა წმიდათა მისთათა ესე თავდახსნილობის და გარდაწყვეტილობის წიგნი მოგეც მე ქავთარის შვილის ედიშერის მეუღლემ მარიამმა შენ ჩვენს მკვიდრს ყმას კარელს ტერ მოსესაშვილს გრიქოლას, წვილსა შენსა ნიკოლოსას, ოსეთას და ფარსადანას და მომავალთა ყოველთავე სახლისა შენისათა;— ასე რომ, როდესაც კურთხეუ-მან ჩემან მეუღლემ ედიშერმა მითხოვა, მაშინ ქორწინების ჟამს მამაშენი ტერ მოსესა საქორწილოში მომცა და დასასრულადმდე მეუღლისა ჩემისა სახელიც ჩემი ედვა და სამსახურითაც საკუთრად მე მსახურებდა და მერმე ჩემი შვილის სიცოცხლეშიაც საკუთრად მე ვიმსახურებდი მამაშენსა და შენა და თქვენს გამოსაღებასა და ხარჯთან ჩემს ქმარსა და შვილს საქმე არა ჰქონდა რა. აწ რადგან მოინდომე და მევედრე თავის დახსნასა, თავი დაგახსნევინე და გამოგართვი ფასი, რითაც ჩემი გული შესჯერდებოდა. არავინ იყოს მცილე და მოდავე შენი და შვილთა და შვილის-შვილთა შენთა...თუ გედაოს ვინმე, პასუხის გამცემი მე ვიყო. ლ[მერ]თ[მან] მშვიდობა მოგცეს და ხელი მოგიმართოს. დღეის იქით განთავისუფლებული ხარ ჩვენის ყმობიდან და, ვინ უწყის, გედაოს ვინმე და გაგსარჯოს, იგი... (წყევლა) არის ამის მოწამე თავად ლ[მერ]თი და კაცთაგან ჩვენი სახლის კაცნი ქავთარის-შვილი დაკით |□|, ქავთარის-შვილი იოთამის-შვილი სვიმონ +, ვეფოინის-შვილი სოლომონ |□|, და მე ალექსის ძეს დეკასტირიის ჩლენს დეკანოზს სოლომონს ედიშერის მეუღლის მარიამის სიტყვით და ნებით დამიწერია. დაიწერა იანვრის დ, ქკს უუუ, წელსა ჩყბ. ქ. მარიამმა ედიშერის ჯალაბმა წერა არ იცოდა და მე თავის

<sup>1</sup> ეს სიტყვები აშიაზა მიწერილი.

შოდღვარს დეკანოზს მომაწერინა ჯელი, რომ სრული ნება და ყაბული აქვს +. თანახმა ვარ ჩემი დედამთილისა მე ამისი რძალი ნინო +.

ქ. მე სვიმონ ქავთარის-შვილი ამის მოწამე ვარ და ყაბულიცა მაქვს +.

ქ. მე საგინაშვილმა ნიკოლოზამა ამ სიგლის ყაბული მაქვს [კი.ო].

ქ. მე ელენეს ყაბული მაქვს ამ ჩემის ბები[ი]სგან თავდახსნილობის სიგელისა +.

ქ. მეცა ამისა თანა მოწმობისა თანა დამამტკიცებელი მეფის ძე ლენერალი ლეიტინანტი და კავალერი.

ქ. ამის თანა მოწამე ვარ მეფის ძე კავალერი მეფის ძე ბაგრატი [□].

ქ ამის მოწამე ვარ სარდალ-სახლთუხუცესი თავადი იოანე ორბელი.

ქ. ამისი მოწამე ვარ ბარათაშვილა მდივანბეგი ყოჩიასა ულბაში ზაალ

[□]. მე მდივანბეგი თავადი აბაშოვი დავით ამის მოწამე ვარ [დავით].

მე მორდალი ზაალ თავადი ბარატოვი ამისი მოწამე ვარ [სიმონ].

№ 351. 1802 წლის თებერვლის 3-ს. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი მიცემული ქაიხოსრო ჩიკოტიძის მერ დავით კვეხელიშვილისადმი. დღიანი. 59×23 1/2 სმ, დ.წერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახაზია თითო, ან ორ-ორი წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2777.

ქ. ...ესე... ნასყიდობის წიგნი და სიგელი დავაწერინეთ ჩვენ ქაიხოსროვ ჩიკოტიძემ, შვილმა ჩემმა იოსებმა, ავთანდილმა და დათუნამა და როსტომამა შენ კვეხერიელიშვილს დავითასა, შვილსა შენსა ნიკოლოზსა, პეტრესა, იოსებს, დიმიტრის, ნინიას და მომავალსა სახლისა თქვენისა;—ასე რომე ჩორჩოტაძე სეხნიაშვილები თანდილა და გლახა ესენი თავიანთ მამულიდამ წამოსულიყუნ და რამდენსამე ხანს თქვენთან იყუნენ. ახლა ჩვენი ნებიტა და ნებამყოფლობითა ამათი თავი მოგყიდეთ თქვენზე და გამოგართვით ფასი სრული და უკლებელი, რაც ჩვენს გულს შესჯერდებოდა და არა დაჩხა ჩვენი თქვენზე სადავო და სალაპარაკო არცა ერთი იოტის ფასი. გყვანდესთ და გიბედნიეოთსთ ღ[მეტრ]ქმან შვილის შვილამდე და გვარის გვარადე, როგორც ერთს სხვას თქვენისთანას ალაღს მონასყიდეს მოხმარებოდეს...ამ ჩემი მოსყიდული კაცების მამული ჩვენი არის და თავიანთ თავი თქვენზე მოგვიყიდნია... თებერვლის ა, ქ[კ]ს უპპ. მე, ჩიკოტიძე ქაიხოსრო ამ სიგელს ვამტკიცებ და ნებას ვამყოფებ, ბეჭედი არა მქონდა და არც წიგნი ვიცოდი + და სხვას დავაწერინე მე დავით სარდალ სალთუხუცის მსახური ყარახანაშვილი აბაზა ამა მოწამობას ვწერ ჩიკოტიძე ქაიხოსროსა და თვისი გასყიდული ჩორჩოტაძე ყმის თანდილას ყაბულობითა [□]. ქ. ციხის დიდი ეკლესიის მონა ტერ არაქელ ქაიხოსრო ჩიკოტიძის სიტყვით დავუწერე და მოწამეც ვარ ამისი [□] [□]. საბუთის ზუოგზე:

ქ. მე დავით კვეზერელს ამ სიგლით თქვენ სეხნიაშვილების თანდილას და გლახას თავი რომ ეყიდნა ქაიხოსრო ჩიკოტიძისაგან, ახლა შამაზეხვეწენით. თქვენს გამოისად რაც თეთრი მიმეცა თქვენს მებატონისათვის, უკლებრივ მამეცით და ჩემს სასულიეროდ თავი დაგახსნევიეთ. დღეს და დღეის იქით საბატონყმით არც მე მაქვს თქვენთან საქმე, არც ჩემი შვილები და არც ჩემ ჩამომავლობა, არც თქვენთან და არც თქვენ შვილებთან და არც თქვენს ჩამომავლობასთან. ლ[მერ]თმან ველი მოვიმართოსთ. ამას იქით ვისაც ვინდოდესთ იმას ეყმენით. თქვენი მოდავე არავინ იქნებოდეს. ჩვენის ყმობილად განთავისუფლებულნი ხართ და ეს თქვენი თავნასყიდობის წერილიც მომიცია თქვენთვის. დაიწერა თებერვლის სამს, ქკს უუ. [ ] მე, კვეზერელი დავითა ამ ზემო ნაწერის ყაბული მაქვს, ეს ჩემი ველია [ დავით ]. ბატონის დავითის სიტყვით დავწერე და მოწამე ვარ ციხის დიდის ეკლესიის დეკანოზი ტერ არაქელ [ ].

ქ. მეტეხის დეკანოზი ამ წერილის მოწამე ვარ [ ისე ]

ქ. მე მუნთოანთ გასპარა ამ წიგნის<sup>1</sup> მოწამე ვარ.

№ 352. 1802 წ. აპრილის 7-ს. პირობის წიგნი მიცემული ბესარიონ არხიმანდრიტის მიერ გიორგი ყაფლანის-შვილისადმი. დედანი 13 × 11 სმ, დაწერილი მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუზ. ფ. Hd, № 2796.

ქ. ესე პირობის წერილი მომირთმევია თქვენ, ყაფლანის-შვილის გიორგისათვის მე არხიმანდრიტს ბესარიონს. შემოდგომაზედ რომ თქვენი კაცი და წიგნი მეზოდოს დაბარებისა<sup>2</sup>, რომელიც მე ალავერდს თქვენი ყმანი მომაბარეთ, მაშინვე აეყარო და უნაკლულოთ მოგართვა და არც არავინ წინაღმდეგი მოგახსენოს ვინმე. აპრილის 8, ქკს უუ. ბესარიონ.

№ 353. 1802 წ. ივლისის 1-ს. პირობის წიგნი, მიცემული ფარსადან ესიტა-შვილის მიერ ჩასყიდელასადმი. დედანი. 31 × 21½ სმ, დაწერილი ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმაზი არ არის. საქ. მუზ. ფ. Hd, № 8676.

ქ. ჩებითა ლ[ვ]თის[ა]თა ესე პირობის წიგნი მოგეც მე, ფარსადან ესიტა-შვილმა შენ ჩასყიდელას;—ასე რომ იორს გამოღმა ჩემს მამულში შენობა და წისქვილის გაკეთება შენ მოინდომე და მეც გამაბედვინე და ორი და სამი წილით შენი მეტი დაიხარჯა. თუმცა რომ ბევრი ჯაფა გასწიე და ხარჯიც ბევრი მოგივიდა, მარა ერთობისა და სიყვარულისათვის ამ ვადამდის პირობა კი ასე დაიდვა: რაც შენი მეტი დაიხარჯა, არც ის შენი მეტი დანახ[არ]ჯი მთხოო და არც მე ამ პირობას გადავხდე. ძველი ნაწისქვილარის არხი

<sup>1</sup> აქ წაშლილია სიტყვები: «ყაბული ვარ.»

<sup>2</sup> ჩამატებულია.

სახლი და ერთი თვალი წისკვილი თავისი იარაღით შენის ხარჯით გაკეთდა. მეორე წისკვილი თავისი იარაღით და ზოგი ხარჯიცა ჩემი იყო და ღვეთით შესრულდა ორი თვალი წისკვილი. ამ პირობით: ამ წისკვილებიდან შემოსავალი ნახევარი ჩემი უნდა იყოს და ნახევარი შენი იქნება. ღმერთმან ნუ ქნას, თუ წისკვილისა წახდეს რამე და გაეთება გასპირდეს, წისკვილის შემოსავალი შუადამ დაიხარჯოს და, ღვეთით, გაკეთდეს. თუ მეწისკვილეთ სხვას კაცს ჩავაყენებთ, იმ მეწისკვილეს თავისი წილი შუადამ მიეცეს. ამას გარდა მოგეც ვენახი, ესეც სანახევროთ და შენ კი უნდა აკეთო და რაც სამუშაო იყოს, კარგათ იმუშაო და რაც ღმერთმან მოგეცეს, ისიც, ღვთის წინაშე, შუა გავყოთ ხოლმე. აგრეთვე, რაც ლამში სახნავებია და ნამზღლევში, ესეც სანახევროთ მოგეც. ამ სახნავებიდან ნახევარი, რაც შენტვიქის მიხნა, შენ წილათ იქნება და მე იმაში საქმე არა მაქვს და რაც სხვას მოახუნენინო, იქიდან რაც ლალა მოვიდეს, ის ჩემი წილი იქნება. ოცს წლამდის ეს მამულეები როგორც ზემოთ დამიწერია ამ პირობით მომიცია და ღვეთის მეტი მომშლელი არავინ იყოს და ღმერთმან ბედნაერობაში დაგვაცადოს. არის იმისი დამსწრე და მოწამე პირველი ღმერთი და შემდგომ მონასტრის ყმა ღვდელი ლაზარე, პატარძელული შერამზან ზუჟაკიშვილი, კიდევ მონასტრის ყმა გოგია ნიკოლაშვილი და მე, თითონ ფარსადან ესიტაშვილს დამიწერია და ყაბულიცა მაქვს. მკათათვის ა, ქქს უე.

ქ. ამ წიგნის პირი ნასყიდასა აქვს და ჩემგან დანახარჯი რაც იყო, იმას ამისთვის გაცხადებით არ დაუწერე, რადგან ერთმანერთის რაზით (?) მოვიგდით.

ქ. მიმიცია ერთი თვალი წისკვილის ქვა თავისი სრულის იარაღით, საბი თუმანი თეთრი და ხუთი კოდი პური. ესეები ერთ კალმით და ერთათ.

ქ. კიდევ მიმიცია ამავე წლის ჩემის მამულეებიდან რაც ლალა მერგო თათრისა და ხაშმელებისა სრულათ. ამას გარდა რაც დაიხარჯა წისკვილზედ, ნასყიდასი იყო და რაც ჩემგან მიცემულს წიგნში უწერია, იმ ვადაძდის იმ პირობაზედ უნდა ისე ღვეთის ნებოთ ვიდგნეთ. კიდევ მივე გალმა წისკვილისა თუ რამ სახმარი იყო და შვიდი ურემი ხე ტყუც იმავე წისკვილის ნაქცევი. ორი ურემი ქვა მოუჯანე საცხენისიდან წისკვილის სალორის დასაფენათ, უჯარმელთ დაკვატიჯე, თოთხმეტი კაცი იყო, პური და ღვინო ნასყიდასი იყო, მუშა და საკლავი ჩემი, რომ საკლავი კიკოლა მღებრისაგან ვიყიდე, ჩქ მივე. გომი რომ გააკეთა მივე პური კოდი ხუთი წისკვილიდან და შვიდი ჩაფი ღვინო, ისიც იქავ ჩემის ვენახიდან.

ამავ წელს ვენახის სამუშაოთ გამომართო ნასყიდამ პური კოდი ექვსი.

№ 354. 1802 წ. განცხადება ჭარხოსრო და სხვ. სუბმატოგებისა პეტრე კოვალენცოვის სახილზე. დედანი. 21 1/2 x 18 1/2 სპ. დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია თითო წერტილი.

საქ მუზ. ფ. Hd, № 13132.

მათს მსვლელობას, დეისტეიტელნის შტატის სოვეტნიკ, საქართუშლოს მმართველოს, პეტრ ივანიჩ კოვალენცოვს.

ითხოვენ კნიაზ სუმბატოვები. ოცდა ხუთი წელიწადი არის, რაც მეფემ ერეკლემ ნავთლულის სოფელი [ა]შენა. რადგანაც მტრის ალაგი იყო, ქალაქის დაცვისათვის თითო კაცი სოფლებიდან მოაგროვა და ჩვენს მამულში სოფელი გა[ა]კეთა. ახლა ნება მიგიციათ აყრისა და სხვაჯან დგომისა. თავადებს ჰკითხეთ და თუ ნავთლულის სოფლის მოშლა ქალაქის სამჯობინარი იქნება, ნება გაქვსთ, მოშალეთ და თუ არ ინებოთ იმ სოფლის მოშლა, იქ ექვსი მეტუნთე კაცი არიან, იმათ გარდაახდევინეთ, იმ სოფლიდან აპყარეთ სხვაგან დააყენეთ. როგორც უწინ უცხოვრიათ, ახლაც ისე იცხოვრონ და თუ არც ამას ინებებთ, მოიკითხეთ, როგორც განწყესება არის ქართლისა და კახეთისა სხვის მამულში რომ კაცი იდგება, როდესაც აიყრება, მამულის პატონი, რაც საქონელი ჰყავს, შუაზე გაუყოფს და თუ აუშენებია რამე მამულიდან სახლი, ვერ და[ა]ქცევს. ჩვენც ამ მოწყალებას ვითხოვთ, თუ სოფელს მოშლით, რაც განწყესება არის, ოქმი გეპოძოთ და იასაული, რომ განწყესებისა-მებ[რ] აღგვისრულოს და ამასაც გთხოვთ, სადაც დასახლდნენ, რადგანაც ჩვენი სახელო არიან, არც იქ მოგვეშალოს მეფე გიორგის წყალობა.

წელსა 1802 კნიაზ სუმბატოვი ქაიხოსრო, იოანე, ლუარსაბ.

№ 355. 1803 წ. მარტის 22-ს. მუჩალგის წიგნა, რიცხული ზურაბ, პაპა და გორგი ხეთისიაშვილების მიერ ნიკოლოზ ამილახვარისადმი. დედანი. 21 1/2 x 16 1/2 სმ, დაწეილი ლუჯ ქაღალზე მხედრული ხელით. საქ. მუხ. ფ. Hd, № 4381.

მათ მალალ ბრწყინვალეობას თავადს ამილახვარს ნიკოლოზს. ჩვენ, თქვენი ყმან კასპში მსახლობელნი ხეთისიაშვილები ზურაბა, პაპა და გიორგი ამ მუჩალგის წერილს გაძღვეთ ამის მიზეზით: ჩვენ ერთმანეთში მცირე ლაპარაკი მოგვვიდა. გიახლათ ჩვენი უჯროსი ძმის ცოლი და წინაშე თქვენსა იჩივლა. მერე მე დამიბარა თქვენმა ბრწყინვალეობამ. გიახელ და რომელიც ჩვენის უმეტრებით ჩვენა და ამ ჩვენს რძალს შეგვეცოდნა ერთმანეთისათვის, მოგხსენდათ ჩვენგან, მაგრამ არ უგულვებელ ყავ ჩვენი მოხსენება და ჩვენი ერთობა ინებეთ. ჩვენც ჩვენის ნებით ვწერთ ამ პირობის წერილს: ამის შემდგომად თუ ამ ჩვენს რძალსაც არ გავაძლებინოთ და ერთმანეთის მორჩილობა არ ვიხმაროთ, რომელმაც ამ სამ ძმაში განზე გაიწიოს და ოჯახის წინააღმდეგობა მოინდომოს და თქვენი წინააღმდეგობა შეაჩნდეს, როგორც კანონით არის ისე გადახდეს. ეს პირობაც დაედევით: ჩვენს ოჯახში უფროსად ზურაბა უნდა იყოს. რომელიც ოჯახში საჭირო ჩასაცემელი, დასახურავი, ვალის აღება და თუმცა გაიყ[ი]დოს რამე და სხვა რომელიც ოჯახის შესამატი ან დანაკლისი იყოს, რომელიც ამ წიგნში უფროსად დაგვიწერია, უიმისოთ ვერც ერთმა ვერ უნდა შევიძლოთ ამის წინააღმდეგობა. აღიწერა მარტის კბ, ქკს ფა. ზე, გორიჯვარის დეკანოზის შვილათ წოდებულს ანტონს დამიწერია ამათის ნებით და მოწამეცა ვარ ამ წერილისა.

განის აშიაზე ტექსტის ხელით:

თქვენის ბრწყინვალეების მონა მებალიშვილი გიორგი ხელს ვაწერ მოვ-  
თის წინაშე. ამ თქვენ ყმათ<sup>1</sup> ისუკ ერთობა მოინდოეს ერთმანეთის ნებით.  
მე თქვენი ყმა და ძოსაპსახურე დაეთათა აბულაძე ამ წერილის დამსწრე და  
მოწამე ვარ. მე მიპარავი (?) მამასახლისი ბერუა ამ წიგნის მოწამე ვარ.

№ 256 1803 წლის მაისის 10-ს. არზა, მიცემული სუმბატოვების მიერ პავლე  
ცოციანოვის დმი. დედანი. ოდნავ დაზიანებული. 21×19 სმ, დაწერილი თეთრ,  
ქალაქზე მკედრული ხელით განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ.  
მუხ. ფ. Hd, № 10339.

მის ბრწყინვალეებას საქართველოს უპირველეს მთავარს  
კნიაზ პავლე დიმიტრის ძე ციციანოვს.

თავადის სუმბატოვების უდაბლესი მოხსენება.

თქვენს ბრწყინვალეებას მოხსენებული აქვს. რომ ნავთლულის სოფელი  
ჩვენი მამულა არის და გლეხიკაცნი საცელმწიფონი დეანან და რადვანც ის  
სოფელი ჩვენი მამული არის, ამას უწინარეს მეფეთაგან იმათს მოუტრავათ ჩვენ  
გახლავართ და რაც მოურავის განწესება არის, ისე გვემსახურებოდნენ. დღეს  
იმათ უარი შექნეს და ექვსნი კაცნი გამოერჩინენ იმათგან მოჯანლეთ. თქვენს  
ბრწყინვალეებას მოვახსენეთ და თქვენგან კაპიტან ისპრავნიკს ებრძანა იმ ექვ-  
სის კაცის იქილამ გამოყვანა და არც იმისი პასუხი მოგვეცა კაპიტან ისპრავ-  
ნიკისაგან. ვითხოვთ ვედრებით. ებძანოს კაპიტან ისპრავნიკს, ჩვენი მამული  
დააგდონ და სადაც უნდოდეთ იქ იცხოვრობ და თუ როგელსამე იქ ცხოვ-  
რება უნდოდესთ, რაც ჩვენი სამოურაო განწესება არის, იმათ გვემსახურენ  
და მშვიდობიანათ იცხოვრონ. და ნულარ იჯანლებენ და თუ როგორც ახლა  
შფოთში არიან და ჯანლობენ, აიყარენ. ნულარ დადგებიან. ჩვენი მამული  
ჩვენ გვინდა და თქვენს ბრწყინვალეებასაც თავს აწყენენ ის გლეხი კაცნი და  
ჩვენც ვედრებით ვითხოვთ იმათს იქილამ აყრას. მაისის ი, ქკს შა.

თავადი სუმბატოვები იოანე

....<sup>2</sup>

№ 257. 1803 წლის მაისის 12-ს. არზა, მიცემული დიმიტრი ავალოვისაგან  
პავლე დიმიტრის ძე ცოციანოვის დმი. დედანი, 33<sup>1</sup>/<sub>2</sub>×31<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, ორი ფურცელი.  
დაწერილი თურჯ ქალაქზე მკედრული ხელით. კვეთილობის ნიშანი: 1801 წელი. გან-  
კვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 7220.

მის ბრწყინვალეებას, საქართველოს უპირატისს მმართველს, კნიაზ ცი-  
ციანოვს და კვალერს პავლე დიმიტრის ძეს.

უდაბლესი მოხსენება თავადის

ავალოვ დიმიტრისაგან.

რუსთვლის ყმას ოსოშვილს ჩემი მამული უქირავს მძლავრობით. ვთხოვ  
და არ მძღვეს. ასე მეუბნება: შენის ყმისაგანა მაქვსო მოსყიდულიო. არც

<sup>1</sup> ტექსტში: მმათ.

<sup>2</sup> არ ირჩევა.

ნასყიდობის წერილი აქვს, არც სხვა საბუთი. თუ ნასყიდი აქვს, ნასყიდობის წიგნი წამომიყენოს, ჩემი ყმა მამულს როგორ გაჰყიდის. მეფეს გიორგისთან ვიჩილე, იასაული დააყენა, სამართალში ელაპარაკეო და არ დაგვეცალდა, რომ სამართალში გამეძტუნებინა და ჩემი მამული გამამერთმევიანა. წყალობას ვითხოვ, სამართალი მალირსოთ, ის ჩემი მოდავეც აქ გახლავსთ. მაისის აბ, ქქს უაჟ.

სხვა ხელით: თავადი ავალოვი დიმიტრი.

№ 358. 1804 წ. იანვრის 6-ს. მოხსენება, მიცემული ეგნატი თუმანოვის მიერ ტარასოვისადმი. პიოი, გადაწეო ლი XIX საუკუნეში ლუჯ ქალაღხე. საქ. მუხ. ფ. Hd, № 87J.

ტარასოვთან მიწერილი წიგნის პირი არის.

მოწყალეო ხელმწიფეო ჩემო!

თქვენის მაღალკეთილშობილებისაგან წარმოგზავნილი წერილი ამ თვის ზ მივიღე, რომელიცა მიცხადებდა წარმოვლენასა კაზონის ეკსბედიცის სოვეტნიკის კნიაზ ომან ხერხეულიძისასა ზემო ქართლის სურსათის გამორთმევისათვისა და ესეც გებძანათ, ზემო ქართლისა და თათრების დავთრები შენა გაქვს, ეგენი ამას მოეცო, რომ დაბალს ხალხს სამართლიანათ გამოერთვასო სურსათიო.

თქვენის მაღალკეთილშობილებისათვის ვისაც მოუხსენებია, რომ დავთრები იმასა აქვსო, ქ[ემშარი]ტი მოუხსენებიათ. დავთრები განსვენებულთ მეფეთაგან მე მქონდა რწმუნებული და აქამომდე მე ვაწერდი სურსათსა და ჩემგან შეწერილის დავთრით ერთმეოდათ ხალხსა განწესებული სურსათი. ის დავთარნი პირველად იმისმა მსვლელობამ კურთხეულმა იგან პეტროიჩმა ლაზრევმა მთხოა და მივეც. შემდგომად იმისსა ლუბერნია რომ გაიხსნა, მაშინ იმისმა მსვლელობამ პეტრ ივანიჩ კოვალინცკია მთხოვა და იმას მივეც, რომ იმ დავთრის დასრულებაზედ ხელიც მომაწერინა. ის დავთრები ხომ მანდ იქმნება, მაღალნი და დაბალნი ხალხნი ყველანი იმაში გარჩევითა სწერიან. მე აღარა მაქვს, თვარემ მივეცემდი. მე ნიადაგ იმისის იპვერატორების დიდებულებისათვის ერთგულებით მიმსახურნია და ახლაცა ვმსახურებ მაღამდისცა სიცოცხლე მექნება.

თქვენის მაღალკეთილშობილებისა მოწყალისა  
ხელმწიფისა ჩეჩისა უერთგულესი მოსამსახურე  
თ[ავად]ი ეგნატი თუმანოვი.

იანვრის 3, ჩუღ წელსა.

№ 359. 1805 წ. მარტის 1-ს. ბატონყმობის წიგნი, მიცემული დათუნა ლარაძის მიერ ედიშერ მუხრან-ბატონის შვილისადმი. დედაი. 22x12 სმ, დაწერილი ლუჯ ქალაღხე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ხახბარია თითო წერტილი საქ. მუხ. ფ. Hd, № 2658.

ქ. ესე ბატონყმობის წიგნი მოგართვით თქვენ მუხრანის ბატონის შვილს ედიშერს მე ლარაძე დათუნამ და შვილმან ჩემმა ზაზა და ესტატემ, — ასე რომ ოცდათხუთმეტი წელიწადი კუმუხში ტყვეთ ვიყავ, მერე მოველ ტყვე

ობიდან და თქვენ გეყმე ჩემის შვილებით. თქვენგანაც წყალობა დამემართა და მე და ჩემს შვილებს გული შეგვისრულეთ. ჩემი მოდავე ღვთის მეტი თქვენთან არავეინ იყოს და არცავეინ არის. დღესა და დღე-ს იქით თქვენ ჩვენი ბატონა ბძანდებოდეთ და ჩვენ თქვენი ყმანი გახლდეთ. არის ამის მოწამე დამპალის მოურავი გაბრიელ, ამირანაშვილი გლაბა, წოლდელი იოანე და მე, ევსტათი მღვდელმა ამ ზემოხსენებულის ლარაძის დათუნას სიტყვით დავსწერე და მოწამეცა ვარ. დაიწერა მარტის 4, ქკს უფგ.

ევსტათი<sup>1</sup>

№ 360. 1805 წ. აგვისტოს 21-ს. პირობის წიგნი, მიცემული სარდარ იოანეს ყმა ეივაზას მიერ და ით გოსტ შაბის-შვილისადმი. დედანი. 36<sup>1</sup>/<sub>2</sub> × 11 სმ, დაწერილი ოლოურჯო ქალაღზე მხედრული ხელით. გ. ხვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვია შემდეგ ნახმ.ოია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 7753.

ქ. ესე წიგნი მოგეც თქვენ თავადთ გოსტაშაბის-შვილთ დავიქითს 'და ნიკოლაოსს მე სარდრის იოანეს ყმამ ეივაზამ;—ასე რომ ამისა ქვემო თარიღიდან ერთის წლობით თქვენი ქოთიშს წისქვილი ავიღე ექუს ურემ წმინდა პურად და ამავე ექუსის ურმის პურის ანგარიშში ერთი ურემი ქერი იქნება და ლარი თუ გასაკეთებელი შეიქნას თქვენ უნდა გამოსცვალოთ. ვგრეთვე საღორეც თქვენ უნდა დახუროთ და კედელიც თქვენ უნდა ააშენოთ და არხს თუ ათი მუშა მოუნდეს, მე უნდა დავხარჯო და თუ ათზედ მეტი დასქირდეს, თქვენ უნდა ამუშავოთ. ზემოთ რომ ქერი მითქვამს, ისიც ისევე პურად უნდა მოგცე. როდესაც წელიწადი შესრულდება, თქვენი წისქვილი ღმერქამან თქვენვე მშვიდობაში მოგახმაროსთ. ამას წინათ გავლილის წელიწადებისა, რაც თქვენა ჩემთან საანგარიშო არის, ისიც ანგარიშში გაგიწმინდო. წერილი ესე დავსწერე სიტყვითა ეივაზასითა მე, პროთოდიაკონონმან ეგნატიმ. დაიწერა აგვისტოს კი, წელსა ჩყე. ეგნატი.

ამ წერილის მოწამე ვართ ბარათოვი იოანე]

ქ. ამ წერილის მოწამე ვარ საგინოვი.

სხვა ხელით:

ქ. აივაზამ და ჩვენ ანგარიში ენახეთ ამ წიგნის. წლისა ცხრა თვეს ექვს დღეს ნაკლები უმუშავნია ჩვენ წიქვილს. ამ წიგნში რაც პური სწერია, იმაში ძე მომბარებია ორმოცდა ცხრამეტი კოდი პური. ერთს ბარათს გარდა გავსწორდით ამ წლის იჯარაში. ენკენისთვის კთ, ამ დღიდან ექვსი დღე კიდევ უნდა ექიროს აივაზას, მასუკან საქმე ალარა აქვს. მომცდარს გამოვედით.<sup>2</sup>

№ 361. 1805 წ. ოქტომბრის 6-ს. ოქმი, მიცემული დავით გოსტაშაბოვის მიერ აივაზასადმი. დედანი. 7 × 18<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დაწერილი თეორ ქალაღზე მხედრული ხელით. მარცხენა კიდე დახანებული აქვს. გაიკვითილობის ნიშანი ნახმარი არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 7893.

ქ. აივაზ, წლეგანდელის ჩვენის წისქვილის იჯარის პურიდან ოცდა ხუთი კოდი პური მოეც კიკოლას და ხუთი კოდი ქერი თესლათ. პურიცა და ქერიც

<sup>1</sup> ხვეულად.

<sup>2</sup> სათაური: იჯარის წიგნი და ბარათებია აივაზასი.

ასეთი უნდა იყოს წლებიანდელი პური და ქერი უნდა კარგი, რომ თესლათ გამოდგეს. ჩემო აივაზე, თუნდ ღრა გქონდეს, სხვაგან უნდა იშოვნო და მისცე-  
ლინობისთვის ვ, ქკს უშვ. დავით გოსტაშაბოვი.

№ 362. 1806 წ. იანვრის 8-ს. ოქმი დაბეჯან დედოფლისა მიტროპოლიტ იონა-  
სადმი. დედანი. 22×18 1/2 სმ. ორი ფურცელი. დაწერილი თეთრ ქაღალდზე  
მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი 1. ხმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd,  
№ 7022.

ყოველად სამღვდლო მიტროპოლიტო უფალო იონავ, თქვენი წიგნი  
მოგვივიდა, რომელშია გეცხონათ ჩვენგან მოწიობა ბიძის თქვენის გედეო-  
ნის-შვილის მოლარეთ ხუცის პაატასი და თქვენის ძმის გედეონის-შვილის  
გიორგის კნიაზობისა და მე მათ ქვეშარიტებით ნეცობელი ვარ: როდესაც  
კურთხეული კათალიკოზი რუსეთში გამოისტუმრეს, მაშინ მოლარეთ ხუცის  
გედეონის-შვილი პაატა სანატრელთ მეფეთაგან იყო კნიაზად გამოცხადებუ-  
ლი და ქალად მეორედ კათალიკოზი რომ გამოისტუმრა სანატრელმან  
მეფემან ჩვენამ, მაშინ კიდევ თქვენი ძმა გედეონის-შვილი გიორგი კნია-  
ზად იყო გამოცხადებული და როდესაც არტიკულები და წერა, იმ დროს რომ  
მელიმე მიზეზით კურთხეული და ნეტარად სახსოვარი ჩემნი მეფე უწყებო-  
და თქვენს სახლსა და ამ მიზეზისთვის დარჩა დაუწერელად კნიაზად გედეო-  
ნის შვილი არტიკულში.

სხუებრ გთხოვთ თქვენის ვითარების ცნობით დაუფიწყებელ მყოფ  
რომლისათვისცა ფრიად მმადლობელად დავშთები

თქვენის ყოველად უსამღვლოესობის

სამსახურის მოსურნე

საქართველოს დედოფალი დარია<sup>1</sup>.

□<sup>2</sup>

იანვრის 8 დღესა,

წელსა ჩუვ.

სპ ბულს.

№ 363. 1806 წ. სექტემბრის 21-ს. მოხსენება, მიცემული სიმონ აბაშიძის მიერ  
ანა მილახარისადმი. დედანი. 16×10 სმ, ნაკვეთზე დაზიანებული. დაწერილი  
ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის  
შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 7147.

ბრწყინვალეო თავადის ამილახორის ასულო, თუ ვლირსვარ რძალო  
და ღაო

ანა!

მოწყალე ხელმწიფე, თქვენი წიგნი მებოძა და წყლის მორწყვა გებძა-  
ნა და ბერიკი გამგებელი იახელო. შენმა ზემო, თქვენ სამსახური არც თავის

<sup>1</sup> ხელრთვა.

<sup>2</sup> დედოფალი დარეჯან.

მიუარებია და არც ახლა ვიუარებ, მაგრამ შენზე არა გამივიდა რა, არც სამსახურმა და არც შეილის ხლებამა და თქვენც რომ არ გებძანებინა, მაინც მოვარწყვევინებდი და რა ვქნა თქვენმა კაცებმა არა ინალვლეს რა, არა გამიგონეს რა. იმთონი ღვთის წყალობა მომეცა, უნფრო დაიჯერებ; რამთონი ბალახის გულისათვის ბერიკმა და მისმა მეუღლემ არ გაგვლანძლა და არ გავაგინა და კიდევ სარისათვის ბურხალაძემ და რას გამიგონებდენ. ყოველთვის ვეხვეწე, წამყევით, წყალი გადმოუგდოთ და ყურსაც წვიპარდი არ იკრეს: მეც ძლივს ვიშოვნე ერთი ნაკადული და ჯერაც არ მომირწყამს და უბძანეთ თქვენს კაცებსა, თუ გაიგონებენ რასმე და მორწყონ. რაც მომიხსენებია თუ ან ერთი ტყუვილია, აქუარელებს კაცთაც კითხეთ და ქალსაც და ჩემი სამსახური თუ გდომოდა, მაშინ ამ დროს არ ამამკრემდი პანლურსა და უთესურს არ დამაყენებდი. მე აქეთ გამომავდევით და თქვენ იქ ჩემს კაცებს შეესიე და მე სახლი-კარი დაგწვევინე. ღმერთმა ქნას მე და შენს შუა სამართალი. ეკენისთვის კა, ქკს უჟდ.

თქვენის ბრწყინვალეების მოსამსახურე აბაშიძე სვიმონ:

განის აშიაზე:

ქ.ქაიხოსროს და კეკელას პირს ვაკოცებ. ნუ გამიწყრები ამ მოხსენებისათვის რალათ გაჭირვებით ან მამა და ან შვილი.

№ 364. 1806 წ. ოქტომბრის 6-ს. იჯარის წიგნი, მიცემული აივაზას მიერ დავით გოსტაშაბისშვილისადმი. დედანი. 20×12<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დაწერილი ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. „ან“-მეტი. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი, საქ. მუხ. ფ. Hd, № 6713.

ქ. ესე წიგნი მოგართვი მე, სარდალის ყმამ აივაზამ თქვენ, გოსტაშაბის შვილს დავითს და ნიკოლოზს;—ასე რომ ალგეთზედ თქვენი წისქვილი ავიღე მე თქვენი წისქვილი იჯარით. შვიდი ურემი წმინდა პური გაძლიო, თვე და თვე თქვენი პური გაძლიო. თუ ათი მუშა მოუნდეს, მე აივაზამ უნდა დაეხარჯო, თუ მეტი მოუნდეს, თქვენ უნდა დაეხარჯოთ. არი ამისი მოწამე თ[ა]კათ ღმერთ[ი], კაცთაგან გერმანოზის-შვილი კაკა. მე, კოდის ნაცვალს ნახარას დამიწერია აივაზას სიტყვით, მოწამეც ვარ. ღვინობისთვის ექვს, ქკს უჟდ.

სხვა ხელით:

ქ. ამ წლის იჯარაში და ორი თვე რომ სჭერია აივაზას, ნიკოლოზ ე მეტი უნდა ავიღო სამ კოდ ნახევარი პური და გავსწორდებით.

ქ. კიდავ საკუთრათ მე მომიტანინებია ერთი ღარი, მოსატანათ მიმიცია ორი კოდი პური და რვა აბაზი ფულიც ბორბალში მივეც აივაზას. ამ წელიწადში მიმიცია ესები.

სხვა ხელით ქვედა კიდებზე:

ქკს უჟდ. ამ წლის იჯარის წიგნია.

№ 365. 1807 წ. მარტის 27-ს. ბატონყმობის წიგნი, მიცემული ბერისა და ოთარის მიერ თავის ბატონის გრიგოლისა და აბელისადმი. დედანი. 21<sup>1</sup>/<sub>2</sub> × 12 სმ, დაწერილი მოლურჯო ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2779.

ქ. მე ეს წიგნი მოგართვი შენ ჩემს ბატონს გრიგოლს, აბელს, შენს ძმებს, შენს ბიძაშვილს მე ბერმა, ოთარმა, ჩვენმა შვილებმა; — შაგხვეწნივართ, მუხლს მოგხე[რე]ნივართ, ცოლით, შვილით თავი დამიდვია, შანახვა შენზე კიდია, როგორც შამინახავ. შენ ჩემთვინ წიგნები არ წაგირთმევია, აღარც არას შევჩივი. არის ამისი მოწამე მაღალაშვილი ბასილა, გოჯიაშვილი გოგია, მათურელი ბერი, ოპანეზა აფრიამაშვილი. მე ივანე დიაკვანს დამიწერია, მოწამეც ვარ. თვესა მარტსა კზ, ქკს უთე. +

№ 366. 1807 წ. მაისის 2-ს. განცხადება ნიკოლოზ ციციის-შვილისა. პირი, ვადაწერილი XIX საუკუნის პირველ ნახევარში ლურჯ ქალაღზე. განკვეთილობის ნიშანი ნახმარია არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 10218.

ვითხოვ უმდაბლესად ციციის-შვილი ნიკოლოზ. ჩვენი მემკვიდრე ყმანი, სამი კომლი ხუცის-შვილები არიან. ერთი კომლი იღვა სოფელსა ბრეთსა და ორნი კომლნი იღვნენ ჩვენს სოფელსა შ[ინ]ა ქარელსა. ამ მოხსენებულს გლეხებზედ მეფეს ერეკლესთან ყოფილა მამისა ჩემისაგან და ავალიანთაგან ლაპარაკი, რომელნიც გამტყუნებულან და ჩვენ დაგვრჩომია ის ხსენებულნი გლეხნი, რომლისაც განაჩენები ხელთა მაქვს და გარდაწყვეტილობაც. შემდგომად მეფეს გიორგისთანაც იყო ლაპარაკი და მოგ[ვ]ცა მეფემ გიორგიმ გარდაწყვეტილობის ოქმი, რომ ავალიანთ სიტყვა აღარ აქვსთ იმ გლეხებზედა. ამ გარდაწყვეტილობის წერილებისა არ შეიკდიმა ავალოვმა ანტონიმ და ამ ზამთარ ჩვენ ორნივე ძმანი ვიყავით ქალაქს ტფილისსა. ამჟამად გამოვეზაენა ავალოვს ანტონს რამდენიმე კაცნი თავისის სოფლიდამ და აეყარა ეს ორი კომლი ხუცის-შვილები ქარელიდამ და წაეყვანა თავის სოფელში ბრეთსა ღამით როგორთაც მპარავსა. თუმცა ის კაცნი უნდოდა სადაოთ, რატომ სამართალს არ გამოუცხადა და თავისის ძალით რათ მოიტაცა, ეს გასინჯოს სამართალმან. შემდგომად უპრავაში არხა მიეცა — ჩემნი კაცნი ქარელიდამ ჩემთან გამოვიდნენო და რაც საქონელი დარჩათ, ისინიც ეთხოვნა მომცესო. ამ ხსენებულმა სამართალი კი აღარ მოიცადა, გამოგვისივა რამდენიმე ცხენოსანი კაცნი ლეკურათ და ნახირი დაგვირბია. რამდენიც იმ გლეხების საქონელი ნახეს, ისინიც მოიტაცეს და ერთი ჩემი ძროხაც თან გა[ა]ტანეს. ჩვენ ამ თავადისაგან ვართ სოფელი აკლებული და ნახირი დარბეულნი. ვითხოვ მართლმსაჯულო ჭელმწიფეო, ჩემი გლეხნი მომცესა და სამართალი მომცეს ჩემი ობიდისა, სოფლის აკლებისა და ნახირის დარბევისა, რომელიც წარმოვადგენ არზისა ამასთანა მეფის გიორგის მტკიცეს წერილსა და ექვს მინალთუნსა. მაისის ბ, ჩყზ წელსა.

თავადი ციციანოვი დავითის ძე ნიკოლოზ.

№ 367. 1807 წ. ნოემბრის 23-ს. პირობის წიგნი, შივემული ბერიკას მიერ ანა ამილახერისადმი. დედანი. 34×22 სმ, დაწერილი ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 9923.

ქ. ეს წიგნი და პირობა მოგართვი თქვენ, ბატონს ჩემს ამილახერის ასულს ანას, შეილსა შენსა ქაიხოსროსა შენმა მკვიდრმა ყმამა ბერიკამა გამგებელმა;—ასე რომ არც შენს მეტი ბატონი მინდოდეს, არც გილალატო და არსად წაგივიდე. თუ წაგიდე. მე, ამ ჩემა მოცემულმა წიგნმა გამამტყუენოს. არც გაეყილო მამული და ვერც შევიძლო და კიდევ შენი ერთგული ვიყო და გემსახურო. თქვენგანაც ამ წყალობას ვითხოვ, რომ უსამართლო და უღებები არა მამადგეს რა. არის მის მოწამე ყიფიანი მამისთავალ, გამგებელი გოგია და მე, ზაბილონის-შვილს სფირიდონს დეკანოზს დამიწერია ამ ბერიკის გამგებელის სიტყვით და ნებით და მოწამეცა ვარ. დაიწერა ნოემბრის ოცდასამს, ქკს უფ.

№ 368. 1809 წ. მარტის 24-ს. წერილი ევგენ აბაშიძისა ამილახორის ასულ ანასადმი. დედანი. 34 $\frac{1}{2}$ ×16 სმ, დაწერილი ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 5058.

ბრწყინვალეო თავადის ამილახორის ასულო დაო და რძალო ანნა;  
მოწყალეო ხემწიფეო,

თქვენი წიგნი მებოძა კ დაწერილი მარტისა, აქ ვარციხეს კვ მომივიდა და ასე ვიხარე, რომ გინდა მანდ გხლებოდა და რა ექნა ამ კნიაზმა ხელთაღამ არ მიღია და წიგნი კი მოვაწერინე ბეგლარისათვის და მეც წიგნი ვა[ა]-ხელი გურიელის დედოფალს და ღვთის მადლით და სამართლიანის საქმით ვახტანგ გურიელის საქმე კარგათ მოხდა და მე ასე მომიხსენებია და წიგნიც ისე გახლამს ჩემი პირობისა—შვილი არ გინდომებს, შვილები არ მინდა და ცოლიც არ მინდა. სანამ ცოცხალი ვარ, შენი სუსტება არ იქნება. თუ ერმინს მუხრან ბატონს მდივანბეგს მდაბლათ თავს დაუკრამ, თქვენ იციოთ და თქვენმა დიდმა კაცობამ რასაც ჩემს რძალზედ სამართლიანი საქმით ან მაგას არ დასწვამთ, ჩვენი თავი და ჩვენი ოჯახი როგორც გინდოდეს ისე მოიხმარეთ. თუ ვინმე მოსაქმე გყავს, კახეთსა გაგზავნე კაცი, თუ შენ არა გყავს რა, ჩემი სამი კვამლი კაცი გახლამსთ ზაქარა ხოლუაშვილი, ორჯონიგიძე ოთხი სული, ხოლუაშვილი ცოლით და შვილით და უძლო გოგია ლანბაშიძე ბარათში ნარგები და ისინი მოიხმარე და ისე მაახდინე თქვენი საქმე და ტყუილათ კი ნუ დაკარგამთ, რომ ჩვენც არა დაგვრჩეს რა და თუ ღმერთმა ჩამომაწვევინა, ღვთით, არც მე ვიახლებით ცარიელი. რატომ ანბავი არა მიბძანე რა მანდაური ანბავი, ან რა ქენით განაჩენებისა და ან ყიფიანისა, ყოველივე მომწერეთ. საჩქაროთ დავსწერე, მოგერთმევა თუ არა, არ ვიცი. მარტის კდ, ქკს უფ.

თქვენი ტრფიალების მოსამსახურე თქვენი ძმა და მაზლი აბაშიძე ევგენ<sup>1</sup>.

<sup>1</sup> მისამართი: ქ. მათს ბრწყინვალეობას, თავადი ამილახორის ასულს ანას მიერთვას მუხრან ბატონის ერმინის სასახლეში ტფილისის ვარდციხიდან.

№ 369. 1809 წ. იენისის 3-ს. მამულის წყალობის წიგნი. მიცემული რევაზ; ელიზბარ და ლუარსაბ ერისთავებმა მიეწოდეს კობაურისადმი. დედანი.  $21 \times 14\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2990.

ქ... ჩვენ, ერისთავებმა რევაზმან, ძმაჲნ ჩვენმან ბატონმან ელიზბარ და ლუარსაბმან და ძეთა ჩვენთა ესე წყალობის წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენს ყმას კობაურს იაკობს, ძმასა შენსა ივანეს, ძმისწულსა შენსა მახარებელს და სახლისა შენისა მომავალსა;— ასე რომ მოხველ და შენის სახლის კაცის კობაურის ოთარის მამული ითხოვ მიბარებით. მანამ ეს ობოლი თავის მამულს და ადგილს მოუვლიდეს და გაიზღებოდეს, ქვრივიც და ობოლიც შენ უნდა არჩინო და ეს მამულიც შენ გებარებოდეს და როდესაც ეს ობოლი ოთარა თავს მოესწრას და თავისის მამულის მუშაობა შეიძლოს, ის თავისი მამულიც მასვე უნდა დანებდეს და სხვებრ მოგახმაროს ღ[მერ]თ[მან] ჩვენს ერთგულად სამსახურსა შინა და არ მოგეშალოს ჩვენგან და არც მომავალთა სახლისა ჩვენისაგან. დაიწერა იენისის გ, ქკს უუჲ.

თავადი რევაზ ერისთავი.

რევაზ

№ 370. 1809 წ. ოქტომბრის 20-ს. არზა, მიცემული ეგნატე თუმანიშვილის ძაერ თბილისის სამოქალაქო პოლიციაში. პირი XIX ს-ის დამდეგისა, დაწერილი მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით.  $35\frac{1}{2} \times 21\frac{1}{2}$  სმ, აქა-იქ ნახმარია წერტილი ან მძიმე. საქ. მუხ. ფ. Hd, № 0872.

საიფაშვილების არზის პასუხად პოლიციაში ჩვენგან მიცემულის გამოცხადების პირია თავისის ნათარგმნის რუსულითურთ.

ტფილისის სამოქალაქო პოლიციას შინა. კოლლეჯის სოვეტნიკის თავადის იგნატი თუმანიშვილისაგან გამოცხადება.

კითხუასა ზედა ჩემსა ამა პოლიციისაგან, თუ ვითარი ყმანი არიან და ანუ ვითარ მეკუთნიან ყმად ამოწყუეტილის სომხითელის აზნაურის დალალისვილის სტეფანეს ნაყმენი, სახელდობ, პაპა, სარქისა, მიკურტუმა და სხვანი საიფოვნი და ეგრეთვე სხუანიცა. მაქუს პატივი გამოუცხადო: როდესაც ზემოხსენებული დალალოვი მოიკლა ლეკთაგან და ამოწყდა, მაშინ განსვენებულმან მეფემან გიორგი ირაკლის ძემან მიზოძა მისი ნაქონები ყმანი ზემოხსენებულნი საიფოვნი მამულითურთ და სხუანი მტკიცეს სიგლითა, რომელიცა სიგელი ესე განუხილავს პოლიციასა ამას და როდესაც ჩემად ბოძებული იქმნა, მას ჟამიდამ ვიდრე აქამომდე მსახურებენ ყმურად, ვითარცა თანა აქს ნამდვილსა ყმასა ბატონისადმი მსახურება და სხუათა სამსახურთ გარდა განიკუჭეთეს ნებითაა თვისითა ყოველ წლივ ძღუშნათათჳს სამაგიეროდ მახთად წელიწადსა შინა პაპამ თუმან ნახევარი, სარქისამ ორი თუმანი და მიკირტუმამ ერთი თუმანი, რომელსაც მოიღებენ ყოველ წლივ, რომელსაცა ამა სამსახურთა და ესრეთ ყოფილთა დავამტკიცებ

<sup>1</sup> ასომთავრულით.

ამავე პოლიციასა შინა მათგან წარმოთქმულთა ამის დამტკიცებათა ყოფასა შინა უფლის კომენდანტისა და უფლის ლუბერცკი პროკურორისა და სხუთა პოლიციის ჩლენთათა და ეგრეთვე მათგან ჩტუნებულთა კელით წერილთა ჩტუნებათათა, თუ ვითარ მართალ არს და ნამდვილ ყმანი არიან ჩემნი და ეგრეთვე სარქისასაგან მირთმეულის არზითა კაზენის ექსპედიციასა შინია, რომელიც რომ ჰსწერს: ვარ მე თავადის იგნატი თუმანოვის ყმა და მოხოვენ ხარკთა სახაზინოთა შთაწერითა კომირალნის სპისკისა, რომლისათვისაც გამოძიებისამებრ კაზენის ექსპედიციამ განაჩინა განჩინება თვისი შეცთომებისათს აღმწერელთაგან სახაზინოდ, აქრამედ არსო ნამდვილ ყმა თავადის ეგნატი თუმანოვისა და არა სახაზინოდ და განჩინება ესე უწყებულ არს კაზენის ექსპედიციიდან ამა პოლიციასა შინია. ხოლო უწინარეს ამისა ვინებე აყრა ამა ზემოხსენებულთა საიფოვთა, ვინაითგან იყოცა ბძანებული ყამსა მას უპირატეს მმართველად ყოფილის თავადის ციციანოვისაგან აყრისათვის ყოველთა ყმათა თავადთათა. მე გამომცხადებელმან ამა ყმათა ჩემთამან არა მნებებელ იყუნენ აყრისა. ამისთს დავიჭირე და შეწუხებით ვპყრიდი, რომელთაც მდართუშს არზი თავადს ციციანოვს ესრეთ პყრობილთა და შეწუხებულთა, გარნა მან მოუწერა არზასა ზედა კულადცა ცემა. ამისთს ულონო ქმნილთა, შეწუხებულთა და მავედრებელთა მოიხელოვნეს ესე მომართვეს თეთრი პაპამ ექვსი თუმანი და რამდენიმე ლიტრა საპონი და სარქისამან ათი თუმანი ვერცხლის ფული აუყრელობისათვის. ამისთვის მეცა ნება ვეც, რომელიცა უწყის ესე მისმა მალაკეთილშობილებამ უფალმან ფეოდორ ალექსიჩმა კამენდანტმან და გარდა თეთრთა ამათ არცალა თუ მახსოვს რად მსახურეს შეწუხებულთა აყრათა მათათს. კულად რაოდენთამე დროთა შემდგომად ვინებე კულადცა აყრა მათი, რომელთაცა მსახურეს მავედრებელთა აუყრელობისათს თეთრითა ორთა მათ ძმათა პაპამ და სარქისამან თოთხმეტი თუმანი, რომლისათვისცა მეცა თანა წარებედ სხუთა და სხუთა დროთა შინია მოცემულთა მახთათა მათთა, რომელიცა განიკჷსთეს და მადლევენ ყოველ წლიე. გარნა რიცხვი ექმნების არა მცირედი და ოდეს გავპყარე სახლთაგან პაპას ორნი შეილნი შფოთთა და აღრეულებათა შორის მათათს, ამისთს მივაცემინე პაპას ოცდა ერთი თუმნის თამასუქი მჩითაჲ მოსიაშვილისა და ეგრეთვე სხვაცა თეთრი რაოდენიმე, რომელნიცა ჰსცხოვრობენ მით და გარდა ამა სამსახურთასა მიმსახურებიეს სხუა და სხვითა სამსახურითა და მსახურითაც, რადცა საჭიროება მქონებიეს და ვმსახურებცა, ვითარცა მმართვეს ნამდვილთა ყმათა, რომელსაცა არა რომელიმე ჰსჯული დამაბრკოლებს ჩემთა ყმათა სამსახურთათვის. გარნა ახლაც მსურს მსახურება მათი, ვითარც მამუჯს ჩვეულება მათზედა და აყრაცა აქედამ იმათი.

ოკტემბერს კ, 1809 წელსა.

№ 371. 1810 წ. თებერვლის 24-ს. განაჩენი მედიატორთა მარშალ-მორდალ ზაალ ბარათოვისა და შაქარა შანშიაშვილის საქმეზე. დედანი. 33x22 სმ, დაწერილი მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd. № 2580.

ქ. აღმოგვიჩივებს მედიატორედ ჩვენ, ქვემოზე ხელმომწერნი რავადმა მარშალ-მორდალმა ბარათოვმა ზურაბისშვილმა ზაალმა და შანშიაშვილმა შაქარამ და დავითმა ჩვენ თქვენის სამართლის ყაბულნხ ვიქმნებითო ორნივე

მხარენიო და წერილით შეიკრუნენ ჩვენთან. შანშიაშვილი შექარა მიუგებდა: ჩვენის სოფლის სახუნდრელი სარუხანას-შვილი სარუა ჩვენი მკვიდრი ყმა არის და მაგას ემსახურება. ამდენი ხანია მაგის სამსახური მაკლიაო. მორდალი ზაალ<sup>1</sup> მიუგებდა: ეს ბიჭი ჩემის ყმის შვილი კი არ არის, მაგრამ პატარა ნოგვივიდა, გაეზარდეთ, დიდძალი ღვაწლი მაქვს მაგაზედ და ჩემი მოსული ყმა არისო. თუ მოჰკვდომია რამე, ისიც მე დამიმარხავსო. ამდონი ხანია, თუ შენი ყმა იყო, რატომ არ მოიკითხე, რათ მაზრდევენებდიო? შექარამ მიუგო: მე აქამდის ობოლი ვიყავ და უნუგეშოთ დარჩომილი, პატრონი ვინა მყვანდა, რომ გადავებიყო. თუ ჩემი ყმა არ არის, ეს მოწმეები და მეფის ვახტანგის დავეთარიო. მოვატანინეთ მეფის ვახტანგის დავთარი, ამოვსწერეთ, შანშიაშვილის ყმათ ეწერა, შანშიაშვილის პაპასი პატარა ტირუმაშვილი სარუხანაო. ამის გარდა მოიტანა მოწმობა ქამუანთ საყდრის დეკანოზის ტერ აკოფასი და ჩვენც ფიცით ასე გვითხრა: ეს ბიჭი ჩემის შვილის ტერ დავითას ნათლულია, მამა ჩემი ამათი მოძღვარი იყო და მეც მაგათი მოძღვარი ვარო, რომ სწორედ სახუნდრელი არის ეგ ბიჭი, შანშიაშვილის ყმა არისო. კიდევ აზნაურიშვილების მოწმობა მოიტანა ღოგუბუღის კაცებისა ტალიაშვილის ზურაბასი, ყორღანაშვილის შექარასი და ბაჰყალის სარქისასი, რომ ის ჩიკორიძე ყაზარა თავისი ძმით სახუნდრელი გაგვიგონია შანშიანთ ყმათაო და სხვანიც მრავალი სიტყვით ამბობდნენ შანშიაშვილის შექარასი და დავითას ყმა არისო. ჩვენ ის საქე დიდის ღონის ძიებით გამოვიძიეთ და თვით ჩვენცა ვკითხეთ-ეს მოწმობის წერილები თქვენგან არის. დამოწმებულიო? ყველამ თქვეს, რაც დაგვიწერია აგრე ვიცითო. განვიხილეთ, რომ ეს სარუა ბიჭი სწორედ ამ შანშიაშვილის შექარასი და დავითის ყმათ აღმოჩნდა. დღეს და დღეის იქით ბარათოვს ზაალ მორდალს ამ სარუასთან საქმე არ აქვს რა. დარჩა შექარასა და დავითს. ვერც ზაალ მიედავება აქამდის იმ ბიჭზედ ხარჯის მოსვლას და ვერც შექარა მიედავება აქამდის იმ ბიჭის სამსახურს.

თებერვლის კდ, ქკს უშტ.

თავადი მსაჯულის ძე ზაზა ბარათოვი.

№ 372. 1810 წ. თებერვლის 25-ს. ყმობის წიგნი. მიცემული არუთინას-შვილი გუქას მიერ პეტრე ორბელიანოვისადმი. დედანი.  $33\frac{1}{2} \times 20\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქალღებე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარა თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 10236.

ქ. ესე ყმობის წერილი მოგართვი მე, ყარსელი არუთინას-შვილმა გუქამ თქვენ, კნიაზ პოლკოვნიკს პეტრე ზახარჩის ორბელიანოვს;—ასე რომე მე ჩემის ნება წადილობით მოველ, თქვენ გეყმეთ და თქვენის ყმა ბოშა აფრიაშის ქვრივი შევირთე ამ პირობით—დღეის იქით შვილის შვილამდინ თქვენი ყმა ვიყო. როგორათაც თქვენი მკვიდრი ყმა, აგრეთვე მე გემსახურო ჩემის.

<sup>1</sup> დედანში: ზაზალ.

შეძლებისამებრ, ვიყო თქვენს ერთგულებაში. დაიწერა ესე ყმობის წერილი თებერვლის კე, ქკს უშე<sup>1</sup>.

ქ. ამ ზემო ხსენებული ყარსელი არუთინას-შვილი გეურქას თხოვნით ესე წერილი ყმობისა დამიწერია მე, ამათი მღვდელი ტერ დავით ქამოიანოვი და მოწამეცა ვარ<sup>2</sup>.

აშიაზე:

ქ. ამ ყარსელის არუთინა-შვილი გეურქას თხოვნითა ამ წიგნის მოწამე ვარ ალა ზურაბოვი (?).

№ 373. 1810 წ. მარტის 8-ს. მოხსენება ეგნატი თუმანიშვილისა ფეოდორ ალექსის ძის [ახვერდოვის] სახელზე. დედანი. 36 $\frac{1}{2}$  × 22 სმ, დაწერილი ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი და მძიმე. საქ. მუხ. ფ. Hd, № 6869.

მაღალ კეთილშობილო მოწყალევე ხელმწიფევე ფეოდორ ალექსის ძევე!

მოწერილი ჩემდამო თქუენის მაღალკეთილშობილებისაგან ჩემ მიერ ცნობად თქვენდა, თუ ვინ იყენენ დროთა საქართველოს მეფეთასა სურსათის შემწერნი და ანუ შემკრებნი სურსათისანი, გამოუცხადებ თქვენს მაღალკეთილშობილებას ესრეთ, რომელ მეფის ირაკლის დროს მე ვიყავ შემწერი სურსათისა და სხუათა ხარკთა, ვინაითგან იყო ჩემდა რწმუნებული დავთარნი ხარკთა შეწერისანი და იყო შემკრები სურსათისა მის განსვენებული თავადი ზაალ ორბელიანოვი და უკანასკნელსა ჟამსა მეფის ირაკლისასა თვით მეფემან განჰყო სამად ნაწილად სურსათის შეკრება: გორის უეზდისა ნაწილი პირველი მიბოძა მევე, მეორე თავადს მანუჩარ თუმანოვსა და მერმე თავადს ომან ხერხეულიძესა. ხოლო დროსა მეფისა გიორგისასა კ[ვალა]დ ვიყავ შემწერი სურსათისა და სხუათა ხარკთა და მევე მებარა დავთარნი და შემგრობელნი სურსათისა იყუნენ თავადი ასლან ორბელიანოვი და თავადი შანშე ერისთოვი, რომელნიცა შეჰკრებდნენ და მიაბარებდნენ განწესებულსა ამბარდანსა და დროსა საქართველოსა შინა ლუბერნის გასხნისასა დავთარი იგი, რომელი მებარა მე, მყოფმა ლუბერნატორად კოვალინცკმა მთხოვა, რომელიცა წარუდგინე და იგი დადებულ იქმნა კაზენის ეკსპედიციასა შინა. 1803-სა ჩუგ წელსა წარგზავნილ იქმნა რა კაზენის ეკსპედიციისა მას სოვეტნიკი თავადი ომან ხერხეულიძე გორის უიეზდსა შინა შესაწერად სურსათისათვის, ვუწყვი ესე, რომელ დროსა შეწერისასა მისგან სურსათისა არავინ იყო დამსწრე მისთანა და არცა შეუწერია მას მეფეთ დროს ნამოქმედარის მის დავთრითა, რომელიცა აწ არს კაზენის კაზენის ეკსპედიციასა შინა.

მოწყალევე ხელმწიფევე მღაბალი მოსამსახურე თ[ავად]ი ეგნატი თუმანოვი.

მარტის—8—შ დღესა,  
1810-სა ჩუი წელსა.

<sup>1</sup> ამის შემდეგ მოდის სომხურად დაწერილი მოწმობა.

<sup>2</sup> ხელრთვა.

№ 374. 1810 წ. სექტემბრის 20-ს, სათავდებო წიგნი, მიცემული ივანე ღონღაძის მიერ ანნა ამილახორისა და ქაიხოსრო აბაშიძისადმი. დედანი. 22×10 სმ, დაწერილი მოლურჯო ქალღვრულ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2848.

ქ. ესე სათავდებო წიგნი მოგართვი მე, ღომლადემ ივანემა და ძმამა ჩემა თევდორემა თქვენ, ამილახორის ასულს ანნას და ძესა თქვენსა აბაშიძესა ქაიხოსროს; — ასე რომ თქვენ კაცს ლაცაბიძეს სვიმონას გასწყრომოდით, ცოლიან შვილიანა აგეკლოთ და დაქერილი გყამდათ. მოველ და გიახელ და ეს კაცი აუშვი. ამ ოთხს თვეს შობამდი ამ კაცის თავდები გახლავარ, თუ წაგივიდეს სადმე, მოჰყვანი მე ვიყო და პასუხის გამცემიც. მე, გიორგი მღვდელი ამ სათავდებო წიგნსა ვსწერ ამ ივანე ღონღაძის სიტყვით და ყაბულობით. აღიწერა სათავდებო წიგნი ესე ენკენისთვის კ, წელსა ჩუი.

№ 375. 1811 წ. სექტემბრის 11-ს. პირობის წიგნი, მიცემული სათარხნოს ახნაურთა მიერ სოლომონ თარხან-მოურავისადმი. დედანი. 33×20<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დაწერილი თეთრ ქალღვრულ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2904.

ესე პირობისა და ფიცის წერილი მოგართვით თქვენ, ბატონს თავადს სოლომონ თარხან მოურავს და ერთობით თქვენს ძმებს დავითს, დიმიტრის, ლუარსაბს და ბესარიონს ჩვენ, ქვემო ამისა ხელის მომწერელთა სათარხნოში მცხოვრებელთ ახნაურთა; — ასე რომ ჩვენ დიდათ შეგვაწუხეს თქვენმა სახლის კაცებმა და ყოვლითურთ ჩვენი დაჩაგვრა და დამდაბელება მოინდომეს თავისის უკანონიერის გონებით. ჩვენ აღარც კი გვკითხეს, ხელმწიფეს მიგვეცეს ორნი გვარნი შიხიდარის-შვილი და ჩივაძე და ჩვენი ვითარება არა გვკითხეს, რომელიც რომ ხელმწიფეს დაუფარეს და ჩვენი ფარდი თითონ აიღეს. ამა მიზეზისათვის რომელნიც ქვემოთ ხელს ვაწერთ ახნაურნი ჩვენის კეთილის ფიქრით თქვენ მოგმართეთ და ჩვენი თავი თქვენ შემოგავედრეთ. დღეს და დღეს იქით თქვენს მეტს აღარავის ვმსახუროთ და აღარცა ვის თქვენს განაყოფთ დავემორჩილნეთ. რადგან უწინაც ჩვენ ასეთი თავისუფალნი ვყოფილვართ, რომ რომელიც თქვენში კეთილგონიერი პატივცემული ყოფილა მეფეთაგან და მამულის ერდგული, ჩვენც მარადის იმისთანას ბატონისათვის გვიმსახურია და ახლა რადგან თქვენ გხედავთ იმისის დიდებულების ერთგულად და ქვეყნის ერდგულად, ამისთვის ჩვენი თავი და ჩვენი შვილები თქვენ ხელ ქვეშ მოგვიტანია. ვიყვნეთ თქვენნი ერთგულნი, ვითარცა არს წესი და რიგი კეთილგონიერის კაცისა სიძარტლით და ერთგულებით მოვიქცეთ. ყოველს თქვენს დასაკლის გაუფთხილდეთ და შესამატი მოგძებნოთ. სიტყვით, რჩევით და ყოვლის კეთილის საქმით თქვენს შესამატზედ დაუზარებელნი ვიყვნეთ და თქვენს მეტს თარხნის-შვილთან არც მივიდეთ და არც ვემსახურნეთ და არც დავემორჩილნეთ და რადგან სიტყვის დადება ექნება ვისმე; სამართლით პასუხი ჩვენ მიგვაცემინეთ და უსამართლოთ ნურავის გაგვაგლეჯინებთ. შეგვეწიენით, როგორც რომ თქვენი მოცემული წიგნი გვიცხადებს. თუ თქვენ წერილი და ბრძანება აღგვისრულოთ და ჩვენ თქვენზედ ვიმ-

ტყუნოთ რამე, პირველად ვიყენეთ წმიდის სამებისაგან წყეულნი ცოლით და შვილით, მერმე ხელმწიფის მუხანათნი და ყოველს ადგილს ამ ჩვენმა მართ-მეულმა წერილმა პირი დაგვიყოს. აღიწერა წელსა ჩუა, სეკდემბერს ია.

მე, ჩივაძე მღვდელი იოანე ჩემის ნებით ხელს ვაწერ. მე, წმიდის ეესტატის დეკანოზი დავით ხელს ვაწერ ჩემის ნებით. მე, იოსებ ცალქალამანიძე ჩემის ნებით ხელს ვაწერ.

ქ. მე, გაბრიელ შიხიდრის ძე ჩემის ნებით ხელს ვაწერ.

ქ. გიორგი ბაგრატიის შვილი ხელს ვაწერ ჩემის ნებით<sup>1</sup>.

№ 376. 1812 წლის მარტის 4-ს. მიბარების ბარათი მოსეს ყანდინოვისა. დედა-ნი. დაწერილია თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახ-მარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 724.

ქ. ჩემ ჩვიდმეტ კოდ პურში სამი კოდი ფეტვი მამბარდა, მარტის დ, ქკს ფ, მოსეს იაგორ ყანდინოვს.

№ 377. 1812 წ. იანვრის 29-ს. ბატონუმობის წიგნი, მიცემული გოგია ნიშნიანის მიერ ხაზა რატიშვილისადმი. დედანი. განის აშია დახიანებული აქვს ორ ადგილას. 23×14 სმ, დაწერილი ლურჯ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Qd, № 835.

ქ. ესე წიგნი მოგართვით მე ნიშნიანიძემ გოგიამ და დედაჩემა დარე<sup>4</sup> ჯამ თქვენ რატიშვილს ხაზას და ძმასა შენსა გიორგის; — ასე რომა გამი-ქირდა შიმშილობის წელიწადსა და მოველ შენთანა და მოგეც ჩემი თავი ყმად და შენ უნდა კარგად შემინახო და მარჩინო პურითა და საზღოთი (მანემდინ, როცა რიგი იყოს ჩემთინ დავსახლდებოდე, დედა ჩემი თქვენ გაჩლ-დეთ სიკვდილამდის)<sup>2</sup> და მეც, რომელიც ერთგული ყმა იყოს, ისრე გამსახუ-როთ და თქვენც, რომელიც რიგი იყოს, იმ რიგათ მამული მიბოძოთ, რომ იმით ვიცხოვრო და რომელიც მოდავე გამოჩნდეს, პასუხის გამცემი მე ვიყო. თუ რომ ჩემის ნებით გაგექცე, რომელსაც ალაღს თავის მონასყიდეს გაეყი-დოს, ისრე გამყიდე და ჯარიმაც გარდაახდევინე. არის ამისი მოწამე თავად ციმერითი კაცთაგან შთიუღეთის მოჭრავე<sup>3</sup> კობიაშვილი გლაზა და მე, მღუდელს იოსებს დამიწერია ამ ნიშნიანიძეს სიტყვით და მოწამეცა ვარ. დაიწერა ესე წიგნი იანვრის კთ, ქკს ფ.

№ 378. 1812 წ. იანვრის 30-ს. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ქარიშობელა კოსტავას მიერ დავით თარხანისადმი. დედანი. 23<sup>1</sup>/<sub>2</sub>×11 სმ, დაწერილი ლურჯ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2842.

ქ. ესე ნასყიდობის წიგნი მოგეცი მე ქარიშობელა კოსტავამ თქვენ თავადს თარხანს დავითს; — ასრე რომ გამიქირდა და შიმშილით მიკვდებოდა

<sup>1</sup> სათაური: ჩვენის სახლის კაცის ახნაურებისაგან მიღებული წიგნი.

<sup>2</sup> ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები სტრიქონს ზემოდან ჩართულია განსხვავებული მელ-ნით და აშიახეა დასრულებული.

<sup>3</sup> ორი უკანასკნელი სიტყვა ხაზგადასმულია.

ჩემი შვილი დარიჯანა და მოგვიდე ეს ჩემი შვილი დარიჯანა და ფასიც სრული გამოგართვი, როგორც გული შემიჯერდებოდა და ვინც ამისი მოდავე მოგადგეს, პასუხი ჩვენ გავსცეთ. არის ამისი მოწამე და გამრიგე ქაქუჩა პაპიძე, ამირეჯიბი მოურავი სვიმონ, მე, მლუდელს დავითს დამიწერია ამ ქრიშობელას სიტყვით და მოწამეც ვარ ამ წერილისა. იანვრის ღ, ქკს ქესაქეთ ჩყიბ.

+ +

№ 379. 1812 წ. აპრილის 8-ს. ყმობის წიგნი, მიცემული თევდორე კორასშვილის მიერ ბარძიმ ამილახორის-შვილისადმი. დედანი.  $20 \times 16\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი ლურჯ ორფურცლიან ქალღმერთ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო, ან ორ-ორი წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 14377.

ქ. ესე წიგნი მოგართვი კორას-შვილმა თევდორე კუდაროელმან თქვენს გვიის ამილახორის შვილს ბატონს ბარძიმს; — ასე რომე მოველ ჩემის ნება წადილითა და საუკუნოდ ყმად მოგეცი თავით და ცოლით ყოვლის კაცის უდაოდ და უცილებელად. ჩემთან შენს მეტს საბატონყმოდ ჰელი არავის აქვს. ამ უამს მყავს ცოლი და ცოლით გყმობივარ. შვილი არა მყავს და თუ ღმერთი შვილს მომცემს, ჩემი შვილნიც და შვილის შვილნი შენნი და შენის შვილის შვილის ყმანი იყვენ, როგორც შენნი მკვიდრნი ყმანი. ღმერთ-თმან შენს ერთგულებასა და სამსახურსა შინა ამომართოს სული. აგრევე როგორც თქვენს დიდის კაცობას შვილს ეკადრებოდეს და ჩემს გლახაკობას შეეფერებოდეს, მამულის წყალობა ინებეთ. ეს ყმობის წერილი მომართმევი. იმაში მოწამენი არიან ქარუმიძე ალექსანდრე [ ]<sup>1</sup> და ვინც ამ წერილზედ ჰელს მოაწერს მოწმობისას, მე ყაბული მაქვს. ეს ყმობის წერილი მე, ალექსოვს რეკტორს [დავით]<sup>2</sup> დავითს ამ კორას-შვილის თევდორას სიტყვით დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა აპრილის 8, წელსა ჩყიბ ქკს ფ.

სხვა ხელით: თ[ავადი] ნიკოლოზ ამილახვაროვი.

კიდევ სხვა ხელით: კორასშვილის თევდორეს ყაბულობით ამისი მოწამე ვარ იოანე თურქისტანიშვილი.

ქ. მე; თუხარელი შოურავი გოგია ამის მოწამე. ეს ჩემი ხელია.

№ 80. 1812 წ. ნოემბრის 18-ს. შვილის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ანდრია და უჩი ბედოშვილების მიერ ზაზა და გიორგი რატიშვილებისადმი. დედანი  $15\frac{1}{2} \times 10\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი ლურჯ ქალღმერთ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Qd, № 834.

ქ. ესე წიგნი მოგართვით ჩვენ საფეშლებმა ბედოშვილებმა ანდრიაშა და უჩიმ თქვენ რატიშვილებს ზაზასა და გიორგისა; — ისე რომა ჩვენის ნება ყოფლობით მოგყიდეთ ჩვენი შვილი თინათინ. ავიღევით ფასი სრული, რი-

<sup>1</sup> ნაცვალი ალექსანდრ[ე].

<sup>2</sup> ასომთავრულით.

თაც ჩვენი გული შეგჯერდებოდა. რომელიც მოდავე ამისი გამოჩნდეს პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ბედოშვილები ვიყვნეთ. ეგ ჩვენი შვილი მოგვიყიდნია, თუ გინდა] შინ იმსახურე და თუ გინდა თქვენს დას გაატანე ზითეფში. არავინ იყოს ამისი მოდავე თვინიერ ღ[ვ]თის მეტი. არის ამისი მოწამე თავად ღ[მერ]თი და კაცთაგან გაბითოშვილი გოგია მუხრანს მსახლობელი. თავდებიც და მოწამეც ეს მოგვიცია და მე, ქსოვრისში მსახლობელს მღუდელს იოსებს დამიწერია და მოწამეცა ვარ ბედოშვილების სიტყვით.<sup>1</sup> დაიწერა ესე წიგნი გიორგობისთვის იწ, ქქს ფ.

№ 381. 1813 წ. მარტის 6-ს. ბატონყმობის წიგნი, მიცემული გოგია მირზაშვილის მიერ კონსტანტინე მუხრან ბატონისადმი. დედანი. 33×20<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დაწერილი ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუზ. ფ. Hd, № 10355.

ჩვივ წელსა, მარტის 3 დღესა, ესე ბატონ ყმობის წერილი მოგართვით მე, მირზაშვილმა გოგიამ და შვილმა ჩემმა გასპარამ და ყოველთა მომავალთა ჩენთა თქვენ, თავადს ლენერალ მაიორს და კავალერს მუხრანის ბატონს კონსტანტინეს და ძმათა თქვენთა თეიმურაზს, გრიგოლს, დავითს და შვილთა თქვენთა იოანეს, ლეონს და დიმიტრის;— ასე რომე მე ჯიზიყის მოურავის ზაქარიას ყმა ვიყავ, იმისგან თავი დავიხსენ და ეს ოცდა თხუთმეტი წელიწადი არის თქვენს მამულს მუხრანში ვცხოვრობდი და რადგან ამდენი ხანი თქვენს მამულში ვიყავ, თქვენი ყმობა ნოვინდომე და ჩემი თავი ჩემის შვილით სამკვიდროთ ყმად მოგართვი, რადგან თავისუფალი ვიყავ და მოდავე არავინა მყვანდა და თუ შემდგომად ამისა ჩემი მოდავე გამოჩნდება ვინმე, პასუხი მე და ჩემმა შვილმა გავსცეთ. ამ გოგია მირზაშვილმა წერა არ იცოდა და ამის თხოვნით ეს წერილი სოლომონ მიქაძემ დავსწერე და იმის მაგიერად ჯელსაც მე ვაწერ. სოლომონ.

ქ. ამ ზემოწერილის გოგია მირზაშვილის ყაბულობით და სიტყვით დამსწერე ვარ და მოწამე ვარ სალთხუცესი იობ.

ქ. მე, ევსტათი მუხრანის ბატონის კარის მღვდელი ამ წერილის მოწამე ვარ და ზემოხსენებულის გოგია მირზაშვილის სიტყვით ხელს ვაწერ. ევსტათი.

№ 382. 1813 წ. სექტემბრის 15-ს არზა, მიცემული საქართველოს ეგზარხოს ვარლამის მიერ დავით თარხანოვისადმი. დედანი. 25×17<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დაწერილი ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. საქ. მუზ. ფ. Hd, № 10300.

ბრწყინვალეო თავადო დავით თარხანოვო, მოწყალევე ჯელმწიფევე, ჩუენ მიერ ლოცუას გიძღვნით. ჩუენის ეკლესიის სოფელს მეტეხს მცხოვრებნი ჰსჩივიან თავიანთ შეწუხებას ფონების მიზეზით. ამათ თავიანთ ფონი რომ შეინახონ, უფრო მართებულთა სხვათ ფონების შენახვას, რადგან არიან

<sup>1</sup> ორი უკანასკნელი სიტყვა ჩამატებულია სტრიქონს ზემოდან.

ამისთვის ყოველთვის შეწყუბებაში. ვთხოვთ თქვენის ბრწყინვალეებისაგან, რომ თქვენ შეწყენა მისკეთ იმათ, რომ თავიანთ ფონი შეინახონ და სხვა რიგად აღარავინ შეაწუხოსთ და აღარც ჩვენ დაგვკირდეს მიწერა სადაცა ადგილია და თქვენ მიეცით სრულება ჩვენგან მოწერილისა ამას საქმესა, რომლისათვისცა ვიქმნები მმადლობელი თქვენისა ბრწყინვალეებისა.

თქვენის ბრწყინვალეებისა სამარადისოდ მლოცველი ვარლამ ექსარხოსი საქართველოსი.

სექტემბრის იე.  
ჩყიგ წელსა.

№ 383. 1813 წლის ოქტომბრის 14-ს. ჭანცხადება, მიცემული ეგნატი და სხვ. თუმანიშვილების მიერ უზდის ისპრაენიკ კუბრაინიციისადმი. დედანი. 34 × 22 $\frac{1}{2}$  სმ, დაწერილია ეგნატი თუმანიშვილის ხელით. ვანკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუზ. ფ. Hd, № 10383.

მის მაღალს კეთილშობილებას უფალს კოლლეჟსკის ასესორს უიებდის ისპრაენიკს ივან ანდრეიჩს კრუპინიციის.

თავადთა თუმანოვთაგან

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ჩვენსა სოფელსა ჯევეთუბანში რაიცა სათხოვარი და გამოსაღები მოვა ხვალმე, არა თუ შეძლებით ერთმევათ ამა ხსენებულსა სოფელში მცხოვრებთა გლებთა, არამედ მდიდართა და გლახაკთა კაცთ ერთად სთვლიან და ისე ართმევენ ყოველს გამოსაღებსა და სათხოვარსა. ამ გზით დიდს უსამართლობაში არიან გლახაკნი ხალხნი. უმდაბლესად გთხოვთ თქვენს კეთილშობილებასა. ებრძანოსთ წერილით ჩვენსა სახლის კაცთა, რომელნიცა ზემოხსენებულს სოფელში არიან და ან აქ გორში იმყოფებიან, ყველანი თქვენმა ბრძანებამა და კაცმა შემოგვეყაროს ერთად. გარდა ამისა ხსენებულსა ზემოს სოფელსა შინა რამდენსა ძირათაც თუმანოვნი ვიმყოფებით, თავთავის წილობის გლების კაცებიდამ ენებებოდესთ ოროლი და ენებებოდეს თვითო მართებული გლები კაცნი ჩამოიყვანოს და მამასახლისიცა და ამ თქვენგან წარგზავნილმა კაცმა ეს ხსენებულნი გლებიკაცნი და მამასახლისი აქ გორში ჩვენთან შემოგვეყაროს და როგორადაც მეფეთ დროსა სურსათს გარდა გლებთ კაცთ თავისი შეძლებით ეწერათ და ისე გამოერთმეოდათ ყოველი სათხოვარი და გამოსაღები, ახლაც ამ თუმანოვთა და ამ ხსენებულ გლებებმა თავთავის შეძლებით შეაწერონ და იმ შეწერილის სიით ყოველი სათხოვარი თავთავის შეძლებისამებრ წლამდინ იმ სიით გამოურთვასთ, რომ გლახაკნი გლებნი უსამართლობით არ დაგვეკარგენ და წლის თავზე ეს ხსენებულნი თუმანოვნი, თუ გლებნი რომელნიც იმ ჟამად იმყოფებოდნენ, მაშინაც ასრევე შეიყრებოდნენ და იმ შეწერილს სიას გამოსცვლიდნენ და იმ ჟამად ვისაც რაც შეძლება ჰქონდესთ შეძლებისამებრ შეაწერონ ყოველს წლის თავს. ესრეთ იმოქმედებდნენ. თუ ააე არ იქნება, თითო ოროლი გლახა კაცნი გვეყვანან, სულ დაგვეკარგებიან,

როგორც ამ ზემოხსენებულის უსამართლობით გლეხნი ზოგნი აგვეყარნენ და დაგვეყარნენ და ზოგნი ამოგვიწყდნენ.

კოლლექსის სოვეტნიკი თავადი იგნატი თუმანოვი. კაპიტანი თქვადი გიორგი თუმანოვი.

თავადი რევაზ თუმანოვი. თავადი იოსებ თუმანოვი.

ოკტემრის იდ, დღესა ჩუიგ წელსა.

№ 384, 1813 წ. ოქტომრის 30-ს. სამართალი ანტონ ავალოვისა და გრიგოლ ვახვასოვისა ეგნატი და შიოს თუჯანოვების სარჩელის გამო. დედანი. 34,5×22 სმ, დაწერილი მოღურჯო ქალაღხე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 8340.

ჩუიგ წელსა. ოკტომრის ღ დღესა, უფალი კოლექსის სოვეტნიკი თავადი ეგნატი თუმანოვი და უფალი კოლექსის ასესორი თავადი შიოს თუმანოვი ისარჩლოდნენ ურთიერთისადმი სოფელსა ხევთუბანსა შინქა ოთხსა ადგილსა ზქედქა, რომლისათვისცა ადგვირჩიეს ჩვენ, ქვემო ამისა ხელისა მომწერელნი მოსამართლედ და შუა კაცად, რომელნიც მხევიკრნენ წერილითა ესრეთ, რომ რასაც სამართალს ჩვენ გარდავსწყვეტდეთ ორნივე მხარენი იმასუნდა დასჯერდნენ და თუ რომელიმე მხარე არ დასჯერდებოდა, იმისი საჩივარი არსად არ მიიღებოდა.

ესე ვითარისა შეკრულებისა და თხოვისამებრ მათისა მივედით სოფელსა ხევთუბანს და გავშინჯეთ წყარო ხევთუბნისა, რომელ არს ავასკუტად წოდებული და ვჰსცანით რომ ამ ავასკუტის წყაროსთან ჰქონებოდათ ძველად ბოსტნების ადგილი თავადთა თუმანიანთ და გლეხთაცა, გარნა ესე ბოსტნებისა ადგილი წამხდარა მიზეზითა ამით, რომელიცა შეუკრავს თავადს შიოს თუმანოვს მომდინარე იგი წყარო ავასკუტისა და გაუყვანია სარწყავად მამულისა თვისისა. თუმცა არა დაეშლების მორწყვა მიწისა თავადსა შიოსს მონაწილეობისა გამო წყაროსაგან, გარნა სჯულითა საქართველოს მეფის ვახტანგის სმდ რიცხვისამებრ უნდა მიგვეცემინებინა ფასი ზემო ხსენებულისა ბოსტნებისა და ჩვენის ცნობით ეს უმფრო დამძიმდებოდა. ამის მიზეზით ეს ასე გადავსწყვიტეთ: თავადმა შიოს თუმანოვმა ამ რიცხვიდამ მათისს გასულამდინ ასე რიგად უნდა გააკეთოს ეს ახალი ზევით აწეული რუ, რომ ვითარცა ძველად ეს საბოსტნეები ყოფილა, ახლაც ისე თვისმან პატრონებმან მოიხმარონ და არც სოფელს სასმელი წყალი წაუხდესთ და სადაც უწინ თავადი ეგნატი თუმანოვის წისქვილის რუს წყალი შეჰყარია, იქვე შეეყაროს, რომ შორს წაყვანითა და დაგვიანებით წისქვილი არ მოუცდეს და თუ ასე ვერ გააკეთებს, მაშინ სადაც ძველად წყალი დენილა და ბუქულაც ბრუნებია, იმაზედ გაიყვანოს, რომელიც გვაჩვენა თავადმა იოსებ თუმანოვმა და მუნ მცხოვრებელთა გლეხთაცა, რომ სადაც ბელტის ციხე ყოფილა და მასთან თხრილი, იმ თხრილს ზევიდამ უნდა შეუკრას ღობეს შიგნიდამ და როგორც

დენილა ისე გაიყვანოს და როგორც ზევით დაგვიწერია თუ ისე გააკეთა, ვერც იმას დაუშლიან. მაგრამ იმ ვადამდინ უნდა ეცადოს შემდგომად აღარ იქნება. გრიგოლ ვახვახოვი, ანტონ.

ბ

მეორეს პუნქტით არჯევანიძის ვენახის საურმე გზაზე და ეგრეთვე მესამეს პუნქტით ამავე არჯევანიძის ვენახის ადგილიდამ რამდენსამე აღლს მიწაზედ დაობდნენ. ესეც გავსინჯეთ და ორთა მოღავეთა სიტყვით და სხვათა თუმანიანთ თანადასწრებით შიომ თუმანოვის ზვრის საწნახელს უკან დასავლეთის მხარეს ხუთი ადლი გზათ გადმოვზომეთ და ვნახეთ, რომ ორიოდ ადლი არჯევანიძის მიწილამ შიომის ზვრისაკენ შემატებული იყო და ამ ხუთს აღლს გზას აქეთ დასავლეთის მხარეს ელიზბარიანთ ზვრამდინ რაც მიწა რჩებოდა, ამისი ნახევარი თავადი ეგნატი თუმანოვისა იყო და ნახევარი ჭილაძისა. მაგრამ რადგან ეს არჯევანიძის მიწა შიომის მხარეს რჩებოდა, რომლითაც შფოთი არ დასცხრებოდა, ჩვენ ამისის მიზეზით ეს არჯევანიძის მიწა თავადს შიომ თუმანოვს დავანებეთ და მივეციით. აგრეთვე სამაგიეროდ ამისა, რომელიც თავადი ეგნატი თუმანოვის წისქვილის წინ მიწა სძევს თავადი შიომ თუმანოვისა, ის მიწა თავადს ეგნატი თუმანოვს მივეციით: თავი ჩრდილოეთის მხარეს იოსებ თუმანოვის ვენახის ბოლომდინ, სადაცა აქვს ლია, ბოლო სამხრეთით ჯიმშიტაანთ მიწის თავამდინ, ერთი გვერდი აღმოსავლეთით თვით ეგნატი თუმანოვს წისქვილის რუმდინ და მეორე გვერდი თვით შიომ თუმანოვის ხოდაბუნამდინ, სადაცა სხედს ნერგები. ეს ასე გადავსწყვიტეთ, რომ ამაში დავა აღარა ჰქონდეთ. ახლა საურმე გზა, როგორც შიომის ზვარსა და ელიზბარიანთ ზვარში შემოვა, ისე არჯევანიძისა და ჭილაძის ვენახში უნდა შემოვიდეს. გრიგოლ ვახვახოვი, ანტონ<sup>1</sup>.

დ

მეოთხე პუნქტით წისქვილის გზაზე რომ ლაპარაკობდნენ, ეს დიდათ გამოვიძიეთ, მაგრამ ამისი ვერც წერილი და ვერც სარწმუნო მოწამე ვერ ვიპოვნეთ, რომ ამ წისქვილის გზა ძველად სადაც ყოფილა ის შეგვეტყო. თუმცა იოსებ თუმანოვი სიტყვით გვარწმუნებდა, რომ როდესაც ჩემი გარდი-გარდმო მიწა და ზევითი აღმა სახნავი მიწა ერთმანეთს შევეერთე და ზვრად შემოვლობე, მაშინ თავადი ეგნატი თუმანოვის წისქვილის საურმე გზა ჩემის ზვრის ბოლოში ჩემის მამულიდამ დავაგდეო და ჩვენის გასინჯვითაც ასე შევიტყვევით, რომ ერთი საურმე გზა დაეგდო, მაგრამ ამისიც ასე განვაჩინეთ, რომ რომელიც ზემოხსენებული მიწა მიეცა თავადს ეგნატი თუმანოვს აღმოსავლეთით. წისქვილის გზამ იქით უნდა ჩაიაროს და თავის მიწას<sup>2</sup> რომ გასცდება და შიომ თუმანოვის მიწაში რომ მივა, იქილამ შიომ თუმანოვმა უნდა მისცეს საურმე გზა გორის გზამდინ, რომელიც არის ხევთუბნის შარა. ჩვენ ორისავე უშფოთელობისათვის ჩვენის კემშარტის გონებით და სამართლის გვართ ასე გადავსწყვიტეთ. ორი ამისთანა გარდაწყვეტილობა დავსწერეთ, ერთი თა-

<sup>1</sup> მესამე პუნქტი დედანში გამოტოვებულია.

<sup>2</sup> ჩამატებულია ჩტრიქონს ზემოდან.

ვადს ეგნატი თუმანოვს მიეცით და ერთი თავადს შიოშ თუმანოვს. დაიწე-  
რა ჩვივ წელსა, ოკდონბრის ლ დღეს.

სოვეტნიკი თ[ავად]ი გრიგოლ ვახვახოვი.  
მსაჯული თავადი ანტონ ავალოვი.

№ 385. 1814 წ. დეკემბრის 8-ს. გარდაწყვეტილობის წიგნი მოსამართლეების  
დავით თარხან-მოურავისა, ანტონ ავალოვისა და გრიგოლ ვახვახოვისა ეგნატი  
და შიოშ თუმანოვების საქმეზე. პირი. ორი ფურცელი 35<sup>1</sup>/<sub>2</sub> × 21 სმ, დაწერილი. თეთრ  
ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია მძი-  
მე. საქ. მუზ. ფ. Hd, № 8387.

პირი განაჩენისა.

ჩვიდ წელსა, დეკემბრის 8 დღესა, უფალი კოლლესკის სოვეტნიკი თა-  
ვადი ეგნატი თუმანოვი უჩიოდა კოლლესკის ასესორს თავადს შიოშ თუმან-  
ოვს სოფელსა ხევთუბანსა შინა ოთხსა ადგილსა ზედა. ხოლო ესე საჩივარი  
მიწვენილიყო უფლის გორის ოკრუჟენის ნაჩაღნიკის ადამ სამოველიჩის რე-  
ინგერისადმი, რომლისათვის იმ ჟამად მიგვიწოდეს ჩვენ ქვემო ამ წერილისა  
ხელის მომწერნი ამ ხსენებულთა ორთა მოდავეთა თავადთა და უფალმან ნა-  
ჩაღნიკმა და გვთხოვეს მრავლისა იძულებით ამ ხსენებულთ თავადთ თვის  
შორის მოსამართლედ ყოფა, ვითარცა შეიკრნენ ჩვენთან წერილით და მოგვ-  
ცეს ხელის წერილი ესე ვითარითა სახითა, რომელსაც სამართალს ჩვენ გარ-  
დავსწყვეტთ ორნივე მხარენი იმას უნდა დასჯერდნენ.

ამ ხსენებულთა თავადთა თვისითა კეთილის ნებით მიგვიყვანეს ჩვენ  
მათგან გამორჩეულნი მოსამართლენი სოფელსა ხევთუბანსა შინა და გვიჩვე-  
ნეს თვისი სადაო ადგილები.

მივედით და გავშინჯეთ წყარო ხევთუბნისა, რომელ არს ავასკუტად წო-  
დებული და ვცანით, რომ ამ ავასკუტის წყაროსთან ხევს გაღმა და გამოღმა  
ჰქონებიათ ძველათ ზოსტნების ადგილი თავადთა თუმანიანთ და გლეხთაცა.  
გარნა ესე ზოსტნების ადგილი წამხდარა მიზეზითა მით, რომელიც შეუკრავს  
თავადს შიოშ თუმანოვს მომდინარე იგი წყარო ავასკუტისა და სხვა წყარო-  
ები, რომელიცა მომდინარეებს ზემოხსენებულს ხევზედ და გაუყვანია სარწყა-  
ვად მამულსა თვისსა. თუმცა არა დაემოწმებინა მორწყვა მიწისა თავადს შიოშ  
თუმანოვს მონაწილეობისაგამო წყაროთაგან, გარნა რადგანაც ძველნი იგი სა-  
ზოსტნე ადგილები წამხდარი აღარად სახმარ იყო და ამისთვის ჯეროვნად  
სჩნდა, რათა საქართველოს მეფის ვახტანგის სმდ რიცხვისამებრ ზემოხსენე-  
ბულის საზოსტნეების ფასი უნდა მიგვეცემინებინა და წყალი გაეყვანა. მაგ-  
რამ ეგოდენ საჭიროდ ვერ ვნახეთ, რომ ამისი ფასი მიგვეცემინებინა და ჩვე-  
ნის ცნობით ამისი ფასი უფრო მიძიდებოდა და ამისის მიზეზით ეს ასე

<sup>1</sup> ჩამატებულია სტრიქონს ზემოდან.

გადავსწავიტეთ: თავადმა შიომ თუმანოვმა ამ რიცხვიდამ მომავალს დეკემბრის 17 რვამდინ, ერთი წელიწადი ვადა არის, ამ ვადამდინ ასე რიგბთ უნდა გააკეთოს ეს ახალი ზევით აწეული სარწყავი რუ, რომ როგორადაც უწინ ძველად ეს საბოსტნეები სახმარად ყოფილა, ახლაც ისევ თავისმა პატრონებმა მოიხმარონ და არც სოფელს სასმელი წყალი წაუხდესთ და სადაც უწინ თავადის ეგნატი თუმანოვის წისქვილის რუს წყალი შეჰყრია მომდინარეს ხევისა, ისევ იქვე შეეყაროს, რომ შორს წაყვანით და დაგუბებით წისქვილი არ მოუცდეს. და თუ ასე ვერ გააკეთებს თავადი შიომ თუმანოვი, მაშინ, სადაც ძველად ხეზედ წყალი დენილა და ამავე ხევის წყლით ჰიკარტაშვილს ბუქტულა ბრუნებია, იმაზედ გაიყვანოს, როგორც გვაჩვენა თავადმა იოსებ თუმანოვმა და მუნ მცხოვრებელთა გლებთაცა, სადაც ბელტის ციხე ყოფილა დამას გარეშემო თხრილი ჰქონებია, იმ თხრილის ქვევითის პირიდამ რომ ჰქონია წაყვანილი წყალი ჰიკარტაშვილს თავისის ბუქტულისათვის და არა სხვა მიწისათვის შორს მოსარწყავად, ისევ იქიდამ უნდა წაიყვანოს და ზევით რომ დაგვიწერია იმ ვადამდინ თუ ისე გააკეთა, იმას უნდა დასჯერდნენ და თუ იმ ვადამდინ ვერ გააკეთა, შემდგომად აღარ იქმნება, ძველს მდგომარეობაზედ დარჩება, როგორც დაგვიწერია. დავით.

## ბ

მეორე პუნქტით არჯევანიძის საურმე გზაზე და აგრეთვე მესამეს პუნქტით ამავე არჯევანიძის ვენახის ადგილიდამ რამდენსამე ადლს მიწაზე ეგნატი თუმანოვი რომ დაობდა, ესეც გავსინჯეთ, რომ რამდენიმე ადლი მიწა არჯევანიძის ნავენახობიდამ შიომის ზვარში იყო შემატებული თავიდამ ბოლომდინ და ამის პასუხად შიომ თუმანოვმა სთქვა: ამ ზვარის ძველის საწნახლის უკანა მხრიდამ დასავლეთისაკენ ხუთი ადლი გზა მიგვიცია ჩვენის სახლის კაცისათვის, რომ ამისი ბარათი მაქვსო და თუ იმაზე მეტი დარჩება რამე, ის არჯევანიძისა იქნებაო. ჩვენ ამისი ბარათი მოვსთხოეთ შიომ თუმანოვს და იმ ბარათის პარი მოგვიტანა თავეთის ოჯახის ძველის გაყრილობისა, რომელშიდაც ესრეთ სწერს: „ერთს წილად ქვემო ზვარში მეოთხედი მდივანს გივს რომ ერგო, იმის ბოლოს ერგო შიომის შეილებს და მანუჩარს. საწნახლის შენობა თავისის საქაჯავის ქვებით და თალრით მდივანმა და მანუჩარ შუა გაიყონ. საწნახლის ალაგი მდივანისაა, გზა საერთოდ ამ სიგძეზედ გაგვიშვია ხუთი ადლიო“. ეგნატი თუმანოვი ამის პასუხად ამბობდა: ამ ბარათში საწნახლისას არც ერთს გვერდს გზათ არ ახსენებსო. ეს ორმოცდაათი წელიწადი მეტი იქმნება შიომ თუმანოვის-გაუყრელმან სახლის კაცმან ნიკოლაოზ თუმანოვმა და სულხან მდივანის შვილმა გიორგიმ ეს საერთო ზვარი შემოლობეს. თუ მართლა შიომ თუმანოვის-გაყრილს სახლის კაცს ლიპარიტიშვილს საწნახელს უკან გზა ჰქონდა მიცემული, რასათვის ის გზა ღობეს გარეთ არ დაგდესო, რომ თავის ვენახში იქიდამ შესულიყო? მანამ ეს ლიპარიტიშვილი გიორგი გარდაიცვლებოდა ამ საერთოს ზვარზე დასქონდაურემი და კაცნიც ამაზედა ვილოდნენო, რადგანც ამ საერთო ზვარის ბოლო რგებოდა წილში და ეს ხსენებული გიორგი ჰფლობდა თავის წილს ვენახსა

და ეს გიორგი რომ გარდაიცვალა მასუკან ამ გიორგის შვილი ზურაბს ისევ ამავე საერთოს ზეარზე ჰქონდა გზა და ამ ზურაბის გარდაცვალების შემდგომად ამ ზურაბის შვილებსაც ამავე ზეარზედ აქვსთ დღესაც გზა და ზემოხსენებული შიომის სახლის კაცნი ათი თხუთმეტი წელიწადი იქნება გარდაცვალნენ და მას აქეთ ეს ზეარი ამათ უჭირამსთ, რატომ ან იმ გარდაცვალებულთ თავეთს სიცოცხლეში არ დაუშალეს ზეარში სიარული და თავეთი ბარათში ნარგები გზა არ უჩვენეს, რომ დღესაც თვით ამ შიომ თუმანოვის დროსაც ზეარში დაიარებინან და ურემიც შიგ ზეარში დააქვსთ და თუ ეს ბარათი სწორეთ საწნახელს უკან ნიშნევდეს, უთუოდ ზეარში აღარ გაატარებდნენო. მაგრამ რაც ამ საწნახელს უკან სიგძეზე შემატებული მიწა არის, სულ ჩემის არჯევანიძისა არისო. ჩვენ რომ ეგნატი თუმანოვისაგან ეს საბუთები მოვისმინეთ და ეს ბარათიც გავსინჯეთ, რადგან ცხადათ არც საწნახელს უკან ეწერა გზა და არც წინ, ამისთვის საეჭვოთ აღგვიჩნდა და თუმცა ხუთი ადლი საწნახელს უკან გადმოვზომეთ, მაგრამ რამდენიმე ადლი კიდევ მეტი ჩნდა შემატებული არჯევანიძის ნავენახობიდან შიომის ზეარში ძველის საწნახლის მხარეს, რომელიც შეუღობავს განსვენებულს ნიკოლაოზ თუმანოვს და ვსცანით ჩვენ, რომ ამ ზერის ღობეს შიგნიდან შემატებული ხსენებული მიწა თავიდან ბოლომდინ თავადს ეგნატი თუმანოვს ეკუთვნოდა. მაგრამ რადგან ამ მიწების სამძღვრების შემშლელად გარდაცვალებული ნიკოლაოზ თუმანოვი ჩნდა და იმ ჟამის რიცხვში შიომ თუმანოვს ამისი ვითარების ცნობა არ ექმნებოდა, ამისთვის ველარც ეს ღობე მოვაშლევინეთ და რადგან ეს არჯევანიძის ნავენახობი თავადის შიომ თუმანოვის და მანუჩარ თუმანოვის ზეარს ეკრა, ამ მიზეზებით და ამათის უმფოთველობისათვის ეს არჯევანიძის ნავენახობი მიწა, რა ერთიც არის, თავიდან ბოლომდინ თავადს შიომ თუმანოვს და თავადს მანუჩარ თუმანოვს დავანებეთ და ამ ნავენახობის მიწის სამაგიეროდ ეგნატი თუმანოვის წისქვილის წინ შიომ თუმანოვისა და მანუჩარის ხოდაბუნის ნაჭერი მიწა რომ ძვეს, ის მიწა თავადს ეგნატი თუმანოვს მივეციით და ყოვლითურთ ერთმანერთის უფოთს მოვაშორეთ ამ საქმეში. ამ მიწის ნიშანი არის: თავი ჩრდილოეთისაკენ თავადის იოსებ თუმანოვის ზერის მიდგამდინ, სადაც რომ ღია აქვს ნიშნად, ბოლო სამხრეთისაკენ თუმანიშვილის ზურაბის გარდიგარდმო მიწის მიდგამდინ, რომ ამ გარდიგარდმო მიწის თავი მიადგება ხეესა, ერთი გვერდი აღმოსავლეთის მხარეს თავადის ეგნატი თუმანოვის მიწის პირზე მცირე ნაწური წყალი რომ მომდინარეებს და კიდევ ამისვე რუს წყალი რომ მომდინარეებს, იმის მიდგამდინ და მეორე გვერდი დასავლეთის მხარეს თვით თავადის შიომ თუმანოვისა და თავადის მანუჩარ თუმანოვის ხოდაბუნის მიდგამდინ, რომელიც არის ეს მოცულილი მიწა ამ ხსენებულის ხოდაბუნის ნაჭერი. ამ მიწის სიგძის ზომა არის ადლი ორას ოცდა ორი. ამ მიწისავე თავის სიგანე ზომა არის ოთხმოცი ადლი. შუა წელის განის ზომა არის სამოცდა თექვსმეტი ადლი და ბოლოს განის ზომა არის სამოცდა ოთხი ადლი. ეს შემოფარგლული მიწა ამ ადლების საზომით და სამძღვრებით მივეციით თავადს ეგნატი თუმანოვს და ასე გადავსწყვიტეთ, რომ ამაში ამ საქმეზე სადაო და საშფოთველი აღარა ჰქონდესთ რა

ერთმანერთთან და ამ პუნქტში ხსენებული საურმე ორღობე გზა, საიღამაც ძველად ჰქონებიათ თავადის შიომ თუმანოვისა და მანუჩარის ზვარს, ეგრეთვე თუმანიშვილის ელისბარის-შვილის ზვარსა და არჯევანიძისა და ქილდის ნავენახობს, ახლაც ისევ იმ გზიღამ უღდა იარღონ ამ ოთხის ხსენებუღლის მამუღლის პატრონებმა კაცმა და ურემმა. ღავით<sup>1</sup>.

## ღ

მეოთხის პუნქტით წისქვიღის გზაზე რომ ღაპარაკობღნღნ, ეს საქმე ღიღათ გამოვიღიღეთ, მაგრამ ამისი ვერც წერიღი და ვერც სარწმუნო მოწაშე ვერ ვიპოღეთ, რომ ამ წისქვიღის გზა ძველად საღაც ყოღიღა ის შეგვეცყო. თუმცა თავაღი იოსებ თუმანოვი სიტყვიღთ გვარწმუნებღა ასე, რომ როღღესაც ეს ღემი გარღიგარღმო მიწა და ზევიღთი აღმა სახნავი მიწა ერთმანერთს შევეერთე და ზვრად შემოვღობე, მაშინ თავაღის ეგნატი თუმანოვის წისქვიღის საურმე გზა ღემის ზვრის ბოლოში ღემის მამულიღამ ღავაღღეღო, ამისთვის რომ, რაღღან ღემსა და ეგნატის გაყრამღინ ღვენს ერთობამ ღვენის გარღიგარღმოს მიწიღამ ღავიღოღით ამ ღემის განაყოღის ეგნატი თუმანოვის წისქვიღში და სხვა გზა არსად ღნღა. როღღესაც ეს გარღიგარღმო მიწა მე მერგო საშუაღს ამ მიწისა გზა მოვსპე და ეს გზა მე ღავაღღეღო, რომელიც ღღეს წისქვიღის გზათ ძვესო. და თუმცა კიღეც ღნღა, რომ ერთის ურმის გზა ღავეღო, მაგრამ ისევ იმ იოსების ზვრის ღობის თხრიღის მიზეზით გზა ღიღათ შევიწროებუღი იყო და გზის სივიწროვისგან თავაღის შიომ თუმანოვისა და თავაღის მანუჩარ თუმანოვის ხოღაბუღის თავი ურმის ტარებით ბეერი წახღეღოღა და ამაზეღაც ყოვეღთვის შფოთი ექმნებოღათ. ამისთვის ესეც ასე გარღავსწყვიტეთ: რომელიც ზემოხსენებუღი მიწა მივეციღთ თავაღს ეგნატი თუმანოვს აღმოსავღეთისაკენ, იმ მიწას აქეთ დასავღეთის მხრისაკენ თავაღის შიომ თუმანოვისა და თავაღის მანუჩარ თუმანოვის ხოღაბუღი რომ არის და ამ ხოღაბუღის გვერღზეღ დასავღეთის მხარეს ხევეთუღნიღამ გორის შარა გზა რომ ღამოივღის, იმ შარა გზიღამ ამავ ხოღაბუღის ბოლოზეღ ამავ ხოღაბუღის მიწაში ხუთი აღღი საურმე გზა ეგნატის წისქვიღს მივეციღთ, რომ ამ გზიღამ უღდა იარღს ეგნატის წისქვიღში ურემმა, თუ კაცმა და რომელიც იოსებ თუმანოვს თავის ეგნახის ბოლოზე გზათ ღავეღო, ის თავაღს შიომ თუმანოვს და თავაღს მანუჩარ თუმანოვის ხოღაბუღის თავს უღდა შეემატოს ღობემღინ და ღღეის შემღგომად ამ ღვენგან გარღაწყვეტიღს საღაოს საქმეზეღ ასე უღდა დასჯერღნღნ. ღავით.

ღვენ ორისავ მოღავეთ მშვიღობისათვის ასე გარღავსწყვიტეთ. ამ გარღაწყვეტიღობისა ორი წერიღი ღავსწერეთ, ორივე ერთი სახე, ერთი თავაღს ეგნატი თუმანოვს მივეციღთ და მეორე თავაღს შიომ თუმანოვს და თავაღს მანუჩარ თუმანოვს, რომღისათვის ხელს ვაწერთ.

თავაღი ღავით თარხან მოურაოვი.

თავაღი ანტონ ავაღოვი.

თავაღი გრიგოღ ვახვახოვი.<sup>2</sup>

<sup>1</sup> მესამე პუნქტი ღეღანში ღამოტოვებუღია.

<sup>2</sup> სათური: ღვენი და შიომის საღაოს საქღის განაღენის პირი არის.

№ 386. 1814 წ. დეკემბრის 8-ს. განჩინების წიგნი, ეგნატ და შიოშ თუმანოვების რუსა, ვენახისა და წისქვილის სარხელის საქმეზე. პირო, გადაწერილი მოლურჯო ქალაღზე მხედრული ხელით. სამი ფურცელი. საქ. მუზ. ფ. Hd, № 7384.

ჩვიდ წელსა, დეკემბრის 8 დღეს უფალი კოლესკის სოვეტნიკი თავადი ეგნატი თუმანოვი უჩიოდა უფალს თავადს კოლესკი ასესორს შიოშ თუმანოვს სოფელსა ხევთუბანსა შინა ოთხსა ადგილსა ზედა. ხოლო ესე საჩივარი მიწვენილ იყო უფალი გორის ოკრუჟნის ნაჩალნიკის ადამ სამოელიჩის რეინგერიისადმი, რომლისათვის იმ ჟამად მიგვიწოდეს ჩვენ, ქვემო ამ წერილის ხელის მომწერნი ამ ხსენებულთა ორთა მოდავეთა თავადთა და უფალმა ნაჩალნიკმა და გვოხოვეს მრავლის იძულებით ამ ხსენებულთა თავადთათვის შორის მოსამართლედ ყოფა, ვითარცა შეიკრნენ ჩვენთან წერილით და მოგვცეს ხელის წერილი ესე ვითარითა სახითა, რომელ რასაც სამართალს ჩვენ გარდავსწყვეტთ, ორნივე მხარენი იმას უნდა დასჯერდნენ.

ამ ზემოხსენებულთა თავადთა თვისითა კეთილის ნებით მიგვიყვანეს ჩვენ, მათგან გამორჩეულნი მოსამართლენი სოფელსა ხევთუბანსა შინა და გვიჩვენეს თვისი სადაო ადგილები.

5

მივედით და გავშინჯეთ წყარო ხევთ უბნისა, რომელ არს ავასკუტად წოდებული და ესცანიოთ, რომ ამ ავასკუტის წყაროსთან ხევს გაღმა და გამოღმა ქქონებით ძველად ბოსტნების ადგილი თავადთა თუმანიანთა და გლეხთაცა. გარნა ესე ბოსტნების ადგილი წამხდარა მიზეზითა მით, რომელიც შეუკრავს თავადს შიოშ თუმანოვს მომდინარე იგი წყარო ავასკუტისა და სხვა წყაროები. რომელიც მომდინარებს ზემოხსენებულს ხევზედ და გაუყვანია სარწყავად მამულსა თვისსა. თუმცა არა დაეშლებს მორწყვა მიწისა თავადს შიოშ თუმანოვს მონაწილეობისა გამო წყაროთამან, გარნა ერთგან ძველნი იგი საბოსტნე ადგილები წამხდარი აღარად სახმარ იყო. ამისთვის ჯეროვანად სჩნდა, რათა სჯულით საქართველოს მეფის ვახტანგის სმდ რიცხვისამებრ ზემოხსენებულის საბოსტნეების ფასი უნდა მიგვეცემინებინა და წყალი გაეყვანა, მაგრამ ეგოდენ საჭიროდ ვერ ვნახეთ და ჩვენის ცნობით ამისი ფასი უმფრო მძიმდებოდა ამისის მიზეზით, რომ ამისი ფასი მიგვეცემინებინა. ეს ასე გარდავსწყვიტეთ: თავადმა შიოშ თუმანოვმა ამ რიცხვიდამ მომავალის დეკემბრის 8 რგამდის, ერთი წელიწადი ვადა არის, ამ ვადამდის ასე რიგათ უნდა გააკეთოს ეს ახალი ზევით აწეული სარწყავი რუ, რომ როგორადაც უწინ ძველად ეს საბოსტნეები სახმარად ყოფილა, ახლაც ისე თავისმა პატრონებმა მოიხმარონ და არც სოფელს სასმელი წყალი წაუხდეს და სადაც უწინ თავადი ეგნატი თუმანოვის წისქვილის რუს წყალი შეჰყრია მიმდინარეს ხევს, იქავ შეეყაროს, რომ შორს წაყვანით და დაგუბებით წისქვილი არ მოუცდეს და თუ ასე ვერ გააკეთებს თავადი შიოშ თუმანოვი, მაშინ სადაც ძველად ხევზე წყალი დენილა და ამავე ხევის წყლით კიკარტაშვილს ბუქულა

სბრუნებია, იმაზედ გაიყვანოს, როგორც გვიჩვენა თავადმა იოსებ თუმანოვმა და მუნ მცხოვრებელთა გლახთაცა, სადაც ბელტის ციხე ყოფილა და მის გარეშემო თხრილი ჰქონია, იმ თხრილის ქვევითის პირიდან რომ ქონებია წაყვანილი წყალი ქიკარტაშვილს თავისის ბუჭულისათვის და არა სხვა მიწისათვის შორს მოსარწყავად, ისევ იქიდან უნდა წაიყვანოს და ზევით რომ დაგვიწერია იმ ვადამდინ თუ ისე გააკეთა, იმას უნდა დასჯერდნენ და თუ იმ ვადამდინ ვერ გააკეთა, შემდგომად აღარ იქნება, ძველს მდგომარეობაზე დარჩება, როგორც დაგვიწერია.

ბ

მეორეს პუნქტით არჯევანიძის ვენახის საურმეს გზაზედ და აგრეთვე მესამეს პუნქტით ამავე არჯევანიძის ვენახის ადგილიდან რამდენსამე ადლს მიწაზე ეგნატი თუმანოვი რომ დაობდა, ესეც გავშიჯეთ, რომ რამდენიმე ადლი მიწა არჯევანიძის ნავენახობიდან შიომის ზვარში იყო შემატებული თავიდან ბოლომდინ და ამის პასუხად შიომ თუმანოვმა სთქვა: ამ ზვრის ძველის საწნახლის უკანა მხრიდან დასავლეთისაკენ ხუთი ადლი გზა მიგვიცია ჩვენის სახლის კაცისათვის, რომ ამისი ბარათი მაქვსო და თუ იმაზე მეტი დარჩება რამე, ის არჯევანიძისა იქნებაო. ჩვენ ამისი ბარათი მოვსთხოვეთ შიომს თუმანოვს და იმ ბარათის პირი მოგვიტანა თავეთის ოჯახის ძველის გაყრილობისა, რომელშიდაც ესრეთ სწერს: „ერთ წილად, ქვემო ზვარში მეოთხედი მდივანს გივს რომ ერგო, იმის ბოლოს ერგო შიომის შვილებს და მანუჩარს. საწნახლის შენობა თავისის საქაჯავის ქვებით და თაღრით მდივანმა და მანუჩარ შუა უნდა გაიყონ. საწნახლის ალაგი მდივანისაა, გზა საერთოდამ სიგძეზე გაგვიშვია ხუთი ადლი“. ეგნატი თუმანოვი ამის პასუხად ამპობდა: ამ ბარათში საწნახლისას არც ერთს ვეგრდს გზათ არ ახსენებსო, ეს ორმოცდა ათი წელიწადი მეტი არის შიომ თუმანოვის გაუყრელმან სახლის კაცმა ნიკოლოზ თუმანოვმა და სულხან მდივანის შვილმა გიორგიმ ეს საერთო ზვარი რომ შემოლობეს, თუ მართლა შიომ თუმანოვის გაყრილს სახლის კაცს ლიპარიტის შვილს საწნახელს უკან გზა ჰქონდა მიცემული, რასათვის ის გზა ლობეს გარეთ არ დაუგდეს, რომ თავის ვენახში იქიდან შემოსულიყო? მანამ ეს ლიპარიტის შვილი გიორგი გარდაიცვალბოდა ამ საერთოს ზვარზე დაჰქონდა ურემიცა და კაცნიც ამაზე დავიდოლდნენ, რადგანც ამ საერთო ზვრის ბოლო რგებოდა წილში და ეს ხსენებული გიორგი ფლობდა თავის წილს ვენახსა და ეს გიორგი რომ გარდაიცვალა, მასუკან ამ გიორგი შვილს ზურაბსაც ისევ ამავე საერთო ზვარზე ჰქონდა გზა და ამ ზურაბის გარდაცვალების შემდგომად ამ ზურაბის შვილებსაც ამავე ზვარზე აქვსთ დღესაც გზა და ზემოხსენებულნი შიომის სახლის კაცნი ათი-თუთხმეტი წელიწადი იქნება გარდაიცვალდნენ და მას აქეთ ეს ზვარი ამათ უჭირავსთ რატომ ან იმ გარდაცვალებულთ თავეთ სიცოცხლეში არ დაუშალეს ზვარში სიარული და თავეთი ბარათში ნარგები გზა არ უჩვენეს, რომ დღესაც თვით ამ შიომ თუმანოვის დროსაც ზვარში დაიარებიან და ურემიც შიგ ზვარში დააქვსთ და თუ ის ბარათი სწორედ საწნახელს უკან ნიშნევდეს, უთუოდ ზვარში აღარ

გაატარებდნენო, მაგრამ, რაც ამ საწინახელს უკან სიგრძეზედ შემატებული მიწა არის, სულ ჩემის არჯევანიძისა არისო. ჩვენ რომ ეგნატი თუმანოვისაგან ეს საბუთები მოვისმინეთ და ეს ბარათიც გავშინჯეთ, რადგან რომ ცხადათ არც საწინახლის უკან ეწერა და არც წინა ამისთვის საეკოდ აღგვიჩნდა და თუმცა ხუთი ადლი საწინახელს უკან გადმოვზომეთ, მაგრამ რამდენიმე ადლი კიდევ მეტი ჩნდა შემატებული არჯევანიძის ნავენახობიდან შიომის ზვარში ძველის საწინახლის მხარეს, რომელიც შეულობავს განსვენებულს ნიკოლაოზ თუმანოვს და ვსცანიით ჩვენ, რომ ამ ზვარის ღობეს შიგნიდან მაგრამ რადგან ამ მიწების სამძღვრის შემშლელად გარდაცვალებული ნიკოლაოზ თუმანოვი ჩნდა და იმ ქამის რიცხვში შიომ თუმანოვის არსი ვითარების ცნობა არ ექნებოდა, ამისთვის ველარც ეს ღობე მოვაშლევინეთ და რადგან შემატებული ხსენებული მიწა თავიდან ბოლომდინ თავადს ეგნატი თუმანოვს ეკუთნოდა და რადგან ეს არჯევანიძის ნავენახობიც თავადის შიომ თუმანოვისა და თავადი მანუჩარ თუმანოვის ზვარს ეკრა, ამ მიზეზებით და ამათის უშფოთველობისათვის ეს არჯევანიძის ნავენახობი მიწა, რა ერთიც არის, თავიდან ბოლომდინ თავადს შიომ თუმანოვსა და თავადს მანუჩარ თუმანოვს დაეანებეთ და ამ ნავენახობის მიწის სამაგიეროდ ეგნატი თუმანოვს წისქვილის წინ შიომ თუმანოვისა და მანუჩარის ხოდაბუნის ნაჭერი მიწა რომ ძვეს, ეს მიწა თავადს ეგნატი თუმანოვს მივეციოთ და ყოვლითურთ ერთმანერთის შფოთს მოვაშორეთ ამ საქმეში. ამ მიწის ნიშანი არის: თავ ჩრდილოეთისაკენ იოსებ თუმანოვის ზვარის ბოლოს მიდგამდინ, სადაც რომ არა აქვს ნიშნად, ბოლო სამხრეთისაკენ თუმანიშვილს ზურაბას გარდიგარდმო მიწის მიდგამდინ, რომ ამ გარდიგარდმო მიწის თავი მიადგება ხევსა, ერთი გვერდი აღმოსავლეთის მხარეს თავადი ეგნატი თუმანოვის მიწის პირზედ მცირე ნაწური წყალი რომ მომდინარეებს და კიდევ ამისივე წისქვილის რუს წყალი რომ მომდინარეებს, იმის მიდგამდინა და მეორე გვერდი დასავლეთის მხარეს თვით თავადი შიომისა თუმანოვისა და თქვად მანუჩარ თუმანოვის ხოდაბუნის მიდგამდინ, რომელიც არის ეს მოცვლილი მიწა, ამ ხსენებულს ხოდაბუნის ნაჭერი. ამ მიწის სიგრძე ზომა არის ადლი ას ოთხმოცდა ორი. ამ მიწისვე თავის სიგანე ზომა არის ოთხმოცდა ექვსი ადლი. შუა წელის განის ზომა არის სამოცდა თექვსმეტი ადლი და ბოლოს განის ზომა არის სამოცდა ცხრამეტი ადლი. ეს შემოფარგლული მიწა ამ ადლების საზომით და სამძღვრებით მივეციოთ თავადსა ეგნატი თუმანოვს და ასე გარდავსწყვიტეთ, რომ ამაში ამ საქმეზე სადაო და საშფოთველი აღარა ჰქონდესთ რა ერთმანერთან და ამ პუნქტში ხსენებული საურმე ორღობე გზა, საიდანაც ძველად ჰქონებიათ თავადის შიომისა და მანუჩარის ზვარს, ეგრეთვე თუმანიშვილს ელიზბარის შვილის ზვარსა და არჯევანიძისა და ქილაძის ნავენახობს, ახლაც ისევ იმ გზიდან უნდა იარონ ამ ოთხის ხსენებულის მამულისა პატრონებმა კაცმა და ურემმა<sup>1</sup>.

## დ

მეოთხეს პუნქტით წისქვილის გზაზე რომ ლაპარაკობდნენ, ეს საქმე დიდათ გამოვიძიეთ, მაგრამ ამისი ვერც წერილი და ვერც სარწმუნო მოწამე

<sup>1</sup> მესამე პუნქტი დედანში გამოტოვებულია.

ფერ ვიპოვეთ, რომ ამ წისქვილის გზა ძველად სადაც ყოფილა ის შეგვეტყო-  
თუმცა თავადი იოსებ თუმანოვი სიტყვით გვარწმუნებდა ასე, რომ: როდესაც  
ეს ჩემი გარდიგარდმო მიწა და ზევით აღმა სახნავი მიწა ერთმანერთს შევა-  
ერთე და ზვრად შემოვლობე, მაშინ თავადის ეგნატი თუმანოვის წისქვილის  
საურამე გზა ჩემის ზვრის ბოლოში ჩემის მამულიდამ დავაგდეო, ამისთვის რომ,  
რადგან ჩემსა და ეგნატის გაყრამდინ ჩვენს ერთობაში ამ ჩვენის გარდიგარდ-  
მო მიწილამ დავდიოდით ამ ჩემის განაყოფის ეგნატი თუმანოვის წისქვილში  
და სხვა გზა არსადა ჩნდა, როდესაც ის გარდიგარდმო მიწა მე მერგო, სა-  
შუალს ამ მიწისა გზა მოვსპე და ეს გზა მე დავაგდე, რომელიც დღეს წის-  
ქვილის გზათ ძვესო და თუმცა კიდევ ჩნდა, რომ ერთი ურმის გზა დაეგდო,  
მაგრამ ისევ იმ იოსების ზვრის ღობის თხრილის მიზეზით გზა დიდათ შე-  
ვიწროებულყო და გზის სივიწრობისაგან თავადი შიოშ თუმანოვისა და მანუ-  
ჩარ თუმანოვის ხოდაბუნის თავი ურმის ტარებით ბევრი წახდებოდა და ამა-  
ზედაც ყოველთვის შფოთი ექნებოდათ. ესეც ასე გარდავსწყვიტეთ, რომელიც  
ზემო ხსენებული მიწა მივეცით თავადს ეგნატი თუმანოვს აღმოსავლეთისაკენ,  
იმ მიწის აქეთ დასავლეთის მხრისაკენ თავადი შიოშ თუმანოვის და თავადი  
მანუჩარ თუმანოვის ხოდაბუნი რომ არის და ამ ხოდაბუნის გვერდზე დასავ-  
ლეთის მხარეს ზევთ უბნიდამ გორის შარა გზა რომ ჩამოივლის, იმ შარა  
გზიდამ ამავე ხოდაბუნის ბოლოზედ ამ ხოდაბუნის მიწაში ხუთი ადლი საურ-  
ამე გზა ეგნატის წისქვილს მივეცით, რომ ამ გზიდამ უნდა იაროს ეგნატის  
წისქვილში ურემმა, თუ კაცმა და რომელიც იოსებს თავის ვენახის ბოლოზე  
გზათ დაეგდო ეს შიოშ თუმანოვისა და მანუჩარ თუმანოვს ხოდაბუნის თავს  
უნდა შეემატოს ღობემდინ.

ჩვენ ორისავე მხრის მოდავეთ მშვიდობისათვის ასე გარდავსწყვიტეთ. ამ  
გარდაწყვეტილობისა ორი წერილი დავსწერეთ, ორივე ერთი სახე, ერთი თავ-  
დადს ეგნატი თუმანოვს მივეცით და მეორე თავდადს შიოსა და მანუჩარ თუ-  
მანოვს მივეცით, რომლისათვის ხელს ვაწერთ.<sup>1</sup>

№ 387. 1816 წ. იანვრის 8-ს. მიწის გაცვლილობის წიგნი, მიცემული იოსებ  
თუმანოვის მიერ ეგნატი თუმანოვისადმი. დედანი. 34 1/2 × 19 1/2 სმ, დაწერილი  
ორფურცლიან თეთრ ლერბიან ქაღალდზე მხედრული ხელით. ქაღალდის ჭვირ-  
ნიშანი: 1814 წელი. მეორე გვერდზე ახლავს რუსული წარწერა. განკვეთილობის  
ნიშნად აქა-იქ თითო წერტილია ნახმარი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 7170.

ჩვენ წელსა, იანვრის 8, ესე გაცვლილობის წერილი მოგეც მე, ქვემო-  
ველის მომწერმა თავადმა იოსებ პავლეს ძემ თუმანოვმა თქვენ, ჩემს ბიძა-  
შვილს კოლესკი სოვეტნიკს ეგნატი თუმანოვს;—ასე რომე ჩემის კეთილის-  
ნებით მოგიცვალე ჩემი წილი და ბარათით ნარგები ბეთლემურას მიწა სო-  
ფელსა ველთუბახს, რომელიც მდებარეობს ბეთლემურას რუს პირზედ, ერთი-  
გვერდი აღმოსავლეთით ისევე ბეთლემურს რუ, მეორე გვერდი დასავლეთით  
თქვენს მიწამდის ბოლო, სამხრეთით ჭურეჭის რუმდინ და გზამდინ, თავდ-

<sup>1</sup> სათაური: თავადთა თუმანიანთ განაჩენის კოპია.

ჩრდილოეთით ბეთლემურას რუ რომ არის გამოყვანილი მიწების სარწყავად, იქამდის. გამოგართვი ამის სსმაგიეროდ შენი წილი ბახუტას სასახლის ადგილი და პრასიანის მიწა შენის საკუთარის წერილითა. ლმერთ[მა]ნ მშვიდობაში მოგახმაროს რათაცფრად მოსახმარებლად გნებევდეს, რომელზედაც ხელს ვაწერ თავადი იოსებ პავლესძე თუმაწოვი.<sup>1</sup>

№ 388. 1816 წ. ოქტომბრის 5-ს. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული თეიმურაზ მაჩაბლის შიერ ზაქარა ოთანაშვილისადმი. პირი, გადაწერილი XX საუკუნეში თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 11400<sub>6</sub>.

ქ. სახელითა ლ[ე]თ[ისათა], მამის და ძისათა და სულის წმინდისათა ესე მტკიცე და უცვალებელ და ყამთა დაუსრულებელი სიგელის წიგნი დაგწერე და მოგეცით ჩვენ, თავადმან თეიმურაზ მაჩაბელმან და ჩემქმან ძმამან სვიმონმან შენ, თამაზა ოთანაშვილსა ზაქარასა;—ასე რომ დაგჯირდა და მოგყიდეს ჩვენი სამკვიდრო ყმის ხიმშიაშვილის მიქელას გოგო ფასად და ფასიც სრული გამოგართვით, რასაც გული შეგვეჯერდებოდა. ავიღეთ ფასი სრული, რომ შენთან აღარა დარჩომილა არცერთი იოტის ფასი. ლმერთმანმოგცეს და გიბედნიეროს, როგორც სხვას მონასყიდეს მოხმარებოდეს. ამაში არც ჩვენ და არც შეილის შეილსა ჩვენსა შენს შეილის შეილთანა საქმე არა ქონდეს რა არცა ერთი ფულის ფასი და ან თუ ვინმე გამოჩნდეს ამისი მოდავე და მოცილე, პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ. არის ამისი მოწამე თავათ ლმერთი, კაცთავან ხერხ[ე]ულიძე ზურაბ, გონაშვილი ბეჟან, ჯაფარიძე ტეტია, გოგია ხიხაძე, ელიაშვილი იოსება და მე, ახალციხელს დაკან[ო]ხის შეილს მარკოზს სულხანოვს დამიწერია თავადო თეიმურაზ და სვიმონ მაჩაბლის თხოვნით და მოწამეცა ვარ. დაიწერა ეს სიგელი ლეონობისთვის ე, ქრისტეს აქეთ ჩყივ. ქკს ფდ მე, თავადს მაჩაბელს თეიმურაზს ამ ზემოხსენებულის წერილი[ს] ყაბული მაქ[ე]ს, ეს ჩემი ხელია.

თავადი ლეკტორ მაჩაბელი ამ სიგელის ყაბული მაქს, ეს ჩემი ხელია.

№ 389. 1816. წ. ნოემბრის 28-ს. მოწმობის წიგნი არქიმანდრიტ გამალიელისა. დედანი. 22×17 სმ, დაწერილი ლურჯ ქალაღზე. ორი ფურცელი. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 9715.

### მ ო წ მ ო ბ ა

აბაშიძის ყმა ლაცაბიძე ხოსია და შეილები მისი მე მებარა ევეგენ აბაშიძისაგან. როდესაც უნდოდა, აჰყრიდა და წაიყვანდა, რომლისათვისაც მე შევეხვეწე და ჩემის მწყალობლობით არ აჰყარა და ეკლესიის მამულში იდგა ხიზნათ. მე აქ წამოველ და ეს კაცი იქავ დარჩა და სწორეთ აბაშიძის ყმა არის. ნოემბრის კწ-ს, ჩყივ-ს წელსა.

სხვა ხელით:

არქიმანდრიტი გამალიელ.

<sup>1</sup> სათაფრი: ჩემის ბიძაშვილის იოსებისაგან მოცემული მიწის წერილი არის.

№ 390. 1819 წ. მოხსენება, მიცემული ელიზბარ ერისთავის მიერ საქართველოს მთავარმართებლის ერმოლოვისადმი. დედანი. 17×18 სმ, დაწერილი ლურჯ ქალღმერთზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. თარიღი არ უხის. საქ. მუზ. ფ. Hd, № 10337.

მათს მაღალ აღმატებულებას უფალს ღენერალ ინფანტერისა საქართველოს მთავარ მართებელს და კავალერს აღექსი პეტროვიჩის ერმოლოვს. პოდპოლკოვნიკის თავადის ელიზბარ ერისთავის მიერ მოხსენება.

მდგომარეობა იმერეთსა სვერის შემომავალის სოფელსა შინა ჩემდამო ხვედრსა არს ეკლესიანი ჩემსავე მამულში, რომლისაგანმე ჩემთა ყმათაგან ეძლევა მცირედი წმინდა სანთელი და სხვაფრივ მე მემსახურებიან, მაშასადამე, ეკლესიის ყმანი არ არიან. ყოველი ეკლესიის ყმა და მამული აწერილ იქმნა, რომელთ რიცხვში ჩემივე ეკლესიის ყმანი საეკლესიოთ დაწერეს. ამისთვის უმორჩილესად ვსთხოვ თქვენს მაღალ აღმატებულებას, ებრძანოს სადაც შესაბამი იყოს, რათა ყმანი ჩემნი არ შეირაცხებოდეს ეკლესიის ყმათ, რადგან მცირე სანთლის მიღების მეტი მათთან საქმე არა აქვსთ და მით კმაყოფილება მეგობრს.

№ 391. 1817 წ. იანვრის 22-ს. ზელწერილი, მიცემული თეიმურაზ მახაბლის მიერ ზაქარია ოთანაშვილისადმი. პირი, გადაწერილი XX საუკუნეში თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. საქ. მუზ. ფ. Hd, № 114007.

ამ წერილს გაძლევ თქვენ ზაქარია ოთანაშვილს;—ასე რომ, რომელიც მქონდა მე შენგან დახარჯული ფული ხუთი თუმანი გოგოსათვის, რომ გოგო უნდა მომეცა, ამისათვის გაძლევ ამ წერილს, რომ პირმარხვას ან გოგო მოგაბარო და ან შენი თეთრი. წელსა ჩყიზ, იანვრის კბ. და თუ ვერ მოგცე, ერთი ორათ მოგცე.

თავადი მახაბელი თეიმურაზ.

№ 392. 1817 წ. მარტის 27-ს. მორიგების წიგნი, მიცემული დავით თუმანოვის მიერ იგნატი თუმანოვისადმი. დედანი. 36×21½ სმ, დაწერილი ოთხფურცლიან ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. ახლავს რუსული ტექსტი. საქ. მუზ. ფ. Hd, № 8527.

ჩყიზ წელსა, მარტის კზ, ესე მორიგების წერილი შოგეც მე, ქვემო ხელის მომწერმა თავადმა დავით თუმანოვმა თქვენ, უფალს კოლესკი სოვეტნიკს თავადს იგნატი თუმანოვს;—ასე რომე ჩვენის წისქვილის თაობაზედ რომ დავა გვქონდა სასამართლოში შეტანილი, იმ დავაზედ ჩვენ ჩვენის კეთილის ნებით შევრიგდით;—ასე რომე მე ისევ ჩემი წისქვილი ავაბრუნო იმ რუდამ წაყვანილის წყლით, რომელიც ღლეს მაქვს გაკეთებულ[ი] და თუ იმ რუდამ წაყვანილმა წყალმა შენს წისქვილს დაუშალოს რამე, უნდა მე ჩემი რუ ისე გავაკეთო, რომ შენს წისქვილს არ დაუშალოს და აგრევე შენ რომ საერთო

რუ გავაკეთე შენის ხარჯით, რადგანაც იმის ნახევარ ხარჯში უნდა მოგდგო-  
ნოდი, იმის სამაგიეროდ ახლა საკუთრად ჩემის ხარჯით უნდა გავაკეთო ის რუ,  
რაც საკეთებელი იყოს ამ ერთის გზობით და მასუკან, როცა კეთება მოუნდეს,  
ორთავ ერთად უნდა ვაკეთოთ ამ პირობის და ამ გარიგების დარწმუნებით.  
სუდაირასპრავასა შინაც არზა მივეცი, რომ ჩვენი დავა უნდა დადგეს და  
გამოირიცხოს საქმისაგან, რომ ჩვენ ერთმანერთთან დავა არლარა გვაქვსრა,  
არც თქვენ თქვენის ხარჯისა და არც მე ჩემის ხარჯის და არც წისქვილის  
სარგებლობის დაკლებასა. ყ[ვე]ლაზედ თანა წარვხდით. რადგანაც ამ საქმე-  
ზედ ჩემი ძმების გიორგისა და დიმიტრისაგან მე მქონდა რწმუნება გარდაწ-  
ყვეტისა, ამისთვის ხელს ვაწერ თავადი ზურაბის ძე დავით თუმანოვი.

ამ გარდაწყვეტილობის და გარიგების წერილის მოწამე ვარ, რომ ორ-  
ნივე ერთმანერთის თანხმობით ასე შერიგდნენ და ასე გაშველდნენ თავეთის  
სადაოზედ. თავადი იოსებ თუმანოვი.

ამ გარიგების მოწამე ვარ, რომ სწორეთ დავით სწერს ამ პირობას.  
ტიტულარნი სოვეტნიკი თა[ვადი] ბირთველ თუმანოვი.

ამ გარიგების მოწამე ვარ ორისავეს ნებით. თავადი ზაქარია თუმანოვი.

ამ გარიგების მოწამე ვარ ორისავე ნებით. კაპიტანი თა[ვადი] გიორგი  
თუმანოვი.

განაჩენის რუსულ ტექსტს ხელს აწერენ:

მსაჯული თა[ვადი] ბირთველ თუმანოვი.

მსაჯული თა[ვადი] გიორგი თუმანოვი<sup>1</sup>.



№ 393. 1817 წ. ივნისის 6-ს. ანგარიშის წიგნი. სახლთუხუცესის ასულის  
სალომესი. დედანი. 5<sup>1</sup>/<sub>2</sub> × 15 სმ, დაწერილი ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით.  
განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 9727.

წელსა ჩყიზ, ივნისის ვ, ივანე მიქელაშვილმა ტერპეტროზას ხელით  
ცხრა თუმანი ქრთამათ გამოგვართვა ასაწერათ რომ დადიოდა, იმაშიდ.

სხვა მელნით: ამავე დღესა და წელსა საკუთრათ მე გამომართვა თამა-  
სუქი, ისიც ქრთამათ, ან გოგო და ბიჭი მოგცე, ან არ ვიცი ათი თუმანია,  
არ ვიცი რვა, არც ჩემი დაწერილია. ხელი ჩემი აწერია, აღებული არა მაქ  
რა, აღწერის ქრთამათ მიიღო და აქვს თამასუქი. სალთხუცის ასულე სალომე.

№ 394. 1817 წ. სექტემბრის 11-ს. პირობის წიგნი, მიცემული მახარე ნას-  
ყიდას-შვილის მიერ ანწინოვისადმი. პირი, გადაწერილი XX საუკუნეში. ახლავს  
რუსული თარგმანი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 10144.

ჩყიზ წელსა, სექტემბრის ია დღესა, ესე ხელწერილი მოგეც მე, ება-  
ლანთ ნასყიდას შვილმან მახარემ თქვენ, ჩემს ბატონს იაკოფ ანწინოვს;---

<sup>1</sup> სათაური სხვა ხელით: თუმანიშვილის ზურაბის შვილისაგან მოცემული წისქვილის  
შორიგების წიგნი არის.

ამისთვის რომ, სანამ მე სოფელსა ფხვენისა ვიდგე და თქვენი ნება იყოსა ამაზედ, ყოველს წელიწადს ორჯერ მოვიდე თქვენთან ტფილისში და ყმობის რიგით გემსახურო ჩემის შეძლებით. მახარას თხოვნით დამიწერია ეს წერილი მე, ტერ მელქისეთ ტერბარსელოვსა და რადგანც ამ მახარემ წერა არ იცოდა, ამის თხოვნით ხელს ვაწერ მე, ტერ მელქისეთ. მე, თ[ავადი] დავით ციციანოვი ამ მახარეს თხოვნით მოწამე ვარ ამ წერილისა, მისთვის ხელს ვაწერ თ[ავადი] დავით ციციანოვ. მახარე აბალაშვილის თხოვნით ამ წერილის მოწამე ვარ გიორგი ალიხანოვი. ქ. ებალას შვილის მახარესა თხოვნით ხელს ვაწერ ზაზა ამირალოვი.

ამ წერილის მოწამე ვარ მახარე ებალაშვილის თხოვნით ლუბერნცკის რედისტრატორი მირონ ამირალოვი.

ჩუიზ წელსა, სექტემბრის 8 დღესა, მოგეცით ესე პირობა თქვენ ჩვენს ბატონს იაკობ ანშინოვს ჩვენ თქვენთან ყმებთან ნინია აბრამის-შვილმან და გიორგი დავითას-შვილმან ებალანთა;—ამისთვის რომ გორის უეზდში ჩვენ თქვენის ცნობით ვდგევართ სოფელსა მეჯვრისხევისა. როდესაც თქვენ ქალაქს წახვალთ, ჩვენც გიახლებით იქ და თქვენის გასინჯვით, რასაც ბინას მოგვეცემ და გვიბრძანებთ, მორჩილებით აღვასრულებთ და თუ სადაც ახლა ვდგევართ ჩვენი დგომა იქ უფრო სასარგებლო იქნება და მიგვაბარებ ვისმე დრომდინ, რომ სხვათაგან შეწუხებისაგან დაგვეთაროს, ისიც თქვენი ნება არის. რადგანაც აბრამის-შვილმან ნინიამ და დავითას-შვილმან გიორგიმ წერა არ იცოდნენ, ამათ მაგიერ ქელიც მე მოვაწერე და კიდევ მე დავსწერე ტერ სტეფანოვმან.

№ 395. 1817 წ. ოქტომბრის 15-ს. განთავისუფლების წიგნი, მიცემული გოგია ბეგიაშვილის მიერ პეტრე წიფლაშვილისადმი. დედანი. 37×13 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახშირი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 9781.

...ესე განთავისუფლების<sup>1</sup> წიგნი დაგიწერე და მოგეც მე ბეგიაშვილმა გოგიამ შენ ჩემს ნასყიდს ყმას წიფლაშვილს პეტრესა და შვილსა შენსა გიგოლასა, შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა;—ასე რომე პატარა გიყიდე, ოცდაათი წელიწედი მეტია გიმსახურებ და ახლა აზატი გიყავ, წმინდას გიორგის უსანეთისას შეგწირე ჩემათ სასულიეროთ და ჩემის შვილისშვილების სადღეგრძელოთ. არას კაცსა, არც ჩემს შვილისშვილებსა და არც ჩემის გვარის კაცს შენთან საბატონყმოდ ხელი არა აქვს. ჩემი ნასყიდი იყავ და მევე შეგწირ[ე] წმინდას გიორგისა. რისხემდეს ვინცა გამოგწიროს.

ჩემა შვილისშვილებმა შენი ნასყიდობის წიგნი მომპარეს და თუ გამოჩნდეს, ამ წიგნმა გააბათილოს და ვინცა და რამანცა კაცმა ეს ჩემგან მოცემული წიგნი მოგიშალოს, ისემც შეიშლება თავისის სახისაგან და ქრისტეს სამართალში პასუხი გამეცეს, ხოლო დამამტკიცებელი ამისი ღმერთმან აკურთხოს.

<sup>1</sup> სწერია: განდათავისუფლების.

არის ამისი მოწამე და დამსწრე ხახუტაშვილი მღვდელი ზაქარია, სალუქაშვილი მღვდელი იაკობ, ბეგიაშვილი ბეცია, ბეგიაშვილი ნინია, ბეგიაშვილი გოგილა, შერმადინ, მახარებელი, დალაქი გოგია, ქიტიაშვილი ბერუა და მე გოსტაბაშიშვილს ქაიხოსროს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. აღიწერა ღვინობისთვის იე, ქკს ფვ.

ბარათოვი.

№ 396. 1818 წ. პირობის წიგნი, მიცემული ნახარა ნახარაშვილის მიერ ივანე თავგიასშვილისადმი. დედანი  $32\frac{1}{2} \times 21$  სმ, დაწერილი ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 8644.

ქ. ესე წიგნი მოგეცი მე, ნაზარაშვილმა ნაზარამა შენ, თავგიას-შვილს ივანესა, შვილსა შენსა გირგოლასა, დავითასა და რამაზასა;—ასე რომე კავთიხვეს ჩემი ნასყიდი საწისქვილო და საბაღე მიწა მოგეცი სამამულეთ. წისქვილი უნდა [ა]აშენო, კარგათ თავისი რუთი უნდა გა[ა]კეთო და რაც ხის იარაღი მოუნდეს, ყოველი შენ უნდა გა[ა]კეთო და წისქვილი მე უნდა ვიყიდო და შენ კი უნდა მოიტანო და წისქვილის რკინის იარაღი კი მე უნდა გავაკეთო, რაც რკინის იარაღი მოუნდეს. სანამ შენ იდგე წისქვილში, ნახევარი შენია და ნახევარი ჩემი იქნება და როდესაც შენ აღარ იდგე, სამამულეთ კი ორი წილი ჩემი იქნება და მესამედი შენი არის ამ წისქვილისა და ბალი უნდა [ა]აშენო, ბალისა ნახევარი სამამულეთ ნახევარი შენია და ნახევარი ჩემია და რაც მოვიდეს, ყოველივე მოსავალი ნახევარი ჩემია და ნახევარი შენია და ერთი ბოსელიც უნდა ჩადგა. ეს პირველი რკინის იარაღი ხომ მე უნდა გავაკეთებინო და მერმე კი სანახევროთ წისქვილიდამ უნდა ვაკეთოთ. არის ამისი მოწამე ქულუას-შვილი ბაინდურა, გოზალაშვილი არუთენა, მამასახლისის-შვილი პაპა და მე, ახალქალაქის დეკანოზ[ს] ტერ მარქარას შვილს ტერ მელქისედეგს დამიწერია ნაზარასა და ნინია თავგიას-შვილის თხოვნით და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა აპრილის 2, ქკს ფვ.

შე ნაზარ ნაზაროვს ამ მოწერილის ყაბული მაქვს და ეს ჩემი ხელია.

№ 397. 1819 წლის აგვისტოს 22-ს. მოხსენება, მიცემული ანნა თარხანოვისა „გორის ოკრუჟნი ნაჩალნიკის“ ტიტოვისადმი. დედანი.  $20\frac{1}{2} \times 17\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 6937.

მის მაღალ კეთილ შობილებას უფალს მაიორს გორის ოკრუჟნის ნაჩალნიკს ტიტოვს.

თა[ვად] ლუარსაბ თარხანოვის კნეინა ანნასაგან  
მოხსენება

ერთი კომლი ყმა ჩვენი მკვიდრი ახალქალაქელი ყანდაურალაშვილი გივი დღეს მდგომარეობს ხიზნით სოფელსა ხელთუბანს და არა სურს სამსახური ჩვენი, რომელიც მოცემულ არს უმფროსთა მახლებისა ჩემისაგან სახარჯოდ ჩვენდა. თუმცა სამგზისცა მოუწოდეთ, მაგამ არ ინება ნახვა ჩვენი. ამის-

თვის ყ[ოვლად] უმორჩილესად ვითხოვ თქვენის მამობრივის მფარველობისაგან, რათა ებრძანოს ვისდამიცა ჯერ იყოს, რათა ჩამოიყვანონ და გამოერთვას სამი თუმანი თეთრი ფული და გვებოდოს ჩვენ კმაყოფა, რომელიცა არ დაგვემორჩილება ჩვენ პყრობილებასა ამას შინა თუ არც თქვენის ბრძანებითა. აგვისტოს 6 დღესა, ჩყით წელსა.

კნეინა ანნა.<sup>1</sup>

ამაზედ მოწერითა გამოეცხადების მთხოველს, რომ ყმასა თქვენსა ხევთ-უბნელსა უმსახურნია თქვენის უფროსის მაზლისათვის და თვით გამომიცხადა მე, რომელ თავის შეძლებისამებრ ხდილობს ხარჯსა და თქვენ სთხოვთ დაუცხრომელობით სამსახურსა, მაგრამ შეუძლებელია უზომიერისა ხარჯისა მიცემა და ამისთვის გირჩევთ იმსახუროთ საზომიერად შეძლებისამებრ და არ შეწუხების მიყენებითა, რათა შემდგომსა ჟამში არა მიიწიოს სიგლახაკესა შინა იმსახუროდ შეძლებითა.

აგვისტოს 6 დღესა, ჩყით წელსა.

მაიორი ტიტოვი.

სხვა ხელით: მივიღეთ აგვისტოსა 6 დღესა ორშაბათსა ეს პასუხი.

№ 398. 1818 წ. ნოემბრის 13-ს. წერილი იგნატი თუმანოვისა „ყოვლად უსამღვდელოესი მწყემს მთავრისადმი“ მიწერილი. პირი. 32×21<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დაწერილი ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 10376.

პირი ჩემგან მიწერილი წერილისა.

მაღალ ყ[ოვლად] უსამღვდელოესო მეუფეო,

უმოწყალებო მწყემსო მ[თ]ქაერო!

უპატივეცემულისა თქვენისა მაღალ ყ[ოვლად] სამღვდელოების წერილისა, რომელსაცა შინა განაცხადებთ წადილსა თქვენსა ცნობად ვითარითა სახითა წარმოებდა აღება ვალთა და გარდაწყვეტა საეკლესიოთა და საბატონოთა ყმათაგან და ინებებთ უმოწყალებო მწყემს მთავარო მოთხოვასა ჩემგან ცნობადსა საგანისა მისთვის, მაქუნდა მე პატივი მიღებად, რომელსა ზედა უსიამოვნეს ვალად ჩემდა დავადგენ უპატივეცემულესად უპასუხო თქვენსა მაღალ ყ[ოვლად] სამღვდელოებასა:

ა. ყმანი ეკლესიისა და მებატონეთა ჟამსა თეთრისა ანუ სხვისა რაჟსამე ვალად აღებისასა არა იყვნენ თანამდებ თხოვად ნებართვისა მმართველობისაგან.

ბ. ესევითართა შემთხვევათა შინა იყო მიუცილებელი შეკრულება ყმათა შათ წინასწარ თხოვნად ნებართვისა და დამოწმებისა თამასუქთასა. სახედ თავსმდებობისად განმგებელთაგან საეკლესიოთა მამულთა და მებატონეთაგან. განწესება ესე იყო დაფუძნებულ ვითარცა სჯულთა ზედა, ეგრეთვე ჩვეულებასა ზედა, რომელიც არსებდა ჟამსა მეფეთასა და ოდესცა დაიცვოდა წესი ესე, მაშინ გარდახდა ვალისა აღარ იყო შევრდომილ არავითარსამე უარის ყოფასა. ესე ვითარისა დებულებისაგან, რომლისამე სახითა იყვნენ გა-

<sup>1</sup> ამას მოსდევს რუსული ტექსტი 1819 წლის 22 მაისით დათარიღებული.

მოხმულ ვაჭრობის მექონენი და მომგებნი ვითარისამე საკუთრებისა, რომელნიცა შემთხვევასა ვალის აღებისასა თანამდებ იყვნენ კმაყოფად მასესხებელთა მხოლოდ მისგან.

გ. უკეთუ თვინიერ თანხმობისა და წერილობითისა თავსმდებობისა სულიერთა გვამთა და მებატონეთასა ასესხებდნენ ყმათა თეთრსა, ანუ სხვა-სა რასმე, მაშინ თუმცა მოვალე იყვნენ იგინი კმაყოფად მასესხებელთა, გარნა გარდანარჩენითა წელიწდეულისა თვისისა საზღოსაგან და მიცემისაგან გამოსაღებთასა. შემთხვევასა უკვე ყმათა პირობის გარდასვლისასა მმართველობაცა მიწვენილთა მისდა საჩივართა არა შემხებელი საეკლესიოსა და მებატონეთა განკუთვნილებისა წარსწერდა კმაყოფასა მასესხებელთასა შეძლებისა მებრ ზემოხსენებულთა გარდანარჩენითა, ანუ ვითარითამე მოგებულითა მიერ ქონებითა. გარნა ესრეთითა სახითა, რომელ მდგომარეობა ყმათა არა შეიწრებულყო და მის მიერ ეკლესიისა და მებატონეთა არა მისცემოდათ ვნება შესახვედრთა მომავალსა დროსა მათგან გამოსაღებთა შინა და ავით ყმანიცა არა მიწვენილიყვნენ სიღარიბისადმი, ხოლო ჟამსა ყმათა შეუძლებლობისასა მასესხებელნი თვინიერ თანახმობისა სასულიეროთა განმგებელთა მებატონეთასა დაშთებოდნენ თვინიერ კმაყოფისა.

კრძალულებით ვითხოვ წმიდათა ლოცვათა თქვენთა და ვეამბორები მწყემს მთავრულისა მარჯვენესა თქვენსა და მაქვს პატივის გებად უღრმესითა მღვდელთმთავრულისა გვამისა თქვენისადმი მალალ პატივცემითა

მოწყალეო მწყემს მთავარო  
 თქვენის მალალი ყ[ოვლა]დ სამღვდელოებისა ყ[ოვლა]დ  
 უმორჩილესი მოსამსახურე  
 თავადი იგნატი თუმანოვი.  
 ნოემბრის იგ დღესა,  
 ჩყით წელსა.  
 ტფილისსა შინა.

№ 399. 1821 წ. ივნისს 6-ს. ბრძანება გუბერნატორისა წინწყაროს ქევხასადმი. დედანი. 17×21 1/2 სმ, დაწვრილი ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 9882.

ბრძანება  
 წინწყაროს ქევხას.

თქვენ რომ დავით ბარათოვის მამულში ხნამთ თხვინთბას, გუბერნატორის ბძანება არის, რომ თავის ღალა მალე მოაბაროთ. ეს როდეს გიშლით. თქვენ ხენას. თუ ხნამთ, ყოველთვის უნდა მისცეთ თავის ღალა და თუ არსულ არ უნდა მოხნათ. თიბათვის ვ, ჩყკა-ს წელსა<sup>1</sup>.

<sup>1</sup> სათაური სხვა ხელით: თხვინთბის ღალის ბრძანება.

№ 400 1821 წ. დეკემბრის 24-ს. ბრძანება მაიორ ტიტოვისა კავთისხევის ნაცვალისადმი. დედანი.  $21 \times 17\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. ორი ფურცელი. ახლავს რუსული ტექსტი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 10092.

### ბრძანება

კავთის ხევის ნაცვალს.

მგზავსად წარმოწერილისა უზენაესის საქართველოს შინა მართებელის კაზონის ექსპედიციისათა ოცდა სამსა რიცხვსა გავლილს ნომბრიდამ ნომერიტა სამიათას რვაას ორმოცდა თორმეტისა უკაზითა გიბრძანებ შენ, მოსახლე აქნობამდე კავთისხევეში ყმა თავადის დავით ბარათოვისა ქიტესა დაჰპტიმირისშვილი თავისის ცოლშვილითა მისცეთ გარდასახლებლად სამუდამოსისა საცხოვრებლად თიფლისის უეზდსა შინა სოფელსა ენაგეთსა წარმოგზავნილის ბარათოვისაგან მოხელეს მარტირუზ ქაგაროვსა. დეკემბრის კდ, დღესა ჩყკა წელსა. კელი მოაწერა გორის ოკრუჟენის ნაჩალნიკი მაიორი ტიტოვი.

№ 401. 1821 წ. დეკემბრის 24-ს. ბრძანება გორის „ოკრუჟენი ნაჩალნიკის“ ტიტოვისა ახალდაბის მცხოვრებთადმი. დედანი.  $21 \times 17\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ორფურცლიან ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. ახლავს რუსული ტექსტი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 10091.

ბრძანება ახალდაბაში მცხოვრებთა.

მგზავსად წარმოგზავნილისა უზენაესი საქართველოს შინამართებელის კაზონის ექსპედიციისათა ოცდა სამსა რიცხვსა გავლილს ნომბრიდამ ნომერიტა სამი ათას რვას ორმოცდა თორმეტისა უკაზისათა გიბრძანებთ თქვენ, მოსახლე აქნობამდე ახალდაბაში ყმა თავადის დავით ბარათოვისა, კიკოლა შიოშვილი იგივე სუხატაშვილი თავისის ცოლშვილითა მისცეთ გარდასახლებლად სამუდამოსისა მაცხოვრებლად თიფლისის ვეზდსა შინა სოფელსა ენაგეთს წარმოგზავნილს ბარათოვისაგან მოხელეს მარტირუზ ქაგაროვს. დეკემბრის კდ, დღესა ჩყკა წელსა. ხელი მოაწერა გორის ოკრუჟენის ნაჩალნიკი მაიორი ტიტოვი.

სხვა ხელით: ქ. კიკოლა შიოშვილი, დარეჯანა მეუღლე მისი, ქალი მისი მარია ივ წლისა, სალომე ც წლისა, ვაჟი შიო თ, გიორგი ი, ზაქარია ზ, ივანე დ, გრიგოლ თვისა გ, რძალი ამისი ნინო ქერივი, შვილი ამისი გიორგი წლისა ზ.

№ 402. 1822 წ. დეკემბრის 2-ს. ყმის ნასყიდობის წიგნი სვიმონ მაჩაბლის მიერ ზაქარია ოთანაშვილისადმი მიცემული. პირი, გადაწერილი XX საუკუნეში თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. საქ. მუხ. ფ. Hd, № 11408.

ჩყკბ-სა წელსა, დეკემბრის ბ-სა დღესა.

მე. ქვემოთ ამისა კელის მომწერელმა ეს მოგეცით თქვენ აზნაურს ზაქარია ოთანაშვილს მაზედ, რომ თქვენ განსვენებულის ძმისა ჩემისა თეიმურაზ მაჩაბელოვისაგან გქონდათ მოცემული ჩემის ყმის შვილი გოგო თამარა ნი-

ნია კევაურის-შვილი და მაზედ არავეითარიმე წერილი არ გქონდათ. ახლა თქვენ შემომეხვეწეთ, რათა ამ აღნიშნულს ჩემის ძმისაგან მოცემულს გოგოზედ მომეცა წერილი. მეც პატივისცემისათვის განსვენებულის ძმისა ჩემისა მოგვით ესე წერილი ნასყიდობისა. დღეის შემდგომ არც მე, არც ჩემს მემკვიდრეთ აღნიშნულს გოგოზედ არავეითარიმე დავა არა გვქონდეს. უკეთუ სხვა ვინმე ამაზედ მოდავედ აღმოჩნდეს და ეს ვსენებული გოგო გამოგერთოსთ თქვენის მფლობელობისაგან, ესე ვითარსა შემთხვევასა შინა ვიკვირი, ნაცვლად ამისა. ვიქნები მოვალე მოცემად შენდა მაგიერ შენდა სხვა გოგოსა ჯეროვანისა სიგელის მოცემითა, რომელზედაც საკუთარსა ველსა ჩემსა მოვაწერ. თავადი სვიმონ მაჩაბელოვი.

ამ სვიმონის თხოვნით ვემოწმები კოლლეჯ[ს]კის სეკრეტარი სოლომონ თურქისტანოვი.

ამ წერილის მოცემაში დავესწარ და ვემოწმებიცა თავადის სიმონ მაჩაბელოვის თხოვნით აზნაური გედეონ ანანიევი.

ამ წერილის მოცემაში დავესწარ და ვემოწმებ აზნაური იოსებ მამაცოვი.

№ 403. 1823 წ. მარტს. არხა მიცემული [თეკლე ბატონიშვილის?] მიერ ვილაჯ ხელისუფალისადმი. დედანი.  $34 \times 21\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 7205.

თქვენო აღმატებულებაჲ,

მოწყალე ხელმწიფე!

ცხადარს რა სიმრავლე საქმეთა თქვენთა სამსახურისა გამო, მიმძიმს შორთმევა არხისაცა ჩემისა, გარნა შეკრულვარ რა საღმრთოთა ჰსჯულითა ზრუნვად შეილთათვის ჩემთა, ვჰპოვებ აუცილებელად გარჯასა ამით აღმატებულებისა თქვენისასა.

შეილთა ჩემთა აქესთ წინაპართაგან თვისთა დანაშთენნი მამულნი, ზოგანი სამკვიდრონი და ზოგნი ნასყიდნი, რომელთაც სარწმუნო წერილები მაქვს. მამულნი ესე სხვა და სხვათა შემთხვევათა გამო არიან აღობრებულ და მცხოვრებნი მუნებურნი კვალად ჩვენდავე კუთვნილნი განბნეულ საქართველოსა შინა, თუმცა სადაცა ჰსცხოვრებენ მუნითაგანცა მემსახურებიან, გარნა ოდენ ნიშნად ყმობისა და არა ესოდენ რაოდენიცა ჰმართებსთ, ანუ რაოდენიცა შევიძლებ სასარგებლოდ მოხმარებასა მათსა, ოდესცა იდგებიან იგინი უწინარესისამებრ მამულთა ზედა თავისთა. ამის გამო მარადის მსურდა გარდმოსახლება მათი, გარნა კვალად შიში მტერთაგან მაბრკოლებდა. ხოლო აწ დამყარებულ არს რა უკუე ყოველთა ნაწილთა შინა საქართველომსათა მშვიდობა საფარველსა ქვეშე მათის იმპერატორებითის დიდებულებისასა, მაშა რაჟღა დამაბრკოლებს აღსრულებისათვის სურვილისა ამის ჩემისა, უკეთუ მთავრობისაგანცა მექმნების მასზედა შეწვენა, ვინადგან მოგესხენებათ ყმანი მარადის მლტოლველნი სამსახურისაგან თვისთა მებატონეთასა ირჩევენ შორს ყოფასა და იქმნება, რომელ ამის გამო ზოგნიცა ყმანი ჩემნი კეთილნებობით არ აი-

ყარნენ, ამისთვის უმორჩილესად ვჰსთხოვ აღმატებულებასა თქვენსა, რათა მიჰსწეროთ ვისდამიცა ჯერ იყოს თელავისა, სიღნაღისა, გორისა და დუშეთის უეზღებში, რათამცა გაგზავნილთა ჩემ მიერ კაცთა მოჰსცენ შემწეობა აყრისა და გარდმოსახლებისათვის ყმათა ჩემთასა.

მეორესაცა თხოვასა ამას ვჰყოფ აღმატებულებისადმი თქვენისა: გარეთ-უბანს არს ბალი ჩემი, რომელიცა მაქვს მოცემული განსვენებულისა დედისა ჩემისა დარისაგან და დამტკიცებული უმაღლესითა უქაზითა დროსა მთავარ-მმართველად ყოფილის კნიაზ ციციანოვისასა. ბაღსა ამას აქვს განწესებული სოლოლაკი დამ წყალი ღრამატითა განსვენებულთა მშობელთა ჩემთაგან, მაგრამ ცხრა წელი არს რა ფრიად მცირედა ეძლევა და სხვა მიღებულ არს ბაღთა მათთვის, რომელნიცა არა ყოფილან დროთა შინა მეფეთათა და აწ შენდებიან, ხოლო მცირედიცა იგი წყალი, რომელიცა დაშთომილ არს ბალისათვის ჩემისა ჟამსა მას საჭიროსა, ოდესცა უნდა მოხმარებულ იქმნას სასარგებლოდ მისსა, მიაქვსთ სხვა და სხვათა შენობათათვის. ვარწმუნებ აღმატებულებასა თქვენსა, რომელ მას ჟამს აქეთ წელიწადში ორმოც და ათ თუმან თეთრ ფულადმდე შემოსავალი მაკლია იმ ბალიდამ. გარდა მისსა რომელ ცალკე ხეები ხმება და დროზე უმეტესი ზიანი მექმნების. ამისთვის უმდაბლესად გთხოვ, მოწყალევე ხელმწიფევე, განსაჯოთ რა თუ ვითარ საგრძნობელ უნდა იყოს ჩემთვის ესე ვითარი ზიანი ნაკლულევანსა ამას მდგომარეობასა შინა ჩემსა, ინებოთ ბრძანებად, რათა ღრამმატა მეფის ირაკლისა, ვითარცა ყოველნივე სხვათა მიერ ქონებულნი უდიდესთა ზედა საქმეთა და სარგებლობათა აღსრულებულ არიან, ჩემთვისცა არ მოაკლდეს პატივსა და ძალასა თვისსა და რაოდენიცა მით განწესებული აქვს ბაღსა ჩემსა წყალი სარწყავად, ეძლეოდეს კულავ მინც უკლებლად, ვინადგან ესე არს საზრდო შვილთა ჩემთა. და დასასრულსა შინა ამას გვევდრებით, ტფილისის მოქალაქემ სოლომონ ნაზარბეგოვმა ჩემის სახლის მომიჯნავედ სახლი ააშენა და რომელიც ჩემს მხარეს კედელი უნდა დაედგა აღარ დაჰსდგა. ამის გამო ეზო სახლისა ჩემისა ქმნილ არს გზად უცხოთა კაცთათვის და მე ვერ შემძლებელ ვარ მცირეს ხანსაცა გარეთ გამოსვლად. თუმცა მრავალ ჯერ ვსპთხოვე მას ნაზარბეგოვსა აღშენება კედლისა მის, გარნა არა პატივჰსცა სამართლიანსა ამას თხოვასა ჩემსა და არცა ისვინიდისა თვით მნახველმან ამან, რომელ ამის გამო მაქვს დიდი შეწუხება. ამისთვის კეთილ ინებეთ, თქვენო აღმატებულებავე, ბრძანებად, რათა გამოიტანოს ნასყიდობის წერილი და რაოდენიცა აღლო უწერია მას შინა გაიზომოს და იმ ზომაზედ ააშენოს ჩემს მხარეს კედელი იგი, რათა ძალმედვას სახლისა ჩემისა ეზოჲსა მოხმარებად. ვითართაცა სამთა თხოვათა ამათ კმაყოფილებითა შემკრავთ საგრძნობელისა მადლობისადმი-სხვებრ მაქვს პატივი გებად ჩემ მიერთა თქვენდა ჰუმარატითა პატივისცემითა და ესე ვითართავე გულს მოდგინებოთა

თქვენის აღმატებულების  
მოწყალის ხელმწიფის.

მარტის დღესა,  
ჩუკვ-სა წელსა.

№ 404. 1824 წ. სექტემბრის 3-ს. ბრძანება ტფილისის კაპიტან ისპრავნიკისა სოფელ ენაგეთისადმი. დედანი. 26×16 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუზ. ფ. Hd, № 10106.

ბრძანება ტფილისის კაპიტან ისპრავნიკისაგან სოფელ ენაგეთს.

თავადი დავით ბარათოვი ჩივის, რომ მყავს მე ენაგეთს ყმები, რომელთაც როდისაც მე ხარჯ[ს] შევაწერ ხოლმე მაგ სოფელს, მანდაურნი მცხოვრებნი იმათ მომატებულს სთხოვენ რეერთიც უნდა გამოერთოს. ამისათვის რადგან ამაზე ჩხუბი და ლაპარაკი არ მოხდეს, მთხოვა, რომ იმის ყმათ ცალკე აძლიონ ხარჯი კამერალნის აღწერაში. მანდაურნი მცხოვრებნი სწერიან ორმოცდა ცხრა კომლი, რომელთაგანაც ცხრა კომლი გამოვრიცხე—ერთი ნაცვალის და რვა კომლი გლახაკნი და ორმოც კომლს კი ყოველთს შევაწერ ხარჯს მანამ ან არა მოემატებათ და ან არა დააკლდებათ, რომელთაგანაც თავადის დავითის ბარათოვს ყმები არიან ცხრა კომლნი და ცხრა კომლის კმე ხარჯი უნდა გამოერთოსთ. ამისთვის უბრძანებ მაგ სოფელს ყოველს ჩემგან ხარჯის შემოწერაზე ცხრა კომლის ხარჯი უნდა გამოურთოთ თავადის დავით ბარათოვის ყმებთა. ენკენისთვის გ, დღესა ჩყკლ წელსა<sup>1</sup>.

№ 405. 1828 წ. იანვრის 1-ს, [სათუმანიშვილოს] ყმა-მამულისა და გამოსადების ნუსხა. დედანი. 34<sup>1</sup>/<sub>2</sub>×24<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. ორი ფურცელი. საქ. მუზ. ფ. Hd, № 6846.

ჩყკლ წელსა იანვრის ა დღესა. ჩემნი საკუთარი ყმანი ანუ მამულნი გორის უეზდის, ტფილისში და ან ბორჩალოქს დიატანციაში ყოველივე გარჩევით ჰსწერია:	კომლის რიცხვი	მამრის რიცხვი	მდედრის სული	ზეარი დღიური	შემსავალი ყოკა დღინა	სახნავი მიწა დღიური	წისკილი ანუ ფაბრიკი	უშენი სოფელი	ხარაბა მამული
ჩემნი საკუთარი დღეს ყმანი გორის უეზდში და ტფილისში. რიცხვი	1	—	—	—	—	—	—	—	—
ახალდაბას მელქუა და მისი ძმა ნონია და ძმა მისი გიორგითა და ვაჟის შვილებითა სულ[ი] მამრისა მათი მეუღლენი სული ორი	1	8	2	—	—	—	—	—	—
აქვე სვიონა ბერეკაშვილი თავის ვაჟის შვილებითა სული ოთხი ამის მეუღლე და ქალითა სული ოთხი	1	4	2	—	—	—	—	—	—
სოფელსა პატარა გარეჯვარს ბერუა ნიკაშვილი თვისის სამის ძმითა და ერთის შვილითა სული ხუთი ამისი მეუღლე და დედასული ორი	1	5	2	—	—	—	—	—	—

<sup>1</sup> ბოლოს რუსული ხელრთვაა, რომელიც არ ირჩევა.

ჩუკტ წელსა იანერის, ა დღესა. ჩემნი საკუთარნი ყმანი ანუ მამულნი ღორის უეზდის, ტფილიში და ან ბორჩალ[ო]ს დისტანცააში ყოველივე გარჩევით ჰსწერია.	კომლის რიცხვი	მამრის სული	მდედრის სული	ზევარი დღიური	შემოსავალი კოპა ლვინო	სახნავი მიწა დღიური	წისქვილი ანუ ფაბრიკი	უშენი სოფელი	ზარბა მამული
სოფელსა ხევთუბანს ივანე რევაზაშვილი თავისის ძმითა და სამის ვაჟის შვილითა.	1	1	—	—	—	—	—	—	—
ამისი მეუღლე დი ქალი ერთი სული	—	5	—	—	—	—	—	—	—
აქვე სარქისა ათაბეგაშვილი სამის ვაჟითა სული ოთხი	1	—	—	—	—	—	—	—	—
ამისი მეუღლე სული	—	4	1	—	—	—	—	—	—
აქვე ივანე მელაძე თავისის ორის ვაჟის შვილითა სული სამი	1	—	—	—	—	—	—	—	—
ამისი მეუღლე და პატარა ქალითა სული	—	3	—	—	—	—	—	—	—
აქვე ალხანაშვილი გიორგი თავისის ძმითა და ორის ვაჟის შვილითა სული	1	—	—	—	—	—	—	—	—
ამისი მეუღლე და პატარა ქალითა სული	—	4	—	—	—	—	—	—	—
აქვე თათულა არაქელა და მარტირუზა გიგიაშვილები თავიათის ძმებითა და შვილებითა სული	1	—	—	—	—	—	—	—	—
ამათი მეუღლენი და ქალები სული	—	6	—	—	—	—	—	—	—
აქვე ხევთუბანს ნინია გელას შვილი	1	1	—	—	—	—	—	—	—
ამისი მეუღლე სული ერთი	—	—	1	—	—	—	—	—	—
გორს ულიხანაშვილი გიგოლა გიორგი სული ორი	1	—	—	—	—	—	—	—	—
ამათი დედა სული ორი	—	2	—	—	—	—	—	—	—
ტფილისში საიფაშვილი სარქისა თავისის შვილებითა სული	1	—	—	—	—	—	—	—	—
სარქისას ცოლი, ორი რძალი იმისი და შვიდი ქალი	—	4	—	—	—	—	—	—	—
აქვე მიკორტუმა თავისის ორის ვაჟის შვილითა და ორის შვილითა სული	1	—	—	—	—	—	—	—	—
ამათი მეუღლენი და ორი ქალი სული	—	5	—	—	—	—	—	—	—
აქვე პაპა საიფაშვილი თავისის შვილებითა სული ხუთი	1	—	—	—	—	—	—	—	—
ამათი დედა და რძალი სული ორი	—	5	—	—	—	—	—	—	—
აქვე გიორგი მებანჯლე სომხის-შვილი და იმისი შვილი ნინია ვლიახარაშვილი და სესიკა ივანეს შვილი სული	1	—	—	—	—	—	—	—	—
ამ სესია მებანჯლეს მეუღლე სული	—	3	—	—	—	—	—	—	—
	16	61	29						

ჩუკე წელსა იანვრის, ა დღესა. ჩემნი საკუთარნი ყმანი ანუ მამულნი გორის უეზდის, ტფილისში და ან ბორჩალ[ო]ს დისტანციაში ყოველივე გარჩევით მსწერია:	კომლის რიცხვი	მამრის სული	მდედრის სული	ზვარი დღიური	შემოსავალი კოკა ღვინო	სახნავი მიწა დღიური	წისქვილი ანუ ფაბრიკი	უშენი სოფელი	ხარბა მამული
სოფელსა ხევთუბანს საკუთარი სახნავი მიწა მინდვრისა დღიური ას სამოცი	—	—	—	—	—	160	—	—	—
აქვე ზვარი დღიური ოთხი ხილითა საესე წელიწადში გამოვალს კოკა ოთხმოცი	—	—	—	4	80	—	—	—	—
აქვე ქვიტირის წისქვილი ორი თვალი ბრუნავს შემოსავალი წელიწადში კოკა დი სამოცდაათი.	—	—	—	—	—	—	70	—	—
სოფელსა ახალდაბას ჩემი საკუთარი მამული სახნავი მინდვრის მიწა დღიური ორასი.	—	—	—	—	—	200	70	—	—
აქვე ჩემის კაცის მეღქუას ვენახი დღიური სამი	—	—	—	3	—	—	—	—	—
ამის გამოსავალი წელიწადში კოკა სამოცი	—	—	—	—	60	—	—	—	—
აქვე ამისი წისქვილი ქვიტირისა ერთი თვალი და ამისი შემოსავალი წელიწადში ოციდაათი კოკი პური.	—	—	—	—	—	—	30	—	—
აქვე სვიმონა ბერეკაშვილის მამული ვენახი დღიური სამი	—	—	—	3	—	—	—	—	—
ამისი გამოსავალი წელიწადში ღვინო კოკა სამოცი	—	—	—	—	60	—	—	—	—
ამისი ნაწისქვილარი ორი დოლაბისა	—	—	—	—	—	—	—	—	2
აქვე სოფელსა პატარა გარეჯვარს ჩემი საკუთარი მამული სახნავ მიწადგორის მიწა დღიური	—	—	—	—	—	100	—	—	—
აქვე ამისივე ვენახი ნახევარ დღისა	—	—	—	1/2	—	—	—	—	—
ამისი გამოსავალი გამოსავალი წელიწადში კოკა თხუთმეტი	—	—	—	—	15	—	—	—	—
სოფელსა დიდს შულავერსა ჩემი საკუთარი ზექარი დღიური რვა	—	—	—	8	—	—	—	—	—
ამისი გამოსავალი წელიწადში ღვინო კოკა სამასორმოცი	—	—	—	—	340	—	—	—	—

№ 406. 1830 წ. დეკემბრის 10-ს. ხელშეკრულების წიგნი, მიცემული ივანე ტოგონიძის მიერ იაგორ ქეთხუდოვისადმი. დედანი. 37×23 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმა-რია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Qd, № 866.

ჩუღ წელს, დეკემბრის ი-სა დღესა ესე შეკრულობის წერილი მოგეცი მე ქვემო ჯელის მომწერელმან ქალაქში მცხოვრებელი პოდპორუჩიკი ივანე ბაქრაძისაგან განთავისუფლებული ივანე დავითის შვილი ტოგონიძემ თქვენ, ტფილისის მოქალაქე იაგორ ანტონიჩ ქეთხუდოვსა;—ასე რომ მე თეთრი დამჭირდა, რომ ჩემის თავის დასახსნელად ეგრეთვე სხვა და სხვა საჭიროებისათვის და თქვენგნით ავიღე ოცდაოთხი თუმანი თეთრი ფული, რომ ამ ხსენებულს თეთრშია უნდა ოთხი წელიწადი თქვენ და თქვენს მემკვიდრესა გემსახუროთ. რასაც საქმეზედ დამაყენოთ უარის უთქმელად უნდა აღვასრულო,—პურის ცხოზა და საქმლის გაკეთება, აგრეთვე შინაგური სამსახური, — ყველა რაც რიგია, ისე უნდა გემსახუროვიდრე ვადამდისინ და თუ თქვენი წინამდევნი საქმე ვქნა და არ გა[ა]მოთ ანუ მე მოვინდომო ვადის უწინ გასვლა, რაც მემსახურნოს, ისიც უანგარიშოთ ჩაიაროს და თქვენი მიცემული თეთრიც თავისის გავლილის სარგებლით მოგცე და თქვენ, ქეთხუდოვს გმართებსთ ამ მოცემულის თეთრის გარდა ტანისამოსის ფასად წელიწადში ერთი თუმანი მამცეთ წერილ-წერილათ რისთვისაც საჭირო იქნებოდეს, რომ ტანთ და ფეხთ მოვიხმარო. თუ, ვინიცოზა არის, ავით გაგზდუ, რამდენი ხანიც ავით ვიყო, იმდენი ხანიც კარგა მყოფი კიდევ ვადის შემდგომ გემსახურო და თუ საექიმო რამ დახარჯოთ, ისიც ჩემი ვალია უნდა მოგცეთ და ამისთანვე ჩემი განთავისუფლების წიგნიც უეზდნის სუღში რომ დამტკიცდეს, ისიც თქვენ უნდა სუღიდამ ამილოთ და ხსენებული ვადაძდისინ თქვენთან უნდა იყოს და ეს პირობაც დაგიდევით: როდესაც სუღიდამ განთავისუფლების წერილი მიილოთ, მერე ეს ჩვენი შეკრულობა ეს ანუ სხვა ახალი დაგიწერინო და დაგიმტკიცებინო და მოგცე. ეს არის ჩვენი პირობა<sup>1</sup>. ხელს ვაწერ და ყაბული მაქვს ივანე დავითის შვილი ტოგონიძე. ეს ჩემი ხელია.

სხვადასხვა ხელით:

ივანე ტოგოძეს თხოვნით ამ პირობის წერილის მოწამე ვარ აზნაური სტეფან ლორისმელიქოვი.

ივანე ტოგონიძის თხოვნით ამ წერილის მოწამე ვარ თავადი გიორგი თუმანოვი.

ივანე ტოგონიძის თხოვნით ამ წერილის მოწამე ვარ სოლომონ ხანყალამოვი.

ივანე ტოგონიძის თხოვნით ამ წერილის მოწამე ვარ გიორგი...<sup>2</sup>

ამისი მოწამე ვართ ივანე გიორგი...<sup>2</sup>

<sup>1</sup> ამის შემდეგ სხვა ხელითაა.

<sup>2</sup> გაურჩეველი ხელრთვაა.

№ 407. 1832 წ. აპრილის 29-ს. განცხადება კიესე თუმანოვისა გორის უეზდის ისპრაენიკის პოპოვის სახელზე. დედანი.  $34\frac{1}{2} \times 21\frac{1}{2}$  სმ; დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუზ. ფ. Hd. № 10109.

მის მაღალკეთილშობილებას გორის უეზდის ისპრაენიკს უფალს კოლეფსკის ასესორს ანდრეი ნიკოლაიჩს პაპოვს.

ზასედატელის პრაპორჩიკის თავადის იესე ეგნატიჩის თუმანოვისაგან განცხადება

რომელიცა მყვანდა მე ჩაბარებული თქვენის მაღალკეთილშობილებისაგან გვეთუბნელი ჩემი მკვიდრი ყმის ივანეს შვილი სესია, რომელსაცა ვიმსახურებდი შინამსახურად, ამისთვის კვ რიცხვსა ერთს ღამეს ჩემდა უცნობელად შინა სახლიდამ გამექცა, მის გაქცეულისა ჩემის ყმის შვილის სესიასი არის ნიშნები სხეულისა. ტანათ საშუალო, მუცელ გარდმოგდებული, ესე იგი ღიპიანი, სახით პირდაკენილი, ცხვირი მოკლე, უღვაშები ქერა, თვალბეჭეტი, თავმოპარსული. ტანისამოსი აცვია, ჩოხა მოწითლო ოსური, სარტყელი თეთრი ტილოსი, შალვარი თეთრი შალისა. ამ გვარის ნიშნებისა და ტანთსაცმელისა. ამისთვის ყ[ოვლ]ად უმორჩილესად ვთხოვთ თქვენს მაღალკეთილშობილებას, რომელ ამაზედ ჰქმნათ კეთილგანკარგულება და მოახდინოთ პუპლიკაცია, სადაცა ჯერ არს, რათა იგი მსახური ჩემი სესია არა იქმნას დაკარგული და სადაცა აღმოჩნდეს, მოყვანილ იქმნას ყარაულით ჩასაბარებლად ჩემდა. რომელზედაც ხელს ვაწერ გორის უეზდის სუდის ზასედატელი პრაპორჩიკი ა[ავადი] იესე თუმანოვი.

აპრილის კთ, ჩყლბ წელსა.

№ 408. 1834 წ. მეჯუდის რუხედ მომუშავე მუშების ნუსხა. დედანი.  $32\frac{1}{2} \times 21\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი მომწვანო ქაღალდზე მხედრული ხელით. საქ. მუზ. ფ. Hd. № 6898.

ჩყლდ-სა წელსა, მარიამობის თვეში, ვინც რუხედ მუშას უმუშავნია სასოფლოდ, ამას ქვემოთ იწერება:

- ქ. პირველ გიორგი ღუგაზაშვილი.
- ქ. პეტრე ჯაფახი.
- ქ. პეტრე ყაზარაშვილი.
- ქ. გიორგი მელქუაშვილი.
- ქ. აბრამა ბაშინჯალელი.

ენკენის თვეში ხაშილაურის ურეში მუშა.

- ქ. დათუნაშვილის აღდგომელა ერთი ხარი.
- ქ. ხოსრუაშვილი ისაკა ერთი კამბეჩი.
- ქ. ბერძენაშვილი სოსია ერთი კამბეჩი.
- ქ. რევაზაშვილი ივანე ერთი ხარით.
- ქ. ივანე ანესაშვილი უღელი ხარი.
- ქ. მორლას-შვილი თედო უღელი ხარით.

- ქ. აბრამა ბაშინჯალელი ერთი კამბეჩი.  
 ქ. შიო მერაბაშვილი კამბეჩით.  
 ქ. ივანე რევაზაშვილი ერთი ხარი.  
 ქ. ივანე ელისბარაშვილი ერთი ხარით.  
 ქ. ნინია მეგრელი ერთი ხარით.  
 ქ. მოსია ფალელაშვილი ერთი ხარი.  
 ქ. გოგია ერთი ორი ხარი.  
 ქ. ჯბეახის ბიჭი ერთი ხარი.  
 ქ. გურგენა ერთი ხარით.  
 ქ. პავლე ილარიონი ერთი ხარით.  
     ერთი პეტრე მარლის-შვილსა.  
     ერთი გლახუნა-შვილის პავლიასი.  
     ერთი გიგოლა ნესუა-შვილ[ი]ს.  
     ერთი პეტრე ლეკის-შვილისა.  
     ერთი ოსთანდილასი.  
 ქ. მეორეთ პეტრე ლეკიას-შვილი.  
 ქ. გიორგი გიორგაშვილი.  
 ქ. პეპუა მერაბაშვილი.  
 ქ. სოსია კიკრიაშვილი.  
 ქ. მესამეთ ივანე ჩალაბაშვილი.  
 ქ. ნონიკა ლომიაშვილი.  
 ქ. ნინია მეწისქვილე.  
 ქ. დავითა სეფედავლას-შვილი.  
 ქ. დათუნაშვილი.  
 ქ. გიგოლა ნესუაშვილი.  
 ქ. ივანე ანესაშვილი.  
 ქ. ისაკა ხოსრუაშვილი.  
 ქ. მიქელა მოურავი ცხენით.  
 ქ. ზაზა მოურავი (sic) ცხენით.  
 ქ. პეპანა ჩალაბაშვილი.  
 ქ. გუგაზაშვილი გიორგი.  
 ქ. ბაშინჯალელი მოსია.  
 ქ. ანესაშვილი მამაჯანა.  
 ქ. ივანე თემურაზაშვილი.  
 ქ. ჩარუხაშვილი სარქისა.  
 ქ. რამაზი წყნენეთი (sic).  
 ქ. გაბრიელა სეიფაშვილი.  
 ქ. მელქუაშვილი მოსია.  
 ქ. ნონია ლომიაშვილი.  
 ქ. ანდრია გლახას გერი<sup>1</sup>.

<sup>1</sup> სათაური: სია არის გლეხებისა; ვისაც რუხედ უმუშავნია მეფუდისა.

№ 409. XIX საუკუნე. პირველი ნახევარი, განცხადება, დედანი.  $35\frac{1}{2} \times 22\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით: განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. განცხადების ავტორი არ ჩანს, მაგრამ საფიქრებელია, რომ იგი მანუჩარ თუმანიშვილი უნდა იყოს, რომელსაც XVIII საუკუნის დასასრულს ეკავა მდივნისა და ლაშქარნივისის თანამდებობა. თარიღი არ უხის. საბუთი საქართველოში რუსეთის ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებში, XIX საუკუნის პირველ მეოთხედს უნდა ეკუთვნოდეს. საქ. მუხ. ფ. Hd, № 8679.

ამა საზოგადო შეკრებისაგან ბრძანებულ პუბლიკაციით ღრამოტის წარმოდგინებისათვის საქართველოს მეფეთ სახელოს ჯამაგირის და შემოსავლის მქონებელთაგან, რომელსა ზედაც მაქვს მოხსენება, რომელ სხვათა შორის მეცა ვმსახურებდი საქართველოს მეფეთ სახელოთი მდივნობისა და ლაშქარნივისობისა, ვიდრე უკანასკნელ ჟამადმდე საქართველოსა შინა მეფობისა და ვიღებდი სხვათა შორის მდივანთა თანა ნაწილსა მდივნობის შემოსავლისა და ლაშქარნივისობისათვისვე, როგორც დანიშნულს ჯამაგირს და ულუფას ვიდრე<sup>1</sup>—თუმანდღე თანასწორ ლაშქარნივისისავე თავადის ომან ხერხეულიძისა, აგრეთვე ლაშქარნივისობისა შემოსავალსაცა<sup>2</sup> დროსა თოფხანის მოსამსახურეთ დაწერის. ჯამაგირის ბარათისასა ლაშქარნივისობის სარგოსაცა ყოველთვის უკლებლად, რომლისათვისაც არა არიან უცნობელ ამა საზოგადო შეკრების ჩლენნი<sup>3</sup> ქართველ თავ[ა]დთაგანნი და დარწმუნებისათვისაც წარმოვადგენ უკანასკნელის მეფის გიორგისაგან ნაბოძებს ასლსა, ოქმსა ლაშქარნივისობისათვის და თანასწორვე იმა მეფისაგანვე ნაბოძებს ოქმის პირსა მდივნობისათვის (რომლისა ასლიც ეკსპედიციასა შინ]ა სუდა ირასპრავისა არისა) და უკეთუ ინებებდეს ესე სობრანია, იქილამ მოიკითხოს იგი ოქმი ჩუხს წელს, მისის ა დღეს გამოცემული და რადგანაც მე ვერა მივიღე ჩემს ამხანაგთ მდივანთა და ლაშქარნივისთა შორის ვერც ჩინი და ვერც პენცია მისის დიდებულების სიუხვისაგან და დავრჩი ესეთსა ობიდასა ქვეშე, ამისთვის უმორჩილესად ვთხოვ ამა საზოგადო შეკრებასა, რათა მეცა არა დამავდოთ სხვათა თანა წარუდგენელად.

## კ ა ხ ე თ ი

№ 410. 1759 წ. იანვრის 16-ს. ყმის დანებების წიგნი, მიცემული ნიკოლოზ ალავერდელის მიერ ენისელთ მოურავის შვილი იესესათვის, დედანი.  $35 \times 16$  სმ, კიდეები დაზიანებული აქვს. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნები ნახმარი არაა. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2703.

ქ. ნებითა მლთისათა და მეოხებითა წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისათა ესე წიგნი მოგეცი ჩვენ ამბა ალავერდელმა ნიკოლოზ თქვენ ენისელთ მოურავის შვილს იასეს:—ასე რომე სარქისაშვილი მლთისავარ და იმისი ძმა თქვენს რძალს მატრონას თქვენდა შეუტყობლად წმიდის გიორგი-

<sup>1</sup> გამოტოვებულია ცარიელი ადგილი.

<sup>2</sup> აქ ორი სიტყვა წაშლილია.

<sup>3</sup> წაშლილია.

სათვის შეეწირა. მერე თქვენ არა ჰქენით იმ შეწირულობის ყაბული, არც დაამტკიცე, ბატონთან და ეპისკოპოსთან ილაპარაკე და რადგან უშენოთ შეეწირა შენს რძალსა, ბატონმაცა და ეპისკოპოსთ ის სარქისაშვილი ისევ შენ დაგანებეს, რომ წმიდას გიორგის იმასთან უკანონოთ მოგეცა და საქმე აღარავის ქონდეს შენს მეტსა და ჩვენც ალავერდელმა ნიკოლოზ ნება გეცით და შენდობით დაგანებეთ, რომ არც ამაში კანონი შენ გქონდეს, არც თქვენს რძალს მატრონასა. ღმერთმან დიდებულმან წმიდამ გიორგიმ მშვიდობაში მოგაგმაროს ამიერითგან და უკუნისადმე. ამინ. დაიწერა იანვარს ივ. ქკს უმზ. ნიკოლოზ.<sup>1</sup>

ქ. ჩვენ, ბოდბელი მოწამე ვარ [ ] მე, რუსთველი იოანე მოწამე ვარ<sup>2</sup> ქ. მე ნეკრესელი დოსითეოს მოწამე [ ]. მე ნინოწმიდელი საბა ამისი მოწამე [ ]. ქ. ხარქაშნელი ვმოწმობ. ხარქაშნელი დომენტი<sup>1</sup> ქ. მე კარის წინამძღვარ ამბაკომ ამისი მოწამე [ ]. განის აშიაზე: ჩვენ მეფე კახეთისა ირაკლი ამ ალავერდლის წიგნსა და ეფისკოპოსთ მოწმობას ვგრეთვე ვამტკიცებთ. იანვრის ივ (?), ქკს უმზ.

ეროკლე

№ 411. 1763 წ. ოქტომბრის 5-ს. განაჩინი მოსამართლეთა ზაალ ეშიკალასბაშის და გიორგი ქიბრუნაშვილის საქმეზე. დედანი 42 x 16 1/2 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მწადრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახშირია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2820.

ქ. ბატონის-შვილს ხორეშანს რომ დავით საჩინოს-შვილის მამული ეჭირა შხითევეში გატანებული უტოში და ის რომ მიიცვალა, ის მამული თავისის ქალს ეშიგალას ბაშ ზალის ჯალაბის ანნასათვის ებოძებინა და იმ მამულზე ესახლა ქიბრუნაშვილი გიორგი მღვდელი და ამის ძმა მახარა. კურთხეულს ბატონის-შვილს თავისივე სიცოცხლეში ამ კაცებისათვის თავისუფლობის წიგნი მიეცა. აზატნი იყვნენ, ვისთანაც უნდოდათ მოვიდოდნენ. ქკს უნა, ლეინობისთვის ე, ამ თარღამდის ეს კაცი იმავე მამულზე იდგნენ და მუშაობდნენ. ეშიკალასბაში ამობრძანდა ახმეტას და ჩვენ მოსამართლეთან ილაპარაკეს. ის მამული, რისაც მქონებელი ყოფილიყო, სულ თამამათ იმ კაცმა ამ ეშიკალასს უნდა ახლავ მოაბაროს.

ქ. არის ეს მამული:

ა ქ. უტოს ძამუკაშვილის ნაქონი ვენახი რომ მას უკან ეს კაცი ესახლა.

ქ. ეს ვენახი არის კოკიმაშვილის ვენახის მიჯნაშდის და აქათ ორლობემდის და ბოლოს კოკიმაშვილის მიწამდის და გვერდით გილდაშვილის გიორგის ვენახის მიჯნამდის,

ქ. ამავე ვენახთან სასახლე და მარანი ბოლოს, სასახლე და ეს მარანი გვერდზე ერთი დღის მიწა უძეს და მარანი იმაში არის,

ქ. ამ მარანში არის ქვევრი სამი,

ქ. დაბლა გალავანთან ამავე გიორგი მღვდელთან არის ქვევრი ექვსი,

<sup>1</sup> ხვეულად.

<sup>2</sup> ხვეულად.

ქ. ნიგოზი არის ძირი ოთხი,  
 ქ. სხალი არის ძირი ორი,  
 ქ. ბოლოს სამი დღის მიწა რომ არის, იმაში დგას ნიგოზი ორი,  
 ქ. ამავე ძამუკაშვილის ნაქონის ნასახლართან საწისქვილო ერთი,  
 ქ. დულუზაურის მარანთან არის რვა დღის მიწა,  
 ქ. ტუსისშვილის ვენახის ბოლოს არის მიწა ორის დღისა,  
 ქ. სანახიროს ნიგოზთან არის მიწა ორი დღისა,  
 ქ. ამას გარდა რაც საღალო მიწა ყოფილა, ის კი არ ვიცოდით, თქვენ და რომაქიშვილმა და გილდაშვილმა გაარჩიეთ.

ქ. ეს მუჩაღვის წიგნი დაგვიდვია, ამ სიაში რაცა მოგვიხსენებია ჩვენ. გიორგი მღვდელის შვილმა ნიკოლოზმა და ლთისავარმა:--ასე რომ ამას გარდა ჩვენის შეტყობით ამ მამულისა არა ვიცოდით რა და თუ ან გასყიდული შემამჩნდეს და ან ვიცოდეთ და არა დაგვეწეროს, შეიდეულათ ბატონს ჯარიმა მოვართვათ. დაიწერა ლეინობისთვის ე, ქკს უნა. საღალოს გარდა.

სარიდ:ნ ერისთავის ძე	ნახირი ხოჯა
----------------------------	----------------

№ 412. 1764 წ. იანვრის 26-ს. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ვახტანგ ნამანგლელავის შვილის მიერ თამაზ ბებურიშვილისადმი. დედანი. 62×22½ სმ. დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმა-რია თითო წერტილი. საქ. მუზ. ფ. Hd, № 2774.

ქ. ნებითა...ესე ნასყიდობის წიგნი მოგეც მე, ნამანგლელავის შვილმა ვახტანგ თქვენ, ბებურიშვილს თამაზს და აიდემურს, შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა:--ასე რომე დამეჭირა და მოგყიდე ჩემი მემკვიდრე ყმის შვილი ელფიელი ნიკოლას შვილი ივანას-შვილი პატარკაცი, ვაქირს რომ ჩერქეზიშვილმა დემეტრემ კაცი აპყარა, იმისი გერი. ავიღე შენგან ფასი სრული და უნაკულო... მოწამე... გერმანოზის-შვილი პაპუა, კორკოტის-შვილი ლუარსაბ ლუარსაბ, სოლალას-შვილი მანუჩარ | --- |, თაყაიშვილი ვახტანგ | მონა ღვთისა |, ჯანდიერიშვილი თარხანი, მაყაშვილი ლუარსაბ, გომის მოურავი აღდგომელა. მე სიონის კანდელაკის შვალს ისაკს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა იანვრის ოცდა ექვს გასულს, ქკს უნბ. მ[ონა ვახტანგ.....

№ 413. 1772 წ. (თუ 1779 წ?). ივნისის 26-ს. არზა, მიცემული თალალას მიერ ერეკლე II-ისადმი, ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი. თავი დაზიანებული აქვს. 16½×11 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ იხმარება თითო წერტილი. საქ. მუზ. ფ. Hd, № 2760.

ქ. ღმერთ[მა]ნ ჩემის ხემწიფის ჭირი მოსცეს საცოდავით ცოცხალს თალალას. ჩემს ხემწიფეს ამას მოვახსენებ: ჩემმა ძმამა და ბიძაშვილმა ერთი ბიჭი მომცეს ხუთი წლისა, გავზარდე, ახლა ცოლშვილიანია. უწინაც მოვახ-

სენე, ქაიხოსრომ სხვა ბატონი გამოუჩინა. იმ ბიქს ჩემს მეტი ბატონი არავინა ჰყავს, არ დამანება. ამდენი მოწყალება მოიღვეით, ჩემი კაცი ამიყრევი-ნოთ და თუ იქილამ არ აყრით, ის თქვენ მირთვით და ერთი ბიქი მიბოძეთ, სანამ ცოცხალი ვიყო წყალი დამალევინოს. თქვენმა მზემ, ჩემი ძმა და ბიძა-შვილი ჩემთან ორნივე გახლდნენ, ის ბიქი რომ მომცეს, სხვის ბიქს რათ მომცემდნენ? ჩემო ხემწიფევე, ამის წყალობა მოიღვეით. მთიბათვის კვ, ქქს უა-ზემო აშიაზე:

ქ. ჩვენი ბრძანება არის ქაიხოსრო ენისელთ მოურავიშვილო, ამ არხით შენი რძალი რომ ასე გიჩივის, ამაზე ორი სამი ოქმი მოგვიწერია და პასუხი არ მოგიცია. ამას თავისი კაცი ახლავ დაანებე და თუ ერთი ქეშმარიტი სიტყვა გქონდეს რამე, ჩვენ მოგვახსენე, მაგრამ თუ სამართალში გამტყუნდი, ერთი ორად გამოგართმევთ. გარსევან ეშიკალაბაშო, ამაზე ერთი იასაული აჩინე და გაარიგებინე. ივლისის თ, ქქს უაზ.

ქ. თუ ის კაცი შენი არ არის და შენ გინდა, იყიდე და კახეთილამ კინუ დაჰკარგავ.

ერეკლე

№ 414. 1778 წ. თებერვლის 20-ს. ოქმი ერეკლე II-ისა. დედანი. დაზიანებული. 18×15 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შედგენ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2989.

ქ. ჩვენი ბძანება არის, მერმე ნაფარეულში გურამის-შვილს ზალს ერთი კაცი რომ უყენია, ორნი ძმანი პეტრია და ზურაბა, რადგან ავჭალას დგომას აპირებს, მაგის აყრას ნურავენ დაუშლით. დაანებეთ, ეგ კაცები წამოიყვანოს. ფებერვლის კ, ქქს უაგ.

ერეკლე

.....<sup>1</sup>[ნაფ]არეულში დგანან, ეგენ მტკიცედ იყვენენ. ღვეით ჩვენც ამ ცოტას ხანში ჩვენც კახეთში გამოვალთ, მაგათ კაის გზას მივცემთ, ნუ ეშინიანთ. ერეკლე

№ 415. 1781 წ. დეკემბრის 16-ს. პირობის წიგნი, მიცემული ნასყიდა ხარატი-შვილის მიერ ქაიხოსრო ჩოლაყაშვილისადმი. დედანი. 22×10 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2990.

ქ. ნებითა ღვთისათა ესე წიგნი მოგართვი თქვენ ბატონს ჩემს ჩოლაყაშვილს ქაიხოსრო მილახორს მე თქვენმა მემკვიდრე ყმამ ხარატიშვილმა ნასყიდამ;—ასე რომე ჩემმა მტრებმა მირჩივეს და საჩიველლად აღმძრეს. ახ-

<sup>1</sup> დაზიანებულია.

ლა მოველ და ჩემისვე ნებით მოველ და კაცი შემოგიყენე და ისევ წყალობა მიყავ და დანაშაული მაპატივე და შემირიგე. ასლა ეს პირობა მამირთმეცია, სანამ ცოცხალი ვიყო, ერთგულათ გმსახურო, როგორადაც სხვა მკვიდრი ყმანი გმსახურებენ და შენს იქით არ ვიცოდე რა. არის ამისი დამსწრე და მოწამე მალრანის ნაცვალის გლახა და მე აბელ მუშრიბს დამიწერია ამ ნასყიდას სიტყვით [ ] და მოწამე ვარ. აღიწერა დეკემბერს ივ, ქკს უფთ-  
მე თიანეთის მოურავი ქაიხოსრო

ამის მოწამე ვარ ამ კაცის სიტყვით 

ნახირი ქაიხოსრო
-----------------

მე მღივანბეგი ბეჟან ამ წიგნის მოწამე [ ].  
მე ფარეშბაში გივი ამ კაცის სიტყვით მოწამე ვარ [ ].

№ 416. 1787 წ. დეკემბრის 10-ს. წყალობის წიგნი, მიცემული იოანე ბატონიშვილის მიერ ბებურ ბებურიშვილისადმი. დედანი. 22x15 1/2 სმ, დაწერილი ღურჯ ქალღღებ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2727.

ქ. ბატონის-შვილის იოანეს სიკეთით სახსოვარო ბებურიშვილო ბებურ მერე დავით ერისთვის დროს რომ ქსნის ჯეველი ახალგორიდამ მინასა რომ ჩამოსულა და შენთან დამდგარა, რადგან ეს მინასა დღევანდლამდის თავის ცოლშვილით შენთან ყოფილა, დღეის იქითაცა შენთან უნდა იყოს ეს მინასა თავის ცოლშვილითა და კიდევ შენთვის მოგვიცია და დღეის იქით შენს მეტს საბატონყმით გელი არავის აქუს. დეკემბრის ი, ქკს უფ. დავით ერის-თავსაც შენთვის მოუცია და ამ მიზეზისათვის აღარ გამოგერთმევა.

იოანე

ქ. ჩვენ ბატონიშვილი ბაგრატ ამ ბატონის მამის ჩვენის და ჩვენის ძმი-საგან ბოძებულს წყალობის წიგნსა ამას ვამტკიცებთ. ივლისს კა, ქკს უპპ.

ბაგრატ

ზემო აშიაზე: ქ. ჩვენ საქართველოს უფლისწულმა მეფის ძემ გიორგიმ ამ კაცის საქმე კიდევ გამოვიძიეთ, მაგრამ დავით ერისთვისაგანაც მიცემული ჰყოლოდა და ჩვენც იმავე ბებურიშვილს უბოძეთ ეს კაცი, რომ ამის მეტს კაცს ამასთან საბატონყმით საქმე არავის არა აქვს. ივლისის კა, ქკს უპპ.

გიორგი

№ 417. 1789 წ. იანვრის 9-ს. არზა, მიცემული თამაზ ბებურიშვილის მიერ ერეკლე II-სადმი, უკანასკნელის ოქმით. დედანი. დაზიანებული, 20<sup>1</sup>/<sub>2</sub> × 16 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღებზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2587.

ქ. ღმერ]თ[მა]ნ ჩემის მოწყალის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს თამაზას ბებურიშვილს. ახლა ამას მოვახსენებ ჩემს ხელმწიფესა: ნიკოლოზ ფურცელაძეს ერევანიდამ ერთი სომეხი მოეყვანა და ჩემს მამულში იყო. იმისი ქალი ჩემს კაცს შეერთო. ყარაღაჯს რომ ჩვენი ჯარი დაამარცხეს და ჩემი ძმა თქვენის ჭირის სანაცვლო შეიქნა, იმ დროს ფურცელაძეს ეჩივლა. იასაული გებოძათ, აეყარა ის სომეხი და ის ჩემი კაცი, რომ იმ სომეხის ქალი შეერთო, ისიც თან გაყოლოდა და იქიდან გავაზს წასულიყო ის ჩემი კაცი. ახლა ვევედრები თქვენს ჯელმწიფეებს, ერთი უყმო კაცი გახლავარ, იმის მოწყალეა მალირსოთ. უწინაც თქვენი ოქმი მქონდა, მაგრამ დღესხვალიობით დამრჩა. ამ წყალობას ვითხოვ, რევაზზედ ერთი ოქმი მიბოძოთ, რომ ჩემი კაცი მომცეს. იანვრის თ, ქკს უფ.

ქ. ჩვენი ბრძანება არის რევაზ, მერე ამ თამაზას თავის კაცი ახლავ აუყარე და მოაბარე. თუ სიტყვა ვისზე აქვს, ჩვენ მოგვახსენოს. იანვრის თ, ქკს უფ.

ერეკლე

№ 418 1789 წ. დეკემბრის 10-ს. არზა, მიცემული გავაზელი გოგია ფითიკაშვილის მიერ დარეჯან დედოფლისადმი. დედანი. 17 × 10<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დაწერილი თეთრ ქალაღებზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2950.

ქ. ღმერ]თ[მა]ნ ს[რ]ულიად საქართველოს დედოფლის ჭირი მოსცეს გავაზელს ფითიკაშვილს გოგიას.

ქ. შარშან გიორგობის თვეში დავსტყვევდი. კარდანახელმა კაცმა დამიხსნა და მომიყვანა. ახლა ცოლშვილით იმისი გირაო ვზივარ. გევედრები, ღმერ]თი შეიღებს გიცოცხლებს, სანამ ამ ვალს მოვრჩებოდე, ერთი ოქმი მებოძოს, რომ არა მეთხოვებოდეს რა. ერთი ღარიბი კაცი ვარ სხვის გირაო. ქრისტიანობის ი, ქკს უფ. გავაზის მოურავის სიტყვით დამიხსნა იმ კაცმა. თეთრი რომ ვეღარ უშოვნე, გირაოთა ვყვეარ ცოლშვილით.

ზემო აშიაზე: ქ. გავაზის მოურაო რევაზ, მერე ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, თუ ამისი მოხსენებული ქეშმარიტია, შენ კარგად გეცოდინება, ეს შეუძლებელია; თუ შეუძლებელი, თუ ნაილაჯი იყოს და მიცემა არათი შეეძლოს, ორი წლით გაგვიანატება. არც საჩვენო სათხოვარში უნდა გარიოთ და არც საქვეყნოში. რადგან თავი აქუს დასახსნელი, გამოსაღებში ნულარას გარეეთ. დეკემბერს ია, ქკს უფ.

დედოფალი  
დარეჯან

№ 419. 1789 წ. სექტემბრის 10-ს. არხა, მიცემული ივანე სამგლის-შვილის მიერ დარეჯან დედოფლისადმი, ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი. 19×12 სმ, დაწერილი მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუზ. ფ. Hd, № 2935.

ქ. ღმერთი[მან ბედნიერის ველმწიფე დედოფლის კირი მოსცეს ჭიკა-ნურს მათს ყმას სამგლის შვილს ივანეს. შარშან ღორებში დავიკარგე, ვალი ავიღე, ოც თუმნად თავი დავიხსენ, მოვალეები შინ მისხედან და მაწუხებენ ჩემისთანის ტყვის მოწყალე ბრძანდებით, ორის წლის კოდის პურსა მთხოვენ, ერთის წლისა პური და აბრეშუმი მომირთმევია და შარშანდელი მაპატიეთ, ღმერთი გადღეგრძელებთ. სეკდემბერს ი, ქკს უოზ.

ზემო აწიაზე: ქ. გაყაზის მოურაო რევაზ და ნაცვალო ივანე, მერმე ამ არჯის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, თუ ამისი მოხსენებული ქ[ეშმარი]ტი არის და მართლა ასეა, როგორც მოუხსენებია, შარშანდელი კოდის პურიც გვიპატიეებია და სხვა ჩვენი გამოსაღებიც. თქვენ ეს კარგად შეიტყვეთ, თუ მართლა ეს დაკარგულა, კოდის პური შარშანდელიც გვიპატიეებია და ჩვენი სათხოვარი და გამოსაღებიც. სეკდემბრის იბ, ქკს უოზ. ქ. და თუ ვალი დასდებია.

დედოფალი  
დარეჯან

№ 420. 1789 წ. მარტის 15-ს. ოქმი გიორგი ბატონიშვილისა სახლთხუცეს ქაიხოსრო ჩოლოყაშვილისადმი. დედანი. 20×16 სმ, დაწერილი ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუზ. ფ. Hd, № 2909.

ქ. ბატონო სალთხუცესო ჩოლოყაშვილო ქაიხოსრო, მერე თქვენის ყმისაგან ომიდამ მოყვანილი აღია რომ გვთხოვეთ, ის აღია ჩემი ყმა არისო და თქვენ ყმათ გისახლობთო, ჩვენ იმ აღიასთან საქმე არა გვაქვს რა. თქვენი ყმა არის და ჩვენც თქვენთვისვე გვიბოძებია. მარტის იე, ქკს უპზ.

გიორგი

№ 421. 1790 წ. იანვრის 16-ს. ბრძანება დარეჯან დედოფლისა გიორგი სახლთხუცესისა და ველისციხის მოურავისადმი. დედანი. 24×16 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუზ. ფ. Hd, № 2551.

ქ. დედოფლის დარეჯანის სიკეთით სახსოვარო სალთხუცესო გიორგი და ველის-ციხის მოურაო სვიმონ, მერე ჩვენ ასე გვესმის, რომ ველის-ციხეს მამულზედ მოსახლე კაცნი ზოგნი ვინმე თავის გამიჯნულს მამულზედ კიდევ სხვას ადგილს უმატებენ და ჩვენს შეუტყობლად და უოქმოდ და თქვენს დაუკითხავათ სავენახეს ღობენ სადმე და უმატებენ თავიანთ მამულებსა და კალო საბძელს აკეთებენ და უმატებენ. ახლავ თქვენ მოიკითხეთ და გაშინჯეთ, რო-

მელთაც ჩვენს უოქმოთ და ან თქვენს დაუკითხავათ, ან მამულებისათვის შეემატებინოსთ, ან სამამულებთ შეეღობოსთ და კალო საბძლის ადგილი თავის მიჯნის გარდა გაემატებინოსთ, ყველას ახლავ სასოფლოთ დასდევით და ჯარიითაც გარდაახდევინეთ და რომელთაც ან ჩვენის ოქმით ეჭიროსთ და თქვენის დაკითხვით და შეტყობით, იმას ნუ მოუშლით და ვისაც ჩვენგან ოქმით არა ჰბოძებოდესთ, ყველას უნდა ახლავ ჩამოართვათ. თქვენც რომ დაგკითხოდნენ, მაინც მართებული ეს არის, რომ ჩვენი ოქმიც უნდა ეჭიროსთ. ამ საქმეს გაურიგებელს ნუ დააგდებთ, ახლავ ასე აღასრულეთ. იანვრის ივ, ქქს უოქ.

დედოფალი  
დარეჯან

№ 422. 1792 წ. მარტის 24-ს. ოქმი ერეკლე II-ისა სახლთხუცესს გიორგი ჩოლოყაშვილისადმი. დედანი.  $16\frac{1}{2} \times 10\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოფილი სიტყვის შემდეგ ნახზარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 3004.

ქ. ჩვენს მაგიერად ჩვენს სიძეს ჩოლოყაშვილს სალთხუცესს გიორგის მოკითხვა ეუწყოს. შერე ეს ნათათრალი აღია ყოფილი ნათათრალი გიორგი ჩივის და რას ემართლები, რომ აწუხებ. ამას ჩვენი წიგნი აქვს და ჩვენის შვილის გიორგისა, რომ ჩვენს ყმად დაგვიყენებია და ამას გარდა კიდევ ვისთანაც ყოფილა, იმას აზატი უქნია და იოსებ არქიეპისკოპოზის წერილიც აქვს, რომ იმასთან უმოწმებიათ, რომ აზატნაქნარი ყოფილა და ჩვენს ყმად დამდგარა: ამ კაცს დაეხსენ, ნუ აწუხებ, თორემ ჩვენი საწყენი იქნება. ამასთან შენ საბატონყმით ხელი არა გაქვს და თუ შენის კაცისა წამოულა რამე, ის ჩვენ შეგვატყობინე, ჩვენ გამოვართმევთ და მოგცემთ. ეს წიგნი რომ წაიკითხო, ესეც ისევ ამავე გიორგის მიეც და ველიც აიღევ. მარტის კდ, ქქს უოქ.

ქ. ეს ან აქეთ წავა და ან იქით და მასუკან ერთი სული უნდა უზლოთ ქრისტესა. კურთხეულის პაპის შენისა და მამის შენის დროსაც გაშვებულია და ჩვენი წიგნიც აქვს და ამ კაცს დაეხსენ, ამ გვარებს ნუ დაეჩვევი, არც სულით გიჯობს და არც წორციით.

ერეკლე

№ 423. 1794 წ. აპრილის 29-ს. არზა, მიცემული იოანე ხუთასისათვის მეუღლის მიერ, იულონ ბატონიშვილისადმი, ამ უკანასკნელის ოქმიო. დედანი.  $33\frac{1}{2} \times 11$  სმ, დაწერილი ლურჯ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახზარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2681.

ქ. ლმერთმაქნ ხემწიფის ძის იულონის ქირი მოსცეს საცოდავთ დარჩომილს თამაზა ბებურის-შვილს იოანე ხუთასის თავის მეუღლეს მარიამს, შერე ამას მოვახსენებ ჩემს ხემწიფის შვილს: ლმერთი გადღევგრძელებს და უცხოს შვილებს გიღღევგრძელებს, მოწყალება მაღირსე, მის სიმაღლის ხემწი-

ფის ოქმიც მიახლებია, ერთი ბიჭი მიეცა საწყალობლის დედის ჩემისათვის, თავის ძმას ყოლოდა, გაეზარდა, ერთი კომლი კაცი შექნილიყო, იყო გრემს. არ იქნა, ქაიხოსრო ენისელთ მურავის შვილმა არ დაანება, ბატონს თავი აწყინა, ბატონმა უბოძა ოქმი, საწყალს თქვენს ყმას მისცა, აყარა, წამოიყვანა. გზაზე ენისელთ მურავის შვილი გრიგოლ, დათუა მაყაშვილი მოეწივნენ, თავდებათ დაუდგნენ, ისევ დააბრუნეს, დარჩა ასე. ახლა ის კაცი დაიკარ[გა], ორი ბიჭი დარჩა, ახალქალაქს დგას, ბატონის დისწულმა უთქვენოთ არ დამანება. მოწყალებას ვითხოვ ქურთივისა და ობლის გამომზრდელი, დიდ დღეს მოგცემთ, შვილითურთ მიბოძე, ერთი ობოლი მყავს, ხელზე წყალი დაუსხას. დათუა მაყაშვილი მანდ გახლავსთ, მაგას კითხეთ. მოწყალება მალირსე, ღმერთი განგაძლიერებს. აპრილის კთ, ქკს უკვ.

ქ. ენისელთ მოურაო დიმიტრი, ამ არზის პატრონი ამ არზით რომ ასე ჩივის, თუ ამის მოხსენებული მართალი იყოს, რას ემართლები, თავისი ყმის შვილები დაანებეთ და თუ ერთი რამ ჭეშმარიტი და საბუთიანი სიტყვა ჰქონდეს რამ მაგათ და ჩვენს სამართალში გამოგზავნე. მაისის ია, ქკს უკვ.

ღვთის მშობლის  
სასოიანი იულონ  
დავითიანი

№ 424. 1797 წ. მაისის 25-ს. არზა, მიცემული იოანე ბებურიშვილის ქვრივის მარიამის მიერ გიორგი XII-ისადმი, ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი.  $21\frac{1}{3} \times 10$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახშიარი არ არის. საქ. მუზ. ფ. Hd, № 2771.

ქ. ღმერთ[მა]ნ საქართველოს ხემწიფის ჭირი მოსცეს საცოდავთ დარჩომილის თამაზა ბებურიშვილის იოანე ხუთასის თავის მეუღლეს მარიამს. მათს ხელწიფობას მოგახსენებ: ერთი ბიჭი ყვანდა დედა ჩემს თავისი ძმისაგან მოცემული, საწყალს თქვენს ყმას მისცა. ქაიხოსრო ენისელთ მოურავის შვილმა არ დაგვანება, მის სიმაღლეს ხემწიფეს თავი აწყინა. ოქმი გვიბოძა, აყარეთ, წამოიყვანეთ. გზაზე გრიგოლ ენისელთ მოურავის შვილი და დათუ[ა] მაყას შვილი დაეწივნენ, თავდებათ დაუდგენ: შამოდგომამდის დააცალეო და ჩვენ მოგვევითო. იქილამა ახალქალაქს დადგა, ბატონის დისწულმა აღარ დამანება, კიდევ ოქმი მიბოძა და კიდევ არ დამანება: იულონ ბატონიშვილის ოქმი მომიტანეო. იმათგანაც წყალობა დამემართა, ოქმი მიბოძა, მაინც არ მანებებს. ღმერთი თქვენს ხემწიფებას აღიდებს, წყალობა მოიღვეით, ერთი ობოლი მყავს, ხელზე წყალი დაუსხას. იასაული მიბოძეთ ჩემო ხემწიფევე, დამანებოს.

ზემო აშიაზე: ქ. ჩვენი ბძანება არის კალაურის მოურაო ომან, მერე ბებურის-შვილის ხუთასის თავის ივანეს ქვრივი ამ არზით ას რომ ჩივის, ამას კურთხეულის მეფის ბატონის მამის ჩვენის ოქმიც აქვს და ჩვენის ძმის იულონისაცა და თავისი კაცი არ მოუციათ. ახლა შენ უნდა მიხვიდე თარსა-გალავანში და ის თავისი კაცი უნდა აუყარო და მოსცე და თუ სხვა ჭეშმა-

რიტი სიტყვა ქონდეს ვისმე რამ, სამართალში მოიყვანე. მაისის კვ, ქკს უპვ.

გიორგი

№ 425. 1798 წ. ოქტომბრის 4-ს. არზა, მიცემული ტეტია მვალობლიშვილის მიერ გიორგი XII-ისადმი, ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი.  $16 \times 10\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახზარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 10241.

მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსაგსენებელი მათის მხევლის მვალობლიშვილი ტეტიას ქვრივისა და ობლებისა. ერთი ნასყიდი დედაკაცი მყუანდა და გამითხოვდა. ბატონს დედა თქვენთან ვიჩივლე და ერთი შვიდი წლის გოგო სისხლში წაართო და მე მიბოძა. ახლა ის გოგოც რომ გავზარდე, ისევ იმ დედამ გამიორგულა, გამეპარა და ქმარი შეერთო. თორმეტი წელიწადია ქვრივ-ობრობით გამიზღია, გევედრებით, ამის სამართალი მაღირსოთ. ოქტომბრის ზ.

ზემო აშიაზე: ქ. უფალნო კახეთის მოსამართლებო, ამ არზის პატრონსა და ამის მოდავეს სამართალი თქვენ უსაჯეთ და რაც სამართალი საჯოთ, განაჩენი მოეციოთ და ჩვენ დაგვამტკიცებინეთ. ღვინობისთვის დ, ქკს უპვ.

მეფე გიორგი

№ 426. 1799 წ. აპრილის 12-ს. არზა, მიცემული თუშთ მოურავის დის მარია-მის მიერ ბაგრატ ბატონიშვილისადმი, ამ უკანასკნელის ოქმით. დედანი.  $34 \times 18\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახზარო არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2570.

ქ. მათის უგანათლებულესობის ბედნიერის ჯელმწიფის ძის ბაგრატის წინაშე მოსახსენებელი თუშთმოურავის დის მარია-მისაგან. ჩემო ჯელმწიფე, ერთი ბიჭი დედის ჩემისათვის კიკოლა ყაფლანის-შვილს და დიმიტრი ყაფლანის შვილს მიეცა ენისელთ მოურავიანთ სახლში. იქ ქმარი მოუყვდა<sup>1</sup>, ერთი ვაჟი შვილი დარჩა, ის კაცი იქ ცოლით შვილით ჰყვანდა ჩემს ძმას. ის თქვენის ჭირის სანაცვლო შეიქმნა. ის კაცი მე დედა ჩემმა მამცა. აყრას რომ უპირობდი, ქაიხოსრო ენისელთ მოურავის შვილმა არ დაგვანება, ბატონი გამაეჩინა ვილაც. ნეტარად ხსენებულს ბატონს დედა ჩემმა თავი აწყინა, ის კაცი ჩვენ დაგვანება. მოგეხსენებათ, ყაფლანის-შვილს კაცი ეშოებოდა, რომ სხვისა არ მიეცა. საწყალობელმა თქვენმა ყმა მამცა ბატონის ოქმით. ალაზხანს გამოყვანილი გრიგოლ ენისელთ მოურავის შვილი, დათუა მაყაშვილი დაეწივნენ, თავლებათ დაუდგნენ, ამ შამოდგომამდინ დააცალეო. გამააბრუნეს, იმ თქვენს ყმას ორი თვეც აღარ დაუყვია, მოკუდა. იმ კაცმა დაიწყო

<sup>1</sup> ეს სიტყვა სხვა ხელით და მელნით სწერია.

სიარული, ახალქალაქს მივიდა. მერე მე ვაწყინე ბატონს პაპა თქვენს თავი, ოქმი მიბოძა—ბატონის დისწულო, ამას თავის ყმა მიეცესო. მიპასუხა: ახალქალაქი იულონ ბატონის-შვილის არისო, იმისი ოქმი მამიტანეო. არზი ვახელ, იმისგანაც წყალობა დამემართა, ოქმი მიბოძა—მიეცო, ახლა კიდევ ბატონის მამის თქვენისაგანაც წყალობა დამემართა, ოქმი მიბოძა—კალაურის მოურავო, ახლავ აპყარეო, მიაბარეო. ესლა გიახლათ, აყრას უპირობდა, თქვენ იმ კაცისათვის ოქმი გიბოძებიათ—ბატონამდინ დააცალეო. ღ[მერ]თი გადღეგრძელებს, სადაო აღარა არის რა, გარდაწყვეტილი საქმეა. ორი ოქმი ბატონის პაპის თქვენისაა, ბატონის მამის თქვენისაა, იულონ ბატონის-შვილისაა. გვედრებით, ნულარ მამიშლით. კალაურის მოურავი აქ გახლავთ. თქვენგან ამისი იმედი არ მაქვს, რომ ეს კაცი წამართო. [ღმერთი] გადღეგრძელებსთ და თქვენს გამრავლებას დამასწრობს, ამის წყალობა მოიღეთ, ოქმი მიბოძე, აპყარონ. მოგეხსენებათ, მე ლაპარაკის თავი არ მაქვს. გარდაწყვეტილს საქმეს ნუ მამიშლი ჩემო ჯელმწიფევე. ღ[მერ]თი დიდს დღეს მოგცემსთ, ერთი ობოლი მყავს, ხელზედ წყალი დაუსხას. დიმიტრი მაყაშვილი გახლავს მანდა, ჰკითხეთ როგორც იყო. მუხლთ გეხვევი, ამის წყალობა მოიღეთ. აქ გახლავსთ კალაურის მოურავი, აპყაროს. აპრილის იბ, ქკს უპზ.

ზემო აშიაზე: ქ. ბატონო კალაურის მოურავო ომან, მერე ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, შენ რადგან მის უმაღლესობის ბატონის მამის ჩვენის ბრძანება გაქვს, ისე აღასრულე. აპრილის იბ, ქკს უპზ.

### ბატონი

№ 427. 1800 წ. აგვისტოს 22-ს. არზა, მიცემული გოგია მღვდლის შვილის მიერ იოანე ბატონიშვილისადმი, ამ უკანასკნელის ოქმით დედანი. 33×13<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დაწერილი ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახშირი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 5543.

ქ. მისს უგანათლებულესობას მეფის ძის იოანეს წინაშე მოსახსენებელი თქვენის ხელდებულის პეტრე მღვდლის შვილის გოგიასი. ამას გვედრები, რომ რადგან ხელსა გვდებთ, შენის ქრისტეს სიყვარულობისათვის არა გვკარგამ, ჩემს თავს სხვის ხელში ნუ ჩა[ა]გდებ დასარბევათ და წასახდენათ. თქვენი კი ჭირის სანაცლო ვიყო. ესლა ენისლეონი რომ ჯარში მოდიოდნენ, დამარბიეს—ჯარში წამოდიო. ჩემის მოდავისა მეუბნოდა, თორემ დიდათ მრცხენიან, რომ ჯარში წაუსვლელობისათვის დავირბა. გხლებივარ, ჩემი თავი თქვენი ჭირის სანაცვალო იყოს. თქვენთან რაც უნდა დამემართოს, უთქვენოდ ნურავინ მახდენს. აგვისტოს, კბ, ქკს უპპ.

ქ. მეფის ძის იოანეს სიკეთით სახსოვარო ენისელთ მოურავო დიმიტრი, მერე ეს პეტრე ღდლის შვილები მათმა უმაღლესობამ ბატონმა მამა ჩვენმა მანდ კარისა მღთის მშობლისა მამულში და[ა]ყენა და ეგ ეკლესია მიაბარა. მანდ უნდა იდგნენ და მათის უმაღლესობისაგან ჩვენ გვაბარია. ამას თურმე ენისნელები აწუხებენ და არბევენ, ახლაც დაურბევიათ. ენისლის ნაცვალსაც

და ენისნელთ ასე გამოუცხადე, ამათთან მაგათ არაფერი საქმე აქვთ, არც ჯარში გამოსაყვანათ და არც ხარჯში და ბეგარაში გასარევათ. დღეის იქით თუ ამათ აწყენინეთ და შასცოდეს რამე, შენგანაც დიდათ გვეწყინება და მაგათაც გადაეხდევინებთ და ახლა რომ დაურბევიათ, ეგ ნარბევიც ახლავ წაურთვი და პეტრე ღდლის შვილებს მოეც და კახაშვილებსაც ყადაღა უყავ-  
ამათ ნურაზედ აწუხებენ. აგვისტოს კდ, ქკს უშპ. ბავრატ.

№ 428. 1801 წ. აპრილის 26-ს. წყალობის წიგნი, მიცემული კათალიკოზ-პატრიარქ ანტონის მიერ იოანე ჯანდიერის შვილისადმი. დედანი. 21×19 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუზ. ფ. Hd, № 8285.

ქ. წყალობითა ღვთისათ[ა] ჩვენ, ყოვლისა საქართველოჲსა კათალიკოს პატრიარხმან ძემან სანატრისა კელმწიფე მეფისა ირაკლი მეორისამან ანტონი ეს წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ ჯანდიერის-შვილს იოანეს და შვილსა შენსა ედიშერსა და მომავალთა სახლისა თქვენისათა;—ასე რომე მოხველ და თქვენს სამკვიდროს სახელოს გურჯანის მოურაობას დაგვეჯგე. ჩვენც ვისმინეთ აჯა და ვედრება თქვენი და გიბოძეთ ჩვენის წილის ყმის გურჯანის მოურაობა, ღმერთ[მა]ნ სვეტის ცხოვლის სამსახურსა და ჩვენსა ერდგულობასა შინა მოგახმაროსთ. არიან ამისი თანახმანი ერთობით ჩვენნი მოხელენი. აღიწერა ბძანება და ნიშანი ესე კელითა მალაქე მდივან-მორდალ იოსებისათ. აპრილს კვ, ქკს უშპ. კათალიკოზ<sup>1</sup>. მარცხენა აშიაზე სხვა ხელით:

ჩვენ; საქართველოს მეფის ძე დავით ვამბეკიციებ. დავით<sup>1</sup>.

№ 429. 1802 წ. აპრილის 16-ს. პირობის წიგნი, მიცემული აქაზ ანდრონიკაშვილის მიერ გიორგი ყაფლანის შვილისადმი. დედანი. 12×11 სმ, დაწერილი ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუზ. ფ. Hd, № 2817.

ქ. თქვენს ბრწყინვალეობას ბატონს ყაფლანის-შვილს მილახვარს გიორგის ეს წიგნი მოგართვით მე ენდრონიკაშვილმა უზბაშმა აქაზ და ჩემა ძძისწულმა დავით;—ასე რომ ერთი კომლი კაცი აგვიყარეთ და კონდოლიდამ ისევე გვიბოძეთ ამ პირობით: თუ ის კაცი თქვენი ყმა გამოდგა და სამართლით დაგრჩათ, ის კაცი ჩვენ მოგართოთ, რომ იმ კაცის აყრაზედ თქვენ თავი აღარ გაწყინოთ. აპრილის ივ, ქკს უშ.

განის აშიაზე: ქ. ენდრონიკაშვილი აქაზ.  
დავით.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ხვეულად.

№ 430. 1820 წ. აპრილის 3-ს. წისქვილის გაყოფის წიგნი. დედანი. 17×22 სმ, დაწერილი ლურჯ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 7714.

ქ. წისქვილები გაუყავით. ქვემოთი წისქვილი ასლანსა და ყაფლანის ობლებს ერგო. ნახევარი ასლანისა არის, ნახევარი ყაფლანის ობლებისა არის. ამ წისქვილს რომ ყურე უძეგს, ეს ყურე სამისავე ძმისა არის. ზემოთი წისქვილის ნახევარი დიმიტრის ერგო. აგრევე ამ წისქვილის ყურეც სამისავე ძმისა არის. ქვინაშვილს რომ წისქვილი ებრუნა, იმას ზემოთ ქვინაშვილებისა არის ეს ყურე. წელსა ჩუკ, აპრილის 6 დღესა.

პოდპოლკონიკი იოვანე ანდრონიკოვი.  
კაპიტანი თ[ავად]ი აბელ ანდრონიკოვი.  
თავადი დიმიტრი ანდრონიკოვი.  
თ[ავად]ი იოსებ ვაჩნაძე.  
თავადი ასლან ვაჩნაძე.  
თავადი ნიკოლოზ ვაჩნაძე.  
თავადი დიმიტრი ვაჩნაძე.

№ 431. 1813 წ. მაისის 17-ს. ბრძანება სიღნაღის დროებითი სასამართლოსი. დედანი. 36×21 $\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი ლურჯ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. თარგმანია რუსულიდან. ახლავს რუსული ტექსტიც. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2902.

### ბრძანება

სიღნაღის დროებითი სასამართლოებისაგან.

რომელთაც ამ ბრძანებით გამოგეცხადებათ და გეთხუებათ ამის ძალით შეაქვსთ მოვალეობა მიცემათ ბრძანებითა საქართველოს მმართველობისათა და უფალი ღენერალ მაიორი და კავალერი სვიმონოვიჩისათა აკლებული საცხოვრებელი თავადი ზაქარია ვაჩნაძოვისა კარდანახში მცხოვრებელთაგან ბოტ (sic) სესიაშვილი თევდორესა, ჩაყვაშვილის ელიოზისა, დავითაშვილი სოსიასა, გელანთ პაატაშვილისა, ომან ბეროზაშვილისა, ტეტია ტაბარუკის-შვილისა, ნინია ტაბარუკის-შვილისაგან, გოგია ბასილანთ იასეს-შვილისა, გარსევან რაზმაზაშვილისა, სოსია რაზმაზაშვილისა, ლვდლის შვილი ჩაყვასა, ფრიდონ გოგიაშვილისა, ხარიტონ გოგიას-შვილისა, კიკო ტურას-შვილისა, ხარიტონ ტურას-შვილისა, იოსებ მღვდლის-შვილისა დიმიტრსათა და სხვათა, რომელიც ამათ გიჩვენონ და აგრეთვე დამწვარი სახლისა ოცდაათი თუმანი თეთრი ფული, ათი საპალნე ღვინო, ერთი მაფრაშა, ორი ორხუა, ერთი ხალიჩა, ერთი ჯეჯიმი, ერთი ქეჩა, ერთი საბანი, ერთი ბალიში, ერთი ლეიბი, ერთი ნაბადი. ახლა ვეჯინელთაგან აკლებული, რომელიც ქვემოთ ამას შინა დაიწერება, უნდა მიეცეს ზაქარია ვაჩნაძოვს. ეგრეთვე ვეჯინელთაგან უნდა მიეცეს ოცდა ათი საპალნე ღვინო. ეგრეთვე ბაკურციხელთაგან უნდა მიეცეს ხუთი ურემი პური და სამი ურემი ქერი. როდესაც ეს საცხოვრებელი მოიკრიფება და მიეცემა ზაქარია ვაჩნაძოვს და თქვენც ბარათი უნდა გამოართოთ

მიბარებისა ზაქარია ვაჩნაძოვს და წარმოადგინოთ დროებითი სასამართლო-ში. მაისის იზ, ჩყივ წელსა.

№ 432. 1815 წ. მარტის 2-ს. ბატონყმობის წიგნი, მიცემული დათია იმერლის-შვილის მიერ გრიგოლ, აბელ და თთარ ჩოლაყაშვილებისადმი. დედანი.  $21\frac{1}{2} \times 17$  სმ, დაწერილი ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 10008.

ქ. ესე ბატონყმობის წიგნი მოგართვით მე იმერლის-შვილმა დათიამ თქვენ ჩოლაყას-შვილს გრიგოლსა, აბელსა და თთარსა;—ასე რომ თავისუფალი გახლდით და ჩემი თავი თქვენ გაყმევით. დღეს ამას იქით თქვენგმეტს ჩემთან ბატონყმობის მეტი სხვას ხელთ არავისა აქვს. რაც ღმერთმან შემად-ლებინოს ბატონყმურათ გმსახუროთ ერთგულათ და თქვენც მე შემინახოთ. ჩვენ ამ წერილის დამწერი და მოწამენი ვართ; გოჯიაშვილი ნაცვალი გოგია, მათურელი ნაცვალი იასე. ამ იმერლიშვილი[ს] დათიას ყაბულით დასტური დამიწერია ხიხოურს იოვანეს მლდელს და მოწამეცა ვ[არ].

მარტის ბ, წელსა ჩყივ.

№ 433. 1817 წ. მაისის 20-ს. პირობის წიგნი, მიცემული სტეფანე ნატრო-შვილის მიერ დავით ბარათოვისადმი. დედანი.  $17\frac{1}{2} \times 10$  სმ, დაწერილი ორ ფურცლიან ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 10090.

ქ. ესე წიგნი მოგეცი მე ზემო მაჩხანის ქევხამ ნატროშვილი [ს]სტეფანემ შენ, სოვეტნიკს დავით ბარათოვს;—ასე რომ სიღნაღის კამანდათი დამ ბძანება გამომეცხადა თქვენის ყმის გოგიას ცოლშვილით აყრა და შემოდგომამდინ მულათი გთხოვე. ახალი რომ აიღოს, აყარო და გამოგიგზავნო უჩიველელათ და გაუსარჯავათ ცოლშვილით. ეს არის ჩვენი პირობა. არის ამისი მოწამე ბოსტაშვილი ნაცვალი ბიძინა და ყიასანთ გოგია და ასის თავის შვილი სიმონი და მე ვასპარ ხოსროვმა ხელი მოვაწერე ამ ზემო ხსენებულთ თხოვნით და მოწამეცა ვარ. დაიწერა მაისის კ, წელსა ჩყივ.<sup>1</sup>

№ 434. 1820 წ. აპრილის 3-ს. გაყრილობის წიგნი ასლან, ნიკოლოზ და დიმიტრი ვაჩნაძეებისა. დედანი.  $34 \times 22\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. 2 ფურცელი. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 8988.

ჩყვ წელსა, აპრილის გ დღესა ვაჩნაძე ასლან, ყაფლანის ობლები და დიმიტრი გაიყარნენ და ჩვენ, ამისა ხელის მომწერნი, მედიატორედ აღმოგვიჩიეს და შეკრულების წერილი მოგვეცეს ესრეთ დაწერილი: „ჩვენ ძმები ვიყრებით, ყმასა და მამულს ვიყოფთო, რასაც თქვენ სამართალს გვისაჯავთ, ვიყვნეთ მიმღებნი და ვერა რომელმანღა შევიძლოთ სხვა სამართალში შესვლა“. ვიწყევით ამათის სამართალში შესვლა. ამათ ყვანდათ ოთხმოცი მემკვიდრე კაცი. აქედამ ოცის თავი როგორც ზაკონი არის ვახტანგ მეფისა.

<sup>1</sup> სათაური: გოგია ბიჭის წიგნია.

ისე ასლანს მიეცა საუფროსოდ და ცალკე გარჩევით ბარათები. ოცი კომლი ზოგანო ყვანდათ. ამაზედაც ასე მივეცი და ცალკე ბარათები: საშუალო ყაფლანის ობლებს მივეცი და ცალკე ბარათი, საუმცროსო დიმიტრის მივეცი და ცალკე ბარათი გარჩევით. ამ სასახლის ალაგის ზომა ალაგი ასლანსაც მივეცი და ყაფლანის ობლებსაც და ცალკე ბარათები. ამას გარდა სამათ შევაფარდეთ, წილი ვყარეთ და რომელი რომელს ერგო, ცალცალკე ბარათები გარჩევით მივეცი. კოლაგს ზვარი გაუყავით და რომელი მხარე რომელს ერგო, ცალცალკე ბარათები გარჩევით მივეცი. წისკვილები გაუყავით და რომელი რომელს ერგო, გარჩევით ბარათები მივეცი. ასე მოვარიგეთ. ქვევრები რომ გაიყონ, ერთი ასლანმა უნდა აიღოს საუფროსოდ და სხვა სამად უნდა გაიყონ. აგრეთვე რაც გასაყოფი მამული დარჩეთ, სამათ უნდა გაიყონ. სამი პირი დაიწერა ამისი, ერთი ასლანს მიეცა, ერთი ნიკოლოზსა და ერთი დიმიტრის. ასე გადასწყდა ამათი საქმე და მიეცათ კმაყოფილება.

პოდპოლკოვნიკი თ[ავად]ი ივანე ანდრონიკოვი.

კაპიტანი თ[ავად]ი აბელ ანდრონიკოვი.

თავადი დიმიტრი ანდრონიკოვი.

თ[ავად]ი იოსებ ვაჩნაძე.

თავადი ასლან ვაჩნაძე.

თავადი ნიკოლოზ ვაჩნაძე.

თავადი დიმიტრი ვაჩნაძე.

## ი ბ ე რ ა თ ი

№ 435. 1727—1739 წ. უდაობის წიგნი, მიცემული აბდულა ბალანჩივაძის და სხვათა მიერ ამირან მესხისადმი. დედანი. 26 × 18 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. თარიღი არ უხის. მისი მიმღები ამირან მესხი გვხვდება 1739 წლის საბუთში (ნ. ბეჭთენიშვილი. დოკ. საქ. სოც. ისტორიიდან. I. გვ. 470), ხოლო აქ მოხსენიებული მოწმე ალა ფაჩუაშვილი გვხვდება 1727—30 წლებით დათარიღებულ საბუთში (იქვე, გვ. 464). ეს საბუთიც 1727—39 წლის ახლო დროს ვეუთენის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 10354.

ქ. ესე წიგნი მოგეცემე ბალანჩივაძე აბდულამ და ფაჩუაშვილის ქალმა მერიამ ჰელიმამ შენ ამირან მესხს—ასე და ამ პირსა ზედა, რომ ფაჩუაშვილის ქალმა ფადიმემ შენ რომ ივანე მესხის მძევალი კაჭუელა გოგლიჩიძე და მისი შვილი კაციელეი მოგაბარა, მერმეთ ჩვენ სამ[მ]ა მოგადექით და გთხოვეთ და იმ მძევლის სახსარი, რითაც გული გაგვიჯერდებოდა გამითავეთ, თეთრი გამოგართვით და გული ავისრულეთ. ფაჩუაშვილის ქალმა რომ მძევალი მოგაბარა, მას მერმეთ მოკტა და მისი საქონელი სამართლით ჩვენ დაგვრჩა და იმ მძევლების სახსარი გამითავეთ, შენ, ამირან მესხისაგან ავიღეთ. დღეის ამას იქეთ იმ მძევლის საქმეზედ არც შენთან, არც ივანე მესხთან და შვილთა მომავალთან, არ[ც] ჩვენ და არც ჩვენ შვილსა და მომავალს ხელი აღარა გვაქ. თუ, ვინ

იკის, იმ მძევლების თამასუქი გამოჩნდეს ამირანისაგან მიცემული, ხელი აღარ გვაქ, ამ თამასუქმა გაამტყუნოს. არის ამისი მოწამე ქუთაისის ენგეჩარასი მეჭმედ ალა, ფაჩუაშვილი ალი, ჩხუბიაშვილი ისუფ. ჯებეჭი ალილის შვილი მეთი, მისი კაცი ოსმან ხალილ ბაირახტარი, ფაჩუაშვილი აჰმედი, გიორგი, ქელბაქიანი ხოსიკა, ბასილის-შვილი ხახუტა, გიორ[გი] გოლაშვილი, გიორგი მესხი, ბერუკვი ფხეიძე. მე მოლა მამედი ამისი გამრიგეც ვარ, დამწერიც და მოწამეც. <sup>1</sup>

№ 436. 1751 წ. საურის ამოკვეთის წიგნი, მიცემული სოლომონ I-ის მიერ გლეხ-იშვილებისადმი. პირი, გადაწერილი XIX ან XX საუკუნეში. თარიღი, ჩანს, შეცდომითაა გადმოწერილი. საბუთი უფრო გვიანი ხანისაა. საქ. მუხ. ფ. Hd, № 10143.

...მეფეთ მეფემან ბატონმა სოლომონ და თანამეცხედრემან ჩვენმან დალიანის ასულმან დედოფალთ დედოფალმან ბატონმა მარიამ, სასურველმან ძემან ჩვენმან ბატონიშვილმან ბატონმა ალექსანდრემ თქვენ ექვსს მოსახლეს ძირის სამტრედიელს კაცებს: სამს მოსახლეს გელეიშვილებს, ერთს მოსახლეს ვახანას, ერთს მოსახლეს ქართველს, ერთს მოსახლეს რევიშვილს გიორგის;— ასე რომე ურჯულოთაგან დიდათ გაგიჭირდა. ჩვენის სასაფლაოს გელათის ღვეთის მშობლის შეწირული [ი]ყავით. ნამეტნავად რამ გაგიჭირდა, მოგიხედით, შეგესიეთ, ბევრი ავი დაგემართათ ჩვენგან. ჩვენცა ამისად ნუქბად ეს წყალობა გიყავით თქვენ: არცა ჩვენგან, არცა სხვათა ჩვენთა შემდეგთა მეფეთაგან, არცა დიდთა და არცა მცირეთაგან არასოდეს საური არ გეთხოვოთ, არც თქვენ და არც შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა. თქვენც ეს დაიდევით ჩვენი: ყოველს აღდგომას მღვდელს შეგვიმოსინებდეთ, მადამდის ცოცხალი ვიყოთ ჩვენად სადღეგძელოთ აწირვინებდეთ, ოდეს სოფელმან მისი არ მოიშალოს და სულისთვის გვიწირვინებდეთ მადამდის ან ერთი თქვენი გვარი კაცი იყოს...!

წელსა ჩინა.

№ 437. 1761 წ. აპრილის 30-ს. მიბარების წიგნი, მიცემული კათალიკოზ იოსების მიერ ბერუკა და გრიქოლასადმი. დედანი. 16×10 სმ, დაწერილი ოქროს ქალღმერთ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ იხმარება თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 8993.

ქ. საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის იოსების იმედო ბერუკავ და გრიქოლავ, მერმე ბატონის აბაშიძის ჯალაბის თინათინისათვის მიგვიბარებინათ. აქვე თავი ვაწყინეთ თქვენს საქმეზედ. ამასთან იყავით, თუ რამ საქმე გექნებათ, მოახსენებდეთ და თვალი და ყური ეჭირება, არავის გაგაგლეჯინებსთ. თუ რამ ჩვენი სამსახური იყოს, ჩვენ ამას მოვასხენებთ და ამათით გიმსახურებთ. ჩვენი სანთელ-საკმელი რომ გაძესთ, ამათ მოართმევდეთ და ესენი ჩვენს ეკლესიაში გამოგზავნიან. სანამ მანდ იყოთ, ამათთან იყავით.

<sup>1</sup> თურქულად. აქვეა თურქული ხელრთვა.

ამათს გარდა სხვას კაცს თქვენთან საქმე არავისა აქვს და ნურც უჩვენს ბრძანებლად მისცემთ ვისმე რასმე. თუ რამ საქმე გქონდესთ, ჩვენც შეგვატყობინებდეთ და ამათაც მოახსენებდეთ. უბრალოთ არავის გაგაგლეჯინებენ, აპრილის ლ, ქქს უმთ.

კათალიკოზ<sup>1</sup>

№ 438. 1768 წ. ნოემბრის 24-ს. ყმა-მამულის წყალობის წიგნი, მიცემული ზაალ აბაშიძის მიერ გაბრიელ ტაბატაძისადმი. დედანი. 21 $\frac{1}{2}$ ×9 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. საქ. მუზ. ფ. Hd, № 2791.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღვეთისათა ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ ჩვენ, აბაშიძემ ზაალ და ჩვენმა შეილმა იოვანემ და სვიმონ შენ, ხევის ჯვარის დეკანოზს გაბრიელს ტაბატაძეს;—ასე რომ ხევის ჯვარს შენს ქვეყანაშიდ ერთი გლეხი კვირია და თამაზა ორივე ძმანი გადაშენებულ იყვნენ. ერთი პატარა ბიჭის მეტი არა დარჩენიათ რა. მოწყობა არ შეეძლო, ყურის მგდები და გამზდელი თავის ქვეყანაში არავინ გამოუჩნდა და ისე საწყალი იყო და ახლა<sup>2</sup> შენც მოინდომე და ის ბიჭი თევდორე მისი კერძი მამულ-ალაგით, რაც მისი საკერძოა, მოგვიცია. კელმწიფის მწირველ-მლოცველი ხარ მონასტრის<sup>3</sup> და დეკანოზი, არცა რა შენ გყავდა მოსამსახურე და ამიტომ მოგვიცია. მისა გამრიგე და მოწაპე ჩვენი კარის მწირველი მღვდელი ოქროპირ წერეთელი, გესამანის დეკანოზი პეტრე, ალაბიძე მოურავი გიორგი. მაჭავარიანი მამასახლისი და მემარნე მამუკა მგელაშვილი. ნოემბრის კდ, ქქს უნვ.

ზაალ

№ 439. 1771 წ. აგვისტოს „გასულს“. პირობის წიგნი, მიცემული ივანე პაპიძის მიერ ქაიხოსრო აბაშიძისადმი. დედანი. 33×11 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი. საქ. მუზ. ფ. Hd, № 2980.

ქ. ესე წიგნი და პირობა მოგართვი თქვენ, აბაშიძეს ქაიხოსროს მე, პაპიძე ივანემ;—ასე რომ ჩემი ცოლი შემომწყრა და თქვენ შემოგხვეწოდა, ავით მეკიდებოა, არ შემინახაო. მოველ და შემოგეხვეწე, ეს პირობა მოგართვი: თუ რაც შეძლება მქონდეს ცოლ-ქმრობის, პირობით კიდევაც ჩავაცვა, კიდევაც დაეხურო, არც გალახვით, არც ავით მოპყრობით. თუ რა სუჩი [სულში?] გამოიყუანოს რამე ჩემში, ამას იქით მეფის სოლომონის მოღალატე ვიყო, მისის ალექსანდრეს თოფის მსროლელი ვიყო, ისე ველთ დამრჩე-

<sup>1</sup> ხეულად.

<sup>2</sup> აქ ერთი სტრიქონი წაშლილია.

<sup>3</sup> ზემოდან ჩამატებულია.

ნია და პასუხის გამცემი თქვენიც და მეფისაც. არის ამისი მოწამე და დამსწრე სულ თქვენი მსახურ-აზნაურზვილი. მე მღდელს იოანეს დამიწერია და მოწამეცა ვარ დაიწერა აგვისტოს გასულს, ქქს უნთ.

განის აშიახზე: მე, მღდელ-მონაზონი ჩიჩუა მაქსმიე.

№ 440. 1777 წ. ივლისის 8-ს. ნასყიდობის წიგნი, მიცემული ნიკოლოზ აბაშიძის მიერ იოანე აბაშიძისადმი. დედანი. 59x22 სმ, დაწერილი თეთრ ქალღღებ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2827.

ქ. ...ესე წიგნი მოგეცით თქვენ, ჩვენს ბიძაშვილს ქეშიჭიბაშს აბაშიძეს იოანეს და ძმასა თქვენსა სვიმონს ჩვენ, აბაშიძემ მილახორბაშმან ნიკოლოზ და ძმისწულმან ჩემან ქაიხოსრო და ევგენი;—ასე რომ ერთი კომლი კაცი ჩვენი ყმა შოლის პირს ნამოსახლები ჭაბუკაძე გიორგი კახეთში ვეჯინს იყო და ეს კაცი შენ მოინდომე და ცოტა რამ ფეშქაშიც მოგვეცით და ჩვენც შენას ძმობისა და სიყვარულის გულისათვის და ახლის მოსახლეობის მიზეზით ეს ჭაბუკაძე გიორგი თავისის ცოლშვილით თქვენ მოგვეცით ყოვლის კაცის უცილებლად...მოწამე...კაცთაგან ბეგთაბეგიშვილი მდივანი სულხან

მოწამე  
ღვთისა  
სულხან

ფავლენიშვილი გლახა და მე, ხერხეულიძე, ლაშქარნივის ომანს

ომან<sup>1</sup> დამიწერია აბაშიძე ნიკოლოზისა, ქაიხოსროსა და ევგენის სიტყვით და ყაბულობით და მოწამეცა ვარ. დაიწერა თვესა ივლისსა 8, ქქს უფე.

[ ]<sup>2</sup>

აბაშიძე  
ქაიხოსრო

[ ]<sup>3</sup>

№ 441. 1778 წ. აგვისტოს 28-ს. წყალობის წიგნი, მიცემული სოლომონ I-ის მიერ პაპუნა წყავეთისადმი. დედანი. 44x50 სმ, დაწერილი თეთრ, ქალღღებ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Sd, № 1193.

ქ. წყალობითა [ღვთისათა] და მინდობითა უმიერ კერძო წმინდისა და ყ[ო]ველთა მაწმინდებელისა ზეშთა ღმერთ მთავრისა სამებისა, რომლისა პირთა თანად გულსა აღვიარებ მხოლობასა სამობისა შორის და სამობასა მხოლობისა შორის, კვალად მინდობითა და ფარვაცვითა მარამ დავითიანისა და დედათა ზეშთა ქმნილისა უმწიკვლო უბიწოსა დედასათა, რომლისა მიერ იქმნეს განხსნანი საუკუნოასა საკვირელისანი და აღმოწოდებანი ზენადისა სამეფოდ, კვალად შეწვევითა ყოველთა ვიტყვი წმიდათა და სათნოთა, რომელიცა ზეშთა ექმნეს ნივთთა და უცისკრის ფერებ ყვეს ხედვად, ამათ ზემო თქმულთა ყოველთა მინდობითა და ყოვლისა სასოებისა და ჰაზვირისა ზედა დადებითა ჩვენ ღვთით ცხებით გვირგვინოსანმან იესიან-დავითიან-სოლომონიან — პა[ნ]კრატიონმან ს[რ]ულია]დ საი-

<sup>1</sup> ასომთავრულით.

<sup>2</sup> ღვთისად კაც[ა]დ გესავ ქრისტესა მუე მექვენ აბაშიძესა. ბეჭდის შუაში ასომთავრულით: ნ[ი]კოლოზ.

<sup>3</sup> არ ირჩევა.

შერეთოს მპყრობმან დიდად სახელოვანმან მეფეთ მეფემან სოლომონ და და ერთხორც ქმნილმან ჩემქმან დედოფალთ დედოფალმან წულუკიძის ასულმან გულქან, პირმშობან და სასურველმან ძემან ალექსანდრემ ესე მტკიცე და შეუტევალეზელი და არა მიზეზისა რომლისამე მიმღებ[ი] წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ ჩვენს ფრიალ ერთგულს თავდადებ[ით] ნამსახურს სარდალს წერეთელს პაპუნას, შენს ძმას სახლოთუხუცეს ზურაბს და შენს ძმას ბერს;—ასე რომ წყალობა გიყავით და გიბოძეთ<sup>1</sup> ავღუშელის-შვილი ანდრია, მისი ძმა იოვანე, მეორე მოსახლე კიდევ ავღუშელის-შვილი ბეჟუკი, მისი შვილი გოგია, იოვანე და კაცია, კვალა[დ] მესამე მოსახლე მაჭავარიანი დათუკი და მისი ძმა როსაბ, მათის ცოლის შვილით, ყმით, მოსამსახურით, ადგილით, მამულით, წყლით, სანადიროთი, თავისის ეკლესი[ი]თ, სძებრით და უძებრით, რომლისაც მქონებელნი იყვნენ დღეს მისის ყოვლისფერიანათ გვიბოძებ[ია] გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენს ერთგულად სამსახურშიდ. უკეთუ თქვენ ჩვენი ბრძანების მორჩილი და ერთგული ყმანი იქნეთ, ეს ჩვენი ბოძებული წყალობა არც ჩვენგან და არც ჩვენთა შემდგომთა მეპატრონეთაგან თქვენ და თქვენს შვილსა და მომავალს არაოდეს მოეშალოს. უკეთუ ვინმე ამისდა შლად ხელყოს მეფემან ანუ დედოფალმან, უფლისწულმან ან თავადმან, სამღვდლოთაგან — მან ვინმე ან საეროთაგანმან, მამრმან ვინმე ანუ დედათაგანმან ეს ჩვენი ბოძებული წყალობა მივიღოს, იყავნ კაცი იგი ქრისტეს სიტყვიერისა ვენახისაგან, რომლისა საესება მართლადმსარებელთა ერთა განფხვრილ, ვითარცა არქა განმხმელი დასაწველად არა ჟამიერისა კვალა[დ] შეეძინენ ბედ ბნელობასა მისა ცოცხლივ დანთქმა კორეს ძეთამებრ დაეფრიადენ შიში და ძრწოლა სხვათა თანა შურის ძიებათა, ვითა კაინს წინააღმდეგმისა ბუნებისა და წესისასა. ხოლო დამამტკიცებელთა ამისთა ვაკურთხევე კურთხევითა აბრაჰამ, ისაკ და იაკობიანითა. მოწამე ამისი სარდალ-მოურავი წულუკიძე ბერი და გიორგი, მდივანბეგი დავით, ლორთქიფანიძე ტატუა-ალიწერა ხელითა ჭიჭინაძის ნიკოლოზისითა. აგვიტოს კჲ, ქრისტეს აქეთ ჩლოჲ.

დავითის ნორჩი  
სოლომონ  
ჯვართ მტერს მოვრჩი

№ 442. 1786 წ. იანვრის 31-ს. ფიცის წიგნი, მიცემული იმერეთის მეფის დავითის მიერ ბეჟან წერეთლისადმი. დედანი. 43×30 1/2 სმ, მარცხენა კიდე დაზიანებული აქვს. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Sd, 1213.

წყალობითა და მინდობითა წმიდისა და ყოველთა მბადისა ზემთა ღმერთითათვისა სამოებისა, რომლისასა აღვიარებ მხოლობასა სამებისა შ[ორი]ს და სამებისა მხოლობისა შ[ორი]ს, მამისა და ძისა და წმიდისა სულისასა, კჲა-

<sup>1</sup> დატოვებულია თავისუფალი ადგილი.

<sup>2</sup> სათაური: ანდრია ავღიბელიშვილისა და სხვათ ბოძების წიგნი მეფისა.

ლად შეწვევითა და ფარვალოცვითა მარიაჲმ... ნისახეშთა უმწიკვლ-უბიწოსადედისა მღვ[ვ]თისა, ამით მიერ მინდობილმან და სასოების, დამდებმან ტომებით დავითი[ან]მან და თვით მოსახელემან მისმან სწრულიად იმერთა შეფე მეფეთამან დავით ესე საუკუნოდ გასათავებელი და წინაშე მღვ[ვ]თისა მისატანი ცოდვის მადლის წიგნი ფიცი და საფიცარი გიბოძეთ შენ, ჩვენს ერთგულს ყმას წერეთელს ბეჟანს, შენს უმრწემეს ძმებს ვახუშტის, გიორგის და ქველს;—ასე და ესე ვითარად, რომე წერეთელმა პაპუნამ გვილალატა, გაგვიდგა. მრავალს ვეცადეთ, მაგრამ ჩვენს წახდენას არ მოშორდა, ლეკისა და თათრის ჯარს ჩამოუძღვა რაჭას და მრავალი და აურაცხელი ქრისტიანი დაატყვევა, უდაბნოები გასტეხა და ძელი ცხოვრებისა ჩვენისა დაარღვია, ქრისტიანობა მოსპო და უსჯულებას შეუდგა და შამოგვება და ომი გვიყო. უძია შური მადლმან ყ[ოვლ]ად ძლიერისა და ბატონ ყმობისა მიმთვალველმან უფალმ[ან] და ვსძლიეთ და გავაქციეთ და გავიმარჯვეთ და ახლა შენ გიბოძეთ საწერეთლო და ყოველთა საწერეთლოთა უმფროსობა და გიბედნიეროს ღმერთ[მა]ნ ჩვენს ერთგულობასა და სამსახურში და დღესითგან დროთა და ჟამთა ჩვენთა საუკუნოდ გასათავებელად. თუ თქვენ ჩვენი ერდგული იქმნეთ და ჩვენის ბრძანების მორჩილი, შენ ჩვენგან უმფროსი წერეთელი აღარ დაგედგინოს და არც ვინებოთ სხვისი შენზე უმფროსობა. თუ ღმერთ[მა]ნ ჩვენზე მისი მოწყალება არ გარდაგვადო და სხვამ არ გვძლია, თქვენ ეს ფიცი და პირი არ გიმტყუნოთ და უკეთუ შენ ჩვენის ბრძანების მორჩილი იქმნე და ჩვენ შენ გისუსტოთ, ქრისტე რომ მსაჯულათ დაბრძანდება მეორედ მოსლვას, თქვენის ცოდვის პასუხი ჩვენ მივსცეთ ღმერთს. არის ამისი მოწამე თვით ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი ზეცისანი და ქვეყნისანი ხორციელნი და უხორციონი. კაცთაგან მოწამე სიძე ჩვენი საყვარელი ერისთვის ძე ელისბარ, სიძე ჩვენი აბაშიძე სვიმ[ონ], ერისთვის ძე პეტრე, აგიაშვილი ქაიხოსრო, ჩხვიძე ოტია, მესხი ოთია და ივანე, გამყრელიძე ლევან, კახიძე ვახტანგ და ერთობით დიდებულისა კარისა ჩვენისა გ[ა]მგენი და დარბაზის ერნი. აღიწერა წელთა განხორციელებითგან უფლისა ჩღვ, თვესა იანვარსა ლახელითა მდივნის მდღლის სვიმეონისათა დღესაჲ. დავით.

№ 443. 1784 წ. იანვრის 3-ს. პირობის წიგნი, მიცემული ჭალელი აბაშიძეების მიერ პაპუნა წერეთლისადმი. დედანი. 40×16 $\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქალღღებზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Sd, № 1200.

ქ. წყალობითა მღთისათა, მამისა, ძისა და სულისა წმინდისათა ესე სამუდამოდ წიგნი და პირობა მოგართვით თქვენ, ბატონს სარდალ წერეთელს პაპუნას ჩვენ, სულ ერთობით ჭალელმა აბაშიძეებმა;—ასე რომე ჩვენ მიდღეხი მოურავი არა გვცყოლია და ძველთაგან თქვენი სასარდლო ვყოფილვართ და ბატონს გარდა თქვენს მეტი უმფროსი ჩვენ მიდღეხი არავინ გვცყოლებია და ძველთაგან თქვენი სათხოვარი ამისმეტი არაფერი გვდებია, მესამე წელიწადს ყოველთვის თითო კოკა ღვინოუნდა მოგართვათ სასარდლო და ლაშქრობაზედ ყოველთვის თქვენ უნდა წაგყვეთ. აწ ასე წიგნი და პირობა მოგვირთ-

მევია, ღვთის წინაშე, თუ ჩვენზედ თქვენი ურიგობა არა შევიტყვეთ რა, როგორც ძველთაგან ვყოფილვართ თქვენი ოჯახის ერთგული, აწი უმფრო ერთგული ვიქნეთ თქვენი და თქვენი ოჯახისა. როგორც გვიბძანოთ, თქვენის ბრძანების და სიტყვის გადუალი ჩვენ არაფერი ვქნათ მიდღეჩი. მტერთან მტერი ვიქნეთ და მოყვარესთან მოყვარე და რომელმანც ამაშიდ ვიმტყუნოთ და თქვენი ურჩობა და ორგულობა ქნას ვინმე, თუ შევიძლეთ ჩვენ მოვკითხავთ თქვენს მაგიერად, თვარამ თქვენ მოკითხეთ თქვენათ ღალატათ და თუ რამე ჩვენ ამაშიდ ნატყუარი გამოგვივიდეს, ოთხი პატრიარქისაგან ღმერთმა შეჩვენებული ღირს გყოს და ბატონმა ჩვენმა მისდა ღალატათ მოვკითხოს და თქვენც სისხლათ და ღალატათ მოიკითხეთ. ამისდა გასათავებელად მოგვიცემია თავათ დაუსაბამო ღმერთი და ყოველ[ლ]ნი მისნი წმინდანი ზეცისანი და ქვეყანისანი[ი] ხორციელნი და უხორცონი. კაცთან არის ამისი მოწამე და გამრიგე ფალავანდის-შვილი შოშია და გოცირიძე პა[ა]ტა, მგალობელი ჩვენი ოქროპირ კანდელაკი და სულ ჩვენი დარბაისელნი შინაყმანი. მე დიაკონს გოგია ოქრომქელღმირს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. აღიწერა იანვარს გ, ქკს ათას შვიდას ოთხმოცდა ოთხსა. + + + + +

სხვა ხელით: პოლკოვნიკი მდივანბეგი თავადი ქაიხოსრო, წერეთელი მდივანბეგი თ[ავად]ი დავით ჩხეიძე.<sup>1</sup>



№ 444. 1785 წ. ივნისის 16-ს. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული სეხნია და გაბრიელ მესხის მიერ კოხიტა მესხისადმი. დედანი. 42×12 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. საქ. სახ. მუხ. ფ. Hd, № 2874.

ქ. ესე უღეობის და შეუშლელობის ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ, მესხმა სეხნიამ, გაბრიელმა, ჩვენმა ძემ და მომავალმა, ჩემა ძმამ იესიკამ, ჩვენმა ძმის წულმა სიმონის შვილმა ბეჟუკმა და გიორგიმ, ერთობით ჩვენმა ძემ და მომავალმა შენ, დავით მესხის შვილს კოხიტას;—ასე და ამა პირსა ზედა, რომე მოგყიდე მერაბა იარალას შვილი, მისი შვილი იესიკა და ნიკოლოზა ყმიან მოსამსახურიანათ, მისი ადგილ-მამულთანათ, შიგნით და გარეთადგილ-მამულთანათ, ტყით და ველით, საყანე და საფლავ-სამარხიანათ, წყაროთი, საწისქვილეთი, საძებრით და უძებრით გამზიდაშვილი რომ ესახლა იმას გარდა. აწ როგორათაც გული შეგვიჯერდებოდა ფასიც სრულათ გამოგართვი...

გამრიგე და მოწამე ბერი მესხი, გიორგი მესხი, პაატა მესხი, ქაიხოსრო მესხი, ალხაზიშვილი ბერუკა, ქელბაქიანი გაბრიელა, ხელოსანი ტურაბელიძე. თამაზიკა, მალღაფერიძე შოშიკა. დაიწერა წიგნი ესე თვესა ივნისსა ათექვსმეტს, ქარისტესს აქეთ ათას შვიდას ოთხმოცდა ხუთსა, მე მღვდელს მარკოზს მამრიკიშვილს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. + + + +

<sup>1</sup> სათაური: ჯალალეებისა ნას...

№ 445. 1793 წ. ივლისის 6-ს. სახლისკაცობის წიგნი, მიცემული ზურაბ წერეთლის მიერ ქაიხოსრო წერეთლისადმი. დედანი.  $44\frac{1}{2} \times 15\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ალაგ-ალაგ თითო წერტილი. საქ. მუხ. ფ. Sd, № 1216.

მე, სა[ხ]ლთუხუცესი წერეთელი ზურაბ და ჩემი ძმა ბერი ჩემს ძმის წულს სარდალს ქაიხოსრო წერეთელს, თუმც ჩვენი მტკიცე შეერთება უნდა, ეს აზრები უნდა სრულყოს.

ა. ქ. ჩვენს ოჯახშიდ რომელიც ჩვენი კაცი, ან უცხო კაცი ვინმე, რომლისამე საქმისათვის წავიდეს თუ მოვიდეს, ჩემი უკითხავი არ იქმნეს. რომელს საქმეზედ წავა და მოვა სრულებით უნდა ვსცნა.

ბ. ქ. რომელსაც ჩვენი ჯელმწიფის ყმას ჩვენი ჯელი მისწვდება და ან ჩვენი მახლობელნი მეზობელნი არიან, ჩვენგან და ჩვენი ყმისაგან არ შესწუხდენ, ძალა და უსამართლება არ დაემართოს, ამისათვის რომ ჩვენი ჯელმწიფის საწინაღმდეგო იქმნება.

გ. ქ. რაჭას თუ იმერეთს რომელიც მგზავრი ჩვენს გზაზედ დაიარება, ცალიერს კაცს ბაჟი სულ არ ეთხოვოს არც გამღველს და არც გამომღველს და საპანიანს კაცს, რომელიც განწესებული არ არის, მისგან მეტი ბაჟი არ გამოერთვას.

დ. ქ. რომელიც შენი შინაყმა ჩვენი აზნაურის-შვილი არის, რომლისამე საქმისათვის რომ დამეჭიროს და მოგახსენო, შინიდან წამომყვეს და კარზედ კიდევ საქმისათვის დამეჭიროს, ვიხმო, კარზედ მოვიდეს, შენ არ დაუშალო, უარი არ მითხრას. თუმც უარი მითხრას, რომ გაუწყრო, თქვენც მწყრომიალეთ იყავით მაზედ. ეს სიტყვა მტკიცე უნდა იქმნეს.

ე. ქ. მოგეხსენება, ჩემი გიორგი მარტო დაიარება და რომელსაც შეელიო და თქვენ ინებო, ოთხი ყმარწვილი აზნაურის-შვილები უნდა აახლოთ.

ვ. ქ. რაჭას თუ იმერეთს რომელიც მამული გვაქვს ან ვაჭარი გვეყავს, თუმც არ გაგვიჭირდეს, რომელიც განწესებული ბეგარა არის, მეტი ძალა და უსამართლება არ დაემართოს და თუმც გაგვიჭირდეს, სამივემ ერთმანეთის დასტურით განვაწესოთ და ისე ავაღებინოთ. ერთმანეთის უკითხავათ არ იქმნეს.

ზ. ქ. იქმნება ბატონმა ორივე თავის საქმეზედ გაგვგზავნოს და როგორათაც რიგი იყოს, ყმა ზოგი შენ იახელი და ზოგი მე მახელი.

ც. ქ. სასახლის მოხელეს ხარჯის საქმეზედ გარეთულმა მოხელემ რომ სიტყვა არ გაუგონოს, იმას რომ ავით მოვემყრო; თქვენი საწყენი ნუ იქმნება.

თ. ქ. რომელსაც ჩემს კაცს რომლისამე საქმისათვის ჩემი წიგნი მიქვიდეს და მაგიერი პასუხი არ მომცეს, იმის გაწყრომა თქვენი საწინააღმდეგო ნუ იქმნება.

ი. ქ. ვინც ჩვენმა კაცმა თავის მეზობელს უსამართლობა და მძლავრება უყოს, იმას ავით მოვემყრო, დანაშაული გარდავახდევინო, თქვენც მისი მწყრომიალე ბრძანდებოდეთ.

ია. ქ. ჩვენს მამულშიდ ქურდი და ავი კაცი თუ სადმე გამოჩნდეს, რომლისაც ჩვენი ყმის სახელო იყოს და იმისი ავით მომყრობა შეუთვალო და იმას

ავათ არ მოემყროს, იმ მოხელეს რომ ავათ მოემყრო, თქვენი საწინააღმდეგო ნუ იქმნება.

იბ. ქ. რაჭას თუ იმერეთს, სამკვიდრო თუ ნაშოენი მამული თუ ციხე რომელიც გვაქვს სადგო თუ უდგო, შესავალი თუ გამოსავალი, ერთი იყოს. ასე რომ საჩხერის ბაჟი მესამედი ჩვენს ძმას ბერს ქონდეს, წელიწადშიდ ასი მარჩილი რაქიდამ ბერს ერგოს, ნახევარი ჩვენი გამოსავალი სასახლის მოხელეს მიებალოს და სხვა მე და შენ სწორეთ გაეყოთ და მამულსა და ციხეებშიდ ასე გააერთებული უნდა ვიყოთ, ჩვენშიდ ექჭი აღარ იყოს.

იგ. ქ. გლეხი, მამული, მიწა უჩემოთ არ გაიცეს და არც კაცი აიყაროს უჩემოთ.

იდ. ქ. შემდგომად ამ ჟამისა ჩვენმა საერთო კაცმან იმერეთშიდ თუ სხვაგან, რაც იშოვნოს, ფანჯიაკი როგორათაც ძმობის რიგი არის, ისე გაეყოთ.

იე. ქ. ახლო (sic) ციხის მოურაობისაგან უნდა გამოდგეს.

ივ. ქ. მათის უმაღლესობის მეფის სოლომონის ყ[ოველ]დ სამღვდელეების მღვდელთ მთავრების და ერთობით ჩვენის ყმებისაგან ეს პირობა უნდა მომეცეს: ჩვენსობას ან შემდგომად ჩვენსა გაყოფა მოხდეს, სამკვიდრო თუ ნაშოენი მამული თუ ციხე რომელიც გვაქვს, ძმობის სამართლით ჩემს შვილებსა და ჩემს ძმას თავთავისი წილი მიეცეს. წელთა უფლისათა ჩლჳგ, იენისს ვ.



სარდარი წერეთელი  
ქაიხოსრო

№ 446. 1793—95 წ. პირობის წიგნი, მიცემული ქაიხოსრო წერეთლის მიერ ზურაბ წერეთლისადმი. დედანი. 36 x 15 1/2 სმ. დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საბუთს თარიღი არ უხის. საბუთი 1793—94 წლებში უნდა იყოს გაცემული, როცა სახლის კაცები ზურაბ წერეთლის უფროსობას სცნობენ (იხ. ფ. Sd, № 1216) საქ. მუხ. ფ. Sd, № 1209.

ქ. ლვითთ ესე წიგ[ნი] და პირობა მოგართვით ჩვენ სარდალ წერეთელმა ქაიხოსრომ თქვენ ბიძა ჩემს სახლთუხუცეს წერეთელს ზურაბს;—ასე და ამა პირსახედა, რომ უმფროსობა და ბ[ა]ტონობა დაგანებეთ ჩვენის ქვეყანისა და ჩვენის ოჯახისა, ციხისა, ქალაქისა, აზნაურისა, მოურავისა, გლეხისა რაც რომ ჩვენ გვაქ ყოველის უმფროსობა და ბ[ა]ტონობა დაგანებეთ. როგორც ბ[ა]ტონობის რიგი იყოს, ისე იუმფროსოთ. იბ[ა]ტონოთ და იუფლოთ. თუ შენ ჩვენი დასამდაბლებელი არა ქნათ რა, ჩვენ თქვენი მორჩილი ვიქმნეთ და ვინც ჩვენი ან მოურავი, ან მოხელე, ან ჰეციხვანი, ან აზნაური, ან გლეხი შენს ბრძანებას გადახტეს და არ გემორჩილოს, როგორც უბძანოთ, ყველასთან გამომიცხადებია, რომ გამოსცვალოთ. თუ გაუწყარე, თუ გადახდევინო, ჩვენც თქვენი შემწე ვიყოთ და რისხვაც მივაგოთ, თორემ არც მოგვხმარო და არც ნუგეშინი ვცე და არც [ლ]მერთთან და არც კაც

თან არ გისაყვედურო. ეს ასე გამამიცხადებია ყველასთვის, მოურავისთვის, მოხელისთვის, მეციხოვანისთვის, აზნაურისთვის, ვაჭრისთვის და გლეხისთვის ყველასთვის ერთობით.

სარდალი წერეთელი  
ქაიხოსრო

№ 447. 1799 წ. ივნისს 7-ს. უღებობის წიგნი, მიცემული იესე მესხის მიერ პაატა მესხისადმი. ღებანი.  $18 \times 13\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 9777.

ესე მტკიცე და უცვალელებელი უსადგო წიგნი და პირობა მოგეცი მე, იესე მესხმა შენ, ჩემს ძმის წულს მესხს პაატას და თქვენთა შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა;—ესრეთ და ესევეთარად, რომ შენს კაცს მამისთვალა შენგელიას, მის ძმას და მის შვილებს ჩემზედ და ჩემს კაცს სვიმონიკა მაჩალაძის შვილებზედ დანაშაული გამოუვიდა. ვიდევეთ და ვილაპარაკეთ, ერთმანეთშიდ ფიცები გაგვიჩადა და მოგვარიგეს. არც მე და არც ჩემი კაცი, არც შენ და არც შენს კაცს ამ საქმეშიდ აღარაფერს არ გედეთ. სიყვარულის მეტი სადგო აღარაფერი არ დაგვრჩენია და არც გედეთ. ვინ იცის ეშმაკის საფრხით და ცთომილებით ან მე და ან ჩემს კაცს ან შენზედ, ან შენს კაცზედ დანაშაული რომ რამე გამოგვივიდეს, თქვენგანაც სიყვარული დაგვემართოს. არის ამისი მოწამე გრიგოლაშვილი ვახტანგ, დიმიტრი გრიგოლაშვილი, ხოსია თურმანიძე. მე, მეფის კარის მღვდელს გრიგოლაშვილს იესეს დამიწერია. ქკნს ქკს აქეთ ჩღუთ, ივნისს ზ. +

№ 448. 1800 წ. აპრილის 22-ს. წყალობის წიგნი, მიცემული კაცია წულუკიძის მიერ მამუკა რუსაძისადმი. პირო, გადაწერილი XIX საუკუნეში. საქ. მუხ. ფ. Hd, № 9670.

ქ. ....ესე წყალობის წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ მე, ბატონმა შენმა სარდალ მოურავმა წულუკიძემ კაციამ შენ ჩემს ერთგულს მოსამსახურეს რუხაძეს მამუკას და შენს შვილებს გიორგელას, ოტიელას, სეხნიერას, ბაბუშიას, ბუჭველას და დათუნიკას;—ასე რომე ჟამთა ვითარებისაგან დიდი ბეგარა დაგდებოდათ, დილის კეთილის გონებით გამოვიძიეთ და ვიგულისმოდგინეთ. თქვენის ბეგრის რომ გემართათ, მისი ნახევრის ამოკვეთვა რადგან გვევედრეი, ვედრება თქვენი ვისმინეთ და შეძლებისამებრ თქვენისა ქრთამიც გამოგართვით, როგორც ამ საქმეს შვენოდა. აწ, ბეგარა ასე დაგადევით: ერთი ღორი, ერთი ქათამი, ათი კოთხო ღომი, ოცი ცალი ღვინო, ხუთი კვერცხი სამოურაო. ერთს წელიწადს ორი ქათამი, მეორე წელიწადს ერთი ქათამი. ასე ამრიგით და სამოურაო ღომი და ღვინო დაგიდევით. კიდევ სადანაო ცალი ღვინო ურმის თავისათხოვნიელი, გინდ ორი ფარა, გინდ ორი ფარის ქათამი, აწ, ასე წყალობის წიგნი გვიბოძებია. თუ თქვენ და თუ თქვენის ძე და მამავალი ჩემი ერთგულად მოსამსახურე იქმნეთ და ჩემის ბრძანების მორჩილი, ეს ჩემი წყალობა არა-

დეს მოგეშალოს, არც თქვენ და არც თქვენს ძეს და მომავალს... არის ამისი მოწამე მოურავი ელიავე დავით, ნიქარაძე ზალიკა, მღვდელი ქაბზიანიძე გაბრიელ. დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონს ათას რვაასა, თვესა აპრილისა ოცდა ორსა, დღეს სამშაფათს. მე, წულუკიძის კარის მღვდელს მდივნისშვილს ვიორგის დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი.

მ[ონა ღვთის]ა  
წულუკიძე  
კაცი

№ 449. 1812 წ. მაისის 12-ს. ხელშეკრულების წიგნი, მიცემული ივანე აბაშიძის მიერ ვიორგი კობაძისადმი. დედანი. 23 $\frac{1}{2}$ ×22 სმ, დაწერილი ლურჯ კალაღზე მხედრული ხელით. „ან“-მეტი. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2675.

ქ. ესე შეკრულობის<sup>1</sup> წერილი მოგეცი მე, ჭალელმა აბაშიძემ ივანემა და ძმამა ჩვენმა სვიმონმა და ნიკოლოზამ, შეილმა ჩვენმა გრიგოლამ შენ, ვიორგი კლპაძეს და ძმასა შენსა გლახას;—ასე რომა ჩვენი ალალი კვიდრი ყმა ნამზითვი გადმოსულიყო თქვენთან, იმასაც თქვენთან ყოფნა მოენდომებინა<sup>2</sup> ჩემს კაცს გურასაშვილს სვიმონს და ჩემთანაც კაცი გამოეგზავნა და შამომხვეწოდა: ერთი შვილი გავყიდეო და თავი ვერ ვირჩინეო, გადმობძანდო, ეგები მიმყიდო ვისმეო, შენთვინ მაინც დაკარგული ვარო. გადმოვედი და ამ ჩემის კაცის მდომლობით გავირიგდი ფასზე, სამი თუმნის ანგარიში მამეცა და დარჩა სამი თუმანი, ამ ჟამათ მიდგომა არ იყო ჭირის მიზეზით, იმერელსარ უშვებდენ და დღე და დღის იქით ეს კაცი შენ მეტ კაცსა არ მივყიდო და არც შენ გამიტყუნდე. წლამდინ პირობა იყოს.

როდესაც ჟამი იყოს, გადმოვიდე და ნასყიდობის წიგნი დაგიწერო და მოგცე. თუ მე გავმეტყუნდე წელიწადს იქით, ამ კაცთან საქმე აღარა მქონდეს, თუ შენ მიტყუნო, ამ შენმა სამა თუმანმა ჩაიაროს. აღარც კაცთან საქმე გქონდეს<sup>3</sup>. არის ამის მოწმე თავად ლ[მერ]თი და ყოველი მისი წმიდანი და კაცთაგან ჩემი კაცი გელიტაშვილი ბერიკა და კიდევ ჩემი კაცი ბეკოშვილი გლახა, შუკაკიძე დათიკა. მე, სვიმონ ქალიაშვილს დამიწერია, ამა ივანე აბაშიძის თხოვნით და მოწამეც ვარ ამისი. მაისის იბ, ქკს ფ<sup>4</sup>.

№ 450. 1808 წ. წყალობის წიგნი, მიცემული მოურავი გივიშვილი ივანეს მიერ გოგიტა მწყერაშვილისადმი. დედანი. 34×20 $\frac{1}{2}$  სმ, დაწერილი მწვანე კალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2818.

„...ესე... წყალობის წერილი აღგიწერეთ და გიბოძეთ შენ ჩვენს ყმას მწყერაშვილს გოგიტას და შენს ძმისწულს მახარას და თქვენს შვილსა და

<sup>1</sup> სწერია; შეკაურლების.

<sup>2</sup> სწერია: მენადობაბინ.

<sup>3</sup> სწერია გქოდენას.

<sup>4</sup> სათაური: გურასაშვილის ნასყიდობის სიგელი. მეორე ნასყიდობისაც აბაშიძეს.

მომავალს;— ასე რომ გვევედრე და ვისმინე ვედრება თქვენი, ქრთამიც სრული მომართვი, როგორც გული შემიჯერდებოდა და მამაჩემსაც ამოეკვეთა და მეც წყალობა გიყავი და ამოგიკვეთე ღორის ბეგარა, კურცხი და ერთოქათამი. არც ჩემგან და არც ჩემი შვილისა და მომავლისაგან არც შენ და არც შენ შვილსა და მომავალს არ ეთხოვებოდეს... ამისი გამრიგე და მოწამე მწყერაშვილი გლახა მღვდელი, კილაძე პეტრე, კესარელი დათია. მე, მღვდელი გრიგოლ ვწერ და მოწამეც ვარ ამისი. ქორონიკონს ჩუქ.

მ[ო]ნ[ა] ღ[ვ]თისა  
მოურავი გივიშვილი  
ივანე

№ 451. 1808 წ. ნოემბრის 17-ს. თავდებობის წიგნი. მიცემული გიტულა ნაკაშიძის მიერ ქაიხოსრო ბატონიშვილისადმი. პირი, გადაწერილი XX საუკუნეში თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. საქ. მუზ. ფ. Hd, № 11483.

ესე სათავსმდებო წიგნი მოგართვით თქვენ, ბატონიშვილს ქაიხოსროს ჩვენ, ნაკაშიძემ გიტულმა და თანდარუხს;— ასე რომ ჩვენ და ჩვენი ძმა მამულკოცოტათ მომღურავათ ვიყავით, მერმე თქვენ მობრძანდით, მოგვარიგეთ და ასე პირობა მოგვირთმეგია: თუ ჩვენი კეთილის მყოფელი იყოს, ოჯახის ერთგულემაზე კეთილად გაისარჯოს, ჩვენ მისდა დაუკითხავათ ჩვენი ოჯახისა და მამულის საქმე არაფელი ვისაქმოთ<sup>1</sup>, არც მისდაუდასტუროთ ვინმე მოვთხაროთ, არც გავეიდოთ, არც მოსახლე კაცი, არც ჭურ-მამული, არც მიწა-ალაგი, ერთობა და ძმობაც უყოთ. თუ ამაში უმალ ჩვენ სიმტყუნე გამოგვანდეს, შენმა გურიელმა მისდა ღალატათ მოგვეკითხოს და თქვენ რადგან თავდები ხართ, ჩვენი მამული რაც სამართლით ერგოს, უჭიჭყინოთ და უდავებლათ მიეციოთ. ჩვენ პასუხი აღარ გვექნება. არის ამის მოწამე თავად ღმერთი, კაცთაგან მოურავი ნაკაშიძე როსტომ, ნაკაშიძე მამულკა, თაყაიშვილი სვიმონ. ჩუქ წელსა, გიორგობისთვის იჴ თვესა.

№ 452. 1809 წლის ივნისის 19-ს. თავდახსნილობის წიგნი, მიცემული ზაქარია გურამის-შვილის მიერ შარაშიძის შვილი იოანე დეკანოზის შვილის ქრისტეფორესადმი. დედანი. 71<sup>1</sup>/<sub>2</sub> × 46<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუზ. ფ. Qd, № 751.

ქ. დროსა უთოთმპყრობელესისა დიდისა ჳელმწიფისა ს[რ]ულია]დ რუსეთის იმპერატორისა ალექსანდრე პავლეს ძის პირველისასა.

ესე მტკიცე უტუალეგელი და საბოლოო თავდახსნილობის წიგნი და სხგელი მოგეც მე, საქართველოს თავადმან გურამისშვილმან ზაქარია ზაალის ძემან შენ, ჩემს სამკვიდროს ყმას შარაბიძის შვილს იოანე დეკანოზის შვილს ქრისტეფორეს, ძმასა შენსა სოლომონს და მომავალთა სახლისა თქვენისათა;— ასე რომ ოდეს კურთხეული მეფის გიორგის მეუღლე საქართუშლოს დედოფალი მარიამ რუსეთს ბელოლოროდის ქალაქში იმყოფებოდა და ჩუქნცა ორნივე მასთანა ვსცნოვრებდით, მას ჟამსა მოხუცლ შენ ჳემოკსენებული ქრი-

<sup>1</sup> სწვრია: ვისაქმოც.

სტეფორე და ითხოვე ჩემგან თავის დახსნა და განთავისუფლება შენი და ძმისა შენისა სოლომონისა. მეცა თხოვილისამებრ შენისა თანაჴმა შევიქმენ და თავი დაგახსნევიან შენცა და შენს ძმას სოლომონსაცა. მივიღე თქუშნგან ფასი სრული, როგორც ჩემი გული შეჯერდებოდა. ყოვლისფრით კმაყოფილი გაგხდი, რომლისა ნაცულად მოგეც მე ესე თავდახსნილობის სიგელი და რომელსა ჩემი ჳელმწიფა დედოფალი მარიამცა ჳმოწმებს და ამტკიცებს. ამიერიითგან თავის უფალნი ხაოთ და როგორც თქვენი გული სთხოვდეს, ისე ღმერთიმან ჳელი მოგიმართოსთ. დღეის იქით, არც მე, არცა მამა ჩემსა, არც ჩემს ძმებს და არცა ჩემთა ნათესავთა ვინმე ბატონყმობით საუკუნოდ თქუშნთან საქმე აღარა გუაქუს რა და თუ, ვინ იცის, კიდევ წამოგედ[ა]ოსთ ვინმე შენა თუ შენს ძმას სოლომონსა, ან ბატონყმობის წიგნი გამოაჩინონ და იმით დაობა დაგიწყონ, ყუშლა ბათილი იყოს და ყუშლას პასუხის გამცემი მე, გურამისა შვილი ჳალის ძე ჳაქარია ვიყო და კულამცა თუ ჳელჳყოს ვინმე შლად წერილისა ამისა, მას რისხავდეს საუკუნო მამა და ყოველნი მისი წმიდანნი. აღიწერა სიგელი ესე თავდახსნილობისა დიდსა როსიისა ქალაქსა შინა ბელოლოროდს ნებითა და სიტყვითა ჳემოჯსენებულის გურამისშვილის ჳაქარიასითა და ჳელითა საქართველოს აზნაურშვილის შეფის გიორგის მოძღურის იოსების ძის დეკანოსის ჳაქარია ალექსოვისათა წელსა ქ[რისტ]ეს აქეთ ჩუთ, ქართულსა ქრონიკონსა უჳჳ, თუშესა იუნისსა რიცხუსა ით.

ამ წერილის ყაბული მაქვს. თავადი გურამის-შვილი ჳაქარია.

საქართველოს აზნაურშვილი ამ თავდახსნილობის სიგლის მოწამე ვარ, სწორე ჳემმარიტია. ბანუუროვი რამაზ. საქართველოს აზნაურშვილი ამ თავდახსნილობის სიგლის მოწამე ვარ, სწორე ჳემმარიტია. ჩარიოვი.

განის აშიაზე: ჩუშენ საქართულსოს დედოფალი მარიამამ წერილის. მოწამე ვართ და ვამტკიცებთ, სწორე ჳემმარიტია. იუნისის კ, წელსა ჩუთ.

დედოფალი მარიამ

№ 453. 1809 წლის აგვისტოს 29-ს. უდგობის წიგნი, მიცემული გიორგი ბაქრაძის მიერ ეგლათელ მიტროპოლიტ ეფთვიმესადმი. დედანი. 34×10<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ, დაწერილი ლურჯ ქალადღე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახშირი არ არის. საქ. მუზ. ფ. Hd, № 10353.

ქ. თქვენ, ყოვლად სამღვდელსო ბატონს გენათელ მიტროპოლიტს უფალს ეფთვიმის ესე უდგობის წიგნი, პერი და საფიცარი მოგართვით მე, ბაქრაძემ გიორგიმ, ჩემა შეჯლებმა იოანემ და როსტომ და ჩვენმა შვილმა და მომავალმა;—ასრეთ და ესე ვითარად, რომ ჩვენს ჳვეყანაშიდ ღვთის რისხვა მოვიდა და ჳამი გჩდა და ჩამოგვიდგა ჳამი და სახლკარიდამ გარდაგყარა და ჩვენი სახლი და კარი ოხრად დატევებული გვქონდა და ჩემი სახლის კაცის, კაცია ბაქრაძის კაცის შვილს შეეყარა ჳამი და ჩემს სახლშიდ დაწვა და თქვენის კაცის სიმონა ღებანიძის ცოლი და კიდე ცენცაძის ნაცოლავი თქვენი ქურივი ჩამოვიდენ ამ ჩემს გაოხრებულს ოჯახშიდ და ჳამიანს კაცს თავს

დაადგენ ჩემდა უდასტუროთ. თუ რამე იყო ჩემს ოჯახშიდ, დამებნა და დამეკარგა; ვდეობდით და კიდეც გავიბჭვეთ მაჩაბელთან და სამართლები გავვიჩნდ, მარა მობძანდით ამ თქვენს ქვეყანაშიდ და ჩვენი ქვეყნის უფროსი კაცები როსტომ ჯაფარიძე, ბერი ფალავანდის-შვილი, სიმონ ბაქრაძე და პაატა გოცირიძე და სულ ბაქრაძეები თან გახლდენ, გვიბძანეთ და ესიები ყველა დავსთმეთ, თქვენს მეუფებას დაუთმეთ და მოგართვით. ის განაჩენის წიგნიც დავხიეთ და ასე საუდგოს წიგნიც მოგართვით: აღარც ლებანიძის სიმონას ცოლის საქმეზედ და ცენცადის ქურივის საქმეზედ, ჩემს სახლშიდ რომ იყვნენ და ჟამიანებს თავს ადგენ, იმ საქმეშიდ არც ლებანიძეს, არც მია ცოლს, არც ცენცადეს და არც ცენცადის ქურივს და ქურივის ქჷარს აღარ ვედგოთ, ისე მკვიდრათ მოვრიგებვიარ და თქვენის მეუფებისათვის მომირთმევია. აწ იქნა ამა წერილისა მოწმედ და გამრიგეთ მოურავი ფალავანდის-შვილი ბერი [ ] ჯაფარიძე როსტომ, ბაქრაძე სიმონ გოცირიძე პაატა, ბაქრაძე იოანე და სულ ერთობით ბაქრაძე და ჯაფარიძეები და მე წინამძღვარს დავითს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. წელთა უფლისათა ჩუთ, აგვისტოს კთ. ++

№ 454. 1812 წ. თებერვლის 16-ს. ნასყიდობის წიგნი, მიცემული პატელა ჰანტურიძის მიერ იოსებ ციხითვის-შვილისადმი. დედანი. 33×18 სმ, დაწერილი ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2987.

ქ. ნებიტა და შეწვენიტა მლთისათა ესე მტკიცეთ და შეუცვალეღელი და საბოლოოთ გასათავებელი ნასყიდობის წერილი მოგეციოთ მე იმერელმა პატელა ჰანტურიძე და ჩემა მიუღლემა მარიამმა თქვენ, ციხითვის-შვილს იოსებს და შენს შვილებს გლახას და სიმონს;—ასე რომა გამიქირდა და შვილი მოგყიდე ჩემი შვილი თევდორე და ფასიც სრულათ ავიღე, როგორც გული შემიჯერდებოდა. მოგცეს და გიბედნიეროს ღმერთმა. ამაში მოდავე და მოლაპარაკე არავენ გყვანდეს. არის ამისი მოწამე თავათ ღმერთი და კაცთაგან ასლამაზიშვილი მლუდელი გიორგი, ჰინჭარაშვილი ოთარი და მე საყვარელიძე იოსებს დამიწერია ამ პატელას თხოვნით და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა წერილი ესე თებერვლის თვ, წელსა უფლისათ ქქს ფ.

№ 455. 1814 წ. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული დავით აგიაშვილის მიერ როსტომ ყიფიანისადმი. დედანი. 21×11 სმ, დაწერილი მომწვანო ქაღალდზე განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. საქ. მუხ. ფ. Hd, № 2695.

